ISBN 978-9941-34-601-9

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები

XX საუკუნე

ირინა არაბიძე

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები

XX საუკუნე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

საქართველოს საპატრიარქოს არქივი

ირინა არაბიძე

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები (XX საუკუნე)

(განმეორებითი გამოცემა)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2024

კრებულში თავმოყრილი, გადამუშავებული და შევსებულია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით ავტორის, თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტისა და საქართველოს საპატრიარქოს არქივის თანამშრომლის, ისტორიის დოქტორის, ირინა არაბიძის მიერ 2004-2023 წლებში გამოქვეყნებული სტატიები თუ კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები. თითოეული სტატია დამოუკიდებელია. თემატიკის ერთიანობით აიხსნება რამდენიმე მათგანში ერთი და იგივე ინფორმაციის სხვადასხვა კუთხით გადმოცემა.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხების მკვლევართა, სტუდენტთა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ავთანდილ სონღულაშვილი**

რეცენზენტები:

ისტორიის დოქტორი **ხათუნა ქოქრაშვილი**

ისტორიის დოქტორი **ირმა კვაშილავა**

სტუ თეოლოგია-საქართველოს
ეკლესიის ისტორიის პროგრამის
დოქტორანტი **ნინო გაგოშაშვილი**

წიგნის განმეორებითი გამოცემა დაფინანსებულია
საქართველოს საპატრიარქოს ქართველოლოგიური
კვლევის ცენტრის მიერ.

© ირინა არაბიძე, 2024
გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN 978-9941-34-601-9

ნაშრომს ვუძღვნი მშობლებს:
ვასილ არაბიძეს და ელენე რაზმაძეს

სარჩევი
Contents
Оглавление

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების პროცესში (საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალების მიხედვით, 1917 წ.).....7
Transcaucasus Extraordinary Committee in the process of implementing the autocephalous rights of the Church of Georgia (based on the Journals of session of the temporary management of the Church of Georgia, 1917).....42
Особый Закавказский Комитет в процессе осуществления автокефальных прав Грузинской Церкви (по журналам заседания Временного Управления Грузинской Церкви, 1917 г.).....43

ვლადიმერ ბენეშევიჩის საქმიანობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის პროცესში (1917 წ.).....44
The activities of Vladimir Beneshevich in the process of restoring the autocephalous rights of the Church of Georgia (1917).....70
Деятельность Владимира Бенешевича в процесе восстановления автокефальных прав Грузинской Церкви (1917 г.).....71

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის დელეგაციის მოღვაწეობა პეტროგრადში (დელეგაციის მოხსენების მიხედვით, 1917 წ.).....72
Activities of the delegation of the Temporary Management of the Church of Georgia in Petrograd (based on the Delegation Report, 1917).....94
Деятельность делегации Временного Управления Грузинской Церкви в Петрограде (по докладу делегации, 1917 г.).....95

დეკანოზ კორნელი კეკელიძის ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღსრულებისთვის (საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალების მიხედვით, 1917 წ.).....97
Deacon Korneli Kekelidze's merit in the process of implementing the autocephalous rights of the Church of Georgia (based on the Journals of session of the temporary management of the Church of Georgia, 1917).....107
Заслуга протоиерея Корнеля Кекелидзе в процессе осуществления автокефальных прав Грузинской Церкви (по журналам заседания Временного Управления Грузинской Церкви, 1917 г.).....108

ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა საქართველოს ეკლესიის
დროებით მმართველობაში (1917 წ.) 109
Ivane Javakhishvili's work in the temporary management
of the Church of Georgia (1917).....119
Деятельность Иване Джавахишвили в Временном Управлении
Грузинской Церкви (1917 г.).....120

მიხეილ მაჩაბელი და ქართული საქველმოქმედო საზოგადოება
საქართველოს ეკლესიის სამსახურში (1917 წ.).....121
Mikheil Machabeli and the georgian Charitable Society at the Service
of the Church of Georgia (1917).....132
Михаил Мачабели и Грузинское благотварительное общество
на благо Грузинской Церкви (1917 г.) 133

პოლიტიკური პარტიების მონაწილეობა საქართველოს ეკლესიის
ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების პროცესში (საქართველოს
ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალების მიხედვით, 1917 წ.)....134
Involvement of political parties in the process of implementation
of the autocephalous rights of the Church of Georgia (based on the Journals
of session of the temporary management of the Church of Georgia, 1917).....144
Участие политических партий в процессе осуществления
автокефальных прав Грузинской Церкви (по журналам
заседания Временного Управления Грузинской Церкви, 1917 г.) 144

მოსკოვში არსებული ქართული ეროვნული ორგანიზაციების აღმასკომი
და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი (1917 წ.).....145
The Executive Committee of the Georgian National Organizations
in Moscow and the Autocephaly of the Church of Georgia (1917).....167
Испольнительный Комитет Грузинских национальных организаций
в Москве и вопрос автокефалии Грузинской Церкви (1917 г.).....168

მისიონერი იგნატიევი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის
შესახებ (1917 წ.) 169
Missionary Ignatiev about the autocephaly of the Church of Georgia (1917).....191
Миссионер Игнатьев об автокефалии Грузинской Церкви (1917 г.).....192

აფხაზეთის ეპარქიაში საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის
აღდგენის საკითხისათვის (მიტროპოლიტ ამბროსის (ხელაია) 1918 წლის
17 სექტემბრის მოხსენების მიხედვით) 193
Issue of restoring the jurisdiction of the Church of Georgia in the diocese
of Abkhazia (based on the report of Metropolitan Ambrosi (Khelaia) dated
September 17, 1918) 207
Восстановление юрисдикции Грузинской Церкви в Абхазкой епархии
(по докладу митрополита Амвросия (Хелая), от 17 сентября 1918 г.).....208

აფხაზეთის ეპარქიაში საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის
აღდგენის საკითხისათვის – 1919 წლის 7-8 ოქტომბრის
საეპარქიო კრების განჩინებანი 209
Issue of restoring the jurisdiction of the Church of Georgia in the diocese
of Abkhazia – decisions of the diocesan Assembly of October 7-8, 1919.....224
Восстановление юрисдикции Грузинской Церкви в Абхазской епархии
– постановления епархиального собрания 7-8 октября 1919 г. 225

ახალი წყაროები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის
აღიარებასთან დაკავშირებით (1920 წ.) 226
New sources on the recognition of the autocephaly
of the Church of Georgia (1920).....239
Новые источники в связи с признанием автокефалии
Грузинской Церкви (1920 г.).....240

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და
„განახლების მოძრაობა“ (XX ს. 20-30-იანი წწ.) 241
Autocephaly of the Church of Georgia and the „Renewal Movement“
(20-30s of the XX century).....261
Автокефалия Грузинской Церкви и „обнавленческое движение“
(20-30 гг. XX в.).....262

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი როდოსის
სრულიად მართლმადიდებელთა თათბირებზე (1961-1964 წწ.) 264
Issue of the autocephaly of the Church of Georgia
at the Sessions of the All Orthodox in Rhodes (1961-1964) 274
Вопрос автокефалии Грузинской Церкви
на Родосских Всеправославных совещаниях (1961-1964 гг.) 275

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის
მოღვაწეობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის
აღიარებისათვის (ისტორიული ექსკურსი).....276
Work of Catholicos-Patriarch Ilia II of All Georgia for the recognition
of the autocephaly of the Church of Georgia (Historical excursion) 293
Деятельность Католикоса-Патриарха всея Грузии Ильи II-го для
признания автокефалии Грузинской Церкви (Исторический экскурс).....294

პირთა საძიებელი 295

Index of Names 309

Указатель имен 311

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების პროცესში

(საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალების მიხედვით, 1917 წ.)

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II (1894-1917) აიძულა, გადამდგარიყო (2 (15) მარტი). IV სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტისა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების შეთანხმებით პეტროგრადში დროებითი მთავრობა შეიქმნა. მისი არსებობა დამფუძნებელი კრების მოწვევამდე იყო განსაზღვრული. კრებას ფუნდამენტური საკითხები, მ. შ. რუსეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა, უნდა გადაეწყვიტა.

კავკასიის მეფისნაცვალ ნიკოლოზ რომანოვის (1915-1917) გადადგომისთანავე პეტროგრადის დროებითმა მთავრობამ 1917 წ. 9 (22) მარტს შექმნა ამიერკავკასიის[1] მმართველობის ადგილობრივი ორგანო, რომელსაც ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი – ОЗАКОМ – Орган Закавказского Особого Комитета) ეწოდა. მას ხელმძღვანელობდა ვასილ ხარლამოვი (კადეტი), წევრები იყვნენ: ქართველთაგან კიტა აბაშიძე (სოციალ-ფედერალისტი) და აკაკი ჩხენკელი (სოციალ-დემოკრატი)[2], აზერბაიჯანელთაგან მემედ-იუსუფ ჯაფაროვი (მუსავატელი), სომეხთაგან მიხეილ პაპაჯანოვი (კადეტი). კიტა აბაშიძის გარდა ისინი რუსეთის იმპერიის IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები იყვნენ (Члены Гос. Думы, 1913: 89, 418-420).

რუსეთში 1917 წ. 25 ოქტომბერს მომხდარი გადატრიალების შემდეგ, როცა ა/კავკასიის ადგილობრივი ხელისუფალნი ბოლშევიკურ რუსეთს გაემიჯნნენ, კომიტეტმა უფლებამოსილება 15 (28) ნოემბერს თბილისში შექმნილ ა/კავკასიის კომისარიატს გადააბარა. ოზაკომს, ზემდგომი მთავრობის ინტერესებიდან გამომდინარე, რეგიონის მართვის სისტემაში ძირეული ცვლილებები არ განუხორციელებია. ჟურნალი „*სვეტიცხოველი*“ 1917 წ. აგვისტოში წერდა: „*რევოლუციურმა რუსეთმა ისეთივე დამოკიდებულება გამოიჩინა მცირე ერების მოთხოვნილებისადმი, როგორც დასამარებულ რუსეთის თვითმპყრობელობამ: ველიკორუსთა პრიმატი ძველებურად გამოცხადებულია რუსეთის სახელმწიფოს მაცოცხლებელ ძარღვად...*“ („*სვეტიცხოველი*“, 1917: 2). მართლაც,

1. რუსეთში დამკვიდრებულ პოზიციურ ტოპონიმ „*ზაკავკაზიე*“-ს შესატყვისი. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი, უმეტესად კავკასიონის მთის სამხრეთით მდებარე რეგიონების აღმნიშვნელი ეს ტოპ-მი რუსეთის იმპერიასა და შემდეგ საბჭოთა სივრცეში იყო გავრცელებული. მის შესაბამისად ახლა ხშირად „*სამხრეთ კავკასია*“ გამოიყენება, თუმცა ამ ორი ტოპონიმის მომცველი არეალი ერთმანეთს ზუსტად არ ფარავს (*ამიერკავკასია*, ქსე: 382; ვაშაკიძე, 2023: 53, 60).

2. თავდაპირველად ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტში ქართველთაგან მხოლოდ სოციალ-ფედერალისტი კიტა აბაშიძე შეიყვანეს. სოციალ-დემოკრატთა პროტესტის შედეგად კომიტეტში შევიდა მათი წარმომადგენელი აკაკი ჩხენკელი (საითიძე, 2005: 376-377).

პეტროგრადის დროებითმა მთავრობამ მიზნად დაისახა რუსეთის ყოფილი იმპერიის საზღვრების შენარჩუნება; მის შემადგენლობაში შემავალი ერებისთვის რეალური თავისუფლების მინიჭებას არ გეგმავდა. იგი მმართველობის იმპერიული პოლიტიკის შემსუბუქებას თვალთმაქცურად, რუსეთის დიდმპყრობლური ინტერესების გათვალისწინებით ცდილობდა.

ქართველმა ავტოკეფალისტებმა ისარგებლეს რუსეთში სახელმწიფო წყობის ცვლილებით, დროებითი მთავრობის მიერ სარწმუნოებრივი თავისუფლების აღიარებით და 106 წლის წინ ძალადობით შეჩერებული ავტოკეფალური მმართველობა[1] 1917 წ. 12 (25) მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში აღდგენილად გამოაცხადეს. იმავე დღეს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ დანიშნული[2] გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდის (ოქროპირიძე)[3] თავმჯდომარეობით ჩამოყალიბ-

1. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა (1801-1825) ივერიის ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი 1811 წლის 30 ივნისს დამტკიცა, რამაც ადგილობრივი დამოუკიდებელი ეკლესია რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფალთა გავლენაში მოაქცია. საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები ეკლესიის დამონებულ მდგომარეობას არასოდეს შეგუებიან. მისი აღდგენისთვის სხვადასხვა ფორმით გამუდმებით იბრძოდნენ. ავტოკეფალისტთა მცდელობის შედეგად 1906 წელს საქართველოს ეკლესიის საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარი თათბირების სხდომებზე აქტიურად განიხილებოდა. ეპისკოპოსებმა: კირიონმა, ლეონიდმა და მეცნიერებმა: ნიკო მარმა, ალექსანდრე ცაგარელმა, ალექსანდრე ხახანაშვილმა არგუმენტირებულად აჩვენეს საქართველოს ეკლესიის რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარების უკანონობა და მისი უარყოფითი შედეგები. მიუხედავად ამისა, წინასწარ თათბირებზე შემუშავებული პროექტები საქართველოს ეკლესიას მდგომარეობის გაუმჯობესებას არ სთავაზობდა, მეტიც, მისი უფლებების შეზღუდვასაც კი ითვალისწინებდა (*ჟურნალები*, 2016: 23-24; ჯაფარიძე, 1996: 90-94; ქოქრაშვილი, 2004: 109-130; ქოქრაშვილი, 2005: 240-259; კიკნაძე, 2009: 60, 160; ბურდული, 2012: 372-382; მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2023: 80-82).

2. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 1917 წლის 12 (25) მარტის აქტში მითითებულია: *„ვიდრე კანონიურად აღირჩეოდეს კათოლიკოსი საქართველოჲს ეკლესიისაჲ, მოსაყდრედ მისა დაინიშნოს ყოვლადსამღვდელო ლეონიდე, გურია-სამეგრელოჲს ეპისკოპოსი...“* მაგრამ დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში ის ზოგჯერ დანიშნულად მოიხსენიება, ზოგჯერ – არჩეულად (*ჟურნალები*, 2016: 4-5, 14, 17).

ავტოკეფალიის აღდგენის გამოცხადებისას ადგილზე მყოფ ქართველ მღვდელმთავართა შორის – გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი, გორის ეპისკოპოსი გრიგოლი, იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი და ალავერდელი ეპისკოპოსი პიროსი – ეპ. ლეონიდი იყო გამორჩეული და შემდეგ დანიშნული. აღნიშნული განმარტებისთვის მადლობას ვუხდი თბილისის სასულიერო სემინარია-აკადემიის კანონიკური სამართლის კათედრის გამგეს, დეკანოზ ლონგინოზ სუარიშვილს.

3. შემდგომ, 1919-1921 წლებში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. კათოლიკოს-პატრიარქად კურთხევამდე იგი სამგზის იყო მოსაყდრე: I. 1917 წ. მარტი-სექტემბერი – დროებითი მმართველობის თავმჯდომარეობისას; II. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის 1917 წ. დებულების თანახმად, როგორც ტფილელი მღვდელმთავარი; III. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის გარდაცვალების შემდეგ – 1918 წ. 27 ივნისიდან 1919 წ. 23 თებერვლამდე – ეკლესიის საჭეთმპყრობლად კურთხევამდე (*დებულებანი*, 1917: 4; საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6675: 170, 538; იქვე, ს. 6676: 65). თუმცა მოსაყდრეობის II პერიოდმა III გადაფარა.

სახელთან *„ლეონიდი/ლეონიდე“* დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალებსა თუ სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში ორივე ფორმა გვხვდება (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6675: 170, 375; იქვე, ს. 6676: 55, 65; *ჟურნალები*, 2016: 12, 61, 110). წინამდებარე წიგნში უპირატესობას ფორმა *„ლეონიდი“*-ს ვანიჭებ.

და საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა, რომელიც ეკლესიას 1917 წ. 13 მარტიდან 8 სექტემბრამდე, სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრების მოწვევამდე განაგებდა (თუმცა მმართველობის სხდომის ჟურნალები 13 მარტიდან 14 სექტემბრის ჩათვლითაა ნაწარმოები).

დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალებიდან შეიძლება გამოიყოს რამდენიმე საკითხი, რომელთა გადაწყვეტის პროცესში საქართველოს ეკლესიასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ურთიერთობა განსაკუთრებული აქტიურობით ხასიათდებოდა. ეს საკითხებია: პეტროგრადის დროებითი მთავრობის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების შემდეგ მისი უფლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი დებულებების დამტკიცებისთვის ხელის შეწყობა; საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების საქმეში დროებითი მთავრობის რწმუნებულ ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ბენეშევიჩთან[1] ეკლესიის დროებითი მმართველობის უთანხმოება; ყოფილი ეგზარქოსის სახლისა და ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტრის საქართველოს ეკლესიის საკუთრებაში დაბრუნება და ა. შ. წინამდებარე სტატიაში სწორედ აღნიშნულ საკითხებს შევეხები.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის პირველი რიგის ამოცანას 12 (25) მარტს მცხეთაში სამღვდელოებისა და ერის სახელით მომხდარი აქტის შესახებ პეტროგრადისა და ადგილობრივ საერო ხელისუფალთა ინფორმირება წარმოადგენდა. ავტოკეფალისტებს ესმოდათ, რომ ახალ მთავრობასთან ურთიერთობისას დიდი სიფრთხილე იყო საჭირო.

ეკლესიის მმართველი ორგანოს დავალებით ეპისკოპოსი ლეონიდი 13 მარტს თბილისის დროებითი აღმასრულებელი კომიტეტისთვის[2] ვითარების გასაცნობად ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეში მივიდა.

დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებასთან დაკავშირებით აღმასკომის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიასგან რჩევები ავტოკეფალისტებს წინასწარ ჰქონდათ მიღებული და ახლაც მის აზრს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მაგრამ იგი ადგილზე არ იმყოფებოდა. კომიტეტის ერთ-ერთ-

1. პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი, კადეტთა პარტიის წარმომადგენელი, რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელი კომისიის თავმჯდომარე. მისი საქმიანობის შესახებ იხ. აქვე: 44-69.

2. *„თბილისის დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი მთელი ამიერკავკასიის მართვა-გამგეობისათვის 1917 წლის 5 მარტს ჩამოყალიბდა. მასში შედიოდა მუშათა საბჭოს, საქალაქო სათათბიროსა და ჯარისკაცთა საბჭოს ხუთ-ხუთი წარმომადგენელი. რუსეთის დროებით მთავრობას თბილისის აღმასკომი ოფიციალურად არ უცვნია“* (ბენდიანიშვილი, 2001: 36). თუმცა სამხრეთ კავკასიაში ორი ხელისუფლება – ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი და დეპუტატთა საბჭოები თავისი დროებითი აღმასკომით – მშვიდობიანად თანაარსებობდა (ჭუმბურიძე, 2018: 101; შველიძე, 2021: 8).

მა წევრმა, ალექსანდრე ხატისოვმა კი დროებით მმართველობას ეკლესიის საქმეთა მოწყობაში დახმარება არ აღუთქვა. როგორც თავადვე განმარტა, *„[ტფილისის დროებითი აღმასრულებელი] კომიტეტი იცავს მხოლოდ არსებულ წეს-წყობილებას, მცხეთაში მომხდარ ფაქტს კი რეფორმატორული ხასიათი აქვს“* (ლიტ. მუზ. არქ., ნ. თალაქვაძის ფ., რვ. 11: 461; *ჟურნალები*, 2016: 13, 208).

12 მარტის აქტის შესახებ ინფორმაციას, როგორც მოსალოდნელი იყო, პროტესტით შეხვდა საქართველოს ყოფილი ეგზარქოსი, მთავარეპისკოპოსი პლატონი (1915-1917, როჟდესტვენსკი): *„მე დადგენილი ვარ ჩემ მთავრობისაგან და, მაშასადამე, მის დაუკითხავად და სხვა ვისმეს წინადადებით არ შემიძლიან ავიხადო უფლებანი. მივსწერ სინოდს ვადიან დეპეშას,[1] ვსთხოვ რჩევას, როგორ მოვიქცე და მათ წინადადებას შევასრულებ. ამას მოუნდება 3-4 დღე და გთხოვთ, დამაცალოთ, არაფერი ძალა არ დამატანოთ, ეს თქვენ საქმისათვისვე არ იქნება კარგი, რადგან ამას დაერქმევა ძალმომრეობა; მე მას არ დავემორჩილები, ჩავიკეტები ოთახში და ყველა ეს კი გაამწვავებს ურთიერთობას რუს-ქართველთა შორის. მეც ხომ უმწეო (не беззащитный)[2] არა ვარ, – ჯარისკაცებიცა მყავს მომხრედ და მთავრობაც...“* (*ჟურნალები*, 2016: 14).

მთავარეპისკოპოსმა პლატონმა თავის დასაცავად, ძალის გამოყენების მუქარასთან ერთად, მღვდელმთავრებს შეახსენა, რომ სახელმწიფო ხაზინიდან საეგზარქოსოსთვის განკუთვნილი თანხები მის სახელზე იყო გამოწერილი. უსახსროდ დარჩენის შიშით ქართველი სამღვდელოება მის დაუყოვნებლივ გადაყენებას უნდა მორიდებოდა (*ჟურნალები*, 2016: 14).

ეკლესიის საჭიროებათა შესახებ სამხარეო მთავრობასთან მოლაპარაკებათა საწარმოებლად საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მეორე სხდომაზევე დაარსდა კომისია გორის ეპისკოპოს ანტონის (გიორგაძე), დეკანოზ კორნელი კეკელიძის, დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძისა და სერგი გორგაძის შემადგენლობით (*იქვე*: 15).

კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ და ეპისკოპოსმა ანტონმა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრები კომისიისაგან დამოუკიდებლადაც მოინახულეს. მათი ვიზიტის შედეგი ეკლესიის მმართველი ორგანოსთვის 20 მარტის სხდომაზე გახდა ცნობილი. 12 მარტს მომხდარი მოვლენისადმი ხარლამოვის განწყობა ლოიალური იყო: *„ამ*

1. ობერპროკურორ ვლადიმერ ლვოვისთვის 14 და 18 მარტს გაგზავნილი დეპეშებით რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები, 12 მარტის აქტიდან გამომდინარე, სინოდისაგან მითითებებს ითხოვდნენ. დეპეშების ასლები, როგორც მკვლევარი ტატიანა ჩუმაკოვა აღნიშნავს, დაცულია ბენეშევიჩის არქივში მის მიერვე გაკეთებული მინაწერით – *„სინოდისთვის არ მოუხსენებიათ“* (Чумакова, 2019: 193).

2. დაზუსტება წყაროსეულია.

ნაბიჯს დიდის სიამოვნებით მივეგებებით და საჭირო დახმარებასაც აღ-მოგიჩენთ, თუკი თქვენი მოქმედება საეკლესიო კანონებს არ ეწინააღმ-დეგება“ (*ჟურნალები*, 2016: 21).

მთავრობასთან ურთიერთობის შედეგად გამოიკვეთა დეკლარაციის შემუშავების საჭიროება, რომელშიც ასახული იქნებოდა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მიზნები და ამოცანები. ეს საქმე დეკანოზ კორნელი კეკელიძეს დაევალა.

დეკლარაციისთვის ძველი საკათოლიკოსოს საზღვრების შესახებ ინ-ფორმაცია სერგი გორგაძეს უნდა მოემზადებინა. დროებითი მმართვე-ლობის სხდომის ჟურნალში აღნიშნულია, რომ მან ეს სამუშაო ექვთიმე თაყაიშვილისა[1] და პავლე ინგოროყვას დახმარებით შეასრულა (*ჟურ-ნალები*, 2016: 17-18, 21, 25).

დეკლარაციაში (ტექსტი შედგენილია რუსულ ენაზე) გადმოცემულია ივერიის ეკლესიის მოკლე ისტორია IV ს-დან უკანასკნელ დრომდე; აღნიშნულია, რომ რუსეთის ეკლესიის უწმ. სინოდისადმი მისი დაქ-ვემდებარება იყო აშკარა ძალმომრეობისა და სხვის საქმეებში უკანონო ჩარევის აქტი:

„1. არ იყო ხალხის ნებისა და ეკლესიის სურვილის გამოხატულე-ბა, მისი მეთაური, კათოლიკოს-პატრიარქი[2] რუსეთში ძალდატანებით გადაასახლეს; 2. არ იყო გამოწვეული სახელმწიფოებრივი აუცილებლობ-ით, თუ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე ძველად, ისევე როგორც ახლა თურქეთში, არსებობს ოთხი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საპატრიარქო,[3] რუსეთშიც შეიძლებოდა არსებულიყო ორი ავტოკეფალ-ური ეკლესია; 3. ეწინააღმდეგებოდა საეკლესიო კანონებს, რომელთა ძალითაც არც ერთ ეკლესიას არ შეუძლია დაიმორჩილოს სხვა ეკლესია მისივე თანხმობისა და კომპეტენტური კრების გადაწყვეტილების გარეშე (მოციქ. 35-ე, II მს. საეკლესიო კრების მე-2 კანონი; III მსოფლიო სა-ეკლესიო კრების მე-8 კანონი; IV მს. საეკლესიო კრების მე-20 კანონი); 4. არც ხალხისა და ეკლესიის კეთილდღეობის იდეით იყო გამართლე-ბული, რადგან ამან გამოიწვია ძალდატანებითი რუსიფიკაცია აღმოსავ-ლეთის ერთ-ერთი უძველესი ეკლესიისა, სასულიერო აღზრდის დამახ-ინჯება, აბუჩად აგდება ღვთისმსახურების ენისა, რასაც თან სდევდა

1. საქართველოს ეკლესიის მიერ 2002 წელს შერაცხულია წმინდანად *ექვთიმე ღვთისკაცის* სახელით.

2. კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II (1788-1811, ბაგრატიონი).

3. იგულისხმება კონსტანტინოპოლის (რომელიც ახლაც თურქეთშია), ალექსანდრიის, ანტიოქია-სა და იერუსალიმის ეკლესიები, რომლებიც XX ს. 10-იანი წწ. შუა ხანებამდე ოსმალეთის იმპე-რიის შემადგენლობაში შედიოდნენ. 1914 წ. ეგვიპტის პოლიტიკურ გათავისუფლებასთან ერთად ოსმალეთის შემადგენლობაში აღარ შედიოდა ალექსანდრია. I მსოფლიო ომის (1914-1918) შემ-დეგ, როცა იმპერიის შემადგენლობაში აღარ შედიოდა სირიისა და პალესტინის ტერიტორიები, მის შემადგენლობაში აღარც ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოები იყო.

რწმენის, ზნეობისა და ქრისტიანული ტრადიციების დაცემა საქართველოში, ასევე ხელს უწყობდა ორ ერთმორწმუნე ხალხს შორის არასასურველი გრძნობების გაჩენას.

ამ არანორმალურმა მოვლენებმა საქართველოს ეკლესიას 1905 წელს კანონიკური წყობისა და რუსეთის ეკლესიისგან დამოუკიდებელი მმართველობის აღდგენის საკითხის გააქტიურებისკენ უბიძგა. სინოდის წინააღმდეგობათა გამო გადაწყვეტილების მიღება ამ დრომდე (1917 წ. – ი. ა.) *გაჭიანურდა.*

ახლა, როცა რუსეთში დამყარდა სამართლებრივი წყობა, რომელმაც გამოაცხადა რელიგიის, აქედან გამომდინარე კი – ეკლესიის თვითგამორკვევის თავისუფლების იდეაც, საქართველოს ეკლესიამ რუსეთის ეკლესიაზე ანტიკანონიკური დამოკიდებულებისაგან თავი გაითავისუფლა და კანონიკური წყობის აღდგენას შეუდგა...“ (*ჟურნალები*, 2016: 23-24).

დეკლარაციაში ქართველი სამღვდელოება თავის წმინდა ამოცანად ასახელებდა ეკლესიის კეთილდღეობისთვის ზრუნვას, *„რუს და ქართველ ხალხებს შორის მეგობრული კავშირების განმტკიცებას ურთიერთნდობისა და მორწმუნეთა რელიგიური სინდისის თავისუფლებისადმი პატივისცემის საფუძველზე“* (*ჟურნალები*, 2016: 24).

საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია დეკლარაციის მიხედვით ძველი საკათოლიკოსოს ტერიტორიაზე, ანუ ისტორიულ საზღვრებში აღდგენილად ცხადდებოდა და მოიცავდა: ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებს, ზაქათალის, სოხუმის, ბათუმის, არდაგანის, ოლთისის, ყარსის ოლქებს, ალექსანდროპოლის მაზრის ჩრდილო სექტორს (ბამბაკი და აბოცი), ელისაბედპოლის გუბერნიაზე მიწერილ მტკვრისპირა კახეთს, ნუხის მაზრის I საპოლიციო განყოფილებას (საინგილოდან მდინარე გიშისწყლამდე), ბზიფისპირა აფხაზეთს (ბიჭვინთიდან გაგრამდე); საქართველოს ნაწილებს, რომლებიც იმ დროისათვის ოსმალეთისაგან განთავისუფლებული იყო: თორთომს, კისკიმს, სპერს. დასახელებულ ადგილებში მცხოვრები მართლმადიდებელი მოსახლეობა საქართველოს ეკლესიას უნდა დაქვემდებარებოდა. მათგან რუს მოსახლეობას თავისი ფართო უფლებებით აღჭურვილი ავტონომიური ეპისკოპოსი ეყოლებოდა.[1]

აღნიშნულ საზღვრებს გარეთ, საქართველოს ყოფილი საეგზარქოსოს ტერიტორიაზე მცხოვრები მართლმადიდებლები კი რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში დარჩებოდნენ.

საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი იქნებოდა მცხეთის მთა-

1. დროებითი მმართველობა საქართველოს საკათოლიკოსოში შემავალ რუს მოსახლეობას მღვდელმთავრის უფლებების გაფართოებას დათმობის სახით სთავაზობდა. მთავრობის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ეროვნული ნიშნით აღიარების შემდეგ კი ეკლესიის მმართველმა ორგანომ ავტონომიური ეპისკოპოსის ყოლის შესაძლებლობა საკათოლიკოსოს სხვა არაქართველ მართლმადიდებლებსაც შესთავაზა (*ჟურნალები*, 2016: 48).

ვარეპისკოპოსი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.[1] დროებითი მმართველობა სახელმწიფო ორგანოებს აღუთქვამდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქის არჩეულ კანდიდატურას დასამტკიცებლად წარუდგენდა.

დეკლარაციაში ეკლესიის საკანონმდებლო ბაზად გამოცხადებული იყო ქვეყნის სამოქალაქო კანონებთან შეთანხმებული მსოფლიო და საქართველოს საეკლესიო კრებათა დადგენილებები, ასევე კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათოლიკოსო საბჭოს განჩინებები. სახელმწიფოში საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებსა და მათ წევრებს თანაბარი იურიდიული სტატუსი უნდა ჰქონოდათ.

საქართველოს ყოფილი საეგზარქოსოსთვის სახელმწიფო ხაზინიდან გამოყოფილი თანხები ახლად აღდგენილ ეკლესიას თავისი წილის შესაბამისად უნდა გადასცემოდა. ავტოკეფალისტები ამ მოთხოვნის საფუძვლად ასახელებდნენ იმ ფაქტს, რომ „*1850–1869 წწ. რუსეთის სახელმწიფო ხაზინაში გადარიცხული იყო ეკლესიისთვის ჩამორთმეული მრავალი მილიონი ღირებულების მამულები, რომლებიც ადრე, საქართველოში რუსეთის მფლობელობამდე, ადგილობრივი ეკლესიის შესანახ წყაროს წარმოადგენდა*“ (*ჟურნალები*, 2016: 25).[2]

კათოლიკოს-პატრიარქი სახელმწიფოსაგან მიღებული თანხების ხარჯვის ანგარიშს დასამტკიცებლად ხელისუფლებას წარუდგენდა. საეკლესიო ცხოვრების მოწყობის შესახებ მთავრობისთვის ინფორმაციის მიწოდება საკითხის დეტალური დამუშავების შემდეგ იგეგმებოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად ეკლესიის მმართველი ორგანო გამოთქვამდა ახალი სახელმწიფო წყობისადმი მხარდაჭერას და იმედს, რომ ხელისუფლება ეკლესიას ცხოვრების კანონიკურ საფუძვლებზე მოწყობაში დაეხმარებოდა (*ჟურნალები*, 2016: 25; სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 149: 16-18).

დოკუმენტი ავტოკეფალისტთა კომისიამ 23 მარტს ოზაკომის წევრებს კიტა აბაშიძესა და მიხეილ პაპაჯანოვს გააცნო.

მხარეები საქართველოს საკათოლიკოსოს საზღვრებთან დაკავშირებით ვერ შეთანხმდნენ, რაც მოსალოდნელიც იყო. საეკლესიო საკითხის

1. ავტოკეფალისტებს აღნიშნული წოდება მთავრობისაგან საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ეროვნული ნიშნით აღიარებამდე აკმაყოფილებდათ. 27 მარტის შემდეგ, კერძოდ, 17 აპრილს შემუშავებულ „*ძირითად დებულებებში*“ ეკლესიის საჭეთმპყრობლის წოდებად უკვე მოითხოვეს: „*მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და ტფილისისა, სრულიად საქართველოჲსა კათალიკოზ-პატრიარქი*“ (*ჟურნალები*, 2016: 78).

2. რუსეთის მფლობელობის ხანაში, 1825-დან 1869 წლამდე საქართველოს ეკლესიის უძრავ-მოძრავი ქონებიდან დანაზოგი თანხის ნაწილი სახელმწიფო მიწის ბანკში გროვდებოდა. 1869 წ-ის შემდეგ, როცა საეკლესიო ქონება ხაზინას გადაეცა, ბანკში თანხის შეტანა შეწყდა, ეკლესიის ყველა შემოსავალი პირდაპირ ხაზინაში ირიცხებოდა და ხარჯებიც იქიდან გამოიყოფოდა (ბუბულაშვილი, 2022: 157).

გართულების თავიდან აცილების მიზნით კიტა აბაშიძე შეეცადა, ავტოკეფალისტები მხოლოდ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებით შემოფარგვლაზე დაეყოლიებინა (*ჟურნალები*, 2016: 29). დროებითი მმართველობა კი ეკლესიის იურისდიქციის ისტორიულ საზღვრებში აღდგენის მოთხოვნისგან გადახვევას არ განიხილავდა.

პეტროგრადიდან დანიშნული კომისრებისთვის თავიდანვე ნათელი იყო, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ტერიტორიული ნიშნით აღიარებას მთავრობა დაუშვებლად რომ მიიჩნევდა, ამიტომ მათ კონკრეტულად ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის იმედი ავტოკეფალისტებისთვის არასოდეს მიუციათ.

მეორე საკითხი, რაც ქართულმა კომისიამ ოზაკომის წევრებთან 23 მარტს წამოჭრა, მთავარეპისკოპოს პლატონისა და მისი მხარდამჭერი შავრაზმელების – სინოდის ყოფილი კანტორის პროკურორ მიტროფანე პოპოვისა და სამრევლო სკოლების საოლქო მეთვალყურე დეკანოზ იოსებ ორეხოვის საქართველოდან გასახლება იყო. ისინი ჩვეულ პოლიტიკას 12 მარტის შემდეგაც აგრძელებდნენ და საქართველოს ეკლესიის უფლებების აღდგენას ეწინააღმდეგებოდნენ.

აბაშიძემ და პაპაჯანოვმა კონკრეტულ მოხელეებთან დაკავშირებით საკითხის განხილვა შესაძლებლად მიიჩნიეს და კომისიის წევრებს შესთავაზეს, პეტროგრადში გასაგზავნი დეპეშის ტექსტი შეედგინათ.

ოზაკომის წევრები ასევე თანახმა იყვნენ, წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე აღვლენის განკარგულება გაეცათ. ავტოკეფალისტები კი ამის აღსრულებას, რუსთა მხრიდან გართულებების თავიდან ასაცილებლად, გარკვეულ დრომდე პრინციპულ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ (*ჟურნალები*, 2016: 19, 29).

პაპაჯანოვის წინადადება ეკლესიის საქმეთა სამართავად ორი ქართველისა და ერთი რუსის შემადგენლობით კომისარიატის შექმნის[1] შესახებ დროებითი მმართველობის წარმომადგენლებმა უარყვეს. მათი განმარტებით, საქართველოს ეკლესიას თავისი მეთაური კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის სახით უკვე ჰყავდა და ცვლილება დაუშვებელი იყო (*ჟურნალები*, 2016: 29). პირველი განხილვის შედეგად საკითხის სირთულე ორივე მხარისთვის კიდევ უფრო აშკარა გახდა.

დროებითი მმართველობის წევრებისთვის იმედიანი გამოდგა ა/კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტში 24 მარტის ვიზიტი. კომისრებმა მათ უკვე წარდგენილი დეკლარაციის პუნქტების დაკმაყოფილება და მთავარ მოწინააღმდეგეთა საქართველოდან გასახლება აღუთქვეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმიანობის დასაწყისში ა/კავკა-

1. პაპაჯანოვმა კომისარიატის წევრთა თანაფარდობა კავკასიის მართლმადიდებელი მოსახლეობის შემადგენლობაში ქართველთა და რუსთა რაოდენობის გათვალისწინებით განსაზღვრა.

სიის განსაკუთრებული კომიტეტი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს თანაგრძნობით შეხვდა.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ საკითხის უფრო მკვეთრად წარმოსაჩენად ახალი დეკლარაციის შედგენა მოითხოვა. მასში დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ უკვე არსებული დეკლარაციის შინაარსი დებულებებად ჩამოაყალიბა. დამატებული იყო მხოლოდ შემდეგი პუნქტები:

– ეკლესიის საჭეთმპყრობლის – მცხეთის მთავარეპისკოპოსისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საცხოვრებელ ადგილად თბილისისა და კათედრად – სიონის ტაძრის დასახელება.

– ძველი საკათოლიკოსოს საზღვრებს გარეთ, მთელი ა/კავკასიის მართლმადიდებლებისთვის საეკლესიო ცხოვრების თავიანთი სურვილისამებრ მოწყობის შეთავაზება, პირველი დეკლარაციისაგან განსხვავებით, სადაც აღნიშნული იყო, რომ ისინი რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში რჩებოდნენ.

– აქვე იყო წამოჭრილი საკითხი შემთანხმებელი კომისიის შექმნის საჭიროების შესახებ (*ჟურნალები*, 2016: 32-33).

საეკლესიო ცხოვრების თავიანთი სურვილისამებრ მოწყობის შეთავაზებით საქართველოს ეკლესია თავის შემადგენლობაში მთელი ამიერკავკასიის მართლმადიდებლების შესვლას ნებაყოფლობით ხასიათს ანიჭებდა.

ეკლესიის უფლებათა განხორციელების საქმეში წარმატების იმედი გააძლიერა ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრ აკაკი ჩხენკელის თბილისში ჩამოსვლამ, რის შესახებაც დროებითმა მმართველობამ 26 მარტის სხდომაზე შეიტყო და საქმის კურსში მისი ჩაყენება გადაწყვიტა.

შემდგომში, ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების პროცესში, ეკლესიის დროებითი მმართველობა რჩევისთვის ადგილობრივ ხელისუფალთაგან ყველაზე ხშირად აკაკი ჩხენკელს მიმართავდა. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისგანაც „*თვალყურის დევნება* ამ საქმისთვის, *თითქმის ხელმძღვანელობა*“ მას ჰქონდა მინდობილი (*ჟურნალები*, 2016: 33, 105).

კიტა აბაშიძე, როგორც ადგილობრივი ხელისუფალი, უფრო ინტენსიურად რომ არ იყო ჩართული პროცესში, რა თქმა უნდა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით იყო განპირობებული. ბენეშევიჩისადმი მის მიერ გაგზავნილ 19 აპრილით დათარიღებულ წერილში, რომელიც დაცულია ადრესატის არქივში, გამოხატულია ავტორის ზრუნვა ეკლესიის უფლებებზე. კ. აბაშიძე ბენეშევიჩს ორი საკითხის გამო მიმართავდა თხოვნით:

– ქართველი სამღვდელოების წინადადებისამებრ შერეულ ეროვნებიანი სამრევლოების მართვისათვის ორივე ეკლესიის წარმომადგენელთ-

აგან შემდგარი კომისია დაეარსებინა. „*თუ აქამდე თქვენთვის მეუფე პლატონის აქ ყოფნის გამო მოუხერხებელი იყო ამ პროექტის განხორციელება, ახლა ბუნებრივად უნდა გადაწყდეს დადებითად*“ (Чумакова, 2019: 203).

– მიელო ზომები, რომ მთავარეპისკოპოს პლატონს პეტროგრადში გამგზავრების დროისათვის, თავისი სურვილისამებრ, ფუნქციები ბაქოს ეპისკოპოს გრიგოლისთვის (იაცკოვსკი) არ გადაეცა. კიტა აბაშიძის აზრით, გრიგოლ ბაქოელი თანადროულ მომენტს არ შეეფერებოდა.[1] წერილის ბოლოს აღნიშნულია, „*იმედი მაქვს, ხელს შეუწყობთ რუსული რეაქციული ბიუროკრატიის მიერ ქართველი ხალხის სინდისზე დადებული ღრმა ჭრილობების განკურნებას*“ (Чумакова, 2019: 203).

ასე, რომ კიტა აბაშიძე ახლად აღდგენილი ეკლესიის უფლებათა განხორციელებაზე თავისი ჯანმრთელობის შესაძლებლობის ფარგლებში ზრუნავდა. ეს, მისი მოღვაწეობიდან და სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრობიდან გამომდინარე, მოსალოდნელიც იყო. ეკლესიის მიმართ აღნიშნული პარტიის წევრთა უმრავლესობის გულშემატკივრობა ისტორიოგრაფიაში ცნობილი საკითხია (ჯაფარიძე, 2000: 175; ჯანელიძე, 2003: 88-89; შველიძე, 2011: 343-346; Мамулия, 2013: 27, 31-32; ბუბულაშვილი, 2022: 583-584).

ადგილობრივ ხელისუფალთაგან ავტოკეფალისტებთან ყველაზე მეტად დაკავშირებული აკაკი ჩხენკელი ეკლესიის უფლებათა სრულყოფის პროცესში თავის ჩარევას შემდეგნაირად ხსნიდა:

„*მე, ... როგორც სოციალისტს, შეიძლება არც კი მაინტერესებდეს თქვენი საეკლესიო საკითხი და არც დრო მაქვს მაგის დევნისათვის, მაგრამ ეს საკითხი არც ისეთი რამ არის, რომ მის შეუმჩნევლად შეიძლებოდეს გავლა.*

საეკლესიო საკითხმა მიიპყრო ბევრის ყურადღება, მან დააინტერესა როგორც რუსის, ისე ქართველი საზოგადოება, ამ საკითხში დაინტერესებულად გამოდგა ზოგიერთი ჯარისკაციც და აი, ამისთვის ჩვენ, ახალი მთავრობის წარმომადგენელთ, არ შეგვიძლიან, უყურადღებოდ დავსტოვოთ იგი. ჩვენი სურვილია, ეს საკითხი მშვიდობიანად გათავდეს და რუს-ქართველთა შორის არავითარი უთანხმოება არ ჩამოვარდეს. ამ თვალსაზრისით გავერიე ამ საქმეში...“ (*ჟურნალები*, 2016: 105).

ჩანს, რომ აკაკი ჩხენკელი საკითხს პრაგმატულად უდგებოდა; მი-

1. კიტა აბაშიძის აზრი სიმართლეს რომ წარმოადგენდა, შემდეგში დადასტურდა კიდეც. ეპისკოპოსი გრიგოლი (იაცკოვსკი) ბოდბის მონასტრის წინამძღვარ, ილუმენია ანასტასიასა (ვისოცკაია) და საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლ სხვა ძალებთან ერთად ეკლესიის უფლებების აღდგენის პროცესს მკვეთრად დაუპირისპირდა, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებ. გარდა ამისა მოგვიანებით ის ერთ-ერთი დამაარსებელი გახდა „*გრიგორიანელთა*“ ჯგუფისა და რუსეთის „*პატრიარქის ეკლესიასთან*“ განხეთქილებაშიც იმყოფებოდა (Кузнецов, 2002: 466, 1015).

უხედავად ამისა, ეკლესიის დამოუკიდებლობის მნიშვნელობას აღიარებდა და მისი უფლებების განხორციელებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს უწყობდა. ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრებს მისგან თანაგრძნობის იმედი ჰქონდათ, მის რჩევებს ანგარიშს უწევდნენ.

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირეს და პეტროგრადის მთავრობასთან ეკლესიის უფლებების განხორციელებისთვის შუამდგომლობდნენ კიდეც სოციალ-დემოკრატიული პარტიის სხვა ქართველი წარმომადგენლებიც.

ავტოკეფალისტთა პოზიციას იცავდნენ და პეტროგრადში მათთვის დახმარებას ცდილობდნენ სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე და დროებითი მთავრობის ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი ირაკლი წერეთელი. დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის[1] მოხსენების მიხედვით, პეტროგრადში მყოფ ქართულ დელეგაციასთან შეხვედრისას 14 ივლისს კარლო ჩხეიძეს აღუნიშნავს: *„ჩვენი პატრიარქი არ შეიძლება თბილისში არ დაბრძანდესო, ჩვენს სიონში უცხოს რა ხელი აქვსო, ჩვენი ეკლესიისათვის სულ ერთი არ არის, ტფილელი ერქმევა რუსეთის მღვდელმთავარს თუ – სხვა რამ სახელიო“* (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 11; ვარდოსანიძე, 2001: 21).

სოციალ-დემოკრატთა ზემოაღნიშნული აზრების მიუხედავად, საეკლესიო საკითხისადმი ამ პარტიის წევრთა განწყობა, რა თქმა უნდა, პირადი მოსაზრებებით განისაზღვრებოდა. ამის მაგალითია თბილისის ქალაქის საბჭოში გამართული დავა. მენშევიკ რაჟდენ არსენიძის აზრით, *„ეკლესიას „ნაციონალისტური ხასიათი“ ეძლევა და იგი მოწოდებულია „ხალხის გონების დასახშობად“, ქალაქის საბჭოს ვალია, წინ აღუდგეს ამგვარ მმართველობას“* (ჯანელიძე, 2003: 91).

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკი წარმომადგენელი ფილიპე მახარაძე ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის მნიშვნელობას უგულებელყოფდა: *„ავტოკეფალიის აღდგენას ჩვენ ვერ მივესალმებით,... იგი არ არის იმ რანგის საკითხი, რომელ ზეც ღირდეს მსჯელობა ქალაქის საბჭოში“* (ჯანელიძე, 2003: 91).

სინამდვილეში კი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა შესახებ უფრო მაღალ ინსტანციებშიც საუბრობდნენ. პეტროგრადის მთავრობამ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა რუსეთის ყოფილი იმპერიის საზღვრების შენარჩუნებისთვის სახიფათო მოვლენად აღიქვა და მისი უფლებების სრულად აღდგენას წინააღმდეგობა გაუწია (ვადაჭკორია, 1998: 96).

1. შემდგომში, 1932-1952 წწ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი; 2016 წელს წმინდანად შეირაცხა და ეწოდა *წმინდა პატრიარქი კალისტრატე.*

დროებითი მთავრობის გადაწყვეტილება, ზღვარი დაედო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის, ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრებისთვის 27-28 მარტს უკვე აშკარა გახდა. ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის მხრიდან საქართველოს ეკლესიისადმი პირველ ხანებში გამოხატული თანადგომა პეტროგრადიდან მოსულმა დირექტივებმა შეცვალა.

ადგილობრივ ხელისუფალთა უფლებრივი მდგომარეობის, ქართულ მხარესთან მათი ურთიერთობის გასააზრებლად მნიშვნელოვანია დროებითი მმართველობის წევრის, ეროვნულ-დემოკრატ გიორგი ჟურულის აზრი: „*დროებითი მთავრობისაგან დაყენებულ კომისარებს არ აქვთ იმოდენი ძალა, რომ შეურყევლად შეეძლოთ გადასწყვიტონ მრავალგვარი საკითხები. ძალიანაც სურთ ამ უკანასკნელებს რამე გააკეთონ თვალსაჩინო, მაგრამ ძალა არ შესწევთ*“ (*ჟურნალები*, 2016: 128).

ასე, რომ ავტოკეფალიის საკითხისადმი ცენტრალური მთავრობის დამოკიდებულებამ ეკლესიის უფლებათათვის მებრძოლთა მდგომარეობა გაართულა. მათ ოზაკომის თანადგომის იმედი აღარ უნდა ჰქონოდათ. ყოველივე ამას რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელთა მხრიდან გამოხატული შოვინისტური ქმედებებიც დაემატა.

ტერიტორიულ საზღვრებში ეკლესიის დამოუკიდებლობის განმტკიცება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის წინაპირობა რომ შეიძლებოდა გამხდარიყო, ამაზე არა მარტო ხელისუფლების წარმომადგენლები, არამედ რუსი მოქალაქეებიც ფიქრობდნენ. სწორედ ამიტომ ეს უკანასკნელნი საქართველოში ავტოკეფალისტებს დაუპირისპირდნენ, მათ მიმართ აგრესიას გამოხატავდნენ. ერთი მხრივ, კონფლიქტის გამწვავების თავიდან ასაცილებლად, მხარეში მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად, მეორე მხრივ კი – საქმის წარმატებისთვის კომისარმა კიტა აბაშიძემ ქართველებს რუსეთის ეკლესიის წევრებთან კომპრომისზე წასვლა, მათთან შეთანხმება ურჩია.

დროებითი მმართველობა ერთპიროვნულად გამოხატავდა აზრს, რომ ეკლესიის მდგომარეობას ყოფილი ეგზარქოსი პლატონი ართულებდა და მისი საქართველოდან გაძევება უნდა დაჩქარებულიყო.

ეკლესიის ხელმძღვანელმა ორგანომ საჭიროდ ჩათვალა თავისი საქმიანობის გასაჯაროება (გადაწყვეტილებების გაზეთებში გამოქვეყნება) და სამხარეო მთავრობასთან წერილობითი ფორმით ურთიერთობა (*ჟურნალები*, 2016: 35-36). მათი მიზნებისა და ქმედებების გამჭვირვალეობას უნდა მოესპო ავტოკეფალიისა და ავტოკეფალისტთა წინააღმდეგ არაქართველთა ასამხედრებლად ჭორების გავრცელების შესაძლებლობა.

დროებითი მთავრობის 27 მარტის დეკლარაცია საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ეროვნული ნიშნით აღიარების შესახებ ეკლე-

სიის მმართველმა ორგანომ 29 მარტის სხდომაზე მოისმინა და პროტესტით შეხვდა. მსოფლიო საეკლესიო კრებების კანონთა სულისკვეთების საწინააღმდეგო ეს დადგენილება საქართველოს ეკლესიისთვის სხვა მხრივაც იყო საზიანო. იგი რუსეთის მდიდარ ეკლესიას საქართველოს ეკლესიის[1] ჩაგვრის, მის მრევლზე გავლენის გავრცელების საშუალებას მისცემდა, ქართველებსა და არაქართველებს შორის მტრობას გააღრმავებდა. ავტოკეფალისტთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, უნდა ცდილიყვნენ, რომ ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა ხელისუფლებას სრული სახით – ტერიტორიული ნიშნით – ეღიარებინა (*ჟურნალები*, 2016: 37).

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის საპროტესტო დეპეშა გაეგზავნა პეტროგრადში მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ლვოვს, ასლები – სინოდის ობერპროკურორ ვლადიმერ ლვოვს, სათათბიროს თავმჯდომარე მიხეილ როძიანკოს და თბილისში – ოზაკომს (*ჟურნალები*, 2016: 38).

ქართველთაგან ეროვნული ავტოკეფალიის მიღებაზე გამოცხადებული პროტესტი და რუსი სამღვდელოების ზოგიერთი წარმომადგენლის საქართველოდან გასახლების მოთხოვნა რუსულმა მხარემ პროვოკაციისთვის გამოიყენა. აპრილის დასაწყისში იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიიდან გაავრცელეს ხმები: *„ქართველები აღსდგნენ, ყველას აქედან გარეკას გვიპირებენ და ეკლესიებს გვართმევენ“* (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 230: 2; *ჟურნალები*, 2016: 45), რასაც მართლაც მოჰყვა სხვა არაქართველთა უკმაყოფილებაც.

ავტოკეფალისტთა მისამართით უკვე რუს შავრაზმელთა და ჯარისკაცთა მუქარაც გაისმოდა. მუქარა იმდენად სერიოზული იყო, რომ მდგომარეობის გამწვავებისას, მთავრობის განკარგულებით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ეპისკოპოს ლეონიდის, დეკანოზების: კორნელი კეკელიძისა და ნიკიტა თალაქვაძის სახლებს დაცვაც კი დაუყენეს (*ჟურნალები*, 2016: 45, 101).

საკითხის სერიოზულობაზე მიუთითებს ისიც, რომ 4 აპრილს ა/კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტში ეკლესიის დროებითი მმართველობის ოთხი წევრი რუსი სამღვდელოებისა და საეროთა აღმასკომის წევრებთან ერთად დაიბარეს.

ოზაკომის თავმჯდომარე ხარლამოვმა ჯარისკაცთა შორის მღელვარების და გართულებების თავიდან ასაცილებლად მხარეებს მორიგება შესთავაზა. მისი თქმით, ავტოკეფალიის საკითხი უკვე არა საეკლესიო

1. პეტროგრადის მთავრობისაგან ეკლესიის ავტოკეფალიის ეროვნული ნიშნით აღიარების მიუხედავად სახელწოდება *„საქართველოს ეკლესია“* ავტოკეფალური უფლებებისათვის მებრძოლთ ოფიციალურად *„ქართულ ეკლესიად“* არ შეუცვლიათ. მათ ამას პრინციპული მნიშვნელობა მიანიჭეს.

კანონების, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისით განიხილებოდა. შეხვედრაზე ქართველებმა თავიანთი მოთხოვნების კანონიერება დაასაბუთეს და მღელვარების გამომწვევად რუსი სამღვდელოების პროვოკაციული ქმედებები დაასახელეს. რუს სასულიერო და საერო პირთა კავშირმა, თავის მხრივ, საქართველოს ეკლესიის უფლებათა განხორციელების მიმართ წინააღმდეგობა უარყო, რაც ფაქტებიდან გამომდინარე, ავტოკეფალისტებისათვის ძნელად დასაჯერებელი იყო (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 149: 1).

ეკლესიის დროებითი მმართველობა რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელი კომისიის მუშაობის დაწყებამდე რუსებთან ყოველგვარი მოლაპარაკების წინააღმდეგი იყო; თუმცა არსებული „*პოლიტიკური მომენტის*“ გათვალისწინებით, დროის მოგების მიზნით, შეთავაზებას დათანხმდა (*ჟურნალები*, 2016: 46-48).

ვ. ხარლამოვისა და მ. პაპაჯანოვის თავმჯდომარეობით მხარეები ერთმანეთს 6 აპრილს უნდა შეხვედროდნენ. ქართველთა წარმომადგენლებად დასახელდნენ: ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), დეკანოზი კორნელი კეკელიძე, დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე, სერგი გორგაძე და პეტრე კიზირია; რუსთაგან კი – სინოდის კანტორის პროკურორი მიტროფანე პოპოვი, მასწავლებლები: ვიქტორ ტიხვინსკი, ილია ავრამენკო, მღვდელი იოანე ლოზოვოი და სამხედრო მღვდელი ვლადიმერ ეგოროვი.

ქართულმა მხარემ კომისიაში ადგილობრივი მთავრობის ქართველი წარმომადგენლის ჩართვა მოითხოვა, პოპოვის წევრობას კი პროტესტით შეხვდა.

ეკლესიის დროებითი მმართველობა მუშაობის დაწყებისთვის საჭიროდ თვლიდა, აღიარებული ყოფილიყო, რომ: „*ა) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა აღდგენილია ისტორიულ-ტერიტორიალურს, ე. ი. კანონიურს საზღვრებში; ბ) ამიტომ საკათალიკოზოს დაუყონებლივ უნდა ჩამოშორდეს ის მრევლები, რომელნიც საკათალიკოზოს ფარგლებს გარეშე არიან და უნდა დარჩნენ რუსეთის ეკლესიის გამგეობაში; გ) რაც შეეხება საკათალიკოზოს საზღვრებში არსებულს მართლმადიდებელს სამღვდელოებასა და მორწმუნეთ, აგრეთვე საეკლესიო დაწესებულებებსა და სასწავლებლებს, ამათში სრული იურისდიქცია გადადის კათალიკოზის მოსაყდრის ხელში, მაგრამ შემდეგის შეზღუდვით: არაქართველთა ტომის ერებს უფლება ეძლევათ, იყოლიონ ავტონომიური ეპისკოპოსები...*“ (*ჟურნალები*, 2016: 46-48).

კომისიისგან ქართველები მოითხოვდნენ: 1. გამოძიებას ჯარსა და რუსულ საზოგადოებაში ქართველების შესახებ ყალბი ხმების გამავრცელებელთა გამოსავლენად და 2. ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის წინამძ-

ღვრის, იღუმენია ანასტასიას (ვისოცკაია) საქმის განხილვას (*ჟურნალები*, 2016: 46-48; სეა, სცა, ფ. 1818, აღწ. 1, ს. 139: 5; იქვე, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 149: 2).

კავკასიაში მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა გამომძიებელმა კომისიამ მუშაობა სწორედ პუნქტ 2-ში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით დაიწყო (აღნიშნულის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებ).

ავტოკეფალსტთა აზრით, მღელვარებისა და გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად ქართველ და რუს მღვდელმთავრებს თავ-თავიანთი მრევლისა და საზოგადოებისათვის მოწოდებებით უნდა მიემართათ, განემარტათ, „*რომ არც რუსები ეწინააღმდეგებიან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის პრაქტიკულად განხორციელებას და არც ქართველები მისდევენ ამ წმინდა საქმეში რაიმე აგრესიულს (დაპყრობითს) მიზნებს*“. მოწოდებანი ადგილობრივი გაზეთებისა და ნაბეჭდი ფურცლების საშუალებით უნდა გავრცელებულიყო. ქართული მხარის მოწოდება დაცულია ოზაკომის ფონდში[1] (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1. ს. 149: 21, 24-25). რუსი მღვდელმთავრის ანალოგიური დანიშნულების ტექსტი ჩემთვის ჯერჯერობით უცნობია.

ქართველების რუსებთან დაპირისპირების შესახებ ჭორების გამავრცელებლად ეკლესიის დროებით მმართველობაში კვლავ მთავარეპისკოპოსი პლატონი და მისი სამღვდელოება მიაჩნდათ.

6 აპრილს ცნობილი გახდა, რომ დროებითი მთავრობის მიერ საქართველოს საეკლესიო საქმეთა რწმუნებულად დანიშნული პროფ. ბენეშევიჩი თბილისში მეორე დღეს ჩამოდიოდა. ამიტომ მის კომპეტენციაში შემავალი საკითხის განსახილველად სხდომა აღარ შედგა. მხარეების შეხვედრა 7 რიცხვისთვის დაიგეგმა[2] (*ჟურნალები*, 2016: 52).

ბენეშევიჩის საქმიანობის მნიშვნელობას საქართველოს ეკლესიისთვის მისი ხელმძღვანელობით მოქმედი კომისიის დასახელებაც ნათელყოფს: „*რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელი კომისია*“/„*რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების გამმიჯვნელი კომისია*“. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხისადმი ა/კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა ბენეშევიჩთან შედარებით მეტი გულშემატკივრობა გამოიჩინა მაშინ, როცა კომიტეტის წევრებიც და ისიც პეტროგრადის მთავრობის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ.[3]

1. საქმეში ცალკეა ჩაკრული ამ მოწოდების რუსული ტექსტი, განკუთვნილი რუსების ტექსტთან ერთად გამოსაქვეყნებლად (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1. ს. 149: 21) და ცალკე – ქართული ტექსტი, სიგრძეზე ორ ნაწილად გაყოფილი ფურცლის ცალ მხარეს დაწერილი (იქვე: 24-25).

2. ბენეშევიჩი თბილისში 11 აპრილს ჩამოვიდა (ლიტ. მუზ. არქ. ნ. თალაქვაძის ფ., რვ. 11: 424; Чумакова, 2019: 190).

3. ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ საკითხისადმი მხოლოდ ქართველი კომისრების: აკაკი ჩხენკელისა და კიტა აბაშიძის დამოკიდებულებას.

დროებითი მთავრობის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ეროვნული ნიშნით აღიარების შემდეგ ავტოკეფალისტებისათვის ყველაზე საშურ საქმეს სახელმწიფოში ეკლესიის უფლებების განსაზღვრა წარმოადგენდა. ამაზე იყო დამოკიდებული საქართველოს ეკლესიის საქმიანობის მეტ-ნაკლებად შეუფერხებლად გაგრძელება. აღნიშნულ საკითხში ოზაკომის წევრები ავტოკეფალისტებს აშკარად თანაუგრძნობდნენ. მათ *„რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის ძირითად დებულებათა“* დამტკიცების დაჩქარების მოთხოვნით დეპეშა პეტროგრადში არაერთხელ გაგზავნეს (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 149: 33, 75, 100, 144).

დროებითი მთავრობისთვის 1917 წლის 18 აპრილს წარდგენილი *„ძირითადი დებულებების“* დამტკიცება პეტროგრადში 25 ივლისამდე გაჭიანურდა. მასში განხორციელებული ცვლილებებით საქართველოს ეკლესიის უფლებათა კიდევ მეტად შეზღუდვის[1] მიუხედავად, ავტოკეფალისტებმა 3 აგვისტოს თბილისში ეს მოვლენა პარაკლისით აღნიშნეს. მასზე დასასწრებად კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ აკაკი ჩხენკელი ქართულად დაწერილი ბარათით მიიწვია (იქვე: 83).

ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები, ძირითადად, იზიარებდნენ საქართველოს ეკლესიის მხრიდან ბენეშევიჩისადმი გამოთქმულ საყვედურებს; თუმცა, როგორც აღნიშნავდნენ, მის საქმეში ჩარევისაგან თავს იკავებდნენ თანამდებობრივად თანაბარ პოზიციებზე ყოფნის გამო (ჟურნალები, 2016: 105).

ბენეშევიჩის პეტროგრადში გამგზავრებით 1917 წლის 3 ივნისს დასრულდა მისი თავმჯდომარეობით მოქმედი კომისიის მუშაობა. ამის შემდეგ დროებითი მთავრობა შეეცადა, რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შესათანხმებლად საქმიანობა პეტროგრადში გაეგრძელებინა, რაზეც ქართული მხარე პრინციპულ უარს აცხადებდა. კომისარი აკაკი ჩხენკელი გარკვეულ დრომდე მას ამ საკითხშიც თანაუგრძნობდა.

ავტოკეფალისტები ფიქრობდნენ, რომ პირობები, რომლებშიც აღნიშნულ კომისიას მოუწევდა მუშაობა, ეკლესიის უფლებათა აღდგენის შეფერხებას გამოიწვევდა. მათ მოსაზრებას შემდეგი გარემოებები ედო საფუძვლად: საქმისათვის საჭირო საბუთები, ძირითადად, საქართველოში იყო თავმოყრილი; ადგილზე (საქართველოში) არსებულ მდგომარეობაში გაურკვეველი მოხელის თავმჯდომარეობით პეტროგრადში წარმოებული მუშაობა წარმატებული ვერ იქნებოდა; ეკლესიის უფლებათა აღდგენის პროცესს დააყოვნებდა შემთანხმებელი კომისიის გადაწყვეტილებათა დროებითი მთავრობის მიერ დამტკიცების საჭიროებაც.

1. *„ძირითად დებულებებში“* მთავრობის მიერ განხორციელებული შეზღუდვების შესახებ იხ. აქვე: 64-65.

კომისიის პეტროგრადში მუშაობაზე ავტოკეფალისტების უარს განამტკიცებდა საკითხისადმი დროებითი მთავრობის, ასევე რუსეთის სინოდის წევრთა დიდი ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულება და ქართველებსა და რუსებს შორის დაძაბულობის გამძაფრება.

ეკლესიის დროებითმა მმართველობამ აგვისტოს დასაწყისში განაჩინა, ამ რთული საქმის გაძღოლა ოზაკომისთვის მიენდო სამართლიანად გადაწყვეტისა და შეუფერხებლად დასრულების იმედით (*ჟურნალები*, 2016: 208-209).

„*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცების შემდეგ ყოფილი საეგზარქოსოს ქონების ქართველებსა და რუსებს შორის განაწილების ხელმძღვანელობას ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტიც თანხმდებოდა. მას დროებითმა მმართველობამ საქმის მეთაურობა ოფიციალური წერილით სთხოვა.

პასუხის დაგვიანების გამო ოზაკომის მისამართით უკმაყოფილება გამოითქვა. ეკლესიის მმართველობის ზოგმა წევრმა მუქარის შემცველი წერილის მიწერის წინადადებაც წამოაყენა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ საკითხის შეთავაზებული ფორმით გადაწყვეტა პეტროგრადის მთავრობის წინააღმდეგობის გამო ვერ ხერხდებოდა (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 149: 100; *ჟურნალები*, 2016: 217-218).

რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების გამიჯვნის მიზნით ქართველთა წარმომადგენლების პეტროგრადში ჩასვლას აღსარებათა მინისტრი[1] ანტონ კარტაშევი 1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერშიც მოითხოვდა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6675: 16; *ჟურნალები*, 2016: 274-275).

ცენტრალურ მთავრობასა და ავტოკეფალისტებს შორის შეუთანხმებლობის გამო აკაკი ჩხენკელმა 1917 წლის ოქტომბერში ქართული დელეგაციის პეტროგრადში მუშაობა უკვე საჭიროდ მიიჩნია. მან I საეკლესიო კრებაზე არჩეულ საკათოლიკოსო საბჭოს აღნიშნულ საკითხზე დადგენილების გადასინჯვა სთხოვა. „*პეტროგრადში გადაწყდება მხოლოდ პრინციპიალი საკითხები, ისე კი მუშაობა გამმიჯვნელი კომისიისა იწარმოებს ტფილისში. საქართველოს ეკლესიის არაკეთილის მსურველნი ათასგვარ ხმებს ავრცელებენ საქართველოს ეკლესიის შესახებ, ამხედრებენ რუსეთის საზოგადოებრივ აზრს ჩვენს წინააღმდეგ და დელეგატების გაგზავნა ჯერ მარტო ამიტომ არის საჭირო, რომ გავაცნოთ რუსეთის საზოგადოება საქმის ნამდვილ ვითარებას. ამასთან ჩვენს დელეგატებს უფლება ექნებათ, არ მიიღონ გამმიჯვნელი კომისიის არც ერთი გარდაწყვეტილება, რომელიც კი საქართველოს ეკლესიის ინტერესების წინააღმდეგ იქნება მიმართული*“ (საპატრ. არქ., ს. 6675: 23).

1. აღსარებათა სამინისტრო დროებითი მთავრობის 1917 წლის 5 აგვისტოს დადგენილებით შეიქმნა და მინისტრად ობერპროკურორი დაინიშნა (*Деяния*, кн. I, 1918: 52).

საკათოლიკოსო საბჭომ კომისრის მიერ მითითებული გარემოებები საეკლესიო კრების დადგენილების გადასინჯვისთვის საკმარისად არ მიიჩნია. მან ჩათვალა, რომ პრინციპული საკითხები მთავრობამ 25 ივლისს უკვე გადაწყვიტა და ახლა კომისიის მუშაობისათვის სწორედ თბილისში არსებული მასალა იყო საჭირო. საბჭოს წევრებმა ჩხენკელის წინადადება რუსებთან საქმის გამწვავების თავიდან აცილების სურვილით ახსნეს; დაადგინეს, მისთვის უარი შეეთვალათ და ეთხოვათ, კომისიის თბილისში გამოგზავნისთვის ოზაკომს ცენტრალურ მთავრობასთან კიდევ ერთხელ ეშუამდგომლა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6675: 24).

საქართველოს ეკლესიამ ამ შემთხვევაში თავისი მოსაზრების ბოლომდე გატანა შეძლო და დელეგაცია პეტროგრადში აღარ გაუგზავნია.

განხილულ საკითხებში ოზაკომი თუ საქართველოს ეკლესიისადმი თანაგრძნობას გამოხატავდა, განსხვავებული ვითარება შეიქმნა ყოფილ ეგზარქოსთა სახლის საქართველოს ეკლესიის საკუთრებაში გადასვლასთან დაკავშირებით.

ავტოკეფალიის აღდგენილად გამოცხადების შემდეგ საქართველოს ეგზარქოსყოფილი ქართველი სამღვდელოების თანხებით ნაყიდ შენობაში ცხოვრებას განაგრძობდა. კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის თავმჯდომარე, ეპისკოპოსი ლეონიდი კი იძულებული იყო, თბილისში ნათესავებთან დაედო ბინა. ეს, ცხოვრების მოუწყობელ პირობებთან ერთად, მისი ხარისხისთვის დამამცირებელიც იყო.

1917 წლის აპრილის დასაწყისში მთავარეპისკოპოსი პლატონი სინოდის საზაფხულო სესიაში მონაწილეობისთვის პეტროგრადში გაიწვიეს.[1] ავტოკეფალისტთა აზრით, ამან მისი ყოფილი ბინისა და დაწესებულებების საქართველოს ეკლესიისთვის დასაბრუნებლად მოხერხებული ვითარება შექმნა. თუ ბენეშევიჩი მოსაყდრის საცხოვრებლის საკითხის მოწესრიგებას ამ შემთხვევაშიც არ დათანხმდებოდა, დროებითი მმართველობა მასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტასა და ეროვნული ავტოკეფალიის მიღებაზე უარის თქმასაც გეგმავდა (*ჟურნალები*, 2016: 76). აღნიშნული მოსაზრებით არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია),[2] მღვდელი ქრისტეფორე ციცქიშვილი[3] და იპოლიტე ვართაგავა ბენეშევიჩს 18 აპრილს შეხვდნენ.

---

1. დეკანოზი ნიკიტა მიუთითებს, რომ ამით ის საქართველოს მოაცილეს (თალაქვაძე, 2013: 23).

2. შემდგომში, 1921-1927 წლებში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი; 1995 წ. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ *ამბროსი აღმსარებლის* სახელით წმინდანად შერაცხა.

1917 წ. რუსეთიდან სამშობლოში დროებით დაბრუნებული არქიმანდრიტი ამბროსი დროებითი მმართველობის სხდომებში 14-დან 28 აპრილის ჩათვლით მონაწილეობდა (*ჟურნალები*, 2016: 65, 92).

3. შემდგომში, 1927-1932 წლებში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ქართულ წყაროებშიც აღნიშნულია (იხ. ქვემოთ) და მკვლევარი ტატიანა ჩუმაკოვა ბენეშევიჩის არქივზე დაყრდნობით ადასტურებს, რომ ქართველები ამ შემთხვევაში არ ითხოვდნენ სახლის მიკუთვნებას. მასში მოსაყდრის მხოლოდ დროებით დაბინავების წინადადებას აყენებდნენ, რუს-ქართველთა ქონების საბოლოო გამიჯვნამდე მკვეთრი ცვლილებების განხორციელებას არ გეგმავდნენ (Чумакова, 2019: 191).[1] ამის მიუხედავად მთავრობის რწმუნებულის დაპირებამ საქმის ოფიციალურად მოგვარების შესახებ უშედეგოდ ჩაიარა.

ბენეშევიჩი ეგზარქოსთა ყოფილ სახლში 19 აპრილს თვითონ გადასახლდა და მისი საქართველოს ეკლესიისთვის გადაცემის შესაძლებლობა უარყო. მან ეპისკოპოს ლეონიდს კერძო ბინაში გადასვლა შესთავაზა და ქირის გადახდა ხაზინიდან აღუთქვა (*ჟურნალები*, 2016: 80-81; იხ. აქვე: 51).

შესაფერი ბინით მოსაყდრის უზრუნველყოფის საკითხი დღის წესრიგში იმავე (1917) წლის ზაფხულშიც იდგა. საქართველოს ეკლესიის დელეგაციის[2] მიერ ივნისში პეტროგრადში ჩატანილი ერთ-ერთი წერილით ქართული მხარე უწმ. სინოდის ობერპროკურორ ვ. ლვოვს შეახსენებდა, რომ მღვდელმთავრის სახლი ქართველი სასულიერო წოდების კუთვნილი თანხებით იყო შეძენილი და მის უცილობელ საკუთრებას წარმოადგენდა. მასში ცხოვრობდა რუსი ეპისკოპოსი გრიგოლი (იაცკოვსკი), რომელიც საკუთარ თავს საქართველოს არარსებული ეგზარქოსის „*მოადგილეს*“ უწოდებდა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე კი კერძო ბინაში წარმოუდგენლად შეუსაბამო პირობებში იმყოფებოდა. საქართველოს ეკლესიის კუთვნილ შენობებში მოთავსებულ დაწესებულებებში დროებით მმართველობას თანამშრომლები არ ჰყავდა. ეს ადგილობრივი საეკლესიო ცხოვრების მოუწყობლობას და მორწმუნეთა გაღიზიანებას იწვევდა. ქართველები ობერპროკურორისგან ითხოვდნენ მღვდელმთავრის სახლის, სინოდის კანტორის შენობის გადაცემას დაწესებულებებიანად და საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის შესანახ სახსრებს (*ჟურნალები*, 2016: 150).

წერილს შედეგი არ მოჰყოლია, ამიტომ, როცა დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 25 ივლისს რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობა განსაზღვრა, ყოფილი ეგზარქოსის

1. მნიშვნელოვანია, რომ მკვლევარ ტატიანა ჩუმაკოვას მიერ ბენეშევიჩის არქივიდან გამოქვეყნებული მასალისა და ქართული წყაროების ინფორმაცია თანხვედრილია, რაც მათ მეტ სანდოობას ანიჭებს.

2. 14 ივნისიდან 3 აგვისტომდე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით ეკლესიის დროებითი მმართველობის დელეგაცია პეტროგრადში შემდეგი შემადგენლობით იმყოფებოდა: ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია), დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 2-16).

სახლთან დაკავშირებით სამართლიანობის აღდგენა ავტოკეფალისტებმა საკუთარი ძალებით გადაწყვიტეს.

1917 წლის აგვისტოში შეიქმნა კომისია, რომელსაც ეკლესიის ხელმძღვანელი ორგანოსთვის ყოფილი ეგზარქოსის სახლისა და სხვა დაწესებულებათა[1] გადაცემაზე უნდა ეზრუნა. დროებითი მმართველობის 22 აგვისტოს სხდომის ჟურნალის მიხედვით კომისიაში შედიოდნენ არქიმანდრიტი ნაზარი (ლეჟავა), მღვდლები: პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილები[2], საერო პირები: გრიგოლ ვეშაპელი, თედო სახოკია, დავით ნახუცრიშვილი, იაკობ ცინცაძე (ია ეკალაძე), დავით დავითაშვილი და სხვანი (*ჟურნალები*, 2016: 235).

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ, მიტროპოლიტმა ლეონიდმა[3] ყოფილი საეგზარქოსო სახლის მნეს, მღვდელმონაზონ სერაფიმს 1917 წლის 23 აგვისტოს წერილობით მიმართა. მან დაასახელა საქართველოს ეკლესიის საკუთრებაში შენობის გადასვლის კანონიერების საფუძვლები: მისი კუთვნილება ქართველი სამღვდელოებისადმი;[4] საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობის გაუქმება; ყოფილი ეგზარქოსის პეტროგრადში გამგზავრება.[5] მიტროპოლიტი ლეონიდი მნეს სთავაზობდა, სახლი საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთათვის დაუყოვნებლივ გადაეცა. თავის მხრივ კი მის ბინადართ ქართულ-რუსულ ინტერესთა გამიჯვნამდე შენობის პირველ სართულზე ცხოვრების უფლებას უტოვებდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 377: 2).

იმავე 23 აგვისტოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ თბილისის საქალაქო მილიციას შენობის დაცვა და იქ არსებული ქონების აღსაწერად უფლებამოსილი პირის მივლინება სთხოვა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 377: 3-4).

რუსეთის ეკლესიის კავკასიელმა წარმომადგენლებმა (ეპისკოპოსი გრიგოლი, დეკანოზი იოანე მიხაილოვსკი, მღვდელმონაზონი სერაფიმი)

---

1. სინოდის კანტორის ყოფილი შენობის საქართველოს ეკლესიისთვის დაბრუნება უფრო გვიან, 1918 წლის 22 მარტს განხორციელდა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6675, 173).

2. ძმები კარბელაშვილები საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 2011 წლის 20 დეკემბერს წმინდანებად შერაცხა: დეკანოზ ანდრიას და მღვდელ პეტრეს მღვდელმოწამეები ეწოდათ, ეპისკოპოს სტეფანეს (ერისკაცობაში ვასილი), დეკანოზ პოლიევქტოსს და მღვდელ ფილიმონს – აღმსარებელები (განჩინებები, 2021: 165).

3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, ეპისკოპოსი ლეონიდი ტფილელი მიტროპოლიტის ხარისხში 1917 წლის 13 აგვისტოდანაა აყვანილი (საპატრ. არქ. აღწ.1, ს. 431: 11).

4. მოსაყდრის წერილში თბილისის მილიციის უფროსისადმი შენობის კუთვნილების დამადასტურებელი საქმის ნომერიც კია მითითებული – სინოდ. კანტ. 1849 წ. ს. №5036 (საპატრ. არქ., აღ. 1, ს. 377: 3).

5. იმჟამად სახლში მიტროპოლიტ პლატონის (მთავარეპისკოპოსი პლატონი თბილელ მიტროპოლიტად 1917 წ. 13 აგვისტოს აკურთხეს) მოადგილედ გამოცხადებული ბაქოს ეპ. გრიგოლიც კი აღარ ცხოვრობდა. ის ბაქოში იმყოფებოდა (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 149: 109).

ქართველების მიერ სახლის დაკავებას დარბევა უწოდეს, აღნიშნეს, რომ განხორციელდა დაპატიმრებები. ამის შესახებ ყოფილმა ეგზარქოსმა პლატონმა 25 აგვისტოს თბილისიდან დეკანოზ იოანე მიხაილოვსკისგან მიღებული დეპეშის საფუძველზე რუსეთის საეკლესიო კრებაზეც (გაიხსნა 1917 წლის 15 აგვისტოს) განაცხადა. მანვე აღნიშნა, ქართველები უმწეო რუს მართლმადიდებლებს უმოწყალოდ უსწორდებიანო. აღსარებათა მინისტრის მოადგილე სერგეი კოტლიარევსკიმ დაგმო ავტოკეფალიის აღდგენის ქართველების მიერ არჩეული გზა და კრებას აღუთქვა, რომ სამინისტრო ძალადობის განმეორების აღსაკვეთად ზომებს გაატარებდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 377: 5; *Деяния*, кн. I, 1918: 141-142).

მიტროპოლიტ პლატონის განცხადებაში აღნიშნული „*დაპატიმრებები*“ საღამოს 5 სთ-იდან 10 სთ-მდე გრძელდებოდა. ეგზარქოსთა სახლის დაკავების რუსი ეროვნების თვითმხილველთა მოწმობითაც[1] კი, ისინი თავიდანვე იყვნენ გაფრთხილებული, რომ თავისუფლება დროებით, საქმის დამთავრებამდე შეეზღუდებოდათ.

შენობიდან გასვლის 5 საათით შეფერხება მოსალოდნელიც იყო ქონებისა და საბუთების დატაცების თავიდან ასაცილებლად. იგივე თვითმხილველები მიუთითებდნენ კიდეც, რომ ამ დროის განმავლობაში მილიცია და ქართველები ადგილზე არსებულ ქონებას აღწერის ნუსხასთან ადარებდნენ და ოქმებს ადგენდნენ (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 149: 117-118).

მღვდელმონაზონ სერაფიმის განცხადებით, მას თავისუფლება მეორე დღესაც შეზღუდული ჰქონდა, თუმცა მილიციის უფროსის თანხმობითა და მალე დაბრუნების პირობით კავკასიის საეგზარქოსოს წარმომადგენლებისათვის საქმის ვითარების გასაცნობად მარტო გაუშვეს. სწორედ ამ დროს მან ეგზარქოსთა სახლის სეიფის გასაღები რუსი სამღვდელოების აღმასკომის წევრებს გადასცა, რაც მილიციისთვის საღამოს გახდა ცნობილი. მღვდელმონაზონი სერაფიმი აღნიშნავს, რომ გასაღების დაბრუნებაზე რუსულმა მხარემ უარი განაცხადა. ამ ფაქტთან დაკავშირებით მილიციის მხრიდან განხორციელებულ სადამსჯელო ღონისძიებებზე იგი არაფერს ამბობს (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 149: 121).

პატიმრობის ასეთ პირობებს რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები საეკლესიო კრების ტრიბუნიდან ამუქებდნენ და რუსეთის საზოგადოებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგ განაწყობდნენ.

ავტოკეფალისტებმა აღსარებათა მინისტრ ანტონ კარტაშევის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში საქართველოს ყოფილ ეგზარქოს პლატონის გა-

1. ეგზარქოსთა ყოფილი სახლის ქართველთაგან დაკავების „*თვითმხილველთა დაწვრილებით გადმოცემას*“ ხელს აწერს რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელი, საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარე, დეკანოზი იოანე მიხაილოვსკი (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 149: 118).

მოსვლას უკიდურესად ტენდენციური უწოდეს და აღნიშნეს, რომ არავინ დაურბევიათ და არც ვინმეს საკუთრება დაუტაცნიათ. სახლი შეძენილი იყო საქართველოს ეკლესიის თანხებით ეგზარქოსთა საცხოვრებლად და ახლა დაიკავა მან, ვინც შეცვლის ეგზარქოსებს. დროებითმა მმართველობამ აღსარებათა მინისტრის მოადგილის განცხადებაც გააპროტესტა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 377: 5).

საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილ დაძაბულობას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის მიმოწერაც ადასტურებს.

ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრ აკაკი ჩხენკელისადმი 1917 წლის 29 აგვისტოს პატაკში თბილისის საქალაქო მილიციის უფროსი კაჩუხოვი (კაჭუხიშვილი) საკითხის მოგვარებაში მილიციის მონაწილეობას აღწერს (მას ყოფილი ეგზარქოსის სახლთან დაკავშირებული ვითარება 23 აგვისტოსვე უცნობებია მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო ცენტრისა და ოზაკომის უფლებამოსილი პირისთვის): ადგილზე მილიციას დაულუქავს ოთახი დოკუმენტებითა და ცეცხლგამძლე სკივრით, აგრეთვე – ეგზარქოსთა სახლის ჯვრის ეკლესია და ყოფილი ეგზარქოსის პირადი ნივთები. ეს ქმედება სახლის ყოფილი მნის, მღვდელმონაზონ სერაფიმისაგან გაწეულ წინააღმდეგობას მოჰყოლია. მას მილიციისთვის არ უჩვენებია სახლში არსებული ქონება, შემოსავალ-გასავლის წიგნი, სალარო ფულით და ფასიანი ქაღალდებით.

პატაკში აღნიშნულია, რომ შენობის დათვალიერების დროს ყოფილა ფულის დატაცების მცდელობა, რის გამოც მეთვალყურეობა გამკაცრებულა. მიტროპოლიტ ლეონიდის განცხადების საფუძველზე მილიციას არქივის დაცვაზეც უზრუნია. ყოფილი ეგზარქოსისა და აღსარებათა მინისტრის მოადგილის საეკლესიო კრებაზე გამოსვლების საწინააღმდეგოდ კაჩუხოვი მიუთითებს, რომ კანცელარიის თანამშრომლების შენობიდან გასვლა შეუფერხებლად ხდებოდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 377: 8-9).

მილიციის უფროსი აკაკი ჩხენკელს ასევე მოახსენებს, რომ ოზაკომის თავმჯდომარე ვასილ ხარლამოვის მითითებისამებრ მილიცია 24 აგვისტოს სახლის ქონების აღსაწერად კომისიის შექმნას შეეცადა. ეს ვერ მოხერხდა რუს სასულიერო პირთაგან კომისიაში მონაწილეობაზე უარის გამო (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 377: 9).

საკითხთან დაკავშირებული მიმოწერიდან მნიშვნელოვანია კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, მიტროპოლიტ ლეონიდის 31 აგვისტოს მოხსენება ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისადმი. მასში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაურისათვის პირობების გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ ქართულ მხარეს არაერთხელ მიუმართავს ოზაკომისა და ბენეშევიჩისათვის. გამმიჯვნელი კომისიის გადაწყვეტილებათა მოლოდინში ქართველები ეგზარქოსის

ყოფილი სახლის დასაკავებლად გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას ერიდებოდნენ. ეს მოლოდინი პირადად მოსაყდრეს საცხოვრებელთან დაკავშირებული სირთულეების გარკვეული დროით ატანის ძალას აძლევდა, მაგრამ იმედები არ გაუმართლდა. მოხსენების მიხედვით, სახლის ქართული მხარის ხელში გადმოსვლისას არავითარი ექსცესი არ მომხდარა და არავინ დაუპატიმრებიათ. მოხსენებაზე ხარლამოვის მიერ დადებულია შემდეგი რეზოლუცია: „*გადაიღეთ ასლები: აღსარებათა მინისტრს, მიტროპოლიტ პლატონს და რუსული ეკლესიის საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარეს*“ (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 149: 108).

ოზაკომის თავმჯდომარის დამოკიდებულება საკითხისადმი დაფიქსირდა აღსარებათა მინისტრ კარტაშევისთვის 1917 წლის 31 აგვისტოს გაგზავნილ დეპეშაში. მისი და საქართველოს ეკლესიის პოზიცია ამ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა. ხარლამოვი მიიჩნევდა, რომ ქართველთა მიერ ეგზარქოსის სახლის დაკავების აღნიშნული ფორმა შედეგი იყო მდგომარეობის გაურკვევლობისა, რაც გართულებებს მომავალშიც გამოიწვევდა; კომისარი ასევე მიუთითებდა, რომ შენობის მესაკუთრეობის შესახებ საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას ადრევე ჰქონდა განცხადებული; მოსაყდრის გამოსახლება დაკავებული სახლიდან უკვე შეუძლებელი იყო; ეს ავტოკეფალიის ფაქტობრივი განხორციელების გაჭიანურებით უკმაყოფილო ქართველი საზოგადოების აღშფოთებას კიდევ უფრო გაამძაფრებდა; გამორიცხული არ იყო ქართულ და რუსულ მხარეებს შორის წინააღმდეგობათა მეტად გამწვავება (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 149: 100).

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ოზაკომმა ეგზარქოსთა ყოფილი სახლის საქართველოს ეკლესიის განკარგულებაში გადასვლას თავისი უმოქმედობით შეუწყო ხელი. ეს მოსაზრება განსაკუთრებით დასტურდება ხარლამოვის მიერ აღსარებათა მინისტრთან გაგზავნილი დეპეშით. სამართლიანობის აღდგენის გაჭიანურება კი დიდმპყრობლური იდეებით გამსჭვალული რუსი სასულიერო და საერო პირების წინააღმდეგობამ განაპირობა.

საკითხთან დაკავშირებით ადგილობრივ ხელისუფალთა უმოქმედობა რუსეთის საეკლესიო კრებაზე კრიტიკის საგანიც გახდა. აღსარებათა მინისტრის მოადგილე კოტლიარევსკიმ მიტროპოლიტ პლატონის გამოსვლის შემდეგ განაცხადა: „*არ შეიძლება თვალის დახუჭვა, იმაზე რომ ხელისუფლების ორგანოთა მდგომარეობა ადგილზე, სასურველია, იყოს ბევრად უკეთესი. ზოგჯერ კანონიერი ხელისუფლება მიტაცებათა წინაშე ყოვლად უძლური აღმოჩნდება-ხოლმე*“ (*Деяния*, кн. I, 1918: 142(II).

კიდევ ერთი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობასა და ადგილობრივ მთავრობას შორის ინტენსი-

ური ურთიერთობის ფონზე ხდებოდა, იყო ბოდბის დედათა მონასტრისა და მისი მეტოქის – წმ. ესტატეს ეკლესიის[1] – ქართული მხარისთვის დაბრუნება. ვითარება ამ შემთხვევაში იღუმენია ანასტასიას[2] მონასტრის წინამძღვრისთვის შეუფერებელმა ქმედებებმა გაართულა.

ა/კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა 1917 წლის აპრილში დააარსა კავკასიაში მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა გამომძიებელი კომისია. მის თავმჯდომარედ ნოტარიუსი ალექსანდრე ივანეს ძე მიტკევიჩი დაინიშნა, წევრებად კი – ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე და სემინარიის ინსპექტორი პეტრე ბეკლემიშევი. საგამომძიებლო კომისიის მუშაობა 13 აპრილს წმ. ესტატეს ეკლესიის მღვდლის, თეოფილაქტე ლაფერაშვილის მიმართ იღუმენია ანასტასიას საჩივრის განხილვით დაიწყო (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 149: 20, 26).

1917 წ. 21 აპრილს ჩატარებული სხდომიდან გამომდინარე, დეკანოზმა ნიკიტამ კომისიის მუშაობა უსამართლოდ და მიკერძოებულად მიიჩნია და სხდომის ოქმის ნაკლოვანებაზეც მიუთითა. კერძოდ, ოქმში გამოტოვებული იყო კომისიის ქართველი წევრის ზოგიერთი მოსაზრება და თბილისის მილიციის I განყოფილების კომისარ თემურაგოვის განცხადებაც, სადაც ის, როგორც იურისტი, იღუმენია ანასტასიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე მზადყოფნას აცხადებდა.

როგორც დეკანოზი ნიკიტა ალ. მიტკევიჩის სახელზე დაწერილ განცხადებაში აღნიშნავს, ამის შემდეგ თემურაგოვი საქმეს საერთოდ ჩამოაცილეს. თვითონ მიტკევიჩი მღვდელ თეოფილაქტეს და მოწმეებს იღუმენიას შესახებ ლაპარაკის ნებას არ აძლევდა მაშინ, როცა იღუმენია ანასტასია მასზე (მღვდელ თეოფილაქტეზე) საკმაოდ ვრცლად ალაპარაკა.

დეკანოზ ნიკიტას აზრით, სამართლიანობა კომისიისაგან საქმესთან დაკავშირებული ყველა დეტალის განხილვას მოითხოვდა. უნდა გარკვეულიყო, იღუმენიას მონასტრიდან გამოსახლების საფუძველი ქართველთა ეროვნული გრძნობები იყო, თუ მისი საქმიანობის შეუსაბამობა განახლებულ რუსეთში მიმდინარე მოვლენებთან. ამასთან საქართველოს ეკლესიის რწმუნებულს საქმის ობიექტური მსვლელობისათვის იღუმენია ანასტასიას ბოდბის მონასტერში დაბრუნება არახელსაყრელად მიაჩნდა – მონასტერსა და მის მეტოქში ცხოვრების პირობები ყოფილი წინამძღვრის მეფური ხელისუფლების ჩარევის გარეშე უნდა გამოკვლეულიყო. ა/კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს მხარეთა (ამ შემთხვევაში იღუმე-

1. წმ. ესტატეს ეკლესია მდებარეობდა თბილისში, ყოფილ ყორღანოვის ქუჩაზე, დღევანდელი ვერის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე.

2. იღუმენია ანასტასია (ვისოცკაია) ბოდბის მონასტრის წინამძღვარი იყო 1912 წლის დეკემბრიდან.

ნია ანასტასია და მღვდელი თეოფილაქტე) შორის ურთიერთობები უნდა გაერკვია და საჩივარი პოლიტიკურ-რევოლუციური გამოძიების საგნად არ უნდა ექცია. მით უმეტეს, რომ რუსეთის მთელ ტერიტორიაზე მონასტრებიდან და სამრევლო ეკლესიებიდან, ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, მღვდლები, დეკანოზები და ეპისკოპოსები სწორედ მსგავსი მიზეზებით გამოაძევეს (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 149: 93-102; *ჟურნალები*, 2016: 87-90).

საქმის მსვლელობის პროცესში ადგილობრივ ხელისუფლებასთან ინტენსიური კავშირი ჰქონდათ საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარე მიტკევიჩს, ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტრის კრებულს და იღუმენია ანასტასიას.

მიტკევიჩის კომისიამ 1917 წლის 3 მაისს განიხილა ოზაკომის მიერ გაგზავნილი დეპეშები, რომლებშიც აღნუსხული იყო მონასტრის წინამძღვრის შესახებ ამავე მონასტრის კრებულის, სიღნაღის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსა და სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელ ინტელიგენტთა საჩივრები. მათში იღუმენია ანასტასია დახასიათებული იყო, როგორც რელიგიურ-ზნეობრივი თვალსაზრისით მავნე პიროვნება; ძველი რეჟიმის მომხრე, რომელიც მორწმუნეთა შორის ეროვნული შუღლის გაღვივებას პროვოკაციებით ცდილობდა. წამოყენებული იყო საქმის გამოძიების პროცესში მონასტრიდან მისი გაყვანის მოთხოვნა.

კომისიამ, აღნიშნული მასალის შინაარსიდან გამომდინარე, ხარლამოვისაგან მოითხოვა პასუხი, შეიძლებოდა თუ არა იღუმენიას მონასტერში დატოვება. მას უპასუხეს, რომ წარმოებულ მოკვლევაში წინამძღვრის წინააღმდეგ საკმარისი მიზეზები გამოკვეთილი არ იყო (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 228: 6-7; პავლიაშვილი, 2000: 140).

10 და 13 მაისს იღუმენია ანასტასია ოზაკომის თავმჯდომარეს სიღნაღის მაზრის აღმასკომისგან მონასტრის კრებულის მხარდასაჭერად მილიციის ძალის გამოყენების შესახებ ატყობინებდა. პასუხად ხარლამოვმა სიღნაღის აღმასკომს მისწერა, აღნიშნულ საქმეში მილიციის ჩარევა არ დაეშვათ, მონასტრის ქონება კი დაეცვათ (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 228: 7-10, 12).

თავის განკარგულებასთან დაკავშირებით ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე 29 მაისს განმარტავდა: ბოდბის, ისევე როგორც სხვა მონასტერთა, მართვა-გამგეობის საკითხი ჯერ ისევ შემთანხმებელ კომისიაში განიხილება; მისი მუშაობის დამთავრებამდე მონასტრის ადმინისტრაციის ცვლილება არ მოხდება; სიღნაღის მაზრის აღმასკომისაგან მონასტრისა და იღუმენიასადმი გამოვლენილი დამოკიდებულება დაუშვებელია. ოზაკომი ამ საქმეში „*კანონიერების დაცვას*“ სიღნაღის

მაზრის აღმასკომისგან, თბილისის მილიციის უფროსისა (მეტოქთან მიმართებაში) და საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთაგან დაჟინებით მოითხოვდა (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 228: 10, 11, 12, 30, 31).

იმავე წლის ივნისში საგამომძიებლო კომისიამ ცნობები თავად მონასტერშიც შეკრიბა. იღუმენია ანასტასიას დამცველები გამოუჩნდნენ, მაგრამ მისი სისასტიკისა და თვითნებობის დამამტკიცებელი მასალა მაინც შეგროვდა. გაირკვა, რომ ის მონასტრის ქონებას თავისი შეხედულებისამებრ განკარგავდა. შეკრებილი ინფორმაციიდან გამომდინარე, იღუმენიას დარჩენა მონასტერში შეუძლებელი იყო.

ადგილზე კომისიისთვის მონასტრის მოძღვარ გიორგი შიშნიაშვილთან დაკავშირებული გარემოებაც გახდა ცნობილი. სინოდის კანტორის 1917 წლის 9 ივნისის წერილი იტყობინებოდა, რომ იგი დათხოვნილი იქნებოდა მონასტრიდან, თუ არ წარადგენდა დასაბუთებულ პასუხს, როგორ გაბედა ღვთისმსახურების დროს სინოდისა და მთავარეპისკოპოს პლატონის ნაცვლად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის მოხსენიება (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 228, 14).

მუქარის მიუხედავად, მონასტრის კრებულმა სინოდის კანტორისადმი პასუხში აღნიშნა, რომ ბოდბის მონასტერი[1] დაარსების დღიდან (IV ს.) ქართულია და 12 მარტის აქტის შედეგად საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში შედის. მონასტრის სასულიერო წოდება საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს ემორჩილება და ლოცვას მისი მოსაყდრის, ეპისკოპოს ლეონიდისათვის აღავლენს.

სინოდის კანტორის მოთხოვნას, ღვთისმსახურებისას მოიხსენიებოდეს სინოდი და მისი მღვდელმთავარი, აგრეთვე მუქარას მღვდელ გიორგი შიშნიაშვილის განთავისუფლების შესახებ, კრებული საქართველოს ეკლესიაზე ძალადობად მიიჩნევს[2] (*ჟურნალები*, 2016: 163-165).

ეკლესიის დროებითმა მმართველობამ საქმეში აკაკი ჩხენკელის ჩარევა გადაწყვიტა. კომისარს სინოდის კანტორისაგან მონასტრის, მისი კრებულისა და მეტოქის დაცვა, იღუმენია ანასტასიას შესახებ გამოძიების დაჩქარება სთხოვა (*ჟურნალები*, 2016: 165; სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 228: 13).

19 ივნისს აკაკი ჩხენკელი სინოდის ობერპროკურორს ატყობინებდა, რომ ოზაკომმა ბოდბის მონასტრის საკითხის განხილვის შედეგად დაადგინა, მიიღოს ზომები იღუმენია ანასტასიას მონასტრიდან მოსაშორებლად. დეპეშაში აღინიშნა, რომ მისი ყოფნა არა თუ მონასტერში, არამედ

1. იგულისხმება ბოდბის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც IV ს-შია აშენებული.
2. მონასტრის კრებულის პასუხი ადრესატისთვის გაგზავნამდე საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომაზე მოისმინეს (*ჟურნალები*, 2016: 164-165).

კავკასიაშიც არასასურველი იყო. სიღნაღის მაზრაში მშვიდობიანობის დასამყარებლად ადგილობრივი ხელისუფლება ობერპროკურორს სათანადო განკარგულებებს სთხოვდა (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 228: 15).

აღნიშნულზე მთავრობის მხრიდან რეაგირებამდე სინოდის კანტორამ ბოდბის მონასტრის კრებულის ყველა წევრი და ავლაბრის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი დავით იაშვილი სამსახურებიდან გაათავისუფლა (*ჟურნალები*, 2016: 173; საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 439: 12).

ეკლესია-მონასტრების მითვისების მიზნით სინოდის კავკასიის კანტორა და ეპისკოპოსი გრიგოლი (იაცკოვსკი) სასულიერო პირებს სწორედ საქართველოს ეკლესიის წევრობის გამო დევნიდნენ.

ავტოკეფალისტებმა სინოდის კანტორის თვითნებურ და უსამართლო ქმედებათა შესახებ დროებით მთავრობას, სინოდის ობერპროკურორ ვლადიმერ ლვოვს, პეტროგრადში მყოფ ქართულ დელეგაციას, ა/კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტსა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აცნობეს (*ჟურნალები*, 2016: 174; სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 228: 18).

საქართველოში არსებული ვითარების ამსახველი ინფორმაცია პეტროგრადში ეკლესიის საქმეს რომ წაადგა, დადასტურებულია სამშობლოში დაბრუნებული დელეგაციის მოხსენებაში. თბილისიდან გაგზავნილი ცნობები დაინტერესებულ პირებს რეალური მდგომარეობის გაცნობიერებაში დაეხმარა და, მეტიც, ავტოკეფალისტთა მიმართ სინოდის ხისტი განწყობის შერბილება განაპირობა.

რუსი იერარქების მხრიდან ქართველ სასულიერო პირთა დევნის გახშირების გამო (ივლისში სამსახურიდან მღვდელი თეოფილაქტე ლაფერაშვილიც დაითხოვეს) დროებითმა მმართველობამ 19 ივლისს დაადგინა, მოეთხოვა ადგილობრივი მთავრობისთვის, არ დაეშვა ორ ერს შორის ურთიერთობის გამწვავება და პირადად აკაკი ჩხენკელისთვის – რეაგირება მღვდელ თეოფილაქტეს დასაცავად. ბოდბის წმ. ნინოს მონასტრისა და წმ. ესტატეს ეკლესიის დათმობას ქართული მხარე არ აპირებდა (*ჟურნალები*, 2016: 203-204).

ვითარების შემდგომი მსვლელობიდან გამოჩნდა, რომ ეკლესიის დროებითი მმართველობისა და კომისარ ჩხენკელის ზემოაღნიშნულმა მცდელობებმა შედეგი გამოიღო. წმ. ნინოს დედათა მონასტრის ყოფილი წინამძღვარი პეტროგრადში გაიწვიეს. თუმცა მისი მხრიდან ცილისწამების, მონაზონთა შეცდომაში შეყვანისა და მღვდლებისათვის სახელის გატეხის მცდელობებს ბოლო მაინც არ უჩანდა. იღუმენია ანასტასია საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ მოქმედ ძალებს პეტროგრადიდანაც

ხელმძღვანელობდა. როგორც წმ. ესტატეს ეკლესიის წინამძღვარი მღვდელი თეოფილაქტე აცხადებდა, ვერავითარი ახალი ან ადგილობრივი მთავრობა მას ვერ აშინებდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 409: 31-32).

საარქივო დოკუმენტების მიხედვით, ბოდბის მონასტერში დაპირისპირებათა თავიდან აცილებაზე არა მარტო აკაკი ჩხენკელი, არამედ მიხეილ პაპაჯანოვიც ზრუნავდა. იგი 22 ივლისს გაგზავნილი წერილით ობერ-პროკურორს წმ. ესტატეს ეკლესიიდან მღვდელ გიორგი შიშნიაშვილის გათავისუფლებისა და თბილისში იღუმენია ანასტასიას მოსალოდნელ დაბრუნებასთან დაკავშირებით გავრცელებული ხმების შესახებ ატყობინებდა და განუმარტავდა, რომ იღუმენიას გაწვევა მხარეში მშვიდობიანობის ინტერესებისთვის გახდა საჭირო. ახლა იგივე ინტერესები მღვდელ გიორგის ადგილზე დარჩენასა და იღუმენიას კავკასიაში ჩამოსვლის შეჩერებას მოითხოვდა (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 228: 19, 20).

1917 წლის აგვისტოში აკაკი ჩხენკელი აღსარებათა მინისტრ ანტონ კარტაშევს 19 ივნისისა და 22 ივლისის წერილებს შეახსენებდა (აღნიშნავდა, რომ ოზაკომს მათზე პასუხები მიღებული არ ჰქონდა) და ისევ სთხოვდა, არ დაეშვა იღუმენიას კავკასიაში დაბრუნება. ჩხენკელი ყურადღებას ამახვილებდა, რომ რევოლუციის პირობებში ადგილობრივ აღმასკომს, მონასტრის კრებულს, მონაზვნებსა და მორჩილებს მონასტრის წინამძღვართა გადაყენების მოთხოვნის უფლება ჰქონდათ (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 228: 23).

მართლაც, დეპეშაში მითითებული ინსტიტუცია და ჯგუფები იღუმენია ანასტასიას წინააღმდეგ იყვნენ განწყობილი და მათ საჩივრები წერილობითაც ჰქონდათ დაფიქსირებული (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 409: 31-32; სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 228: 6, 11, 16, 21-22, 24).

7 აგვისტოს ბოდბის მონასტერში რუსულ მონასტერთა კეთილმოწესე ბერმა ანტონმა[1] მიიტანა ცნობა, რომ მონასტერი ქართველებს მიეკუთვნა და რუსები იქიდან უნდა გადასულიყვნენ (*ჟურნალები*, 2016: 247). ამის საპირისპიროდ, კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ლეონიდის 1917 წლის 11 აგვისტოს განკარგულებით, რუს მონაზვნებს ადგილზე დარჩენის ნება დაერთოთ. მხოლოდ მონასტრის კრებას იღუმენია ანასტასიას შემცვლელად ეროვნებით ქართველი უნდა აერჩია.

წმ. ნინოს მონასტერში წინამძღვრის არჩევნები 27 აგვისტოს შედგა. მას სიღნაღიდან მისული საერო პირებიც დაესწრნენ. იღუმენია ანასტასიას მომხრეებმა წინააღმდეგობის გაწევა ჯარისკაცთა ძალის გამოყენებით ცადეს. ახალი წინამძღვრის არჩევისთვის ისინი სინო-

1. ბერი ანტონი (რომანოვსკი), შემდგომში სტავროპოლელი მღვდელმთავარი, რომელიც 1943 წელს რუსეთის პატრიარქ სერგის (1943-1944, სტრაგოროდსკი) მიერ საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის ლოცვით-ევქარისტიული კავშირის აღსადგენად თბილისში იყო მოვლინებული.

დის განკარგულებას ითხოვდნენ, მაგრამ უშედეგოდ – არჩევნები კავკასიაში მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა გამომძიებელი კომისიის დასკვნის საფუძველზე იყო ორგანიზებული. კრებამ მონასტრის წინამძღვრად იღუმენია ნინო (ვაჩნაძე) აირჩია და ეკლესიის დროებითმა მმართველობამ არჩევნების შედეგი დაამტკიცა (*ჟურნალები*, 2016: 247-248).

საქართველოს ეკლესიისადმი დაქვემდებარების მიუხედავად, ბოდბის მონასტერთან დაკავშირებული უთანხმოებანი არ შეწყვეტილა. იღუმენია ანასტასიასა და ეპისკოპოს გრიგოლის (იაცკოვსკი) უკანონო ქმედებათათვის წინააღმდეგობის გაწევა I საეკლესიო კრების (1917 წლის 8-17 სექტემბერი) მიერ არჩეულ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-სა (1917-1918, საძაგლიშვილი) და საკათოლიკოსო საბჭოსაც უხდებოდა.

ასე მაგალითად: ეპისკოპოსმა გრიგოლმა 1917 წლის ოქტომბერში ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შეცდომაში შეყვანა ცადა. მან იღუმენია ანასტასიასთვის სინოდის კანტორის სალაროდან ბოდბის მონასტრის კუთვნილი თანხის გადაცემა მოინდომა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6675: 24).

აღნიშნული უკანონობა აღიკვეთა, მაგრამ თანხა კანონიერი მფლობელისთვის დროებით მაინც მიუწვდომელი აღმოჩნდა. ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, ქართული და რუსული ეკლესიების ინტერესების გამიჯვნამდე საკათოლიკოსო საბჭოს კომისია[1] ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის ქონებას ვერ მიიღებდა (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 228: 29-30, 31).

საკათოლიკოსო საბჭოსა და ბოდბის დედათა მონასტერს თანხა მოგვიანებით, უკვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არსებობის პირობებში, 1918 წლის ივნისში დაუბრუნდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6675: 27; იქვე, ს. 439: 49).

წმ. ესტატეს სახელობის მეტოქთან დაკავშირებით ვითარება უფრო რთული აღმოჩნდა. საქართველოს ეკლესიის მმართველი ორგანოსა და ადგილობრივ საერო ხელისუფალთა მცდელობის მიუხედავად იღუმენია ანასტასიას დაბრუნება თავიდან ვერ აიცილეს. ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ ის პეტროგრადიდან მალევე დაბრუნდა და ბოდბის მონასტრის მეტოქში დასახლდა. ობერპროკურორ კარტაშევის 1917 წლის 4 აგვისტოს დეპეშა იტყობინებოდა უწმ. სინოდის ბრძანებას იღუმენია ანასტასიას ჰუჯაბის მონასტრის წინამძღვრად გადაყვანის შესახებ, რასაც, როგორც ჩანს, იღუმენია არ დაემორჩილა. სწორედ მისთვის სინოდის კავკასი-

1. საკათოლიკოსო საბჭომ ბოდბის მონასტრის ქონების მისაღებად კომისია 1917 წლის 25 სექტემბერს შექმნა, რის შესახებაც ოზაკომს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონმა აცნობა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6675: 8, 13).

ის კანტორამ წმ. ესტატეს ეკლესია ქალთა დამოუკიდებელ მონასტრად გადააკეთა, ღვთისმშობლის ხატის – ყველა მწუხარეთა ნუგეშინისმცემლის – სახელზე აკურთხა და იღუმენია ანასტასია მის წინამძღვრად დანიშნა. წინამძღვარი ძალისმიერი თუ დაშინების მეთოდებით მონასტრის ქონებას კვლავ თავისი შეხედულებისამებრ განაგებდა (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 228: 21, 28; საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6675: 53).

ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრ აკაკი ჩხენკელის 1917 წლის 13 ოქტომბრის მიმართვაზე – თუ იღუმენია ანასტასია ახლაც ბოდბის მონასტრის მეტოქში ცხოვრობს, მაცნობეთ მისი იქ ცხოვრების საფუძველიო, – ეპისკოპოსი გრიგოლი პასუხობდა, რომ იღუმენია ისევ ბოდბის მონასტრის წინამძღვრად ითვლებოდა. მონასტრის კუთვნილი თანხები სწორედ მას უნდა მიეღო (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 228: 33-34; საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6675: 27).

მეტოქი ქართულ მხარეს 1918 წლის 25 ივლისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დაუბრუნდა. მისი ქონების გადაბარების დასრულების შესახებ ინფორმაცია საკათოლიკოსო საბჭომ იმავე წლის 3 სექტემბრის სხდომაზე მოისმინა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6675: 521, 551-553).

განხილული წყაროებიდან გამომდინარე, გადაჭრით თქმა იმისა, რომ ბოდბის მონასტრის საქართველოს ეკლესიის საკუთრებაში გადმოსვლა ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის ხელშეწყობით მოხდა, არ შეგვიძლია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხარლამოვი ხშირად არსებული წესრიგის შენარჩუნების აუცილებლობაზე მიუთითებდა იმ მიზეზით, რომ გამმიჯვნელი კომისიის მუშაობა ჯერ დასრულებული არ იყო (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 228: 11, 12, 30, 31). ეს კი მისი მხრიდან რუსეთის ეკლესიის ინტერესების გათვალისწინებას ნიშნავდა. თუმცა, იღუმენია ანასტასიას წმ. ნინოს მონასტრის წინამძღვრობიდან ჩამოცილებისთვის კომისრების: აკაკი ჩხენკელისა და მიხეილ პაპაჯანოვის მცდელობანი საარქივო მასალით არის დადასტურებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოდბის მონასტერში რუსული ელემენტი ქართულს მნიშვნელოვნად ჭარბობდა, რაც საქართველოს საეგზარქოსოს პოლიტიკანი მესვეურების განსაკუთრებული მცდელობის შედეგი იყო. მიუხედავად ამისა, მონაზონთა დიდი ნაწილი იღუმენია ანასტასიას მონასტრის წინამძღვრისათვის შეუფერებელ საქმიანობას ამხელდა და წესრიგის დამყარების მომხრე იყო.

საარქივო დოკუმენტები იღუმენიას საქმიანობის მამხილებლებზე განხორციელებულ ზეწოლასაც ადასტურებს. წმ. ესტატეს ეკლესიის მრევლის ერთ-ერთმა რუსმა წევრმა ოზაკომს იღუმენიას მხრიდან მონასტრის ძარცვის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და მისი მოშორება ითხ-

ოვა. შემდეგ პოზიცია შეიცვალა და თავდაპირველი აზრი განცხადების დაწერისას მომხდარ გაუგებრობას მიაწერა (იმ პირის სიმთვრალეს, ვინც მის ნაკარნახებ ტექსტს იწერდა) (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 228: 21-22, 24, 25-27). მსგავსმა გარემოებებმა, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო საქართველოს ეკლესიისათვის ეკლესია-მონასტრების, კუთვნილი დაწესებულებებისა და სხვა ქონების დაბრუნების გაჭიანურებას.

განხილული მასალის საფუძველზე ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის დამოკიდებულებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ფაქტობრივად განხორციელების საკითხისადმი, ზოგადად, დადებითად ვაფასებ. ახლად აღდგენილი ეკლესიისადმი მისი მხარდაჭერა, რა თქმა უნდა, სასურველისაგან შორს იყო, თუმცა ბევრის მეტყველია ოზაკომისა და, კერძოდ, აკაკი ჩხენკელისადმი საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრთა იმედიანი დამოკიდებულება.

აკაკი ჩხენკელი ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის საქმის მიმართ გაცილებით მეტ ყურადღებას იჩენდა, ვიდრე ეს მას, როგორც ახალი მთავრობის მოხელეს ევალებოდა. მეტიც, ოზაკომის ქართველ წევრებს – აკაკი ჩხენკელსა და კიტა აბაშიძეს – ესმოდათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მნიშვნელობა ქვეყნის მომავლისათვის. ეს მათ საქმიანობაში, შეძლებისდაგვარად, ვლინდებოდა.

სტატიაში განხილული მასალა ნათელყოფს, რომ საქართველოს ეკლესიის ინტერესების განხორციელებას ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი ზოგჯერ მიმდინარე მოვლენებისადმი წაყრუებითაც უწყობდა ხელს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად ჩამოყალიბებული აზრის მიხედვით, რომელსაც მეც ვემხრობი, ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი არ იყო დამოუკიდებელი ორგანო. მისი წევრების მოქმედება შეზღუდული იყო პეტროგრადის მთავრობის მიერ და მათ საქართველოს ეკლესიის უფლებათა განხორციელებისთვის თანაგრძნობა, სურვილის შემთხვევაშიც კი, მხოლოდ თავშეკავებულად შეეძლოთ. კომიტეტი ცდილობდა, ვითარება ისე მოეგვარებინა, რომ მხარეში მშვიდობიანობა დაცული ყოფილიყო და არც ცენტრალური მთავრობა გაენაწყენებინა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მიმართ ოზაკომის ქმედებებს საკითხის პოლიტიზება განაპირობებდა. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებას ზოგჯერ კავკასიის საეგზარქოსოს მესვეურნიც გამოთქვამდნენ.

დროებითი მთავრობის რწმუნებულ ბენეშევიჩთან შედარებით ოზაკომის ლოიალური დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიის უფლებათა სრულად განხორციელებისადმი არ შეიძლება აიხსნას აღნიშნულ საკითხში ადგილობრივი ხელისუფლების ნაკლები პასუხისმგებლობით.

„*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცების (1917 წ. 25 ივლისი) შემდეგ კომიტეტი დათანხმდა ავტოკეფალისტთა თხოვნას, ქონების გამიჯვნის საქმეს გასძღოლოდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც იგი პეტროგრადის მთავრობისაგან აღმოჩნდა შეზღუდული. საქართველოს ეკლესიის მხრიდან გამოხატული სურვილი, რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების გამიჯვნას ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი ჩასდგომოდა სათავეში, მის მიმართ გამოცხადებულ ნდობაზე მიუთითებს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. *ამიერკავკასია*, ქსე – *ამიერკავკასია*, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ. 1, 1975.
2. ბენდიანიშვილი, 2001 – ალექსანდრე ბენდიანიშვილი, *საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918–1921 წწ.)*, თბილისი.
3. ბუბულაშვილი, 2022 – ელდარ ბუბულაშვილი, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსების დროს (1811–1917)*, თბილისი.
4. ბურდული, 2012 – გვანცა ბურდული, *საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირებზე*, თბილისი.
5. განჩინებები, 2021 – საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის 1977-2020 წლების სინოდის განჩინებები, საქართველოს საპატრიარქო, 2021.
6. *დებულებანი*, 1917 – *საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა. დებულებანი მიღებული სრულიად საქართველოს 1917 წლის საეკლესიო კრებაზე*, თბილისი.
7. ვადაჭკორია, 1998 – შოთა ვადაჭკორია, *პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917)*, თბილისი.
8. ვარდოსანიძე, 2001 – სერგო ვარდოსანიძე, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917–1952 წლებში*, თბილისი.
9. ვაშაკიძე, 2023 – ვალერი ვაშაკიძე, *კავკასია უძველესი დროიდან ახ. წ. IV ს-მდე*, წიგნში „*კავკასიის ისტორია*“, I, თბილისი.
10. თალაქვაძე, 2013 – დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე, *მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან*, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, გამომც. ლაშა ბაქრაძე, თბილისი.
11. კიკნაძე, 2009 – ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა XIX ს. ქართველი სასულიერო მოღვაწეების შემოქმედებაში, თბილისი.
12. ლიტ. მუზ. არქ., ნ. თალაქვაძის ფ., რვ. 11 – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის არქივი, ნიკიტა თალაქვაძის ფ., რვ. 11.
13. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2023 – მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია, თბილისი.
14. პავლიაშვილი, 2000 – ქეთევან პავლიაშვილი, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917–1921 წლებში*, თბილისი.
15. *ჟურნალები*, 2016 – *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები (1917 წლის 13 მარტი–14 სექტემბერი)*, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა ნინო შიოლაშვილმა და ირინა არაბიძემ, თბილისი.

16. საითიძე, 2005 – გელა (გიორგი) საითიძე, ქართული პოლიტიკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო (1905-1917), თბილისი.
17. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 377 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 377.
18. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 409 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 409.
19. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 431 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 431.
20. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 439 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 439.
21. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6675 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 6675.
22. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6554 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 6554.
23. სეა, სცა, ფ. 1818, აღწ. 1, ს. 139 – საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1818 აღწ. 1, საქმე 139.
24. სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 149 – საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2080, აღწ. 1, საქმე 149.
25. სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 228 – საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2080, აღწ. 1, საქმე 228.
26. სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 230 – საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2080, აღწ. 1, საქმე 230.
27. „*სვეტიცხოველი*“, 1917 – ჟურნალი „*სვეტიცხოველი*“, 1917, №1.
28. ქოქრაშვილი, 2004 – საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი და ქართველი სამღვდელოება (1905-1913 წწ.), კრებული „საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები“, №7, თბილისი.
29. ქოქრაშვილი, 2005 – საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი რუსეთის უწმიდეს სინოდში (1905-1907 წწ.), კრებული „საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები“, №8, თბილისი.
30. შველიძე, 2011 – დიმიტრი შველიძე, *სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია „რევოლუციის ლიკვიდაციის“ პერიოდში (1907–1910 წწ.)*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, თბილისი.
31. შველიძე, 2021 – დიმიტრი შველიძე, *საქართველოს უახლესი ისტორია (1917–2012),* სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, თბილისი.
32. ჭუმბურიძე, 2018 – დოდო ჭუმბურიძე, *აკაკი ჩხენკელი: სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი*, თბილისი.

33. ჯანელიძე, 2003 – ოთარ ჯანელიძე, საქართველოს ეკლესია და პოლიტიკური პარტიები XX საუკუნის პირველ ოცწლეულში, ჟურნალში „*ლოგოსი*“, №1.
34. ჯაფარიძე, 1996 – შორენა ჯაფარიძე, *ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი 1906 წლის სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაზე, კრებული „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“,* II, თბილისი.
35. ჯაფარიძე, 2000 – შორენა ჯაფარიძე, პოლიტიკური პარტიები და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი (1905-1907), *კრებული „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“,* VIII, თბილისი.
36. Деяния, кн. I, 1918 – *Собрание определений и Деяния Священного Собора Православной Российской Церкви 1917-1918 гг.*, книга I, вып. II, Москва, https://azbyka.ru/otechnik/books/original/23605/ptimized.pdf
37. Деяния, кн. II, 1918 – *Собрание определений и Деяния Священного Собора Православной Российской Церкви 1917-1918 гг.*, книга II, Петроград, https://azbyka.ru/otechnik/books/original/23606/Arh%20Sobor%201918-Dejanija02.pdf
38. Деяния, кн. XI, 2000 – *Собрание определений и Деяния Священного Собора Православной Российской Церкви 1917-1918 гг.*, книга XI, Москва, https://azbyka.ru/otechnik/books/original/23615/Arh%20Sobor%201918-Dejanija11.pdf
39. Кузнецов, 2002 – Александр Кузнецов, *Обновленческий раскол в Русской Церкви*, წიგნში „*Обновленческий раскол“ (Материалы для церковно-исторической и канонической характеристики)“*, составитель И. В. Соловьев, Москва.
40. Мамулия, 2013 – Георгий Мамулия, *Электронный сборник – XX век и Россия: общество, реформы, революции*, вып. 1, ч. I, Самара, URL: http://sbornik.lib.smr.ru/
41. Члены Гос. Думы, 1913 – Члены Госсударственной Думы. Портреты и биографии. IV созыв 1912-1917, составитель М. М. Боиович, Москва, https://viewer.rsl.ru/ru/rsl01003800761?page=1&rotate=0&theme=white
42. Чумакова, 2019 – Татьяна Чумакова, Вопрос об *автокефалии Грузинской церкви в 1917 г. (по материалам архива В. Н. Бенешевича)*, ჟურნალში „*Государство, Религия, Церковь в Росси и за рубежом*“, № 1/2 (37).

Transcaucasus Extraordinary Committee in the process of implementing the autocephalous rights of the Church of Georgia

(Based on the Journals of ession of the temporary management of the Church of Georgia, 1917)

In 1917, under the conditions of the February Revolution, the autocephaly of the Church of Georgia, illegally revoked by the Russian Imperial Government was declared restored on March 12. The Church was headed by a temporary management chaired by the Guria-Samegrelo Bishop Leonid (Okropiridze), the locum tenens of the Catholicos-Patriarch of Georgia.

The temporary management expressed solidarity with the new, revolutionary government and notified it about the restoration of the independence of the Church. They presented a declaration to the local government – the Transcaucasus Extraordinary Committee (Ozacom), conveying the goals and objectives of the Church. Ozakom promised to satisfy the request if the March 12 Act did not contradict with Church laws.

The Petrograd Government expressed dissatisfaction with the actions of the Church of Georgia. The issue was given political importance, and in violation of Church Laws, on March 27, they recognized the autocephaly of the Church of Georgia with a national viewpoint. According to the relevant Decree, local authorities could no longer assist the Church of Georgia in the process of exercising its rights. Nevertheless, the participation of Ozakom in the cases of approving the provisions defining the legal status of the Church of Georgia, returning the former house of the Exarch, etc., should be evaluated positively. It is also noteworthy that local Commissars were not representatives of higher authorities, and their rights were limited.

Особый Закавказский комитет в процессе осуществления автокефальных прав Грузинской Церкви

(По журналам заседания Временного Управления Грузинской Церкви, 1917 г.)

В 1811 г. с утверждением Всероссийским императором Александром I проекта реорганизации Иверской Церкви, была упразднена её независимость. Грузинский народ не смирился с подданством России и не прекращал борьбу как за политическую, так и за церковную самостоятельность.

В условиях февральской революции 1917 г. 12 (25) марта автокефалисты провозгласили восстановление независимости Грузинской Церкви. Церковь возглавило Временное Управление под руководством местоблюстителя Католикоса-Патриарха, епископа Гурийско-Мингрельского Леонида (Окропиридзе). Временное Управление представило декларацию новому местному правительству – Особому Закавказскому комитету (ОЗАКОМ), где были отмечены цели и задачи церкви. ОЗАКОМ обещал содействовать, если акт 12 марта не противоречит законам церкви.

Петроградское новое Правительство выразило недовольство действиями представителей Грузинской Церкви. Правительство рассматривало вопрос автокефалии Грузинской Церкви с политической точки зрения. Оно считало это угрозой единству территории бывшей империи, поскольку, согласно церковным канонам, независимая церковь должна быть ограничена государственными границами. Это являлось бы шагом на пути к восстановлению грузинской государственности.

Исходя из этого, в Петрограде с нарушением церковных законов 27 Марта автокефалию грузинской церкви признали по национальному характеру. Местным правителям уже запрещалось содействовать автокефалистам в процессе осуществления прав Грузинской Церкви. Несмотря на этот факт, на основании рассмотренных в статье материалов, участие ОЗАКОМа в процессе осуществления автокефальных прав Грузинской Церкви (утверждение „*основных начал правового положения Грузинской Церкви в русском государстве*“, возвращение бывшего дома Экзарха грузинскому духовенству и другие значимые вопросы) оценивается положительно.

Надо учесть, что местные комиссары не являлись представителями высшего правительства, их права ограничивались из Петрограда. Из-за политизации вопроса независимости Грузинской Церкви, местные власти старались быть сдержаннее. Действиями ОЗАКОМа не всегда были довольны и руководители Кавказского экзархата Русской Православной Церкви.

ვლადიმერ ბენეშევიჩის საქმიანობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის პროცესში (1917 წ.)

1917 წლის თებერვალში რუსეთში მომხდარმა რევოლუციამ იმპერიის საერო და სასულიერო ხელისუფლების დამოკიდებულებისაგან ივერიის ეკლესიის განთავისუფლების პროცესი დააჩქარა. ქართველმა სასულიერო წოდებამ იმავე წლის 12 (25) მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილად გამოაცხადა. ამით წარმატებით დასრულდა 1811 წლიდან ეკლესიის გასათავისუფლებლად ქართველი ერის მიერ წარმოებული ბრძოლის ერთი ეტაპი და დაიწყო – მეორე, რომლის მიზანს მონაპოვრის შენარჩუნება და ავტოკეფალურ უფლებათა ფაქტობრივად განხორციელება წარმოადგენდა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდის (ოქროპირიძე) თავმჯდომარეობით იმავე 12 მარტს ჩამოყალიბებულ საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას მდგომარეობის მთელი სირთულე გაცნობიერებული ჰქონდა. წინააღმდეგობა მოსალოდნელი იყო საერო ხელისუფალთა, რუსეთის ეკლესიისა და რუს მორწმუნეთა მხრიდან.

ავტოკეფალისტები ეკლესიის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად უპირველეს საჭიროებად თვლიდნენ საკათოლიკოსოს საზღვრების დადგენას და რუსეთის თვითმპყრობელი ხელისუფლების მიერ ეკლესიისთვის ჩამორთმეული მამულების რაოდენობისა და ღირებულების განსაზღვრას (*ჟურნალები*, 2016: 21). აღნიშნული ქონება საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საფუძველი უნდა გამხდარიყო (პავლიაშვილი, 2000: 132).

ეკლესიის უფლებათა აღდგენის გზაზე სერიოზული დაბრკოლება შექმნა 27 მარტს პეტროგრადის ხელისუფლების მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ეროვნული ნიშნით აღიარებამ. მთავრობა აღნიშნული აქტით მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონების პრინციპებთან შეუსაბამო ფილეტიზმს ნერგავდა, უარყოფდა ახლად განთავისუფლებული ეკლესიის უფლებების განვრცობას დამოუკიდებლობის დროინდელ საზღვრებში (*ჟურნალები*, 2016: 37).

საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის მხოლოდ ქართველ მართლმადიდებლებზე გავრცელება რუსეთის ახალ მთავრობას ყოფილი იმპერიის საზღვრების ურღვეობის უზრუნველსაყოფად სჭირდებოდა. იმავე 27 მარტის აქტით მთავრობამ ავტოკეფალისტებს დაავალა „*რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის ძირითადი დებულებების*“ შემუშავება, რაც შემდეგ თავადვე უნდა დაემტკიცებინა (*ჟურნალები*, 2016: 37).

ეკლესიის სრულფასოვანი ცხოვრების აღდგენისათვის, მისი უფლებების განსაზღვრასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ყოფილი საეგზარქოსოს ტერიტორიაზე ქართველებისა და რუსების საეკლესიო ინტერესთა შეთანხმებას. ამ მიზნით დროებითმა მთავრობამ თბილისში თავის რწმუნებულად პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ბენეშევიჩი მოავლინა.

პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი ბენეშევიჩი ქართულ წრეებში ცნობილი იყო *„როგორც საუკეთესო კანონისტი და კარგი მიმართულების ადამიანი“* (*ჟურნალები*, 2016: 143). ასეთი პიროვნების დანიშვნა დამოუკიდებლობა აღდგენილი ეკლესიის საქმეების მომგვარებლად ავტოკეფალისტებს იმედებით აღავსებდა. ივანე ჯავახიშვილი წერდა: *„ბენეშევიჩი კარგი კაცია, ჩვენ თანაგვიგრძნობს... უნდა კარგა დაუხვდეს ქართველი სამღვდელოება და საზოგადოება“* (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივანე ჯავახიშვილის ფ., ს. 1375: 2).

ჯერ კიდევ პეტროგრადიდან გამომგზავრებამდე პროფესორმა ბენეშევიჩმა მონაწილეობა მიიღო სინოდის ობერპროკურორ ვლადიმერ ლვოვთან პეტროგრადში მცხოვრები ქართველების მოლაპარაკებებში. ამ მოლაპარაკებათა შედეგს წარმოადგენდა ბენეშევიჩის, ნიკო მარისა და კანონისტ მეცნიერთა მიერ შემუშავებული დეკლარაციის ის სახე, რომელიც მთავრობამ 27 მარტს გამოაქვეყნა. ამის შესახებ საქართველოში ხმები პეტროგრადიდან არაოფიციალური წყაროებით გავრცელდა.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, საქართველოს ეკლესიის ინტერესებს ვერც 27 მარტის აქტი უზრუნველყოფდა, მაგრამ დროებით მთავრობასთან არსებული იურიდიული კომისიის დასკვნას მაინც სჯობდა (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივანე ჯავახიშვილის ფ. ს. 1375: 1).

პროფ. ბენეშევიჩის საქმიანობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან მიმართებაში ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულყოფილად შესწავლილი არ არის. წინამდებარე სტატია აღნიშნული ხარვეზის შევსების მცდელობას წარმოადგენს.

ბენეშევიჩის მეთაურობით ჩამოყალიბებულ კომისიას რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელი ან რუს-ქართველთა საეკლესიო ქონების გამმიჯვნელი კომისია ეწოდებოდა; თავმჯდომარეს კი – დროებითი მთავრობის რწმუნებული საქართველოს საეკლესიო საქმეთათვის. ავტოკეფალისტები მას საქართველოს საეკლესიო საქმეთა გადამწყვეტ კომისარსაც უწოდებდნენ.

რუს-ქართველთა ინტერესების გამიჯვნის გარდა ბენეშევიჩის მოვალეობას *„ძირითადი დებულებების“* დამტკიცებისთვის ხელის შეწყობა და ცხოვრებაში გატარების უზრუნველყოფა შეადგენდა (*ჟურნალები*,

2016: 52, 99). მისი კომპეტენციის შესახებ ქართული მხარე სრულად ინფორმირებული არ იყო. თანადროულ წყაროებში ხშირადაა ამასთან დაკავშირებული კითხვები.

ვრცლად ბენეშევიჩის უფლება-მოვალეობანი არც პეტროგრადში მიცემულ ინსტრუქციაშია[1] ჩამოყალიბებული, მაგრამ მასში საქართველოს ეკლესიისთვის დროებითი მთავრობის მიერ მიცემული ზოგიერთი უფლებაა დაფიქსირებული. ისეთი უფლებები, რომელთა შესახებ ინფორმაცია არ დასტურდება არც დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალებში და არც ჩემთვის აქამდე ცნობილ სხვა წყაროებსა და ლიტერატურაში.

ნიშანდობლივია, რომ პეტროგრადიდან არაოფიციალური წყაროები გამოუქვეყნებელი ინსტრუქციების არსებობის შესახებ იტყობინებოდნენ (ჟურნალები, 2016: 43). განსახილველი ინსტრუქციაც მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ.

დოკუმენტის მიხედვით ბენეშევიჩი დროებითი მთავრობის მიერ „*რწმუნებულად დანიშნული იყო საქართველოს ეკლესიაში ავტოკეფალურ საწყისებზე ახალი წყობის უსწრაფესად დამყარების ხელშეწყობისთვის*“. მასვე ჰქონდა დავალებული ქართულ მხარესთან ერთად „*ძირითადი დებულებების*“ შემუშავება და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გამო სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან[2] მისი შესაძლო უთანხმოების აღკვეთა. ბენეშევიჩს მოქმედება ევალებოდა დროებითი მთავრობის საერთო დადგენილებებითა და ამავე ინსტრუქციაში მოცემული „*საქართველოს ეკლესიის მოწყობის ძირითადი დებულებებით*“ (Чумакова, 2019: 195-196).

„დებულებებით“ საქართველოს ეკლესიას შეეძლო თავისუფლად გადაეწყვიტა დოგმატური, კანონიკური, ლიტურგიკული და საეკლესიო დისციპლინის საკითხები; განეხორციელებინა ცვლილებები სასულიერო პირთა შტატებში, ასევე თავის საეპარქიო და ცენტრალურ დაწესებულებებში; გაეხსნა და მოეწყო სამრევლოები, საეკლესიო-პროფესიული და საეკლესიო-საქველმოქმედო დაწესებულებები; საეკლესიო საკითხებზე ჰქონოდა თავისუფალი ურთიერთობა რუსეთის სახელმწიფოს გარეთ არსებულ სხვა ეკლესიებთან.

იქვე იყო განსაზღვრული სახელმწიფო ხელისუფლების კომპეტენციას დაქვემდებარებული საკითხებიც. კერძოდ, კათოლიკოსი მას უნდა

1. იგი ბენეშევიჩის არქივიდან 2019 წელს გამოაქვეყნა მკვლევარმა ტატიანა ჩუმაკოვამ (Чумакова, 2019: 195-196).

2. აქ „*სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებში*“ იგულისხმება საქართველოს ყოფილი საეგზარქოსოს ტერიტორიაზე არსებული ეკლესიები ან სამრევლოები, რომლებიც არაქართველი მართლმადიდებლებით იყო წარმოდგენილი. „*რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ არსებულ სხვა ეკლესიებთან*“ ურთიერთობას დებულებების ცალკე პუნქტი განსაზღვრავს (იქვე, 196).

დაემტკიცებინა; საეკლესიო-სამრევლო სკოლები, რომლებშიც სწავლება ქართულად წარიმართებოდა, თავიანთი „*კულტურული აყვავების ინტერესებიდან გამომდინარე*“, სახელმწიფო კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა; დროებით მთავრობასთან საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა ობერპროკურორის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო; ადგილობრივი ეკლესიის ყველაზე მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენდა თბილისის გამოცხადება რუსი მღვდელმთავრის საკათედრო ქალაქად (Чумакова, 2019: 196).

ერთი მხრივ, მსოფლიო საეკლესიო კრებების კანონების[1] თანახმად, რომლებიც ერთ ქალაქში ორი ეპისკოპოსის მღვდელმთავრობას კრძალავს და მეორე მხრივ, ინსტრუქციის ამ უკანასკნელი მოთხოვნის გათვალისწინებით, საქართველოს ეკლესიას თბილელი მღვდელმთავარი ვეღარ ეყოლებოდა.

თბილისში მუშაობისას ბენეშევიჩი შეეცადა საქართველოს ეკლესიისთვის აღნიშნული ინსტრუქციით მინიჭებული ისედაც შეზღუდული უფლებები კიდევ უფრო შეზღუდულად განეხორციელებინა.

ბენეშევიჩის თავმჯდომარეობით მოქმედი კომისიის მუშაობაში ქართველთაგან მონაწილეობდნენ: ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), დეკანოზები – კორნელი კეკელიძე, ნიკიტა თალაქვაძე, კალისტრატე ცინცაძე, გიორგი გამრეკელი, მღვდლები – ქრისტეფორე ციცქიშვილი და ალექსი მიქელაძე, საერო პირები – ექვთიმე თაყაიშვილი, სერგი გორგაძე, მოსე ჯანაშვილი, ვასილ ბარნოვი, სოფრომ მგალობლიშვილი, დავით ნახუცრიშვილი (*ჟურნალები*, 2016: 53, 76, 132).

საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ მასალების მომზადება ჯერ კიდევ მთავრობის რწმუნებულის თბილისში ჩამოსვლამდე დაიწყო, რათა შემდეგ შემთანხმებელი კომისიის მუშაობა არ შეფერხებულიყო. ცნობები იკრიბებოდა ყოფილ საეგზარქოსოში ტაძრების, სასწავლებლების, მართლმადიდებელთა, მ. შ. მოსწავლეთა, რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის განსასაზღვრად; სხვადასხვა საეკლესიო დაწესებულების ფინანსური უზრუნველყოფის წყაროების, მათ შენობათა კუთვნილების დასადგენად.

კომისიის ფუნქციას თავმჯდომარე ასე აყალიბებდა: კომისიას ეწოდება „*შემთანხმებელი*“, მაგრამ აქვს სათათბირო ხასიათი. ჩვენ ხმის მიცემას არ ვაწარმოებთ და გადაწყვეტილებები არ გამოგვაქვს. საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა აზრი კომისიისთვის ფასეულია და მხედველობაში მიიღება დროებით მმართველობასთან მათი სისტემატური კონსულტაციის გარეშე. აქ შესრულებული სამუშაო იქნება მასალა

1. I მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8, IV მსოფლიო საეკლესიო კრების მე-12, კონსტანტინოპოლის ორგზისი კრების მე-16 კანონები.

საკითხის შესახებ მომავალი მსჯელობისთვის (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 5, 45, 46, 47).

ბენეშევიჩის საქართველოში ჩამოსვლისას ავტოკეფალისტებს ჯერ კიდევ ჰქონდათ იმედი მთავრობის 27 მარტის დადგენილებაში ცვლილების შეტანის, ეკლესიის უფლებათა სრული სახით აღდგენისა. ეკლესიის მმართველმა ორგანომ ერთხმად გადაწყვიტა – კომისიას შეძლებისდაგვარად დაეცვა ავტოკეფალიის ტერიტორიული პრინციპი. მიზნის მიუღწევლობის შემთხვევაში მას უნდა დაეფიქსირებინა, რომ „*დროებითი მმართველობა ემორჩილება მხოლოდ ძალას და უნებლიეთ კისრულობს ექსტერიტორიალურს – ეროვნულს ავტოკეფალიას, თუმცა პასუხისმგებლობა ისტორიისა და მსოფლიო ეკლესიის წინაშე დაედება რუსის ეკლესიას*“ (*ჟურნალები*, 2016: 52-53).

ბენეშევიჩთან კომისიის წევრების პირველივე ვიზიტის შედეგად აღმოჩნდა, რომ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე შეთანხმება ვერ ხერხდებოდა:

– მთავრობის რწმუნებულის წინადადებით, საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმების მიუხედავად, ავტოკეფალიასთან დაკავშირებული საკითხების საბოლოო გადაწყვეტამდე ეკლესიის მართვა-გამგეობა ძველებურად უნდა წარმართულიყო. ქართული მხარე მოითხოვდა, ყოფილ ეგზარქოსს, მთავარეპისკოპოს პლატონს (1915-1917, როჟდესტვენსკი) საქმეების მართვა-გამგეობის უფლება აღარ ჰქონოდა; ეკლესიის მეთაურის ფუნქციები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრესა და დროებით მმართველობას გადასცემოდა.

– ბენეშევიჩი 27 მარტის დადგენილებიდან გადახვევის, ტერიტორიული ავტოკეფალიის განხორციელების შესაძლებლობას უარყოფდა და ქართველთა მხრიდან წინააღმდეგობის შემთხვევაში პეტროგრადში დაბრუნებას აპირებდა. მან განაცხადა, რომ „*საკითხს არჩევს არა ისე, როგორც კანონისტი, არამედ როგორც მთავრობისაგან გამოგზავნილი მოხელე, აგენტი*“ (*ჟურნალები*, 2016: 66).

ამავე დროს ბენეშევიჩის გამონათქვამია, რომ „ავტოკეფალია *თავისი არსით, პირველ რიგში, ეკლესიური აქტია და მხოლოდ შემდეგ – სახელმწიფოებრივი*“, საიდან გამომდინარეც ის ქართველებს დამოუკიდებლობის აღდგენის გზას უწუნებდა (Чумакова, 2019: 189-190). ის უგულებელყოფდა გარემოებებს, რომლებშიც ივერიის ეკლესიის ავტოკეფალური მმართველობა გაუქმდა და, რომ 1917 წლის 12 მარტისთვის მისი მშვიდობიანად აღდგენის შესაძლებლობა ამოწურული იყო. პროფესორის აღნიშნული მოსაზრებანი დასტურია, რომ ის საქართველოში მხოლოდ რუსეთის დროებითი მთავრობის ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებდა.

საკითხის განხილვების შედეგად ორივე მხარემ არსებული სიტუაციიდან გამოსავალი გამიჯვნის დაჩქარებაში დაინახა (*ჟურნალები*, 2016: 65-66).

თბილისში ჩამოსვლის დღიდან „საეკლესიო საქმეთა კომისარი“[1] ყოველ შესაძლო შემთხვევაში ცდილობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ფაქტის უგულებელყოფას. საქართველოს ყოფილი საეგზარქოსოს ყველა დაწესებულების ძველ მდგომარეობაში დარჩენისა და ძველი კანონებით მართვის მოთხოვნას ის საქართველოსა და რუსეთის ეკლესიათა საქმიანობის სფეროების სწრაფი, სწორი და უმტკივნეულო გამიჯვნის ინტერესებთან აკავშირებდა. ეს ნიშნავდა, რომ დროებით საქართველოს ეკლესია კვლავ ყოფილ ეგზარქოს პლატონს უნდა დაქვემდებარებოდა (*ჟურნალები*, 2016: 72-73).

ბენეშევიჩმა ადგილობრივი ეკლესიისთვის სასიკეთო ნაბიჯების გადადგმამდე, რასაც ავტოკეფალისტები იმედოვნებდნენ, მისი უფლებების შეკვეცა დაიწყო.

შექმნილი ვითარების შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ დროებით მმართველობას ტერიტორიული ავტოკეფალიის დასაცავად ძალა არ შესწევდა, ამიტომ ეროვნულ პრინციპს იძულებით დათანხმდა. ბენეშევიჩს ეცნობა, რომ მმართველობა ამის შემდეგ უკან აღარ დაიხევდა და რასაც თმობდა, მხოლოდ იმ იმედით, რომ სხვა შემთხვევაში მის სამართლიან მოთხოვნებსა და უფლებებს აღარ შეზღუდავდნენ (*ჟურნალები*, 2016: 68, 71).

არსებულ ვითარებაში ეს ნაბიჯი გამართლებული იყო პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების შეხედულებითაც. ისინი იმედოვნებდნენ, თუ საქართველო მომავალში პოლიტიკურად ავტონომიური გახდებოდა, საეკლესიო საქმე თავისთავად მოგვარდებოდა (*ჟურნალები*, 2016: 70).

17 აპრილს ბენეშევიჩმა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ შემუშავებული „*ძირითადი დებულებანი*“ მოიწონა და პეტროგრადში 18 აპრილს გადაგზავნა.

„*დებულებები*“, ზოგადად, ავტოკეფალიის ეროვნული პრინციპის გათვალისწინებით იყო შემუშავებული, მაგრამ იქვე იყო განმარტებული, რომ ეს იძულებით ნაბიჯს წარმოადგენდა: „*საქართველოს ეკლესია შეუძლებლად სთვლის თავისთვის ანგარიში არ გაუწიოს დროებითის მთავრობის გარდაწყვეტილებას, რომელმაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლებები აღდგენილად სცნო ეროვნულს საფუძველზე, რის წინააღმდეგაც უკვე დეპეშით პროტესტი გაიგზავნა საქართვე-*

1. ქართველები ბენეშევიჩს კომისარს ოფიციალურ დოკუმენტებშიც უწოდებდნენ. ოზაკომის წევრი აკაკი ჩხენკელიც აღნიშნავდა, რომ ბენეშევიჩი ისეთივე წარმომადგენელი იყო დროებითი მთავრობისა, როგორიც ადგილობრივი ხელისუფალნი (ჟურნალები, 2016: 102, 105).

ლოს ეკლესიის დროებითის მმართველობისაგან ამა წლის 29 მარტს; იგი იძულებულია დაუთმოს ამ გარდაწყვეტილებას, მაგრამ თავის მხრივ არ ტვირთულობს არავითარს პასუხისმგებლობას ისტორიისა და მსოფლიო ეკლესიის მსჯავრის წინაშე იმ ანტიკანონიურის პრინციპის შემოტანისათვის, რომელიც შეერთებულია მრავალს პრაქტიკულის ხასიათის უხერხულობასთან და თანაც სანქციას აძლევს მართლმადიდებლობითის ეკლესიის მიერ უარყოფილს ფილეტიზმს“ (*ჟურნალები*, 2016: 79).

აღნიშნული განმარტების მიუხედავად „*ძირითადი დებულებების*“ რამდენიმე პარაგრაფი ავტოკეფალიის ეროვნული პრინციპისაგან სამართლიან გადახვევას წარმოადგენდა. კერძოდ, ეროვნული ავტოკეფალიის უარყოფითი შედეგების შესამსუბუქებლად, §1-ის შენიშვნით „*მრევლებს აფხაზებისა და ამიერკავკასიის ოსების, რომელთაც ქართველებთან ერთად განუყოფელის საეკლესიო-ისტორიულის ცხოვრებით უცხოვრნიათ*“, საქართველოს ეკლესია თავის შემადგენლობაში შესვლას სთავაზობდა (*ჟურნალები*, 2016: 75, 77-79).

ეკლესიის ეროვნული ნიშნით დაყოფა უარყოფილია საჭეთმპყრობლის წოდებაში: „*მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და ტფილისისა, სრულიად საქართველოჲსა კათალიკოზ-პატრიარქი*“ (§4). მის საცხოვრებელ ადგილად თბილისია დასახელებული (§7).

ოზაკომისთვის წარდგენილი დეკლარაციების მსგავსად ავტოკეფალისტებმა „*დებულებებშიც*“ ჩაწერეს, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სახელმწიფოში რუსეთის ეკლესიის თანაბარი იურიდიული მდგომარეობა უნდა ჰქონოდა (§9). აღნიშნულ პუნქტს რუსეთის ეკლესიისაგან დამოუკიდებლობის საფუძველი უნდა გაემყარებინა. იქვე ეკლესიის დროებითი მმართველობა მთავრობას შეახსენებდა საქართველოს ეკლესიისთვის ჩამორთმეული და რუსეთის სახელმწიფო ხაზინაში გადარიცხული ქონების შესახებ. „*ხაზინაში გადასულ საეკლესიო ქონებათათვის საქართველოს ეკლესია დაკმაყოფილებული უნდა იყოს იმ სახით, რომელიც შემუშავებულ იქნება მის და სახელმწიფო მთავრობის შორის საურთიერთო შეთანხმებით*“ (§10-ის შენიშვნა) (*ჟურნალები*, 2016: 25, 32, 78-79).

ბენეშევიჩის მიერ დოკუმენტის მოწონება არ ნიშნავდა, რომ ის ყველა პარაგრაფს იზიარებდა და ავტოკეფალისტთა მხრიდან კომპრომისი საკმარისი იყო. თუმცა „*ძირითადი დებულებების*“ შემუშავებითა და პეტროგრადში გადაგზავნით მნიშვნელოვანი სამუშაო შესრულდა.

მთავრობის რწმუნებულის აზრით, „*დებულებათა*“ დამტკიცებამდე საჭირო იყო, რუსებსა და ქართველებს ქონებისა და დაწესებულებების კუთვნილების დამადასტურებელი საბუთები შეეგროვებინათ და შემდეგ ერთობლივად განეხილათ. შერეულ (ქართულ-რუსულ) დაწესებულებათა

ხელმძღვანელად ბენეშევიჩმა ისევ მთავარეპისკოპოსი პლატონი დაასახელა; ქართველთა მხრიდან უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად კი ამ დაწესებულებათა მართვა-გამგეობისთვის კოლეგიის დაარსების შესაძლებლობასაც განიხილავდა (*ჟურნალები*: 75-76).

ავტოკეფალისტებს ბენეშევიჩმა 19 აპრილს კიდევ ერთხელ გაუცრუა იმედები, როცა ეგზარქოსთა ყოფილ სახლში თვითონ გადასახლდა მას შემდეგ, რაც ქართველებმა ამ შენობის კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის საცხოვრებლად გადაცემა ითხოვეს. მთავრობის რწმუნებულმა ამ შემთხვევაში *„აშკარად დაარღვია ელემენტარული პირობები, რომლის გათვალისწინებითაც მის მიერ ნეიტრალური პოზიციის დაკავება და ობიექტური არბიტრობა ეჭვის ქვეშ დადგა“* (*ჟურნალები*, 2016: 81; საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6489: 32).

მკვლევარი ტ. ჩუმაკოვა ბენეშევიჩის ამ ნაბიჯს პრაქტიკული მოსაზრებით ხსნის. მიუთითებს, რომ მისგან ბინის შეცვლის მიზეზი სასტუმრო *„უნივერსალის“* ხმაურიანი გარემო შეიძლებოდა ყოფილიყო (Чумакова, 2019: 192). საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი მოქმედების გასამართლებლად ეს მიზეზი საკმარისად ნამდვილად ვერ ჩაითვლება.

იმავე 19 აპრილს ბენეშევიჩმა ქართული მხარისათვის სრულიად მოულოდნელად პეტროგრადში გამგზავრების შესახებ განაცხადა. საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ დაადგინა, გამგზავრებამდე დარჩენილი დღეების განმავლობაში მასთან კავშირი გაეწყვიტა, რადგან რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების გამმიჯვნელმა მოხელემ თავის მოვალეობებს გადაუხვია.

აღნიშნულთან დაკავშირებით დროებითმა მმართველობამ პეტროგრადში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ლვოვსა და ობერ-პროკურორ ვლადიმერ ლვოვს დეპეშით სთხოვა გამწვავებული რუსულ-ქართული საეკლესიო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად დაუყოვნებლივ გამოეგზავნათ სხვა რწმუნებული. გარდა ამისა, ქართულმა მხარემ საჭიროდ ჩათვალა, ბენეშევიჩის მოქმედებათა შესახებ სამხარეო კომიტეტისთვისაც ეცნობებინა; პირადად მისთვის კი დაპირების დარღვევის გამო განმარტება მოეთხოვა (*ჟურნალები*, 2016: 81-82).

პეტროგრადში გამგზავრების გადაწყვეტილება, როგორც შემდეგ გამოაშკარავდა, დაკავშირებული იყო ბენეშევიჩის სურვილთან – ახლად აღდგენილი ავტოკეფალიის შესახებ თავისი აზრი მთავრობისთვის *„ძირითადი დებულებების“* დამტკიცებამდე მოეხსენებინა. თუმცა თბილისიდან გამგზავრება მან მეორე დღესვე გადაიფიქრა და თავისი ორჭოფობა ასე ახსნა: *„უნდა დავბრუნებულიყავ, რადგან ყველა წამოყენებულ საკითხების გადასაწყვეტად სრული უფლება არა მაქვს მთავრობისაგან, მაგრამ ეხლა გადავიფიქრე წასვლა, სანამ არ გავათავებ მონდობილ*

საქმეს... ამ კომისარიატმა[1] *... არ მირჩია წასვლა და მეც ვიგრძენი, რომ ეს შეცდომა იქნებოდა*" (*ჟურნალები*, 2016: 83).

ქართულ მხარეს გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება, გაეგრძელებინა თუ არა მუშაობა ისეთ „*ნდობადაკარგულ კაცთან, როგორიც აღმოჩნდა პროფესორი ბენეშევიჩი*". ფიქრობდნენ, რომ ის ქართველთა გაწბილებასა და მოტყუებას კიდევ შეეცდებოდა. საბოლოოდ დროებითმა მმართველობამ განაჩინა, მასთან მუშაობაზე შემდეგი პირობით დათანხმებულიყო: კომისიის გადაწყვეტილებები სხდომაზევე შეტანილიყო ოქმში და ხელი ორივე მხარის წარმომადგენლებს მოეწერათ; უდავოდ ქართული და უდავოდ რუსული სამრევლოები და დაწესებულებები შესაბამისი მხარეების განკარგულებაში დაუყოვნებლივ გადასულიყო; შერეულ ეროვნებიანი სამრევლოებისა და დაწესებულებების სამართავად კომიტეტი რუს-ქართველთა თანაბარი შემადგენლობით დაარსებულიყო (*ჟურნალები*, 2016: 83-84).

ბენეშევიჩმა ქართული მხარის მიერ წაყენებულ პირობებს პასუხი არ გასცა და, თავის მხრივ, შემთანხმებელ კომისიაში დროებითი მმართველობის ექვსი წევრის გაგზავნა განმეორებით მოითხოვა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6489: 24).

დროებითმა მმართველობამ 21 აპრილს თავისი წარმომადგენლები კომისიაში მართლაც გაგზავნა. აღმოჩნდა, რომ, ავტოკეფალისტთა პროტესტის მიუხედავად, სხდომაზე დასასწრებად მისული იყო სინოდის კანტორის პროკურორი მიტროფანე პოპოვი. ის თავს ძველ ამპლუაში გრძნობდა, თითქოს საქმე ეხებოდა არა რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების გაყოფას, არამედ საქართველოს ეკლესიის სასამართლო პროცესს. თავმჯდომარეს კრებაზე ასევე მიწვეული ჰყავდა სინოდის კანტორისა და საეგზარქოსო კანცელარიის ოთხი მოხელე. ასეთი შემადგენლობის პირობებში ქართველ წევრებს შეეძლოთ, სხდომაში მონაწილეობა აღარ მიეღოთ, მაგრამ დარჩენა ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვიტეს.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მხრიდან პირველ სხდომაზე გამოცხადდნენ: გორის ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, მღვდლები: ქრისტეფორე ციცქიშვილი, ალექსი მიქელაძე; საეროთაგან: სოფრომ მგალობლიშვილი და დავით ნახუცრიშვილი. რუსულ მხარეს წარმოადგენდნენ თბილისის სასულიერო და საერო პირთა დროებითი აღმასკომის წევრები: დეკანოზი იოსებ ორეხოვი, დეკანოზი ალექსანდრე რაზუმოვსკი, მღვდელი ალექსი ნოგატირევი, ინჟინერი მიხეილ ვინოგრადოვი და სემინარიის მასწავლებელი

1. წყაროში ხშირად ა/კავკასიის განსაკ. კომიტეტის ნაცვლად კომისარიატი იხსენიება.

ვიქტორ ტიხვინსკი.[1]

კომისიის მუშაობის დაწყებამდე ეპისკოპოსმა ანტონმა ბენეშევიჩს მოსთხოვა წერილობითი პასუხი საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მიმართვაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული მხარე შემთანხმებელ კომისიაში მუშაობაზე უარს აცხადებდა. ბენეშევიჩმა განმარტა, რომ პასუხი მოსაყდრისთვის უკვე მიწერილი ჰქონდა, ამასთანავე დაუშვებლად მიიჩნია მისთვის, როგორც დროებითი მთავრობის წარმომადგენლისთვის, პირობების წაყენება და მითითებების მიცემა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 5; იქვე, ს. 6489: 25).

დროებითი მმართველობის წარგზავნილებმა ეპისკოპოს ლეონიდის თანხმობის გარეშე მოქმედების გაგრძელება შეუძლებლად ჩათვალეს და კრება დატოვეს.

ქართული მხარის აზრით, გამმიჯვნელი კომისიის თავმჯდომარემ ზემოაღნიშნული პირობების მიუღებლობით უარი თქვა მისთვის მინიჭებულ უფლებებსა და რწმუნებაზე და მოინდომა პრინციპული საკითხების განხილვისას კომისიის შემადგენელი მხარეები ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინა. იგი ცდილობდა ისეთი პირობების შექმნას, რომ ქართველებისთვის მუშაობა შეუძლებელი გამხდარიყო და ამის გამო პასუხისმგებლობა მათვე დაჰკისრებოდათ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6489: 25).

23 აპრილის სხდომაზე დროებითი მმართველობის წარმომადგენლები აღარ მივიდნენ. ოქმის მიხედვით, ბენეშევიჩმა აღნიშნა, რომ საპატიო მიზეზის გარეშე კრებაზე მათი გამოუცხადებლობა ერთობლივი მუშაობისა და მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის მიმართ პროტესტად იქნებოდა აღქმული. ამ დღეს სხდომას დაესწრნენ ბერძენთა ეროვნული საბჭოს აღმასკომის წარმომადგენელი საერო პირები: ხარლამპ სინგარევსი და კონსტანტინე ნალპანისი (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 5-6).

შემთანხმებელი კომისიის სხდომებში მონაწილეობაზე ქართული მხარის უარმა ბენეშევიჩი შეაშფოთა. მან ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრ აკაკი ჩხენკელს შესჩივლა, ქართველები ულტიმატუმებს მიყენებენო. ჩხენკელმა ბენეშევიჩისათვის წაყენებული პირობები ულტიმატუმად არ ჩათვალა, თუმცა ავტოკეფალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ შესაძლო იყო, მიმართვის ფორმა სხვაგვარი ყოფილიყო (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 8).

აკაკი ჩხენკელმა მთავრობის რწმუნებულს სთხოვა, რუს-ქართველთა შორის მშვიდობის გამეფებაზე ეზრუნა, 12 მარტის აქტის უკანონო-

1. დეკანოზი რაზუმოვსკი, მღვდელი ნოგატირევი, საერო პირები: ვინოგრადოვი და ტიხვინსკი შემდეგში თბილისის რუს მართლმადიდებელთაგან სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების (1917-1918 წწ.) წევრებად იყვნენ არჩეული (*Деяния*, кн. I, 1918: 65, 80, 91). ტიხვინსკიმ 1917 წ. 21 ოქტომბერს პირადი განცხადებით მოიხსნა რწმუნება (იქვე: 330).

ბაზე აღარ ელაპარაკა. დროებითი მმართველობის წარმომადგენლებს კი ურჩია, მუშაობა გაეგრძელებინათ და თუ ბენეშევიჩი ისევ „*უსწორ-მასწორობას*“ იკადრებდა, მისთვის შეეტყობინებინათ (*ჟურნალები*, 2016: 85-86).

დროებითმა მმართველობამ ბენეშევიჩთან მუშაობის გაგრძელების შესახებ პოლიტიკურ პარტიათა სხვა წარმომადგენლების აზრიც გაითვალისწინა და ხმათა უმრავლესობით შერიგება არჩია.

შერეული კომისიის სამუშაო სხდომა 26 აპრილს შედგა. ქართველებმა რუსთა მხარეს ბერძენთა ორი წარმომადგენლის დამატების გამო თავისი შემადგენლობის გაზრდა და კრებაზე მხოლოდ კომისიის წევრთა დასწრება მოითხოვეს.

დროებითი მმართველობა განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა კომისიის სხდომებში პროკურორ პოპოვის მონაწილეობას. ავტოკეფალისტებს ახსოვდათ საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული მისი ქმედებანი. მათი აზრით, კომისიის ამოცანა – მხარეთა შეთანხმება – პროკურორის დასწრებას არ საჭიროებდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6489: 25-26; იქვე, აღწ. 1, ს. 323: 8; *ჟურნალები*, 2016: 92).

თავმჯდომარემ კომისიის წევრთა რაოდენობის გაზრდის მოთხოვნა უარყო; ახლად დანიშნული მდივანი სოფრომ მგალობლიშვილი გააფრთხილა, რომ ოქმები მდივანთა ურთიერთშეთანხმებით მხოლოდ რუსულად უნდა შედგენილიყო; სხდომაზე პოპოვის დასწრება კი იმით გაამართლა, რომ მას საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა ცნობის მიწოდება შეეძლო (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 8-9).

ქართულმა მხარემ მოითხოვა, ოქმში აღნიშნულიყო თავმჯდომარის განცხადება, რომ პოპოვი მიწვეული იყო, როგორც „*მისთვის სასარგებლო პირი*“, და ამ საკითხთან დაკავშირებით ბენეშევიჩს პასუხი დროებითი მმართველობისთვის წერილობით ეცნობებინა. დეკანოზმა ნიკიტა თალაქვაძემ პოპოვის დასწრების შემთხვევაში ოქმების ხელმოწერაზე უარი განაცხადა. მიუხედავად ქართული მხარის ასეთი წინააღმდეგობისა, პროკურორი პოპოვი „*თავმჯდომარის მიწვევით*“ შემთანხმებელი კომისიის თითქმის ყველა სხდომას ესწრებოდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 8, 18, 22 28, 32, 56, 58, 68, 84, 87). კომისიის მუშაობის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებ.

ავტოკეფალისტები თავიანთი მოთმინების კიდევ ერთ გამოცდად თვლიდნენ ბენეშევიჩის 2 მაისით დათარიღებულ წერილს. მასში დასმული კითხვები შეეხებოდა 12 მარტის აქტის რაობას; ავტოკეფალიის აღდგენილად გამოცხადების პროცესზე დასასწრებად კრებულისა და საეროთა წარმომადგენლების არჩევის დროსა და ვითარებას; მასში არაქართველ მართლმადიდებელთა მონაწილეობას; საქართველოს

ეკლესიისადმი იერარქიისა და კრებულის წევრთა მიკუთვნების პრინციპს; რუსულ საეკლესიო ხელისუფლებასთან მომავალ ურთიერთობას; კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრისა და დროებითი მმართველობის არჩევნებს.

შემთანხმებელი კომისიის თავმჯდომარე მიუთითებდა, რომ აღნიშნულ საკითხებზე პასუხი ნათელს მოჰფენდა მისადმი ქართველი საზოგადოების უკმაყოფილების მიზეზებს და თვითონ მას საქართველოს ეკლესიის იურიდიულ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ დროებითი მთავრობისთვის მოხსენების დაწერისას გამოადგებოდა. 12 მარტს სვეტიცხოველში დამსწრეთა არჩევნების ბიულეტენების ნიმუშები, ოქმთა წარმოების პრინციპები, ინფორმაცია არჩევნების მსვლელობის შესახებ კი უწმ. სინოდის ობერპროკურორს რუსეთის ეკლესიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით გაუწევდა სამსახურს (*ჟურნალები*, 2016: 98-99).

არა მარტო საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ, არამედ ქართველმა მორწმუნე საზოგადოებამაც ჩათვალა, რომ ბენეშევიჩის წერილი 12 მარტის აქტისა და 27 მარტის დეკლარაციის ანულირებისკენ იყო მიმართული. გაზეთებში: „*საქართველო*“, „*სახალხო ფურცელი*“, „*Возрождение*“ („*ვოზროჟდენიე*“) და სხვ. ბენეშევიჩს ბრალს სდებდნენ ყოფილ ეგზარქოს პლატონისაგან რჩევა-დარიგებათა მიღებაში და პროტესტს უცხადებდნენ.[1] მეტიც, ეკლესიის გულშემატკივარნი დროებით მმართველობას მოუწოდებდნენ მთავრობისგან ავტოკეფალიის ეროვნული პრინციპით აღიარებას, უფლებების შეზღუდვას არ დათანხმებოდა („საქართველო“, №89: 1; „საქართველო“, №92: 3; „საქართველო“, №107: 4; „*Возрождение*“, №34: 2-3).

2 მაისის წერილის პასუხში დროებითმა მმართველობამ ბენეშევიჩის საქმიანობით იმედგაცრუება გამოხატა: აღნიშნა, რომ საქართველოს ეკლესიას გაუუფერულდა მისი დანიშვნით გამოწვეული გულწრფელი სიხარული; რომ საქართველოს ეკლესიის არსებობისა და მცხეთის 12 მარტის აქტის კანონზომიერების შესახებ საკითხის დასმა არა მარტო უადგილო, არამედ სახიფათოც იყო. ავტოკეფალისტები წერილის ავტორს განუმარტავდნენ, რომ საქართველოს ეკლესიის არსებობა მოიაზრებოდა მაშინაც, როცა მის სათავეში *ეგზარქოსები* იდგნენ. აღნიშნული საკითხების გარკვევა 27 მარტის დეკლარაციისა და საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობასთან მთავრობის რწმუნებულის თითქმის ერთთვიანი მუშაობის შემდეგ უკვე დამხობილი საეკლესიო რეჟიმის რესტავრაციის მცდელობას წარმოადგენდა.

1. ბენეშევიჩს საქართველოში თავისი საქმიანობის უარყოფითად შეფასების ამსახველი საგაზეთო სტატიები შეუკრებია და თავის არქივში დაუცავს (Чумакова, 2019: 191).

ეკლესიის მმართველი ორგანო ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე ადრესატს ატყობინებდა, რომ თავს იკავებდა შეთავაზებულ კითხვებზე პასუხის გაცემისაგან; იძულებული იყო, მასთან მუშაობა გაეწყვიტა და საქართველოს ეკლესიისთვის საარსებო პირობების შექმნის თხოვნით პეტროგრადის მთავრობისთვის მიემართა (*ჟურნალები*, 2016: 102-103).

ბენეშევიჩისათვის გასაგზავნი წერილის პროექტი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა – აკაკი ჩხენკელმა – მოიწონა, მხოლოდ საჭიროდ ჩათვალა მასთან მუშაობის გაწყვეტის აზრის შეცვლა. მისი აზრითაც შემთანხმებელი კომისიის თავმჯდომარე გამოძიებას აწარმოებდა, რაც მთავრობის მიერ 12 მარტის აქტის დადასტურების შემდეგ დაუშვებელი იყო. ბენეშევიჩის თანამდებობა – *საქართველოს ეკლესიის საქმეთა რწმუნებული* – საქართველოს ეკლესიის არსებობის დასტურად საკმარისი უნდა ყოფილიყო.

ჩხენკელი ეკლესიის წარმომადგენლებს დაეთანხმა ბენეშევიჩისგან მოეთხოვათ შემდეგი: დროებითი მთავრობისთვის დეპეშის გაგზავნა „*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცების დასაჩქარებლად, რომელსაც თუ ბენეშევიჩი მოინდომებდა, ოზაკომიც მოაწერდა ხელს; ადგილზევე დასრულება ქართული მხარისათვის იმ სამრევლოების გადაცემისა, რომლებიც კომისიის მიერ აშკარად ქართულად იყო ცნობილი; ყველა საქმის გასარჩევად და დაწესებულებათა სამართავად ურთიერთშეთანხმებული სქემით მომუშავე რუსულ-ქართული კომისიების დაარსება (*ჟურნალები*, 2016: 105).

9 მაისს ბენეშევიჩმა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე თავად ინახულა. მან თავი იმართლა, რომ წერილში დასახელებული ცნობები სჭირდებოდა ისტორიისა და სინოდის ობერპროკურორისთვის, სხვა განზრახვა არ ჰქონია. აგრეთვე განმარტა, რომ თუნდაც ქართულად მიჩნეული სამრევლოების ქართული მხარისთვის გადაცემა მის უფლებებს აღემატებოდა (*ჟურნალები*, 2016: 106). მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ზემოთ განხილული ინსტრუქციით ნებადართული იყო.

მთავრობის რწმუნებული დროებით მმართველობას მხოლოდ „*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცების თხოვნით დეპეშის გაგზავნაზე დათანხმდა, თუმცა, როგორც თვითონ ირწმუნებოდა, ამის შესახებ მთავრობისთვის უკვე სამჯერ ჰქონდა მიწერილი (*ჟურნალები*, 2016: 105).

მოგვიანებით პეტროგრადში საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის დასაჩქარებლად ჩასული დელეგაციისთვის ცნობილი გახდა ბენეშევიჩის სიყალბე და მისი გავლენა ეკლესიის საქმეთა მსვლელობაზე. აღმოჩნდა, რომ „*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცების შეყოვნება, ნაწილობრივ მაინც, თბილისიდან მის მიერ გაგზავნილი დეპეშის „*დამსახურება*“ იყო. რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების

გამმიჯვნელი კომისიის თავმჯდომარე მთავრობას ატყობინებდა, „*დებულებები*“ მის ჩასვლამდე არ დაემტკიცებინათ. ეს მაშინ, როცა საქართველოში იგი ირწმუნებოდა, ეკლესიის საქმეთა დაჩქარება ხელისუფალთ სამჯერ მაინც შევახსენეო (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 3-4; *ჟურნალები*, 2016: 106, 110; ვარდოსანიძე, 2017: 99).

ბენეშევიჩმა მაისში პეტროგრადში გასამგზავრებლად მზადება ისევ დაიწყო, რის შესახებ აზრი საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობასაც ჰკითხა. მის მიზანს, როგორც თვითონ განმარტა, წარმოადგენდა საკუთარ უფლებამოსილებათა გაფართოებისა და „*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცებისთვის ხელის შეწყობა. ავტოკეფალისტებმა მისი გამგზავრება არასასურველად ჩათვალეს, რადგან მოსალოდნელი იყო, პეტროგრადში საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ყოფილ ეგზარქოს პლატონთან შეთანხმებით ემოქმედა. მათი ძალების გაერთიანება საქართველოს ეკლესიისთვის, რა თქმა უნდა, არასასურველი იყო. მიუხედავად ამისა, დროებითი მმართველობის წევრებმა საქმეში ჩარევაზე უარი განაცხადეს, რადგან იცოდნენ, რომ ბენეშევიჩის გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ მოახდენდნენ (*ჟურნალები*, 2016: 108).

დროებითი მთავრობის რწმუნებულმა გამოთქვა სურვილი, შემთანხმებელ კომისიას მუშაობა მისი წასვლის შემდეგაც განეგრძო. მან შეადგინა „*ამიერკავკასიაში მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველობის საფუძვლების პროექტი*“ („*Проектъ оснований, на которых управляется православная церковь в Закавказ*ъе“), რომელიც საქართველოს ეკლესიის მმართველმა ორგანომ 23 და 26 მაისის სხდომებზე განიხილა (*ჟურნალები*, 2016: 122-125, 126-128).

პროექტის მიხედვით ეკლესიის სამართავად სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორაში უნდა გაერთიანებულიყო ოთხ-ოთხი წევრით დაკომპლექტებული რუსული და ქართული კომისიები. ქართული საქმეების განხილვასა და გადაწყვეტაში ქართველები სრულიად დამოუკიდებელნი იქნებოდნენ. ახალი სამრევლოების გახსნა, ცვლილება შტატებში, ხაზინიდან თანხების გაღება და მსგავსი საკითხები კი სახელმწიფოსა და რუსეთის საეკლესიო ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე ვერ გადაწყდებოდა – იგი ობერპროკურორისთვის უნდა წარედგინათ (*ჟურნალები*, 2016: 123).

ამ შემთხვევაში უგულებელყოფილი იყო ბენეშევიჩისთვის პეტროგრადში მიცემული ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეკლესიას თავისი სამრევლოების შტატებში ცვლილების განხორციელებისა და ახალი სამრევლოების გახსნის საკითხების თავისუფალი გადაწყვეტის უფლება ჰქონდა მინიჭებული (Чумакова, 2019: 196).

ბენეშევიჩის პროექტის მიხედვით, შერეული და სადავო საქმეები ერ-

თობლივად უნდა განხილულიყო ან ურთიერთშეთანხმებით განაწილებულიყო; იმერეთისა და გურია-სამეგრელოს არაქართული სამრევლოებიც უშუალოდ ეგზარქოსს უნდა დაქვემდებარებოდა.

სხდომებისა და საქმის წარმოების ენა როგორც შერეული, ისე მხოლოდ ქართული საქმეებისთვის, რუსული უნდა ყოფილიყო. სინოდის კანტორის პროკურორი, როგორც ობერპროკურორის წარმომადგენელი, სპეციალური ინსტრუქციისა და ცირკულარების საფუძველზე თანამდებობაზე რჩებოდა (*ჟურნალები*, 2016: 123).

ბენეშევიჩის ნააზრევის გაცნობით ავტოკეფალისტებს საბოლოოდ დაეკარგათ იმედი, რომ მის ხელში საქართველოს ეკლესიის საქმეთა მოწყობა სასურველ მიმართულებას მიიღებდა. დროებითი მმართველობის წევრ ს. გორგაძის აზრით, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა პროექტის სათაურშიც კი ასახული არ იყო. მას ავტონომიას სთავაზობდნენ.

ქართულმა მხარემ ეკლესიის უფლებათა დასაცავად საქმეში ისევ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების ჩარევა გადაწყვიტა (*ჟურნალები*, 2016: 126-128). პროექტის შესწორებებით მიღებაზე მათგან თანხმობის მიუხედავად, საბოლოოდ ავტოკეფალისტებმა ის უარყვეს და „*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცების უზრუნველსაყოფად პეტროგრადში დელეგაციის გაგზავნისთვის მზადებას შეუდგნენ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323, 56-57; *ჟურნალები*, 2016: 131-132).

ბენეშევიჩის დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისადმი კარგად გამოჩნდა მისი თავმჯდომარეობით მოქმედი კომისიის მუშაობისას (კომისიის საქმიანობის შესახებ ვრცლად იხ. ირინა არაბიძე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხისათვის (რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელი კომისია, 1917 წ.), შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე II – კონფერენციის მასალები, 2024). კომისიის სხდომის ოქმები მოწმობს მისი მხრიდან საქართველოს ეკლესიის უფლებების რაც შეიძლება მეტად შეკვეცის მცდელობას.

რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელი კომისია თბილისში 1917 წლის 21 აპრილიდან 3 ივნისის ჩათვლით მოქმედებდა. სინოდის კანტორის შენობაში მისი 19 სხდომა გაიმართა. საქმეში დაცულია 17 ოქმის ასლი. ისინი შედგენილია სინოდის კანტორის მდივან ალექსანდრე ალექსანდრეს ძე დავიდოვის (დავითაშვილი) მიერ. ნაკლული ოქმების შესახებ მდივანს აღნიშნული აქვს, რომ 17 მაისის №13 ოქმზე კომისიის წევრებს ხელი არ მოუწერიათ და არც ასლი გაცემულა; 2 ივნისის კრების მდივანი კი იყო ბელიაევი და ოქმი არ შეუდგენია (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 67-68, 86-87).

ოქმებში დავიდოვთან ერთად მდივნებად მოიხსენიებიან: სოფრომ მგალობლიშვილი, დავით ნახუცრიშვილი, მიხეილ ბელიაევი, ალექსი ორნატსკი, იაკობ მარშაკი. დავიდოვის განცხადებით, საქართველოს ეკლესიის მხრიდან შემთანხმებელი კომისიის მდივნებად დასახელებული პირები ოქმების წარმოებას შეუძლებლად თვლიდნენ, არადა, თუნდაც უნებლიე გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად მათგან ოქმების შედგენა აუცილებელი იყო (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 88; „*Кавказский календарь*“, 1916: 389, 758, 759, 762).

შემთანხმებელი კომისიის სხდომების ოქმებს საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობაში მაღალ შეფასებას არ აძლევდნენ. ავტოკეფალისტები აღნიშნავდნენ, რომ ოქმებში არ იყო ასახული საეკლესიო ინტერესთა გაყოფისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე ბევრი ფაქტი და დეტალი, რომელიც სხდომებზე განიხილებოდა (*ჟურნალები*, 2016: 137). ასეთი ნაკლოვანების დროს ქართული მხარე ოქმის კითხვისას, ხელმოწერამდე, წარადგენდა დამატებას, განსაკუთრებულ აზრს ან იქვე აღნიშნავდა მიზეზებს, რის გამოც ოქმს ხელს არ აწერდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 5-6, 89).

ოქმების დამატებებში ან განსაკუთრებულ აზრებში ყურადღება გამახვილებულია ზოგიერთ უსამართლობაზე, რაც სხდომის დროს გამოიკვეთა, მაგრამ მდივანმა არ დააფიქსირა. მაგ.: 26 აპრილის ოქმის კითხვისას მღვდელმა ქრისტეფორე ციცქიშვილმა მოითხოვა დამატების სახით აღენიშნათ სხდომაზე პროფ. ბენეშევიჩის განაცხადი, რომ მას (ბენეშევიჩს) შერეულ და სადავო საქმეთა გადაწყვეტის ერთადერთ შესაძლებლობად სინოდის კანტორის განახლება-შევსება მიაჩნდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 5-6).

იქვე დეკანოზ კალისტრატეს მოთხოვნით დაფიქსირდა კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ოქმში გამოტოვებული იყო. ამ შემთხვევაშიც საქმე ბენეშევიჩის მოსაზრებას ეხებოდა. მას სხდომაზე განუცხადებია, რომ ანჩისხატის ტაძარში მღვდლის შეცვლა ან ქართული ეპარქიისთვის სასულიერო პირის კურთხევა მეუფე პლატონს (როჟდესტვენსკი) უნდა შეესრულებინა, ვისაც დროებითი მთავრობა ჯერ კიდევ საქართველოს ეგზარქოსად იხსენიებდა. ეპისკოპოს ლეონიდს კი ყოველივე ამისთვის მთავარეპისკოპოს პლატონის ნებართვა სჭირდებოდა.

დეკანოზ კალისტრატეს შეკითხვისთვის – მაშინ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება დროებითი მთავრობის მიერ რაშიღა გამოიხატებაო – თავმჯდომარეს პასუხი არ გაუცია (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 5-6).

მთავრობის მოხელის ხსენებული აზრები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის იგნორირებას ნიშნავდა. პროტესტის გამოხატვა

აუცილებელი იყო. ქართულ მხარეს იმედი არ ჰქონდა, რომ ამას შედეგი მოჰყვებოდა, მაგრამ შემთანხმებელი კომისიის თავმჯდომარის მიკერძოებულობა მაინც უნდა დაფიქსირებულიყო. ნაწილობრივ სწორედ ამ გზით გახდა ჩვენთვის ცნობილი ბენეშევიჩის ტენდენციურობა და უსამართლობანი.

ქართველთაგან ოქმების შედგენაზე უარი რუსულად წერის აუცილებლობით შეიძლებოდა ყოფილიყო გამოწვეული, რაც საქართველოს ეკლესიის უფლებებს შელახავდა. ალბათ, გასათვალისწინებელია კომისიის ქართველ და რუს მდივანთა შეთანხმების უპერსპექტივობაც. კომისიის თავმჯდომარე მდივნებისაგან ოქმების სწორედ რუსულად და ურთიერთშეთანხმებით წერას მოითხოვდა (საპატ. არქ., აღ.1, ს. 323: 9).

კომისიაში ა. დავიდოვის მდივნობა თვითონ ბენეშევიჩმა ურთულეს სამუშაოდ შეაფასა და მას დიდი მადლობა გადაუხადა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 88).

საინტერესოა, რა კრიტერიუმებით მსჯელობდნენ სხდომებზე და რა არგუმენტებს აყენებდნენ მხარეები ეკლესია-მონასტრების მესაკუთრეობის დასამტკიცებლად.

ქართველები ძირითადად იყენებდნენ მონაცემებს ტაძრის მშენებლობის ინიციატორთა, ქტიტორთა, სატაძრო მიწის მფლობელთა, მრევლის ეროვნული შემადგენლობისა და საეკლესიო ჩანაწერთა წარმოების ენის შესახებ.

კომისიის რუსი წევრები მსჯელობდნენ მრევლის ეროვნულ შემადგენლობაზე, რუსთა მხრიდან გაღებულ მატერიალურ დანახარჯებსა და ტაძრის არქიტექტურულ ტიპზე. ამ უკანასკნელ არგუმენტს ქართული მხარე იმთავითვე უარყოფდა, რადგან საეგზარქოსოს არსებობის პერიოდში საქართველოში ტაძრები, ქართველთა სურვილის გაუთვალისწინებლად, რუსული სტილით ახლდებოდა და ამ ფაქტის კუთვნილების საფუძვლად გამოყენება უსამართლობა იქნებოდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 65, 67).

შემთანხმებელი კომისიის წევრის, ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, ავტოკეფალიის აღდგენის გამოცხადებასთან ერთად ყველა ქართული სიწმინდე საეგზარქოსოს გამგებლობიდან საქართველოს ეკლესიას უნდა დაჰბრუნებოდა; გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სიძველეთა ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობა; მსჯელობის საგანი შეიძლებოდა გამხდარიყო მეორე მხარის მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილება (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 34, 36, 40, 41-43).

დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ ძველ მონასტერთა მიმართ ქართველების დამოკიდებულების ასახსნელად აღნიშნა, რომ რუსები გულგრილად ვერ შეხვდებოდნენ თავიანთი რომელიმე სიწმინდის განახლებას და იქ არარუსის ჩასახლებას, თუნდაც ის ნანგრევების სახით ყოფილი-

ყო შემორჩენილი. თუ ქართველებმა რუსები მონასტრებში ძმობის გამო შეუშვეს, ეს არ იძლეოდა მათი ფლობის ხანდაზმულობაზე ლაპარაკის უფლებას. მისი აზრითაც, რუსებს მხოლოდ მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილება შეიძლებოდა მოეთხოვათ, მონასტრების ფლობაზე პრეტენზიები არ უნდა განეცხადებინათ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 44).

მონასტერთა კუთვნილების საკითხის ხანგრძლივი განხილვის შედეგად ბენეშევიჩმა ასეთი დასკვნა გამოიტანა: იურიდიულად რუსები აღდგენილი მონასტრების სრულუფლებიანი მესაკუთრენი არიან, მათი მოქმედების კანონიერება უწმ. სინოდის ბრძანებებითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, რაც აშენებულია და შეძენილია რუსების მიერ, იურიდიულად რუსებს ეკუთვნით, მაგრამ ამგვარი მიდგომა გადამწყვეტი ვერ იქნება. მონასტრებს, როგორც ძველ სიწმინდეებს, აქვთ რელიგიური მნიშვნელობა, რაც განსაკუთრებით ფასეულია ქართველებისთვის. ქართველი ხალხის მიერ დაარსებული რელიგიური ცხოვრების ცენტრები – მონასტრები – უნდა ეკუთვნოდეს ქართველებს. ეს ძირითადი პრინციპია. სხვა გარემოებანი (შემონახულია თუ არა ნანგრევები, როდის და ვის მიერ არის აღდგენილი) კარგავენ მნიშვნელობას. თუ მოსახლეობას ახსოვს სიწმინდე, ის მისი რელიგიური ცხოვრების ცენტრია.

ე. ი. ყველა სიწმინდე, როგორც ქართველთა მიერ ჩამოყალიბებული, ქართველებით დასახლებული ადგილების რელიგიური ცენტრი, პრინციპულად ქართველების საკუთრებას წარმოადგენს და გადავა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის საკუთრებაში, მაგრამ ნაგებობები, რომლებიც აშენებულია რუსების მიერ, შეადგენს რუსთა საკუთრებას და იქნება მათ გამგებლობაში (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 44-45).

აქვე აღვნიშნავ, რომ შემთანხმებელი კომისიის სხდომის ოქმებში სადავოთა შორის არ არის დასახელებული არც ერთი ეკლესია ან მონასტერი, რომელიც საქართველოში რუსთა მიერ ახალ ადგილზე იყო დაფუძნებული. ე. ი. ქართულ და რუსულ მხარეებს შორის სადავოდ წარმოდგენილ სიწმინდეთა შორის რუსების მიერ საქართველოში დაარსებული ეკლესია ან მონასტერი განხილული არ არის (მაგ. თბილისის სამხედრო ტაძრის კუთვნილებაზე ქართველებს პრეტენზია არ განუცხადებიათ).

კერძოდ, მონასტერთა კუთვნილების საკითხზე მსჯელობისას გამოვლინდა ორმაგი სტანდარტი, რაც, ზოგადად, ბენეშევიჩის საქართველოში თითქმის ორთვიანი საქმიანობისთვის იყო დამახასიათებელი. ის გადაწყვეტილებებს რუსეთის სახელმწიფოსა და ეკლესიის დიდმპყრობელური ინტერესებიდან გამომდინარე იღებდა და ამასთანავე ქართველი საზოგადოებისაგან თავისი მოქმედებების სამართლიანად მიჩნევას მოითხოვდა.

კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოთქმული მოსაზრებები და მიღებული გადაწყვეტილებები მოწმობენ, რომ იგი არ ითვალისწინებდა ძვე-

ლი რელიგიური ცენტრების განახლებისთვის სახელმწიფო ხაზინიდან გაღებული თანხების საქართველოს საერო თუ საეკლესიო ქონებით უზრუნველყოფის ფაქტს, საიდან გამომდინარეც რუსულ მხარეს მხოლოდ თავის კერძო შეწირულობაზე შეიძლებოდა ჰქონოდა პრეტენზიები.

საქართველოს ეკლესიისთვის მნიშვნელოვან მრავალ საკითხზე, ავტოკეფალისტთა სურვილის მიუხედავად, შემთანხმებელ კომისიას საერთოდ არ უმსჯელია. ბენეშევიჩის განმარტებით, არც შესრულებული სამუშაო იყო საბოლოო და მას უმაღლესი ხელისუფალნი მხოლოდ მასალად გამოიყენებდნენ. ეკლესია-მონასტერთა და საეკლესიო დაწესებულებათა კუთვნილების საკითხის გადაწყვეტამდე მათ მართვა-გამგეობაში არაფერი უნდა შეცვლილიყო (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 46).

რუსულ-ქართული საეკლესიო ინტერესების გაყოფასთან დაკავშირებული მუშაობა ქართველებისთვის ძალიან მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ თავმჯდომარე მათ აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალებას არ აძლევდა, უყვიროდა, როცა მის შეხედულებას ეწინააღმდეგებოდნენ; არც წერილობით მუქარას ერიდებოდა, რომ მათ კომისიის სხდომებზე დასწრების უფლებას მოუსპობდა და სხვ. (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6489: 26).

ძლიერი მორალური ზეწოლის მიუხედავად, საეკლესიო ცხოვრებაში ერთგვარი წესრიგის დასამყარებლად ქართული მხარე კომისიის მუშაობაში ბოლომდე მონაწილეობდა.

1917 წ. 1 ივნისის სხდომაზე ბენეშევიჩმა თავის გამგზავრებასთან დაკავშირებით კომისიის მომავალი საქმიანობა დაგეგმა. მისი აზრით, მუშაობა დროებით ბუნებრივად შეწყდებოდა; ორივე მხარე განიხილავდა ერთობლივად შესრულებულ სამუშაოს; შემდეგ კი თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი სქემით დაიწყებდა მასალის შეგროვებასა და საერთო კრებების რეგულარულად გამართვას (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 84-86).

შემთანხმებელი კომისიის ბოლო, 3 ივნისის სხდომაზე (ოქმი №19), თავმჯდომარემ წარმოადგინა სადავო ეკლესიების სია, რომელთა კუთვნილების დასადგენადაც უნდა დაწყებულიყო მუშაობა აპრილში. ბენეშევიჩმა მიუთითა, რომ სიის შედგენა დაგვიანდა და მასში აღნიშნული ზოგიერთი ტაძრის მფლობელობის საკითხი უკვე გარკვეული იყო.

კრებამ ქართული მხარის წინადადების გათვალისწინებით წარმოდგენილი სია განმარტებებით შეავსო და 26 აპრილის ოქმს დაურთო (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 87-88). სამწუხაროდ ამჟამად ის საქმეში დაცული არ არის.

3 ივნისის ოქმშია თავმჯდომარის მიმართ კომისიის წევრების გამოსამშვიდობებელი მიმართვები. რუსთა სახელით დეკანოზმა იოსებ ორეხოვმა ბენეშევიჩს საქმის ობიექტურად და ყურადღებით წარმოებისთვის დიდი მადლობა გადაუხადა.

საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებმა მთავრობის რწმუნებულის მუშაობით იმედგაცრუება ამ შემთხვევაშიც არ დაფარეს და აღნიშნეს, რომ მან ვერ გაამართლა ქართველი ხალხის იმედები, რომ მისი თავმჯდომარეობით კომისიის მუშაობას საქმე წინ არ წაუწევია, რომ „*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცებისთვის ბენეშევიჩმა თავისი დიდი უფლებამოსილება არ გამოიყენა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 89).

ქართველებმა კომისიის თავმჯდომარეს მშვიდობიანი მგზავრობა უსურვეს და გამოთქვეს რწმენა, რომ ვნებათაღელვას მოშორებული პროფესორი გააკეთებდა იმას, რაც აქამდე უნდა გაეკეთებინა.

ბენეშევიჩმა უპასუხა, რომ ის დარჩა ისეთად, როგორიც იყო და ვინმეს ნდობის მოპოვება მიზნად არ ჰქონია, შეუძლია იმოქმედოს იმ ნდობის საფუძველზე, რომელიც დაიმსახურა, როგორც მეცნიერმა. მან არც მუშაობის ნელი ტემპი აღიარა; ყველაფრის გათვალისწინება რომ ვერ მოხერხდა, მისთვის პეტროგრადში უფლებამოსილების სწრაფი მინიჭებით ახსნა; „*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცება კი საკუთარ უფლებებზე აღმატებულად გამოაცხადა.

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის სანკტ-პეტერბურგის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორ არკადი სოკოლოვის მიერ გამოქვეყნებული სტატია. მას მოხმობილი აქვს მასალა ბენეშევიჩის არქივიდან, სადაც დროებითი მთავრობის რწმუნებული თვითონვე აღიარებს, რომ საქართველოში მისი საქმიანობიდან არაფერი გამოვიდა: „*ძნელია საქმის დაჭერა ქართველებთან, განსაკუთრებით იმიტომაც, რომ მათი ხელი უჭირავს აკაკი ჩხენკელს, რომელიც წარმართავს მთელს ამიერკავკასიის კომიტეტს. ახლა ისე გამოდის, რომ მე წარვმართავ საქმეს, ხოლო მე ქართველები წარმმართავენ. დიდ სიბრძნეს აქედან არ ველი, და ამიტომაც არც არაფერი გამოვიდა აქამდე*“ (Соколов, 2013: 251; დამოწმებული ღაღანიძე, 2021: 256). ე. ი. იგი თავისი საქმიანობის წარუმატებლობას ქართველი ავტოკეფალისტებისა და კომისარ აკაკი ჩხენკელის შეთანხმებული მოქმედებების შედეგად თვლის.

მთავრობის რწმუნებულმა 3 ივნისს გამოსამშვიდობებელ სიტყვაში განსაკუთრებით აღნიშნა გაზეთებში მის წინააღმდეგ მიმართული გამოსვლების შესახებ და საქართველოს ეკლესიის საკითხში საკუთარი საქმიანობის უარყოფითად შეფასება უსამართლობად მიიჩნია. „*თავდასხმების მიუხედავად, ვიყავი ობიექტური და მიუკერძოებელი, არაფერს შეეძლო სწორი გზიდან ჩემი გადახვევა... როგორც მეცნიერი ვარ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დამცველი და ასეთადვე დავრჩები*“ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323: 89).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დამცველად ბენეშევიჩის

ჩათვლა ნამდვილად შეუძლებელი იყო. რეალურად ის საკითხს რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე განიხილავდა და არა კანონიერების თვალსაზრისით, ამას არც მალავდა.

ავტოკეფალისტებს სჯეროდათ და სამართლიანადაც, რომ ბენეშევიჩის უფლებამოსილება გაცილებით ფართო იყო, ვიდრე თვითონ აცხადებდა. ამ მიმართულებით ქართველების ეჭვი პროფესორმა ნიკო მარმაც გააძლიერა. მან 5 ივნისს, საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობაში სტუმრობისას, საქართველოს ეკლესიის საქმეებში მთავრობის რწმუნებულის მოქმედებით გაკვირვება ვერ დამალა.

პროფესორ მარის აზრით, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ბენეშევიჩი თითქოს სხვა პიროვნებად ქცეულა: ორი თვის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია მაშინ, როცა *„მეტად ფართო უფლებები ჰქონდა მონიჭებული. მას ისიც კი შეეძლო, რომ ეხლავე ქართულ–ნაციონალური საშუალო და თვით უმაღლესი (აკადემია) სასწავლებლები დაეარსებინა“* (*ჟურნალები*, 2016: 143).

პეტროგრადში მიცემულ ინსტრუქციაში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების უფლების შესახებ არაფერია ნათქვამი. თუმცა ვფიქრობ, ნიკო მარი საქართველოს საეკლესიო საქმეთა რწმუნებულის სრული უფლებამოსილების შესახებ მართლაც შეიძლებოდა, ყოფილიყო ინფორმირებული, რადგან 27 მარტის აქტის შედგენაში მასთან ერთად მონაწილეობდა და ავტოკეფალიასთან დაკავშირებით მთავრობის მოქმედებებშიც გაცნობიერებული იყო. ფაქტია, რომ ბენეშევიჩი, თავისი უფლებამოსილების მიუხედავად, ივნისის დასაწყისში საქართველოდან ისე წავიდა, ერთი საკითხიც ბოლომდე არ მოუგვარებია.

მთავრობის რწმუნებულის პეტროგრადში გამგზავრებამ „ძირითად დებულებათა“ დამტკიცება ვერ დააჩქარა, მიუხედავად იმისა, რომ ივნისის დასაწყისში მისი მიღება ობერპროკურორს მცირედი შესწორებით უკვე შესაძლებლად მიაჩნდა. ამის შესახებაც დროებითმა მმართველობამ ნიკო მარისაგან შეიტყო. მანვე დაადასტურა საქმის დასაჩქარებლად პეტროგრადში დელეგაციის გაგზავნის საჭიროება (ჟურნალები, 2016: 143).

საქართველოს ეკლესიის დელეგაცია პეტროგრადში 1917 წლის 14 ივნისს ჩავიდა, მაგრამ „ძირითად დებულებათა“ მთავრობისაგან აღიარებამ სასურველი მსვლელობა მაინც ვერ მიიღო. ხელისუფლება ამ საქმეში ჯერ თავისი რწმუნებულის დასკვნას ელოდებოდა, შემდეგ კი ვითარება ივლისის პოლიტიკურმა კრიზისმა გაართულა. პეტროგრადის მთავრობამ საქართველოს ეკლესიის უფლებები 25 ივლისს ბენეშევიჩის მოხსენების საფუძველზე შეკვეცილი სახით დაამტკიცა.

გამართლდა ავტოკეფალისტთა შიში და პეტროგრადის პრესაში

წინასწარ გავრცელებული ინფორმაცია – „*დროებითი წესებით*“ (ასე ეწოდება „*ძირითად დებულებებს*“ მთავრობის ახალ დადგენილებაში) ეკლესიის მეთაურს „*მცხეთის მთავარეპისკოპოსისა და სრულიად ქართველთა კათოლიკოს-პატრიარქის*“ წოდება ჰქონდა მინიჭებული; მის რეზიდენციად და საცხოვრებელ ადგილად თბილისის განსაზღვრა „*წესებიდან*“ ამოღებული იყო.

ადგილობრივი ეკლესიის ურთიერთობა რუსეთის სახელმწიფოს გარეთ არსებულ ავტოკეფალურ ეკლესიებთან აღსარებათა სამინისტროს გარეშე ვერ განხორციელდებოდა; საერთო სამოქალაქო კანონების საფუძველზე საეკლესიო დაწესებულებები იურიდიული პირის უფლებებით ისარგებლებდნენ; თუმცა „*დროებითი წესებში*“ გამოტოვებული იყო „*ძირითადი დებულებების*“ მეცხრე მუხლი, რომლითაც ავტოკეფალისტები მოითხოვდნენ, საქართველოს ეკლესიას სახელმწიფოში რუსეთის ეკლესიის თანაბარი იურიდიული უფლებები ჰქონოდა; ასევე ნახსენები არ იყო ხელისუფლებასთან „*საურთიერთო შეთანხმება*“, რომლის დადებასაც ქართული მხარე რუსეთის სახელმწიფო ხაზინაში გადარიცხული საქართველოს ეკლესიის ქონების საფუძველზე მოითხოვდა. კანონით დადგენილ ფარგლებში სახელმწიფო ხაზინიდან საეკლესიო დაწესებულებებისა და სასულიერო წოდების დაფინანსება შენარჩუნებული იყო (*ჟურნალები*, 2016: 78-79, 216).

„დროებითი *წესებით*“ ეკლესიის საგარეო ურთიერთობების შეზღუდვა პეტროგრადის მთავრობის ახალ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს საეკლესიო საქმეებში მისივე რწმუნებულისთვის მიცემულ ინსტრუქციას. მკვლევარ ტატიანა ჩუმაკოვას მიერ გამოქვეყნებულ ინსტრუქციაში გარკვევით წერია, რომ საქართველოს ეკლესიას რუსეთის სახელმწიფოს გარეთ არსებულ ეკლესიებთან საეკლესიო საკითხებზე დამოუკიდებელი ურთიერთობის უფლება ჰქონდა (Чумакова, 2019: 196).

ავტოკეფალისტებმა, ეკლესიის საჭეთმპყრობლის ახლად დამტკიცებული ტიტულიდან გამომდინარე, თბილისში რუსი მღვდელმთავრის დასმისთვის ხელის შესაშლელად 1917 წ. 13 აგვისტოს თბილისის სამიტროპოლიტო კათედრა აღადგინეს და კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ეპისკოპოსი ლეონიდი ტფილელად აკურთხეს (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 431: 11; „*საქართველო*“, №179: 1, 3).

მსოფლიო საეკლესიო კრებების კანონებით (I მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8, IV კრების მე-12 და სხვ.) რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებს თბილისში მღვდელმთავრის დასმის უფლება აღარ ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, იმავე წლის 13 აგვისტოთი თარიღდება სინოდის მიერ მთავარეპისკოპოს პლატონის მიტროპოლიტის ხარისხში აყვანა და მისი

ტფილელ მიტროპოლიტად წოდება (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 2273: 43, 44; დიდი სჯულისკანონი, 1975: 233, 271-272).

1917 წლის ნოემბერში სინოდის განკარგულებით კავკასიის ეგზარქოსისა და თბილელი მიტროპოლიტის წოდებას ბაქოელიც დაემატა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 2273: 44). ე. ი. საეგზარქოსოს მმართველობის ცენტრად თბილისთან ერთად ბაქოც გამოცხადდა. ვფიქრობ, ეს ქართველების მხრიდან რუსეთის ეკლესიის მღვდელმთავრის თბილელობასთან დაკავშირებით გამოხატული პროტესტის მცირედ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს.

ხელისუფლებამ ავტოკეფალისტების მოთხოვნით რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების გამმიჯვნელი კომისიის თავმჯდომარე შეცვალა. ამ თანამდებობაზე პროფ. ბენეშევიჩის ნაცვლად, პროფ. ბორის ნოლდე[1] დაინიშნა. აღსარებათა მინისტრმა კარტაშევმა კომისიაში სამუშაოდ ქართული მხარის სამი წარმომადგენელი პეტროგრადში დეპეშით მიიწვია (*ჟურნალები*, 2016: 274), მაგრამ საქართველოს ეკლესიას თავისი წევრები იქ არ გაუგზავნია.

კომისიას ჯერ ფორმატი შეეცვალა, ხოლო 1917 წ. ოქტომბერში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შედეგად მისი მუშაობის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა (*Деяния*, кн. II, 1918: 332; Либеровский, 2019, 2019: 659).

ქართველებისა და რუსების საეკლესიო ინტერესების დაპირისპირება დამოუკიდებელ საქართველოშიც გრძელდებოდა. ამას ვერც 1920 წ. 17 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან რესპუბლიკის ტერიტორიაზე კავკასიის საეგზარქოსოს იურისდიქციის გაუქმებამ უშველა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6478: 135).

ბენეშევიჩის საქმიანობა საქართველოს საეკლესიო საქმეთა მომწესრიგებელი მოხელის რანგში ქართველ ავტოკეფალისტთა თვალში გაუტოლდა მთავარეპისკოპოს პლატონის, სინოდის კანტორის პროკურორ მიტროფანე პოპოვისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოწინააღმდეგე სხვა პირების საქმიანობას (*ჟურნალები*, 2016: 192).

იპოლიტე ვართაგავა აღნიშნავდა, რომ ბენეშევიჩმა შემთანხმებელ კომისიაში ქართველი ხალხისა და ეკლესიის მიმართ მტრულად განწყობილი „*ჭეშმარიტ რუსთა კავშირის*“ ცნობილი წევრები შეიყვანა. სხდომები მწვავე დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. განსაკუთრებით ცინიკურად ბენეშევიჩისგან წაქეზებული დეკანოზი სერგი გოროდცევი[2]

1. ბარონი ბორის ნოლდე (1876-1948) – იურისტი, ისტორიკოსი, დიპლომატი.

2. შემდგომში მთავარეპისკოპოსი ბართლომე. 1943 წლისათვის საქართველოს ეკლესიისადმი მისი დამოკიდებულების სასიკეთოდ ცვლილების შესახებ აღნიშნავდა კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 141: 1).

– „*ჭეშმარიტ რუსთა კავშირის თავმჯდომარე*“ – მოქმედებდა (ვართაგავა, 1948: 84).

ბენეშევიჩის არქივში დაცული მასალა მკვლევარ ტ. ჩუმაკოვას იმის თქმის საშუალებას აძლევს, რომ ქართველები მისაგან მეტს მოელოდნენ. ბენეშევიჩს რუსეთის შემადგენლობაში მყოფი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის განხორციელება შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ „*კანონიკური პროცედურების*“ გავლის შემდეგ. პროცედურებში იგულისხმებოდა საკითხის რუსეთის საეკლესიო კრებაზე განხილვა. ის მხოლოდ დროებით მთავრობას არ უნდა გადაეწყვიტა, რადგან საერო ხელისუფალთ კანონიკურ საკითხებში ჩარევის უფლება საერთოდ არ ჰქონდათ. ქართველები კი ფიქრობდნენ, რომ ანტიოქიის ეკლესიისგან მიღებულ ავტოკეფალიას დამტკიცება აღარ სჭირდებოდა და ის საერო ხელისუფლებას მხოლოდ უნდა ეღიარებინა (Чумакова, 2019: 191, 194).

ქართველი ავტოკეფალისტების ამ მოსაზრებას ეხმიანებოდა და მოგვიანებით ამავე ფაქტორზე ამახვილებდა ყურადღებას ქართველი ემიგრანტი იურისტი მიხეილ (ილამაზ) დადეშქელიანი: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია არასოდეს არავისგან გაუქმებულა, მას მხოლოდ საკუთარ უფლებათა ფაქტობრივად განხორციელება შეეზღუდა. საეკლესიო სამართლის თვალსაზრისით ეკლესიას დამოუკიდებელი მართვის უფლება შენარჩუნებული ჰქონდა (დადეშქელიანი, 2011: 6, 18).

ბენეშევიჩის საქართველოში საქმიანობის შეფასებას ქართული მხარე ხშირად უბრუნდებოდა. მაგ. 1918 წლის ივლისში საკათოლიკოსო საბჭოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე შედგენილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნულია, რომ მისი საქართველოში ჩამოსვლა რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელთა მიღწევა იყო. გთავაზობთ ამონარიდს წერილიდან:

„*რუსეთის ეკლესიის ინტერესთა დამცველების... მისწრაფებანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისადმი მათი უარყოფითი დამოკიდებულების გამოძახილია. რადგან საქართველოს ეკლესიაზე ძველი ბატონობის დაბრუნება აღარ შეუძლიათ, ამ უკანასკნელის ქონების გაყოფას და მის ცარიელზე გაშვებას ცდილობენ. რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ 1917 წლის გაზაფხულზე მიაღწიეს საქართველოს ეკლესიის საქმეთა კომისარ ბენეშევიჩის საქართველოში გამოგზავნას. ის ორი თვის მუშაობის შედეგად უკან ხელცარიელი დაბრუნდა, რადგან საქართველოს ეკლესიაში გასაყოფი ვერაფერი ნახა*“ (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6675, 487).

ასეთი შეფასების მიუხედავად, უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველოს ეკლესიის საქმეთა მომწესრიგებელ მოხელედ დანიშვნის მომენტში ბენეშევიჩის იმედი ქართველებსაც ჰქონდათ. არაოფიციალური წყაროებით

წინასწარ შექმნილი განწყობა მას ქართველებისადმი კეთილმოსურნედ წარმოაჩენდა.

იმედები ვერ გამართლდა, საქართველოში საქმიანობის შედეგად ბენეშევიჩი ქართულმა მხარემ გაიცნო, როგორც თავისი მოწინააღმდეგეების მომხრე, თავისი მტერი. ავტოკეფალისტების აზრით, ბენეშევიჩის სახით საქართველოს ეკლესიას საქმე ჰქონდა *„ფრიად საშიშ პიროვნებასთან და სახიფათო მდგომარეობასთან“* (*ჟურნალები*, 2016: 122; საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6489: 19). მან არათუ ხელი არ შეუწყო საქართველოს ეკლესიის უფლებათა სრულად აღდგენას, არამედ თავისი თანამდებობა ავტოკეფალური უფლებების შეზღუდვის დაკანონებისთვის გამოიყენა (ღაღანიძე, 2021: 261-262).

ქართველები იცნობდნენ მას, როგორც მეცნიერს, რომელსაც დიდ პატივს სცემდნენ, მაგრამ საქართველოში საქმიანობისას გაიცნეს, როგორც დროებითი მთავრობის წარმომადგენელი, რომელიც სინოდის რეაქციონერი მოხელის მსგავსად მოქმედებდა (საპატრ. არქ. ს. 6465: 5). თუმცა მოგვიანებით მისი, როგორც მეცნიერის, თანაგრძნობა ქართველებისადმი ივანე ჯავახიშვილის არქივში დაცული წერილებით დასტურდება (ხელნაწ. ეროვნ. ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის ფ., ს. 1630: 1; იქვე, ს. 1626; იქვე, ს. 1628).

ავტოკეფალისტთა და ქართველი საზოგადოების მხრიდან ბენეშევიჩის საქმიანობით უკმაყოფილება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ფაქტის იგნორირებას, სინოდის კანტორის რესტავრაციის მცდელობას, საქართველოს ეკლესიისათვის ავტონომიური უფლებების შეთავაზებას მოჰყვა.

ქართველ მეცნიერებსა და პროფესორ ბენეშევიჩს შორის არსებული კეთილგანწყობის მიუხედავად, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მას რუსეთის იმპერიის საზღვრების შენარჩუნების მსურველი მთავრობის მოხელის პოზიციები არ გადაულახავს, რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების გამიჯვნისთვის სასიკეთო ნაბიჯები არ გადაუდგამს.

პეტროგრადის მთავრობამ მისი მოხსენების საფუძველზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლებები წინასწარ განსაზღვრულზე მეტად შეკვეცა. თუმცა რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელი/გამმიჯვნელი კომისიის თავმჯდომარისათვის გაწეული მედგარი წინააღმდეგობის შედეგად საქართველოს ეკლესიამ აჩვენა, რომ უსამართლობას, თავის უფლებათა დამცრობას არ შეეგუებოდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. დადეშქელიანი, 2011 – ბატონიშვილი ილამაზ დადეშქელიანი, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია (კანონიკურ-სამართლებრივი ანალიზი)*, თარგმნა და კომენტარები დაურთო ვლადიმერ ნარსიამ, თბილისი.
2. ვარდოსანიძე, 2017 – სერგო ვარდოსანიძე, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ასწლოვანი მატიანე (1917-2017)*, თბილისი.
3. ვართაგავა, 1948 – იპოლიტე ვართაგავა, *ჩემი სკოლის ამხანაგები, მოწაფეები და მეგობრები (მოგონებები)*, მანქანაზე ნაბეჭდი სახით დაცულია საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში, თბილისი.
4. პავლიაშვილი, 2000 – ქეთევან პავლიაშვილი, *საქართველოს ეკლესია 1917-1921 წლებში*, თბილისი.
5. *ჟურნალები*, 2016 – *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები (1917 წლის 13 მარტი-14 სექტემბერი)*, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა ნინო შიოლაშვილმა და ირინა არაბიძემ, თბილისი.
6. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 323 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 323.
7. საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 431 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 431.
8. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 2273 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 2273.
9. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6478 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 6478, II საეკლესიო კრება.
10. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6489 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 6489.
11. „*საქართველო*“, №89 – გაზეთი „*საქართველო*“, 26.04.1917, №89.
12. „*საქართველო*“, №92 – გაზეთი „*საქართველო*“, 29.04.1917, №92.
13. „*საქართველო*“, №96 – გაზეთი „*საქართველო*“, 5.05.1917, №96.
14. „*საქართველო*“, №107 – გაზეთი „*საქართველო*“, 20.05.1917, №107.
15. „*საქართველო*“, №179 – გაზეთი „*საქართველო*“, 14.08.1917, №179.
16. ღაღანიძე, 2021 – მერაბ ღაღანიძე, ვლადიმირ ბენეშევიჩი – რუსეთის დროებითი მთავრობის რწმუნებული ტფილისში, კრებული: ლიტერატურა, კულტურა, რელიგია, 2/1, 2010-2019, თბილისი.
17. „*Возрождение*“, №34 – გაზეთი „*Возрождение*“, 21.05.1917, №34.
18. *Деяния*, кн. I, 1918 – *Собрание определений и Деяния Священного Собора Православной Российской Церкви 1917-1918 гг.*, книга I, вып. II, Москва, https://azbyka.ru/otechnik/books/original/23605/ptimized.pdf

19. *Деяния*, кн. II, 1918 – *Собрание определений и Деяния Священного Собора Православной Российской Церкви 1917-1918 гг.*, книга II, Петроград, https://azbyka.ru/otechnik/books/original/23606/Arh%20Sobor%201918-Dejanija02.pdf
20. „*Кавказский календарь*“, 1916 – „*Кавказский календарь на 1917 г.*“, Тифлисъ.
21. Либеровский, 2019 – Е. А. Либеровский, *Платон (Рождественский Порфирий Феодорович)*, *Православная энциклопедия*, т. LVI, Москва.
22. Соколов, 2013 – Аркадий Соколов, “Византинист В. Н. Бенешевич – уполномоченный Временного Правительства по делам Грузинской православной церкви”, Труды Государственного Эрмитажа, [Т.] 69: Византия в контексте мировой культуры, Санкт-Петербург.
23. Чумакова, 2019 – Татьяна Чумакова, *Вопрос об автокефалии Грузинской церкви в 1917 г. (по материалам архива В. Н. Бенешевича)*, ჟურნალში „*Государство, Религия, Церковь в Росси и за рубежом*“, № 1/2 (37).

The activities of Vladimir Beneshevich in the process of restoring the autocephalous rights of the Church of Georgia (1917)

After announcing the restoration of the autocephaly of the Church of Georgia on March 12 (25), 1917, the Petrograd Provisional Government sent Professor Vladimir Beneshevich of Petrograd University as its trustee for the Church of Georgia affairs. He was tasked with developing together with Georgians as for the approval and implementation of „*the basic provisions of the legal status of the Church of Georgia within the Russian State*“, as well responsible for the separation of Russian-Georgian Church interests in former Exarchate of Georgia.

Professor Beneshevich was known in Georgian society „*as the best canonist and a person of good direction*“. After arriving in Tbilisi, he tried to ignore the fact of restoring the autocephaly of the local Church and considered the issue not based on Church Laws, but as a government official.

Eventually, he failed to resolve the dispute related to the division of Church interests threatened the actual exercise of the autocephalous rights of the local Church. Instead of autocephaly, he offered autonomous rights to the Church of Georgia.

Based on Beneshevich’s report, the Basic Regulations were approved by the Provisional Government on July 25 of the same year. In it, the autocephaly of the Church was again recognized from national viewpoint; the „*head shepherd*“ of Georgia was named the Catholicos-Patriarch of All Georgians and he had to have

a chair in Mtskheta. Therefore, the title of Tfileli was defined for russian hierarch.

The activity of Beneshevich as the trustee the Provisional Government for Church of Georgia affairs, based on the reviewed archival materials in the article, is assessed negatively.

Деятельность Владимира Бенешевича в процессе осуществления автокефальных прав Грузинской Церкви (1917 г.)

12 (25) марта 1917 года восстановленную автокефалию Грузинской Церкви, Временное Правительство Петрограда 27 марта признало лишь по национальному характеру. Своим уполномоченным по делам грузинской церкви Временное Правительств**о** назначил проф. Петроградского университета Владимира Бенешевича. Ему поручили размежевание русско-грузинских церковных интересов бывшего Грузинского Экзархата. Он также должен был способствовать утверждению и претворению в жизнь „*основных начал правового положения Грузинской Церкви в русском государстве*“. Решение вопросов, входящих в компетенцию комиссии под председательством Бенешевича, имело решающее значение для Грузинской Церкви.

Грузины были рады назначению Бенешевича. Но, ученый, известный в Петрограде, как „*лучший канонист и человек хорошего направления*“, после приезда в Тбилиси, пытался игнорировать факт восстановления автокефалии Грузинской Церкви. Бенешевич рассматривал вопрос с позиции государственного чиновника, желающего и в новый, революционный период сохранить границы бывшей империи. Он ввел в тупик дело согласования русско-грузинских церковных интересов. Разработанный им проект предлагал Грузинской Церкви автономию вместо автокефалии.

Петроградское Правительство 25 июля 1917 г. утвердило „*основные начала*“ на основе заключения Бенешевича. По этому документу глава Грузинской Церкви должен был именоваться – Католикос-Патриарх всех грузин. Его кафедра должна была находиться в Мцхете. Звание „*Тифлисский*“ правительство „*сохранило*“ для русского архиерея.

Деятельность Бенешевича, как уполномоченного Временного Правительства по делам грузинской церкви, на фоне рассмотренних в статье матерялов, оценивается негативно.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის დელეგაციის მოღვაწეობა პეტროგრადში

(დელეგაციის მოხსენების მიხედვით, 1917 წ.)

1917 წ. 12 (25) მარტს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენილად გამოცხადების დღესვე, შეიქმნა ეკლესიის ხელმძღვანელი დროებითი ორგანო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ დანიშნული[1] გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდის (ოქროპირიძე) თავმჯდომარეობით მოქმედი მმართველობის შემადგენლობაში შედიოდნენ ეპისკოპოსები: ანტონი (გიორგაძე) და პიროსი (ოქროპირიძე), დეკანოზები: კორნელი კეკელიძე, ნიკიტა თალაქვაძე, კალისტრატე ცინცაძე, მღვდლები: პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილები, ქრისტეფორე ციცქიშვილი, მთავარდიაკვანი ტიმოთე ბაკურაძე, მედავითნე გაბრიელ ყუბანეიშვილი,[2] საერო პირთაგან: ვასილ ბარნოვი, ანტონ ნატროშვილი, პეტრე კიზირია, პეტრე ბარათაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე, იპოლიტე ვართაგავა, სერგი გორგაძე, დავით ნახუცრიშვილი, თედო სახოკია, სოლომონ ახვლედიანი, სიმონ მაჭავარიანი, დავით დავითაშვილი.

ექვსთვიანი მოღვაწეობის განმავლობაში ეკლესიის მმართველ ორგანოს სხვადასხვა დროს შეემატნენ არქიმანდრიტები: ამბროსი (ხელაია) და ნაზარი (ლეჟავა);[3] საერონი: ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ მაჩაბელი, პართენ გოთუა, პავლე ინგოროყვა, გენერალი ვასილ გაბაშვილი, ზურაბ ავალიშვილი, ნინო გელოვანი, იოსებ ყიფშიძე, გიორგი გვაზავა, გიორგი ჟორდანია, ივანე აფხაზი, სარგის კაკაბაძე, გ. თულაშვილი,[4] გიორგი ჟურული, ივანე ზურაბიშვილი, შალვა ამირეჯიბი, რომელიც შემდგომ შალვა ქარუმიძემ შეცვალა, იაკობ ცინცაძე (ია ეკალაძე), იოსებ მერკვილაძე, ნიკოლოზ მელიქიშვილი, დავით ნიჟარაძე, ივანე ბერიაშვილი, გიორგი ყაზბეგი, რაჟდენ დათეშიძე, შიო დედაბრიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, ალექსანდრე ძეგველიშვილი, ნიკოლოზ ხახუტაშვილი, ანა ახალშენიშვილისა, ბარბარე ბერიშვილი, პრაპორშჩიკი ჯავახიშვილი (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალებში მისი სახელი მითითებული არ არის), ჯარისკაცი

---

1. იხ. აქვე: 8, შენიშვნა 2.

2. მედავითნეები მაშინდელი საეკლესიო კანონმდებლობით სასულიერო წოდებაში ირიცხებოდნენ (*ჟურნალები*, 2016: 18, 219).

3. 1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანებად არიან შერაცხულნი.

4. სავარაუდოდ, უნდა იყოს გაბრიელ თულაშვილი, რომელმაც მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული კურსი 1900 წელს დაამთავრა („*ცნობის ფურცელი*“, №1147: 1).

იაკობ სირაძე, პეტრე მირიანაშვილი, იასონ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ წვერავა, ილია ხარაშვილი, კონსტანტინე ზურაბიშვილი, სამსონ დადიანი, ალექსანდრე ყანჩელი. სოლომონ ახვლედიანმა 23 ივნისს და პეტრე კიზირიამ 12 აგვისტოს წევრობაზე უარი თქვეს დიდი პასუხისმგებლობისა და სხვადასხვა მიზეზის გამო (*ჟურნალები*, 2016: 6-7, 174, 228).

იპოლიტე ვართაგავას შეფასებით, დროებითი მმართველობის მოღვაწეობის პერიოდი იყო *„საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის პრინციპების განმტკიცების დიდად პასუხსაგები ხანა“* (*ჟურნალები*, 2016: 20).

დროებითმა მმართველობამ საქართველოს ეკლესიის უფლებების განსაზღვრისა და I ადგილობრივი საეკლესიო კრების მომზადების საქმეში კოლოსალური მუშაობა გაწია, შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთა.

მმართველობის ერთ-ერთ პირველ ამოცანას 12 (25) მარტს მომხდარი მოვლენის შესახებ პეტროგრადის მთავრობის, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა[1] და თბილისის დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის[2] საქმის კურსში ჩაყენება წარმოადგენდა (*ჟურნალები*, 2016: 3-7, 9-10, 15).

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სახელით ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისთვის წარსადგენ დეკლარაციაში მოკლედ იყო გადმოცემული ივერიის ეკლესიის ისტორია; აღნიშნული იყო 1811 წელს რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების მიერ მისი რუსეთის ეკლესიისადმი დაქვემდებარების უკანონობა და თანმდევი უარყოფითი შედეგები; ჩამოყალიბებული იყო ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი დებულებები. დროებითი მმართველობა გამოთქვამდა სურვილს, ემსახურა ახალი სახელმწიფოებრივი წყობის განმტკიცებისთვის, და – იმედს, რომ ხელისუფლება მას უფლებების აღდგენაში დაეხმარებოდა (*ჟურნალები*, 2016: 21, 23-25; იხ. აქვე: 11-13, 15).

დეკლარაციაში გამოხატული იმედის მიუხედავად, ავტოკეფალისტები დროებითი მთავრობის, უწმ. სინოდის, ყოფილ ეგზარქოს პლატონისა (1915-1917, როჟდესტვენსკი) და ადგილობრივი რუსი მორწმუნეების მხრიდან ეკლესიის უფლებათა განხორციელებისადმი დაბრკოლებების შექმნას მოელოდნენ.

წინააღმდეგობათა თავიდან ასაცილებლად ეკლესიის დროებითი მმართველობა სხვადასხვა ღონისძიებას გეგმავდა. მაგ.: 20 მარტის სხდომაზე თავად ვლადიმერ მიქელაძის ინიციატივით პეტროგრადში წარმომადგენლის გაგზავნის საჭიროებაზე იმსჯელეს. ამ გზით პეტრო-

1. მისი თავმჯდომარე იყო ვასილ ხარლამოვი (კადეტი), წევრები – კიტა აბაშიძე (სოციალ-ფედერალისტი), აკაკი ჩხენკელი (სოციალ-დემოკრატი), მიხეილ პაპაჯანოვი (კადეტი) და მემედ-იუსუფ ჯაფაროვი (მუსავატელი).
2. თავმჯდომარე – ნოე ჟორდანია (სოციალ-დემოკრატი).

გრადში მცხოვრები საქართველოს ეკლესიის გულშემატკივარნი: ალექსანდრე ცაგარელი, ზურაბ ავალიშვილი და ივანე ჯავახიშვილი ეკლესიის საჭიროებებს სრულყოფილად გაეცნობოდნენ და შესაძლებლობის ფარგლებში ქმედით დახმარებას გაუწევდნენ.

დროებითი მმართველობის წევრებმა დელეგაციის გაგზავნის წინადადება მოიწონეს, მაგრამ მასზე მსჯელობის გაგრძელება იმ დროისთვის გადადეს, როცა ადგილობრივი ხელისუფლება საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებისადმი თავის დამოკიდებულებას გამოხატავდა (*ჟურნალები*, 2016: 21-22).

თავდაპირველად ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი ავტოკეფალისტებს წარდგენილი დეკლარაციის დაკმაყოფილებას დაჰპირდა, მაგრამ 28 მარტს თანადგომაზე უარი განუცხადა. ამის მიზეზი საქართველოს ეკლესიის საქმეთა მიმდინარეობით პეტროგრადის მთავრობის უკმაყოფილება გახდა.

კიტა აბაშიძემ დროებით მმართველობას ურჩია, ეკლესიაში არსებული წყობის საწინააღმდეგო ნაბიჯები აღარ გადაედგათ და ადგილობრივ რუსებთან მორიგებულიყვნენ. აღნიშნულმა ინფორმაციამ პეტროგრადში დელეგატის გაგზავნის საკითხი დღის წესრიგში ისევ დააყენა (*ჟურნალები*, 2016: 35-36, 41).

29 მარტს ცნობილი გახდა, რომ 27 მარტს რუსეთის დროებითმა მთავრობამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ეროვნული ნიშნით აღიარა. ეს საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში მხოლოდ ქართველი მართლმადიდებლების გაერთიანებას ნიშნავდა; სხვა ეროვნების მართლმორწმუნეებს მთავრობა რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში ტოვებდა; ამასთანავე საქართველოს ეკლესიას უმოკლეს დროში უნდა შეემუშავებინა რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი ძირითადი დებულებები; ხელისუფალთა მიერ მის დამტკიცებამდე კი საეკლესიო დაწესებულებებში ავტოკეფალიის აღდგენამდე არსებული ვითარება უნდა შენარჩუნებულიყო; საქართველოს ეკლესიის უფლებათა საბოლოო განსაზღვრა დამფუძნებელი კრების კომპეტენციად გამოცხადდა (*ჟურნალები*, 2016: 37).

ეკლესიის დროებითმა მმართველობამ 29 მარტის სხდომაზევე შეადგინა ახალი მთავრობის წარმომადგენლებისათვის თბილისსა და პეტროგრადში გასაგზავნი დეპეშა. მასში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ეროვნული და არა ტერიტორიული ნიშნით აღიარების წინააღმდეგ პროტესტი იყო გამოთქმული.

იურისტებთან ერთად 27 მარტის დადგენილების განხილვამ ცხადყო შემდეგი: მთავრობა საქართველოს ყოფილი საეგზარქოსოს საეკლესიო დაწესებულებათა ძველ მდგომარეობაში დატოვებით მათ გამგებ-

ლად ისევ საქართველოს ყოფილ ეგზარქოსს მიიჩნევდა; ერთი მხრივ, ავტოკეფალიის აღდგენას აღიარებდა, მეორე მხრივ კი მმართველობის ფორმების უცვლელად შენარჩუნების განკარგულებას იძლეოდა (*ჟურნალები*, 2016: 40-41).

დადგენილების ამგვარმა წინააღმდეგობრივმა ხასიათმა საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას არაერთი სირთულე შეუქმნა. არაოფიციალური წყაროებით ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის არსებული ფორმით აღიარებაზეც კი პეტროგრადში მცხოვრებ ქართველებსა და ვლადიმერ ბენეშევიჩს[1] დროებითი მთავრობის დაყოლიება დასჭირვებიათ. საკითხთან დაკავშირებულ ინსტრუქციაში, რომელიც ოფიციალურად გამოქვეყნებული არ იყო, ორი არასასურველი მუხლი ყოფილა შეტანილი:

1. კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენციად მცხეთა ცხადდებოდა, თბილისი კი რუსების მთავარეპისკოპოსისთვის იყო განსაზღვრული;

2. მართლმადიდებლებში, რომლებიც რუსეთის ეკლესიის განკარგულებაში უნდა დარჩენილიყვნენ, დროებითი მთავრობა აფხაზებსაც მოიაზრებდა, რაც საქართველოს ეკლესიისაგან მათი ჩამოშორების საშიშროებას ქმნიდა.

პეტროგრადიდან ასევე იტყობინებოდნენ, რომ ობერპროკურორი დაჟინებით მოითხოვდა ქართველთა ჩასვლას უწმ. სინოდთან შესარიგებლად და ავტოკეფალიის საკითხზე მოსალაპარაკებლად (*ჟურნალები*, 2016: 43, 71).

ეკლესიის მესვეურნი სინოდში დელეგაციის გაგზავნას პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ისინი აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებელი მმართველობა რუსეთის საერო ხელისუფალთა ძალმომრეობით გაუქმდა და მისი აღდგენისთვის სინოდის წინაშე წარდგომა საჭირო არ იყო. ასეთი პასუხი მიიღო პეტროგრადში ობერპროკურორმა ივანე ჯავახიშვილისგან, თბილისში კი რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელი კომისიის თავმჯდომარე ბენეშევიჩმა – კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრისგან (*ჟურნალები*, 2016: 72, 80).

ავტოკეფალიის საკითხს პოლიტიკური ხასიათი მიეცა. საერო ხელისუფალნი მის გადასაწყვეტად საეკლესიო კანონების გამოყენებას უგულებელყოფდნენ. ეს აზრი თვითონ ბენეშევიჩმაც დაადასტურა, როცა აღნიშნა, რომ ავტოკეფალიის საკითხს განიხილავდა, არა საეკლესიო კანონების თვალსაზრისით, არამედ როგორც მთავრობის მოხელე (*ჟურნალები* 2016: 46, 66).

1. პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც დროებითმა მთავრობამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით თავის რწმუნებულად და რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების გამმიჯვნელი კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა.

ეკლესიის მმართველი ორგანოს რამდენიმე სხდომაზე მსჯელობის შედეგად გადაწყდა, ქართულ მხარეს ბოლომდე ეცადა ტერიტორიული ავტოკეფალიის პრინციპის დაცვა. თუ ეს შეუძლებელი გახდებოდა, „*ავტოკეფალიის საკითხის სულ დამარხვას*“ სჯობდა, განეცხადებინა, „რომ დროებითი მმართველობა ემორჩილება მხოლოდ ძალას და უნებლიეთ კისრულობს ექსტერიტორიალურს – ეროვნულს ავტოკეფალიას, თუმცა პასუხისმგებლობა ისტორიისა და მსოფლიო ეკლესიის წინაშე დაედება რუსის ეკლესიას“ (*ჟურნალები*, 2016: 52-53).

ბენეშევიჩსა და ადგილობრივ მთავრობასთან შეხვედრებმა ეკლესიის დროებითი მმართველობა აპრილის შუა რიცხვებისთვის უკვე დაარწმუნა, რომ ტერიტორიული ავტოკეფალიის მიღწევა იმ დროისთვის შეუძლებელი იყო და საქართველოს ინტერპარტიულ კრებასთან[1] შეთანხმებით ეროვნული ავტოკეფალიის მიღებაზე დათანხმდა.

პარტიების წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის საკითხი მალე დადებითად გადაწყდებოდა, რაც ეკლესიის მდგომარეობას სასიკეთოდ თავისთავად შეცვლიდა (*ჟურნალები*, 2016: 68, 70).

„*რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის ძირითადი დებულებები*“ დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ შეიმუშავა. დროებითმა მმართველობამ მასთან დაკავშირებით კონსულტაცია, მმართველობის წევრ პეტრე კიზირიას გარდა, მიწვეული იურისტების: ივანე ზურაბიშვილისა და გრიგოლ რცხილაძისგანაც მიიღო. „*დებულებებში*“ გარკვევით აღინიშნა, რომ ეროვნულ ავტოკეფალიაზე დათანხმება იყო იძულებითი ნაბიჯი და საქართველოს ეკლესია შემდგომ გართულებებზე[2] პასუხისმგებლობას იხსნიდა (*ჟურნალები*, 2016: 41, 77-79).

დროებითი მმართველობისა და მთავრობის რწმუნებულის მიერ ხელმოწერილი „*ძირითადი დებულებები*“ პეტროგრადში 18 აპრილს გადაიგზავნა (*ჟურნალები*, 2016: 75, 106; საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 34-35). მის დამტკიცებაზე იყო დამოკიდებული საქართველოს ეკლესიის ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩადგომა.

ბენეშევიჩის წინადადებით, დებულებათა ძალაში შესვლამდე უნდა შემდგარიყო რუსთა და ქართველთა კომისიები, რომლებიც ეკლესია-მონასტრების, დაწესებულებების და სხვა ქონების გასამიჯნად მასალას მოამზადებდნენ. ამ მასალის საფუძველზე მუშაობა შერეულ კომისიაში გაგრძელდებოდა.

1. საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების: სოციალ-დემოკრატების, სოციალ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების ორგანიზაცია (ვადაჭკორია, 2018: 146-147).

2. იგულისხმება მართლმადიდებელი ეკლესიის ეროვნული ნიშნით დაყოფით გამოწვეული უარყოფითი შედეგები, ასევე საქართველოსა და რუსეთის ეკლესიების წევრებს შორის მოსალოდნელი დაპირისპირება (*ჟურნალები*, 2016: 37).

დროებითი მმართველობის დღის წესრიგში მარტის ბოლოდან გამუდმებით იდგა პეტროგრადში დელეგაციის გაგზავნის საკითხი, მაგრამ მისი განხორციელება ვერ ხერხდებოდა.

9 მაისის სხდომაზე გამოიტანეს განჩინება, ავტოკეფალიის საქმეზე ზრუნვა იმ დროს პეტროგრადში მყოფი ნინო გელოვანისა და ზურაბ ავალიშვილისთვის ეთხოვათ (*ჟურნალები*, 2016: 108-109).

დელეგაციის გაგზავნის აუცილებლობა კიდევ ერთხელ 23 მაისს დადასტურდა. ამ დღეს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ბენეშევიჩის მიერ შემუშავებული „*ამიერკავკასიაში მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველობის საფუძვლების პროექტი*“ მოისმინა. თვითონ საქართველოს საეკლესიო საქმეთა რწმუნებული საკუთარი საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარსადგენად, „*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცების დასაჩქარებლად, ახალი რწმუნებებისა და ინსტრუქციების მისაღებად 4 ივნისისთვის პეტროგრადში გამგზავრებას გეგმავდა.

ავტოკეფალისტებს ენიშნათ, რომ პროექტის სათაურშიც კი ეკლესიის დამოუკიდებლობა ნაგულისხმევი არ იყო და მისი შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოს ეკლესიას ავტონომიური უფლებები ენიჭებოდა. კერძოდ, გათვალისწინებული იყო საქართველოს საეგზარქოსოს დროინდელი მმართველობის ორგანოების აღდგენა; სინოდის ობერპროკურორის გარეშე ვერ მოხდებოდა ახალი სამრევლოების გახსნა, შტატების ცვლილება და სხვ. (*ჟურნალები*, 2016: 122-124).

ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ ბენეშევიჩის შემოთავაზებასთან დაკავშირებით საქმის კურსში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ჩააყენა. მათ პროექტის მიღება შესწორებებით შესაძლებლად ცნეს, მაგრამ ავტოკეფალისტებმა მისი განხილვა მაინც უარყვეს და ერთადერთ გამოსავლად „*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცების დაჩქარება მიიჩნიეს. მით უმეტეს, რომ პროექტს მხოლოდ დებულებათა ძალაში შესვლამდე უნდა ემოქმედა (*ჟურნალები*, 2016: 126-128, 131-132).

ეკლესიის დროებითი მმართველობის 30 მაისის სხდომაზე პეტროგრადში მიმავალი დელეგაციის შემადგენლობა ეპისკოპოს ანტონისა (გიორგაძე) და დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის შემადგენლობით განისაზღვრა. მათ პეტროგრადში უნდა შეერთებოდა ნოვგოროდში მყოფი არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) და რუსეთში მცხოვრები ქართველების დახმარებით „*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცების დაჩქარებისთვის მიეღწიათ (*ჟურნალები*, 2016: 132).

ივნისის დასაწყისში დროებით მმართველობას პეტროგრადიდან ჩამოსული პროფესორი ნიკო მარი ესტუმრა. მისი ინფორმაციით, „*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცება (სარედაქციო ხასიათის შესწორებებით)

ობერპროკურორს და მის თანაშემწეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ. სინოდის წევრების მხრიდან მოსალოდნელი წინააღმდეგობა საქმის მსვლელობას ხელს ვეღარ შეუშლიდა. მარმა აღნიშნა, რომ მთავარეპისკოპოსი პლატონი პეტროგრადში ისევ საქართველოს ეგზარქოსად ითვლებოდა, იმის მიუხედავად, რომ მთავრობის 27 მარტის დეკლარაციით საეგზარქოსო გაუქმებული იყო[1] (*ჟურნალები*, 2016: 142). დელეგაციის გაგზავნა პეტროგრადში სინოდისთვის კეთილგანწყობის გამოსახატავად პროფესორმაც მიზანშეწონილად მიიჩნია.

დროებითმა მმართველობამ დაადგინა, დეპუტატთა შემადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოდან მიხეილ მაჩაბლით, დასავლეთ საქართველოდან კი ერთი სასულიერო და ერთი საერო პირით შეევსო. მათი გამგზავრება 9 ივნისისთვის დაიგეგმა (*ჟურნალები*, 2016: 142-143).

სახელმძღვანელო ინსტრუქციის შემმუშავებელი კომისია დეკანოზების – კორნელისა და ნიკიტას, ისტორიკოსების – სერგი გორგაძის და სარგის კაკაბაძის, ასევე დავით დავითაშვილის შემადგენლობით დაარსდა. მის მუშაობაში მონაწილეობა დელეგაციის წევრებსაც უნდა მიეღოთ (*ჟურნალები*, 2016: 144).

ინსტრუქციის მიხედვით, საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის დელეგაციის ვალდებულებას შეადგენდა დროებითი მთავრობის წარმომადგენელთათვის საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის შესახებ ჭეშმარიტი ცნობების მიწოდება; „*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცებაზე ზრუნვა; ყოფილი საეგზარქოსოს სასწავლებლებისა და სხვა დაწესებულებების შესახებ წერილობით წარდგენილი[2] აზრის დაცვა; სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე თბილისში უმაღლესი საღვთისმეტყველო სასწავლებლის დაარსებაზე ზრუნვა; ასევე ეკლესიის საჭეთმპყრობლის, მისი ბინისა და შტატის შესანახად, ახალი ეპარქიების გასახსნელად ყოველწლიური თანხის გამოთხოვა; ათონის ივერთა მონასტრის საქართველოს ეკლესიისთვის დაბრუნების საკითხის დასმა.[3]

დელეგაციას მთავრობისთვის ასევე უნდა მოეხსენებინა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის აზრი ბენეშევიჩის კომისიის უნაყოფობის შესახებ; საჭიროების შემთხვევაში კი რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების გამმიჯვნელ კომისიაში ქართველი კომისრის დანიშვნაც მოეთხოვა.

1. 27 მარტის აქტში ნათქვამი არაა, რომ საქართველოს საეგზარქოსო გაუქმებულია, მაგრამ დროებითი მთავრობის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თუნდაც ეროვნული ნიშნით აღიარებას მისი გაუქმება უნდა მოჰყოლოდა (*ჟურნალები*, 2016: 40-41; „*საქართველო*“, №71: 2).
2. დელეგაციას ეკლესიის დროებითი მმართველობის სახელით შედგენილი რამდენიმე წერილი ობერპროკურორისთვის გადასაცემად მიჰქონდა.
3. დახმარების თხოვნით დავით ვაჩნაძისთვის ქართველი ბერებისგან სალონიკიდან გამოგზავნილი წერილი საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ 8 ივნისს განიხილა (*ჟურნალები*, 2016: 146).

საქართველოს წარგზავნილებს ეკლესიის საქმეებთან დაკავშირებით ურთიერთობა მხოლოდ რუსეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენლებთან უნდა ჰქონოდათ; უწმ. სინოდის წევრებთან მოლაპარაკებისთვის კი საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობასთან წინასწარი შეთანხმება სჭირდებოდათ. ინსტრუქციაში აღნიშნული იყო: „*დეპუტაციას ევალება საქართველოს ეკლესიის საქმეების შესახებ დამოკიდებულება იქონიოს მხოლოდ რუსეთის დროებით მთავრობის წარმომადგენლებთან. უწმინდეს სინოდთან ურთიერთობის აღდგენა არ შეადგენს დეპუტაციის კომპეტენციას. უწმინდეს სინოდთან და მის წევრებთან რაიმე საკითხის შესახებ მოლაპარაკება დეპუტაციას მთლიანად, და როგორც ასეთს, შეუძლია მხოლოდ საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობის შეკითხვით, სანქციით და მანდატით. სასურველია ამასთანავე პეტროგრადში დეპუტაცია მოერიდოს პირად გამწვავებას ყოფილ ექსარხოსთან პლატონთან, რომელიც ეხლა სინოდის თავმჯდომარეა და ავტოკეფალურ ეკლესიის საჭიროებათა დაცვის დროს დაეყრდნოს მხოლოდ რეალურ საქმიანობას, გარეშე მთავარეპისკოპოსის პლატონის, ანდა პროფესორ ბენეშევიჩის პირადობისა*“ (*ჟურნალები*, 2016: 146-147).

დელეგაციის ურთიერთობა უწმ. სინოდთან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის უწყებით უნდა შემოფარგლულიყო. მას რუსეთის ეკლესიისთვის საქართველოს თავისუფალი ეკლესიისგან მეგობრობის სურვილი უნდა გადაეცა (*ჟურნალები*, 2016: 146-147).

გარდა დელეგაციის სამოქმედო ინსტრუქციისა, დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ იმ საკითხთა პროექტებიც დაამუშავა, რომლებიც ბენეშევიჩის თავმჯდომარეობით მოქმედ შემთანხმებელ კომისიაში არ განხილულა. ეს საკითხებია: სასულიერო სასწავლებლების რეორგანიზაცია და ახლის დაარსება (რაც ხელისუფლებას საქართველოს ეკლესიისთვის ჩამორთმეული მამულებისა და სხვა ქონების ერთგვარი კომპენსაციის სახით მაინც უნდა განეხორციელებინა); საეპარქიო ცხოვრების მოწყობა; სამღვდელმთავრო კათედრათა გამრავლება და ეკლესიის საჭეთმპყრობლისთვის ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნა (*ჟურნალები*, 2016: 149-160).

დელეგაცია თბილისიდან 1917 წლის 9 ივნისს დაიძრა. მიხეილ მაჩაბელმა და დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელმა, დეკანოზმა მელიტონ კელენჯერიძემ სუბიექტური მიზეზების გამო გამგზავრება ვერ შეძლეს. მაჩაბლის გამგზავრების შესახებ დროებითმა მმართველობამ 20 ივნისს განაჩინა და ინფორმაცია გაზეთებშიც დაიწერა, მაგრამ, როგორც ჩანს, ის პეტროგრადში მაინც ვერ წავიდა. დროებითი მმართველობის ივნის-ივლისის სხდომის ჟურნალებში მისი სახელი მრავალჯერაა

დაფიქსირებული, დელეგაციის მოხსენებაში კი ერთხელაც არ არის ნახსენები (*ჟურნალები*, 2016: 66, 175, 184, 190, 220; საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 16).

პეტროგრადიდან დაბრუნებული დელეგაციის მოხსენება, ჩვენი ვარაუდით, დაწერილია დეკანოზ კალისტრატეს მიერ – დელეგაციის საქმისმწარმოებელი სწორედ ის იყო. ამასთან, მოხსენებაში III პირში არიან დასახელებული ეპისკოპოსი ანტონი და არქიმანდრიტი ამბროსი, დეკანოზი კალისტრატე ნახსენები არ არის. მოხსენება რომ სწორედ დელეგაციის წევრის მიერ არის დაწერილი, ამაზე შემდეგი ფრაზები მიუთითებს: „*17, შუადღის 4 საათზედ, სინოდის შენობაში, ობერპროკურორის წინაშე წარსდგა დელეგაცია – ჩვენ და თთ. ზ. ავალიშვილი და ნ. გელოვანი*“, ანდა: „*ივლისის 3 დაწყებულმა კონტრრევოლუციამ ჩვენი საკითხის ადრე გათავების იმედი თითქმის დაგვიკარგა: მთავრობის წევრებს ჩვენთვის აღარ ეცალათ*“ (საპატრ. არქ., ს. 6465: 2, 10, 35).

მოხსენების დაწერის თარიღი – 1917 წლის 10 აგვისტო, და ადგილი – თბილისი, მითითებულია ტექსტის ბოლოს (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 16). ჩანაწერები კი პეტროგრადში კეთდებოდა, ამას მოხსენების ბევრი ფრაზა ადასტურებს, მაგ., კარტაშევის სიტყვები პროფ. ბენეშევიჩის შესახებ: „*მას აქ ნდობით უცქეროდა რუსებიც და განსაკუთრებით ქართველობა*“ ან: „*ამიერკავკასიის განსაკუთ. კომიტეტს მთავრობა ვერ მიანდობს ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას, რადგანაც საქმე აქ არის დაწყებული*“ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 3, 11, 13, 14, 15).

პეტროგრადში 14 ივნისს ჩასული დელეგაცია 17 ივნისს სინოდის ობერპროკურორ ვლადიმერ ლვოვს შეხვდა. გააცნო მას საქართველოს ეკლესიის მძიმე მდგომარეობა: რომ დროებითი მთავრობის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას შედეგი არ მოჰყოლია, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით ეკლესიის სფეროში ცვლილებათა დაგვიანებამ გაუგებრობანი და უკმაყოფილება გამოიწვია; ასევე მოახსენა, რომ გამოსავალს ქართველები „*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცების დაჩქარებაში ხედავდნენ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 2).

ობერპროკურორმა დელეგაციას დახმარება აღუთქვა. მისმა თანაშემწე ანტონ კარტაშევმა ქართველებს თავიანთი საქმის წარმატებისთვის რუსი მემარცხენეების მიმხრობის შესაძლებლობაზე მიუთითა. კარტაშევის აზრით, თუ ქართველები მოახერხებდნენ მათ დარწმუნებას, რომ საქართველოს ეკლესიის განთავისუფლება რუსეთის ეკლესიისაგან სეპარატიზმი და კლერიკალიზმი კი არა, ეროვნული თავისუფლების შემადგენელი ნაწილი იყო, მათ მხარდაჭერას მიიღებდნენ. მემარჯვენეთა გადაბირება, ამ უკანასკნელთა იმპერიული სულისკვეთების გამო, ქართველებს უფრო გაუჭირდებოდათ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 4).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა შეზღუდვის საქმეში პეტროგრადის დროებით მთავრობას ბენეშევიჩი მხარს რომ უბამდა, ეს საქართველოში კარგად ჩანდა და პეტროგრადშიც მრავალჯერ დადასტურდა. მაგალითად გამოდგება ბენეშევიჩის დაპირისპირება კანონისტ ნიკოლოზ კუზნეცოვთან, რასაც უწმ. სინოდიც კი გაურკვევლობაში ჩაუგდია. როგორც ქართულმა დელეგაციამ შეიტყო, საქართველოს საეკლესიო საქმეთა რწმუნებული ამტკიცებდა, ეროვნული ავტოკეფალიის განხორციელება დასაშვებია და ახლავე გადაწყვიტეთ დაწესებულებათა კუთვნილების საკითხიცო. კუზნეცოვი კი ავტოკეფალიისთვის ეროვნული ხასიათის მინიჭებას საეკლესიო კანონების დარღვევად თვლიდა და მოითხოვდა, მის შესახებ რუსეთის საეკლესიო კრებას ემსჯელა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 13).

ბენეშევიჩი საქართველოში ავტოკეფალისტებს გულშემატკივრობას უმტკიცებდა და საქმის გაჭიანურებას თავისი უუფლებობით ხსნიდა, რუსეთში კი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა შეზღუდვის დაკანონებისთვის ძალ-ღონეს არ ზოგავდა.

პეტროგრადში ჩასული დელეგაციისთვის ისიც ცნობილი გახდა, რომ მთავრობისაგან „*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცების შეყოვნება, ნაწილობრივ მაინც, მისი მოთხოვნით იყო განპირობებული (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6465: 4; იხ. აქვე: 56-57).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოდან წარგზავნილებს ეკლესიის ქართველი გულშემატკივარნი პეტროგრადში სხვადასხვა ინსტანციაში შუამდგომლობით ეხმარებოდნენ, დებულებათა დამტკიცება 25 ივლისამდე მაინც გაჭიანურდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 3, 10).

ქართული დელეგაციისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უწმ. სინოდთან და ცალკეულ რუს სასულიერო პირებთან ურთიერთობის საკითხი იყო. როგორც ზემოთაა აღნიშნული, მას სინოდისთვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის განახლების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა.

უწმ. სინოდის წევრები თვლიდნენ, რომ ეკლესიის ავტოკეფალია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, ამიტომ მათი უმეტესობა ქართველებს არ ენდობოდა. სამარის ეპისკოპოსმა მიხეილმა (ბოგდანოვი) პირადი საუბრისას დელეგაციის წევრებს ჰკითხა: „*სინოდს რად ჩამოშორდით, ეკლესია ხომ უუფროსოდ ვერ იარსებებს, თქვენთვის*, განა, *სულ ერთი არ არის, – სინოდი იქმნება თქვენი უფროსი, თუ კათალიკოსიო? აქ რომ ჩამოსულხართ დროებითი მთავრობისაგან ძირითადი დებულებების დასამტკიცებლად, ის არა სჯობია, მიხვიდეთ სინოდში და ითხოვოთ განგათავისუფლონ თავიანთი დამოკიდებულებისგანაო?*“ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 6).

ქართულ მხარეს ამასთან დაკავშირებით მარტივი პასუხი ჰქონდა: ივერიის ეკლესიის ავტოკეფალური მმართველობა საერო ხელისუფლების ძალმომრეობით იყო გაუქმებული და აღდგენაც მასვე უნდა დაედასტურებინა. „*სინოდი სამოქალაქო მთავრობის დაჟინებით და ზედ გავლენით იძულებული გახდა, გაევრცელებია თავისი ბატონ-პატრონობა საქართველოს ეკლესიაზედ და ჩვენც ამ მთავრობასთან გვაქვს საქმე. სინოდისთვის რომ მიგვემართა, სულ ერთია, ის უამთავრობოდ ავტოკეფალიას ვერ დაგვიბრუნებდა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, არ დაგვიბრუნებდა, ვინაითგან ეს ეწინააღმდეგება მის პოლიტიკას – ქართველების გარუსების და გადაგვარებისას*“ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 6).

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე რუსი სასულიერო თუ საერო პირები იმ გარემოებებს, რომლებშიც ავტოკეფალური მმართველობა გაუქმდა, აღარ განიხილავდნენ. ისინი ქართველებს მოუწოდებდნენ, თავიანთი ეკლესიის უუფლებო მდგომარეობის ხანდაზმულობისთვის (106 წელი) ანგარიში გაეწიათ, სამართლიანობის აღდგენა სინოდისთვის ეთხოვათ ან მის დაქვემდებარებაში დარჩენილიყვნენ. ისინი ასევე მიუთითებდნენ: ძველი სინოდი „*ინოროდცების*“ გარუსებასა და გადაგვარებას მართლაც ცდილობდა, მაგრამ ამ მხრივ ვითარება რევოლუციის შემდეგ შეცვლილიაო.

იგივე მიხეილ სამარელმა ქართველებს რჩევა მისცა: განახლებულ პირობებში სამართლიანი იქნებოდა, ქართველი ეგზარქოსი მოგეთხოვათ და არა ეკლესიის დამოუკიდებლობა აღგედგინათო (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 6).

სინოდის წევრთა შორის იყვნენ საქართველოს ეკლესიისადმი შედარებით კეთილგანწყობილნიც. კერძოდ, დელეგაციის მოხსენებაში ასეთად დასახელებულია აფხაზეთში (1911-1913 წწ.) ნამსახური ეპისკოპოსი ანდრია უფელი (უხტომსკი), თუმცა მისი მოქმედებანი დელეგაციის წევრებს შორის ეჭვსაც აღძრავდა.[1]

„*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცების დაჩქარების საბაბით სინოდთან კავშირის აღდგენა დელეგაციას მეუფე ანდრიამაც შესთავაზა. ქართველებმა მისი წინადადება სამი მიზეზით უარყვეს: 1. სინოდისათვის დახმარების თხოვნა მის წინაშე ქედის მოხრა იქნებოდა. 2. სინოდს რომ მართლა მიეღწია შედეგისთვის, საქართველოს ეკლესიას ამას უთუოდ დააყვედრებდა. 3. შესაძლო იყო, სინოდს დელეგაციის ოფიციალური წერილი საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგაც გამოეყენებინა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 4-5).

ერთმორწმუნე ეკლესიათა შერიგების ანდრია უფელისეული ვარიან-

1. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ ცალკე სტატიის გამოქვეყნებას ვგეგმავ.

ტი არ განხორციელდა, მაგრამ მისი მცდელობა ამით არ ამოწურულა. მან თავის თავზე აიღო ბენეშევიჩის 26 ივნისის მოხსენების შედეგად აღშფოთებული უწმ. სინოდის წევრების დამშვიდება[1] და მათთან შუამდგომლობა საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა მისაღებად.

ეპისკოპოს ანტონის სახელით დაწერილ წერილში[2] აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ეკლესიის დელეგაციას სურდა სინოდთან მისალმება და მისი ინფორმირება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. ანდრია უფელმა სინოდს აღნიშნულ წერილთან ერთად საქართველოდან სწორედ იმ დღეს მიღებული დეპეშის ასლიც წარუდგინა. დროებითი მმართველობა თავის დელეგაციას აცნობებდა ბოდბის წმ. ნინოს მონასტრიდან და ავლაბრის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიიდან რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელთა მიერ ქართველი სასულიერო პირების დათხოვნის შესახებ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 7).

დელეგაციის წევრებმა შემდეგ შეიტყვეს, რომ საქართველოდან მიღებულ ახალ ამბებს ავტოკეფალიისადმი სინოდის წევრთა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება შეურბილებია (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 7, 8, 19).

30 ივნისის შეხვედრაზე ობერპროკურორმა და მისმა თანაშემწემ ქართველებს „*სინოდის მიერ ავტოკეფალიის შეწყნარება*“ მიულოცეს: „*დროებითი მთავრობა წარმავალია, ეკლესია კი მარადისია, და ამისთვის ეკლესიათა შორის კეთილი განწყობა ჯობია გაბუტვასაო*“. რუსეთის ეკლესიის უკანასკნელ სიტყვას ამ საკითხთან დაკავშირებით მომავალი საეკლესიო კრება იტყვისო (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 8).

ქართული დელეგაცია შეძლებისდაგვარად ცდილობდა, განემარტა, რომ უწმ. სინოდის თუ რუსეთის საეკლესიო კრების დადგენილებას საქართველოს ეკლესიისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მისი ბედი უკვე განსაზღვრული იყო.

რუსული მხარე საქართველოს ეკლესიას ისევ რუსეთის სინოდზე დამოკიდებულად წარმოაჩენდა და ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად დელეგაციას ისევ სინოდთან მოლაპარაკებას ურჩევდა. ობერპროკურორმა ქართველებს ეკლესია-მონასტრებიდან სასულიერო პირების გამოდევნის გამოც სინოდთან შეთანხმება ან საეკლესიო ქონების

1. ბენეშევიჩმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით ობერპროკურორს 26 ივნისს მოახსენა, ხოლო სინოდს – 28 ივნისს. ქართული დელეგაციის მოხსენება და ეპისკოპოს ანტონისადმი ანდრია უფელის წერილი გვამცნობენ, რომ მოხსენებამ სინოდის წევრთა უმრავლესობის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია ჯერ კიდევ 26 ივნისის მოხსენების შემდეგ გამოიწვია. 12 მარტის აქტი მათ სქიზმად და ქართველთა თვითნებობად მიიჩნიეს, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 7-8, 20-21).

2. წერილის შავ პირს უკანა მხარეს აქვს დეკანოზ კალისტრატეს მინაწერი: „*წერილის პროექტი ა[ნტონ] ე[პისკოპოსის] თხოვნით დაწერილია ანდრია ეპისკოპოსისაგან, შეკეთებულია ჩემ მიერ. კ[ალისტრატე]*“ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 19).

გაყოფამდე მოცდა ურჩია (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 8).

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის გათვლა სინოდთან ურთიერთობასთან დაკავშირებით რომ სწორი იყო, ეს ძალიან მალე დადასტურდა რუსულ ბეჭდურ მედიაში გავრცელებული სიცრუით. გაზეთები იტყობინებოდნენ, თითქოს ქართულმა დელეგაციამ სინოდთან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე მოლაპარაკებები აწარმოა; ამ მოლაპარაკებებში დიდი წვლილი ანდრია უფელმა შეიტანა და, თითქოს ქართველებმა თავიანთი პოზიციიდან უკან დაიხიეს. ეპისკოპოსმა ანტონმა გაზეთების რედაქციებს 1 ივლისს წერილები გაუგზავნა და სთხოვა, უახლოეს ნომრებში მოეთავსებინათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სინოდისთვის არც ქართულ დელეგაციას, არც რომელიმე ქართველს, არც უშუალოდ და არც ანდრია უფელის შუამდგომლობით, ავტოკეფალიის საკითხზე არ მიუმართავს. აქედან გამომდინარე, დელეგაციას „*არც სინოდის პოზიციის გაზიარება*“ და „*არც თავისი უკიდურესი პოზიციის*“ უარყოფა შეეძლო (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 59, 60).

დელეგაცია „*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცების დაჩქარებისთვის ძალ-ღონეს არ იშურებდა, მაგრამ სინოდთან ურთიერთობის არჩეული გზიდან გადახვევას არ აპირებდა. ის ობერპროკურორთან ეკლესიის უფლებათა განსახილველად 1 ივლისს მიიწვიეს.[1] ქართული მხარისგან მოითხოვეს განმარტება, რას გულისხმობდა „*დებულებათა*“ §9 სახელმწიფოში საქართველოსა და რუსეთის ეკლესიების ერთნაირი უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. დელეგაციამ ახსნა, რომ აქ გათვალისწინებული იყო მდგომარეობა, რომელსაც დამფუძნებელი კრების შემდეგ სახელმწიფოში, სავარაუდოდ, დაიკავებდა რუსული ეკლესია; რომ ამ უკანასკნელთან შედარებით საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა მომავალში დამცრობილი არ უნდა ყოფილიყო.

მხარეებს შორის დავა გამოიწვია სახელმწიფოს მიერ საქართველოს ეკლესიისთვის ჩამორთმეული მამულების საფასურად თანხების მოთხოვნამაც, რაც საქართველოს ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის „*საურთიერთო შეთანხმებით*“ უნდა გაფორმებულიყო. კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულებები იდებოდა სახელმწიფოებს შორის და არა სახელმწიფოსა და მის საზღვრებში არსებულ ორგანიზაციას შორის.

ქართველებმა თათბირის მონაწილეებს შეახსენეს, რომ სახელმწიფო საქართველოს საეგზარქოსოს აქამდე სწორედ ეკლესიისთვის ჩამორთმეული ქონების შემოსავლიდან აძლევდა ყოველწლიურ თანხას, რომელიც იმ დროისათვის 100 ათ. მანეთს შეადგენდა. „*ძირითად დებულებათა-*

1. განხილვას ობერპროკურორის, მისი თანაშემწისა და დელეგაციის წევრებს გარდა ესწრებოდნენ იურისტი, დიპლომატი, პოლიტიკოსი ზურაბ ავალიშვილი, იურისტი, ეკლესიის ისტორიკოსი პავლე ვერხოვსკი და საეკლესიო სამართლის მაგისტრი ნიკოლოზ კუზნეცოვი. ბენეშევიჩი თათბირზე არ გამოცხადდა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6465: 8).

გან“ აღნიშნული პარაგრაფის ამოღებაზე დელეგაციამ კატეგორიული უარი განაცხადა.

გადაწყდა, პუნქტი დარჩენილიყო, როგორც ხაზინიდან ეკლესიისთვის საჭირო სახსრების გამოყოფის „*მოტივი*“ და არა როგორც ეკლესიის წინაშე სახელმწიფოს ვალდებულება (*ჟურნალები*, 2016: 78-79; საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 8-9).

საქართველოს ეკლესიის უფლებათა განხილვისას, ბუნებრივია, საუბარი 12 მარტის აქტსაც შეეხო. ობერპროკურორმა ანტონ კარტაშევმა აღნიშნა, რომ 106 წლის განმავლობაში თავიანთი ეკლესიის უუფლებო მდგომარეობამ ქართველები ავტოკეფალიის რევოლუციურად აღდგენამდე მიიყვანა; საეკლესიო კანონებით მათი მოქმედება გაუმართლებელი იყო, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანდა; დამდგარი შედეგის მიუხედავად, რუსეთისა და საქართველოს ეკლესიები მეგობრულად უნდა დაშორებოდნენ ერთმანეთს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელი იყო, მთავრობას საქართველოს ეკლესია კერძო სარწმუნოებრივ ჯგუფად ეცნო, რაც ქართველებისა და მსოფლიო ეკლესიის ურთიერთობაზე უარყოფით გავლენას მოახდენდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 9-10).

მართალია, კარტაშევი საქართველოს ეკლესიისადმი კეთილგანწყობას გამოხატავდა (იხ. აქვე: 112-113), მაგრამ მისი უფლებების აღდგენას მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებში უჭერდა მხარს ისე, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიის საზღვრებს საფრთხე არ დამუქრებოდა.

1 ივლისის თათბირზე გამოიკვეთა, რომ რთული მდგომარეობიდან გამოსავალს ხელისუფლებაც „*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცებისა და ქონების გამიჯვნის დაჩქარებაში ხედავდა.

აღნიშნული განხილვის შემდეგ „*ძირითადი დებულებანი*“ ობერპროკურორმა დასკვნისთვის დროებით მთავრობასთან არსებულ იურიდიულ კომისიაში დააბრუნა. დელეგაციის მიერ პეტროგრადში ჩატანილ მოხსენებებზე (სასწავლებლების, ადმინისტრაციული დაწესებულებების, კათოლიკოს-პატრიარქის საცხოვრებლის შესახებ და სხვ.) რეაგირება კი პირადად მას უნდა მოეხდინა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 8-9).

ეკლესიის დროებითი მმართველობის დელეგაციის მოხსენება გვაუწყებს, რომ იურიდიულ კომისიაში „*ძირითადი დებულებანი*“ 3 ივლისს დაწყებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა შეაფერხა. მთავრობის წევრებს ეკლესიის საკითხის განსახილველად აღარ ეცალათ. რუსული გაზეთებით ვრცელდებოდა ინფორმაცია, კათოლიკოს-პატრიარქს ტფილელის ტიტულზე უარს ეუბნებიან და რეზიდენციას მხოლოდ მცხეთაში აძლევენო.

ეპისკოპოსმა ანტონმა 4 ივლისს დახმარებისთვის დროებითი მთავრობის მინისტრს, სოციალ-დემოკრატ ირაკლი წერეთელს, წერილობით მიმართა: „*მოიხმარეთ თქვენი გავლენა, შემწედ მოიწვიეთ სამართლია-*

ნობა და ხელი ააღებინეთ პირდაპირ უგუნურ საშუალებაზედ. წინააღმდეგი არ ვიქმნებით ჩვენ, რომ რუსის მღვდელმთავარმა თბილისში იცხოვროს, მაგრამ თბილისის სახელწოდებაზედ და კათალიკოსის მცხეთაში დაბინავებაზედ ხელი უნდა აიღონ, ამას ვერ დავთმობთ, მით უმეტეს, რომ მათთვის სულ ერთია, ელიზავეტპოლელს, ყარსელს თუ სხვა რაიმეს უწოდებენ თავიანთ მღვდელმთავარს, ხოლო ჩვენ კათალიკოსს უნდა ეწოდოს მცხეთისა და თბილისის მღვდელმთავარი და უეჭველად იჯდეს საქართველოს დედაქალაქში და არა სოფელში" (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 10, 28).

კათოლიკოს-პატრიარქის წოდების საკითხი 12 ივლისს იურიდიული თათბირის ახლად დანიშნული თავმჯდომარის, ლაზარევსკის ინიციატივით განიხილეს. გავრცელებული ხმები გამართლდა. ქართულმა დელეგაციამ შეიტყო, რომ სხდომაზე კათოლიკოს-პატრიარქისთვის მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის წოდების მინიჭებას მხარს უჭერდნენ კარტაშევი და თათბირის წევრი ალექსანდრე გალპერნი,[1] თუმცა ბენეშევიჩის აზრმა გაიმარჯვა. ახლად გათავისუფლებული ეკლესიის საჭეთმპყრობლის წოდება თათბირმა ასე ჩამოაყალიბა – „*მცხეთის მთავარეპისკოპოსი და სრულიად ქართველთა კათოლიკოს-პატრიარქი*" (იქვე: 11).

ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ ტფილელის ტიტული რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელს არგუნა.

მსოფლიო (I მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8, IV მსოფლიო საეკლესიო კრების მე-12, კონსტანტინოპოლის ორგზისი კრების მე-16) და ადგილობრივი საეკლესიო კრებების კანონების შესაბამისად, ერთ ქალაქში მხოლოდ ერთი ეპისკოპოსი შეიძლება იჯდეს. ე. ი. რუსი მღვდელმთავრისთვის *ტფილელის* წოდების მინიჭების შემდეგ საქართველოს ეკლესიას *ტფილელი* ვეღარ ეყოლებოდა.

დელეგაციის წევრებმა იურიდიული თათბირის დადგენილების წინააღმდეგ მთავრობისთვის პროტესტის წარდგენა გადაწყვიტეს. საქმის წარმატებისთვის მათ ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენლებთან (ივანე ეფრემოვი, მათე სკობელევი) მოლაპარაკება ნინო გელოვანის მეშვეობით აწარმოეს. მინისტრთა კაბინეტის კეთილგანწყობის მოპოვებაში დახმარებისთვის კარლო ჩხეიძესა და ირაკლი წერეთელს მიმართეს (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 11).

ირაკლი წერეთელმა დელეგაციას სიფრთხილისაკენ მოუწოდა: „*გარემოება შეიძლება ისე შეიცვალოს, რომ ყველაფერი დავკარგოთო. მართალია, ბ[ატონი] ლვოვით თქვენ კმაყოფილნი არა ხართ, მაგრამ*

1. ის ამავე დროს იყო დროებითი მთავრობის საქმეთა მმართველი.

თუ კოკოშკინი ჩადგა მის ადგილზედ – და ეს ძალიან უნდათ კადეტებს – მაშინ საქმე წასულიაო. მე მთელის ჩემის არსებით დავიცავ ტიტულს „მცხეთისა და ტფილისისას“, მაგრამ, თუ შევატყე, ხელახლა იურიდიულ კომისიაში გადაცემა დაუპირეს საკითხს, პირდაპირ მოვითხოვ, რომ საქმე იმავე სხდომაზედ გადასწყვიტონ: იურიდიული კომისია, კადეტების გავლენით, სულ გააფუჭებს საქმეს, შეიძლება ბინაც კი მცხეთაში მისცენო. თუ ცხოვრების უნარს გამოვიჩენთ, ტიტულს მაინცდამაინც მნიშვნელობა არა აქვსო. წაიღეთ ის, რისი წაღებაც შეიძლება, თორემ მერე სანანურად დაგვრჩებაო“ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 11-12).

დელეგაციამ კარლო ჩხეიძესა და ირაკლი წერეთელს გადასცა „*სახსოვარი ბარათები*“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კათოლიკოს-პატრიარქისთვის მხოლოდ მცხეთის მთავარეპისკოპოსის წოდების მინიჭება ლახავდა საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ხალხის ღირსებას; რომ ამ გადაწყვეტილების გამომტანთა მიზანი ნათელი იყო: მათ სურდათ, *ტფილელის* ტიტულით ახლად დაარსებული რუსული ეპარქიის მღვდელმთავარი აღეჭურვათ. „*სახსოვარი ბარათები*“ გაფრთხილებასაც შეიცავდა: აღნიშნულმა ცვლილებებმა შეიძლება მხარეში არასასურველი გართულებები გამოიწვიოსო (საპატრ. არქ., ს. 6465: 30).

ქართულმა დელეგაციამ კათოლიკოს-პატრიარქის წოდების განსაზღვრის საქმის შემობრუნება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე კერენსკისთან შეხვედრითაც სცადა. იგი დელეგაციის მიღებაზე ნინო გელოვანმა დაითანხმა.[1] მთავრობის თავმჯდომარემ დელეგაციას აღუთქვა, რომ საქართველოს ეკლესიის საკითხს მინისტრთა განახლებულ კაბინეტში განიხილავდა, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ წოდებას მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და არა ფაქტობრივი (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 11-12).

ავტოკეფალისტებმა 18 ივლისს შეიტყვეს, რომ, მთავრობის გადაწყვეტილებით გამმიჯვნელ კომისიას მუშაობა პეტროგრადში უნდა დაეწყო და მის შემადგენლობაში იქ მყოფი დელეგაციის შეყვანა იყო განზრახული.

კომისიაში რუსების წარმომადგენლებად დასახელებული იყვნენ თბილისიდან დეკანოზი ალექსანდრე რაზუმოვსკი, მღვდელი ალექსანდრე ნოგატირევი და სინოდის რომელიმე წევრი. თუ ზურაბ ავალიშვილი რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების გამიჯვნაში მონაწილეობაზე დათანხმდებოდა, მაშინ ერთი წარმომადგენელი რუსებსაც დაემატებოდა. ხელისუფალნი კომისიის თავმჯდომარედ ისევ ბენეშევიჩის დატოვებას აპირებდნენ.

სამოქმედო ინსტრუქციის მიხედვით, გამმიჯვნელ კომისიაში ქა-

1. დელეგაციის მოხსენება გვაუწყებს: „*კნეინა [ნინო გელოვანი] და ბ[ატონი] კერენსკი დიდი ხნის ნაცნობ-მეგობრები ყოფილან*“ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 12).

რთველი წევრების დასახელება ეკლესიის დროებითი მმართველობის ფუნქციაში შედიოდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 39). ბენეშევიჩთან მუშაობის გაგრძელებაზე კი დელეგაციამ მაშინვე კატეგორიული უარი განაცხადა, რადგან მას ქართველების თვალში ნდობა ჰქონდა დაკარგული.

ობერპროკურორის თანაშემწე ამ საკითხში ავტოკეფალისტებს თანაუგრძნობდა. ის ფიქრობდა, რომ კომისიის თავმჯდომარეს საეკლესიო წოდებასთან კავშირი არ უნდა ჰქონოდა. სასულიერო აკადემიის პროფესორები და კანონისტები ამ საქმისთვის არ გამოდგებოდნენ, რადგან „*გაჟღენთილნი იყვნენ სპეციალურ სინოდალურ რეჟიმის სუნით*“ და საკითხის გადაწყვეტის დროს ობიექტურნი ვერ იქნებოდნენ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 12-13).

დელეგაცია შიშობდა, ეკლესიის საჭეთმპყრობლის წოდებასთან დაკავშირებით პროტესტს უფრო მძიმე შედეგი არ გამოეღო და კათოლიკოს-პატრიარქის თბილისში ჯდომაც სათუო არ გამხდარიყო. როგორც ზემოთაა აღნიშნული, ამას ირაკლი წერეთელიც ეჭვობდა. ობერპროკურორი ლვოვი რომ პატრიარქის რეზიდენციად თბილისის გამოცხადებას ეწინააღმდეგებოდა, ეს პეტროგრადში „*სახელმძღვანელო მცნებად*“ იყო მიჩნეული (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 13).

საქართველოს საეკლესიო საკითხთან დაკავშირებით გაურკვევლობას ბოლო მოეღო 24-25 ივლისს, როცა მინისტრთა ახალი კაბინეტი შედგა.

დელეგაციამ ანტონ კარტაშევს ობერპროკურორად დანიშვნა მიულოცა და „*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცების დაჩქარება სთხოვა. მისი პასუხი იყო, რომ საქმიანობის დაწყებას საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებით აპირებდა. მართლაც, იურიდიული კომისიის დადგენილება მთავრობის სხდომაზე მან 25 ივლისსავე შეიტანა განსახილველად (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 13).

ირაკლი წერეთელი მინისტრთა ახალ კაბინეტში აღარ შედიოდა, მთავრობის სხდომასაც არ ესწრებოდა და, შესაბამისად, კათოლიკოს-პატრიარქის წოდების საკითხში დახმარებას ვერ შეძლებდა.

სხდომაზე სოციალისტებმა განაცხადეს, რომ მათთვის საქართველოს პატრიარქის წოდებას მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ კრედიტების გამოყოფის წინააღმდეგი იყვნენ. კადეტები კათოლიკოსის „*ტფილელობაზე*“ აცხადებდნენ უარს, „*მაშინ ხომ ქართველები იტყვიან, თბილისი რომ ჩვენი დედა ქალაქია, ეს მთავრობისგანაც დადასტურებულიაო*“. ობერპროკურორის მცდელობით საქართველოს ეკლესიისთვის კრედიტების გამოყოფის საკითხის განხილვა დამფუძნებელ კრებამდე გადაიდო (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 13-14).

25 ივლისს მთავრობამ იურიდიული თათბირის გადაწყვეტილება

უცვლელად დაამტკიცა (ხელისუფალთა მიერ მასში განხორციელებული ცვლილებების შესახებ იხ. აქვე: 64-65).

კათოლიკოს-პატრიარქის წოდებასთან დაკავშირებით კარტაშევმა ქართველები დაარიგა: ეკლესიებში მისი მოხსენიება განაგრძეთ, როგორც იხსენიებდით, ამას დიდი მნიშვნელობა აქვსო.[1] ამავე დროს მან იმედიც გამოთქვა, რომ საეკლესიო კრებაზე რუსებს კავკასიის ეგზარქოსის „*ტფილელობაზე*" უარს ათქმევინებდა. ამ იმედის საფუძველს წარმოადგენდა ეროვნული ავტოკეფალიის მიმართ რუსი კანონისტების უარყოფითი განწყობა, რაც, სურვილის მიუხედავად, მათ ქართველების მხარეს აყენებდა.

ობერპროკურორი ფიქრობდა, რომ „*ტფილელის*" ტიტულის დათმობაზე მთავარეპისკოპოს პლატონსაც დაითანხმებდა, ხოლო საკითხისადმი თბილისელი რუსების წინააღმდეგობა შედეგს ვერ გამოიღებდა. კარტაშევი ვითარების ასეთ მსვლელობას იმ შემთხვევაში ვარაუდობდა, თუ ქართველები რუსეთის საეკლესიო კრებას დაესწრებოდნენ (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6465, 14).

საქართველოს ეკლესია რუსეთის საეკლესიო კრებაში მონაწილეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში თანხმდებოდა, თუ მიწვეული იქნებოდა, როგორც ავტოკეფალური ეკლესია. კარტაშევი და სინოდის სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარე, დეკანოზი კონსტანტინე აგეევი ვარაუდობდნენ, რომ ეს ასეც იქნებოდა, თუმცა რუსეთის სასულიერო ხელისუფლების გადაწყვეტილებები საპირისპიროს მოწმობდა.[2]

1917 წლის 25 ივლისს დროებითი მთავრობის მიერ დამტკიცებული „დებულებები" და მანამდე, 27 მარტს გამოცემული აქტი, როგორც მიხეილ (ილამაზ) დადეშქელიანი წერს, „*საფუძველი გახდა რუსეთის სახელმწიფოში ორი ეკლესიის (საქართველოსა და რუსეთის) თანაცხოვრების სრულიად ახლებური რეჟიმის შექმნის. ასევე ამ ორმა დოკუმენტმა შეინარჩუნა და გაახანგრძლივა რუსული სამთავრობო კონტროლი იმპერიაში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციებზე*" (დადეშქელიანი, 2011: 23).

დადეშქელიანი ასევე აღნიშნავს, რომ დროებითმა მთავრობამ საქა-

1. უფრო მეტიც, სრულიად საქართველოს I-მა საეკლესიო კრებამ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის წოდება შემდეგი ფორმით დაადგინა: „*მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და სრულიად საქართველოჲს კათოლიკოს-პატრიარქი*". ეკლესიის საჭეთმპყრობლად კირიონ II-ის აღსაყდრების შესახებ წერილები საზღვარგარეთ სწორედ ამ წოდებით დაიგზავნა (*დებულებანი*, 1917: 3; „*სვეტიცხოველი*", 1917: 4-5).

2. მაგ., 1917 წლის რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევის სამზადისის გამო უწმ. სინოდის მიმართვას სასულიერო წოდებისა და სამწყსოსადმი მეუფე პლატონი ხელს აწერდა, როგორც ქართლ-კახეთის მთავარეპისკოპოსი, საქართველოს ეგზარქოსი (*Деяния*, кн. I, 1918: 20).

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა იგნორირებული იყო სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევის შესახებ 1917 წლის 15 აგვისტოს (ძვ. სტ.) გამოქვეყნებულ დებულებაში. მისი 84-ე მუხლის თანახმად გურია-სამეგრელოსა და იმერეთისა ეპარქიების მღვდელმთავრები კრების წევრებად თავიანთი თანამდებობების მიხედვით იყვნენ ჩათვლილი (*Деяния*, кн. I, 1918: 18).

რთველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა სრულად განხორციელების გზაზე ამ დოკუმენტებით დაბრკოლებები შექმნა. ავტოკეფალისტების მხრიდან 27 მარტის აქტისა და 25 ივლისის დადგენილების მიღებას საფუძვლად ედო რწმენა, რომ ისინი მხოლოდ გარდამავალ ეტაპზე იმოქმედებდნენ (დადეშქელიანი, 2011: 26).

საქართველოს ეკლესიის დელეგაციას „*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცების დაჩქარების გარდა, როგორც ზემოთაა აღნიშნული, სხვა მნიშვნელოვანი ამოცანებიც ჰქონდა გადასაწყვეტი. მ. შ. იყო შემთანხმებელი კომისიის თავმჯდომარის შეცვლა, კომისიის დაარსების დაჩქარება, თბილისში მისი მუშაობის წარმართვაზე მთავრობის დაყოლიება და საქართველოს თავისუფალი ეკლესიის სახელით სინოდისადმი მისალმება.

კომისიის თავმჯდომარის შეცვლის საკითხი ახალი ობერპროკურორის ჩარევით შედარებით მშვიდობიანად მოგვარდა. კარტაშევმა ამაზე უწმინდესი სინოდი, მთავრობა და თვითონ ბენეშევიჩიც დაითანხმა, მაგრამ კომისიის ახალი თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევა გაუჭირდა. მისი აზრით, ახალი წყობის მომხრეთა შორის კარგი თეორეტიკოსი ბევრი იყო; საქმის მცოდნე, გამოცდილი მოღვაწე – ძალიან ცოტა და მათგან საქართველოს ყოფილი საეგზარქოსოს ქონების გამიჯვნის საქმის მეთაურობას არავინ კისრულობდა.

ბენეშევიჩის კომისიისაგან განსხვავებით, რომელიც საქმეებს მხოლოდ განიხილავდა, ახალ კომისიას ზოგიერთი საკითხი საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა.

ქართველებმა დროებით მთავრობას შესთავაზეს, საეკლესიო ინტერესთა გამიჯვნის ხელმძღვანელობა ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისთვის მიენდო. ამ წინადადებაზე უარი მიიღეს იმ მოტივით, რომ საქმე პეტროგრადში იყო დაწყებული. ავტოკეფალისტები თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ ხელისუფლებამ ბოლოსდაბოლოს საქართველოს ეკლესიის უფლება-მოვალეობანი აღიარა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 12, 14).

დელეგაციის წევრებს სინოდის წინაშე წარდგომა სასურველად მიაჩნდათ მაშინ, როცა მთავრობა „*ძირითად დებულებებს*“ დაამტკიცებდა, როცა საქართველოს ეკლესიის იურიდიულად არსებობას კიდევ ერთხელ დაადასტურებდა და მის უფლებებს განსაზღვრავდა.

საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა მისასალმებლად მიღებას სინოდი თავს არიდებდა, რადგან თვლიდა, რომ ეს ივერიის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებას უდრიდა. სინოდს სურდა, მათი განცხადება მომავალ საეკლესიო კრებას მოესმინა. ობერპროკურორის აზრით, რადგან სინოდი საეკლესიო კრებამდე რუსეთის ეკლესიის მმართველობის

უმაღლესი ორგანო იყო, დელეგაცია მას უნდა მიეღო და ავტოკეფალიის აღდგენის ფაქტისადმი თავისი დადებითი დამოკიდებულების შესახებ კრებისთვის მოეხსენებინა (საპატრ. არქ., ს. 6465: 15).

საქართველოს ეკლესიის წარგზავნილნი სინოდში აუდიენციასთან დაკავშირებით ოფიციალურ პასუხს ელოდნენ, რათა შემდეგ ორ ეკლესიას შორის კავშირის გაწყვეტა ქართულ მხარეს არ დაჰბრალებოდა. მათ ობერპროკურორი წინასწარ გააფრთხილეს, რომ თუ სინოდი ქართველთა მიღებას საეკლესიო კრებისთვის გადადებდა, ისინი კრებაზე არ ჩავიდოდნენ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 13).

დროებითი მთავრობა და სინოდი ჯერ კიდევ ცდილობდნენ, საქართველოს ეკლესია ავტონომიის-მაგვარ უფლებებზე დაეყოლიებინათ, თუმცა მას სინოდის კანტორისა და პროკურორის გავლენისაგან თავისუფლებას აღუთქვამდნენ. ობერპროკურორი, კერძოდ, საჭიროდ თვლიდა, რომ საქართველოს საეკლესიო კრებაზე განსახილველი ძირითადი საკითხებისა და დღის წესრიგის შესახებ მთავრობა წინასწარ ყოფილიყო ინფორმირებული და კრებას აღსარებათა სამინისტროს წარმომადგენელი დასწრებოდა. ეს მან ანარქიის თავიდან აცილებისა და კრებაზე წამოჭრილ კითხვებზე დროული პასუხის მიღების საშუალებად მონათლა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 15) და არა ხელისუფლების მხრიდან ეკლესიის კონტროლის მექანიზმად.

ქართულმა დელეგაციამ, ეკლესიის დროებითი მმართველობის მეთაურობით, პეტროგრადელ ქართველთა და გულშემატკივართა დახმარებით უფლებების ამგვარი შეკვეცის თავიდან აცილება შეძლო.

2 აგვისტოს, 12 საათზე, სინოდმა დელეგაცია მიიღო. ცერემონიალი წინასწარ იყო შეთანხმებული მთავარეპისკოპოს სერგისთან (სტრაგოროდსკი)[1], რომელიც იმ დროს სინოდს მთავარეპისკოპოს პლატონის (როჟდესტვენსკი) ნაცვლად თავმჯდომარეობდა.

დელეგაციის წევრებმა გადაწყვიტეს, არ დამსხდარიყვნენ, სიტყვაც ფეხზე მდგომებს ეთქვათ. დარბაზში მათ ობერპროკურორი შეუძღვა. მცირედი ლოცვის შემდეგ ეპისკოპოსი ანტონი სინოდს ივერიის თავისუფალი ეკლესიის სახელით მიესალმა. მან დამსწრეთ შეახსენა ისტორია თვითმპყრობელი ხელისუფლების მიერ საქართველოს დამოუკიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებისა „*თავისი უმცროსი დის – სრულიად რუსეთის ეკლესიისადმი*“. დელეგაციის მეთაურმა ტყვეობიდან გათავისუფლების მცდელობათა უშედეგობის შესახებაც აღნიშნა და 12 მარტს ქართველი ერის მიერ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა ახალი მთავრობის მიერ სამოქალაქო თავისუფლებათა გამოცხადე-

1. შემდგომში,1943-1944 წწ., სრულიად რუსეთის პატრიარქი, რომლის დროსაც საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის ლოცვით-ევქარისტიული კავშირი აღდგა.

ბას დაუკავშირა. მან გამოთქვა სურვილი, ორ ერთმორწმუნე ეკლესიას ცხოვრება ურთიერთსიყვარულის ატმოსფეროში გაეგრძელებინა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 55).

ყოვლადსამღვდელო სერგიმ რუსეთის ეკლესიის სახელით ქართველებს სანუკვარი სურვილის აღსრულება მიულოცა. მან აღნიშნა, რომ რუსული ეკლესიური აზრისთვის ივერიის ეკლესიაში სამართლებრივი წყობის აღდგენის აუცილებლობა უცხო არასოდეს ყოფილა. საკითხი სინოდისგან დამოუკიდებელი მიზეზებით გაჭიანურდა. მეუფე სერგიმ ქართველ ხალხს სულიერი აყვავებისთვის ახალი ძალების მობილიზება უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ მომავალ საეკლესიო კრებაზე ერთმანეთს ძმურად შეხვდებოდნენ, ურთიერთგაგების გზებს გამონახავდნენ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 56).

ქართველებმა პირჯვარი გადაიწერეს, თავი დაუკრეს და წამოვიდნენ. კარტაშევმა ისინი კარამდე მიაცილა, სინოდის წევრები მათ გამოსვლამდე ფეხზე იდგნენ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 15).

სინოდის დახვედრით ქართული დელეგაციის წევრები უკმაყოფილო არ დარჩენილან. მათ 3 აგვისტოს, კარტაშევთან გამომშვიდობებისას, აღნიშნეს, რომ სინოდისგან ამასაც არ მოელოდნენ; ობერპროკურორს კიდევ ერთხელ შეახსენეს კომისიის თბილისში გამოგზავნის დაჩქარების აუცილებლობა, თანაგრძნობისა და დახმარებისთვის მადლობა გადაუხადეს და კეთილი სურვილებით დაემშვიდობნენ. უწმ. სინოდის სასახლე დელეგაციის წევრებმა იმ იმედით დატოვეს, რომ ამის შემდეგ ქართველებს იქ შესვლა აღარ დასჭირდებოდათ. 3 აგვისტოს, საღამოს 10-ის ნახევარზე, ისინი უკვე თბილისისკენ გამოემგზავრნენ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 15-16).

ხელისუფალთაგან ტფილელის წოდების რუსი მღვდელმთავრისთვის მინიჭების განზრახვის საპასუხოდ ავტოკეფალისტებმა 1917 წლის 13 აგვისტოს ტფილელის კათედრა აღადგინეს. კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი ტფილელ მიტროპოლიტად აირჩიეს და აკურთხეს.

მიტროპოლიტ ლეონიდს კარტაშევმა 11 სექტემბერს შეატყობინა, რომ გამმიჯვნელი კომისიის თავმჯდომარედ მთავრობამ იურისტი, პროფესორი ბარონი ბორის ნოლდე დანიშნა. მიუხედავად დელეგაციისთვის მიცემული დაპირებისა, რომ კომისია თბილისში იმუშავებდა, აღსარებათა მინისტრმა მოსაყდრეს სამი წარმომადგენლის პეტროგრადში გაგზავნის მოთხოვნა წაუყენა (*ჟურნალები*, 2016: 274).

საქართველოს ეკლესიის მიერ აღნიშნულ კომისიაში დელეგატთა გაგზავნაზე უარის გამო ნოლდეს კომისიის მუშაობა განსხვავებული ფორმატით – თავმჯდომარისა და ორი იურისტის შემადგენლობით – დაიგეგმა (*Деяния*, кн. II, 1918: 332).

სირთულეთა მიუხედავად საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის დელეგაციამ თავისი მთავარი მისია შეასრულა. მისმა წევრებმა საქართველოს ეკლესიის მმართველ ორგანოსთან და პეტროგრადელ ქართველებთან შეთანხმებული, ფრთხილი მოქმედებით „*ძირითად დებულებათა*“ დამტკიცებას მიაღწიეს; რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების გამმიჯვნელი კომისიის თავმჯდომარის შეცვლის საკითხიც დადებითად გადაწყვიტეს; სინოდის წინაშეც საქართველოს დამოუკიდებელი ეკლესიის სახელით წარდგნენ და არა ქედის მოხრით, დახმარების თხოვნით.

მართალია, დელეგაციამ ვერ მიაღწია სრულიად საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის წოდების კანონიერ ფორმას და იგი პეტროგრადის მთავრობამ თავისი განზრახვისამებრ დაამტკიცა – *მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და სრულიად ქართველთა კათოლიკოს-პატრიარქი*, მაგრამ აღნიშნული წოდება საქართველოში არ დაკანონებულა. სრულიად საქართველოს I-მა საეკლესიო კრებამ კირიონ II (საძაგლიშვილი) ეკლესიის საჭეთმპყრობლად *სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის* წოდებით დაადგინა.

სიმტკიცითა და ეკლესიის ინტერესების განუხრელი დაცვით, რუსეთის ეკლესიის მმართველ ორგანოსთან დისტანცირებით საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის დელეგაციამ აჩვენა, რომ საქართველოს ეკლესია ჭეშმარიტების გზას არ გადაუხვევდა და კანონიერ საეკლესიო წყობას მომავალში უსათუოდ აღადგენდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. დადეშქელიანი, 2011 – ბატონიშვილი ილამაზ დადეშქელიანი, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია (კანონიკურ-სამართლებრივი ანალიზი)*, თარგმნა და კომენტარები დაურთო ვლადიმერ ნარსიამ, თბილისი.
2. დებულებანი, 1917 – *საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა. დებულებანი მიღებული სრულიად საქართველოს 1917 წლის საეკლესიო კრებაზე*, თბილისი.
3. ვადაჭკორია, 2018 – შოთა ვადაჭკორია, *ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს შექმნა*, ენციკლოპედია-ლექსიკონი „*საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)*“, თბილისი.

4. კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II, 1917 – *გუჯარი უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოზ-პატრიარქის კირიონისა საქართველოჲს ეკლესიის სამწყსოჲს მიმართ*; *ეპისტოლე სრულიად საქართველოჲს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორისა აღმოსავლეთის პატრიარქთა მიმართ*; *ეპისტოლე სრულიად საქართველოჲს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორისა ჰრომთა პაპის მიმართ*; *ეპისტოლე სრულიად საქართველოჲს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორისა სომეხთა კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ*, ჟურნალში „*სვეტიცხოველი*“, №4.
5. *ჟურნალები*, 2016 – *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები (1917 წლის 13 მარტი-14 სექტემბერი)*, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა ნინო შიოლაშვილმა და ირინა არაბიძემ, თბილისი.
6. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 6465.
7. „*საქართველო*“, №71 – გაზეთი „*საქართველო*“, 30.03.1917, №71.
8. „*სვეტიცხოველი*“, 1917 – ჟურნალი „*სვეტიცხოველი*“, 1917 წ., №4.
9. „*ცნობის ფურცელი*“, №1147 – გაზეთი „*ცნობის ფურცელი*“, 5.04. 1900, №1147.
10. *Деяния*, кн. I, 1918 – *Собрание определений и Деяния Священного Собора Православной Российской Церкви 1917-1918 гг.*, книга I, вып. II, Москва, https://azbyka.ru/otechnik/books/original/23605/ptimized.pdf
11. *Деяния*, кн. II, 1918 – *Собрание определений и Деяния Священного Собора Православной Российской Церкви 1917-1918 гг.*, книга II, Петроград, https://azbyka.ru/otechnik/books/original/23606/Arh%20Sobor%201918-Dejanija02.pdf

Activities of the delegation of the Temporary Management of the Church of Georgia in Petrograd

(Based on the Delegation Report. 1917)

March 27, 1917, the Provisional Government of Russia, in violation of the Church Law, recognized the autocephaly of the Church of Georgia, on national grounds. There was a need to separate the ecclesiastical interests of the former Exarchate of Georgia between Georgians and Russians; along with this, the issue of determining the rights of the newly restored Church was delayed a lot. To

solve it, the delegation of the Temporary Management of the Church of Georgia (March-September 1917) was in Petrograd from June 14 to August 3. Their duty was to inform the Provisional Government about the state of the Church of Georgia; taking care to speed up the approval of the main provisions of the legal status of the Church of Georgia within Russian State and addressing other needs of the Church.

The Delegation had to explain to the Government that the State Treasury had liabilities to the Church of Georgia in exchange for the estates and properties confiscated from the Church of Georgia during the 19th century.

The Delegation was not to address the Holy Synod in relation to the above-mentioned issues; ithad to appear at the Holy Synod on behalf of the Free Church of Georgia and express the desire for friendly relations. The Temporary Management of the Church of Georgia attached principle importance to this. Since the autocephaly of the Church of Georgia was canceled by the imperial government, its rights had to be confirmed by the secular government even under the present conditions.

During the stay in Petrograd, Georgians living there provided a lot of help to the Delegation. The Provisional Government approved the Main Provisions on July 25.

The delegation of the Provisional Administration fulfilled its main mission _ to promote the establishment of the rights of the Church of Georgia; appeared before the synod of the Church of Russia on behalf of the free Church of Georgia, and not with a request for help; achieved a positive solution of the question of changing the commissioner of the Provisional Government for the Church of Georgia. With its principled attitude the delegation proved to the representatives of the Church of Russia that the Church of Georgia would fight for the restoration of its legitimate rights until the final victory.

Деятельность делегации Временного Управления Грузинской Церкви в Петрограде (по докладу делегации, 1917 г.)

Временное Правительство России, нарушив церковные каноны, 27 марта 1917 года признало автокефалию Грузинской Церкви по национальному характеру. Стало необходимым размежевание церковных интересов бывшего Экзархата Грузии между грузинами и русскими. Определение прав

восстановленной церкви слишком затянулось. Для улаживания вопросов церкви делегация Временного Управления Грузинской Церкви находилась в Петрограде с 14 июня по 3-е августа 1917 г.

На основании полученных от Временного Управления Грузинской Церкви инструкций, делегации было поручено предоставление Временному Правительству достоверной информации о состоянии Грузинской Церкви; содействие утверждению „*основных началъ правового положения грузинской церкви въ русскомъ государстве*“; ходатайство об удовлетворении различных потребностей Церкви (выделение средств, открытие училищ, возвращение Афонского Иверского монастыря Грузинской Церкви и т. п.); защита Грузинской Церкви от негативного влияния со стороны, находящегося в Петрограде, уполномоченного Временного Правительства по делам Грузинской Церкви Бенешевича и бывшего Экзарха архиепископа Платона. Делегация должна была объяснить правительству, что основой обязательства русской государственной казны перед Грузинской Церковью являются конфискованные у нее 1850-1869 гг. поместья и другое имущество.

Делегация по этим вопросам не должна была обращаться к Святейшему Синоду. Она должна была только передать ему приветствие от имени свободной Грузинской Церкви и проявить желание продолжить дружеские отношения. Временное Управление считало этот вопрос принципиальным. Поскольку автокефалия Грузинской Церкви была упразднена императором, её права в новых условиях должно было утверждено светским правительством. Во время пребывания делегации в Петрограде, им очень помогали проживающие тогда в Петрограде грузины.

Временное правительство утвердило „*основные начала*“ 25 июля. Протест членов делегации, против присвоения главе церкви титула „*Архиепископ Мцхетский, Католикос-Патриарх всех грузин*“, закончился безуспешно, но, все же в Грузии этот титул не был узаконен. На 1-м Церковном Соборе Грузии глава церкви Кирион II (Садзаглишвили) был избран с титулом – Католикос-Патриарх всея Грузии.

Делегация Временного Управления выполнила свою главную миссию – содействовать утверждению прав Грузинской Церкви; предстала перед синодом Российской Церкви от имени свободной Грузинской Церкви а не с просьбой о помощи; добилась положительного решения вопроса о смене уполномоченного Временного Правительства по делам Грузинской Церкви. Своей принципиальностью делегация доказала представителям Русской Церкви, что Грузинская Церковь за восстановление своих законных прав будет бороться до окончательной победы.

დეკანოზ კორნელი კეკელიძის ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღსრულებისათვის

(საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალების მიხედვით, 1917 წ.)

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, ეპისკოპოს ლეონიდის (ოქროპირიძე) თავმჯდომარეობით საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა 1917 წ. 12 (25) მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტის საფუძველზე შეიქმნა; მოქმედებდა 13 მარტიდან 14 სექტემბრამდე.[1]

მმართველობის მისიათა აღსრულებაში მისი წევრის, დეკანოზ კორნელი კეკელიძის ღვაწლი განუზომელია. ეკლესიის უფლებათა აღდგენა-განხორციელება, სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრების მოწვევის ორგანიზება ეკლესიის მესვეურთ დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებდა.

დროებით მთავრობასა და რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებთან (რომლის უმრავლესობა დიდმპყრობელური იდეებით იყო გაჟღენთილი) ურთიერთობა დიდ ცოდნას, გამბედაობას, ამასთანავე სიფრთხილესა და დიპლომატიას მოითხოვდა.

ადგილობრივ და პეტროგრადის ხელისუფლებასთან წარსადგენ თითქმის ყველა დოკუმენტს დეკანოზი კორნელი წერდა ან შედგენაში მაინც მონაწილეობდა.

ეკლესიის დროებითი მმართველობის მეორე სხდომაზევე გამოიკვეთა ადგილობრივი ხელისუფლებისთვის საქართველოს ეკლესიაში 12 მარტს მომხდარი მოვლენის განმარტების საჭიროება. ამ მოვალეობის შესრულება ოთხი წევრისაგან შემდგარ კომისიას დაევალა: ეპისკოპოს ანტონს, დეკანოზ კორნელი კეკელიძეს, დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძეს და ისტორიკოს სერგი გორგაძეს (*ჟურნალები*, 2016: 15).

ეკლესიის დროებითი მმართველობის მთელ შემადგენლობას ესმოდა ახალ მთავრობასთან ურთიერთობის სირთულე. აქედან გამომდინარე, 1917 წლის 20 მარტის სხდომაზე დეკანოზ კორნელისთვის მთავრობასთან წარსადგენი დეკლარაციის[2] შემუშავების დავალება დიდი ნდობის გამოცხადება იყო (ჟურნალები, 2016: 21).

დეკანოზმა კორნელიმ დოკუმენტში მოკლედ გადმოსცა საქართველოს ეკლესიის ისტორია; 1811 წელს რუსეთის საერო ხელისუფლების მიერ მისი დაქვემდებარება რუსეთის ეკლესიისადმი აშკარა ძალმომრეობად და სხვის საქმეებში უკანონო ჩარევად შეაფასა; მუხლობრივად

1. მოღვაწეობის ექვსი თვის მანძილზე დროებითი მმართველობა წევრებით რამდენჯერმე შეივსო. მისი შემადგენლობის მეტ-ნაკლებად სრული სია იხ. აქვე: 72-73.

2. დეკლარაციისთვის საკათოლიკოსოს ისტორიული ტერიტორია სერგი გორგაძემ ექვთიმე თაყაიშვილისა და პავლე ინგოროყვას დახმარებით შემოსაზღვრა (*ჟურნალები*, 2016: 21).

განიხილა დარღვევები, რაც აღნიშნულ მოვლენას მოჰყვა. დეკლარაციაში ამასთანავე ნათქვამია: *„ახლა, როცა რუსეთში დამყარდა სამართლებრივი წყობა, რომელმაც რელიგიური, აქედან გამომდინარე კი ეკლესიური, თვითგამორკვევის თავისუფლებაც გამოაცხადა, საქართველოს ეკლესიამ რუსეთის ეკლესიაზე უკანონო დამოკიდებულებისაგან თავი გაითავისუფლა და კანონიერი ავტოკეფალური უფლებების განხორციელებას შეუდგა...“* (*ჟურნალები*, 2016: 23-24).

დოკუმენტის მიხედვით საქართველოს საკათოლიკოსოს ტერიტორიაზე მცხოვრები რუსი მართლმადიდებლები საქართველოს ეკლესიას *„ფართო ავტონომიური უფლებების მქონე ეპისკოპოსის“* საშუალებით უნდა დაქვემდებარებოდნენ. ყოფილი საეგზარქოსოს ტერიტორიაზე, საკათოლიკოსოს გარეთ მცხოვრები მართლმადიდებელი მოსახლეობა კი რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში რჩებოდა. იქვე წარმოდგენილი იყო კათოლიკოს-პატრიარქის არჩევასა და მისი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები. საქართველოს ეკლესიის არსებობისთვის საჭირო თანხების წყაროდ დასახელებული იყო მრავალმილიონიანი ქონება, რომელიც მას 1850-1869 წლებში რუსეთის ხაზინის სასარგებლოდ ჩამოერთვა.

ეკლესიის მმართველი ორგანო ახალი სახელმწიფო წყობისადმი საქართველოს ეკლესიის მხარდაჭერას გამოხატავდა და იმედოვნებდა, რომ ხელისუფლება მას ცხოვრების კანონიკურ საწყისებზე მოწყობაში დაეხმარებოდა (*ჟურნალები*, 2016: 24-25).

ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ ინფორმაციას თანაგრძნობით შეხვდა, მაგრამ ვითარება შეცვალა 12 მარტის აქტისადმი პეტროგრადის მთავრობის უარყოფითმა დამოკიდებულებამ. ამ უკანასკნელმა 27 მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ეროვნული ნიშნით აღიარა. ეს ნიშნავდა, რომ მის შემადგენლობაში მხოლოდ ქართველი მართლმადიდებლები უნდა შესულიყვნენ, სხვა ეროვნების მართლმორწმუნენი ისევ რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში რჩებოდნენ.

მთავრობა იმავე 27 მარტის აქტით მოითხოვდა, სასწრაფოდ შემუშავებულიყო *„რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის ძირითადი დებულებები“*. საერო ხელისუფლების მიერ მის დამტკიცებამდე კი ყოფილი საეგზარქოსოს ტერიტორიაზე არსებული საეკლესიო დაწესებულებების მართვა ძველებურად უნდა გაგრძელებულიყო (*ჟურნალები*, 2016: 37).

დროებითი მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილებით საქართველოს ეკლესიაში ფილეტიზმი – ეკლესიის ეროვნული ნიშნით დაყოფა – კანონდებოდა. დეკანოზ კორნელისა და სერგი გორგაძის აზრით, რომელსაც

მმართველობის ყველა წევრი დაეთანხმა, ეროვნული ავტოკეფალია გაუმართლებელი იყო საეკლესიო კანონების სულისკვეთების თვალსაზრისით, ასევე მისი განხორციელებისას მოსალოდნელი შედეგებიდან გამომდინარე. ის რუსეთის ეკლესიის მხრიდან საქართველოს ეკლესიის უფლებათა დარღვევას და ურთიერთშორის უთანხმოების გაღვივებას გამოიწვევდა.

ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრებმა პეტროგრადის მთავრობასთან გასაგზავნი საპროტესტო ტექსტის შემუშავება დეკანოზ კორნელის სთხოვეს. მან ეს დავალება იქვე შეასრულა. დეპეშაში დასაბუთებული იყო ეკლესიის დამოუკიდებლობის დროინდელ საზღვრებში აღიარების აუცილებლობა, მაგრამ თუ დროებითი მთავრობა საეკლესიო კანონებს დაარღვევდა და აღდგენილ ავტოკეფალიას მხოლოდ ეროვნული ნიშნით აღიარებდა, საქართველოს ეკლესია არასასურველ შედეგებზე პასუხისმგებლობას იხსნიდა (*ჟურნალები*, 2016: 38).

დროებითმა მმართველობამ ამის შემდეგ ეკლესიის ტერიტორიულ საზღვრებში აღიარების საკითხის მოგვარების იმედები რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელ კომისიას დაუკავშირა. პეტროგრადელი ქართველებისგან ცნობილი გახდა, რომ მის თავმჯდომარედ დანიშნული პროფესორი ვლადიმერ ბენეშევიჩი „*საუკეთესო კანონისტი და კარგი მიმართულების ადამიანი*“, საქართველოს ეკლესიის გულშემატკივარი იყო (*ჟურნალები*, 2016: 43, 143; ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივანე ჯავახიშვილის ფ. ს.1375: 2).

ავტოკეფალისტები ბენეშევიჩთან მოლაპარაკებებით ფიქრობდნენ მეორე საკითხის – კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენციად თბილისის აღიარების – გადაწყვეტასაც. დროებითი მთავრობა რომ ახლად აღდგენილი ეკლესიის საჭეთმპყრობლის რეზიდენციად მცხეთას მოიაზრებდა და თბილისში რუსი მღვდელმთავრის დასმას აპირებდა, ეს ინფორმაციაც პეტროგრადელი ქართველებისგან წინასწარ გახდა ცნობილი (*ჟურნალები*, 2016: 43).

ასე რომ, დროებითი მმართველობა ეკლესიის უფლებათა განხორციელების უმთავრესი საკითხების მოგვარებას ბენეშევიჩთან მუშაობით ფიქრობდა (თუმცა შემდგომში მასთან ურთიერთობა ქართველებისთვის მოულოდნელი მიმართულებით წარიმართა).

პეტროგრადელი პროფესორი თბილისში 1917 წლის 7 აპრილს უნდა ჩამოსულიყო. მასთან მუშაობისთვის 15 წევრის შემადგენლობით შეკრებილმა ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ხუთკაციან კომისიას უყარა კენჭი. ყველაზე მეტი ხმა (14) დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ მიიღო. ხმების რაოდენობით შემდეგ მოდიოდნენ დეკანოზები: ნიკიტა თალაქვაძე, კალისტრატე ცინცაძე, ისტორიკოსი სერგი გორ-

გაძე და ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე). მათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ტერიტორიული პრინციპის დასაცავად უნდა ებრძოლათ. ხოლო თუ ამის მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, კომისიას უნდა განეცხადებინა, რომ *„ემორჩილება მხოლოდ ძალას და უნებლიეთ კისრულობს ექსტერიტორიალურს – ეროვნულს ავტოკეფალიას, თუმცა პასუხისმგებლობა ისტორიისა და მსოფლიო ეკლესიის წინაშე დაედება რუსის ეკლესიას“* (*ჟურნალები*, 2016: 52-53).

დეკანოზი კორნელი კეკელიძე აღნიშნულ კომისიაშიც დიდი დატვირთვით მონაწილეობდა. განხილული საკითხების შესახებ დროებით მმართველობას მუდმივად საქმის კურსში აყენებდა. ეკლესიის მმართველმა ორგანომ აპრილის შუა რიცხვებში, პოლიტიკურ პარტიებთან შეთანხმებით, სწორედ მისი მოხსენების საფუძველზე დაადგინა, რომ ავტოკეფალიის სრული სახით განხორციელება იმხანად ვერ მოხერხდებოდა (*ჟურნალები*, 2016: 65-68, 70-71).

ვითარებიდან გამოსავალს რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებათა განსაზღვრა წარმოადგენდა. მთავრობისაგან მოთხოვნილი *„ძირითადი დებულებების“* შემუშავებაც დეკანოზ კორნელის დაევალა. მის მიერ შესრულებული სამუშაო ეკლესიის დროებითმა მმართველობამ შინაარსობრივი ცვლილებების გარეშე მოიწონა. საკითხის იურიდიული მხარის სწორად გასააზრებლად, ეკლესიის მმართველობის სხდომაზე მიწვეული იურისტების რჩევით, დეკანოზმა კორნელიმ ტექსტს იურიდიული დოკუმენტის შესაფერი ფორმა მისცა (*ჟურნალები*, 2016: 41). ზუსტად ორ დღე-ნახევარში ესოდენ შრომატევადი და პასუხსაგები სამუშაოს უნაკლოდ შესრულება ნამდვილად საკვირველია და მხოლოდ გამორჩეულ პროფესიონალებს ხელეწიფებათ.

დებულებები 14 პარაგრაფისგან შედგებოდა და ძირითადად ითვალისწინებდა დროებითი მთავრობის მიერ აღიარებულ ავტოკეფალიის ეროვნულ პრინციპს. გამონაკლისს წარმოადგენდა ეკლესიის საჭეთმპყრობლის წოდება და აფხაზეთისა და ოსეთისათვის საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში ნებაყოფლობითი გაერთიანების შეთავაზება (*ჟურნალები*, 2016: 77-78; იხ. აქვე: 50).

დებულებების §1-ის დამატებაში განმარტებული იყო: საქართველოს ეკლესიამ ეროვნული ავტოკეფალიის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა, მთავრობის გადაწყვეტილებას დამორჩილებოდა. აქედან გამომდინარე, ის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ უარყოფილი ფილეტიზმის დაკანონებისთვის ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნიდა (*ჟურნალები*, 2016: 77-79).

სწორედ ავტოკეფალისტთა პროტესტის შედეგად, მთავრობისაგან

დამტკიცებული „*დროებითი წესებით*“,[1] აფხაზებსა და ა/კავკასიაში მცხოვრებ ოსებს საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში შესვლა-არშესვლის საკითხი შეეძლოთ, თავისი სურვილისამებრ გადაეწყვიტათ (*ჟურნალები*, 2016: 215).

ეს შედარებით დამაიმედებელი გარემოება იყო, ვიდრე აზრის გაუთვალისწინებლად მათი რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში დატოვება.

დეკანოზ კორნელის უხდებოდა არა მარტო დროებით მთავრობასთან ურთიერთობისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადება, არამედ ახლად აღდგენილი ეკლესიის შიდა მდგომარეობის განმსაზღვრელი წესების შემუშავებაც. მაგ., ეკლესიის მმართველმა ორგანომ დეკანოზი კორნელი, დეკანოზ კალისტრატესა და ტრიფონ ჯაფარიძესთან ერთად აირჩია სამრევლო, საოლქო და საეპარქიო საბჭოებისთვის სახელმძღვანელო დროებითი ინსტრუქციის შემმუშავებელ კომისიაში. მათ აღნიშნული საბჭოების უფლება-მოვალეობები მეორე დღისთვის უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდათ და დასამტკიცებლადაც წარადგინეს (*ჟურნალები*, 2016: 54, 56-58).

დეკანოზი კორნელი, ეკლესიის დროებით მმართველობასა და რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელ კომისიაში მოღვაწეობის პარალელურად, სასულიერო სემინარიის რექტორი იყო და იქაურ საქმეებს განაგებდა (*ჟურნალები*, 2016: 41, 58, 72-73). მისი უსაზღვრო გულმოდგინება-კომპეტენციის დამადასტურებლად დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალებში არის ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ დეკანოზი კორნელი გარკვეულ სამუშაოს დავალების გარეშეც ასრულებდა და განსახილველად შეჰქონდა. მმართველობა მის მიერ შედგენილ დოკუმენტებს ზოგჯერ ყოველგვარი შესწორების გარეშე ამტკიცებდა (*ჟურნალები*, 2016: 99-100).

ბენეშევიჩის საქმიანობით ქართული მხარის უკმაყოფილების შესახებ პეტროგრადის მთავრობისთვის მოხსენების ტექსტის შედგენაც ვასილ ბარნოვსა და იპოლიტე ვართაგავასთან ერთად ისევ დეკანოზ კორნელის დაევალა (*ჟურნალები*, 2016: 82).

დეკანოზი კორნელი კეკელიძე ავტორიტეტით, ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა არა მარტო დროებითი მმართველობის წევრთა უმრავლესობაში, არამედ რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენელთა შორისაც. გორის სასულიერო სასწავლებლის გამგეობამ 25 აპრილის თარიღით გამოგზავნილი წერილით სასწავლებლების გაეროვნულებას-

1. მთავრობის მიერ დამტკიცებული „*ძირითადი დებულებები*“ ოფიციალურად შემდეგი სათაურით გამოცხადდა: „*დროებითი წესები რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის შესახებ*“ („*Временныя правила о положении грузинской православной церки в рссийком государстве*“ (*ჟურნალები*, 2016: 215). დროებითობა დამფუძნებელი კრების მიერ საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე პერიოდს გულისხმობდა.

თან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად თბილისში შეკრების ორგანიზება სწორედ დეკანოზ კორნელის სთხოვა (*ჟურნალები*, 2016: 95).

აღნიშნული კრების ხელმძღვანელობა მას, როგორც თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორს, შესაძლოა, მართლაც ყველაზე მეტად შეეფერებოდა, მაგრამ საეკლესიო ქონების განაწილებამდე კრების მოწვევა ნაადრევი იყო. სასწავლებლების რეორგანიზაციაზე ზრუნვა მხოლოდ მოგვიანებით, დროებითი მთავრობის მიერ „*ძირითადი დებულებების*" დამტკიცების (25 ივლისი) საფუძველზე გახდა შესაძლებელი (*ჟურნალები*, 2016: 95, 228-230).

რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელთა ნაწილი საქართველოს ეკლესიის უფლებათა აღდგენა-გაფართოებისთვის ხელის შეშლას პროვოკაციებით ცდილობდა და ავტოკეფალისტებს აშკარადაც უპირისპირდებოდა. ისინი თავიანთ დიდმპყრობლურ მისწრაფებებს ვერ მალავდნენ. საეკლესიო საკითხიდან გამომდინარე, რუსებსა და ქართველებს შორის იმდენად დაძაბული ვითარება შეიქმნა, რომ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარე ვასილ ხარლამოვმა მხარეებს მშვიდობიანობის ინტერესებისთვის ღონისძიებათა გატარება მოსთხოვა.

საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ორივე მხარის მღვდელმთავრებს საზოგადოებისთვის მიემართათ. ყოვლადსამღვდელო ლეონიდს ტექსტის შედგენაში დეკანოზები – კორნელი[1] და კალისტრატე უნდა დახმარებოდნენ (*ჟურნალები*, 2016: 56).

საქართველოს ეკლესიის მიერ გავრცელებულ მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ ქართველი სამღვდელოება რუსებისა და მათი ეკლესიის წინააღმდეგ არ იყო განწყობილი. იქვე მოსაყდრე ქართველ მორწმუნეებს მოუწოდებდა, არაქართველების მიმართ აგრესიული ქმედებები არ ჩაედინათ (*ჟურნალები*, 2016: 48, 63; სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 149: 24-25).

მიუხედავად მიღებული ზომებისა, 1917 წლის 6 მაისს თბილისში გავრცელდა ხმები, რომ რუსები ქართველების, განსაკუთრებით ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე აქტიურად მომუშავეთა მიმართ ანგარიშსწორებას გეგმავდნენ. მათთვის არასასურველ პირთა შორის დასახელებული იყვნენ: კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, მეუფე ლეონიდი, დეკანოზები: კორნელი კეკელიძე და ნიკიტა თალაქვაძე (*ჟურნალები*, 2016: 101).

1. მიმართვის უკვე ჩამოყალიბებული პროექტის შედგენაში მოსაყდრესთან ერთად მხოლოდ დეკანოზ კალისტრატეს მონაწილეობაა აღნიშნული. დეკანოზ კორნელის სახელი სხდომის მდივანს შემთხვევით გამორჩა ან მას, რაღაც მიზეზების გამო, ტექსტის შემუშავებაში მონაწილეობა მართლაც არ მიუღია (*ჟურნალები*, 2016: 63).

ადგილობრივმა მთავრობამ 6-7 მაისის ღამეს ზემოაღნიშნულ პირებს დაცვა დაუყენა და ამ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შედეგად 12 ადამიანი დააკავა. ექსცესებს ადგილი აღარ ჰქონია. ეპისკოპოს ლეონიდის აზრით, რუსებს შორის ქართველების ასეთი სიძულვილი ყოფილ ეგზარქოს პლატონისა (1915-1917, როჟდესტვენსკი) და ბენეშევიჩის მოქმედებათა შედეგს წარმოადგენდა (*ჟურნალები*, 2016: 101-102).

ხელისუფლებისა და თვით ავტოკეფალისტთა მცდელობის წყალობით საფრთხე იმჟამად თავიდან აიცილეს, თუმცა რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელთა მტრობა საქართველოს ეკლესიის მიმართ შემდეგშიც გრძელდებოდა. მასთან გამკლავების საჭიროება ეკლესიის უფლებათა განხორციელების პროცესს აფერხებდა.

სახელმწიფოში ეკლესიის იურიდიული მდგომარეობის განსაზღვრა და სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრების მოწვევა მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ეკლესიის დროებითი მმართველობის მუხლჩაუხრელი მუშაობის პირობებშიც კი ზოგიერთი მეტად საჩქარო საკითხის განხილვა გვიანდებოდა. 1917 წლის 15 მაისის სხდომაზე სარგის კაკაბაძის წინადადებით შეიქმნა ხუთკაციანი აღმასრულებელი საბჭო. მას წინასწარ უნდა განეხილა დროებით მმართველობაში შესული დოკუმენტები და მათთვის მიმართულება მიეცა. დეკანოზი კორნელი, ეპისკოპოს ანტონთან, მღვდელ ქრისტეფორე ციცქიშვილთან, მიხეილ მაჩაბელსა და სერგი გორგაძესთან ერთად აღნიშნულ საბჭოშიც მოღვაწეობდა (*ჟურნალები*, 2016: 110).

1917 წლის 23 მაისს რუს-ქართველთა შემთანხმებელი კომისიის თავმჯდომარე ბენეშევიჩის მიერ შემუშავებული „*ამიერკავკასიაში მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველობის საფუძვლების პროექტის*“ განხილვისას დეკანოზი კორნელი ზომიერ მიმართულებას მიემხრო. მისი აზრით, *„ბენეშევიჩის პროექტი იდეალური თვალსაზრისით არამც თუ შეუწყნარებელია, დამამცირებელიცაა, მაგრამ დღევანდელ პირობებს თუ მივიღებთ მხედველობაში, ის, ჯეროვანი შესწორების შემდეგ, ერთადერთი საშვალებაა, რომ 12 მარტის აქტის ლიკვიდაცია ავიშოროთ თავიდან“* (*ჟურნალები*, 2016: 127-128). ამ აზრამდე დეკანოზი კორნელი საქართველოს ეკლესიის უნუგეშო მდგომარეობის ძირფესვიანად გააზრებამ მიიყვანა. მანამდე, 4 მაისს, მისი, ივანე ჯავახიშვილისა და სერგი გორგაძის მონაწილეობით შედგენილ წერილში ბენეშევიჩთან მუშაობის შეწყვეტაზეც კი იყო საუბარი (*ჟურნალები*, 2016: 102-103).

დეკანოზმა კორნელიმ მონაწილეობა მიიღო ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის ძირითად დებულებათა დამტკიცების დასაჩქარებლად

პეტროგრადში მივლინებული დელეგაციისთვის[1] ინსტრუქციის შედგენაშიც. მასთან ერთად საკითხზე იმუშავეს: ეპისკოპოსმა ანტონმა, დეკანოზებმა – კალისტრატემ და ნიკიტამ, საერო პირებმა – სერგი გორგაძემ, სარგის კაკაბაძემ, დავით დავითაშვილმა (*ჟურნალები*, 2016: 143-144).

ინსტრუქციის გარდა სწორედ დეკანოზმა კორნელიმ შეიმუშავა პეტროგრადში წარსადგენი პროექტები დაბალი, საშუალო და უმაღლესი სასულიერო სასწავლებლების დაარსების, ეპარქიათა რიცხვის გაზრდის, საეპარქიო კათედრათა მოწყობისა და ეკლესიის საჭეთმპყრობლის უზრუნველყოფის შესახებ (*ჟურნალები*, 2016: 145, 146-147, 149-160).

ეკლესიის დროებითმა მმართველობამ 20 ივნისის სხდომაზე საეკლესიო კრების წინასწარი თათბირისა და თვითონ კრების მოსამზადებლად კომისია დეკანოზ კორნელის, მღვდელ ქრისტეფორე ციცქიშვილის, სერგი გორგაძის და სარგის კაკაბაძის შემადგენლობით აირჩია (*ჟურნალები*, 2016: 171).

27 ივნისს კომისიამ უკვე წარადგინა წინასწარ თათბირზე განსახილველ საკითხთა ვრცელი ნუსხა, მათ შორის მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ: ღვთისმსახურების მოწესრიგება-გამარტივება-დახვეწა; ხუროთმოძღვრების, საეკლესიო მხატვრობის, გალობის ტრადიციების აღდგენა-გამოკვლევა-დაცვა; საზოგადოებასთან სასულიერო პირთა დამოკიდებულება, მათი გარეგნობა და სამოსი; სამონასტრო ცხოვრების მოწესრიგება და მონასტერთა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა; მონასტრების დაცვა, როგორც ეროვნულ-კულტურული მოვალეობა; ეკლესია და დემოკრატიული პრინციპი; ეკლესიისთვის მისაღები სახელმწიფო-პოლიტიკური წყობა; სოციალ-ეკონომიური და ეროვნული საკითხები ეკლესიის თვალსაზრისით; ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა.

საკითხთა დასამუშავებლად დამატებითი ძალების მობილიზება იყო საჭირო, თუმცა მალევე გაირკვა, რომ ამ რთულ დავალებათა მტვირთველი არავინ აღმოჩნდა და მოხსენებათა მომზადებაც საეკლესიო კრების მომწყობი კომისიის წევრების საზრუნავი გახდა (*ჟურნალები*, 2016: 176-178, 211-212).

დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ შეიმუშავა საეკლესიო კრების წევრთა და კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნების დებულებათა პროექტები. არჩევნების შესახებ ხალხის ინფორმირებისთვის ინსტრუქციის შედგენაც მას დაევალა (*ჟურნალები*, 2016: 190, 211).

დეკანოზ კორნელის მიერ იყო დაწერილი პეტროგრადის დროებითი მთავრობის წევრებისთვის გასაგზავნი იურიდიული თათბირის 12 ივლი-

1. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია).

სის კანონპროექტის საპროტესტო დეპეშაც: „*ქართველი იერარქისათვის ტფილელის წოდების ჩამორთმევა და რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლისათვის მისი მინიჭება უსამართლოა როგორც ისტორიული, ისე კანონიკური ჭეშმარიტების თვალსაზრისით; არაა გამოწვეული თბილისისა და მისი შემოგარენის რეალური მართლმადიდებელი მოსახლეობის ინტერესებით; წარმოადგენს ეკლესიურ პოლიტიკანობას; განმსჭვალულია საეკლესიო იმპერიალიზმის სულით, რაც შეეფერება ძველი, მაგრამ არა ახალგაზრდა, რევოლუციური რუსეთის წარმომადგენელთ. ამ ცეზაროპაპიზმის ხასიათის პროექტს ქართველები და საქართველოს ეკლესია არასოდეს დაემორჩილებიან; პროექტის გასვლის შემთხვევაში, მის წინააღმდეგ ბრძოლას საკუთარი საეკლესიო-ეროვნული ცხოვრების ლოზუნგად გაიხდიან*“ (*ჟურნალები*, 2016: 202-203).

დეკანოზმა კორნელიმ შეიმუშავა მოხსენება ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის სახელზე, სადაც დასაბუთებით აღნიშნავდა, რომ საქართველოს ეკლესიის საქმეთა მოწესრიგებაზე ზრუნვა საკუთარ თავზე სწორედ ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა აეღო (*ჟურნალები*, 2016: 268). ოზაკომი წინადადებას დათანხმდა, მაგრამ პეტროგრადის მთავრობა აღმოჩნდა წინააღმდეგი.

ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალებში მრავლადაა დაფიქსირებული დეკანოზ კორნელის პრინციპულობა. ამის მაგალითია ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ დადგენილი ოთხსაფეხურიანი არჩევნების ორსაფეხურიანით შეცვლაზე მსჯელობისას გამოთქმული მოსაზრებანი. ის ამტკიცებდა, რომ საქართველოს ეკლესიაში მორწმუნეთა აზრს ყოველთვის ითვალისწინებდნენ და მათ ეს უფლება არ უნდა წართმეოდათ. როცა ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომაზე ხმათა უმრავლესობით ორსაფეხურიანი არჩევნების მომხრეებმა გაიმარჯვეს, დეკანოზმა კორნელიმ დროებითი მმართველობიდან გასვლის შესახებ განცხადება დაწერა. ამ შემთხვევაში მის პრინციპულობას განაპირობებდა ფაქტი, რომ საყოველთაო (ოთხსაფეხურიანი) არჩევნები დროებით მმართველობას „*ძირითადი დებულებებით*“ ჰქონდა ნაკისრი და წესებიც უკვე დაგზავნილი იყო ამომრჩევლებთან (*ჟურნალები*, 2016: 78 (§4), 218-222).

ეკლესიის მმართველობამ დეკანოზ კორნელი კეკელიძესთან თავისი წარმომადგენლებიც კი გაგზავნა თხოვნით, საქმე ასეთ რთულ ეტაპზე არ მიეტოვებინა. მანაც მხოლოდ ვითარების გათვალისწინებით თქვა თავის გადაწყვეტილებაზე უარი (*ჟურნალები*, 2016: 222-223).

დეკანოზ კორნელის პრინციპულობა ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის წევრად ნიკოლოზ დურნოვოს მოწვევის საკითხთან დაკავშირებითაც გამოვლინდა. მმართველობის ეროვნულ ორგანოში

რუსის, თუნდაც საქართველოს ეკლესიის გულშემატკივრის ჩართვა მან ყოვლად მიუღებლად მიიჩნია; სხვადასხვა მოსაზრებით კოლეგებიც დაეთანხმნენ და ნ. დურნოვოსადმი პატივისცემა სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრებაზე საპატიო სტუმრის სტატუსით მიწვევაში[1] გამოხატეს (*ჟურნალები*, 2016: 210, 239).

დეკანოზ ანტონ თოთიბაძესთან ერთად დეკანოზ კორნელი კეკელიძეს დაევალა კათოლიკოს-პატრიარქის კვერთხის, შესამოსლის და ბარტყულის ნიმუშების დამუშავებაც. მანვე შეადგინა I საეკლესიო კრების ძეგლისწერა და კრების გახსნისას წარმოსათქმელი სიტყვა, შეასწორა ამავე დღეს წირვის შემდეგ წასაკითხი მიმართვა (*ჟურნალები*, 2016: 263). იგი ემხრობოდა საეკლესიო წიგნების მხედრულად ბეჭდვას, ტიპიკონსა და მღვდელმოქმედებაში დროის შესაბამისი ცვლილებების შეტანას; ეკლესიის გარეთ სასულიერო პირთა საერო სამოსით სიარულის შესაძლებლობასა და სხვა (*ჟურნალები*, 2016: 264, 268).

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალების მიხედვით, დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელებისათვის ბრძოლას დიდი ცოდნა, ენერგია და დრო მოახმარა. განხილული მასალით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ის საეკლესიო სამართლისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის უბადლო მცოდნე იყო. დეკანოზ კორნელის ეკლესიის დროებითი მმართველობა ყველაზე პასუხსაგებ დავალებებს აძლევდა; ენდობოდა ეკლესიის ხელმძღვანელი ორგანოს წევრების უმრავლესობა და ისიც ნდობას ყოველთვის ამართლებდა.

1. ნიკოლოზ დურნოვო კრებაზე ვერ ჩამოვიდა. ამის შესახებ მან სინანული გამოთქვა მეუფე ლეონიდისადმი 1917 წლის სექტემბრის დასაწყისში გამოგზავნილ წერილში; იქვე გამოხატა სიხარული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გამო და მხარი დაუჭირა საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას (დურნოვო, 1917: 12; როგავა, 1995: 196, დამოწმებული კვიციანთან, 1999: 133).

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. დურნოვო, 1917 – *ნ. დურნოვოს წერილი*, ჟურნალში „*სვეტიცხოველი*“ №3.
2. კვიციანი, 1999 – ტასო კვიციანი, *ნიკოლოზ დურნოვო და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი*, „*საისტორიო ძიებანი*“, II წელიწდეული.
3. *ჟურნალები*, 2016 – *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები (1917 წლის 13 მარტი-14 სექტემბერი)*, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და საძიებლები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა ნინო შიოლაშვილმა და ირინა არაბიძემ, თბილისი.
4. როგავა, 1995 – გივი როგავა, *საქართველოს ეკლესიის ისტორია*, თბილისი.
5. სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 149 – საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2080, აღწ. 1, საქმე 149.

Deacon Korneli Kekelidze's merit in the process of implementing the autocephalous rights of the Church of Georgia

(based on the Journals of session of the temporary management of the Church of Georgia, 1917)

March 12 (25), 1917, in Mtskheta Svetitskhoveli Cathedral, after the restoration of the autocephaly of the Church of Georgia, High Priest Leonid (Okropiridze) was elected as the locum tenens of the Catholicos-Patriarch. The Temporary Management formed under his chairmanship had to achieve the restoration and implementation of the rights of the Church and to ensure the holding of the Church Congress of All Georgia.

The merits of Deacon Korneli Kekelidze in the activities carried out during the six months of the existence of this body, are immeasurable. He wrote or at least participated in drafting of almost all documents submitted to the local and Petrograd Governments.

Deacon Korneli has expressed a competent opinion on almost all issues discussed at the sessions of the Temporary Management of the Church of Georgia. The reviewed material proves once again that he was an unparalleled expert on Church Law and the history of the Church of Georgia. The members of the Temporary Management entrusted the most responsible assignments to Deacon Korneli; and he always lived up to their expectations with his characteristic „*great erudition, boundless hard work, scientific integrity and diligence*“.

Заслуга протоиерея Корнеля Кекелидзе в процессе осуществления автокефальных прав Грузинской Церкви

(По журналам заседания Временного Управления Грузинской Церкви, 1917 г.)

12 (25) марта 1917 года в Мцхетском соборе Светицховели объявили восстановление автокефалии Грузинской Церкви. Церковь возглавило Временное Управление под руководством местоблюстителя Католикоса-Патриарха, епископа Гурийско-Мингрельского Леонида (Окропиридзе). Временному Управлению полагалось добиться практического осуществления прав Церкви, созвать I Церковный Собор, на котором избрали бы главу церкви и Католикосский Совет.

Временное Управление существовало шесть месяцев и в проведенной ею работе огромная заслуга протоиерея Корнеля Кекелидзе. Почти все документы для местного и Петроградского Правительства составлял он, или участвовал в их создании.

На совещаниях Временного упрвления Грузинской Церкви, протоиерей Корнели Кекелидзе высказывал компетентные мысли в связи с насущными вопросами.

Журналы заседания этого органа еще раз ясно свидетельствуют, что он блестяще знал церковное право и историю Грузинской Церкви. Члены Временного Управления церкви протоиерею Корнелю доверяли самые ответственные задания, и он, со своей огромной эрудицией, безграничной работоспособностью, научной добросовестностью, всегда оправдывал доверие.

ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობაში (1917 წ.)

1917 წლის 12 (25) მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენილად გამოცხადების შემდეგ რუსეთის სახელმწიფოსა და ეკლესიის მონობისაგან თავის დაღწევა, ეკლესიის უფლებათა ცხოვრებაში განხორციელება რთული და ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა.

რუსეთში 1917 წლის რევოლუციის შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსული დროებითი მთავრობა (თებერვალი-ოქტომბერი) *„ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“* ცარიზმის დროინდელი დოქტრინის დაცვას ცდილობდა (ბენდიანიშვილი, 2001: 61). ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას რუსეთის ტერიტორიის ერთიანობისთვის საფრთხედ აღიქვამდნენ, საკითხს პოლიტიკური თვალსაზრისით განიხილავდნენ.

ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების რთული პროცესის წარმატებისთვის სამღვდელოებასთან ერთად საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ეპისკოპოს ლეონიდის (ოქროპირიძე) თავმჯდომარეობით იღვწოდნენ ერისკაცები.[1] მათ შორის საქართველოს ისტორიის ამ რთულ მონაკვეთში მნიშვნელოვანია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ივანე ჯავახიშვილს პეტროგრადში მოუსწრო და სამშობლოს პოლიტიკური განახლების იმედი გაუძლიერა. 1917 წლის 11 მარტს კიტა აბაშიძისთვის[2] გამოგზავნილ წერილში იგი საქართველოს ავტონომიის საკითხში პოლიტიკურ პარტიათა შორის შეთანხმების სურვილს გამოთქვამდა და იქვე მიუთითებდა: *„მე მგონია, ჩვენს სამღვდელოებას და მრევლს შეუძლიანთ საეკლესიო კრება მოიწვიონ და საქართველოს ეკლესიის თვითმწყსობა აღადგინონ, აირჩიონ კათოლიკოზი და ეს მთავრობასა და ლვოვს აცნობონ“* (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივ. ჯავახიშვილის ფ., ს. 1374, 2; ჯანელიძე, 1996: 16).

ივანე ჯავახიშვილის ეს მოსაზრება სრულად დაემთხვა ქართველ ავტოკეფალისტთა აზრს, რომლებსაც ქვეყანაში რევოლუციით შექმნილი ვითარების გამოყენება უკვე დაგეგმილი ჰქონდათ და 12 მარტს განახორციელეს კიდეც.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით პეტროგრადში მყოფი ივანე ჯავახიშვილის საქმიანობის შესახებ

---

1. ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრთა მეტ-ნაკლებად სრული ნუსხა იხ. აქვე: 72-73.
2. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრი კიტა აბაშიძე ივანე ჯავახიშვილის ქვისლი იყო.

მოგვითხრობენ ავტორები: სერგო ჯორბენაძე, ოთარ ჯანელიძე, გურამ ყორანაშვილი (ჯორბენაძე, 1984: 185; ჯანელიძე, 1996: 16; ყორანაშვილი, 1999: 36).

წინამდებარე სტატიაში დიდი მეცნიერის ღვაწლი ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების პროცესში, უმთავრესად, ეკლესიის დროებითი მმართველობის (1917 წლის 13 მარტიდან 14 სექტემბერი) სხდომის ჟურნალებზე დაყრდნობითაა განხილული.

ეკლესიის ხელმძღვანელი ორგანოს წევრები ივანე ჯავახიშვილისადმი ნდობას, იმედსა და დიდ პატივისცემას გამოხატავდნენ. მათ მუშაობის დასაწყისშივე (20 მარტის სხდომა) მიიღეს გადაწყვეტილება, ეკლესიასთან დაკავშირებით არსებული ვითარება პეტროგრადში მამულიშვილებისთვის – ალექსანდრე ცაგარელის, ზურაბ ავალიშვილისა და ივანე ჯავახიშვილისთვის გაეცნოთ (*ჟურნალები*, 2016: 21).

ავტოკეფალისტები ფიქრობდნენ, რომ პეტროგრადში საქართველოს ეკლესიის საკითხის გადაწყვეტის პროცესში მონაწილეობისთვის სინოდს შეიძლებოდა იქ მცხოვრები ქართველები მიეწვია. თბილისიდან დეპეშით ივანე ჯავახიშვილს სთხოვეს, ეკლესიის მმართველ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე თანამემამულეებს ნაბიჯები არ გადაედგათ[1] (*ჟურნალები*, 2016: 68).

გარდა იმისა, რომ მოქმედების კოორდინირება იყო აუცილებელი, ეკლესიის მესვეურთათვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეკლესიის საკითხის დასრულებას რუსეთის სინოდის ჩარევის გარეშე. ივერიის ეკლესიის დამოუკიდებელი მმართველობა 1811 წელს საერო ხელისუფლებისგან იყო გაუქმებული და აღდგენაც მის მემკვიდრეს უნდა განეხორციელებინა.

ჯერ კიდევ პეტროგრადში მყოფი ივანე ჯავახიშვილისთვის ეკლესიის მდგომარეობა ყოველდღიურ საზრუნავს რომ შეადგენდა, მის არქივში დაცული მიმოწერიდან კარგად ჩანს. 23 მარტის წერილით იგი კიტა აბაშიძეს ურჩევდა, საეკლესიო საკითხში წინდახედულობა გამოეჩინათ: *„ეცადეთ ეს მაინც კარგად მოაგვაროდ, თორემ როგორც ვატყობ, თანდათან რუსულ საზოგადოებაში ისეთი რეაქცია იკიდებს ფეხს არარუს ერთადმი, რომ პოლიტიკურ უფლებების აღდგენისათვის მეტად დიდი ბრძოლა დაგვჭირდება და ისიც, ვინ იცის, მივიღებთ რამეს თუ არა?“* (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივ. ჯავახიშვილის ფ., ს. 1375: 2).

იმავე წერილში აღნიშნულია, რომ პეტროგრადის მთავრობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ იურიდიული თათბირის

1. დეპეშა დანიშნულ მისამართზე 14 აპრილს მისულა, როცა ივანე ჯავახიშვილი უკვე სამშობლოში იმყოფებოდა. მას დეპეშის შინაარსი პეტროგრადიდან აკაკი შანიძემ წერილით შეატყობინა (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივ. ჯავახიშვილის ფ., ს. 2336: 1).

დასკვნას იზიარებდა. ეს დასკვნა 12 მარტის აქტის მნიშვნელობას იმდენად ამცირებდა, რომ მის მიღებაზე პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორ ვლადიმერ ბენეშევიჩსაც კი უარი უთქვამს. ამ უკანასკნელს საეკლესიო სამართლის მეცნიერთა ჯგუფის მიერ ახალი დებულების შემუშავებაში მონაწილეობა ნიკო მართან ერთად მიუღია. ივანე ჯავახიშვილი და ზურაბ ავალიშვილი ობერპროკურორ ვლადიმერ ლვოვს საათ-ნახევრის განმავლობაში არწმუნებდნენ, იურიდიული კომისიის დასკვნა მარისა და ბენეშევიჩის მონაწილეობით შემუშავებული ვარიანტით შეეცვალა.

ივანე ჯავახიშვილს არც ეს ვარიანტი მიაჩნდა დამაკმაყოფილებლად, მაგრამ საქმის ვითარებიდან გამომდინარე, მისი მიღების აუცილებლობას ხედავდა, *„საქმე მთლად იღუპებოდა და ისევ ეს სჯობდა“* (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივ. ჯავახიშვილის ფ., ს. 1375: 1; ჯორბენაძე, 1984: 185).

დროებითმა მთავრობამ პოლიტიკური მოსაზრებით 1917 წლის 27 მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას ეროვნული ხასიათი მიანიჭა. მან უარყო საკათოლიკოსოს იურისდიქციის ტერიტორიული საზღვრებით შემოფარგვლა, შიშით, რომ ეს ქვეყნის დამოუკიდებლობისკენ გადადგმული ნაბიჯი გახდებოდა. მთავრობის დადგენილებით საქართველოს ყოფილი საეგზარქოსოს ტერიტორიაზე მცხოვრები არაქართველი მართლმადიდებლები ისევ რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში უნდა დარჩენილიყვნენ.

27 მარტის აქტით საქართველოს ეკლესიაში კანონდებოდა მორწმუნეთა ეთნიკური ნიშნით დაყოფა, რაც მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონების სულისკვეთებას ეწინააღმდეგებოდა, ადგილობრივი ეკლესიის უფლებებს ზღუდავდა.

პეტროგრადის მთავრობამ ქართულ მხარეს ახალი სტატუსის შესაფერი *„რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის ძირითადი წესების“* შემუშავება დაავალა, რაც შემდეგ თვითონვე უნდა დაემტკიცებინა (*ჟურნალები*, 2016: 37).

მთავრობის ზემოაღნიშნულმა აქტმა ბევრი კითხვა გააჩინა. რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა ეკლესიის გულშემატკივართათვის მხოლოდ ზეპირი გადმოცემებით გახდა ცნობილი.

ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა იმ საშიშროებებზე, რომლებიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ეროვნული ნიშნით აღიარების დადგენილებაში არ აღინიშნა, მაგრამ ცალკე არსებულ ინსტრუქციაში იყო შეტანილი.

პირველი საშიშროება შეეხებოდა არაქართველთა შორის აფხაზებისა და ოსების ჩათვლას. ამ საკითხზე ობერპროკურორის განმარტებაში, რომ არაქართველებში იგულისხმებოდნენ მხოლოდ ბერძნები და

აისორები, მეცნიერს ეჭვი ეპარებოდა. იგი წუხდა, ვაითუ, აფხაზები და ოსებიც მათ შორის ჩათვალონო (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივ. ჯავახიშვილის ფ., ს. 1375: 2). ეჭვი გამართლდა კიდეც.

მეორე საკითხი დაკავშირებული იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენციად – მცხეთის, ხოლო რუსთა მღვდელმთავრის რეზიდენციად თბილისის გამოცხადებასთან. ივანე ჯავახიშვილსა და ზურაბ ავალიშვილს ამის გამო ობერპროკურორ ვ. ლვოვთან უკამათიათ კიდეც, მაგრამ უშედეგოდ[1] (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივ. ჯავახიშვილის ფ., ს. 1375: 2).

კათოლიკოს-პატრიარქის წოდებაში *„ტფილელის“* დაფიქსირება საქართველოს დედაქალაქად თბილისის აღიარების მანიშნებელი იქნებოდა. ამის დაშვება, საკითხის პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან კავშირის გამო, კატეგორიულად არ სურდათ დროებით მთავრობასა და უწმ. სინოდს.

ივანე ჯავახიშვილი იმასაც ითვალისწინებდა, რომ დროებითი მთავრობის განზრახვა რუსეთის ეკლესიის კავკასიელი მღვდელმთავრის წოდებასთან დაკავშირებით საქართველოს ეკლესიას *ტფილელის* ყოლის უფლებას მოუსპობდა[2] (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივ. ჯავახიშვილის ფ., ს. 1375: 2).

კიდევ ერთი საკითხი, რომლის შესახებაც ივანე ჯავახიშვილი პეტროგრადში ყოფნისას ობერპროკურორ ლვოვს ესაუბრა, ქართული მხარის მიერ უწმ. სინოდში წარმომადგენლების გაგზავნა იყო. მამულიშვილს საკმაოდ მტკიცე პოზიცია დაუჭერია და ობერპროკურორისთვის განუცხადებია: *„არავითარი საქმე სინოდთან ქართველ სამღვდელოებას არა აქვს და ამისთვის იგი არც დეპუტაციას გამოგზავნისო“* (*ჟურნალები*, 2016: 72).

ივანე ჯავახიშვილმა საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას ისიც აცნობა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს ობერპროკურორთან შედარებით უფრო გაგებით მისი თანაშემწე ანტონ კარტაშევი ეკიდებოდა. კარტაშევს დელეგაციის გაგზავნასთან დაკავშირებით ქართველი მეცნიერის აზრი გაუზიარებია:

„რუსის ეკლესია მოვალეა, ბოდიში მოიხადოს საქართველოს ეკლესიის წინაშე და ნუთუ ეხლა ჩვენვე უნდა ვურჩევდეთ, რომ სინოდში

1. ივანე ჯავახიშვილის წერილი მოწმობს, რომ აღნიშნულ პუნქტთან დაკავშირებით პროტესტი არქიმანდრიტ ამბროსისაც (ხელაია) განუცხადებია (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივ. ჯავახიშვილის ფ., ს. 1375: 2). ის ამ დროს რუსეთში იმყოფებოდა და დროებითი მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ თბილისში მყოფ ავტოკეფალისტებზე ადრე შეიტყო.

2. I მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8, IV მსოფლიო საეკლესიო კრების მე-12, კონსტანტინოპოლის ორგზისი კრების მე-16 და საქართველოს ადგილობრივი საეკლესიო კანონებით ერთ ქალაქში ორი ეპისკოპოსის მღვდელმთავრობა დაუშვებელია.

დეპუტაცია გამოგზავნონო?!“ – უთქვამს მას ლვოვის თანდასწრებით (*ჟურნალები*, 2016: 72).

27 მარტის აქტს ეკლესიის მართვის საქმეში გაურკვევლობა შეჰქონდა. ბუნდოვანი იყო საკითხის სრულად გადაწყვეტამდე ვის უნდა ემართა ეკლესია, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრესა და დროებით მმართველობას თუ ყოფილ ეგზარქოს პლატონს (1915-1917, როჟდესტვენსკი).

მთავრობის დადგენილების საფუძველზე მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების აღმოსაფხვრელად ეკლესიის მესვეურებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ. პირველ ეტაპზე საჭირო გახდა:

– დაეცვათ ტერიტორიული ავტოკეფალია;

– მიეღწიათ მთავრობისაგან სიონის საკათედრო ტაძრის კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენციად აღიარებისა და მისი თბილისში ცხოვრების უფლებისათვის;[1]

– გაემართათ მოლაპარაკებები აფხაზებთან და ოსებთან დროებითი მთავრობის 27 მარტის აქტის შესახებ მათი აზრის გასაგებად (*ჟურნალები*, 2016: 44).

ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრები წამოჭრილი სირთულეების დაძლევას დროებითი მთავრობის რწმუნებულ ვლადიმერ ბენეშევიჩთან მუშაობით ფიქრობდნენ. რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელი კომისიის თავმჯდომარედ დანიშნული პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი თბილისში აპრილის დასაწყისში უნდა ჩამოსულიყო. მანამდე კი მის შესახებ მხოლოდ დამაიმედებელი ინფორმაცია ვრცელდებოდა.

ივანე ჯავახიშვილი წერდა: „*ბენეშევიჩი კარგი კაცია, ჩვენ თანაგვიგრძნობს... უნდა კარგა დაუხვდეს ქართველი სამღვდელოება და საზოგადოება*“. იგი გამოთქვამდა იმედს, რომ ბენეშევიჩთან ქართველი სამღვდელოების მუშაობის პროცესში ობერპროკურორთან მოლაპარაკების დროს მიღებული შედეგებიც შეიძლებოდა გაუმჯობესებულიყო (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივ. ჯავახიშვილის ფ., ს. 1375: 2).

მთავრობის რწმუნებულის მიმართ ასეთივე განწყობას გამოხატავდა ნიკო მარიც; ახასიათებდა მას, როგორც „*საუკეთესო კანონისტს და კარგი მიმართულების ადამიანს*“ (*ჟურნალები*, 2016: 143).

საქართველოს საეკლესიო საქმეთა რწმუნებულმა ქართველ მეცნიერთა იმედები ვერ გაამართლა. ივანე ჯავახიშვილს ეკლესიის უფლებათა დასაცავად მასთან დაპირისპირებაც მოუხდა, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებ.

1. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის დეკლარაციის §3-ით *მცხეთის მთავარეპისკოპოსის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის* რეზიდენცია თბილისის სიონის ტაძარში უნდა ყოფილიყო და მას თბილისში ცხოვრების უფლება უნდა ჰქონოდა (*ჟურნალები*, 2016: 32; იხ. აქვე: 15).

1917 წლის აპრილში ბენეშევიჩთან საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრთა რამდენიმე შეხვედრამ ცხადყო, რომ დამოუკიდებლობის ტერიტორიული ნიშნით აღიარების მიღწევა შეუძლებელი იყო. იგი საკითხს არა კანონიერების თვალსაზრისით, არამედ პეტროგრადის მთავრობის წარმომადგენლის პოზიციიდან განიხილავდა. წარმატებით დაწყებული საქმე სრული მარცხით რომ არ დამთავრებულიყო, ეკლესიის მესვეურნი იძულებული გახდნენ, ეროვნულ ავტოკეფალიას დასჯერებოდნენ (*ჟურნალები*, 2016: 68, 70).

ბენეშევიჩმა 19 აპრილს ეპისკოპოს ლეონიდს განუცხადა, რომ მღვდელმთავრის სახლის ქართული მხარისათვის გადაცემის, საეკლესიო დაწესებულებათა მმართველობისა და სხვა საკითხებზე პასუხის გაცემა არ შეეძლო და პეტროგრადში მიემგზავრებოდა. იქ „ძირითად დებულებათა“ დამტკიცების დაჩქარებასაც შეუწყობდა ხელს.

ეკლესიის დროებითი მმართველობა ასეთ განცხადებას დიდი უკმაყოფილებით შეხვდა. 19 აპრილის სხდომაზე გამოითქვა აზრი, რომ მთავრობის რწმუნებულისთვის სრული უნდობლობა გამოეცხადებინათ და მასთან ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტათ. ზოგი პეტროგრადში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და ობერპროკურორთან პროტესტის დეპეშის გაგზავნას უჭერდა მხარს, რათა კომისიის თავმჯდომარედ *„სხვა, უფრო მტკიცე ხასიათისა და მართლმსაჯული კაცი“* დაენიშნათ. ზოგი – საქმის ვითარების მოსახსენებლად პეტროგრადში დელეგატის გაგზავნის საჭიროებას ხედავდა. ამ მისიის შესრულება დროებითი მმართველობის წევრებმა ივანე ჯავახიშვილს ერთხმად სთხოვეს, მაგრამ მან *„ზოგიერთი დამაბრკოლებელ მიზეზებისა გამო“* უარი განაცხადა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პეტროგრადში გამგზავრება იმ დროს ეკლესიის მმართველობის წევრთაგან ვერავინ იდო თავს (*ჟურნალები*, 2016: 81).

თუ ბენეშევიჩი საქართველოს ეკლესიის საქმის განხილვისას დროებითი მთავრობის ინტერესებს იცავდა, მის უკანონო ქმედებათა შესახებ პეტროგრადისთვის მოხსენება შედეგს ვერ მოიტანდა.

ერთი მხრივ, ეკლესიის ავტოკეფალიისადმი ივანე ჯავახიშვილის გულშემატკივრობის, მეორე მხრივ კი მისი ბრძნული და წინდახედული რჩევებისადმი პატივისცემის დამადასტურებელია ყოვლადსამღვდელო ლეონიდის 21 აპრილის წერილი, რომლითაც მან მეცნიერი ბენეშევიჩთან შემდგომი მუშაობის საკითხის განსახილველად მიიწვია. წერილში აღნიშნულია: *„თუ შესაძლოდ დაინახავთ კრებაზე დასწრებას, დიდად მოხარული და მადლიერი ვიქნები. ბენეშევიჩთან მუშაობის შეწყვეტის მეშინიან“* (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივ. ჯავახიშვილის ფ., ს. 1934: 1).

დაესწრო თუ არა დიდი მეცნიერი ამ არაოფიციალურ შეკრებას, ჩემთვის უცნობია. ფაქტია, რომ იმავე საღამოს (21 აპრილი) ეკლესი-

ის დროებითმა მმართველობამ საქართველოს საეკლესიო საქმეთა რწმუნებულთან მუშაობის გაგრძელების დადგენილება გამოიტანა (ივანე ჯავახიშვილის გვარი დროებითი მმართველობის ამ სხდომაზე დამსწრეთა შორის არ ფიგურირებს) (*ჟურნალები*, 2016: 83-84).

საქართველოს ეკლესიაზე ივანე ჯავახიშვილის ზრუნვას ადასტურებს აგრეთვე ნინო გელოვანის წერილი. იგი მეცნიერს პეტროგრადიდან საქართველოს ეკლესიის საქმეებთან დაკავშირებით ცნობებს აწვდიდა და მისი მეშვეობით ავტოკეფალისტებს რჩევასაც აძლევდა (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივ. ჯავახიშვილის ფ., ს. 1673: 3).

ივანე ჯავახიშვილის პრინციპულობა ქვეყნისა და ეკლესიის ინტერესების დაცვის საქმეში აშკარად გამოჩნდა დროებითი მმართველობის 1917 წლის 4 მაისის სხდომაზე. ამ დღეს ბენეშევიჩის 2 მაისით დათარიღებული წერილი მოისმინეს. ეკლესიის საქმეთა რწმუნებული დროებითი მმართველობისაგან ითხოვდა დაწვრილებით განმარტებებს 12 მარტის აქტის რაობის, მასზე დასასწრებად კრებულისა და საეროთა წარმომადგენლების არჩევის დროისა და ვითარების, მასში არაქართველ მართლმადიდებელთა მონაწილეობის, კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრისა და დროებითი მმართველობის არჩევნების შესახებ; ასევე – ინფორმაციას საქართველოს ეკლესიისადმი სასულიერო პირთა მიკუთვნების პრინციპთან დაკავშირებით და რა სახის ურთიერთობას გეგმავდა მომავალში დროებითი მმართველობა რუსულ საეკლესიო ხელისუფლებასთან.

ბენეშევიჩი აღნიშნავდა, რომ დასმულ კითხვებზე განმარტებები საჭირო იყო დროებითი მთავრობისთვის საქართველოს ეკლესიის იურიდიულ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მოხსენების წარსადგენად და თვითონ მის მიმართ ქართული მხარის მიერ გამოთქმული უკმაყოფილებების საფუძვლის დასადგენად. არჩევნების მსვლელობის შესახებ ინფორმაცია, ამომრჩეველთა ბიულეტენების ნიმუშები, ოქმთა წარმოების პრინციპები და სხვა კი რუსეთის ეკლესიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით უწმ. სინოდის ობერპროკურორს აინტერესებდა (*ჟურნალები*, 2016: 98-99). აღნიშნულზე განმარტებათა მოთხოვნა დროებითმა მმართველობამ ეკლესიის დამოუკიდებლობის უგულებელყოფად ჩათვალა.

ივანე ჯავახიშვილმა წერილის დაწვრილებითი ანალიზისას აღნიშნა, რომ *„იგი ულოღიკოც არის და ცუდი გამოძიების ხასიათიც აქვს“*. პირველი, რაზეც მან ყურადღება გაამახვილა, იყო შეკითხვა: *„რუსეთის ეკლესიის ოთხი ეპისკოპოსი*[1] *რატომ არიან დასახელებული „*საქართველოს

1. იგულისხმებიან ავტოკეფალიის აღდგენის აქტზე ხელმომწერი მღვდელმთავრები: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი (ოქროპირიძე), იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი), გორის ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე) და ალავერდელი ეპისკოპოსი პიროსი (ოქროპირიძე).

ეკლესიის მღვდელმთავრებად“. მეცნიერის აზრით, ბენეშევიჩისთვის უნდა ეპასუხათ, რომ საქართველოს ეკლესია ძველი რეჟიმის დროსაც არსებობდა და მთავრობის 27 მარტის დეკლარაციის შემდეგ ეს საყოველთაოდ იყო აღიარებული. ამაზე თვით მისი თანამდებობაც მიუთითებდა: *დროებითი მთავრობის დროებითი რწმუნებული საქართველოს ეკლესიის საკითხებში* (*Временно-уполномоченный Временного Правительства по делам Грузинской церкви*[1]) (*ჟურნალები*, 2016: 99; Чумакова, 2019: 187).

მეორე საკითხი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია, იყო ბენეშევიჩის უფლებამოსილება, განეხილა 12 მარტის აქტის კანონიერება. მთავრობამ ეს აქტი უკვე დაადასტურა და 27 მარტის დადგენილებაში მიუთითა, რომ მოვლენას კანონიკური თვალსაზრისით არ განიხილავდა. ბენეშევიჩი მთავრობის აღნიშნული დებულების გვერდის ავლით ითხოვდა ცნობებს და დაწყებულ გამოძიებას სინოდის ობერპროკურორისთვის ინფორმაციის მიწოდების საჭიროებით ამართლებდა. ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, საქართველოს ეკლესიის საქმეთა რწმუნებულისთვის უნდა ეცნობებინათ, რომ ობერპროკურორის ინტერესს არჩევნების წარმოებასთან დაკავშირებით ეკლესიის დროებითი მმართველობა თვითონ დააკმაყოფილებდა.

განხილული წერილის შინაარსიდან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილმა ბენეშევიჩთან, როგორც კონტრრევოლუციონერთან, კავშირის გაწყვეტის წინადადება წამოაყენა, მისი საქართველოდან გაწვევის მოთხოვნა მიზანშეწონილად მიიჩნია (*ჟურნალები*, 2016: 99).

დეკანოზ კორნელი კეკელიძის მიერ შედგენილი 2 მაისის წერილის პასუხის რედაქტირებისთვის ეკლესიის დროებითმა მმართველობამ შექმნა კომისია. კომისიის წევრებად დეკანოზი კორნელი, ივანე ჯავახიშვილი და სერგი გორგაძე დასახელდნენ.

რედაქტირებული წერილით დროებითი მმართველობა ბენეშევიჩს ატყობინებდა, რომ შემოთავაზებულ კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავს იკავებდა, მასთან მუშაობას წყვეტდა და დროებით მთავრობას მიმართავდა თხოვნით, საქართველოს ეკლესიას არსებობის ნორმალური პირობები შეჰქმნოდა (*ჟურნალები*, 2016: 99-100, 102-103).

პასუხი მოიწონეს აკაკი ჩხენკელმა, როგორც ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წარმომადგენელმა და ინტერპარტიულმა

1. Грузинская Церковь – საქართველოს ეკლესია ამ ფორმითაა მოხსენიებული მთავრობის 27 მარტის დადგენილებაშიც, სადაც აღნიშნულია, რომ *„მთავრობა არ ეხება რა საქართველოს ძველი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიკურ მხარეს... აღიარებს ამ აღდგენასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგების დადგენის აუცილებლობას“* („*Временное Правительство, не касаясь канонической стороны восстановления автокефалии древней православной Грузинской Церкви... признает необходимым установить правовыя последствия, с таковым восстановлением связанныя*“) (ჟურნალები, 2016: 37).

კრებამ[1], მხოლოდ საქმის გართულების თავიდან ასაცილებლად ავტოკეფალისტებს ბენეშევიჩთან მუშაობის გაგრძელება ურჩიეს (*ჟურნალები*, 2016: 103, 105). მათი რჩევა, როგორც უმეტეს შემთხვევაში, ეკლესიის მმართველმა ორგანომ ახლაც გაითვალისწინა.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის 4 ივლისის სხდომაზე აღინიშნა, რომ *„პროფესორი ჯავახიშვილი მმართველობის წევრად არ ირიცხება და მან კი არაერთხელ მიიღო მხურვალე მონაწილეობა ავტოკეფალიის საქმეებში“*. დროებითი მმართველობის შემადგენლობაში მის შეყვანას მხარი ყველამ ერთხმად დაუჭირა. სხდომის ჟურნალში აღნიშნულია, რომ ივანე ჯავახიშვილი, მასთან ერთად ზურაბ ავალიშვილი და ნინო გელოვანი *„ჩარიცხულ იქმნან წევრებად სამმართველოსა, როგორც ერთგული და ფრიად სასარგებლო მოღვაწენი“*. ამის შესახებ დიდ მეცნიერს ყოვლადსამღვდელო ლეონიდმა 26 ივლისის წერილით აცნობა (*ჟურნალები*, 2016: 181-182; ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივ. ჯავახიშვილის ფ., ს. 1935: 1). მასთან თანამშრომლობას შემდგომში საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოც განაგრძობდა.[2]

ერის წინაშე ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი წარმოჩენილია კინორეჟისორ ლერი სიხარულიძის წერილში, რომელშიც იგი დიდი მეცნიერის წმინდანად შერაცხვის წინადადებას აყენებს: *„დიდმა ივანემ შეანივთა ტიტანური შრომით ერის სული მის ისტორიასთან და ამით შეამზადა იგი ისევ ორთავ ფეხზედ დასადგომად თავისუფალ ერთა შორის, რა მიზნისათვისაც დღეს ასე ერთსულოვნად იღვწის ქართველობა ჯვრით, სისხლით და თავისი ისტორიის სახელით“* (საპატრ. არქ. ახ. აღწ., ს. 2688: 3).

ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა სრული სახით აღდგენა-განხორციელება ქვეყნის დამოუკიდებლობის საწინდარი იყო. ეკლესიის მმართველი ორგანო ამ რთულ საქმეში გარდა სამღვდელოებისა, ერისკაცთა მამულიშვილობას, ცოდნასა და გამოცდილებას ეყრდნობოდა. დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალებიდან და ასევე სხვა წყაროებიდან ჩანს, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი, უნივერსიტეტის დაარსების საქმესთან ერთად, მშობლიური ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების საქმეში აქტიურად მონაწილეობდა და მას დიდი დრო და ენერგია შეალია.

---

1. ინტერპარტიულმა გაერთიანებამ ეკლესიის დროებითი მმართველობა თავის პირველ კრებაზე (1917 წლის 7 აპრილი) მიიწვია, თანადგომას დაჰპირდა; შემდგომში ავტოკეფალისტები მას რჩევისთვის ხშირად მიმართავდნენ (*ჟურნალები*, 2016: 55; იხ. აქვე: 137-142).

2. საკათოლიკოსო საბჭოს 1917 წ. 28 ნოემბრისა და 8 დეკემბრის სხდომებზე იყო მსჯელობა საქართველოდან რუსეთში გატანილი განძეულის დაბრუნების შესახებ. საბჭომ ივანე ჯავახიშვილს სთხოვა აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით ცნობების მიწოდება. წერილის ასლები მოსე ჯანაშვილს და ექვთიმე თაყაიშვილსაც დაეგზავნათ (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 460, 1; იქვე, ს. 6675: 52). მართალია, საქმეს შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ მიმართვის ტექსტიდან კარგად ჩანს დიდი ქართველი მეცნიერისადმი ეკლესიის მმართველი ორგანოს წევრთა პატივისცემა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბენდიანიშვილი, 2001 – ალექსანდრე ბენდიანიშვილი, *საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918–1921 წწ.)*, თბილისი.
2. *ჟურნალები*, 2016 – *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები (1917 წლის 13 მარტი–14 სექტემბერი)*, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა ნინო შიოლაშვილმა და ირინა არაბიძემ, თბილისი.
3. საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 460 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 460.
4. საპატრ. არქ. ახ. აღწ., ს. 2688 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე 2688.
5. ყორანაშვილი, 1999 – გურამ ყორანაშვილი, *ივანე ჯავახიშვილი*, თბილისი.
6. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივ. ჯავახიშვილის ფ., ს. 1374 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, საქმე 1374.
7. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივ. ჯავახიშვილის ფ., ს. 1375 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, საქმე 1375.
8. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივ. ჯავახიშვილის ფ., ს. 1673 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, საქმე 1673.
9. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივ. ჯავახიშვილის ფ., ს. 1934 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, საქმე 1934.
10. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივ. ჯავახიშვილის ფ., ს. 1935 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, საქმე 1935.
11. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ივ. ჯავახიშვილის ფ., ს. 2336 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, საქმე 2336.
12. ჯანელიძე, 1996 – ოთარ ჯანელიძე, *ივანე ჯავახიშვილი*, თბილისი.
13. ჯორბენაძე, 1984 – სერგო ჯორბენაძე, *ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა*, თბილისი.
14. Чумакова, 2019 – Татьяна Чумакова, *Вопрос об автокефалии Грузинской церкви в 1917 г. (по материалам архива В. Н. Бенешевича)*, ჟურნალში „*Государство, Религия, Церковь в Росси и за рубежом*“, № 1/2 (37).

Ivane Javakhishvili's work in the temporary manajement of the Church of Georgia (1917)

After the 1917 February Revolution, the Provisional Government that came to power in Russia continued to defend the Tsarist Doctrine of „*the united and indivisible Russia*“. The Government considered the issue of autocephaly of the Church of Georgia from a political point of view. They tried to meet his fair demands only to the extent that the feeling of the implementation of democratic rights was created in the country; and for the integrity of the borders of the Russian Empire not to be threatened.

Georgian autocephalists were aware of the complexity of the situation and made every effort to get the Government to recognize the autocephaly of the Church on territorial basis. Along with the clergy, secular public figures also participated in the execution of this difficult task. Among them, the work of Alexander Tsagareli, Ivane Javakhishvili, Zurab Avalishvili, Nino Gelovani, Niko Marri, Mikheil Machabeli, General Vasil Gabashvili, Ivane Zurabishvili, Vasil Barnov, Grigol Rtskhiladze, Ipolite Vartagawa, Petre Baratashvili, Petre Kiziria, Soprom Mgaloblishvili, Davit Nakhutsrishvili and others is noteworthy.

In the quite numerous works dedicated to Ivane Javakhishvili, his work in the Temporary Management of the Church in order to actually implement the autocephaly of the Church, is not mentioned.

The material preserved in the Archive of the Patriarchy and the National Center of Manuscripts, Ivane Javakhishvili's personal archive, allows us to at least partially trace the merits of the great scientist and patriot, in this matter. Trust, hope and great respect for him are confirmed from the minutes of the sessions of the Temporary Management of the Church of Georgia.

Деятельность Иване Джавахишвили в Временном Управлении Грузинской Церкви (1917 г.)

После февральской революции 1917 года, Временное Правительство продолжало защиту доктрины *единной и неделимой России*, времен царизма.

Вопрос независимости Грузинской Церкви правительство рассматривало с точки зрения политики. Оно старалось, удовлетворить справедливые требования автокефалистов так, чтобы чувствовалось желание осуществления прав церкви но, в месте с этим, не появилась опасность нарушения границ бывшей Российской империи.

Грузинские автокефалисты прекрасно осознавали сложность ситуации, и вовсю старались достичь от правительства признания автокефалии церкви по территориальному характеру. В этом сложном деле вместе с духовными лицами участвовали и грузинские патриоты.

В многочисленных работах, посвященных Иване Джавахишвили, не отмечена его заслуга в осуществлений автокефалных прав Грузинской Церкви в рядах Временного Управления.

Имеющий материал в архивах Патриархии Грузии и Национального Центра Рукописей Грузии, дает возможность проследить за заслугой великолепного ученого и патриота Иване Джавахишвили, который внес значительную лепту в деле осуществления автокефалии Грузинской Церкви. Протоколы заседания Временного Управления Грузинской Церкви свидетельствуют о безмерном уважении и доверии со стороны Церкви к Иване Джавахишвили.

მიხეილ მაჩაბელი და ქართული საქველმოქმედო საზოგადოება საქართველოს ეკლესიის სამსახურში (1917 წ.)

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელს (1858-1927) საზოგადოება ძირითადად იცნობს როგორც ქალაქის თვითმმართველობაში (1883-1885), მიწათმოქმედებისა და შინამრეწველობის დარგებში (1885-1927 წწ.) მოღვაწეს,[1] თბილისის საბჭოს ხმოსანს (1887-1892 წწ.), გლეხკაცთა მიწათმოწყობის პარტიის მთავარ გამგეს (1899-1918 წწ.). მას ასევე იცნობენ როგორც თბილისის სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის წევრს. მიხეილ მაჩაბელი ბანკის საკითხებში ილია ჭავჭავაძეს არ ემხრობოდა და ივანე მაჩაბლის გვერდით იდგა. ის ილიას 1905 წელს საქართველოს ავტონომიის საკითხშიც დაუპირისპირდა, მაგრამ ბევრის მთქმელია, რომ გაზეთ „*ივერიაში*“ ილიას მასთან თანამშრომლობა სურდა და ამის შესახებ წერილები პირადად აქვს მიწერილი. მიხეილ მაჩაბლის, როგორც ჟურნალისტის, სტატიები გაზეთებში: „*ივერიასა*“ და „*Кавказъ*“-ში იბეჭდებოდა, წერდა ფსევდონიმით „*მ. ტფილისელი*“ („*ივერია*“, 1902: 3-4; *ილიას მატიანე*, 2017: 215, 236, 355, 361, 394, 409, 519, 522, 2532; ჯანელიძე, 2018: 260; ჯანელიძე, 2002: 280).

მ. მაჩაბელი იყო საადგილმამულო კომისიის დაარსების ინიციატორი და თავმჯდომარე (1907-1911/1912 წწ.). იგი 1909 და 1915 წლებში რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრების ამომრჩეველთა კრებაზე ქართველ თავადაზნაურობას წარმოადგენდა. ამ კრებაზე 1909 წელს წარმოთქმული მისი სიტყვა საქართველოში გამომავალი გაზეთების („*Закавказье*“, „*მომავალი*“ და სხვ.) განხილვის საგანი გახდა და ძალიან არაერთგვაროვანი შეფასება დაიმსახურა („*მომავალი*“, 1909: 1), მაგრამ ამჯერად ამ საკითხზე არ შევჩერდები.

მიხეილ მაჩაბელი იყო რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი, ქართული დრამატული, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო და ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებების წევრი.

1917 წლის მონაცემებით მიხეილ მაჩაბელი სახელმწიფო მრჩევლის წოდებით კავკასიის მხარის სახელმწიფო ახალმოსახლეთა მიწათმოწყო-

1. მიხეილ მაჩაბელმა თიანეთის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკურ ყოფას მიუძღვნა გამოკვლევა *Экономический бытъ государственных крестьян Тианетского уезда Тифлисской Губерний, Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края,* т. V, Тифлис, 1887 (*თბილისის გუბერნიის თიანეთის მაზრის სახელმწიფო გლეხ-კაცთა ეკონომიკური ყოფა-ცხოვრება, მასალები ამიერკავკასიის მხარის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფა-ცხოვრების შესასწავლად*, ტ. V, თბილისი, 1887).

ბის რაზმის უფროს სპეციალისტად მუშაობდა. ამავე წელს იყო საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრი; I საეკლესიო კრებაზე (1917 წ.) საკათოლიკოსო საბჭოს წევრად აირჩიეს. 1917 წელსვე ის იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მონაწილე; I ეროვნული ყრილობის (1917 წ. 19-22 ნოემბერი) დელეგატი; შემდგომში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან გამოყოფილი მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი გახდა („*Кавказский календарь*“, 1916: 559; ჯანელიძე, 2018: 260).

მაჩაბელი, როგორც ეროვნული საბჭოსა და საკათოლიკოსო საბჭოს წევრი, ეროვნულ საბჭოში შექმნილი სარწმუნოებათა კომისიის თავმჯდომარე იყო. იგი ამიერკავკასიის სეიმში (1918 წ. 10 თებერვალი-26 მაისი) საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრების დამდგენი კომისიის შემადგენლობაში შედიოდა; 1921 წლიდან – საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ – მიწათმოქმედების კომისარიატში მუშაობდა და ხელოსნური მრეწველობის კოოპერაციის ორგანიზებაშიც მონაწილეობდა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 705: 16; ჯანელიძე, 2018: 260; არაბიძე, 2017: 29).

მიხეილ მაჩაბლის საქმიანობის სფეროების მხოლოდ ჩამონათვალიც კი მის მრავალმხრივ მოღვაწეობაზე მეტყველებს. ამჯერად უფრო ვრცლად საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობაში მისი წევრობისა და ეკლესიის წინაშე ქართული საქველმოქმედო საზოგადოების დამსახურების შესახებ ვისაუბრებ.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოება 1906 წელს, ოფიციალურად ფართო მასაზე გათვლილი ქველმოქმედების, მთელი ქართველი მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა. მას, როგორც საარქივო მასალიდან და სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, მრავალი განყოფილება ჰქონდა. ქველმოქმედებისათვის თანხები საწევრო გადასახადებით, კერძო შეწირულობებითა და სხვადასხვა ღონისძიებიდან მიღებული მოგებით გროვდებოდა (სეა, სცა, ფ. 517; გოდერიძე, 2005: 475, 477).

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას მიხეილ მაჩაბელი 1914-დან 1921 წლამდე – გაუქმებამდე თავმჯდომარეობდა. მისი ამხანაგი, ანუ მოადგილე, საზოგადო მოღვაწე, მწერალი პართენ გოთუა იყო. საზოგადოების წევრები იყვნენ: რევაზ გაბაშვილი, გერონტი ქიქოძე, გიორგი გვაზავა, გრიგოლ რცხილაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ვასილ ყიფიანი და კიდევ მრავალი ცნობილი ადამიანი.

განსაკუთრებული მზრუნველობა საქველმოქმედო საზოგადოებამ I მსოფლიო ომისაგან (1914-1918) დაზარალებული აჭარლების მიმართ გამოიჩინა. ეს მაშინ, როცა ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების დაახ-

ლოებისთვის ხელის შეშლას ადგილობრივი რუსი მოხელეები ყოველმხრივ ცდილობდნენ. ისინი აჭარლებს ბრალს სდებდნენ სახელმწიფოს ღალატში, საბრძოლო ოპერაციებისას ოსმალებისადმი მიმხრობაში. საქველმოქმედო საზოგადოება აჭარლებს მატერიალურ და მორალურ თანადგომასთან ერთად სამართლებრივ საკითხებშიც ეხმარებოდა. საზოგადოების იურიდიული კომისიის მაღალკვალიფიციური იურისტები ოსმალეთთან კავშირში ხელაღებით დადანაშაულებულებს სასამართლოში უანგაროდ იცავდნენ (გოდერიძე, 2005: 470-485).

სახელმწიფოს ღალატში მსჯავრდებული ან ბრალდებული აჭარლების საქმე ამიერკავკასიის კომისარიატმა 1918 წლის 26 იანვრის დადგენილებით შეწყვიტა. საკითხი ინიცირებული იყო შინაგან საქმეთა მინისტრ აკაკი ჩხენკელის მიერ და 1917 წლის 16 ივლისამდე აღძრულ საქმეებს შეეხებოდა (ჭუმბურიძე, 2018: 86).

მოვლენათა თანამედროვე, საჩხერის მსაჯული მიხეილ თომას ძე ნიკურაძე, საქველმოქმედო საზოგადოების საქმიანობის შესახებ აღნიშნავდა: „*დიდათ პატივცემულმა საზოგადოებამ, სხვათა შორის, მიზნათ დაისახა მოძმე მაჰმადიან ქართველებში ნაციონალური გრძნობების გაღვიძება და მათთან დაახლოვება, კავშირის აღორძინება*“ (სეა, სცა, ფ. 517, აღწ. 1, ს. 55: 3).

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ერის მომავალზე ზრუნვის საკითხში ისტორიკოსი ოთარ ჯანელიძე ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მიუთითებს, რომ ეს იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე „*უფრო მობილური ეროვნული საკრებულო*“. „*თბილისის გუბერნატორის მიერ დამტკიცებული წესდების მიხედვით ლეგალურად საზოგადოება მიზნად ისახავდა ქართველთა ქონებრივი და სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას, ფარულად კი ერის საზოგადოებრივ და იდეურ ცხოვრებას გარკვეული მიმართულებით წარმართავდა*“ (ჯანელიძე, 2002: 279-280).

საქველმოქმედო საზოგადოების მესვეურებს კარგად ესმოდათ საქართველოს საჭიროებანი და ყველაზე მტკივნეულ საკითხებზე ზრუნავდნენ.

1917 წლის თებერვალში რუსეთში მომხდარი რევოლუციის შედეგად 12 (25) მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენილად გამოცხადება ქართველი ხალხისთვის მართლაც დიდი ძალისა და იმედის მიმცემი იყო. ეკლესიის საქმის მყარ ნიადაგზე მოწყობა და წარმატებით გაგრძელება სახელმწიფოებრიობის აღდგენის საფუძველს ქმნიდა.

ეკლესიის სათავეში 12 მარტიდან ჩამდგარმა დროებითმა მმართველობამ კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, ეპისკოპოს ლეონიდის (ოქროპირიძე) თავმჯდომარეობით ეკლესიის უფლებათა განხორცი-

ელების საქმეში ერის საუკეთესო წარმომადგენლები ჩართო.

ეკლესიის მმართველ ორგანოში მიხეილ მაჩაბლის მოღვაწეობა 1917 წლის მარტიდანვე დაიწყო. ის ცარიზმის მიერ საქართველოს ეკლესიისთვის ჩამორთმეული მამულების შესახებ ინფორმაციის შემკრებ კომისიაში მიიწვიეს.

კომისიის თავმჯდომარედ საზოგადო მოღვაწე და ეკონომისტ-სტატისტიკოსი ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილი დასახელდა, წევრებად – მიხეილ მაჩაბლის გარდა მიწათმოქმედების სამინისტროს მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს მოხელე ალექსი იოსების ძე კლდიაშვილი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ანტონ ივანეს ძე ნატროშვილი, მღვდლები – პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილები, საეპარქიო სანთლის ქარხნის გამგე, მღვდელი ალექსი მიქელაძე და სინოდის საქართველო-იმერეთის ყოფილ კანტორაში ხაზინადრად ნამსახური დავით გრიგოლის ძე ნახუცრიშვილი (*ჟურნალები*, 2016: 21, 53; „*Кавказский календарь*“, 1916: 577).

კომისიას დროებითი მმართველობისთვის უნდა წარედგინა ინფორმაცია რუსეთის თვითმპყრობელი ხელისუფლების მიერ საქართველოს ეკლესიისთვის ჩამორთმეული მამულებისა და შენობა-ნაგებობების შესახებ. ასევე უნდა აღრიცხულიყო ეკლესიისთვის ჩამორთმეული, იმპერიის ხაზინაში გადარიცხული მამულები, დადგენილიყო მათი მაშინდელი და თანადროული ღირებულება. უნდა გამორკვეულიყო, რომელი ნაკვეთი, შენობა ან მისი ნაწილი იყო გაყიდული და რომელი ეკუთვნოდა კვლავ ეკლესიას თუ სასულიერო წოდების წარმომადგენლებს. კომისიას აღნიშნულ შენობათა ისტორიებიც უნდა მოეძიებინა (*ჟურნალები*, 2016: 21, 53).

სამწუხაროდ, კომისიის მუშაობის შედეგები ეკლესიის დროებითი მმართველობის ჟურნალებში წარმოდგენილი არ არის.

მიხეილ მაჩაბელი დროებითი მმართველობის მიერ ინტერპარტიულ გაერთიანებასთან[1] ურთიერთობისთვის შექმნილ კომისიაში არ შედიოდა, მაგრამ მას, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრს, ეკლესიის ხელმძღვანელობა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად ხშირად გზავნიდა (*ჟურნალები*, 2016: 56).

პოლიტიკურ პარტიათა ორგანიზაცია საქართველოს ეკლესიას საკუ-

1. პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანება (ინტერპარტიული კრების, ინტერპარტიული საინფორმაციო ბიუროს, ინტერპარტიული საბჭოს სახით) მოქმედებდა 1917 წლის აპრილის დასაწყისიდან იმავე წლის 19 ნოემბერს ეროვნული ყრილობის მოწვევამდე. აღნიშნულ გაერთიანებასთან ურთიერთობისთვის ეკლესიის დროებითი მმართველობის კომისიის წევრები იყვნენ: დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე, სერგი გორგაძე და დავით ნახუცრიშვილი (დოკუმენტები და მასალები, 1999: 11, 26, 28-29, 37, 41; ვადაჭკორია ციტირებული ჯანელიძესთან, 2002: 291; *ჟურნალები*, 2016: 56).

თარი უფლებებისთვის ბრძოლაში სიტუაციის შესაფერი რჩევებით ეხმარებოდა.

რუსეთის დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 27 მარტს იმპერიის დროინდელი ტერიტორიის შენარჩუნების მიზნით ისტორიულ საზღვრებში საქართველოს ეკლესიის უფლებათა აღდგენაზე უარი თქვა. მან ეკლესიის ავტოკეფალია ეროვნული ნიშნით შეზღუდა, რადგან შიშობდა, რომ კონკრეტულ საზღვრებში მისი აღიარების შემდეგი ნაბიჯი ქართველების მხრიდან ქვეყნის დამოუკიდებლობის მოთხოვნა იქნებოდა.

ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრებს 27 მარტის დადგენილების პრინციპული მნიშვნელობა კარგად ესმოდათ, მაგრამ მაინც შეეცადნენ, საქართველოს საეკლესიო საქმეთა გადამწყვეტი მოხელე ვლადიმერ ბენეშევიჩი[1] მის შეცვლაზე დაეყოლიებინათ.

აპრილის შუა რიცხვებში ავტოკეფალისტები დარწმუნდნენ, რომ ეკლესიის იურისდიქციის აღიარება ტერიტორიულ საზღვრებში იმ დროისათვის მიუღწეველი იყო და იძულებული გახდნენ, ეროვნული ავტოკეფალია მიეღოთ.

ეკლესიის დროებითმა მმართველობამ საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში დასარწმუნებლად პარტიათა გაერთიანებას მიმართა.

ინტერპარტიულმა კრებამ 16 აპრილის სხდომაზე ეკლესიაში არსებული ვითარების შესახებ მიხეილ მაჩაბლის მოხსენება მოისმინა და დროებითი მმართველობის დადგენილება მოიწონა. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს იმედი ჰქონდათ, რომ ახლო მომავალში საქართველოს ავტონომიის საკითხი დადებითად გადაწყდებოდა და ავტოკეფალური ეკლესია სახელმწიფო საზღვრებში თავისთავად მოექცეოდა (სეა, სცა, ფ. 1823, აღწ. 1, ს. 1: 2; *ჟურნალები*, 2016: 70).

1917 წლის 25 აპრილს ქართული საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენლები მიხეილ მაჩაბელი და პართენ გოთუა ეკლესიის მმართველი დროებითი ორგანოს წევრები გახდნენ (*ჟურნალები*, 2016: 93).

ამ დროისათვის მიხეილ მაჩაბელს ეკლესიის მმართველ ორგანოსთან უკვე ერთთვიანი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა. ის იმდენად კარგად ერკვეოდა მიმდინარე საქმეებში, რომ ზოგჯერ ეკლესიისთვის საჭირბოროტო საკითხებს დროებითი მმართველობის მინდობილობის გარეშეც აგვარებდა. მაგ., 6 მაისს მან თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას თავისი ინიციატივით მოახსენა გავრცელებული ინფორმაცია, რომ რუსები ქართველი

1. პეტროგრადის მთავრობის რწმუნებული, პროფესორი ბენეშევიჩი თბილისში 1917 წლის 11 აპრილს ჩამოვიდა.

ავტოკეფალისტების დარბევას აპირებდნენ. ასევე ესაუბრა მას საქართველოს ეკლესიისადმი რუსეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენლის, რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელი კომისიის თავმჯდომარის, ვლ. ბენეშევიჩის დამოკიდებულების შესახებ. ის ახლად აღდგენილ ეკლესიას ავტონომიურ უფლებებს სთავაზობდა; რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებისაგან ავტოკეფალური მმართველობის შეჩერებამდე (1811 წ.) არსებული უფლებების აღდგენის საკითხს არც განიხილავდა.

მაჩაბელმა დროებით მმართველობას აცნობა ნოე ჟორდანიასგან მიღებული ინფორმაცია, რომ ადგილობრივ ხელისუფალთ შავრაზმელებისგან მოსალოდნელი თავდასხმების შესახებ გაეგოთ და 12 კაცი უკვე დაეპატიმრებინათ. ეს კი იმედს იძლეოდა, რომ მუქარა ვეღარ განხორციელდებოდა (*ჟურნალები*, 2016: 102).

1917 წლის 15 მაისს მიხეილ მაჩაბელი დროებით მმართველობაში შესულ საქმეთა განსახილველად დაარსებული აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობაშიც დაასახელეს. საბჭოში მასთან ერთად შედიოდნენ: ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), დეკანოზი კორნელი კეკელიძე, მღვდელი ქრისტეფორე ციცქიშვილი და სერგი გორგაძე. განსახილველი საქმეები დროებით მმართველობას სწორედ ამ საბჭოს დასკვნითა და მეუფე ლეონიდის დასტურით უნდა წარდგენოდა (*ჟურნალები*, 2016: 110).

მიხეილ მაჩაბელი, როგორც ქართული საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე, დროებითი მმართველობის ფინანსური უზრუნველყოფისთვის შექმნილ კომისიაშიც შედიოდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან აღნიშნული საზოგადოება ყოველი ეროვნული საქმის ხელის შეწყობას ცდილობდა.

თანხების მოზიდვის საჭიროება თავდაპირველად ხახულის ღვთისმშობლის ტაძრის რესტავრაციის სურვილმა განაპირობა. მისი სავალალო მდგომარეობის შესახებ ჯარისკაც შუგუროვის მოხსენება საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ 1917 წლის 4 ივლისს მოისმინა. I მსოფლიო ომის მსვლელობისას ოსმალთაგან გათავისუფლებული თორთუმის ტერიტორიაზე არსებული ამ ძეგლის დასათვალიერებლად ექსპედიციის ხელმძღვანელობა დროებითმა მმართველობამ ექვთიმე თაყაიშვილს სთხოვა (*ჟურნალები*, 2016: 183-184).

საფინანსო კომისიის წევრებად დასახელდნენ: გენერალი ვასილ გაბაშვილი, გიორგი ჟურული, მიხეილ მაჩაბელი, პეტრე ბარათაშვილი, ალექსანდრე ძეგველიშვილი და იოსებ მერკვილაძე. მოგვიანებით მათ იასონ ლორთქიფანიძე და რაჟდენ დათეშიძე შეუერთდნენ. აღნიშნულ ჯგუფს საქართველოს ეკლესია-მონასტრების სავარაუდო შემოსავლების დადგენის მიზნით მათი ფინანსური მდგომარეობაც უნდა გამოერკვია (*ჟურნალები*, 2016: 183-184, 266).

იმ მოსაზრებებიდან გამომდინარე, რომლებსაც მიხეილ მაჩაბელი დროებითი მმართველობის სხდომებზე გამოთქვამდა, იგი საქართველოს ეკლესიის უფლებათა დამცველად და, ამავე დროს, რუს-ქართველთა შორის დაძაბული ვითარების განმმუხტველად გვევლინება.

მაგალითად, დროებითი მმართველობის 9 მაისის სხდომაზე განიხილებოდა ბენეშევიჩის განცხადება პეტროგრადში მისი დაბრუნების საჭიროების შესახებ. იგი ეკლესიის დროებით მმართველობას თავის გადაწყვეტილებაზე აზრის გამოთქმას სთხოვდა.

მაჩაბელს მიაჩნდა, რომ საქართველოს ეკლესიას მის გამგზავრებაზე თანხმობა არ უნდა განეცხადებინა, რადგან მოსალოდნელი იყო, პეტროგრადში მყოფ საქართველოს ნაეგზარქოსალ მთავარეპისკოპოს პლატონსა (როჟდესტვენსკი) და ბენეშევიჩს ავტოკეფალიის წინააღმდეგ ძალები გაეერთიანებინათ. უმრავლესობაც მაჩაბლის აზრის აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, საბოლოოდ დროებითმა მმართველობამ ჩათვალა, რომ მთავრობის რწმუნებულის მოქმედებაზე გავლენას ვერ მოახდენდა და საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებაზე უარი ოფიციალურად განაცხადა (*ჟურნალები*, 2016: 108).

მიხეილ მაჩაბელმა ქართული და რუსული საეკლესიო საქმეების განხილვა-გამიჯვნის მიზნით შერეული კომისიის შექმნას დაუჭირა მხარი. საკითხის შესახებ 1917 წლის 23 და 26 მაისის სხდომებზე იმსჯელეს. მაჩაბელი ფიქრობდა, რომ ამ კომისიის საფუძველზე ავტოკეფალისტებს შერეულ ეროვნებიანი სამრევლოების საქმეებზეც ექნებოდათ წვდომა. ქართული მხარის დამოუკიდებლობის დასაფიქსირებლად კომისიის განკარგულებანი ორივე ენაზე შეიძლებოდა, დაწერილიყო (*ჟურნალები*, 2016: 107, 124).

კომისიის შესახებ მსგავსი აზრი გამოთქვა დროებითი მმართველობის წევრთა ნაწილმა (დეკანოზი კორნელი კეკელიძე, ანტონ ნატროშვილი, გიორგი ყაზბეგი, გიორგი ჟურული და სხვ.). დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე, გიორგი ჟორდანია და სხვები კი ამაში რუსეთის სინოდის კანტორის აღდგენის საშიშროებას ხედავდნენ (*ჟურნალები*, 2016: 126, 127-128).

დროებითი მმართველობის წევრები ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისთვის რუსეთის ეკლესიის მართვა-გამგეობის ორგანოს ნაწილობრივი ამოქმედებაც კი საფრთხეს წარმოადგენდა. საბოლოოდ მათ შერეული კომისიის მუშაობაზე უარი განაცხადეს (*ჟურნალები*, 2016: 121-132).

ბენეშევიჩი 1917 წლის ივნისის დასაწყისში პეტროგრადში დაბრუნდა ისე, რომ საქართველოსა და რუსეთის ეკლესიების ინტერესთა გამიჯვნის საკითხი მოუგვარებელი დატოვა. მის გადაწყვეტილებაზე საქართველოს

ეკლესიის მმართველობას ზემოქმედება მართლაც არ შეეძლო.

ამავე პერიოდში პეტროგრადში გასამგზავრებლად საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებიც ემზადებოდნენ. დელეგაციაში დასახელებული იყვნენ: ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), იმ დროისათვის რუსეთში მყოფი არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია), დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე (*ჟურნალები*, 2016: 132).

დელეგაციის წევრებს, პირველ რიგში, ხელი უნდა შეეწყოთ „*რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის ძირითადი დებულებების*“ დამტკიცების დაჩქარებისთვის; ეშუამდგომლათ დროებით მთავრობასთან საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის სხვადასხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად; დაეცვათ ეკლესია ბენეშევიჩისა და მთავარეპისკოპოს პლატონის მხრიდან მოსალოდნელი უარყოფითი გავლენისაგან (*ჟურნალები*, 2016: 146-147).

გასამგზავრებელ პირთა სიაში 5 ივნისს შეიყვანეს მიხეილ მაჩაბელი და დასავლეთ საქართველოს ორი წარმომადგენელი (*ჟურნალები*, 2016: 144).

დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლის ყოფნა დელეგაციაში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სასულიერო პირებს შორის გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად იყო საჭირო. ამასთან დაკავშირებით დროებითი მმართველობის სხდომებზე აზრი გამოთქვეს დეკანოზმა ნიკიტამ, მიხეილ მაჩაბელმა, სერგი გორგაძემ (*ჟურნალები*, 2016: 143, 162).

საქმე ისაა, რომ დასავლეთ საქართველოს სამღვდელოება დროებითი მთავრობისაგან ავტოკეფალიის ტერიტორიული ნიშნით აღიარებას ჯერ კიდევ შესაძლებლად თვლიდა და ბრძოლის გაგრძელებას მოითხოვდა, თუმცა მათთვის ცნობილი იყო დროებითი მმართველობის თავდაუზოგავი, უშედეგო მცდელობა. დროებითი მმართველობის აზრით, დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელი პეტროგრადში საკითხის განხილვებს უნდა დასწრებოდა, რომ შედეგში დარწმუნებული ყოფილიყო (*ჟურნალები*, 2016: 147-148, 161-163). მიხეილ მაჩაბლის ჩართვა დელეგაციის შემადგენლობაში კი, ვფიქრობ, მისმა კომპეტენციამ განაპირობა. ის, როგორც 1909 და 1915 წწ. რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამომრჩეველი და ამასთანავე მოქმედი წევრი საქართველოს ეკლესიის ქონების დამდგენი კომისიისა, ავტოკეფალისტებს დიდ დახმარებას გაუწევდა.

ეპისკოპოსი ანტონი და დეკანოზი კალისტრატე პეტროგრადში 9 ივნისს გაემგზავრნენ. არქიმანდრიტი ამბროსი მათ რუსეთში უნდა შეერთებოდა. მაჩაბლისა და დასავლეთ საქართველოს სამღვდელოების წარმომადგენლის, დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძის, წასვლა 17 ივნისს

იყო დაგეგმილი. დეკანოზმა მელიტონმა სუბიექტური მიზეზის გამო წასვლა ვერ შეძლო, მაჩაბლისა – კი გადაიდო (*ჟურნალები*, 2016: 163, 166).

მიხეილ მაჩაბელი დროებითი მმართველობის 20 ივნისის განჩინების თანახმად სასწრაფოდ უნდა გამგზავრებულიყო, თუმცა რეალურად ასე არ მომხდარა. იგი მთელი ზაფხულის განმავლობაში დროებითი მმართველობის სხდომებში მონაწილეობდა (*ჟურნალები*, 2016: 175, 176, 184, 190, 220-221), წაუსვლელობის მიზეზი სხდომის ჟურნალებში დასახელებული არ არის.

მაჩაბელს, მომრიგებლური პოზიციის გამო, დროებითი მმართველობა რუს მორწმუნეთა დასაშოშმინებლადაც გზავნიდა. ისინი, რუსეთის მონობისაგან საქართველოს ეკლესიის გათავისუფლებით აღშფოთებულნი, ზოგიერთი ტაძრისა თუ მონასტრის მიტაცებას ცდილობდნენ (*ჟურნალები*, 2016: 163).

ისტორიკოსი ოთარ ჯანელიძე აღნიშნავს: „*საქველმოქმედო საზოგადოება ერთგვარად ანელებდა პარტიულ ნიადაგზე არსებულ დაპირისპირებას და ცდილობდა, ქართული პოლიტიკური ძალები საერთო ეროვნული იდეით გაეერთიანებინა, რასაც აღწევდა კიდეც*“ (ჯანელიძე, 2002: 280). ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ეს ფუნქცია მისი ხელმძღვანელის მეშვეობით ეკლესიის დროებითი მმართველობის საქმიანობაშიც ვლინდებოდა.

სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების თარიღის განსაზღვრის საკითხში მიხეილ მაჩაბელი არ ეთანხმებოდა მათ, ვინც კრების მოწვევას რუსეთის საეკლესიო კრების დაწყებამდე[1] თვლიდა საჭიროდ. საკითხის შესახებ ეკლესიის მმართველმა ორგანომ 27 ივნისს იმსჯელა. მიხეილ მაჩაბელი დროებითი მმართველობის რამდენიმე წევრთან ერთად მიიჩნევდა, რომ საეკლესიო კრებაზე განსახილველი საკითხების საფუძვლიანად დასამუშავებლად დრო იყო საჭირო და 15 აგვისტომდე ვერაფრით მოესწრებოდა (*ჟურნალები*, 2016: 179). მართლაც, კრების თარიღად მოგვიანებით 1917 წლის 8 სექტემბერი განისაზღვრა (*ჟურნალები*, 2016: 196).

სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრების წევრებად დროებითი მმართველობის მთელი შემადგენლობა იყო ჩარიცხული. საქველმოქმედო საზოგადოებას I საეკლესიო კრებაზე მიხეილ მაჩაბელი და პართენ გოთუა წარმოადგენდნენ (*ჟურნალები*, 2016: 225).

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების საარქივო დოკუმენტებში 1917 და მომდევნო წლებშიც მრავლადაა ეკლესიის მმართველი ორგანოსა თუ ცალკეულ სასულიერო პირთაგან დახმარების თხოვნა. შემწეო-

1. გაიხსნა 1917 წლის 15 (28) აგვისტოს.

ბას განსაკუთრებით ოსმალთაგან აოხრებული[1] აჭარისა და ჯავახეთის მოსახლეობა და სამღვდელოება საჭიროებდა (სეა, სცა, ფ. 517, აღწ. 1, ს. 31: 34, 72; იქვე, ს. 90: 17, 43, 109, 130). საზოგადოება, შესაძლებლობის ფარგლებში, ქველმოქმედებას ახორციელებდა მთელი საქართველოს მასშტაბით, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. შემწეობას იღებდნენ ეკლესიის მმართველი ორგანო და ცალკეული ადამიანები (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 705: 24; იქვე, ს. 6676: 510, 613, 628, 634; სეა, სცა, ფ. 517, ს. 31: 63, 71, 74; ს. 90: 14, 85-86).

ქართული საქველმოქმედო საზოგადოება რეგიონების სარწმუნოებრივი და პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებაზეც ზრუნავდა. საზოგადოების ბორჩალოს განყოფილების თავმჯდომარე კონსტანტინე სვიმონიშვილმა საკათოლიკოსო საბჭოს 1917 წლის 28 სექტემბრის სხდომაზე წამოაყენა წინადადება ახტალის სამღვდელმთავრო კათედრის აღდგენის საჭიროების შესახებ. წინადადებას საფუძვლად ედო იქაურ ქართველთა სარწმუნოებრივ-პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლების სურვილი.

ახტალაში სამღვდელმთავრო კათედრის გახსნა ეკლესიამ საშუალებათა უქონლობის გამო ვერ შეძლო და ამ მხარისთვის მეტი ყურადღების მიქცევა ტფილელ მიტროპოლიტს სთხოვა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6675: 13).

საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობასა და საკათოლიკოსო საბჭოს ყოველთვის ჰქონდა ქართული საქველმოქმედო საზოგადოებისაგან მატერიალური თუ მორალური თანადგომის იმედი. აღნიშნული საზოგადოებისგან გაწეული ფინანსური დახმარება და მისი ხელმძღვანელის – მიხეილ მაჩაბლის საქმიანობა ხელს უწყობდა საქართველოს ეკლესიის უფლებათა აღდგენის პროცესს.

1. აოხრება I მსოფლიო ომის (1914-1918) საომარმა მოქმედებებმა გამოიწვია.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. არაბიძე, 2017 – ირინა არაბიძე, *ბათუმის ქართული ეროვნული საბჭოს საეკლესიო კომისიის მოღვაწეობის საკითხისათვის (1918 წელი)*, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „*ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა*“ მასალები, VIII, ბათუმი, ბსუ.
2. გოდერიძე, 2005 – ლამარა გოდერიძე, *კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში (ქართული თვითმოქმედი საზოგადოებები)*, თბილისი.
3. *დოკუმენტები და მასალები*, 1999 – *საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო (1917 წლის აპრილი-ნოემბერი) დოკუმენტები და მასალები*, გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ზაირა გერგედავა-ჭელიძემ, თბილისი.
4. „*ივერია*“, 1902 – გაზეთი „*ივერია*“, 5.04.1902, №74.
5. *ილიას მატიანე*, 2017 – *ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე*, პროექტის ხელმძღვანელი – მაია ნინიძე, თბილისი, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/204739/1/Ilia–Chavchavazis-Cxovrebis–da–Shemoqmedebis–Matiane.pdf
6. „*მომავალი*“, 1909 – გაზეთი „*მომავალი*“, 4.12.1909, №82.
7. *ჟურნალები*, 2016 – *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის ჟურნალები (1917 წლის 13 მარტი-14 სექტემბერი)*, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა ნინო შიოლაშვილმა და ირინა არაბიძემ, თბილისი.
8. სეა, სცა, ფ. 517, აღწ. 1, ს. 31 – საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 517, აღწ. 1, საქმე 31.
9. სეა, სცა, ფ. 517, აღწ. 1, ს. 55 – საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 517, აღწ. 1, საქმე 55.
10. სეა, სცა, ფ. 517, აღწ. 1, ს. 90 – საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 517, აღწ. 1, საქმე 90.
11. სეა, სცა, ფ. 1823, აღწ. 1, ს. 1 – საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1823, აღწ. 1, საქმე 1.
12. საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6675 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 6675.
13. ჭუმბურიძე, 2018 – დოდო ჭუმბურიძე, *აკაკი ჩხენკელი: სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი*, თბილისი.
14. ჯანელიძე, 2002 – ოთარ ჯანელიძე, *ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან*, თბილისი.

15. ჯანელიძე, 2018 – ოთარ ჯანელიძე, *მაჩაბელი მიხეილ ვახტანგის ძე*, ენციკლოპედია-ლექსიკონი „*საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921)*“, თბილისი.
16. „*Кавказский календарь*“, 1916 – „*Кавказский календарь на 1917 г.*“, Тифлисъ.

Mikheil Machabeli and the Georgian Charitable Society at the Service of the Church of Georgia (1917-1921)

Chairman of the Georgian Charitable Society, Mikheil Machabeli, is known as a journalist, an employee of the City Self-Government and of the Agricultural Commissariat, as well as a member of the Catholicos's Council.

Machabeli's biography does not mention his membership in the Temporary Management of the Church of Georgia and the merit of the Georgian Charitable Society before the Church during the period of his chairmanship.

His work in the Temporary Management of the Church began actively in March 1917.

Mikheil Machabeli was named in the Commission to go to Petrograd to protect the interests of the Church of Georgia, but eventually he could not travel due to personal reasons.

Based on the opinions expressed in the Temporary Management of the Church, he was a principled defender of the interests of the Church. At the same time, he favored a peaceful, not a revolutionary process of the restoration of the rights.

At the I Church Congress of All Georgia (September 1917), the Charitable Society was represented by Mikheil Machabeli and Parthen Gotua. Later on, the Charitable Society often helped the Church of Georgia and others who expected support from it, at the request of the Catholicos's Council. The Society was abolished in 1921.

Михаил Мачабели и Грузинское благотварительное общество на благо Грузинской Церкви (1917г.)

Председатель Грузинского благотворительного общества, Михаил Мачабели известен как журналист, работник городского самоуправления и комиссариата земледелия, также как член Католикосского Совета.

В биографии Мачабели не отмечено его членство Временного Уравления Грузинской Церкви и заслуга Благотворительного общества в период его руководства перед Грузинской Церковью.

В Временном Управлении церкви М. Мачабели активную деятельность начал с марта месяца 1917 года.

Михаила Мачабели включили в список комиссии, которая отправлялась в Петроград для защиты интересов Грузинской Церкви, но он, из-за личных проблем, не смог поехать. Он принципиально защищал интересы церкви и считал, что надо достичь цели и восстановить права мирным путём.

На I Церковном соборе всея Грузии (сентябрь, 1917 г.) благотворительное общество представляли Михаил Мачабели и Партен Готуа. Общество, по просьбе высшего органа Грузинской Церкви и отдельных лиц, часто помогало нуждающимся независимо от национальности и вероисповедания.

პოლიტიკური პარტიების მონაწილეობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების პროცესში

(საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალების მიხედვით, 1917 წ.)

რუსეთში მომხდარი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილ ვითარებას ქართველმა სამღვდელოებამ დროულად აუღო ალღო: ხელისუფლება, რომელმაც ივერიის უძველეს ეკლესიას დამოუკიდებლობა ძალმომრეობით მოუსპო, დამხობილი იყო; დროებითმა მთავრობამ კი იმპერიაში შემავალი ხალხების სარწმუნოების თავისუფლება აღიარა.

12 (25) მარტს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში სასულიერო წოდების მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენილად გამოცხადება ერისკაცთა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების თანხმობითა და მონაწილეობით მოხდა. საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგა დროებითი მმართველობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდის (ოქროპირიძე) მეთაურობით. დროებით ხელმძღვანელობას ეკლესია სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მოწვევამდე[1] უნდა ემართა.

სამხარეო ხელისუფლების, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისთვის (ოზაკომი) წარდგენილ დეკლარაციებში ავტოკეფალისტები აცხადებდნენ, რომ ეკლესიის დამოუკიდებლობა ისტორიულ საზღვრებში იყო აღდგენილი; მისი ყველა დაწესებულება ადგილობრივი სასულიერო ხელისუფლების იურისდიქციას უნდა დაქვემდებარებოდა; რუსი მართლმადიდებლებისთვის ძველი საკათოლიკოსოს საზღვრებში დაშვებული იყო კომპრომისი – ჰყოლოდათ ავტონომიური ეპისკოპოსები; საკათოლიკოსოს ტერიტორიის გარეთ დარჩენილ, ყოფილი საეგზარქოსოს მართლმადიდებლებს კი საეკლესიო ცხოვრების საკუთარი სურვილისამებრ მოწყობა შეეძლოთ[2] (*ჟურნალები*, 2016: 23-25, 32-33).

რუსეთის დროებითმა მთავრობამ 27 მარტის დადგენილებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ეროვნული ნიშნით აღიარა, რაც ნიშნავდა, რომ აღდგენილი ეკლესიის იურისდიქციაში მხოლოდ ქართველი მართლმადიდებლები უნდა გაერთიანებულიყვნენ. სხვა ეროვნების მართლმორწმუნენი რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში რჩებოდნენ.

ეკლესიის დამოუკიდებლობის ისტორიულ საზღვრებში აღიარება ხელისუფლებამ მიუღებლად ჩათვალა, რათა ამ ფაქტს ქართველების პოლიტიკური დამოუკიდებლობისკენ სწრაფვისთვის არ შეეწყო ხელი.

---

1. გაიხსნა 1917 წლის 8 სექტემბერს.
2. დეკლარაციების შესახებ ვრცლად იხ. აქვე: 11-13, 15.

27 მარტის აქტით მთავრობა ეკლესიის საქმეებში ჩარევის უფლებას იტოვებდა, რასაც ავტოკეფალისტები გარდამავალი პერიოდის აუცილებლობად განიხილავდნენ (დადეშქელიანი, 2011: 26). ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით ამას ნაწილობრივ უკვე შეგუებული იყვნენ და მთავრობის აღნიშნულ დადგენილებამდეც კი დეკლარაციებში ჰქონდათ ასახული.

ეკლესიის დროებითმა მმართველობამ პროტესტი განაცხადა ეროვნული ნიშნით ეკლესიის დაყოფის წინააღმდეგ და ტერიტორიული ავტოკეფალიისთვის დაიწყო ბრძოლა. ეკლესიის მესვეურნი ხალხისა და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების მხარდაჭერაზე ამყარებდნენ იმედს, რადგან „*12 მარტის ნაბიჯის გადადგმა ისტორიის მოთხოვნა იყო*“ (*ჟურნალები*, 2016: 207). მის მნიშვნელობას მოწმობდა პროცესში პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებისა და ხალხის ჩართულობა. ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებასთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერ ნოე ჟორდანიას სასულიერო წოდებისთვის წინასწარ რჩევებიც ჰქონდა მიცემული და დახმარებასაც აღუთქვამდა. ამავე პარტიის თვალსაჩინო წევრმა, ალექსანდრე ლომთათიძემ 12 მარტს სვეტიცხოველში ხალხს ავტოკეფალიის აღდგენა მიულოცა. საზეიმო ტრაპეზს, მღვდელ ვასილ კარბელაშვილის მოწმობით, მთავრობის 10 წარმომადგენელი ესწრებოდა (ჟურნალები, 2016: 208; ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ვ. კარბელაშვილის ფ., ს. 258: 3).

მიზნის მიღწევის პროცესში ერისა და ბერის ერთიანობა კარგადაა ასახული დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალებში. პასუხსაგები მოვალეობების წარმატებით შესასრულებლად ეკლესიის მმართველმა ორგანომ თავის წევრთა რაოდენობა რამდენჯერმე შეავსო. მის რიგებს შეემატნენ კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი დაწესებულებების, ასევე ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალ-დემოკრატიული და სოციალ-ფედერალისტური პარტიების ცალკეული წარმომადგენლები[1] (*ჟურნალები*, 2016: 92-93).

ეკლესიის ავტოკეფალური უფლებების აღდგენისადმი ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ზოგიერთი წარმომადგენლის დამოკიდებულება განვიხილე სტატიებში: „*ამიერკავკასიის* განსაკუთრებული *კომიტეტი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების პროცესში (საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალების მიხედვით, 1917 წ.)*“ და „*საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის დელეგაციის მოღვაწეობა პეტროგრადში (დელეგაციის მოხსენების მიხედვით, 1917 წ.)*“.

ამჯერად საქართველოს ეკლესიისადმი პოლიტიკური პარტიების

1. ეკლესიის დროებითი მმართველობის შემადგენლობა იხ. აქვე: 72-73.

გაერთიანების დამოკიდებულებაზე ვისაუბრებ. აღნიშნული გაერთიანება (1917 წლის აპრილიდან 12 აგვისტომდე ინტერპარტიული კრების, 12 აგვისტოდან 25 აგვისტოს ჩათვლით – ქართველი ერის ინტერპარტიული საინფორმაციო ბიუროს, შემდეგ კი 22 ნოემბრამდე – ეროვნული საბჭოს არჩევამდე – ინტერპარტიული საბჭოს სახით) 1917 წლის აპრილ-ნოემბრის განმავლობაში საქართველოს ეკლესიის საქმეებს ინტენსიურად განიხილავდა (სეა, ფ. 1823, აღწ. 1. ს. 1: 2, 14, 16, 21, 24; *დოკუმენტები და მასალები*, 1999: 11, 26, 37, 41; ვადაჭკორია, 2018 (1): 146-147; ვადაჭკორია, 2018 (2): 154).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტის (1917 წლის 12 მარტი) ძალითა და რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ მისი აღიარებით (27 მარტი) საქართველოს საეგზარქოსო უნდა გაუქმებულიყო, მაგრამ 27 მარტის დადგენილებაში ეს აღნიშნული არ იყო. მთავრობა ქართულ მხარეს ავალებდა რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის ამსახველი დებულებების შემუშავებას; მის დამტკიცებამდე და სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე ეკლესიის უფლებათა საბოლოო გაფორმებამდე კი საეკლესიო დაწესებულებების ძველ საწყისებზე დარჩენას მოითხოვდა (*ჟურნალები*, 2016: 37).

მთავრობის 27 მარტის აქტის ორაზროვნებამ (ერთი მხრივ, დამოუკიდებლობის აღიარება და, მეორე მხრივ, დაწესებულებათა მართვა-გამგეობის ძველი სისტემის შენარჩუნება) საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას ბევრი დაბრკოლება შეუქმნა. ავტოკეფალიააღდგენილი ეკლესიის უფლებათა განხორციელებას წინააღმდეგობას უწევდნენ როგორც ყოფილი ეგზარქოსი პლატონი (1915-1917, როჟდესტვენსკი), ასევე სინოდის რეჟიმის დროინდელი დაწესებულებების ზოგიერთი თანამშრომელი. საქართველოში მცხოვრებ რუს მართლმადიდებელთა ნაწილმა რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებისგან საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებას პროვოკაციული ქმედებები დაუპირისპირა და ქართველებს სხვა ეროვნების წარმომადგენელთა დევნაში დასდო ბრალი.

სწორედ რუსთა პროვოკაციების ალაგმვა და საქართველოს ეკლესიის უფლებების აღდგენისთვის გზების ძიება წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიის ამოცანას ინტერპარტიულ კრებასთან ურთიერთობის საწყის ეტაპზე.

ინტერპარტიული კრების ოქმებით დასტურდება, რომ *„...ქართველთა I უფრო სრული და საქმიანი კრება მოხდა აპრილში 1917 წ.“* მასზე განხილული საკითხების სრული ჩამონათვალი ცნობილი არ არის, რადგან ოქმი არ შეუდგენიათ. ინტერპარტიული სხდომების მდივანი პავლე საყვარელიძე გვამცნობს, რომ *„კრებამ განიხილა საქართველოს პარტიებ*

შორის შეთანხმების შესაძლებლობის საკითხი... გაირჩა საკითხი საქართველოს ტერიტორიის შესახებ“ (სეა, ფ. 1823, აღწ. 1. ს. 1: 1).

დროებითი მმართველობის სხდომის 8 აპრილის ჟურნალიდან და ნიკიტა თალაქვაძის დღიურებიდან ცნობილი ხდება, რომ ეკლესიის მმართველი ორგანოს წევრები ინტერპარტიული გაერთიანების კრებას პირველად 7 აპრილს დაესწრნენ. ე. ი. I კრება 7 აპრილს შედგა და მასზე, გარდა ზემოაღნიშნულისა, ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებაც იმსჯელეს (*ჟურნალები*, 2016: 55; თალაქვაძე, 2013: 20). სხდომის იმავე ჟურნალში დაფიქსირებული ინფორმაცია – „*7-ს ამ აპრილს პარტიათა ორგანიზაციაში მიწვეულ იქმნენ საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრნი დეკანოზი ნ. თალაქვაძე და ს. გორგაძე*“ (*ჟურნალები*, 2016: 55) – ასევე ნათელყოფს, რომ ინტერპარტიულ კრებასა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ინიციატივა პარტიათა ორგანიზაციისგან მოდიოდა. თუმცა აღნიშნული საკითხის სიმწვავის შესახებ ინფორმაციას პარტიათა საკრებულოს ისევ ავტოკეფალისტები მიაწვდიდნენ.

აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობისთვის შექმნილ კომისიაში შევიდნენ დეკანოზი ნიკიტა, სერგი გორგაძე და დავით ნახუცრიშვილი. ეკლესიის მმართველი ორგანოს სხდომის ჟურნალში საეკლესიო საკითხთან დაკავშირებით ინტერპარტიული თათბირის დადგენილება სრულადაა ასახული: „*1) ქართველ და რუსის სამღვდელოების წარმომადგენლებმა კავკასიის კომისარიატის*[1] *წარმომადგენელთა თანდასწრებით შეიმუშაონ მოწოდება საზოგადოებისადმი, რომელშიაც სამღვდელოებათა წარმომადგენელნი განმარტავენ იმ აზრს, რომ ქართველი სამღვდელოება არავითარ აგრესიულს მოქმედებას არ ეწევა რუსის სამღვდელოების და ეკლესიის წინააღმდეგ – ამასვე დაადასტურებს კომისარიატი. 2) ქართველმა სამღვდელოებამ განუმარტოს თავის მიმდევრებს – მორწმუნეთ და საეკლესიო კრებულთ, რომ მათ არავითარი ძალადობა არ გამოიჩინონ არაქართველთადმი და არ გაამწვავონ ისედაც გამწვავებული ურთიერთობა. 3) საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ (და მისმა განყოფილებებმა) დღეიდგან არ გადასდგას არავითარი ნაბიჯი, რომელიც გადასცილდება დროებითის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულის აქტის ფარგლებს, პოლიტიკურ პარტიათა და კომისარიატის დაუკითხავად. 4) ქართულმა პრესამ და ყველა პარტიებმა ეს საკითხი (ავტოკეფალობისა) გააშუქონ ზემომოყვანილის თვალსაზრისით და გამწვავება მდგომარეობისა არ გამოიწვიონ. 5) კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ ესეთივე მოწოდება გამოსცეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებმა, როცა ამის შესახებ დროს დაინახავენ*“ (*ჟურნალები*, 2016: 55).

1. დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალებში აღნიშნული სახელწოდება ხშირად იხსენიება ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის ნაცვლად.

პოლიტპარტიათა წარმომადგენლების აზრით, ავტოკეფალიასთან დაკავშირებით ინფორმაციის ფართოდ გავრცელების შემდეგ ეკლესიის დამოუკიდებლობის საქმის შეფერხება გაძნელდებოდა (თალაქვაძე, 2013: 25).

დადგენილების შესახებ ავტოკეფალისტების მსჯელობიდან ჩანს, თუ რამდენად ფრთხილად ეკიდებოდნენ ისინი ეკლესიის უფლებების განხორციელების საკითხს. ეკლესიის დროებითი მმართველობა ინტერპარტიული კრების დადგენილების მიღებაზე მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა, რაც გაარკვია, რომ მისი მესამე პუნქტი ეკლესიის შინაურ საქმეებში პოლიტიკურ პარტიათა ჩარევას არ გულისხმობდა. მასში მხოლოდ ქართველებსა და რუსებს შორის საეკლესიო დაწესებულებებისა და შენობების განაწილებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი სირთულეები და დროებით მთავრობასთან ეკლესიის ურთიერთობა მოიაზრებოდა (*ჟურნალები*, 2016: 56).

ეკლესიის დროებითი მმართველობა, ინტერპარტიული კრების წარმომადგენელთა მოსაზრებებიდან გამომდინარე, იმაშიც დარწმუნდა, რომ ისინი საქართველოს პოლიტიკური წარმატებისთვის ეკლესიის დამოუკიდებლობის მნიშვნელობას აღიარებდნენ და მისადმი მხარდაჭერას გამოხატავდნენ.

აღნიშნულ დასკვნას ეკლესიისა და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების ხანგრძლივი ურთიერთობა ედო საფუძვლად. მათ შორის მჭიდრო კავშირისა და ურთიერთნდობის განმაპირობებელი უსათუოდ იყო ქართველი სასულიერო წოდების ჩართულობა ეროვნულ დისკურსში. მკვლევარ ტატიანა ჩუმაკოვას აზრით, ეს ფაქტორი ქართველ სამღვდელოებას იმპერიული დისკურსის ჩამოყალიბებაში მონაწილე უკრაინელი სამღვდელოებისაგან მკვეთრად განასხვავებდა (Чумакова, 2019: 189).

ქვეყნის მომავალი ეკლესიის დროებითი მმართველობისა და ინტერპარტიული კრების მუშაობის წარმატებაზე დიდწილად იყო დამოკიდებული. საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები ეკლესიის უფლებათა განხორციელებისათვის ბრძოლის პროცესში პარტიათა გაერთიანებას ყოველთვის იმ იმედით მიმართავდნენ, რომ ის საკითხებს პასუხისმგებლობის გრძნობით განიხილავდა.

ეკლესიისთვის ძირეული მნიშვნელობის საკითხი განიხილებოდა ინტერპარტიული კრების 16 აპრილის სხდომაზე. ამ დროისათვის ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრებს უკვე გადაეწურათ იმედი, რომ ავტოკეფალურ უფლებათა გაფართოებას საქართველოს ეკლესიის საქმეებში მთავრობის რწმუნებულ ბენეშევიჩთან თანამშრომლობით მიაღწევდნენ და იძულებული გახდნენ, ეროვნული ავტოკეფალიის მიღებაზე ეფიქრათ. ინტერპარტიული კრება მათ მოსაზრებას დაეთანხმა (*ჟურ-*

ნალები, 2016: 65-68, 70-71). პოლიტიკური პარტიები საქართველოს ავტონომიის საკითხზე ერთმანეთთან მოსალოდნელ შეთანხმებასა და დროებითი მთავრობისაგან მხარდაჭერაზე ამყარებდნენ იმედს. მათი აზრით, თუ საქართველოს ავტონომია რეალობად იქცეოდა, მაშინ მისი ეკლესია ტერიტორიულ საზღვრებში თავისთავად მოექცეოდა (*ჟურნალები*, 2016: 70).

პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები ავტოკეფალისტებს ბენეშევიჩის საქმიანობის შეფასებაშიც ეთანხმებოდნენ. დროებითი მთავრობის რწმუნებული ამავე მთავრობის მიერ უკვე აღიარებულ ავტოკეფალიასაც კი ეჭვქვეშ აყენებდა. ამის დასტური იყო 2 მაისის წერილი, 23 მაისის პროექტი და რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელი კომისიის თავმჯდომარის სხვა ქმედებანი (*ჟურნალები*, 2016: 80-81, 98-100, 122-124; იხ. აქვე: 54-56, 56-58).

23 მაისის პროექტი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის იგნორირებასთან ერთად საქართველოს საეგზარქოსოს ყოფილ ტერიტორიაზე სინოდის კანტორის აღდგენას ითვალისწინებდა. ეკლესიის მმართველი ორგანოს წევრები თანხმდებოდნენ, რომ „*პროექტი იდეალური თვალსაზრისით არამც თუ შეუწყნარებელია, დამამცირებელიცაა*“. ზოგიერთი მათგანი მისი განხილვის შესაძლებლობასაც კი უარყოფდა (*ჟურნალები*, 2016: 126-128).

დროებითი მმართველობა პროექტზე მსჯელობისას ბენეშევიჩთან მუშაობის შეწყვეტაზეც დაფიქრდა, მაგრამ როგორც ყოველი ახალი დაბრკოლებისას, ახლაც საქმეში ჩარევის თხოვნით ა/კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტსა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს მიმართა. მათ ბენეშევიჩთან კავშირის გაწყვეტა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს და ავტოკეფალისტებს ურჩიეს, მისთვის პეტროგრადის მთავრობისაგან „*რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის ძირითადი დებულებების*“ დამტკიცების დაჩქარება მოეთხოვათ (*ჟურნალები*, 2016: 127).

მთავრობის მიერ აღნიშნულ უფლებათა განსაზღვრას ცალკეულ მოხელეთა მხრიდან ეკლესიის საქმეებში ჩარევის შესაძლებლობა უნდა შეეზღუდა. ქართული მხარის მიერ შემუშავებული და ცენტრალური მთავრობისათვის 1917 წლის 18 აპრილს წარდგენილი „*ძირითადი დებულებების*“ დამტკიცების შეყოვნება ეკლესიის ცხოვრების მოუწესრიგებლობას განაპირობებდა.

ბენეშევიჩი, როგორც დროებითი მთავრობის მოხელე და რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიის ურღვეობის იდეის დამცველი, საქართველოს ეკლესიის უფლებათა აღდგენის საკითხს საეკლესიო კანონების თვალსაზრისით არ განიხილავდა. ავტოკეფალისტთა სამართლიანმა

მოთხოვნებმა მისი საქმიანობა ჩიხში შეიყვანა და იმავე წლის მაისის ბოლოს პეტროგრადში წასვლა საბოლოოდ გადააწყვეტინა (ივნისის დასაწყისში ის გაემგზავრა კიდეც).

ივნისის შუა რიცხვებში პეტროგრადში საქართველოს ეკლესიის დელეგაციაც ჩავიდა ეპისკოპოს ანტონის (გიორგაძე), არქიმანდრიტ ამბროსისა (ხელაია) და დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის შემადგენლობით. ისინი საკითხთან დაკავშირებულ ინსტანციებსა და კერძო პირებთან ურთიერთობით ცდილობდნენ, ეკლესიის უფლებათა აღიარებისთვის მიეღწიათ.

მართლაც, ალექსანდრე კერენსკის მთავრობამ[1] 25 ივლისს „*ძირითადი დებულებები*“ დაამტკიცა. ამან ავტოკეფალისტების სურვილს, რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შეთანხმება ოზაკომს ეკისრა და მისი გადაწყვეტილებანი ადგილზევე დამტკიცებულიყო, საფუძველი გაუმყარა (*ჟურნალები*, 2016: 217-218).

დროებითი მთავრობის მოთხოვნას, საქართველოს საეკლესიო საკითხის განმხილველ კომისიას პეტროგრადში ემუშავა, ქართული მხარე უარყოფდა. მისი აზრით, ეს საქართველოს ეკლესიის უფლებათა აღდგენის შეფერხებას გამოიწვევდა, რადგან კომისიისთვის საჭირო საბუთები და მასალა, ძირითადად, საქართველოში იყო თავმოყრილი; საქართველოს ეკლესიის ვითარებაში გაუცნობიერებელი პეტროგრადელი მოხელის საქმიანობა ისეთივე უშედეგო იქნებოდა, როგორიც ბენეშევიჩისა; შედეგს დააყოვნებდა დროებითი მთავრობის მიერ შემთანხმებელი კომისიის გადაწყვეტილებათა დამტკიცების საჭიროებაც (ამის მაგალითად „*ძირითადი დებულებების*“ დამტკიცების გაჭიანურების ფაქტიც საკმარისი იყო) (*ჟურნალები*, 2016: 215-216).

ეკლესიის დროებითი მმართველობის არგუმენტები ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა და ინტერპარტიულმა გაერთიანებამ გაიზიარეს. ამ უკანასკნელმა თავის 20 და 25 აგვისტოს სხდომებზე დამსწრე ავტოკეფალისტებს ურჩია, წარმომადგენლები კომისიაში სამუშაოდ პეტროგრადში არ გაეგზავნათ; კავკასიის რუსი ეგზარქოსის ტფილელად სახელდების გამო პროტესტი განეცხადებინათ და სასულიერო სასწავლებლების გაეროვნულების საქმე დაეჩქარებინათ (*ჟურნალები*, 2016: 217; სეა, სცა, ფ. 1823, ან. 1, ს. 1: 20, 23).

ეკლესიის დროებით მმართველობასა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ინტენსიური ურთიერთობა იყო ეგზარქოსის ყოფილი სახლისა და სინოდის კანტორის საქართველოს ეკლესიის ხელში გადასვლის პროცესებთან დაკავშირებით.

1. კერენსკი დროებითი მთავრობის მეთაური იყო 1917 წ. 7 (20) ივლისიდან ოქტომბრის გადატრიალებამდე.

პარტიათა გაერთიანებამ მიზანშეწონილად ჩათვალა, დროებით მმართველობას ყოფილი ეგზარქოსის სახლის მხოლოდ ნაწილი დაეკავებინა, ნაწილი კი ისევ რუსი სამღვდელოებისთვის დაეტოვებინა. სახლის ნებაყოფლობით გადმოცემის შემთხვევაში ავტოკეფალისტები მის ბინადართ შენობის პირველ სართულზე ცხოვრების უფლებას მართლაც სთავაზობდნენ (სეა, სცა, ფ. 1823, ანაწ. 1, ს. 1: 20; საპატრ. არქ. აღწ. 1. ს. 377, 3-4).

ეგზარქოსთა ყოფილი სახლი საქართველოს ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენდა – მის შესაძენად ქართველი სასულიერო წოდების კუთვნილი თანხა იყო გადახდილი. სახლი კანონიერ მესაკუთრეს საერო ხელისუფალთა მიერ საქართველოს ეკლესიის უფლებების აღიარების შემდეგაც კი არ დაჰბრუნებია მაშინ, როცა იქ ყოფილი ეგზარქოსიც აღარ ცხოვრობდა. ქართულმა მხარემ საკუთრების თავისი ძალებით აღება 23 აგვისტოსთვის დაგეგმა (*ჟურნალები*, 2016: 235) და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა თანადგომით განახორციელა კიდეც.

ყოფილი საეგზარქოსოდან საქართველოს ეკლესიის საკუთრებაში სინოდის ყოფილი კანტორის შენობისა და კანცელარიის დაბრუნების საკითხი კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა. ის საქართველოს ეკლესიას მხოლოდ 1918 წ. 22 მარტს დაუბრუნდა. მოუგვარებელი იყო სახელმწიფო ხაზინიდან კუთვნილი კრედიტების მიღების საქმეც (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6675, 105, 173; *ჟურნალები*, 2016: 267), რაც საქართველოს ეკლესიის არსებობისთვის ნორმალური პირობების შექმნას ხელს უშლიდა.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ეკლესიის დროებითმა მმართველობამ 1917 წლის სექტემბერში საეკლესიო კრებაზეც მიიწვია. ინტერპარტიულმა საბჭომ შეძლო, არ გასცდენოდა თავის კომპეტენციას და მონაწილეობა არ მიიღო კათოლიკოს-პატრიარქის კანდიდატურის შერჩევაში მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია პოლიტპარტიათა მოსაზრებებს ხშირად უწევდა ანგარიშს. აღნიშნულთან დაკავშირებით ინტერპარტიული საბჭოს სხდომაზე 1917 წ. 9 სექტემბერს იყო მსჯელობა (სეა, სცა, 1823, ანაწ. 1, ს. 1: 27).

ახლად არჩეული საკათოლიკოსო საბჭოც ეკლესიისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრის პროცესში რჩევისათვის ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს მიმართავდა. იგი ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის საქმისადმი მხარდაჭერას ყოველთვის გამოხატავდა, მაგრამ ეკლესიას გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმისა და რუსულ მხარესთან ურთიერთობის გამწვავებისაგან თავის შეკავებას ურჩევდა[1] (საპატრ. არქ. აღწ. 1. ს. 6675: 3).

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე კავკასიის საეგზარქოსოს კანონსაწინააღმდეგო იურისდიქცია ოფიციალურად მხოლოდ მთავრობის 1920 წ. 17 თებერვლის დადგენილებით გაუქმდა, თუმცა რუსეთის ეკლესიის მხრიდან საქართველოს ეკლესიის უფლებების ხელყოფა ამის შემდეგაც გრძელდებოდა.

ახლად არჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II (1917-1918, საძაგლიშვილი) ინტერპარტიულმა საბჭომ 19 ნოემბერს ეროვნულ ყრილობაზე მიიწვია.

ისტორიკოსი ელდარ ბუბულაშვილი ყურადღებას ამახვილებს ოზაკომისა და ინტერპარტიული გაერთიანების შეთანხმებულ მოქმედებაზე; ასევე ინტერპარტიული კრების მხრიდან ავტოკეფალისტებისადმი მხარდაჭერაზე ეგზარქოსის სახლის დაკავების, სამღვდელოების მატერიალური უზრუნველყოფის, თბილისის სამიტროპოლიტოს აღდგენისა და სხვა საკითხთა გადაწყვეტაში (ბუბულაშვილი, 2003: 53-60). რაშიც მეცნიერს ვეთანხმები.

საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ პოლიტიკური პარტიების გაერთიანებასთან შეთანხმებული მოქმედებით, მისი თანადგომით შეძლო, ნაწილობრივ მაინც გამკლავებოდა რუსეთის სახელმწიფოსა და ეკლესიის მხრიდან ძალმომრეობას და თავისი არსებობისათვის მეტ-ნაკლებად მისაღები პირობები შეექმნა. ეკლესიისა და პოლიტპარტიათა მოქმედებების თანხვედრას საქართველოს მომავლის ინტერესები განაპირობებდა. ეს ურთიერთობა ახლად განთავისუფლებული ეკლესიის მმართველ ორგანოს ძალასა და ავტორიტეტს მატებდა.

ეკლესიის უფლებათა აღდგენის პროცესში პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანების მოქმედების შეზღუდულობა მასში სოციალ-დემოკრატიული ელემენტის სიჭარბით, საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეის მოუმწიფებლობითა და რუსეთის დამფუძნებელი კრებისადმი დიდი მოლოდინებით იყო განპირობებული. მიუხედავად ამისა, ინტერპარტიული გაერთიანება, ზოგადად, გრძნობდა ქვეყნის მომავლისათვის ეკლესიის ავტოკეფალიის მნიშვნელობას და დროებით მმართველობას ვითარების შესაბამისი რჩევებით ეხმარებოდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. დადეშქელიანი, 2011 – ბატონიშვილი ილამაზ დადეშქელიანი, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია (კანონიკურ-სამართლებრივი ანალიზი)*, თარგმნა და კომენტარები დაურთო ვლადიმერ ნარსიამ, თბილისი.
2. *დოკუმენტები და მასალები*, 1999 – *საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო (1917 წლის აპრილი-ნოემბერი) დოკუმენტები და მასალები*, გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ზაირა გერგედავა-ჭელიძემ, თბილისი.
3. ვადაჭკორია, 2018 (1) – შოთა ვადაჭკორია, *ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს შექმნა*, ენციკლოპედია-ლექსიკონი „*საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)*“, თბილისი.
4. ვადაჭკორია, 2018 (2)– შოთა ვადაჭკორია, *ეროვნული ყრილობა*, ენციკლოპედია-ლექსიკონი „*საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)*“, თბილისი.
5. თალაქვაძე, 2013 – დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე, *მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან*, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, გამომცემელი ლაშა ბაქრაძე, თბილისი.
6. *ჟურნალები*, 2016 – *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები (1917 წლის 13 მარტი-14 სექტემბერი)*, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა ნინო შიოლაშვილმა და ირინა არაბიძემ, თბილისი.
7. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 377 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 377.
8. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 6465.
9. სეა, სცა, ფ. 1823, ანაწ. 1, ს. 1 – საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1823, ანაწერი 1, საქმე 1.
10. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ვ. კარბელაშვილის ფ., ს. 258 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, საქმე 258.

Involvement of Georgian political parties in the process of implementation of the autocephalous rights of the Church of Georgia

(based on the Journals of session of the temporary management of the Church of Georgia, 1917)

The autocephaly of the Church of Georgia, restored on March 12 (25), 1917, was recognized by the Provisional Government of Russia only from a national viewpoint, which was a restriction of the Church's rights. Temporary Management of the Church of Georgia and its associates protested against the aforementioned and began to fight for the rights of the Church.

In the process of achieving the goal, the unity of the society and the clergy was clearly visible. Representatives of political parties also called for the restoration of the rights of the Church of Georgia. The National Interparty Council paid attention to the issue of the Church from the very first official session (April 7, 1917) and made it a subject of almost daily discussions.

The Temporary Management of the Church of Georgia, in agreement with the representatives of political parties and with their support, was able to at least partially deal with the tyranny of the Russian Church and create more or less acceptable conditions for its own existence.

Участие грузинских политических партий в процессе осуществления автокефальных прав Грузинской Церкви

(По журналам заседания Временного Управления Грузинской Церкви, 1917 г.)

Восстановленную автокефалию Грузинской Церкви 12 (25) марта 1917 года, Российское Временное Правительство признало лишь по национальному характеру, что урезало права церкви. В телеграмме Петроградскому Правительству Временное Управление Грузинской Церкви по этому поводу выразило протест.

Для достижения территориальной автокефалии единодушно боролись духовенство и граждане, старались и представители политических партий.

На первом-же официальном заседании (7 апреля 1917 г.) национальное интерпартийное собрание обратило внимание на вопрос церкви и сделало его предметом почти ежедневного обсуждения.

Временное Управление Грузинской Церкви, при поддержке представителей политических партий, смогло противостоять ущемлению своих прав со стороны российского госсударства и церкви, и создать более или менее приемлемые условия для своего существования.

მოსკოვში არსებული ქართული ეროვნული ორგანიზაციების აღმასკომი და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი (1917 წ.)

საქართველოს საპატრიარქოს არქივში, აღწ. 1, საქმე №6465, გვ. 133-137 დაცულია სრულიად რუსეთის I ადგილობრივი საეკლესიო კრებისადმი[1] მოსკოვში არსებული ქართული ეროვნული ორგანიზაციების აღმასკომის 1917 წლის სექტემბრის მიმართვის ასლი. ის აღმასკომის თავმჯდომარის ამხანაგის (მოადგილე), მიხეილ ზანდუკელის მიერაა ხელმოწერილი. ასლი ნაბეჭდია და აქვს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (1921-1927, ხელაია) 1926 წლის 25 თებერვლის რეზოლუცია: „*დაცულ იქმნას სათანადო საქმეებში*“ (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6465: 133).

დოკუმენტის ბოლოს, ავტოგრაფთან სხვა ხელითა და სხვა კალმით მიწერილია „*М. Зандукели, доктор*“. ვფიქრობ, მკითხველისთვის გაურკვეველი რომ არ გამხდარიყო, 1917 წლისათვის მოღვაწე ექიმ მიხეილ ზანდუკელსა და ლიტერატორ მიხეილ ზანდუკელს შორის რომელი იყო განცხადებაზე ხელის მომწერი, ეს მინაწერი საქმის დაარქივებისას გაკეთდა. კალიგრაფიის მიხედვით იგი მიტროპოლიტ კალისტრატეს (ცინცაძე) უნდა ეკუთვნოდეს (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6465: 137).

მართლაც, მოსკოვის ქართველთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე იყო ექიმი მიხეილ ოთარის ძე ზანდუკელი (1881-1948) ივანე თულაშვილთან ერთად (ტატიშვილი, დეკანოსიძე, 1960: 268-269).

მოსკოვის ქართველთა საზოგადოება 1907 წელს დაარსდა მოსკოვში მოღვაწე სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელ ქართველთა: ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის, ალექსანდრე ხახანაშვილის, ალექსანდრე ჯავახიშვილის, ივანე თულაშვილის, მიხეილ ზანდუკელის, მიხეილ ასათიანის, მაქსიმე ღამბარაშვილის, ლევან ზუბალაშვილის, ელენე ჭავჭავაძე-სუხოდოლსკის და სხვათა მცდელობით. წესდების მიხედვით საზოგადოების მიზანს შეადგენდა მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების ქართველ სტუდენტთა მატერიალური დახმარება; მოსკოვში მცხოვრებ ქართველთათვის ქართული კულტურის გაცნობა-შესწავლაში ხელის შეწყობა; ქართული კულტურის პოპულარიზაცია მთელ რუსეთსა და, განსაკუთრებით, მოსკოვში; იქაურ ქართველთა დაკავშირება საქართველოში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან (ტატიშვილი, დეკანოსიძე, 1960: 268-269; ჩალათაშვილი, 2006: 38-39).

წესდებით ასევე განსაზღვრული იყო, რომ საზოგადოებას უფლება ჰქონდა, გაეხსნა ამბულატორიები, თავშესაფრები, სკოლები, სა-

1. მიმდინარეობდა 1917 წ. 15 (28) აგვისტოდან 1918 წ. 7 (20) სექტემბრის ჩათვლით.

ბავშვო ბაღები, სანატორიუმები, საზაფხულო ბანაკები, სასადილოები, ბუფეტები, სალაროები, თუმცა ამისთვის ხელისუფალთაგან თანხმობა დამატებით უნდა მიეღო (ჩალათაშვილი, 2006: 41).

საზოგადოება 1914 წლიდან მდებარეობდა მოსკოვში, პოვარნაიას №29-ში, ორიოლის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის, გრაფ სუხოდოლსკისა და მისი მეუღლის, ელენე ჭავჭავაძე-სუხოდოლსკის სახლში. იგი არა მარტო მოსკოვის ქართველ სტუდენტთა და იქ სხვადასხვა მიზნით ჩასულ ქართველთა, არამედ მოსკოვში არსებული ქართული ორგანიზაციების შემაკავშირებელს წარმოადგენდა. ამ ორგანიზაციათაგან მნიშვნელოვანია: ქართული სათვისტომოები, მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა სტუდენტური წრე, მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტში შექმნილი აკაკი წერეთლის სახელობის სამეცნიერო წრე, მოსკოვის ქართველთა საზოგადოების ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის სახელობის ლაზარეთი, რომელიც I მსოფლიო ომში დაჭრილ და დაავადებულ მებრძოლთა საჭიროებას ემსახურებოდა[1] (ტატიშვილი, დეკანოსიძე, 1960: 177, 184, 298-299; ჩალათაშვილი, 2006: 43, 45).

ქართული ეროვნული ორგანიზაციების აღმასკომმა განსახილველი განცხადებით გამოხატა პროტესტი საქართველოს ყოფილ ეგზარქოს პლატონისა (1915 წ. დეკემბერი-1917 წ. მარტი, როჟდესტვენსკი) და აღსარებათა მინისტრის მოადგილე სერგეი კოტლიარევსკის მიერ 1917 წლის 25 აგვისტოს რუსეთის საეკლესიო კრებაზე გაკეთებული განცხადებების გამო.[2]

მიტროპოლიტ პლატონის განცხადება ქართველი ავტოკეფალისტების მიერ იმავე წლის 23 აგვისტოს ეგზარქოსთა ყოფილი სახლის დაკავების ფაქტს ეხებოდა, თუმცა რეალურად მომხდარი მოვლენა ტენდენციურად იყო გადმოცემული და ცრუ ბრალდებებით გაჯერებული.

გამოსაქვეყნებლად შერჩეულ დოკუმენტში ასახულია მშობლიური ეკლესიის ავტოკეფალიისადმი მოსკოვში მოქმედი ქართული ეროვნული ორგანიზაციების აღმასკომის თანადგომა. აღმასკომი რუსეთის საეკლესიო კრებას შეახსენებს საქართველოს ეკლესიის მიმართ რუსეთის ეკლესიის ზოგიერთი წარმომადგენლის უკანონო ქმედებებს, ამხელს მიტროპოლიტ პლატონის ბრალდებების უსაფუძვლობას და 23 აგვისტოს

1. გაიხსნა 1914 წლის 16 სექტემბერს, მდებარეობდა სუხოდოლსკების სახლის II სართულზე (ტატიშვილი, დეკანოსიძე, 1960: 299).

2. უფრო ადრე, აპრილში, მოსკოვის ქართველთა საზოგადოების კრება პეტროგრადის ახალი მთავრობის მეთაურს გიორგი ლვოვსა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიესალმა. კრების თავმჯდომარე მიხეილ ზანდუკელის ხელმოწერით გამოქვეყნებულ მისალმებაში გამოთქმულია იმედი, რომ *„მცირე ერთა უფლება თავისუფალ რუსეთში დავინყებული არ იქნება“* (*„საქართველო“*, №77: 3).

თბილისში მომხდარი ფაქტის შესახებ რეალურ ინფორმაციას აწვდის (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6465: 133-137).[1]

რუსეთის საეკლესიო კრების მასალები მოწმობს, რომ აღნიშნული განცხადება კრებას 27 სექტემბერს მდივნის მოადგილემ, პროფესორმა ვლადიმერ ბენეშევიჩმა[2] გააცნო. განცხადება გადაეცა ამავე კრების მიერ შექმნილ ამიერკავკასიაში მართლმადიდებელი ეკლესიის მოწყობის საკითხების განმხილველ განყოფილებას (*Деяния*, кн. II, 1918: 71).

მოვიხმობ ზემოაღნიშნულ დოკუმენტს, რომელიც დაწერილია რუსულად, აქვე გთავაზობთ მის ქართულ თარგმანს:

რეზოლუცია: „25/II.26 წ. დაცულ იქმნას სათან. საქმეებში კათ. ამბროსი“

„На Всероссийский Поместный Церковный Соборъ

Отъ Исполнительнаго Комитета
Грузинскихъ национальныхъ
организаций въ Москве

З А Я В Л Е Н И Е

Исполнительный Комитетъ Грузинскихъ национальныхъ организаций въ Москве имелъ 27 и 30 августа с. г. и 12 сего сентября суждения о заявленияхъ, сделанныхъ 25 минувшаго августа Собору архиепископомъ Платономъ, бывшимъ экзархомъ Грузии, и товарищемъ министра исповеданий профессоромъ Котляревекимъ. Содержание сделанныхъ заявлений заимствовано изъ отчётовъ, помещеныхъ въ газетахъ „Рус[ские] Вед[омости]“ №195 и „Русск[ое] Сл[ово]“ №195, и потому исполнительный Комитетъ ответственность за точность переданнаго въ названныхъ газетахъ не беретъ на себя. Архиепископъ Платонъ огласилъ пероде Соборомъ полученную им изъ Тифлиса отъ протоиерея Михайловскаго телеграмму о произве-

1. ყოფილ ეგზარქოსთა სახლის ქართველთა ხელში გადასვლის შესახებ იხ. აქვე: 24-29.
2. ბენეშევიჩი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენილად გამოცხადების შემდეგ საქართველოს საეკლესიო საქმეებში პეტროგრადის მთავრობის რწმუნებულად იყო დანიშნული. მისი თავმჯდომარეობით რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების გამმიჯვნელი კომისიის სხდომები თბილისში 1917 წ. 21 აპრილიდან 3 ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა (იხ. აქვე: 44-68).

денномъ „вооруженною толпою грузинъ при участии милиции, грузинскихъ епископовъ“ захвате дома бывшаго экзарха Грузии, объ опечатании имущества и пр. Оглашенный фактъ по телеграмме имелъ место въ Тифлисе 23 августа, но въ московскихъ газетахъ до сихъ поръ нетъ объ этомъ сообщений, которыя осветили бы его. Поэтому Исполнительный Комитетъ поджидалъ более подробныхъ сообщений объ этихъ событияхъ, и вотъ въ полученныхъ Комитетомъ тифлисскихъ газетахъ „Сакартвело“ №187 и „Республика“ №44 какъ этотъ фактъ переданъ:

„23 августа местоблюститель католикоса-патриарха Грузии, митрополитъ Тифлисский Леонидъ переселился въ принадлежащий грузинскому духовенству домъ /въ покои бывшихъ экзарховъ Грузии/.

Для принятия меръ къ охране находящегося въ сихъ покояхъ частнаго имущества приглашена была городская милиция. Командированный для сего помощникъ начальника милиции нашелъ въ гостинной архиепископа Платона 5 портретовъ царствовавшей династии Романовыхъ: Александра III, царевича Алексея, бывашаго наместника Николая Николаевича и др., а въ другомъ отделении портреты бывшаго царя Николая Романова и матери его Марии Федоровны. Все портреты сданы на хранение вместе съ частнымъ имуществомъ бывшаго экзарха.

При сдаче дома среди братии экзаршескаго дома оказались частныя лица и монахи (монашки – ტექსტშივე კალმითაა ჩასწორებული – ი. ა.) Мамкодскаго женскаго монастыря, которыя после опроса были отпущены.

На месте дома экзарха Грузии въ 17-18 вв. находился дворецъ грузинскихъ царей, который былъ разрушенъ во время взятия Тифлиса Ага-Магомедъ-Ханомъ. Въ начале 19 в. на месте царскаго дворца былъ построенъ домъ для тифлисскаго губернатора. Въ 1848 году администрация продала этотъ домъ духовному ведомству, причемъ покупная сумма, по распоряжению императора Николая I и согласно указу Св. Синода, целикомъ была уплачена изъ суммъ, принадлежавшихъ грузинскому духовенству. Съ техъ поръ въ домъ имелъ пребывание экзархъ Грузии архиепископ карталинский и кахетинский“.

– Исполнительный Комитетъ не будетъ возражать противъ того, что за частной корреспонденцией не всегда можно признавать исчерпывающее и неопровержимое значение. Но вотъ въ №48 той же „Республики“ помещенное официальное донесение начальника тифлисской милиции члену Особаго Закавказскаго Комитета: „Въ опровержение телеграфнаго сообщения Петроградскаго Телеграфнаго Агентства изъ Москвы отъ 23-го сего августа о томъ, „что толпа грузинъ во главе съ грузинскимъ епископомъ

Леонидомъ при участии милиции захватила домъ экзарха, запечатала церковь, потребовала ключи отъ кассъ и арестовала некоторыхъ духовныхъ лицъ", считаю долгомъ донести: Въ два часа дня, 23-го сего августа, я получилъ отъ местоблюстителя католикоса-патриарха всея Грузии митрополита тифлисскаго Леонида отношение за №909, следующаго содержания:

„Г. начальнику тифлисской городской милиции,

После утверждения Временнымъ Правительствомъ „основныхъ началъ правового положения грузинской церкви въ русскомъ государстве" должность экзарха Грузии упразднена, домъ, въ которомъ проживалъ экзархъ Грузии, освободился не только юридически, но и фактически, ибо никто въ немъ въ настоящее время не живётъ. Въ виду того, что домъ этотъ преобретенъ на средства грузинскаго церковнаго Казначейства /см. дело синодальной конторы за 1849 г. №5036/, Временное Управление грузинской церкви заняло этотъ домъ для помещения въ немъ местоблюстителя католикоса-патриарха, съ отведениемъ нижняго этажа его для проживания, если того пожелаютъ, представители русской церкви въ Закавказъе *до техъ поръ, пока русско-грузинские церковные интересы будутъ размежеваны. Доводя о семъ до Вашего сведения, Временное* Управление *покорнейше проситъ Васъ командировать правомочное лицо для составления необходимой описи чужого имущества, а также прислать достаточную для ограждения живущихъ ныне въ этомъ доме лицъ охрану.*

Местоблюститель католикоса-патриарха всея Грузии митрополитъ тифлисский Леонидъ".

Въ пять часовъ вечера того же дня я командировалъ въ экзаршеский домъ, для составления описи чужого имущества и принятия соответствующихъ меръ, въ ограждение живущихъ въ доме лицъ, одного изъ своихъ помощниковъ, уведомивъ предварительно объ этомъ председателя краевого центра советовъ рабочихъ, солдатскихъ и крестьянскихъ депутатовъ и уполномоченнаго члена Особаго Закавказскаго Комитета.

Въ экзаршескомъ доме городская милиция приняла следующия меры: въ целяхъ охранения имущества, впредь до размежевания русско-грузинскихъ церковныхъ интересовъ, опечатала Крестовую церковь при экзаршемъ доме, въ коей хранятся драгоценности, привела въ известность все имущество, принадлежащее лично бывшему экзарху Платону, сложило таковое въ отдельную комнату и также опечатала.

Въ виду категорическаго отказа бывшаго эконома экзаршескаго дома, иеромонаха Серафима указать имущество, принадлежащее дому, представить приходо-расходныя книги и кассу съ деньгами и ценными бумагами, милиция опечатала также комнату, въ коей хранятся все докумен-

ты и несгораемый сундукъ. Во время осмотра этой комнаты иеромонахъ Серафимъ покушался положить себе въ карманъ два большихъ свертка съ деньгами, вынутыхъ имъ изъ несгораемаго сундука, но былъ во время замеченъ. Такое поведение эконома вынудило милицию установить особенно бдительный надзоръ, въ целяхъ предупреждения расхищения церковнаго имущества. При осмотре помещения въ верхнемъ этаже, на стенахъ гостинной обнаружено 5 портретовъ Романовскаго дома, въ томъ числе Александра III, бывшаго наследника Алексея и Николая Николаевича, а въ нижнемъ этаже того же дома – портреты Николая II /снятъ съ наследникомъ/ и матери его Марии Романовыхъ.

Въ моментъ появления представителя милиции въ квартире иеромонаха Серафима находились два гражданина и две монашки Мамкодскаго Монастыря. Указанныя лица сидели за столомъ и вместе съ монахами распивали вино. Засимъ, въ виду оффициальнаго сообщения митрополита Леонида о томъ, что въ архиве синодальной конторы замечается хищение ценныхъ документовъ, мною приняты меры къ охране архива, причемъ служащимъ синодальной конторы безпрепятственно выдаются нужные документы по особой росписке. После появления въ экзаршемь доме городской милиции никто не былъ арестованъ и в семъ находящимся в ъ доме лицамъ былъ предоставленъ свободный выходъ.

24-го августа ко мне явился Уполномоченный отъ председателя Особаго Закавказскаго Комитета Харламова съ письменнымъ предписаниемъ последняго объ оказании содействия въ составлении описи имущества экзаршескаго дома, при чемъ уполномоченное лицо заявило мне, что для составления описи будетъ образована особая согласиельная комиссия изъ представителей русскаго и грузинскаго духовенства. Я сделалъ распоряжение объ оказании содействия, но къ описи не приступали, въ виду отказа русскаго духовенства принять участие въ согласительной комисси. Принятие милицией меръ и составление описи имущества санкционировано председателемъ Особаго Закавказскаго Комитета В. А. Харламовымъ".

Все приведенное ясно излагаетъ происшедшее въ Тифлисе 23 минувшаго августа и изъ всего этого кроме того видно, что представители грузинскаго духовенства были вполне лояльны въ своихь действияхъ, предупредительны къ русскому духовенству, и, избравъ законный путь, не сошли съ него, а черезъ начальника тифлиской милиции действовали съ ведома какъ представителей Временнаго Правительства, такъ и местныхъ общественныхъ организаций.

Грузинское духовенство ничего не захватило, а только лишь заняло то, что ему принадлежитъ, принявъ законныя меры къ охране чужого иму-

щества. Телеграмма протоиерея Михайловскаго явно извращаетъ описанный фактъ, а Соборъ, не имея ничего более достовернаго, иначе и не могъ отнестись. Но архиепископъ Платонъ не удовлетворился оглашениемъ телеграммы и пошелъ дальше, и это приводитъ исполнительный Комитетъ грузинскихъ национальныхъ организаций въ Москве въ крайнее изумление и даже негодование.

Владыко Платонъ доложилъ Собору, что „Грузия отделилась отъ православной церкви и автокефалируется"... Но въ чемъ же архипастырь видитъ отделение Грузии отъ православной церкви? Архиепископу Платону, пробывшему въ должности экзарха Грузии слишкомъ два года (sic), пользующемуся репутацией ученаго, хорошо должно быть известно, что Грузия приняла христианство въ конце (sic.) IV века и съ техъ поръ вплоть до присоединения къ России, т. е. въ продолжение слишкомъ 14 столетий никогда не уклонялась отъ православия, соблюдала ее въ неприкосновенной чистоте, установленном Вселенскими Соборами, и за свою ревнительность къ православной религии вела непрерывную борьбу съ окружающими нехристианскими народами. Не уклонилась отъ православия грузинская церковь и после того, какъ русский Святейший Сннодъ распространилъ на нее свою власть.

*И не теперь „автокефалируется" грузинская церковь: она была автокефалной съ VII века (sic) и не переставала считать себя автокефальной после присоединения Грузии къ России: русский Синодъ не вправе былъ безъ постановления Вселенскихъ Соборовъ, уничтожать автокефалию грузинской церкви, и грузинская церковь считала себя только вдовствующей, но автокефальной. Съ падениемъ стараго строя и представителей старой власти, православная грузинская церковь не могла мириться съ навязанной ей этимъ строемъ властью экзарха, а такъ какъ самостоятельная церковь не может оставаться безъ возглавляющей ее власти, то грузинский народъ во главе со своимъ православнымъ духовенствомъ возстановилъ еще 14 марта (რიცხვი „12"-ად ჩასწორებულია იქვე – ი. ა.) с. г. грузинский католикосатъ и решилъ избрать католикоса. Это не есть отделение отъ православия, а является актомъ, основаннымъ на канонахъ Вселенскихъ Соборовъ та*къ, какъ упразднение русскимъ Синодом кафедры грузинскихъ католикосовъ, актъ неканон*ический.*

*Поэтому нельзя считать отделениемъ отъ православия то, что грузинская православная церковь возвращаетъ себе автокефалию въ первоначальномъ виде. Провозглашено было восстановление автокефалии грузинской православной церкви 14 марта (*12 მარტს – ჩასწორებულია იქვე – ი. ა.*) с. г. Съ техъ поръ прошло пять месяцевъ, и Временное Правительство и*

русский Синодъ убедились, что нечего противозаконнаго, крамольнаго или сепаратистическаго въ этомъ нетъ, правительство и Синодъ привыкли къ этому факту и признали восстановленную автокефальную православную грузинскую церковь.

*1-го августа (*25 ივლისს – იქვე კალმითაა ჩასწორებული – ი. ა.*) состоялось постановление Временнаго Правительства о признании грузинской православной церкви автокефальной. В п. 3 временныхъ правилъ этого постановления говорится: „Священнослужители грузинской церкви могутъ обслуживать религиозныя потребности православных не принадлежащих къ Грузинской национальности; равно православные [русские] священники могутъ обслуживать потребности грузин". Надо полагать, что постановление Вроменнаго Правительства о грузинской православной церкви состоялось не безъ участия министра исповедания и не безъ ведома русскаго Синода; а приведенный п. 3 категорически опровергаетъ заявление архиепископа Платона: объ отделении грузинской церкви отъ православия.*

Исполнительный Комитетъ решительно отказывается принять жалобы архепископа Платона на то, что Грузины его „лишили кафедральнаго собора". Въ Тифлисе кафедральный соборъ один, Сионский соборъ, построенный грузинскимъ царем Гурамомъ Багратидомъ, который скончался въ 600 г., такимъ образомъ Сионский соборъ построенъ въ VI в. и въ продолжении 12 столетий служилъ кафедральнымъ соборомъ грузинскихъ католикосовъ. Спрашивается, кто у кого отнимаетъ этотъ соборъ: грузины у архиепископа Платона, или архиепископъ Платонъ пытается отнять его у грузинъ.

Исполнительному Комитету кажется страннымъ также заявление архиепископа Платона о насилияхъ, который якобы чинили Грузины надъ русскими монахами. Объ этихъ насилияхъ ни словомъ не обмолвился владико раньше; ничего не было объ нихъ и въ повременной печати, хотя по словамъ архипастыря, эти факты должны были иметь место давно – еще въ марте. Комитетъ со своей стороны категорически утверждаеть, что этихъ фактовъ не было.

Архиепископъ Платонъ пытается поставить Грузинамъ въ вину ихъ неприязненное отношение къ представителямъ русской православной церкви. Правда, не пользовались уважениемъ грузинъ протоиерей Восторговъ и Городцовъ, но деятельность этихъ лицъ достаточно известна и русскому обществу. Не будемъ говорить и о некоторыхъ непопулярных экзархахъ и непорядкахъ въ грузинскомъ экзархате, на что въ печати обращалось внимание въ такомъ авторитетномъ органе, какъ „Русь" И. С. Аксакова /см. напр. статьи Фадеева въ 80 г.г./. Но грузины умели ценить и уважать до-

стойныхъ иерарховъ: экзарха Иоанникия до сихъ поръ вспоминаютъ грузины съ уваженіемъ.

Что же касается того, какъ „трудно жить русскому человеку на окраине, имя которой – Кавказ“ /Слова архиепископа Платона по газетнымъ сообщениямъ/, то исполнительный Комитетъ имеетъ многочисленния сведения отъ приезжающихъ съ этой окраины, и изъ частной переписки, и изъ прессы и даже отъ русскихъ обывателей. Изъ этихъ сведений ясно видно, что на Кавказе /или вернее во всемъ Закавказьи/ новый строй водворяется спокойно и планомерно, безъ эксцессовъ. Видимо, местное разноплеменное, разноговорящее и разноверующее население мыслитъ одинаково о новомъ строе: въ сознании опасности происходящих внешнихъ событии и продолжающейся грозной войны, въ сознании важности происшедшаго внутренняго переворота, въ сознании важности единыхъ общегосударственныхъ интересовъ Закавказское население занято творческой созидательной работой, каждый народъ вырабатываетъ планъ устройства своей новой жизни въ согласии, съ общегосударственною жизнью и жизнью соседнихъ народовъ.

*Архиепископа Платона на Соборе поддержал, товарищъ министра исповеданий профессоръ Котляревский. Онъ говорилъ о „положении, въ которомь очутилось теперь православное население Закавказья“. По сведениямъ исполнительнаго Комитета положение православнаго населения Закавказья безъ различия национальностей нисколько не изменилось: только вместо несоответствующаго установлениям Вселенскихъ Соборовъ и ихъ канон*амъ грузинс*каго экзархата восстановленъ грузинский католикосатъ, власть котораго единственно каноническая въ православной Грузии.*

Далее, товарищъ министра исповеданий говорилъ, что „путь, избранный Грузией, не можетъ вызывать одобрения“. Если эти слова относятся къ провозглашению автокефалии, то г. Котляревскому, какъ ученому и занимающему высокий постъ, должно быть известно, что логическая необходимость и исторический смысль всякаго переворота въ томъ именно и заключается, что къ нему прибегаютъ тогда, когда все другие пути, которые до переворота могли признаваться законными и могли вызывать „одобрение“, оказываются исчерпанными, почему и Временное Правительство признало автокефальную грузинскую церковь. Что касается особой согласительной комиссии, то это мнение не г. Котляревскаго, а Временное Правительство въ своемъ постановлении отъ 1-го минувшаго августа (25 ივლისად ჩასწორებულია იქვე) въ п. 2 предрешило образование такой комиссии. И мы веримъ, что эта комиссиа, если и не сможетъ сама размежевать церкви грузинскую и русскую, то во всякомъ случае найдетъ путь къ

этому размежеванию и обратится, если будетъ нужно, къ другому более авторитетному, безпристрастному органу.

Проживающимъ въ Москве грузинамъ особенно тяжело слышать отъ архиепископа Платона, состоявшаго, по воле русскаго Синода, экзархомъ Грузии, обвинение, взводимое имъ на грузинъ въ отделении отъ православной церкви, здесь въ Москве, центре русскаго православия и на Православномъ Церковномъ Соборе. Грузины привыкли къ наветамъ о. о. Восторговыхъ, но это было въ старой России, а въ новой свободной России, где во имя братства и равенства всехъ призываютъ къ любви, мы не ожидали слышать этого.

Въ такие дни, когда, все стремятся къ сохранению государственной целосности России, когда грузины остаются вполне лояльными и ни о какомъ сепаратизме или отделении они не поднимаютъ речи, и заявляютъ лишь о своихъ законныхъ правахъ устроить свою церковную и светскую внутренную жизнь самостоятельно, какъ этого требуютъ ихъ мировозрение, ихъ национальныя нужды и бытовыя особенности, такия выступления представителей русской православной церкви и русской власти могутъ возстановить противъ грузинъ не только русский Поместный Церковный Соборъ, но и русское общественное мнение. Но это – не въ интересахъ пропаганды русской государственной целости, и при этомъ условии, конечно, не можетъ наладиться внутри нарождающейся обновленной России солидарная созидательная работа разноплеменнаго государства.

Въ виду всего изложеннаго исполнительный Комитетъ Грузинскихъ национальныхъ организации въ Москве протестуют противъ взводимаго архиепископом Платономъ обвинения на Грузию въ отделении ея отъ православной церкви и признаетъ на Сионский кафедральный соборъ право лишъ православнаго грузинскаго католикосата, а также протестуетъ противъ неодобрения г. Котляревскаго поведения Грузии въ церковномъ вопросе.

Москва, Сентября ------ дня 1917 года.
Председатель исполнительнаго Комитета
Товарищи председателя
Члены исполнительнаго Комитета
Секретаръ“
ხელმოწერილია *თავმჯდომარის ამხანაგ* მიხეილ ზანდუკელის მიერ.
სხვა ხელითაა მიწერილი *„М. Зандукели, Доктор“.*

რეზოლუცია: „25/II.26 წ. დაცულ იქმნას სათან. საქმეებში კათ. ამბროსი“

რუსეთის ადგილობრივ საეკლესიო კრებას

მოსკოვში არსებული ქართული ეროვნული ორგანიზაციების აღმასკომის

განცხადება

მოსკოვში არსებული ქართული ეროვნული ორგანიზაციების აღმასკომს ა. წ. 27, 30 აგვისტოს და 12 სექტემბერს ჰქონდა მსჯელობა მთავარეპისკოპოს[1] პლატონის, საქართველოს ყოფილი ეგზარქოსისა და აღსარებათა მინისტრის ამხანაგის, პროფესორ კოტლიარევსკის მიერ 25 ამა აგვისტოს გაკეთებული განცხადებების შესახებ.

განცხადებების შინაარსი აღებულია ანგარიშებიდან, რომლებიც მოთავსებულია გაზეთებში: „რუსკიე ვედომოსტი“ („Рус[ские] Вед[омости]“) №195 და „რუსკოე სლოვო“ („Русск[ое] Сл[ово]“) №195, ამიტომ აღმასკომი დასახელებულ გაზეთებში მოთავსებული ცნობების სიზუსტესთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას თავის თავზე არ იღებს. მთავარეპისკოპოსმა პლატონმა კრებაზე გაახმოვანა თბილისიდან დეკანოზ მიხაილოვსკისგან მიღებული დეპეშა „ქართველთა შეიარაღებული ბრბოს მიერ მილიციისა და ქართველი ეპისკოპოსების მონაწილეობით“ საქართველოს ყოფილი ეგზარქოსის სახლის ხელში ჩაგდების, ქონების დალუქვისა და სხვათა შესახებ. ხსენებულ ფაქტს თბილისში ადგილი ჰქონდა 23 აგვისტოს, მაგრამ მოსკოვის გაზეთებში დღემდე არ არის ცნობები, რომლებიც მას გააშუქებდა. აღმასკომი ამ მოვლენების შესახებ უფრო დაწვრილებით ცნობებს ელოდებოდა; და აი, კომიტეტში მიღებულ თბილისურ გაზეთებში – „საქართველო“ №187-სა და „რესპუბლიკა“ („Республика“) №44-ში ეს ფაქტი როგორ არის გადმოცემული:

„23 აგვისტოს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდი გადასახლდა ქართველი სამღვდელოების კუთვნილ სახლში (საქართველოს ყოფილ ეგზარქოსთა სამყოფელი).

---

1. საქართველოს ყოფილ ეგზარქოს პლატონის კურთხევა თბილისის მიტროპოლიტად 1917 წლის 13 აგვისტოთი თარიღდება. ასე, რომ ის საეკლესიო კრებას უკვე მიტროპოლიტის წოდებით ესწრებოდა.

იქ არსებული კერძო ქონების დაცვისათვის ზომების მისაღებად მოწვეული იყო ქალაქის მილიცია. ამისთვის მოვლენილმა მილიციის უფროსის თანაშემწემ მთავარეპისკოპოს პლატონის სასტუმროში ნახა რომანოვების სამეფო დინასტიის წარმომადგენელთა 5 პორტრეტი: ალექსანდრე III-ის[1], უფლისწულ ალექსის, ყოფილი მეფისნაცვლის – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის[2] და სხვ., სხვა განყოფილებაში კი ყოფილი მეფის – ნიკოლოზ რომანოვის და მისი დედის – მარია თეოდორეს ასულის პორტრეტები. ისინი ჩაბარებულია შესანახად ყოფილი ეგზარქოსის პირად ქონებასთან ერთად.

სახლის ჩაბარებისას საეგზარქოსო სახლის ძმებთან ერთად იმყოფებოდნენ კერძო პირები და მამკოდის დედათა მონასტრის ბერები (ტექსტშივე კალმითაა ჩასწორებული – მონაზვნები – ი. ა.), რომლებიც დაკითხვის შემდეგ გაუშვეს.

საქართველოს ეგზარქოსთა სახლის ადგილზე XVII-XVIII საუკუნეებში ქართველი მეფეების სასახლე იყო, რომელიც აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღების დროს დაინგრა. XIX ს. დასაწყისში სამეფო სასახლის ადგილზე აიგო თბილისის გუბერნატორის სახლი. 1848 წ. ადმინისტრაციამ ეს სახლი სასულიერო უწყებას მიჰყიდა. იმპერატორ ნიკოლოზ I-ის განკარგულებით და სინოდის ბრძანებით თანხა მთლიანად გადახდილია ქართველი სამღვდელოების კუთვნილი სახსრებიდან. ამის შემდეგ იქ ბინადრობდნენ საქართველოს ეგზარქოსები, ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსები".

– აღმასკომი იზიარებს იმ აზრს, რომ კერძო კორესპონდენცია ყოველთვის არ შეიძლება იყოს ამომწურავი და სანდო, მაგრამ, აი, იმავე გაზეთ „რესპუბლიკა" („Республика") №44-ში მოთავსებულია თბილისის მილიციის უფროსის ოფიციალური პატაკი ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრისადმი: „პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს მიერ მოსკოვიდან გავრცელებული ცნობის, „რომ ამა აგვისტოს 23-ს ქართველების ბრბომ ქართველი ეპისკოპოსის ლეონიდის[3] მეთაურობით მიიტაცა ეგზარქოსის სახლი, დალუქა ეკლესია, მოითხოვა სალაროს გასაღები და დააპატიმრა ზოგიერთი სასულიერო პირი", უარსაყოფად, თავს მოვალედ ვთვლი, მოგახსენოთ: ამა აგვისტოს 23-ს, დღის 2 საათზე, მივიღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, ტფილელ მიტროპოლიტ ლეონიდის შემდეგი შინაარსის მომართვა №909:

„ბ. ტფილისის მილიციის უფროსს:

დროებითი მთავრობის მიერ „რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის ძირითადი დებულებების"

1. რუსეთის იმპერატორი 1881-1894 წწ.
2. კავკასიის მეფისნაცვალი 1915-1917 წწ.
3. ეპ. ლეონიდი ამ დროს უკვე თბილელ მიტროპოლიტად იყო ნაკურთხი. მოსკოვიდან გავრცელებულ ცნობაში საქართველოს ეკლესიაში ნაკურთხი იერარქია აღიარებული არ იყო.

დამტკიცების შემდეგ ეგზარქოსის თანამდებობა გაუქმებულია. სახლი, სადაც ცხოვრობდა საქართველოს ეგზარქოსი, გამოთავისუფლებულია არა მარტო იურიდიულად, არამედ ფაქტობრივადაც, რადგან მასში ახლა აღარავინ ცხოვრობს.[1] *იმის გამო, რომ ეს სახლი შეძენილია საქართველოს საეკლესიო ხაზინის სახსრებით (იხ. სინოდის კანტორის საქმე №5036, 1849 წ.), საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ დაიკავა იგი კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის დასაბინავებლად. მისი ქვედა სართულის დათმობით, თუ ამას მოისურვებენ, ა/კავკასიის რუსული ეკლესიის წარმომადგენლები, სანამ რუსულ-ქართული ეკლესიის ინტერესები გაიმიჯნებოდეს. გაცნობებთ ამის შესახებ და გთხოვთ, იქ მიავლინოთ უფლებამოსილი პირი სხვისი ქონების აღსაწერად და აგრეთვე – საკმარისი დაცვა ამჟამად იქ მცხოვრებ პირთა უსაფრთხოებისათვის.*

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, ტფილელი მიტროპოლიტი ლეონიდი".

იმავე დღეს, საღამოს 5 საათზე, ეგზარქოსის სახლში მივავლინე ჩემი ერთ-ერთი თანაშემწე სხვისი ქონების აღსაწერად და სახლში მცხოვრებ პირთა დაცვისათვის ზომების მისაღებად, რის შესახებაც წინასწარ ვაცნობე მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს თავმჯდომარეს და ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის უფლებამოსილ წევრს.

ეგზარქოსის სახლში ქალაქის მილიციამ შემდეგი ზომები გაატარა: რუსულ-ქართული საეკლესიო ინტერესების გამიჯვნამდე, ქონების დაცვის მიზნით, დალუქა ეგზარქოსის სახლთან არსებული ჯვრის სახელობის ეკლესია, რომელშიც ინახებოდა ძვირფასეულობა, აღნუსხა ყოფილ ეგზარქოს პლატონის მთელი პირადი ქონება, მოათავსა ცალკე ოთახში და ისიც დალუქა.

ეგზარქოსის სახლის ყოფილი ეკონომის, მღვდელმონაზონ სერაფიმის კატეგორიული უარის გამო, მიეთითებინა ქონება, რომელიც სახლის საკუთრებას წარმოადგენდა, ასევე წარმოედგინა შემოსავალ-გასავლის წიგნი და ფულისა და ფასიანი ქაღალდების სალარო, მილიციამ დალუქა ის ოთახიც, სადაც ინახება საბუთები და ცეცხლგამძლე სკივრი. ამ ოთახის დათვალიერების დროს მღვდელმონაზონმა სერაფიმმა სცადა, ჯიბეში ჩაედო ცეცხლგამძლე სკივრიდან ამოღებული ფულის 2 მსხვილი შეკვრა, მაგრამ დროულად იქნა შემჩნეული. ეკონომის ასეთმა ქცევამ აიძულა მილიცია, საეკლესიო ქონების დატაცების აღსაკვეთად დაეწეს-

1. თბილისში იმ დროს არათუ მიტროპოლიტი პლატონი, მისგან მოადგილედ ბაქოდან გამოძახებული ეპისკოპოსი გრიგოლიც (იაცკოვსკი) კი აღარ იმყოფებოდა (სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 149: 109).

ებინა საგანგებო მეთვალყურეობა. შენობის დათვალიერებისას მისი ზედა სართულის სასტუმროს კედლებზე აღმოჩნდა რომანოვთა სახლის 5 პორტრეტი, მათ შორის ალექსანდრე III-ის, ყოფილი მემკვიდრის – ალექსის, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის; ამავე სახლის ქვემო სართულზე ნიკოლოზ II-ისა /მემკვიდრესთან ერთად გადაღებული/ და მისი დედის – მარია რომანოვას პორტრეტები.

მღვდელმონაზონ სერაფიმის ოთახში მილიციის წარმომადგენლის შესვლისას იმყოფებოდნენ ორი მოქალაქე და მამკოდის მონასტრის ორი მონაზონი. ისინი ისხდნენ მაგიდასთან და ბერებთან ერთად სვამდნენ ღვინოს. შემდგომ, მიტროპოლიტ ლეონიდის ოფიციალური განცხადების შესაბამისად, რომ არქივიდან შეიმჩნეოდა ფასეული დოკუმენტების დატაცება, მივიღე ზომები არქივის დასაცავად. სინოდის კანტორის თანამშრომლებზე კი საბუთები სპეციალური განრიგის მიხედვით დაუბრკოლებლად გაიცემა. ეგზარქოსის სახლში ქალაქის მილიციის გამოჩენის შემდეგ არავინ ყოფილა დაკავებული და ყველა იქ მყოფს მიეცა შენობის თავისუფლად დატოვების შესაძლებლობა.

24 აგვისტოს ჩემთან გამოცხადდა ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარის, ხარლამოვის რწმუნებული მოწერილობით, გამეწია დახმარება ეგზარქოსის სახლის ქონების აღწერის საქმეში. მანვე ამავე დროს განმიცხადა, რომ აღწერის შესადგენად ჩამოყალიბდებოდა განსაკუთრებული შემთანხმებელი კომისია რუს და ქართველ სასულიერო პირთაგან. გავეცი განკარგულება დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ შემთანხმებელ კომისიაში მონაწილეობაზე რუსი სამღვდელოების უარის გამო აღწერა აღარ ჩატარებულა.

მილიციის მიერ გატარებული ზომები და ქონების ნუსხის შედგენა სანქცირებულია ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ა. ხარლამოვის მიერ".

ზემოთქმული ნათლად გადმოგვცემს თბილისში ამა აგვისტოს 23-ს მომხდარს. ამას გარდა ყოველივე მოხმობილიდან ჩანს, რომ ქართველი სასულიერო წოდების წარმომადგენლები თავიანთი ქმედებით იყვნენ სავსებით ლოიალურნი, თავაზიანნი რუსი სამღვდელოების მიმართ და არჩეული კანონიერი გზიდან არ გადაუხვევიათ, თბილისის მილიციის უფროსის მეშვეობით მოქმედებდნენ როგორც დროებით მთავრობასთან, ისე ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

ქართველ სამღვდელოებას არაფერი მიუტაცნია, დაიკავა მხოლოდ ის, რაც ეკუთვნოდა და, იმავდროულად, მიიღო ზომები სხვისი ქონების დასაცავად. დეკანოზ იოანე მიხაილოვსკის დეპეშა აშკარად ამახინჯებს

აღწერილ ფაქტს. საეკლესიო კრებას სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო,[1] რადგან უფრო სარწმუნო ინფორმაცია არ ჰქონდა. მაგრამ მთავარეპისკოპოსი პლატონი არ დაკმაყოფილდა დეპეშის გახმოვანებით, კიდევ უფრო შორს წავიდა და ეს ყველაფერი იწვევს მოსკოვში არსებული ქართული ეროვნული ორგანიზაციების აღმასკომის განცვიფრებასა და აღშფოთებას. მეუფე პლატონმა მოახსენა კრებას, რომ „საქართველო განუდგა მართლმადიდებლობას[2] და ავტოკეფალურობს"... მაგრამ რაში ხედავს მღვდელმთავარი ქართველთა განდგომას მართლმადიდებელი ეკლესიისაგან?

მთავარეპისკოპოს პლატონისთვის, რომელიც საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობაზე იმყოფებოდა 2 წელზე მეტი (sic) ხნის განმავლობაში და სარგებლობს მეცნიერის რეპუტაციით, კარგად უნდა იყოს ცნობილი, რომ საქართველომ ქრისტიანობა მიიღო IV ს-ის ბოლოს (sic) და მას შემდეგ, რუსეთთან შეერთებამდე, ე. ი. 14 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, არასდროს გადაუხვევია მართლმადიდებლობისაგან და, მსოფლიო კრებათა დადგენილებისამებრ, წმინდად იცავდა მას. მართლმადიდებელი რელიგიისადმი თავისი თავდადების გამო საქართველო განუწყვეტელ ბრძოლას ეწეოდა გარშემო მცხოვრებ არაქრისტიან ხალხებთან.

საქართველოს ეკლესია მართლმადიდებლობისგან მას შემდეგაც არ გამდგარა, რაც მასზე უწმინდესმა სინოდმა გაავრცელა თავისი ძალაუფლება. საქართველოს ეკლესია ახლა კი არ „ავტოკეფალურობს", ავტოკეფალური იყო VII საუკუნიდან (sic) და თავის თავს ავტოკეფალურად თვლიდა რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგაც: რუსეთის სინოდს არ ჰქონდა უფლება, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მსოფლიო კრებათა დადგენილების გარეშე გაეუქმებინა. საქართველოს

1. იგულისმება მიტრ. პლატონის განცხადების გამო რუსეთის საეკლესიო კრების მიერ ქართველების მოქმედების წინააღმდეგ გამოხატული პროტესტი (*Деяния*, кн. I, 1918: 142).

2. სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების 25 აგვისტოს საქმეში მიტროპოლიტ პლატონის სიტყვაში აღნიშნულია „*საქართველოს განდგომა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისაგან*" და არა მართლმადიდებლობისაგან (*Деяния*, кн. I, 1918: 141(II).

ამავე კრების 27 სექტემბრის საქმეში კი მითითებულია, რომ კრებაზე შესულია მიტროპოლიტ პლატონის მიერ მართლმადიდებლობისაგან განდგომაში საქართველოს დადანაშაულების წინააღმდეგ პროტესტის გამომხატველი განცხადება (*Деяния*, кн. II, 1918: 71). ამავე საქმიდან გამომდინარე, აღნიშნული განცხადების შინაარსთან დაკავშირებით რუსეთის საეკლესიო კრებას კრიტიკა არ გამოუთქვამს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს დასკვნას, რომ დიდმპყრობლური იდეებით განმსჭვალული რუსები რუსეთის ეკლესიასა და მართლმადიდებლობას აიგივებდნენ („*სვეტიცხოველი*", 1917: 3). აქედან მომდინარეობს საქართველოს ეკლესიის მართლმადიდებლობისაგან განდგომაში დადანაშაულება.

მართლმადიდებლობა და რუსეთის ეკლესია ასევე გაიგივებულია კოტლიარევსკის სიტყვაშიც (იხ. ქვემოთ). საქართველოს ეკლესიას დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ რუსეთის ეკლესიასთან მეგობრული ურთიერთობის გაგრძელება სურდა და ეს ქართულმა დელეგაციამ 1917 წ. 2 აგვისტოს სინოდისადმი მისალმებაშიც გამოხატა (იხ. აქვე: 91-92).

ეკლესია თავს მხოლოდ დაქვრივებულად, მაგრამ მაინც ავტოკეფალურად თვლიდა.

ძველი წყობისა და ძველი ხელისუფლების წარმომადგენელთა დამხობასთან ერთად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას არ შეეძლო მოეთმინა ამ წყობისაგან თავს მოხვეული ეგზარქოსის ხელისუფლება და, რადგან დამოუკიდებელი ეკლესია არ შეიძლება არსებობდეს წინამძღოლი ხელისუფლების გარეშე, ქართველმა ხალხმა თავისი სამღვდელოების მეთაურობით ჯერ კიდევ ამა წლის 14 მარტს[1] (რიცხვი „*12*"-ად ხელით ჩასწორებულია იქვე – ი. ა.) *საქართველოს საკათოლიკოსო აღადგინა და საკუთარი პატრიარქის არჩევა გადაწყვიტა.*

ეს არის არა მართლმადიდებლობისაგან განდგომა, არამედ მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონებზე დაფუძნებული აქტი, რამეთუ რუსული სინოდის მიერ ქართველი კათოლიკოსების კათედრის გაუქმება იყო საეკლესიო კანონთა საწინააღმდეგო ქმედება.

სწორედ ამიტომ მართლმადიდებლობისგან განდგომად არ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ საქართველოს ეკლესია იბრუნებს ავტოკეფალიას საწყისი ფორმით. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ამა წლის 14 მარტს (12 მარტს – ჩასწორებულია იქვე – ი. ა.) *გამოცხადდა. მას შემდეგ 5 თვე გავიდა. დროებითი მთავრობა და რუსული სინოდი დარწმუნდნენ, რომ ეს არაა ამბოხი, მასში უკანონო და სეპარატისტული არაფერია. მთავრობა და სინოდი შეეგუვნენ ამ ფაქტს და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილად ცნეს.*

1 აგვისტოს[2] (25 ივლისად ჩასწორებულია იქვე – ი. ა.) *დროებითმა მთავრობამ გამოსცა დადგენილება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების შესახებ. ამ დადგენილების „დროებითი წესების" §3-ში ნათქვამია: „საქართველოს ეკლესიის მღვდელმსახურთ შეუძლიათ დააკმაყოფილონ არაქართველი მართლმადიდებლების სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი. ასევე რუს მართლმადიდებელ მღვდლებსაც შეუძლიათ დააკმაყოფილონ ქართველი მორწმუნეების მოთხოვნილებანი". უნდა ვივარაუდოთ, რომ დროებითი მთავრობის დადგენილება საქართველოს ეკლესიის შესახებ მიღებული არ იყო აღსარებათა მინისტრის მონაწილეობისა და სინოდის გარეშე. მოხმობილი §3 კი კატეგორიულად უარყოფს მთავარეპისკოპოს პლატონის განცხადებას საქართველოს*

1. ასეთივე მცდარი თარიღია გაზეთ „*კავკაზის*" სტატიაში, სადაც მიტროპოლიტ პლატონის მიერ რუსეთის საეკლესიო კრებისათვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ მიწოდებული ინფორმაციაა მოთავსებული („*Кавказъ*", №193: 2). სინამდვილეში კი მეუფემ 25 აგვისტოს რუსეთის საეკლესიო კრებაზე განაცხადა, რომ სამმა ეპისკოპოსმა 14 მარტს შეატყობინა ხელისუფლების ჩამორთმევის შესახებ (*Деяния*, кн. I, 1918: 141).

2. 1 აგვისტოს თარიღით გამოიცა დროებითი მთავრობის დადგენილება, რომელიც 25 ივლისს დამტკიცებული „*დროებითი წესების*" შემოღების შესახებ გვაუწყებს (*ჟურნალები*, 2016: 215).

ეკლესიის მართლმადიდებლობისგან განდგომის შესახებ.[1]

აღმასრულებელი კომიტეტი გადაჭრით ეწინააღმდეგება მთავარეპისკოპოს პლატონის საჩივრის მიღებას, რომ ქართველებმა „წაართვეს საკათედრო ტაძარი". თბილისში საკათედრო ტაძარი ერთია, ქართველი მეფის – გუარამ ბაგრატიდის მიერ აშენებული სიონის ტაძარი. მეფე 600 წელს გარდაიცვალა, ასე რომ, სიონის ტაძარი აშენებულია VI საუკუნეში და 12 ს-ის განმავლობაში ქართველ კათოლიკოსთა საკათედრო ტაძარი იყო. საკითხავია, ვინ ვის ართმევს ამ ტაძარს: ქართველები – მთავარეპისკოპოს პლატონს თუ ეს უკანასკნელი ცდილობს მის მიტაცებას ქართველებისგან.

აღმასკომს ასევე უცნაურად მიაჩნია მთავარეპისკოპოს პლატონის განცხადება ქართველების მიერ რუს ბერებზე განხორციელებული ძალადობის შესახებ, საგულისხმოა, რომ ამ ძალადობის თაობაზე მეუფე პლატონს ადრე არაფერი დასცდენია, არც თანადროულ პრესაში დაბეჭდილა რამე, თუმცა, მღვდელმთავრის თქმით, ეს დიდი ხნის წინ – ჯერ კიდევ მარტში ხდებოდა. აღმასკომი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ასეთი ფაქტები არ ყოფილა.

მთავარეპისკოპოსი პლატონი ცდილობს, ქართველები რუსული ეკლესიის წარმომადგენლებისადმი მტრულ დამოკიდებულებაში დაადანაშაულოს. მართალია, ქართველების პატივისცემით არ სარგებლობდნენ მამები – ვოსტორგოვი და გოროდცევი, მაგრამ მათი მოღვაწეობა საკმაოდაა ცნობილი რუსული საზოგადოებისთვისაც. არ ვისაუბრებთ არც რამდენიმე არაპოპულარულ ეგზარქოსზე და არც საქართველოს საეგზარქოსოში არსებულ უწესრიგობებზე, რის შესახებაც იბეჭდებოდა პრესაში, ისეთ პოპულარულ ორგანოში, როგორიცაა ი. ს. აქსაკოვის „რუს" (იხ. მაგ. ფადეევის სტატიები 80-იან წლებში). მაგრამ ქართველებს შეეძლოთ დაფასება და პატივისცემა ღირსეული იერარქებისა: დღემდე პატივისცემით იხსენებენ ეგზარქოს იოანიკეს[2].

რაც შეეხება იმას, თუ რაოდენ „ძნელია რუსისთვის ცხოვრება იმ განაპირა მხარეში, რომელსაც კავკასია ჰქვია" (მთავარეპისკოპოს პლატონის სიტყვები საგაზეთო ინფორმაციების მიხედვით), აღმასკომს აქვს მრავალრიცხოვანი ცნობა ამ განაპირა მხარიდან ჩამოსულთა, პირადი მიმოწერების, პრესისა და თვითონ რუს მცხოვრებთაგანაც კი, საიდანაც ჩანს, რომ კავკასიაში (უფრო სწორად მთელ ამიერკავკასიაში) ახალი წყობა მშვიდად და გეგმაზომიერად, ექსცესების გარეშე მყარდება. ჩანს, ადგილობრივი სხვადასხვა ტომელები, სხვადასხვა ენაზე მო-

1. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ „დროებითი წესების" §3 საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ შემუშავებული „*ძირითადი დებულებების*" შინაარსს იმეორებს (ჟურნალები, 2016: 77, შდრ. იქვე: 215).

2. მთავარეპიკოპოსი იოანიკე (რუდნევი) საქართველოს ეგზარქოსი იყო 1877-1882 წლებში.

ლაპარაკე და სხვადასხვა აღმსარებლობის მოსახლეობა ახალ წყობაზე ერთნაირად ფიქრობს: აცნობიერებს მიმდინარე საგარეო მოვლენებისა თუ გაჭიანურებული მრისხანე ომის საფრთხეს, ამავდროულად, შეგნებული აქვს მომხდარი საშინაო გადატრიალების მნიშვნელობა. საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით ამიერკავკასიის მოსახლეობა დაკავებულია შემოქმედებითი შრომით. ყოველი ხალხი ცდილობს, ახალი ცხოვრების მოწყობის გეგმა საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და მეზობელი ხალხების მდგომარეობის გათვალისწინებით შეიმუშაოს.

მთავარეპისკოპოს პლატონს კრებაზე მხარი დაუჭირა აღსარებათა მინისტრის მოადგილე კოტლიარევსკიმ. მან ისაუბრა „იმ მდგომარეობის შესახებ, რომელშიც ამჟამად აღმოჩნდა ა/კავკასიის მართლმადიდებელი მოსახლეობა“. აღმასრულებელი კომიტეტის ხელთ არსებული ცნობების მიხედვით ა/კავკასიის მართლმადიდებელი მოსახლეობის მდგომარეობა ეროვნების მიუხედავად სრულებით არ შეცვლილა: მხოლოდ მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებებსა და მათ კანონებთან სრულიად შეუსაბამო საქართველოს საეგზარქოსოს ნაცვლად აღდგა საქართველოს საკათოლიკოსო, რომლის ხელისუფლებაც მართლმადიდებელ საქართველოში ერთადერთი კანონიერია.

აღსარებათა მინისტრის მოადგილემ ისაუბრა, რომ „საქართველოს მიერ არჩეულმა გზამ არ შეიძლება მოწონება დაიმსახუროს“. თუ ეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებას შეეხება, ბ. კოტლიარევსკისთვის, როგორც მეცნიერისა და მაღალი თანამდებობის ადამიანისთვის, ცნობილი უნდა იყოს, რომ ყოველგვარი გადატრიალების ლოგიკური აუცილებლობა და ისტორიული აზრი იმაში მდგომარეობს, რომ გადატრიალება ხდება მაშინ, როცა ყველა გზა, რომელიც გადატრიალებამდე კანონიერად იყო მიჩნეული და შეიძლებოდა „გამართლებული“ ყოფილიყო, ამოიწურება, ამიტომაც დროებითმა მთავრობამ ცნო საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია. რაც შეეხება განსაკუთრებულ შემთანხმებელ კომისიას, ეს ბ. კოტლიარევსკის კი არა, დროებითი მთავრობის აზრია: 1 აგვისტოს (25 ივლისად ჩასწორებულია იქვე – ი. ა.) *დადგენილების §2-ში წინასწარაა განსაზღვრული ასეთი კომისიის ჩამოყალიბება.*[1] *ჩვენ გვჯერა, თუ ეს კომისია ვერ შეძლებს საქართველოს და რუსეთის ეკლესიათა გამიჯვნას, საამისოდ გზას მაინც იპოვის და, თუ საჭირო იქნება, მიმართავს სხვა, უფრო კომპეტენტურ და მიუკერძოებელ ორგანოს.*

1. საუბარია კომისიაზე, რომელსაც უნდა გაეგრძელებინა პროფ. ბენეშევიჩის თავმჯდომარეობით თბილისში 1917 წლის 21.04-დან 3.06-ის ჩათვლით მოქმედი რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესების შემთანხმებელი კომისიის საქმიანობა. ახალი კომისიის ჩამოყალიბება საჭირო გახდა ქართული მხარის მიერ პეტროგრადის მთავრობისათვის კომისიის თავმჯდომარის შეცვლის მოთხოვნის გამო (კომისიის შესახებ იხ. აქვე: 66).

მოსკოვში მცხოვრები ქართველებისათვის განსაკუთრებით სამძიმოა რუსული მართლმადიდებლობის ცენტრში – მოსკოვში, და თანაც მართლმადიდებელ საეკლესიო კრებაზე, რუსეთის სინოდის ნებით საქართველოს ეგზარქოსად დანიშნული მთავარეპისკოპოს პლატონის მიერ გამოთქმული მოსაზრების მოსმენა მართლმადიდებელი ეკლესიისაგან განდგომაში ქართველების დადანაშაულების თაობაზე. ქართველები მიჩვეული არიან მ. მ. ვოსტორგოვების ცილისწამებებს, მაგრამ ეს იყო ძველი დრო. ახალ, თავისუფალ რუსეთში, სადაც ძმობისა და თანასწორობის სახელით ყველას მოუწოდებენ სიყვარულისკენ, ამას არ მოველოდით.

იმ დროს, როდესაც ყველა ცდილობს რუსეთის სახელმწიფოებრივი ერთიანობის შენარჩუნებას, როცა ქართველები კვლავაც სრულიად ლოიალურნი რჩებიან და არავითარ სეპარატიზმსა და გამოყოფაზე სიტყვას არ ძრავენ, აცხადებენ მხოლოდ თავიანთ კანონიერ უფლებებს – მოაწყონ საკუთარი საეკლესიო და საშინაო ცხოვრება დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს მათი მსოფლმხედველობა, ეროვნული საჭიროებანი და ყოფითი თავისებურებანი, რუსეთის ეკლესიისა და რუსული ხელისუფლების წარმომადგენელთა ასეთ გამოსვლებს შეუძლია, ქართველების წინააღმდეგ განაწყოს არა მარტო რუსეთის ადგილობრივი საეკლესიო კრება, არამედ რუსული საზოგადოებრივი აზრიც. მაგრამ ეს რუსული სახელმწიფოს ერთიანობის პროპაგანდის ინტერესებში არ შედის. შინაგანად განახლებულ რუსეთში ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, არ შეიძლება მოწესრიგდეს მრავალეროვნული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი სოლიდარული შემოქმედებითი მუშაობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსკოვში არსებული ქართული ეროვნული ორგანიზაციების აღმასრულებელი კომიტეტი აპროტესტებს მთავარეპისკოპოს პლატონის ბრალდებებს მართლმადიდებელი ეკლესიისაგან საქართველოს განდგომის შესახებ და სიონის საკათედრო ტაძარზე მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი საკათოლიკოსოს უფლებას ცნობს. აგრეთვე პროტესტს გამოთქვამს საეკლესიო საკითხთან დაკავშირებით კოტლიარევსკის მიერ ქართველების გაკიცხვის გამო.

1917 წ. ---- სექტემბერი, მოსკოვი
აღმასრულებელი კომიტეტის თავ-რე
თავმჯდომარის ამხანაგები
აღმასრულებელი კომიტეტის წევრები
მდივანი“
ხელმოწერილია *თავმჯდომარის ამხანაგ* მიხეილ ზანდუკელის მიერ.

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ხელის მომწერის ვინაობას აზუსტებს იქვე, სხვა ხელით გაკეთებული მინაწერი – „*М. Зандукели, Доктор*“.

(საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6465: 133-137).

მოსკოვში არსებული ქართული ეროვნული ორგანიზაციების აღმასკომი რუსეთის საეკლესიო კრებისადმი აღნიშნული მიმართვით ცდილობს, ხმა შეაშველოს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეს. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია, რამდენადაც საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებული რეალური ვითარების შესახებ ინფორმირებული არ იყვნენ არც რუსეთის საეკლესიო კრება და არც სინოდის წევრები (*ჟურნალები*, 2016: 142; საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6465: 7-8).

ქართული ეროვნული ორგანიზაციების აღმასკომის განცხადების ძირითადი წყარო, როგორც ტექსტშივეა მითითებული, რუსულ და ქართულ გაზეთებში „*Русские ведомости*“ („*რუსკიე ვედომოსტი*“) №195, „*Русское слово*“ („*რუსკოე სლოვო*“) №195, „*Республика*“ („*რესპუბლიკა*“) №44-სა და „*საქართველო*“ №187-ში[1] მოთავსებული ინფორმაციებია. დასახელებულთაგან პირველი სამი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკასა და რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ინტერნეტ ფონდებში არ იძებნება.

მიტროპოლიტ პლატონის მიერ საეკლესიო კრებისთვის მიწოდებული ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „*Кавказъ*“-ში („*კავკაზ*“) და საქართველოს მართლმადიდებლობისაგან განდგომის შესახებ გვაუწყებს. იქვე ავტოკეფალიის აღდგენილად გამოცხადების თარიღად 14 მარტია მითითებული – „*автокефалируется с 14 марта*“ („*Кавказъ*“, №193: 2). ვფიქრობ, ასეთივე ინფორმაცია იქნებოდა წყაროდ დასახელებულ რუსულ გაზეთებში, რადგან ქართული საზოგადოებების აღმასკომის პროტესტი სწორედ ამ გამოთქმასაც („*автокефалируется*“) მიემართება.

აღსარებათა მინისტრის მოადგილის სიტყვები იმავე გაზ. „*Кавказъ*“-ში ასეა გადმოცემული: „*...საქართველოში ავტოკეფალიის განხორციელების გზა, რომლის შესახებაც გვაცნობა კავკასიის ეგზარქოსმა, არ შეიძლება მართებულად იყოს მიჩნეული. საქართველოს ეკლესიის ჩამოყალიბების ერთადერთი გზა შეიძლება იყოს შემთანხმებელი კომისიის შექმნა. აღმაშფოთებელ შემთხვევასთან დაკავშირებით სამინისტრო სრულად უჭერს მხარს კრების მიერ გამოთქმულ პროტესტს და აუცილებლად თვლის გადამწყვეტი ზომების გატარებას თვითნებური მიტაცებების წინააღმდეგ. ის ასევე მიიღებს ზომებს საქართველოს ეკლესიის საქმეთა შემთანხმებელი კომისიის მუშაობის უსწრაფესად დაწყებისთვის*“ („*Кавказъ*“, №193: 2).

არ შეიძლებოდა ქართული საზოგადოების წევრთა აღშფოთება არ

1. „*საქართველო*“, №187: 3.

გამოეწვია გამოთქმებს: „*საქართველოს ეკლესიის ჩამოყალიბების ერთადერთი გზა*“, „*თვითნებური მიტაცებები*“. აღნიშნული გამოთქმები უგულებელყოფდა საქართველოს ეკლესიის ისტორიას; ემსახურებოდა აზრის ჩანერგვას, თითქოს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებელი არსებობა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იწყებოდა და იგი ძალადობრივი მეთოდებით ცდილობდა თავის დამკვიდრებას.

საგაზეთო ინფორმაცია კიდევ უფრო მიუღებელია იმ ფონზე, როცა, რუსეთის საეკლესიო კრების ოქმის მიხედვით, აღსარებათა მინისტრის მოადგილის გამოსვლაში აღნიშნულია: „*თუ შეიძლება პრინციპულად თანაუგრძნობდე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, მისი განხორციელების საშუალებამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს ყველაზე სერიოზული პროტესტი. დროებით მთავრობას მიაჩნია, რომ საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულებას მართლმადიდებელი [ეკლესიის]ადმი განსაზღვრავს შემთანხმებელი კომისია. ეს კომისია ავტორიტეტული პირის მეთაურობით, სავარაუდოდ, მუშაობას დაიწყებს პეტროგრადში. კომისიის საქმე შეყოვნდა, მაგრამ საჭიროა, მან სასწრაფოდ დაიწყოს მუშაობა. რაც შეეხება აღმაშფოთებელ ძალადობას მართლმადიდებელი რუსი მოსახლეობისადმი, რა თქმა უნდა, აღსარებათა სამინისტრო მიიღებს ყველა ზომას, რომ ასეთი მოვლენები აღიკვეთოს*“ (*Деяния*, кн. I, 1918: 141-142).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ფაქტისადმი პატივისცემა კოტლიარევსკის სიტყვის არც ამ უკანასკნელ ვარიანტშია გამოხატული, მაგრამ აქ „*საქართველოს ეკლესიის ჩამოყალიბება*“ მაინც არაა ნახსენები. საგაზეთო ინფორმაციამ სიტყვის არაზუსტად გადმოცემით ვითარების კიდევ უფრო დაძაბვა გამოიწვია.

აქვე ყურადღებას იპყრობს რუსეთის ეკლესიის გაიგივება მართლმადიდებლობასთან, რაც მიტროპოლიტ პლატონის სიტყვიდანაც დასტურდება და რის შესახებაც ტექსტში კომენტარის სახით აღვნიშნე.

მოსკოვში არსებული ქართული ეროვნული ორგანიზაციების აღმასკომის განცხადება საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ცრუ ბრალდებების გაქარწყლებას ემსახურებოდა. მისი წყარო, ძირითადად, რუსულ გაზეთებში გამოქვეყნებული ანგარიშებია. ვფიქრობ, განცხადებაში თარიღებთან დაკავშირებით დაშვებული რამდენიმე უზუსტობა, რაც საკითხის არსს არ ცვლის, სწორედ პრესის ინფორმაციიდან მომდინარეობს.

აღნიშნული განცხადებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების საქმეში ქართველი ერის ერთსულოვნება კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ დადასტურდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. *ჟურნალები*, 2016 – *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები (1917 წლის 13 მარტი–14 სექტემბერი)*, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა ნინო შიოლაშვილმა და ირინა არაბიძემ, თბილისი.
2. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 6465.
3. „*საქართველო*“, №77 – გაზეთი „*საქართველო*“, 9.04.1917, №77.
4. „*საქართველო*“, №187 – გაზეთი „*საქართველო*“, 25.08.1917, №187.
5. „*სვეტიცხოველი*“, 1917 – ჟურნალი „*სვეტიცხოველი*“, 1917, №2.
6. ტატიშვილი, დეკანოსიძე, 1960 – ირ. ტატიშვილი, თ. დეკანოსიძე, *მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა*, თბილისი.
7. ჩალათაშვილი, 2006 – ქეთევან ჩალათაშვილი, *ქართველთა საზოგადოებრივი გაერთიანებების მოღვაწეობა მოსკოვში*, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.
8. *Деяния*, кн. I, 1918 – *Собрание определений и Деяния Священного Собора Православной Российской Церкви 1917-1918 гг.*, книга I, вып. II, Москва, https://azbyka.ru/otechnik/books/original/23605/ptimized.pd
9. *Деяния*, кн II, 1918 – *Собрание определений и Деяния Священного Собора Православной Российской Церкви 1917-1918 гг.*, книга II, Петроград, https://azbyka.ru/otechnik/books/original/23606/Arh%20 Sobor%201918-Dejanija02.pdf
10. „*Кавказъ*“, №193 – გაზეთი „*Кавказъ*“, 29.08.1917, №193.

The Executive Committee of Georgian National Organizations in Moscow and issue of autocephaly of the Church of Georgia (1917)

Document published with comments is an appeal of the executive committee of the Georgian national organizations in Moscow to the first council of the Church of Russia. The appeal is dated to September, 1917 and is signed by the vice head of the executive committee doctor Mikheil Zandukeli.

The executive committee of the national organizations expresses protest against the announcement made by former Exarch of Georgia Platon (Rozhdestvenski) at the council of the Church of Russia in August, 25 in 1917.

The announcement was about „*the apostasy of the Church of Georgia*“ from the Orthodox faith and the fact of occupation of Exarchs' former house by Georgian defenders of autocephaly that, as if, was carried on by pogrom and arrests. In his tendentious evaluation of the real situation in the Church of Georgia the former Archbishop Platon was supported by Kotliarevski, the vice minister of denominations. The former house of Exarchs without contradiction was property of the Church of Georgia as it was bought by local money. Enemies of the Church of Georgia were spreading various kinds of rumors about the behavior of the Georgian clergy and were slandering fighters for freedom.

The Moscow executive committee of the Georgian national organizations with the appeal sent to the Church Council of Russia expressed its attitude towards the restoration of the Church autocephaly rights and in fact informed the Church Council about the real situation in Georgia.

The statement once again demonstrated the unanimity of the Georgian people on the issue of restoring the atocephalous rights of the church and served to expose false accusations against Georgian autocephalists.

Исполнительный Комитет Грузинских национальных организаций в Москве и вопрос автокефалии Грузинской Церкви (1917 г.)

В статье опубликован документ (Архив Патриархии Грузии, дело №6465, стр. 133-137) с коментариями, который является обращением Исполкома Грузинских национальных организаций в Москве к I-му Поместному собору Всероссийской Православной Церкви. Заявление подписано заместителем председателя исполкома доктором Михаилом Зандукели.

В сентябре 1917 года на соборе Всероссийской Церкви Исполком Грузинских национальных организаций опротестовал заявления бывшего Экзарха Грузии Платона (1915-1917, Рождественский). Митрополит Платон заявил, якобы Грузия отделилась от православия, автокефалисты применяя насилие и аресты заняли бывший дом Экзарха. Митрополита Платона на соборе поддержал заместитель министра исповеданий, Сергей Котляревский.

В заявлении вкратце изложено история Грузинской Церкви: отмечено о ее заслугах в сохранении чистоты православной веры; о захвате в XIX веке приказом Российского императора самостоятельности Грузинской Церкви и подчинении ее Синоду Российской Церкви.

В заявлении исполкома говорится что бывший дом Экзархов являлся собственностью Грузинской Церкви, был приобретён средствами грузинского духовенства и теперь перешел в руки законных владельцев. Испольком в заявлении приводит обращение местоблюстителя Католикоса-Патриарха, митрополита Леонида к начальнику тбилисской городской милиции и рапорт начальника тбилисской городской милиции члену ОЗАКОМа в которых насилие и лишение кого-либо свободы при занятии дома, отрицаются.

Заявление Исполкома грузинских национальных организаций способствовало информированию Всероссийского Церковного собора о реальных событиях происшедших в Тбилиси в связи с провозглашением восстановления самостоятельности Грузинской Церкви. Заявление еще раз продемонстрировало единодушие грузинского народа в вопросе восстановления атокефальных прав Церкви и послужило разоблачению ложных обвинений в адрес Грузинских автокефалистов.

მისიონერი იგნატიევი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ (1917 წ.)

რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკის (სანკტ-პეტერბურგი) წიგნად ფონდში დაცულია მისიონერ ფ. ვ. იგნატიევის თხზულებების კრებული.[1] თავფურცელზე ავტორის გვარისა და ინიციალების გარდა მითითებულია შვიდი სათაური:

„*Автокефалия Грузии*“ („*საქართველოს ავტოკეფალია*“),

„*Гигиена и история физическихъ упражнений*“ („*ფიზიკური ვარჯიშების ჰიგიენა და ისტორია*“),

„*Баптизмъ*“ („*ბაპტიზმი*“),

„*Владивостокский бунтъ*“ („*ვლადივოსტოკის ამბოხი*“),

„*Русско-японская война*“ („*რუსეთ–იაპონიის ომი*“),

„*Церковное торжество*“ („*საეკლესიო დღესასწაული*“),

„*Св. Кресть*“ („*წმ. ჯვარი*“).

კრებულის ბოლოს აღნიშნულია: „*იაპონიის ომისა და არმიის შესახებ ავტორის ლექცია მეფისნაცვლის სასახლეში 1908 წ. 8 თებერ. იხ. დასასრული*“ (Игнатьев, 1917: [42]), მაგრამ ლექცია/თხზულება იაპონიის ომისა და არმიის შესახებ კრებულში არ არის. იქ მოთავსებულია საერთო სათაურის – „*Из Японской войны*“ („*იაპონიის ომიდან*“) – მქონე ოთხი ლექსი (Игнатьев, 1917: [1-42]).

თავფურცელზე მითითებულ ექვს თხზულებასა და აღნიშნულ ლექსებთან ერთად ნაშრომში შესულია კიდევ სამი თხზულება:

„*Пасхальные земные поклоны и причащения*“ („*სააღდგომო მუხლის მოდრეკა და ზიარება*“);

„*Кто революционеръ? Еврей или Христос?*“ („*ვინაა რევოლუციონერი? ებრაელი თუ ქრისტე?*“);

„*Приветъ встреча*“ („*შეხვედრას გაუმარჯოს*“).

კრებულის საერთო შემადგენლობიდან რვა თხზულება და ლექსები პატარა ზომისაა და ხელნაწერია (Игнатьев, 1917: [1-10], [32-42]), ხოლო ერთი ნაშრომი („*Гигиена и история физическихъ упражнений*“) ვრცელია და ნაბეჭდი (Игнатьев, 1917: [11-31]).

თხზულებათა მიმდევრობა თავფურცელზე გამოტანილს არ ემთხვევა. ყოველი მათგანი მთავრდება ფ. ვ. იგნატიევის ავტოგრაფით, დაწერის თარიღები სათითაოდ მითითებული არ არის. შინაარსიდან გამომდინარე, ისინი სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება. კრებულის შედგენის ადგილი და თარიღი – თბილისი, 1917 წ., მითითებულია სატიტულო

1. კრებულში ფურცლები დანომრილი არ არის, ამიტომ წინამდებარე სტატიაში დამოწმებისას გვერდებს ოთხკუთხედ ფრჩხილებში ([ ]) ვათავსებ.

ფურცლის შიდა მხარეს (v), იქვე დასმულია იგნატიევის ბეჭედი.

ჩამოთვლილ ნაშრომთაგან საქართველოს ეხება:

„*Автокефалия Грузии*[1]“,

„*Церковное торжество*“,

„*Приветъ встреча*“ – რომლებსაც ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავ. დანარჩენ ნაშრომებს ორიოდე სიტყვით შევეხები, რადგან ისინი ამჯერად ჩემი ინტერესის სფეროს სცდებიან.

ვიდრე თხზულებების განხილვაზე გადავიდოდე, აღვნიშნავ, რომ ფ. ვ. იგნატიევი მისიონერობასთან ერთად თბილისში გამომავალ რუსულ პრესასთანაც თანამშრომლობდა. ნაშრომში „*საქართველოს ავტოკეფალია*“ ჩამოთვლილია მისი სტატიები, რომლებიც შეეხებოდა რელიგიურ საკითხებს, ქართველ წმინდანებს, საქართველოს ეგზარქოსებს, ახალი წლის დღესასწაულს, მოსკოვის უნივერსიტეტის იუბილესა და სხვ. (Игнатьев, 1917: [3]; „*Курьер-копейка*“, 1914, №1: 2-3; იქვე, №9: 2; №14: 1).

თხზულებაში „*სააღდგომო მუხლის მოდრეკა და ზიარება*“ იგნატიევი განმარტავს, რომ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით მარხვის, ზიარებისა და მუხლის მოდრეკის ბოლო დღე დიდი შაბათი უნდა იყოს და ყოველივე ეს სამების დღეს (სულთმოფენობას – ი. ა.) განახლდეს.

მისიონერი განმარტების საფუძვლად ნიკეის I, კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონებსა და 1682 წლის ტიპიკონს ასახელებს. აღნიშნულის გაუთვალისწინებლობა მას მოციქულებისა და წმ. მამების ნააზრევთა უარყოფად, დანაშაულად მიაჩნია (Игнатьев, 1917: [8]).

მუხლმოდრეკა აღდგომიდან სულთმოფენობამდე მართლმადიდებელ სამყაროში მართლაც არ ხდება. დანარჩენი აკრძალვები საეკლესიო კრებების კანონებით არ დასტურდება. მეტიც, ზიარების შესახებ VI მსოფლიო საეკლესიო კრება საპირისპიროს მოწმობს:

„*ჩვენი ქრისტე ღმერთის აღდგომის წმინდა დღიდან ახალკვირამდე*[2] *მართლმორწმუნენი წმინდა ეკლესიაში განუწყვეტლივ უნდა იწვრთნებოდნენ... და წმინდა ზიარებით ტკბებოდნენ*“... (კონსტანტინოპოლის VI კრების 66-ე კანონი).

რუსეთის ეკლესიაში არსებული 1682 წლის ტიპიკონი ჩემთვის უცნობია, მასში შესაძლოა, მართლაც ყოფილიყო მისიონერის მიერ აღნიშნული აკრძალვები.

თხზულება „*წმ. ჯვარი*“ გაზეთ „*Голос Кавказа*“-ს („*გოლოს კავკაზა*“)

1. სათაური სტატიას თავფურცელზე აღნიშნულისაგან ოდნავ განსხვავებული სახით აქვს წამძღვარებული – „*Гр. Автокефалия*“.

2. აღდგომის შემდგომი კვირა დღე, კვირაცხოვლობა.

1913 წლის №1930-ში მოთავსებული სტატიის „*Крестное знамение*“-ს („*ჯვრის გამოსახვა*“) დამატებაა (ამის შესახებ თვითონ იგნატიევი შენიშნავს თხზულების ბოლოს). მასში განმარტებულია ქრისტიანული ჯვრის აგებულება (Игнатьев, 1917: [9]).

„*ვინაა რევოლუციონერი? ებრაელი თუ ქრისტე?*“ – კითხვის პასუხად ნაშრომში აღნიშნულია, რომ ებრაელებმა იესო ქრისტეს ღვთისმგმობის განაჩენი გამოუტანეს და ჯვარს აცვეს, როგორც რევოლუციის მტერი. დასკვნის მიხედვით, ებრაელების სისასტიკე მესიის სამფლობელოში კოსმოპოლიტიზმის საფრთხემ განაპირობა. იესო ქრისტე ებრაელთა რევოლუციური ოცნების მსხვერპლი გახდა (Игнатьев, 1917: [10]).

1899 წელს გამოქვეყნებული თხზულება „*ფიზიკური ვარჯიშების ჰიგიენა და ისტორია*“ კრებულში ჩართულია ნაბეჭდი სახით. იგნატიევი მასში წარმოაჩენს ფიზკულტურის როლს არმიის მომზადების საქმეში და მისი მნიშვნელობის შესახებ ევროპის ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით საუბრობს (Игнатьев, 1917: [11-31]). მსგავსი ნაშრომები XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთში მრავლად იწერებოდა. ცარიზმი შიდაპოლიტიკური მდგომარეობის გამწვავებამ აიძულა, ჯარისკაცთა ფიზმომზადებისთვის ყურადღება მიექცია.

ნაშრომი „*ბაპტიზმი*“, როგორც იგნატიევი მიუთითებს, მის მიერ 1916 წლის 6 ოქტომბერს წაკითხული ლექციის რეფერატია. მასში საუბარია ამ ქრისტიანული მიმდინარეობის წარმოშობა-განვითარების ხელშემწყობი პირობებისა და მართლმადიდებლობისაგან განმასხვავებელი ნიშნების შესახებ (Игнатьев, 1917: [33-36]).

პოლიტიკური ჟანრის თხზულებაში „*ვლადივოსტოკის ამბოხი*“ წარწერით – „*საიდუმლოდ*“ – მოთხრობილია ქ. ვლადივოსტოკში მომხდარი 1905 წლის ამბოხის შესახებ, რომელიც რუსეთის 1905-1907 წწ. რევოლუციის გამოძახილი იყო. მეამბოხეთა დროებით წარმატებას იგნატიევი სამხედრო ნაწილების მეთაურთა დაბნეულობისა და ურთიერთ შეუთანხმებელი მოქმედებების შედეგად თვლის (Игнатьев, 1917: [37-38]). მისიონერი, რასაკვირველია, რევოლუციას არ თანაუგრძნობს.

ლექსები, სათაურით „*იაპონიის ომიდან*“, ეძღვნება რუსეთის არმიისა და ფლოტის გენერლების საქმეთა ქებას, ომში გამარჯვების იმედს. ლექსების ბოლოს მოთავსებულია იგნატიევის ბეჭედი, ავტოგრაფი: „*ჯარისკაცი – ფ. ვ. იგნატიევი*“ და სიტყვები: „*ეს ლექსები პოზიციებზე ყოფნისას მებრძოლი ოფიცრების მოცალეობის ნაყოფია*“ (Игнатьев, 1917: [39-42]). სავარაუდოდ, იგნატიევი იბრძოდა რუსეთ-იაპონიის ომში (1904-1905). ეგზარქოს ალექსისადმი (მოლჩანოვი) მიმართვაშიც ის აღნიშნავს: „*მე, როგორც ძველ მებრძოლს, ღვთის ეკლესიის ქომაგსა და მისიონერს...*“ (Игнатьев, 1917: [32]).

თხზულებათაგან, რომლებიც საქართველოს ეხება, „*საქართველოს ავტოკეფალია*“ მოცულობით ყველაზე დიდია და ორი ნაწილისაგან შედგება (Игнатьев, 1917: [39-42]). ავტორს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით დამოწმებული წყაროები მითითებული არ აქვს.

აღწერილი მოვლენებიდან გამომდინარე, თხზულება შეიძლება დაწერილი იყოს *ამიერკავკასიის რუსული საეკლესიო კრების* მიმდინარეობისას (დაიწყო 1917 წლის 25 მაისს). მისიონერი აღნიშნავს კრებაზე ქართველების სტუმრობის შესახებ და მიუთითებს: „*საკითხების შემდგომი გადაწყვეტა მოხდება კრების სხდომებზე. კრების შემადგენლობაში შედიან სამღვდელოება და საერონი*“ (Игнатьев, 1917: [6]).

ნაშრომის დასაწყისში ვკითხულობთ: „*თანამედროვე სახელმწიფო გადატრიალებამ რუსეთში (1917 წლის 1 მარტი) წარმოშვა ახალი სახელმწიფოებრივი წყობა, სხვადასხვა ეროვნებას, ფენას, კორპორაციას შორის აღძრა მისწრაფება ავტონომიისა და განსაკუთრებულ უფლებათა მიღებისა არსებულ ვითარებასა და ისტორიულ წარსულზე დაყრდნობით. ქართველებმა არ დააყოვნეს, ოფიციალურად გამოეცხადებინათ თავიანთი ავტოკეფალიის, საკათოლიკოსოს შესახებ* (1917 წლის 12 მარტი – ი. ა.).

არ დაკმაყოფილდნენ ვიწრო სასულიერო-საეკლესიო [დამოუკიდებლობით] და ტერიტორიული ავტოკეფალიის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სეპარატისტული თავისუფლების მოთხოვნა წამოაყენეს. ხელყვეს საქართველოს რუსი ეგზარქოსის ხელისუფლების პრეროგატივები მართლმადიდებელ რუს სამღვდელოებაზე, საეკლესიო შემოსავლებზე, ქონებასა და სხვა. აუკრძალეს ქართველ სამღვდელოებას ეგზარქოს პლატონთან და რუს სამღვდელოებასთან ურთიერთობა. უბრძანეს ყველა ქართულ ეკლესიაში ყველა ღვთისმსახურების ქართულად შესრულება და სხვ.“ (Игнатьев, 1917: 1).

პირველ რიგში, რაც შეეხება იგნატიევისაგან აღნიშნულ – *რუს* სამღვდელოებაზე საქართველოს ეგზარქოსის უფლების ხელყოფას – საკითხავია, ვინ იგულისხმება რუს სამღვდელოებაში. 12 მარტის შემდეგ ეგზარქოსის ხელისუფლება გაუქმებულად გამოცხადდა მხოლოდ ქართველ სასულიერო წოდებაზე. აშკარაა, მისიონერი რუს სამღვდელოებად მოიხსენიებს ავტოკეფალიის აღდგენის გამოცხადებამდე რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში იძულებით შემავალ ქართველ სასულიერო პირებს.

მსგავსი მაგალითი საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალებშიცაა დაფიქსირებული. პეტროგრადის მთავრობის რწმუნებული საქართველოს საეკლესიო საქმეთათვის, პროფ. ვლად-

იმერ ბენეშევიჩი 1917 წლის 2 მაისის წერილში სვამს კითხვას: „*რუსეთის ეკლესიის ოთხი ეპისკოპოსი რატომ არიან დასახელებული „საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებად, როცა ისინი ისევ სარგებლობენ თავიანთი* უფლებებითა და შეღავათებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც რუსეთის ეკლესიის ეპისკოპოსები არიან?“ (*ჟურნალები*, 2016: 98).

ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ეკლესიის მესვეურნი პირველივე დეკლარაციით სახელმწიფო ხაზინიდან თანხებს საქართველოს ყოფილ საეგზარქოსოში საქართველოს ეკლესიის წილის შესაბამისად მოითხოვდნენ. მათ არ სურდათ რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელთა უფლებითა და შეღავათით სარგებლობა. ამ მოთხოვნას საფუძვლად ედო რუსეთის სახელმწიფო ხაზინაში გადარიცხული „*მრავალმილიონიანი საეკლესიო მამულები, რომლებიც ადრე, საქართველოში რუსეთის მფლობელობამდე, ეკლესიის შესანახ ძირითად წყაროს წარმოადგენდა*“ (*ჟურნალები*, 2016: 25).

ავტოკეფალიის აღდგენისა (12 მარტი) და დროებითი მთავრობის მიერ მისი აღიარების (27 მარტი) შემდეგ ქართველი მღვდელმთავრების რუს სასულიერო პირებად მოხსენიება იყო ანულირება აღნიშნული აქტებისა. მეტიც, როგორც ბენეშევიჩისადმი საპასუხო წერილში საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა აღნიშნავდა, ეს საქართველოს ეკლესიის არსებობის უარყოფას ნიშნავდა მაშინ, როცა მისი არსებობა საქართველოს საეგზარქოსოს პირობებშიც კი უარყოფილი არ იყო; რის დასტურსაც წარმოადგენდა ფაქტი, რომ მას საქართველოს ეგზარქოსები განაგებდნენ (*ჟურნალები*, 2016: 102-103).

საეკლესიო შემოსავლებსა და ქონებაზე ეგზარქოსის უფლებების ხელყოფასთან დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ის, რაზეც ავტოკეფალისტები პრეტენზიას აცხადებდნენ, ქართველი სამღვდელოების უცილობელ საკუთრებას წარმოადგენდა.

საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში რუსული საეკლესიო და საერო ხელისუფლება დევნიდა ქართულ ენასა და წეს-ჩვეულებებს, ძარცვავდა საქართველოს ქონებას. ქართველთა მხრიდან არსებული ვითარების წინააღმდეგ პროტესტი, ეკლესიის უფლებათა აღდგენის მცდელობანი წარმატებას ვერ აღწევდა. ერისა და ბერის ერთობლივი სურვილის აღსრულება – ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა – 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად გახდა შესაძლებელი.

წყაროები მოწმობენ, რომ ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების პროცესი დიდი სიფრთხილით, არაქართველ მართლმადიდებელთა უფლებების შეძლებისდაგვარად გათვალისწინებით მიმდინარეობდა.

იგნატიევი საქართველოს ეკლესიის მმართველობას ბრალს დებდა,

რომ მან ქართველ მართლმადიდებლებს რუს სამღვდელოებასთან ურთიერთობა აუკრძალა.

სინამდვილეში პირიქით იყო. ავტოკეფალისტებმა „*რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის ძირითადი დებულებების*“ §2-ში ჩაწერეს: „*ერთსა და იმავე სახელმწიფოში ერთად ცხოვრებისა გამო საქართველოს ეკლესიის მღვდელმსახურნი მოვალენი არიან, დააკმაყოფილონ სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი სხვა, არაქართველ მართლმადიდებელ ეროვნებათა წარმომადგენლებისა, რომელნიც საჭიროების დროს მათ მოჰმართავენ; აგრეთვე, ამ ეროვნებათა მღვდელმსახურნიც მოვალენი არიან, დააკმაყოფილონ ქართველთა სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი. მაგრამ ეს შემთხვევანი არც ერთს ეკლესიას არ აძლევს საბუთს, თავის წევრებად ჩასთვალონ ის პირნი, რომელნიც მათ საჭიროებისა გამო მიმართავენ*“ (*ჟურნალები*, 2016: 13, 15, 77).

საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ქართველ სამღვდელოებას ყოფილ ეგზარქოს პლატონთან და უწმ. სინოდთან ურთიერთობა ნამდვილად აუკრძალა და ამას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა.

ასევე პრინციპულად შეუძლებელი იყო სინოდის განკარგულებაში თბილისში არსებულ დაწესებულებებში საქართველოს ეკლესიის წევრთა თანამშრომლობა (*ჟურნალები*, 2016: 13, 15). ამ ღონისძიებებს რუსეთის ეკლესიის მხრიდან ხელყოფისაგან დამოუკიდებლობა აღდგენილი ეკლესია უნდა დაეცვა.

რუსეთის უმაღლესი სასულიერო წოდების მიერ თავისი მრევლისთვის ქართულ ეკლესიებში შესვლისა და ქართველ მღვდლებთან ურთიერთობის აკრძალვის შესახებ კი საყოველთაოდ იყო ცნობილი. კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (1932-1952, ცინცაძე) აღნიშნავდა: „*სინოდი გაწყრა, უარყო კეთილმეზობლური დამოკიდებულება ჩვენთან. დაიწყო პროპაგანდა რუს მორწმუნეებს შორის: არ მოიწვიოთ ქართველი მღვდლები, არ მიიღოთ მათგან ლოცვა-კურთხევა, არ შეხვიდეთ ქართულ ეკლესიებში, თორემ უეჭველად ჯოჯოხეთში მოხვდებითო. ეს გარემოება თესდა მძულვარებას ჩვენსა და რუსებს შორის. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1943 წლამდე*“ (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 113: 6), ე. ი. საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის ლოცვითი და ევქარისტიული კავშირის აღდგენამდე.

უმართებულოა მისიონერის ბრალდება ავტოკეფალიის აღდგენისას საკათოლიკოსოს ეკლესიებში ღვთისმსახურების საყოველთაოდ ქართულად შესრულებასთან დაკავშირებითაც. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ეპისკოპოს ლეონიდის (ოქროპირიძე)

თავმჯდომარეობით თბილისში 14 მარტს გამართულმა სამღვდელოთა კრებამ ასეთი დადგენილება მხოლოდ სიონის საკათედრო ტაძართან დაკავშირებით გამოიტანა (ეპ. ლეონიდე, ქადაგებანი: 2).

საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ 1917 წლის 17 მარტის სხდომაზე არ გაიზიარა დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძის მიერ გამოთქმული პირადი აზრი, ქართულ ეკლესიებში[1] წირვა-ლოცვა დაუყოვნებლივ მშობლიურ ენაზე შესრულებულიყო. ეკლესიის მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებით, ამ ნიადაგზე მღელვარების თავიდან ასაცილებლად ეკლესიებში არსებული წესი დროებით უცვლელი უნდა დარჩენილიყო. საქართველოს ეკლესიის მმართველობის წევრებს აღნიშნულ საკითხზე პირადი მოსაზრების გამოთქმაც კი ეკრძალებოდათ (*ჟურნალები*, 2016: 19).

საქართველოს ეკლესიებში წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე შესრულების განკარგულების გაცემა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა, მიხეილ პაპაჯანოვმა დროებითი მმართველობის კომისიას 23 მარტს თვითონვე შესთავაზა. ქართულმა მხარემ ასეთი ნაბიჯის გადადგმა ისევ მიუღებლად ჩათვალა (*ჟურნალები*, 2016: 29).

მივუბრუნდეთ მისიონერის მიერ ავტოკეფალისტების კრიტიკას. იგნატიევი ქედმაღლობას უწოდებს ეპისკოპოს ლეონიდის განცხადებას: „*12 მარტიდან საქართველოს ეგზარქოსი აღარ არსებობს, მას აღარ აქვს საქართველოს საკათოლიკოსოს ტერიტორიის საზღვრებში საეგზარქოსოს დაწესებულებებისა და თანხების განკარგვის უფლება*“ (Игнатьев, 1917: [5]).

მისიონერი საკითხისადმი სუბიექტურ მიდგომას იჩენს. ის არაფერს ამბობს საეკლესიო კანონებით განმტკიცებულ სამართლიანობაზე, რომლის ძალითაც 1811 წელს რუსეთის ხელისუფალთ საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარების უფლება არ ჰქონდათ.[2]

მთავარეპისკოპოს პლატონისთვის ეპისკოპოს ლეონიდის მიერ 14 მარტს წარდგენილი განცხადების დასაწყისში სწორედ ამის შესახებ იყო აღნიშნული: „*უხსოვარი დროიდან ავტოკეფალური საქართველოს ეკლესიის მმართველობა თვით ამ ეკლესიის თანხმობის გარეშე XIX ს-ის დასაწყისში ხელში ჩაიგდო რუსეთის უწმინდესმა სინოდმა. რადგან აღნიშნულ აქტს ანტიკანონიკურად და საქართველოს ეკლესიისთვის მომაკვდინებლად თვლიდა, ამ უკანასკნელმა 1906 წლიდან აღძრა*

1. პირობითი ტერმინია და აღნიშნავს ეკლესიებს, რომლებიც მრევლის შემადგენლობით და ისტორიულადაც ქართველებს ეკუთვნოდათ.

2. რუსეთის ეკლესიის მიერ საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარება წარმოადგენდა მოციქულთა და მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონების (მოციქ. 35-ე, II მს. საეკლესიო კრების მე-2, III მს. საეკლესიო კრების მე-8 და სხვ.) დარღვევას – ავტოკეფალური მმართველობის შეჩერება მისი (საქართველოს ეკლესიის) ნების წინააღმდეგ მოხდა.

ეკლესიაში კანონიერი წყობის აღდგენის საკითხი, მაგრამ იგი ბოლო დრომდე გადაუჭრელი რჩებოდა. რუსეთში ახალი სახელმწიფოებრივი წყობის დამყარების შედეგად, რომელმაც სარწმუნოებისა და სინდისის თავისუფლება გამოაცხადა, საქართველოს ეკლესიამ თავისი იერარ-ქების, კრებულისა და ერის წარმომადგენლების სახით, 12 მარტს მცხეთაში საღვთო ლიტურგიისა და ახალი რუსული მთავრობის გაძლიერებისათვის ღვთისადმი სამადლობელი პარაკლისის გადახდის შემდეგ კანონიერი წყობა აღიდგინა". განცხადებაში ამის შემდეგაა სიტყვები: „*ამიტომ ამ დღიდან თქვენ იურიდიულად და ფაქტობრივად წყვეტთ საქართველოს ეგზარქოსობას, ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსობას და მოკლებული ხართ უფლებას, განკარგოთ საეგზარქოსოს ქართული ეპარქიები და სამრევლოები, საქართველოს საკათოლიკოსოს საზღვრებში არსებული სასულიერო-სასწავლო და საეკლესიო დაწესებულებები, აგრეთვე საქართველოს ეკლესიის შესანახად გამოყოფილი კრედიტები...*" (*ჟურნალები*, 2016: 13-14).

ავტოკეფალისტებმა ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის რევოლუციურ გზას მხოლოდ მას შემდეგ მიმართეს, რაც განთავისუფლების სხვა მცდელობანი უშედეგოდ დამთავრდა.

ზოგადად, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისადმი შეგუება არა მარტო საქართველოს ყოფილი საეგზარქოსოს ტერიტორიაზე მცხოვრებ რუსებს, არამედ აქედან მოშორებით მცხოვრებთაც გაუჭირდათ. ამის შესახებ 1943 წლის 15 დეკემბერს რუსეთის პატრიარქმა სერგიმ (1943-1944, სტრაგოროდსკი) მსოფლიო პატრიარქ ბენიამინისთვის (1936-1946, კირიაკუ) გაგზავნილ წერილშიც კი აღნიშნა: „*უწმინდესი სინოდი, როგორც სახელმწიფო დაწესებულება, თავს ვალდებულად თვლიდა, დაეცვა იმპერიის ძირითადი კანონი, რომლის მიხედვითაც სამეფო ხელისუფლება სინოდის მეშვეობით მოქმედებდა მთელი იმპერიის ტერიტორიაზე, მ. შ. საქართველოშიც. მაგრამ შემდეგ, სინოდის გარეშეც, რუსული მხარე იმავე პოზიციაზე იდგა ნაწილობრივ ინერციით, ნაწილობრივ კი ქართველების „თვითნებობით*" *განაწყენებული*" (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 2273: 20).

იგნატიევი ქართულ მხარეს ასევე ბრალს სდებდა დროებითი მთავრობის ხელისუფლების უგულებელყოფაში და რევოლუციურ-ანარქისტული სეპარატიზმის გამოვლინებად უთვლიდა ეკლესიის დამოუკიდებლობის ტერიტორიულ საზღვრებში აღიარების მოთხოვნას (Игнатьев, 1917: [5]).

თხზულებაში „*საქართველოს ავტოკეფალია*" იგრძნობა ავტორის სურვილი ავტოკეფალისტთა ნაბიჯები ყველა უწყებასთან და თვით ქართველი ხალხის სურვილთანაც კი დაპირისპირებულად წარმოაჩინოს, მაგრამ ისტორიული წყაროები სხვას მეტყველებენ.

პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის საქმეს ადგილობრივი ხელისუფლება – ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი) – გაგებითა და თანადგომით შეხვდა. მან 24 მარტს ეკლესიის დროებით მმართველობას წარდგენილი დეკლარაციის დაკმაყოფილება აღუთქვა (*ჟურნალები*, 2016: 32).

ოზაკომის დამოკიდებულება საეკლესიო საკითხისადმი პეტროგრადის მთავრობის უკმაყოფილების გამო შეიცვალა (ჟურნალები, 2016: 35-36). უკმაყოფილებას რუსეთის იმპერიის დროინდელი საზღვრების შენარჩუნების სურვილი განაპირობებდა, რასაც საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის სრულად განხორციელება საფრთხეს შეუქმნიდა. ამ საფრთხის გათვალისწინებით დროებითმა მთავრობამ 27 მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მხოლოდ ეროვნული ნიშნით აღიარა.

ეროვნული ნიშნით დაყოფა ეკლესიის უფლებების შელახვას წარმოადგენდა, საეკლესიო გადმოცემებსა და კანონებს ეწინააღმდეგებოდა. საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ამასთან დაკავშირებით სიტყვიერი პროტესტი განაცხადა, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. დიდი მსჯელობის შემდეგ მან თავისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღება „*ძირითად დებულებებში*“, შესაძლებლობის ფარგლებში შერბილებული ფორმით[1] დაადასტურა. ფაქტია, რომ დებულებები აღნიშნული ფორმით საქართველოს საეკლესიო საქმეებში დროებითი მთავრობის რწმუნებულისთვის მისაღები აღმოჩნდა. მან ის მოიწონა და პეტროგრადის მთავრობას გადაუგზავნა (*ჟურნალები* 2016: 75).

იგნატიევი უფრო შორს წავიდა და ქართველი ხალხი ავტოკეფალიისადმი გულგრილობაში დაადანაშაულა. ის წერს: „*საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმ. კრება“ შედგა 12 მარტს მცხეთაში, ლიტურგიის შემდეგ, ტაძრის გალავანში ეპისკოპოს ლეონიდის მეთაურობით, ქართველი ხალხის მცირე რაოდენობით თავშეყრისას, რომელიც ამ მოვლენისადმი ინდიფერენტულია*“ (Игнатьев, 1917: [2]).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით იმდროინდელ პრესაში არსებულ გამოხმაურებებზე ვრცლად არ შევჩერდები. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ მისალოცი დეპეშები და საქმიანი წინადადებები საქართველოს ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისგანაც მრავლად იყო მიღებული. ეკლესიის უფლებათა აღდგენის საქმეს თანაუგრძნობდა და დახმარებას აღუთქვამდა მთელი ქართველი საზოგადოება.

ქართველები აპროტესტებდნენ ივერიის ეკლესიის მორჩილებას ნები-

1. 27 მარტის აქტიდან მომდინარე უარყოფითი შედეგების შერბილების მიზნით ავტოკეფალისტების მიერ „*ძირითად დებულებებში*“ შეტანილი პუნქტები იხ. აქვე: 50.

სმიერი თანაბარუფლებიანი ეკლესიისადმი, მით უმეტეს, რუსულისადმი, რომელსაც ჯერაც არ ჰქონდა აღდგენილი თავისი კანონიკური სახე. გამოთქვამდნენ იმედს, რომ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების საქმეში დაეხმარებოდა არა ანტიკანონიკური სინოდი, რომელიც თვითნებურად განაგებდა რუსეთის ეკლესიის საქმეებს, არამედ დროებითი მთავრობა („*საქართველო*“, №76: 3; „*საქართველო*“, №77: 2-3; „*საქართველო*“, №142: 3; „*საქართველო*“, №179, 1; „*Петроградские Ведомости*“, 1917, №92).

12 მარტს მომხდარი ისტორიული აქტისადმი ქართველების დიდ ინტერესსა და გულშემატკივრობას წარმოაჩენს ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრი იპოლიტე ვართაგავა. მან აღნიშნული მოვლენის წინააღმდეგ წასვლას „*მთელ ქართველ ერის გულითად წადილის გაქარწყლება*“ უწოდა (*ჟურნალები*, 2016: 20).

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდმა (1919-1921, ოქროპირიძე) კი მოგვიანებით ავტოკეფალიის აღდგენის ფაქტისადმი ქართველთა დამოკიდებულება შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „*ამ სამი წლის წინეთ, 12 მარტს, საქართველოს ეკლესიამ, დედა სვეტი ცხოველში, აუარებელ თავის მორწმუნე შვილების წინაშე მტკიცედ და საქვეყნოთ გამოაცხადა, რომ იგი ამ დღიდან უკვე თვითთავი და დამოუკიდებელია, იმოსება იმ ძალა-უფლებით, რომლებსაც ატარებდა რუსეთთან შეერთებამდე და ეს განცხადება გულის ძირამდე ჩასწვდა საქართველოს შვილებს. ამ გაბედულმა ნაბიჯმა გაუღვიძა ქართველობას პოლიტიკური დამოუკიდებლობის სურვილიც*“ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6506: 7).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების ურთულეს საქმეში ეკლესიის მესვეურნი ყოველთვის გრძნობდნენ მთელი ერის მხარდაჭერას. სწორედ ამ ერთობისა და უკომპრომისობის დამსახურებით მიაღწიეს უფლებების აღდგენა-შენარჩუნებას.

მისიონერი იგნატიევი აღნიშნავს: „*ქართველი სამღვდელოების ჟინიან, ნაჩქარევ და ქედმაღლურ გადაწყვეტილებას ეპისკოპოსებისა და* თავად-აზნაურთა *მეთაურობით ღირსეული, კანონიერი მითითებები მისცა დროებითმა მთავრობამ და მისგან მოვლენილმა სასულიერო კომისარმა*[1]*, რამაც გააცივა მათი მხურვალე მისწრაფება ავტოკეფალიისა და სეპარატიზმისაკენ...*“

სხვა ადგილზე ავტორი უმატებს: „*სამოციქულო ეკლესიის წმ. კრების*“ *დაჩქარებული გადაწყვეტილება ამა წლის 12 მარტს ქ. მცხეთაში, საეკლესიო კრების წინასწარი თათბირების გარეშე არ შეიძლებოდა გაემართლებინა დროებით მთავრობას. კათოლიკოსის მოვალეობის*

1. იგულისხმება დროებითი მთავრობის რწმუნებული საქართველოს საეკლესიო საქმეთათვის, პროფ. ვლადიმერ ბენეშევიჩი.

შემსრულებლის, ეპისკოპოს ლეონიდის კადნიერმა გამოსვლამ და მიმართვამ, როგორც დანაშაულებრივმა ქმედებამ, გამოიწვია მხოლოდ კიცხვა და პროტესტი დროებითი მთავრობის კომისრისა, რამაც ქართველები გამოაფხიზლა" (Игнатьев, 1917: 2, 3).

მოხმობილ ამონარიდებში თვალშისაცემია წინააღმდეგობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისადმი ქართველი ხალხის დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. თუ 12 მარტს ქართველები ამ საკითხისადმი ინდიფერენტული იყვნენ, მაშინ მათ არ ექნებოდათ მისწრაფება ავტოკეფალიისა და სეპარატიზმისაკენ, რაც მთავრობისა და ბენეშევიჩის „*კანონიერ*" მითითებებს შეიძლებოდა გაეცივებინა.

მისიონერი თხზულებაში „*საქართველოს ავტოკეფალია*" ქართველებს თავიანთი წმინდანებისადმი უპატივცემლობის გამოც აკრიტიკებს. ის აღნიშნავს: „*ქართველებს ავიწყდებათ თავიანთ წმინდანთა თაყვანისცემა, წმ. თამარისაც კი – არ არსებობს მისი ცხოვრება, არ არის აღწერილი ისტორია სასწაულთმოქმედი ხატებისა და სხვათა*" (Игнатьев, 1917: [4]).

ამავე საკითხს ეხება იგნატიევი თხზულებაში „*საეკლესიო დღესასწაული*" და მიუთითებს: „*ქართველებმა დაივიწყეს წმ. ნინოს ანდერძი და „ოქროს საუკუნე" წმ. თამარისა, იტანჯებოდნენ ურწმუნოებით*" (Игнатьев, 1917: [7]).

წმინდა ნინოს ხსენების დღესთან დაკავშირებით ქართველი სასულიერო პირების მიერ საზეიმო წირვა-ლოცვის აღსრულების შესახებ XX ს. დასაწყისის პრესაში არაერთი ცნობა მოიპოვება („*ცნობის ფურცელი*", №1697: 2; იქვე, №1700: 2), რაც მიუთითებს, რომ ქართველებს დღესასწაული არ დავიწყებიათ.

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებული მიზანი აქვს ავტორს 1914 წელს დაწერილ საგაზეთო სტატიაში „*Святой юбилей*" („*წმ. იუბილე*"). მისიონერი აღნიშნავს, რომ მთელმა მართლმადიდებელმა საქართველომ, ეკლესიის მეთაურობით, დიადი, საზეიმო ღვთისმსახურებით უნდა აღნიშნოს წმ. ნინოს ხსოვნის 1579-ე და, მასთან ერთად, თავისი გაქრისტიანების 1596 წლისთავები. „*ჭეშმარიტი ქრისტიანი ქართველები ღირსეულ პატივს მიაგებენ 14 იანვარს* (ძვ. სტ. – ი. ა.), *ადამიანური მტრობისა და ღვარძლის უკუგდებით და იმის გახსენებით, რომ ისინი არიან ერთი ეკლესიისა და რუსეთის ერთი მეფის შვილები*" („*Курьер-Копейка*", 1914, №10: 3). მისიონერი ცდილობს, წმინდა ნინოს ხსენების დღის აღნიშვნა ქართველებში რუსული თვითმპყრობელობისადმი ერთგულების ჩანერგვისთვის გამოიყენოს.

ჩვეულ „*ობიექტურობას*" იჩენს მისიონერი წმინდა თამარის ხსოვნის დავიწყებასთან დაკავშირებითაც. 1911 წელს გაზეთ „*Кавказъ*"-ში გამო-

ქვეყნებულ ფელეტონში *„Царица Тамара. Историческая справка“* (*„დედოფალი თამარი. ისტორიული ცნობა“*) ის აღნიშნავს: დღეს, 25 ივნისს, საქართველოს ეგზარქოს მთავარეპისკოპოს ინოკენტის (საქართველოს ეგზარქოსი 1909-1913 წწ., ბელიაევი) კურთხევით მოეწყობა ლიტანია თბილისიდან ბეთანიისაკენ, თამარ მეფის დროს აშენებული და ახლად აღდგენილი ტაძრისაკენ. ეს მსვლელობა მოწმობს, რომ ძველის ხსოვნა დავიწყებული არ არის, რომ ხალხში ცოცხლობს სულიერი მოთხოვნილება, აღადგინოს თავისი ისტორიის მივიწყებული უნათლესი ფურცლები... თუმცა ავტორი იქვე უმატებს, რომ ადამიანთა ცხოვრებაში მუდმივი არაფერია და მეფე თამარის ხსოვნა ქართველებში უკვე ქრება. მისი თაყვანისცემის დღეები, 18 იანვარი და 1 მაისი (ძვ. სტ. – ი. ა.) ეძლევა დავიწყებას, არაა საზეიმო ღვთისმსახურება, ძველებურად აღარ ეწყობა სახალხო სეირნობა („*Кавказъ*“, №140: 2).

1914 წელს მისიონერი იგნატიევი ფელეტონში *„Тамара“* (*„თამარი“*) აღნიშნავს, რომ მეფე თამარი 1300 წელს შეირაცხა წმინდანად, შემდეგ ეს ფაქტი დაადასტურა ერეკლე II-მ და რუსეთის იმპერატორების – ალექსანდრე I-ის, ალექსანდრე II-ისა და ნიკოლოზ II-ის დროინდელმა სინოდებმა. მისიონერი ქართველებს ღვთისმოსავებს უწოდებს, თუმცა მიუთითებს, რომ წმ. თამარის ცხოვრება დაწერილი არაა და, ალბათ, სწორედ ამან შეუშალა ხელი მისი გარდაცვალების 700 წლისთავის აღნიშვნას („*Курьер-Копейка*“, 1914, №15: 2).

იგნატიევი აქ შეიძლება გულისხმობდეს წმ. თამარის საეკლესიო ცხოვრებას, მაგრამ დასაშვებია ისიც, რომ მას არ ჰქონოდა ინფორმაცია *„ქართლის ცხოვრებაში“* თამარის ისტორიკოსის თხზულების შესახებ.[1]

მისიონერი თვითონვე ადასტურებს მრავალ ფაქტს, რომელიც მოწმობს, რომ *„ხალხში ცოცხლობს სულიერი მოთხოვნილება, ... თავისი ისტორიის ... უნათლესი ფურცლების“* ხსოვნისა და არა *„მივიწყებულის აღდგენისა“*.

1915 წელს დიდუბის ტაძარში წმ. თამარისადმი მიძღვნილი ლიტურგიის აღვლენაში მისიონერი თავისი დამსახურების შესახებ აღნიშნავს. იგი მოგვითხრობს, როგორ მიმართა მთავარეპისკოპოსმა პიტირიმმა (საქართველოს ეგზარქოსი 1914-1915 წწ., ოკნოვი) სამღვდელოებისა და ხალხის თანდასწრებით: *„გილოცავთ დღესასწაულს, რომლის აღსანიშნავად თქვენ ბევრი იშრომეთ. თქვენ გაიმარჯვეთ და გაფანტეთ გაუგებრობანი, თქვენ ჩვენი ცენზორი და საღვთო ასპარეზზე გულმოდგინე მოღვაწე ხართ, ღმერთმა გაკურთხოთ“*... იქვე ეგზარქოსი მისიონერს მოუწოდებდა, დაესრულებინა თავისი ძიებანი დიდუბის ღვთისმშობლის

1. იგნატიევის მიერ სტატიის დაწერის დროისათვის, 1914 წ., *„ქართლის ცხოვრებიდან“* თამარის მხოლოდ ერთი ისტორიკოსის თხზულება იყო ცნობილი.

სასწაულთმოქმედი ხატის ისტორიის შედგენით და მადლობას უხდიდა ტყავის ქარხნებში არსებული ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის შესახებ ცნობების მიწოდებისთვის (Игнатьев, 1917: [7]).

აღნიშნული ხატების იგნატიევის მიერ შედგენილი ისტორია ჩემთვის უცნობია. ტყავის ქარხნის ტერიტორიაზე სამლოცველოში არსებული სასწაულთმოქმედი ხატის შესახებ 1917 წ. 2 მაისს მორწმუნეები ეგზარქოს პლატონს მიმართავდნენ. ისინი აღნიშნავდნენ, რომ რუსმა ქალებმა ხატი სამლოცველოში 1889 წელს დააბრძანეს. 1915 წელს მოხდა მისი განახლება და ისევ სამლოცველოში დაბრუნება. ხატის უპატიო მდგომარეობის გამო – მის წინ არსებული კანდელიდან მუშები სიგარეტსაც კი უკიდებდნენ – მორწმუნეები ითხოვდნენ, ხატი მათი შეხედულებისამებრ რომელიმე ეკლესიაში განთავსებულიყო (სეა, სცა, ფ. 1701, აღწ. 1, ს. 47: 1).

ქართველ წმინდანთა ღვაწლის წინ წამოწევა, მათთვის შესაფერი პატივის მიგება ერს სულიერ ძალებს რომ მატებდა, ეს კარგად იყო ცნობილი საქართველოში ცარიზმის პოლიტიკის გამტარებელთათვის. სწორედ ამიტომ ისინი შეეცადნენ, ადგილობრივი წმინდანების სახელები, მათი მოწამეობისა და ცხოვრების ხსოვნა ქართველთა მეხსიერებიდან ამოეშანთათ. მთავარეპისკოპოს პალადის (რაევი) ეგზარქოსობისას (1887-1892) აიკრძალა ქართველ წმინდანთა ხსენების დღეების აღნიშვნა. კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) თავის მოგონებებში მოგვითხრობს: ეგზარქოსმა მოიკითხა ქართველ წმინდანთა წმინდანებად შერაცხვის აქტები. პასუხად მიიღო, რომ ისინი არ შემონახულა, მაგრამ სახელები: თამარი, მირიანი, ვახტანგი და სხვ. საქართველოს ეკლესიაში საუკუნეთა განმავლობაში რომ მოიხსენიება, მრავლისმეტყველიაო. ეს საფუძველი ეგზარქოსს არადამაკმაყოფილებლად ეჩვენა. მან სინოდის სახელით გამოსცა განკარგულება, ქართული სახელები ბერძნულ-რუსულით შეეცვალათ და დაეჯარიმებინათ ის მღვდლები, რომლებიც მონათლულებს ქართველი წმინდანების სახელებს დაარქმევდნენ (კ. ცინცაძე, „*მოგონებებიდან*“: 46-47).

ქართველი საზოგადოება ამ აკრძალვას მტკივნეულად განიცდიდა. XX ს. დასაწყისში უწმ. სინოდმა ალავერდის ეპისკოპოს დიმიტრისა (აბაშიძე) და მღვდელ მარკოზ ტყემალაძეს მიანდო ქართველთა იმ წმინდანების სიის შედგენა, რომლებსაც საქართველოს ეკლესია პირველი საუკუნეებიდანვე აღიარებდა.

1902 წლის 27 ივნისისთვის კომისიას სიის შედგენა დამთავრებული ჰქონდა. მასში 80-მდე ქართველი წმინდანის სახელი შედიოდა.

კომისიის მიერ შესრულებული სამუშაოთი ქართველი სასულიერო წოდების უკმაყოფილება 1916 წ. დასტურდება. ამ წელს იმერეთის საეპარ-

ქიო კრებამ და სპეციალურმა კომისიამ სინოდის კანტორას წარუდგინა საქართველოში ოდითგან გავრცელებული სახელების სია თხოვნით – დაერთოთ ნება ამ სახელებით მონათვლისა. სია, როგორც შემდგენლები აღნიშნავდნენ, არასრული იყო, თუმცა მასში ამჯერად დაახლოებით 343 სახელი შედიოდა. სინოდის კანტორამ არსებული 80-სახელიანი სიის შევსება შეუძლებლად ჩათვალა (სეა, სცა, ფ. 489, აღწ. 1, ს. 59442: 1-9).

წმ. მეფე თამარის ხსენების დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე თავის მემუარებში წერს, რომ მან 1 მაისის დღესასწაულობა დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვრობისას, 1912 წელს აღადგინა სოსიკო მერკვილაძესა და მიხეილ ლაღიძესთან ერთად, ლაღიძის ქარხნის მუშების დახმარებით. დღესასწაულის აღდგენა, როგორც დეკანოზი მიუთითებს, დაკავშირებული იყო თამარ მეფის გარდაცვალების 700 წლისთავთან, რომელიც 1913 წ. სრულდებოდა (ლიტ. მუზ. არქ., ნ. თალაქვაძის ფ., რვ. I-II: 43, 161, 164).

თამარ მეფის სახელი რომ საქართველოში ყოველთვის ახსოვდათ, მისი ხსენების დღე რომ ქართველებს არასოდეს დავიწყებიათ, სწორედ ამის შესახებ აღნიშნავდა ეპისკოპოსი ლეონიდი თავის ერთ-ერთ ქადაგებაში: „*განა თამარის სახე ოდესმე წაშლილა ქართველი ერის მეხსიერებაში; განა ყოფილა ოდესმე წამი, რომ თამარის სიყვარულს ფართო ალაგი არა სჭეროდეს ქართველი ერის გულში; თამარის ქება, თამარზე მღერა მცირე ხანს მაინც შეწყვეტილიყოს ჩვენს ქვეყანაში? მიბრძანდით, თუ გნებავთ, ფშავში, გაეცანით ხალხური კალენდრის შინაარსს, და დარწმუნდებით, რომ ერს უმთავრეს და უბრწყინვალეს დღეობად თამარობა აქვს მიღებული; რომ მთელი თემი დღესაც თამარს ადიდებს, თამარს უგალობს, თამარზე ლექსობს, თამარით ბედნიერობს, თამარს შეჰხარის, თამარს ლოცულობს და უსასტიკეს წყევა-კრულვას უთვლის მას, ვინც თამარობას ერში მოშლის, თამარის ქებას დაივიწყებს, თამარის ქებას გააქრობს*“ (ეპ. ლეონიდე, 1914: 101).

ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკის უარყოფითი შედეგების მიუხედავად, ქართველმა ხალხმა ეროვნული სულის შენარჩუნება შეძლო. სამშობლოსა და ეკლესიის მონობას ის არასოდეს შეჰგუებია და, როცა პოლიტიკურმა ვითარებამ საშუალება მისცა, ავტოკეფალია აღდგენილად გამოაცხადა.

ქართველი წმინდანებისა და ეროვნულ სახელთა სიის შესადგენად კომისიის შექმნა ეკლესიის მესვეურთა ერთ-ერთი პირველი საზრუნავი გახდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 482: 11; იქვე, ს. 481, 9).

მისიონერი იგნატიევი განსახილველ კრებულში რამდენჯერმე აღნიშნავს საქართველოს წარსული დიდებულების შესახებ (Игнатьев, 1917: [1], [3], [4], [32]). თითქოს ამით ის განსხვავდება დიდმპყრობელური იდეე-

ბით განმსჭვალული ადამიანებისაგან, რომლებიც საქართველოს ეკლესიის ადრინდელი დამოუკიდებლობის ფაქტს უგულებელყოფდნენ და ავტოკეფალიის გამოცხადებას 1917 წ. თებერვლის რევოლუციით მინიჭებულ უფლებებზე დამყარებულად წარმოაჩენდნენ. თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა ასე, სინამდვილეში თხზულებებში ჩანს იგნატიევის მცდელობა, წარსულის დიდებულების ფონზე ქართველთა თანადროული სავალალო მდგომარეობა უფრო გაამკვეთროს და ამით მომავლისადმი უიმედობა დანერგოს.

მისიონერი წერს: ქართველები *„ცდილობდნენ აღედგინათ საქართველოს ეკლესიისა და ერის უწინდელი დამოუკიდებლობა, ძველი დიდება და მნიშვნელობა...*

სამწუხაროდ, მხოლოდ გარეგნული მხარე ვერ აღადგენს საქართველოს „ოქროს საუკუნეს“, თუ მისი შინაგანი არსება შერყეულია ხალხის ისტორიული და სასულიერო-ყოფითი ცხოვრების პირობებით. ერი ახლა დაავადებულია რელიგიური ინდიფერენტიზმით, ათეიზმითა და ზნეობრივი იდიოტიზმით, რაც უფრო ადრეც ვლინდებოდა და რამაც საუკუნეების განმავლობაში რელიგიის მსხვრევა და ტაძართა გაპარტახება გამოიწვია... ავტორიტეტული ისტორიული დოკუმენტები და თანამედროვე ფაქტები უდავოდ ამხელენ თანამედროვე მოთხოვნების სიცრუეს, უსაფუძვლობასა და საქართველოს სამწუხარო მდგომარეობას“ (Игнатьев, 1917: [3]).

სწორედ ქვეყნის სამწუხარო მდგომარეობამ მიიყვანა ერეკლე II გეორგიევსკის ტრაქტატამდე (1783 წ.), მაგრამ შედეგად ვითარება მხოლოდ დამძიმდა. ამას ქართველები და საქართველოს ეკლესიის არაქართველი გულშემატკივარნიც კარგად ხედავდნენ.

ნიკოლოზ დურნოვო 1901 წ. ქართული ისტორიული ძეგლების მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით სვამდა კითხვას:

„რას მივაწეროთ, ამ მამაცმა ერმა (ქართველებმა), რომელმაც 1500 წლის განმავლობაში მტკიცედ და შეურყევლად დაიცვა თავისი ენა, სარწმუნოება და ტერიტორია, და მიიტანა ყოველივე ეს შეუბღალავად XIX საუკუნის დასაწყისამდე, ჩვენს დროში ასე დაკნინდა, დაძაბუნდა და თავისს ძველ ნაშთებსაც ვეღარ უვლის?“ (*„ცნობის ფურცელი*“, №1586: 4). მას კარგად ესმოდა, რომ არსებული მდგომარეობა მხოლოდ ადგილობრივი მიზეზებით არ იყო გამოწვეული.

ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე, 1872-1935) თავის *„განსაკუთრებულ აზრებში“*, რომლებსაც უწმ. სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორის სხდომის ოქმებს ურთავდა ხოლმე, წარსულს რეალურად აფასებდა და საქართველოს ეკლესიისთვის ავტოკეფალიის აღდგენის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე მიუთითებდა:

„...ჩვენ არასოდეს გვქონია განზრახვა, უარი გვეთქვა ჩვენს ავტოკეფალიაზე. დარწმუნებული ვართ, საეკლესიო ცხოვრება ამაღლდება მხოლოდ ავტოკეფალიის პირობებში. დაჟინებით გვსურს საკათოლიკოსოს აღდგენა და ეს ჩვენი კანონიერი მოთხოვნა არ უნდა იქნეს გაგებული უმადურობად, სეპარატიზმად... საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ „ავტოკეფალია საქართველოს ეკლესიას ემუქრება მომაკვდინებელი შედეგებით"... რუსეთის მიერ საქართველოს დამორჩილებამდე ავტოკეფალია საქართველოს ეკლესიისთვის მომაკვდინებელი არ ყოფილა. XVIII საუკუნეშიც კი ეკლესიური ცხოვრება უფრო მაღლა იდგა, ვიდრე დღეს. მართალია, სამოთხეს ვერ გავამეფებთ საქართველოში, მაგრამ რუსეთშიც ხომ არაა წესრიგი? რუსი იერარქები ვერ იქნებიან... ქართველთა მოყვარული მამები ისევე, როგორც ბერძენი იერარქები ვერ შეცვლიან რუსებს რუსეთის ეკლესიისათვის თავიანთი უცხო წარმომავლობის გამო" (ხელნაწ. ეროვ. ცენტ., ვ. კარბელაშვილის ფ., ს. 664: 4-6).

ცარიზმის მხრიდან ქართველთა ეროვნული და, ამასთან ერთად, სარწმუნოებრივი დევნის შესახებ კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდი 1920 წელს აღნიშნავდა:

„ყველამ ვიცით და კარგად გვახსოვს ჩვენი ეკლესიის მონობის დროს როგორ ვიდევნებოდით და ვიჩაგრებოდით ქალი და კაცი სარწმუნოებრივად. ჩვენს დედა ეკლესიაში – სვეტი ცხოველში თვით ტაძრის დღეობას საღმრთო მსახურება სრულდებოდა მორწმუნე ქართველობისათვის გაუგებარ ენაზე და ისიც არა სვეტიცხოვლობის დღესასწაულობის გამო, არამედ იმიტომ, რომ ამ დღეს რუსის ეკლესიაში დადებული იყო ჩვენთვის უცხო და ჩვენს ეკლესიაში არცნობილი დღესასწაულობა. ყველამ ვიცით, და ცოცხლად გვახსოვს, რომ სიონის ტაძარში სრულებით არ გაისმოდა ქართული მოძღვრება და მღვდელმსახურება, ქართველ ადამიანს დიდათ ერიდებოდა წინ წადგომა და გულდამშვიდებით ლოცვა, იძულებული იყო მიყუჟულიყო სადმე კუთხეში, რომ თვალში არ სჩხირებოდა იმ დროის გაბატონებული ერის წარმომადგენელს, რომელიც ბოდიშს არ ხდილობდა ქართველი ადამიანის გულში ხელის ფათურისა და წმიდათა-წმიდას უხეშად შელახ[ვის გამო]"... (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6506: 7).

ასევე ობიექტურად აფასებს საქართველოს ეკლესიასა და ქართველებზე ცარიზმის პოლიტიკის გავლენას მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორი, თანამედროვე ისტორიკოსი კონსტანტინე სკურატი (1929-2021). ის მიუთითებს, რომ საქართველოს საეგზარქოსოს სულიერი განვითარება შემოფარგლული იყო რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის მმართველობით, რასაც ემატებოდა საერო ხელისუფალთ-

აგან ბიუროკრატიული მეურვეობა, საეკლესიო ცხოვრებაში მათი პირდაპირი ჩარევა, მისწრაფება, გადაექციათ ეკლესია სახელმწიფოებრივი მმართველობის ჯაჭვის რგოლად. ყველაფერი ეს იყო სამწუხარო სინამდვილე და რეალური დაბრკოლება ეკლესიის მოღვაწეობისთვის. მეფის ჩინოვნიკთა ბიუროკრატიზმი, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველობასაც შეეხო, რთულდებოდა იმპერიისთვის საჭირბოროტო ნაციონალური საკითხით (Скурат, 1994: 51).

იგნატიევი კი ქართველთა სულიერ მდგომარეობაზე რუსული მმართველობის სისტემის უარყოფითი გავლენის შესახებ თხზულებებში ერთი სიტყვითაც არ აღნიშნავდა.

მისიონერი ქართველ ეპისკოპოსებსა და თავადებს „*სეპარატისტული ავტონომიისაკენ მისწრაფებისას*“ ღმერთისა და საქმიანობაში ახლობლის სიყვარულის უგულებელყოფაში ადანაშაულებდა (Игнатьев, 1917: [4]). ეს მაშინ, როცა რუსები ერთმორწმუნეობაზე ყურადღების გამახვილებით ცდილობდნენ, დაპყრობილი ქვეყნის სრული გარუსებისთვის მიეღწიათ.

რუსეთის სინოდის, მისი მღვდელმთავრებისა და მისიონერების საქმიანობა სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. მათ სარწმუნოების გავრცელებაზე ზრუნვასთან ერთად ადგილზე რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გატარებაც ევალებოდათ (ბუბულაშვილი 2008: 257).

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადებით მათ ეს ასპარეზი მოესპოთ. როგორც ზაქარია მთისპირელი (დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე) მიუთითებს, 1917 წ. 12 მარტს საქართველოს ეკლესია გათავისუფლდა სინოდის აგრესიული ეგზარქოსებისა და „*მისიონერების*“ მარწუხებისგან („*Возрождение*“, 1917: 2).

იგნატიევი ავტოკეფალისტების მოქმედებების კრიტიკის ფონზე დადებით კონტექსტში საუბრობს *ამიერკავკასიის რუსულ საეკლესიო კრებაზე* ქართველთა გამოცხადების შესახებ. ის წერს: „*25 მაისს მოიწვიეს ა/კავკასიის საეკლესიო კრება, რომელსაც ეპისკოპოსი გრიგოლ ბაქოელი თავმჯდომარეობდა. კრებას ქართველებიც ესწრებოდნენ ეპისკოპოს ანტონის (გიორგაძე – ი. ა.) მეთაურობით. სულის სიამაყე დაცხრა და მან განაცხადა: „საქართველოს ეკლესია აღსავსეა სიყვარულითა და მშვიდობით რუსული [ეკლესიი]სადმი და ამ ეკლესიებს შორის კეთილი ურთიერთობები არ გახუნდება არასდროს და არავისგან*“ (Игнатьев, 1917: [6]).

იგნატიევი კრებულში ეხება არა მარტო ქართველებისა და რუსების, არამედ – ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობასაც. ის ნიშნის მოგებით აღნიშნავს 1917 წლის 28 მაისს თბილისში აფხაზეთის სასულიერო და საერო პირთა კრებისაგან მიღებული დეპეშის შესახებ, რომელიც

აფხაზთაგან დამოუკიდებელი ეკლესიის ფორმირებას იტყობინებოდა.

„*საქართველოს ეგზარქოსის*“ სახელზე მოსულ აღნიშნულ დეპეშაში ნათქვამი იყო: მრავალჭირგადანახადმა აფხაზმა ხალხმა ჩამოაყალიბა აფხაზეთის სრულიად დამოუკიდებელი ეკლესია. მის სათავეში მდგომ, აფხაზი ხალხისაგან არჩეულ ეპისკოპოსს ექნება დამოუკიდებელი ეროვნული ეკლესიის მეთაურის უფლებები და მისთვის საჭირო ყველა დაწესებულება ქ. სოხუმში (სეა, სცა, ფ. 488, აღწ. 1, ს. 23248: 9).

დეპეშის ადრესატად „*საქართველოს ეგზარქოსის*“ მითითება, ვფიქრობ, აშკარა შეცდომას წარმოადგენს. იმავე წელს გამოქვეყნებულ სხვა დეპეშაში, რომლითაც აფხაზები საქართველოს ეკლესიას მიესალმებიან, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წარმატებით დასრულებას ულოცავენ და მისი მხრიდან აფხაზეთის ეკლესიისადმი ჩვეული სიყვარულის გამოვლინებას იმედოვნებენ, ადრესატი – „*временный грузинский католикосат*“ – ასევე არასწორადაა მითითებული (Тарнава, 1917: 19-20). აქ ალბათ *საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა* უნდა ვიგულისხმოთ. გამორიცხული არაა, რომ ყრილობის მესვეურები, რომლებიც საეკლესიო ორგანიზაციის შესახებ ცოდნას მოკლებულნი იყვნენ, აღნიშნულ საკითხებში ვერ ერკვეოდნენ.

რუსეთის ეკლესიისადმი აფხაზების დამოკიდებულების გასააზრებლად ძალიან მნიშვნელოვანია *ა/კავკასიის რუსული საეკლესიო კრებისადმი* გაზეთ „*Кавказъ*“-ში („*კავკაზ*“) მოთავსებული მისალმებანი.

ეგზარქოს პლატონის[1] მიერ გამოქვეყნებულ მიმართვაში კრებას ეწოდება „*საეგზარქოსოს რუსი, ბერძენი, ოსი და აისორი მოსახლეობის I საეკლესიო კრება*“. ასევე რუსი, ბერძენი, ოსი და აისორი ეროვნების მართლმადიდებლებს ჩამოთვლის მისალმებისას ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარე ვასილ ხარლამოვიც („*Кавказъ*“, №120: 3). აფხაზებს არც ერთი მათგანი არ ახსენებს.

ნიშანდობლივია, რომ *სოხუმის ოკრუგის აფხაზი მართლმადიდებელი მოსახლეობის სასულიერო წოდებისა და არჩეულ საერო პირთა ყრილობა* 24 მაისს დაიწყო, *ა/კავკასიის რუსთა საეკლესიო კრების* გახსნის წინა დღეს. თარიღების ასეთი დამთხვევა ვფიქრობ, მიუთითებს, რომ აფხაზებს თავიანთ ყრილობაზე აღნიშნული კრებისადმი დამოკიდებულების საკითხიც უნდა გადაეწყვიტათ. გამოთქმული აზრის სასარგებლოდ მეტყველებს გაზეთში მისალმებათა დაგვიანებით, მხოლოდ 2 ივნისს გამოქვეყნება. ამ დრომდე ალბათ დადგენილი არ იქნებოდა, რომელი ხალხების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ა/კავკასიის რუსთა კრებაში.

1. მთავარეპისკოპოს პლატონის წოდებაში აღნიშნული არ არის არც კავკასიის, არც საქართველოს ეგზარქოსობა („*Кавказъ*“, №120: 3).

24-27 მაისის თავყრილობაზე სოხუმში აფხაზებთან ეკლესიური ორიენტაციის საკითხებზე მოსალაპარაკებლად ჩასული იყო საქართველოს ეკლესიის დელეგაცია. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: მწერალი პართენ გოთუა, გენერალი ვასილ გაბაშვილი, ეროვნულ-დემოკრატი შალვა ქარუმიძე, იასონ აფაქიძე,[1] დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა მეთაური დავით ნიჟარაძე, მღვდელი ტროფიმე ჯოხთაბერიძე.

ქართული დელეგაციის ინფორმაცია გვამცნობს, რომ აღნიშნულმა კრებამ ხალხის აზრის გათვალისწინებითა და საოლქო მილიციის ხელმძღვანელ ტატაშ მარშანიას დამსახურებით დაადგინა, უარი ეთქვა რუსეთის ეკლესიასთან შეერთებაზე.

იქვე გადაწყდა, დაეარსებინათ კომისია, რომელიც გამოარკვევდა, ჰქონდათ თუ არა აფხაზებს ავტონომიური ეკლესიის შენახვის შესაძლებლობა და რა დამოკიდებულება უნდა დაემყარებინა მას საქართველოს ეკლესიასთან ძირითადი საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში. კრებაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ვასილ გაბაშვილის, დავით ნიჟარაძისა და შალვა ქარუმიძის სიტყვებს (*ჟურნალები*, 2016: 133-135; პაპასქირი, 2007: 8).

აღნიშნულიდან გამომდინარე, 28 მაისს თბილისში მოსული დეპეშა აფხაზების მიერ საქართველოს ეკლესიისკენ გადადგმულ შუალედურ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, გავიხსენოთ 1916 წლის გაზაფხულზე თბილისში ალექსანდრე შარვაშიძის მეთაურობით აფხაზთა დელეგაციის ვიზიტი. ისინი ხელისუფალთაგან ითხოვდნენ, არ დაეშვათ ქართველთა და აფხაზთა პოლიტიკური და ეკლესიური ერთობის რღვევა; სოხუმის ეპარქიის მოსახლეობა ქართული კულტურისაგან არ ჩამოეცილებინათ და აფხაზეთის ეკლესიებში საღვთისმეტყველო ენად ქართული დაენერგათ (პავლიაშვილი, 2000: 80, 152; ბუბულაშვილი, 2011: 25-26). თუმცა, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ვითარება შეცვლილი იყო. სეპარატისტული ძალები საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოშორებას ესწრაფოდნენ, რის გამოვლინებასაც 1917 წლის 24-27 მაისის კრებაც წარმოადგენდა (იმავე წლის 7-8 ნოემბერს ჩატარებულ აფხაზთა სახალხო კრებასთან ერთად) (პაპასქირი, 2007: 8-9).

სეპარატისტთა მცდელობის მიუხედავად, 1918-1919 წწ. აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის იურისდიქცია გავრცელდა და საქართველოს ეკლესიის უფლებები აღდგა.

მისიონერი იგნატიევი თხზულების „*შეხვედრას გაუმარჯოს*“ და-

1. 1913 წელს დასახელებულია ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის რწმუნებულად („*იმერეთი*“, 1913: 3), „*კავკასიის კალენდრის*“ 1917 წლის გამოცემაში – კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის საგანგებო ნაწილის სასამართლოს განყოფილების საქმის მწარმოებლად („*Кавказский календарь*“, 1916, 43).

საწყისში მიმართავს მთავარეპისკოპოს ალექსს და საქართველოში ეგზარქოსად მის პირველად ჩამოსვლასთან დაკავშირებით წერს: „*იმპერატორის ძლევამოსილი ნება-სურვილით და უწმინდესი სინოდის ლოცვა-კურთხევით თქვენ არჩეული ხართ ძველი ივერიის, საქართველოს წმ. კათედრაზე, სადაც ქრისტეს სწავლების პირველი მანათობლები იყვნენ წმ. მოციქული ანდრია (54 წ.) და წმ. ნინო (318 წ.), რომელთა საქმიანობასაც გულმოდგინედ აგრძელებდა წმ. თამარი, საქართველოს განთქმული მეფე (1156-1213). ახლა თქვენ ჩამოხვედით საქართველოს დედაქალაქ თბილისში და, პირველყოვლისა, შეხვედით სიონის ძველ ტაძარში, რომელიც ინახავს წმ. ნინოს თმებით შეკრულ ჯვარს.*

აქ ანთებული სანთლებით, გალობითა და მრავალჟამიერით მოგესალმათ მთელი სამღვდელოება ეპისკოპოსების მეთაურობით, როგორც მოკლულ მღვდელმთავარ ნიკონის და უდროოდ გარდაცვლილ მთავარეპისკოპოს ინოკენტის ღირსეულ მემკვიდრეს, ... სიონის ტაძრიდან თქვენ საზეიმო განწყობით, ჯვრის წინამძღვრობითა და სასულიერო პირთა თანხლებით გაემართეთ ეგზარქოსის სახლისაკენ, სადაც მოგესალმნენ სამხედრო ხელმძღვანელები, ქალაქის მეთაურები, მოქალაქეები და სამღვდელოება. მე, როგორც ძველ მებრძოლს, ღვთის ეკლესიის ქომაგსა და მისიონერს, მქონდა გაბედულება, წარვმდგარიყავი თქვენ წინაშე. ახლა გთხოვთ, მიიღოთ ჩემი შვილობრივი მგზნებარე სალამი და ჩემი თხზულებანი საქართველოს ეკლესიის სასიკეთოდ. თქვენს ლოცვებს მინდობილი...“ (Игнатьев, 1917: [32]).

საქართველოს ეგზარქოსთაგან მთავარეპისკოპოსი ალექსი II (მოლჩანოვი) მღვდელმთავრობდა 1913-1914 წწ. სწორედ ის იყო 1908 წ. მოკლულ ეგზარქოს ნიკონისა (სოფიისკი) და 1913 წ. გარდაცვლილ ეგზარქოს ინოკენტის (ბელიაევი) მემკვიდრე. მისალმება დაწერილია მღვდელმთავრის თბილისში ჩამოსავლის შემდეგ, მაგრამ მოხმობილ ამონარიდში ნახსენები თხზულებები ჩვენს ხელთ არსებული, 1917 წლით დათარიღებული კრებული არ შეიძლება იყოს, რადგან ეგზარქოსი ალექსი 1914 წელს გარდაიცვალა.

აღნიშნული თხზულებიდან ძალიან მნიშვნელოვანია ავტორის მიერ საქართველოს განმანათლებლად ანდრია პირველწოდებულის აღიარება და თბილისის მოხსენიება საქართველოს დედაქალაქად.

მისიონერ იგნატიევის თხზულებათა განხილვის შედეგად ვასკვნით, რომ ის საქართველოს წარსული დიდებულებისა და თანადროული მძიმე ვითარების წარმოჩენით მომავლისადმი უიმედობის დანერგვას ცდილობდა. „*მისიონერი*“ რუსეთის ქვეშევრდომობაში საქართველოს შენარჩუნების იდეას ემსახურებოდა. ამ ფონზე საკვირველია მისგან საქართველოს ეკლესიის მოციქულებრივი წარმოშობისა და საქართველოს დედაქალაქად თბილისის აღიარება.

თხზულებებში ჩანს, რომ ავტორი საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების საქმის კურსში იყო და, ძირითადად, სიზუსტით აღწერა ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებული ფაქტები, მაგრამ სუბიექტურობა გამოიჩინა და ყველა მოვლენის ანალიზი რუსული თვითმპყრობელობის ინტერესებიდან გამომდინარე მიაწოდა მკითხველს. ეს გასაკვირი არც არის, რადგან სამისიონერო საქმიანობა მას ადგილზე იმპერიის პოლიტიკის გატარებას ავალებდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბუბულაშვილი, 2008 – ელდარ ბუბულაშვილი, *კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მოღვაწეობის ისტორიიდან*, კრებულში „*ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*“, 1 (3).
2. ბუბულაშვილი, 2011 – ელდარ ბუბულაშვილი, *საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და აფხაზეთი*, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალში „*რელიგია*“, თბილისი.
3. ეპ. ლეონიდე – ეპისკოპოსი ლეონიდე, *ქართველი წმინდანების დღეები, ქადაგებანი* (ექვთიმე კოჭლამაზაშვილის წინასიტყვაობით).
4. ეპ. ლეონიდე, 1914 – ეპისკოპოსი ლეონიდე, *სიტყვანი და მოძღვრებანი*, წ. I, *ქართველი წმინდანების დღეები*, ფოთი.
5. „*იმერეთი*“ 1913 – გაზეთი „*იმერეთი*“, 31.05.1913, №68.
6. ლიტ. მუზ. არქ. ნ. თალაქვაძის ფ., რვ. I-II: – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის არქივი, ნიკიტა თალაქვაძის ფონდი, *მემუარები*, რვ. I-II.
7. პავლიაშვილი, 2000 – ქეთევან პავლიაშვილი, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917–1921 წლებში*, თბილისი.
8. პაპასქირი, 2007 – ზურაბ პაპასქირი, *ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან*, II.
9. *ჟურნალები*, 2016 – *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები (1917 წ. 13 მარტი–14 სექტემბერი)*, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა ნინო შიოლაშვილმა და ირინა არაბიძემ, თბილისი.
10. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 481 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 481.

11. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 482 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 482.
12. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6506 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 6506.
13. „*საქართველო*“, №76 – გაზეთი „*საქართველო*“, 8.04.1917, №76.
14. „*საქართველო*“, №77 – გაზეთი „*საქართველო*“, 9.04.1917, №77.
15. „*საქართველო*“, №142 – გაზეთი „*საქართველო*“, 2.07.1917, №142.
16. „*საქართველო*“, №179 – გაზეთი „*საქართველო*“, 15.08.1917, №179.
17. სეა, სცა, ფ. 489, აღწ. 1, ს. 59442 – საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, აღწ. 1, ს. №59442.
18. სეა, სცა, ფ. 1701, აღწ. 1, ს. 47 – საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1701, აღწ. 1, საქმე 47.
19. სეა, სცა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 149 – საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2080, აღწ. 1, საქმე 149.
20. სეა, სცა, ფ. 488 აღწ. 1, ს. 23248 – საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 488, აღწ. 1, საქმე 23248.
21. ცინცაძე, *მოგონებებიდან* – კალისტრატე ცინცაძე, *ჩემი მოგონებებიდან*, ჟურნალში „*საღვთისმეტყველო კრებული*“, 1987, №3.
22. „*ცნობის ფურცელი*“, №1586 – გაზეთი „*ცნობის ფურცელი*“, 19.09.1901, №1586.
23. „*ცნობის ფურცელი*“, №1697 – გაზეთი „*ცნობის ფურცელი*“, 14.01.1902, №1697.
24. „*ცნობის ფურცელი*“, №1700 – გაზეთი „*ცნობის ფურცელი*“, 18.01.1902, №1700.
25. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ვ. კარბელაშვილის ფ., ს. 664 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, საქმე 664.
26. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ. კ. ცინცაძის ფ., ს. 102 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე 102.
27. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 113 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე 113.
28. „*Возрождение*“, №34 – გაზეთი „*Возрождение*“, 21.05.1917, №34.
29. Игнатьев, 1917 – Ф. В. Игнатьев, *Автокефалия Грузии*, Российская Национальная библиотека (СП).
30. „*Кавказский календарь*“, 1916 – „*Кавказский календарь на 1917*“, Тифлисъ.
31. „*Кавказъ*“, №140 – გაზეთი „*Кавказъ*“, 25.06.1911, №140.
32. „*Кавказъ*“, №120 – გაზეთი „*Кавказъ*“, 2.06.1917, №120.

33. „*Курьер-Копейка*“, №1 – გაზეთი „*Курьер-Копейка*“, 1.01.1914, №1.
34. „*Курьер-Копейка*“, №9, – გაზეთი „*Курьер-Копейка*“, 12.01.1914, №9.
35. „*Курьер-Копейка*“, №10 – გაზეთი „*Курьер-Копейка*“, 14.01.1914, №10.
36. „*Курьер-Копейка*“, №14 – გაზეთი „*Курьер-Копейка*“, 18.01.1914, №14.
37. „*Курьер-Копейка*“, №15 – გაზეთი „*Курьер-Копейка*“, 19.01.1914, №15.
38. „*Петроградские Ведомости*“, №92 – გაზეთი „*Петроградские Ведомости*“, 1917, №92.
39. Скурат, 1994 – Константин Скурат, *История поместных православных церквей*, Москва.
40. Тарнава, 1917 – Михаил Тарнава, Краткий очеркъ истории Абхазской Церкви, Сухум.

Missionary Ignatiev about the autocephaly of the Church of Georgia

Saint Petersburg Public Library preserves the collection of missionary Ignatiev with the following works: „*Autocephaly of Georgia*“, „*Church Holiday*“, „*Easter Worship and Communion*“, „*Holy Cross*“, „*Who is a revolutionary? Jew or Christ?*“, „*Hygiene and History of Physical Exercises*“, „*Hello meeting*“, „*Baptism*“, „*Vladivostok Rebellion*“ and four poems under the common title: „*From the War in Japan*“. Only „*Georgia's Autocephaly*“, „*Church Holiday*“ and „*Hello meeting*“ refer to Georgia. His other works are related to missionary activities.

Based on the events described in the collection the work „*Autocephaly of Georgia*“ may have been composed during the period of the Transcaucasian Russian Church Council (started on May 25, 1917).

When discussing the above-mentioned works of missionary Ignatiev, we concluded that the author mainly accurately describes the facts that happened in connection with the restoration of the autocephaly of the Church of Georgia (March 12 (25), 1917), but shows subjectivity in their assessment and provides the reader with an analysis of all events based on the interests of Russian Empire. This is not surprising, because the missionaries, along with the spread of the faith, appeared to be the carriers of the Russian imperial policy.

Миссионер Игнатьев об автокефалии Грузинской Церкви (1917 г.)

В публичной библиотеке Санкт-Петербурга хранится сборник миссионера Ф. В. Игнатьева из девяти сочинений: „*Гр. Автокефалия“, „Церковное торжество“, „Пасхальные земние поклоны и причащения“, „Святой Крестъ“, „Кто революционер? Еврей или Христос*?“, „*Гигиена и история физических упражнений“, „Приветъ встреча“, „Баптизмъ“, „Владивостокский бунт“*, и четырёх небольших стихотворении с общим заглавием _ „*Изъ Японской войны“*.

Лишь сочинения „*Автокефалия Грузии“, „Церковное торжество“ и „Привет встреча“* относятся к Грузии. Остальные произведения связаны с миссионерской деятельностью.

Исходя из описанных явлений, сочинение „*Автокефалия Грузии*“ вероятно создана во время Закавкзского русского церковного собора, который начался 25 мая 1917 года.

Рассмотрев труды миссионера Игнатьева, пришла к заключению, что автор, в основном, чётко описывает факты, связанные с объявлением восстановления автокефалии Грузинской Церкви (12 (25) марта, 1917 г.), но во время оценки он субъективен и все явления анализирует с позиции интересов Российского самодержавия.

В общем, это не удивительно, поскольку миссионеры наряду с распространением или утверждением веры, были обязаны содействовать Российской самодержавной политике.

აფხაზეთის ეპარქიაში საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის აღდგენის საკითხისათვის

(მიტროპოლიტ ამბროსის (ხელაია) 1918 წლის 17 სექტემბრის მოხსენების მიხედვით)

1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირობებში 12 (25) მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენილად გამოცხადების შემდეგ ეკლესიის უფლებების განხორციელების პროცესი დიდ სირთულეებს წააწყდა. მას დაბრკოლებები შეუქმნა რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ 27 მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ეროვნული ნიშნით აღიარებამ, რაც საეკლესიო კანონების დარღვევას წარმოადგენდა. მთავრობა ზღუდავდა საქართველოს ეკლესიის უფლებების სრულად აღდგენას: ინარჩუნებდა ეკლესიის საქმეებში ჩარევის შესაძლებლობას და ამასთანავე ივერიის ძველი საკათოლიკოსოს ტერიტორიაზე მრევლს ეთნიკური ნიშნით ყოფდა.

27 მარტის აქტის კიდევ ერთი უარყოფითი მხარის შესახებ, რაც დადგენილებაში აღნიშნული არ იყო, პეტროგრადიდან ქართველები არაოფიციალური გზებით იტყობინებოდნენ. რუსულ და სხვა არაქართულ სამრევლოებში, რომლებიც რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში უნდა დარჩენილიყვნენ, მთავრობა აფხაზებსა და ამიერკავკასიელ ოსებსაც მოიაზრებდა.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა 27 მარტის აქტს პროტესტით შეხვდა, მაგრამ მის შეცვლას ვერ მიაღწია. აქტით გამოწვეული უარყოფითი შედეგის შესამსუბუქებლად 1917 წლის 17 აპრილს შემუშავებულ „*რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის ძირითადი დებულებების*“ §1-ს ავტოკეფალისტებმა დაურთეს შენიშვნა: „*მრევლებს აფხაზებისა და ამიერკავკასიის ოსების, რომელთაც ქართველებთან ერთად განუყოფელის საეკლესიო-ისტორიულის ცხოვრებით უცხოვრნიათ, შეუძლიათ, უკეთუ მოისურვებენ, საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში შემოვიდნენ*“ (*ჟურნალები*, 2016: 77).

პეტროგრადის მთავრობამ 1917 წ. 25 ივლისს დამტკიცებულ „*დებულებებში*“ აფხაზთა და ოსთა სამრევლოებისადმი აღნიშნული შეთავაზება ძალაში დატოვა. აქედან გამომდინარე, მათი საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში შესვლა ნებაყოფლობითი გახდა (*ჟურნალები*, 2016: 215; ГАРФ, ф. 1779, оп. 2, д. 1: 128-142).

წინამდებარე სტატიის მიზანია აფხაზეთში საქართველოს ეკლესიის უფლებათა აღდგენის ერთი ეტაპის წარმოჩენა და მის წარმატებით განხორციელებაში ჭყონდიდელ მიტროპოლიტ ამბროსის (ხელაია) წვლილის ჩვენება.

ჭყონდიდელი მიტროპოლიტის აფხაზეთში ვიზიტი, რომელიც 1918 წლის 31 აგვისტოდან 9 სექტემბრამდე გრძელდებოდა, გააშუქა გაზეთებმა: „*საქართველომ*“ და სოხუმში გამომავალმა „*Наше слово*“-მ („*ნაშე სლოვო*“) („*საქართველო*“, №183: 3-4; „*Наше слово*“, 1918: 2-3; გამახარია, 2012: 108-110).

აღნიშნულ ვიზიტს 17 სექტემბრის მოხსენება გაცილებით მრავალმხრივ წარმოგვიდგენს. ამავე დროს ის მნიშვნელოვანი წყაროა აფხაზეთისადმი საქართველოს ეკლესიისა და თვითონ მიტროპოლიტ ამბროსის დამოკიდებულების გასააზრებლად. მოხსენება განმსჭვალულია აფხაზებზე ზრუნვით, გამოკვეთილია აფხაზეთის მცხოვრებთა საჭიროებები; დასახულია მათი მოგვარებისა და აფხაზეთში საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებები.

მოხსენების განხილვა უნდა დაგვეხმაროს ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობის გაანალიზებაში, მით უმეტეს, რომ ამ ურთიერთობებს მრავალი მტერი ჰყავდა და ჰყავს.

1917 წლის 24-27 მაისს სოხუმში შედგა *სოხუმის ოკრუგის აფხაზი მართლმადიდებელი მოსახლეობის სასულიერო წოდებისა და არჩეულ საერო პირთა ყრილობა*. მისი ორგანიზატორები ბოლშევიკთა მხარდამჭერები იყვნენ და დელეგატთა უმრავლესობას ეკლესიასთან საერთო არაფერი ჰქონდა (გამახარია, 2005: 777-778; პაპასქირი, 2007: 8).

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობისთვის აღნიშნული შეკრების მზადების შესახებ წინასწარ გახდა ცნობილი და მისთვის საქართველოს ეკლესიის აზრის გასაცნობად წარმომადგენლები გაგზავნა.

ყრილობამ საქართველოს ეკლესიის დესპანებს ხალხის აზრის გათვალისწინებით მოუსმინა, მაგრამ საქართველოს ეკლესიის წიაღში დაბრუნების გადაწყვეტილება არ მიიღო, რუსეთის ეკლესიასთან შეერთებაც უარყო და ე. წ. აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. იმის გასარკვევად, შესწევდათ თუ არა ძალ-ღონე აღნიშნულის განსახორციელებლად, შეიქმნა კომისია (*ჟურნალები*, 133-134).

24-27 მაისის დადგენილებისაგან განსხვავებით, 1917 წლის ივნისში სამურზაყანოს სამღვდელოებამ საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის შემადგენლობაში შესვლის გადაწყვეტილება მიიღო. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის სრულად განხორციელება იქაც გაჭიანურდა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6675: 98; გამახარია, 2011: 5-8).

სრულიად საქართველოს I-მა საეკლესიო კრებამ (1917 წ. სექტემბერი), სხვა ეპარქიებთან ერთად, ცხუმ-ბედიის ეპარქიის აღდგენის დადგენილებაც მიიღო.

საკათოლიკოსო საბჭომ 1917 წ. 2 ნოემბრის სხდომაზე აფხაზეთში კათედრის აღდგენა გადადო, ვიდრე ადგილობრივები ამის სურვილს გა-

მოთქვამდნენ. მიტროპოლიტ ამბროსი ჭყონდიდელს, რომლის ეპარქიაზეც მიწერილი იყო აფხაზეთი, მიენდო ამ მხარეში გამგზავრება, მოსახლეობისთვის ახსნა, თუ რამდენად საჭირო იყო ქართველთა და აფხაზთა სარწმუნოებრივ-საეკლესიო კავშირი (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6675: 37).

ქართველ-აფხაზთა ეკლესიური ერთობის განახლებას ხელი შეუწყო 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ და იმავე წლის ივნისში დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და აფხაზთა სახალხო საბჭოს[1] შორის გაფორმებულმა ხელშეკრულებამ.

1918 წლის აგვისტოში აფხაზეთის პროქართულმა ინტელიგენციამ მიტროპოლიტი ამბროსი გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძის გარდაცვალებიდან ექვსი თვის თავზე პანაშვიდის გადასახდელად მიიწვია.

აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ შარვაშიძის ვაჟი – გიორგი – 1918 წლის 19 თებერვალს 71 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის იყო პუბლიცისტი, პოეტი, დრამატურგი, თერგდალეულთა იდეების თანამოზიარე, ქართველ-აფხაზთა ისტორიული ერთობის თავგამოდებული დამცველი (პაპასქირი, 2007: 7).

ანტიქართული ორიენტაციის მღვდელმა გიორგი თუმანოვმა აღნიშნულ მიწვევასთან დაკავშირებით ჭყონდიდელ მიტროპოლიტს დეპეშა გაუგზავნა. მან მღვდელმთავარს შესთავაზა, სოხუმში ჩასვლა იმ დროისთვის გადაედო, როცა თვითონ აფხაზი ხალხი მიიწვევდა და „*არა ხელოვნურად შექმნილი, აქამდე უცნობი ქართველ–აფხაზი ხალხი*“ (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6465: 103).

რუსეთის ხელისუფალთა მცდელობისა და ისტორიის სწორედ ასეთი გამყალბებლების საქმიანობის შედეგი იყო აფხაზეთის მკვიდრთა ნაწილის საქართველოსგან გაუცხოება.

მიტროპოლიტ ამბროსის მოგზაურობა აფხაზეთში 1918-1919 წლებში ქართველ-აფხაზთა დასაბამიდან ერთობის მტრების ნამოქმედართან გამკლავებას ისახავდა მიზნად.

1918 წლის ზაფხულში ვითარება გაართულა ალექსანდრე შარვაშიძისა და აფხაზთა სახალხო საბჭოს რამდენიმე წევრის მიწვევით თურქი ასკერების (ჯარისკაცები) აფხაზეთში შესვლამ. მათ მიზანს აფხაზეთიდან საქართველოს ხელისუფლების განდევნა წარმოადგენდა.

დესანტი დაახლოებით ათასი შეიარაღებული კაცისაგან შედგებოდა. მ. შ. იყვნენ მუჰაჯირთა შთამომავლები, რომლებიც ამბობდნენ, რომ საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნება სურდათ.

31 აგვისტოდან 9 სექტემბრამდე ჭყონდიდელის ვიზიტი სოხუმში

1. აფხაზთა სახალხო საბჭო 1917 წლის 7-8 ნოემბერს აფხაზთა სახალხო კრებაზე ჩამოყალიბდა და 1918 წლის 10 ოქტომბრამდე მოქმედებდა. აფხაზეთში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს მის არჩევაში მონაწილეობა არ მიუღიათ. დროთა განმავლობაში საბჭომ ორიენტაცია საქართველოსთან ურთიერთობაზე აიღო (კუპატაძე, 2018: 42).

სწორედ ასკერების მოქმედებათა შედეგად განვითარებულ მოვლენებს დაემთხვა.

აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრების აზრი ასკერებთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი იყო. სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ვარლამ შარვაშიძე კი 1918 წლის 19 ივლისის სხდომაზე საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს არწმუნებდა, რომ საბჭოს იმჟამინდელი შემადგენლობა თურქულ დესანტთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პოზიციას იზიარებდა (გამახარია, 1991: 65).

აფხაზეთიდან ასკერების განდევნისათვის ბრძოლას გენერალ-გუბერნატორი გიორგი მაზნიაშვილი ხელმძღვანელობდა. შეტაკებების დროს აფხაზთა რამდენიმე სოფელი დაზარალდა – გადაწვეს იმ მცხოვრებთა სახლ-კარი, რომლებიც ოსმალებთან ურთიერთობაში იყვნენ შემჩნეული, დასაჯეს მოწინააღმდეგეები, ბევრი მათგანი დააპატიმრეს და სხვ.

ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი მწვავე ვითარების მიუხედავად სოხუმში ჩავიდა. მას საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურების აღვლენის შესაძლებლობა რომ მისცემოდა, რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელ მეუფე სერგისთან (პეტროვი) გენერალ-მაიორმა გიორგი ამირეჯიბმა და აფხაზთა სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ვარლამ შარვაშიძემ იშუამდგომლეს.

მიუხედავად შეთანხმებისა, აფხაზეთის რუსმა მღვდელმთავარმა ტაძრის დათმობაზე საბოლოოდ მაინც უარი განაცხადა. მისი განმარტებით, ამას საფუძვლად ედო რუსეთის პატრიარქ ტიხონისაგან (1917-1925, ბელავინი) საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებთან ურთიერთობის აკრძალვა. საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა გიორგი გოლუბცოვმა,[1] როგორც თვითონ აღნიშნა, მღვდელმთავრის განკარგულების მიუხედავად, მეუფე ამბროსის ტაძრის გასაღები გადასცა.[2] მან ქართველი სასულიერო პირის მიერ გიორგი შარვაშიძისთვის გადახდილი პანაშვიდის მსახურებაში მონაწილეობაც მიიღო (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6465: 104-105).

აფხაზთა სახალხო საბჭო მხარეში შექმნილი ვითარების დასამშვიდებლად ჭყონდიდელის ავტორიტეტის გამოყენებას შეეცადა და მას სოხუმში მყოფ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ხელმძღვანელობასთან შუამდგომლობა სთხოვა. მათი საუბარი 1 სექტემბერს, წირვისა

1. დეკანოზი გიორგი სოხუმის საკათედრო ტაძარში 1895 წლიდან მსახურობდა; სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებას (1917-1918 წწ.) ესწრებოდა როგორც სოხუმის ეპისკოპოს სერგის (პეტროვი) მონაცვლე (*Обзор Деяний*: 22).

2. ჭყონდიდელმა მოხსენებაში აღნიშნა, რომ ეპ. სერგის მიერ თავდაპირველად გაცემული თანხმობით ისარგებლა და ღვთისმსახურება საკათედრო ტაძარში აღავლინა.

და პანაშვიდის შემდეგ შედგა მიტროპოლიტ ამბროსის პატივსაცემად მისი მასპინძლის, სამსონ ნინუას ოჯახში გამართულ ნადიმზე. აფხაზთა სახალხო საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად ნადიმზე მიპატიჟებული იყვნენ ქართველთა, ბერძენთა, პოლონელთა, უკრაინელთა ეროვნული საბჭოების წარმომადგენლები, საკათედრო ტაძრის დეკანოზი გიორგი გოლუბცოვი და სხვები (საპატრ. არქ., ს. 6465: 109).

სუფრასთან სტუმრების მიერ წარმოთქმული სიტყვები, როგორც მეუფე ამბროსი საკათოლიკოსო საბჭოსადმი მოხსენებაში აღნიშნავს, უმეტესად აფხაზ-ქართველთა ძმურ ერთობას ეხებოდა.

ჯოტო შარვაშიძემ სამურზაყანოს მდგომარეობის, მის მცხოვრებთა საქართველოსაკენ მისწრაფების შესახებ მეგრულად ისაუბრა. მეგრულად ისაუბრა მიტროპოლიტმა ამბროსიმაც სამურზაყანოს, როგორც ქართველ-აფხაზთა შემაკავშირებელი ხიდის მნიშვნელობაზე. ჯოტო შარვაშიძემ მეუფეს გადასცა თანხა, რომელიც პრემიის სახით უნდა მიეღო მას, ვინც აფხაზთა და ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შესახებ საუკეთესო ნაშრომს შექმნიდა[1] (საპატ. არქ., ს. 6465: 106).

ნადიმზე მყოფმა აფხაზებმა აფხაზთა და ქართველთა ერთმანეთისაგან დაშორება რუსებისა და თურქების პროვოკაციულ ქმედებათა შედეგად მიიჩნიეს. მათ მეუფეს თავიანთი საჭიროებანი გააცნეს და იმ ღონისძიებათა შესახებაც ისაუბრეს, რომელთა გატარებას ქართველებთან ურთიერთობის განმტკიცებისთვის თვლიდნენ საჭიროდ. სახალხო საბჭოს წარმომადგენელების აზრით, იმ პერიოდში კოდორში საქართველოს ჯარი „*მკაცრად მოქმედებდა აფხაზეთის საწინააღმდეგოთ*“; ეს სიმკაცრე, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა შერბილებულიყო (საპატრ. არქ., ს. 6465: 107, 109, 110).

მიტროპოლიტი ამბროსი მათ არწმუნებდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მუჰაჯირების დაბრუნების წინააღმდეგი არ იქნებოდა. ბრძოლის საჭიროებას ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსული ასკერები და მათ მიერ შემოტანილი იარაღი განაპირობებდა. მეუფემ აფხაზთა წარმომადგენლებს დახმარება აღუთქვა, ამასთან სთხოვა, მომავალში ასკერების შემოშვებით მდგომარეობა აღარ გაემწვავებინათ (საპატ. არქ., ს. 6465: 107).

მღვდელმთავარი პოლიტიკაში ამ შემთხვევაშიც სწორად ერკვეოდა. ჯერ კიდევ ამიერკავკასიის დემოკრატიული, ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში აკაკი ჩხენკელი თურქებთან მომავალ ხელშეკრულებაში მუჰაჯირთა დაბრუნების შესახებ მუხლის შეტანას

1. საკათოლიკოსო საბჭომ 1 ოქტომბერს ჯოტო შარვაშიძისათვის მადლობის გადახდისა და ნაშრომის შესაქმნელად კონკურსის გამოცხადების დადგენილება გამოიტანა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6475: 642).

აპირებდა. მოგვიანებით, 1920 წ. აპრილში თურქეთში საქართველოს მისიის ხელმძღვანელ გრიგოლ რცხილაძის შუამდგომლობით პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის მეთაურმა ნიკოლოზ ჩხეიძემ მოკავშირე სახელმწიფოების უმაღლესი საბჭოს წინაშე დასვა კიდეც აღნიშნული საკითხი (გამახარია, 1991: 80-82, დამოწმებული გამახარია, 2018: 233-234).

ჭყონდიდელისთვის სამხედრო ხელმძღვანელობასთან საშუამდგომლო პუნქტების გადაცემამდე კოდორის ხეობაზე ქართული ჯარის ახალმა შეტევამ ვითარება კიდევ მეტად გაართულა. ამის შემდეგ ვ. შარვაშიძემ შუამდგომლობის აღძვრა უსარგებლოდ ჩათვალა (იქვე).

ქართული ჯარის კოდორში მოქმედება დეკანოზმა დიმიტრი მარღანიამ (კოდორის ოლქის მთავარხუცესი) ახსნა პროვოკატორთაგან გავრცელებული ხმებით, თითქოს აფხაზები ოჩამჩირის გადაწვისთვის ემზადებოდნენ. სწორედ ამის აღსაკვეთად მიბრუნებულა უკან სამურზაყანოსკენ მიმავალი ჯარი (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 110).

აფხაზური მხარისაგან გამოთქმული უიმედობის მიუხედავად, მეუფე ამბროსიმ 3 სექტემბერს საავადმყოფოში ინახულა მძიმედ დაჭრილი პოლკოვნიკი გიორგი თუხარელი. აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორი გიორგი მაზნიაშვილი იმ დროს ტუაფსეში იყოფებოდა. მათი საუბრის შესახებ, გარდა ჭყონდიდელის მოხსენებისა, ინფორმაციას გვაწვდის გაზეთი „*Наше слово*“.[1]

მეუფე ამბროსიმ თუხარელთან საუბარში ეჭვმიტანილებთან ლმობიერი მოპყრობის საჭიროება იმით დაასაბუთა, რომ ისინი თურქოფილურ ავანტიურაში შეცდომით, პროვოკატორების მიერ იყვნენ ჩართულნი („*Наше слово*“, 1918: 2).

ჭყონდიდელს ცნობები ამ უკანასკნელთა ვინაობის შესახებაც ჰქონია, მაგრამ მათი დასახელება თავისი ხარისხის შესაფერად არ ჩათვალა. მიტროპოლიტი ამბროსი სისასტიკითა და ხალხის ციხეებში ჩაყრით სასურველი შედეგის მიღების შესაძლებლობას უარყოფდა. მან პოლკოვნიკს სამ-პუნქტიანი შუამდგომლობა[2] გადასცა და სთხოვა, დროებით მაინც, ვითარების საბოლოო გარკვევამდე, მკაცრი ზომების გატარება შეეწყვიტათ, ნაკლებ დანაშაულში ეჭვმიტანილნი გაეთავისუფლებინათ (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6465: 110-111).

სამხედრო ხელმძღვანელის მხრიდან გაჟღერებული ინფორმაციით, სოხუმში ანტიქართული ორგანიზაცია არსებობდა და მას რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელი, ეპისკოპოსი სერგი (პეტროვი) მეთაურობ-

1. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სოხუმის კომიტეტის ორგანო. გაზეთის 1918 წლის 5 სექტემბრის ნომერი დაცულია საპატრიარქოს არქივში, საქმე 6465-ში.
2. შუამდგომლობის პუნქტები გაერთიანებულია I და II რეკომენდაციებში, იხ. ქვემოთ.

და. მასთან ბოლშევიკები სათათბიროდ იკრიბებოდნენ და თავშესაფარსაც პოულობდნენ. ყოველგვარი ქართულის წინააღმდეგ განწყობილი მღვდელმთავარი საქართველოს ჯართან შესაბმელად მიმავალ ბოლშევიკებს ლოცავდა, მათთვის კოდორის ხეობამდე მისასვლელად თავისი ეტლიც კი დაუთმია (საპატ. არქ., ს. 6465: 111).

პოლკოვნიკმა მიტროპოლიტ ამბროსის შუამდგომლობის სამივე პუნქტის შესრულება აღუთქვა. მისი ბრძანებით ოჩამჩირეში დეპეშა გაეგზავნა ვიცე-პოლკოვნიკ ვასილ კარგარეთელს: „*ჩემს ჩამოსვლამდე შეაჩერეთ დამნაშავე პირთა დახვრეტა და სახლების გადაწვა. მიიღეთ ყველა ზომა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ძალის გამოყენების აღსაკვეთად. გამოიყვანეთ ჯარები იმ ადგილებიდან, სადაც მათი ყოფნა მშვიდობიან მოსახლეობაში მძიმედ აღიქმება. ყურადღება მიაქციეთ, რომ ცალკეული ნაწილების უფროსებმა მკაცრად იხელმძღვანელონ აღნიშნული ბრძანებით*“ (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6465: 111).

მეორე დეპეშით თუხარელი მოითხოვდა *კოდორის უბნიდან დაპატიმრებული იმ აფხაზი გლეხების სიას, რომლებიც დიდ დანაშაულში არ იყვნენ მხილებულნი და რომელთა გათავისუფლებაც შესაძლებელი იქნებოდა მიტროპოლიტ ამბროსის შუამდგომლობიდან გამომდინარე* (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6465: 111; „*Наше слово*“, 1918: 2).

მიღებული ინფორმაციების საფუძველზე პოლკოვნიკ თუხარელს აფხაზურ-თურქულ ავანტიურაში მონაწილეობის ეჭვის საბაბით დაპატიმრებული რვა აფხაზი მეორე დღესვე გაუთავისუფლებია (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6465: 111; „*Наше слово*“, 1918: 3).

ისტორიკოსი ჯემალ გამახარია მიუთითებს, რომ აღნიშნული ვიზიტის დროს საეკლესიო მსახურებამ, წარმოთქმულმა ქადაგებებმა და სიტყვებმა „*კიდევ ერთხელ მკაფიოდ წარმოაჩინეს მიტროპოლიტ ამბროსის, როგორც გამოჩენილი სასულიერო, ეროვნული და საზოგადო მოღვაწის, დიდი მამულიშვილის პიროვნება, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა პოლიტიკის რთულ ლაბირინთებშიც და სახალხო დიპლომატიაშიც*“ (გამახარია, 2012: 110).

საკათოლიკოსო საბჭომ მეუფე ამბროსის 1918 წლის 17 სექტემბრით დათარიღებული მოხსენება 19 სექტემბერს განიხილა (საპატ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 108-113; იქვე, ს. 6675: 614-628).

მიტროპოლიტ ამბროსის ამ მოხსენებით სურდა, ეკლესიის უმაღლესი ორგანოს ყურადღება მიექცია აფხაზეთში არსებული პოლიტიკური ვითარებისა და სარწმუნოებრივი მდგომარეობისთვის. ჭყონდიდელმა იქვე წარმოადგინა ამ მხარესთან პოლიტიკური და ეკლესიური ერთობის განმტკიცებაში საქართველოს ეკლესიის მისიის აღსრულებისთვის საჭირო რვა რეკომენდაცია. მათ შორისაა აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრების მიერ შედგენილი სამი პუნქტიც.

პირველ რიგში (I და II რეკომენდაცია), ჭყონდიდელი მიტროპოლიტი საკათოლიკოსო საბჭოს აფხაზთა ინტერესების დასაცავად საერო ხელისუფალთა წინაშე შუამდგომლობას ურჩევდა. აფხაზეთში მყოფი ქართული ჯარის მიერ განხორციელებული სადამსჯელო ღონისძიებები შესაძლებლობის ფარგლებში უნდა შერბილებულიყო. აქვე იყო აღნიშნული სამხედრო ოპერაციათა შედეგად ხალხისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების საჭიროება (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 112).

ქართული ჯარის მოქმედებებთან დაკავშირებით რესპუბლიკის მთავრობასთან საკათოლიკოსო საბჭოს შუამდგომლობის შესახებ დადგენილება არ გამოტანილა. შესაძლებელია, იმიტომაც, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით ვარლამ შარვაშიძის მიერ მიწოდებული ინფორმაციის[1] საფუძველზე 3 სექტემბერს უკვე შექმნა რესპუბლიკის სამხედრო ნაწილების მოქმედების, დაპატიმრებების საკითხის შემსწავლელი, ზარალის აღმნუსხველი საგანგებო კომისია. მეუფე ამბროსის მიერ აფხაზთა ინტერესების დასაცავად გადადგმული ნაბიჯების შედეგიანობაზე კი, როგორც აღვნიშნეთ, აფხაზეთში გამოცემული გაზეთიც იუწყებოდა.

ჭყონდიდელის III რეკომენდაცია საკათოლიკოსო საბჭოს მხრიდან აფხაზთა მატერიალურ დახმარებაზე ზრუნვას შეეხებოდა. მიტროპოლიტი ამბროსი ქართველ-აფხაზთა საეკლესიო და პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცების საქმეში ამ დახმარების მორალურ მნიშვნელობაზეც მიუთითებდა.

სრულიად საქართველოს II საეკლესიო კრებამ (1920 წ.) მართლაც დააწესა მორწმუნეთა შორის ნებაყოფლობითი შეწირულობის შეგროვება აფხაზეთში ქრისტიანობის განმტკიცების საჭიროებისათვის. კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდმა მას *„დიდმნიშვნელოვანი დადგენილება“* უწოდა და შეწირულობის შეგროვების პერიოდი ყოველწლიურად აღდგომიდან სულთმოფენობამდე განსაზღვრა (საპატრ. არქ., ს. 1337: 1).

საკათოლიკოსო საბჭოსადმი ჭყონდიდელის შემდგომი რჩევის მიხედვით (IV რეკომენდაცია) საერთო საქმისათვის აუცილებელი იყო საკათოლიკოსო საბჭოში აფხაზი სასულიერო პირის მიწვევა. მას საქართველოს ეკლესიის მმართველ ორგანოში აფხაზების სულიერ მოთხოვნილებათა შესახებ რეალური წარმოდგენის შექმნაზე უნდა ეზრუნა.

---

1. ვარლამ შარვაშიძე საქართველოს მთავრობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქმედითი ღონისძიებების გატარებისაკენ მოუწოდებდა. 7 სექტემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ მის წერილში მითითებულია, რომ სამხედროები სახელს უტეხდნენ როგორც საქართველოს მთავრობას, ისე აფხაზთა სახალხო საბჭოს, რადგან ხალხი თვლიდა, რომ ისინი საბჭოს დადგენილების შესაბამისად მოქმედებდნენ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1918: 3-4).

მღვდელმთავარი ამ საქმისათვის პიროვნების შერჩევას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ის განათლებული, აფხაზთა შორის გავლენიანი და პატივცემული უნდა ყოფილიყო. საკათოლიკოსო საბჭოს მხრიდან აფხაზთა მიმართ ასეთი ყურადღება აფხაზ-ქართველთა ერთობის საქმის საბოლოო გადაწყვეტას მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს.

მეუფე ამბროსი ფიქრობდა, რომ საკათოლიკოსო საბჭოში აფხაზთა წარმომადგენლობა შეიძლებოდა დეკანოზ დიმიტრი მარღანიას გაეწია. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მას ამის შესახებ დეკანოზ დიმიტრისთან საუბარიც ჰქონდა და ფიქრობდა, რომ ის დათანხმდებოდა, თუ მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნებოდა (საპატრ. არქ., ს. 6465: 112).

მოხსენების შავ პირში დეკანოზ დიმიტრის შესახებ მოსაზრება გადახაზულია. მიუხედავად ამისა, საკათოლიკოსო საბჭოს ეს ნაწილიც განუხილავს, რადგან დეკანოზ დიმიტრის მიწვევის შესახებ დადგენილება გამოტანილია. მისთვის საკათოლიკოსო სახლის პირველ სართულზე ბინაც კი გამოიყო (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 112; იქვე, ს. 6675: 614, 627).

დეკანოზ დიმიტრი მარღანიასთვის გაგზავნილი დეპეშის შავ პირში აღნიშნულია, რომ საკათოლიკოსო საბჭო წინადადებას აძლევს მას, სამი თვით ჩამოვიდეს თბილისში. შეთავაზებული პირობები ასეთი იყო: შეუნარჩუნდებოდა სამრევლო, სადაც მსახურობდა, დაენიშნებოდა ხელფასი – 500 მანეთი და უზრუნველყოფილი იქნებოდა საცხოვრებელი ბინით. დეკანოზმა დიმიტრიმ ამ შეთავაზებაზე უარი თქვა, რის მიზეზადაც მატერიალური სახსრები და ოჯახური პირობები დაასახელა (საპატრ. არქ., ს. 689: 8-9; გამახარია, 2006: 225).

შემდეგი საკითხი (V რეკომენდაცია), რომელზეც მეუფე ამბროსი ყურადღებას ამახვილებდა, აფხაზეთში მოღვაწეობისთვის სამღვდელო პირთა მომზადებას შეეხებოდა. ამაზე აქამდეც უნდა გვეზრუნა და დაყოვნება არ ივარგებსო, – აღნიშნავდა იგი.

ჭყონდიდელი მიტროპოლიტის კანდიდატურას დეკანოზ დიმიტრი მარღანიას შვილი წარმოადგენდა, რომელიც იმ დროისთვის აფხაზეთის რეალური სასწავლებლის V კლასში სწავლობდა და სწავლის გაგრძელებას თბილისის სასულიერო სემინარიაში აპირებდა. მღვდელმთავარს სასურველად მიაჩნდა, სემინარიაში სწავლის პერიოდში მისთვის სტიპენდია დაენიშნათ; საქართველოს ეკლესიის ზრუნვას აფხაზთა შვილების აღზრდა-განათლებაზე ქართველ-აფხაზთა ეკლესიური ერთობის განმტკიცებისთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა (საპატრ. არქ., ს. 6465: 112).

ჭყონდიდელი მიტროპოლიტის მოხსენებაში წამოწეული იყო აფხაზეთის ეპარქიაში ღვთისმსახურების ეროვნული ელფერის შენარჩუნების საჭიროება (VI რეკომენდაცია). აფხაზებს სჭირდებოდათ გარანტია, რომ მათ ზნე-ჩვეულებებს, ეროვნებას და ენას არავინ შე-

ეხებოდა. მეუფე ამბროსი ამასთანავე აღნიშნავდა, რომ აფხაზებს ესაუბრა საქართველოს ეკლესიის მისწრაფებაზე – ემსახუროს ქრისტიან აფხაზთა სარწმუნოებრივი განმტკიცებისა და არა აფხაზთა ეროვნული გადაგვარების საქმეს, რასაც ცდილობდა რუსეთის ეკლესია (საპატრ. არქ., ს. 6465: 112).

სხვადასხვა ეროვნების მართლმადიდებელთა თვითმყოფადობის შენარჩუნების საკითხისადმი საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულების საკითხზე მიტროპოლიტმა ამბროსიმ საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურების აღვლენისა და გიორგი შარვაშიძისათვის პანაშვიდის გადახდის შემდეგ ისაუბრა:

„თვითოეულ ხალხს აქვს თავისი ზნე-ჩვეულებანი, მიდრეკილებანი, თავისი ეკლესიური ტრადიციები. არავის არა აქვს უფლება, მათ შეეხოს და შეცვალოს, მოსპოს, ვითომ იმისათვის, რომ ეკლესიაში დაამკვიდროს ერთიანობა მღვდელმსახურებისა. ეს არ იქნება გამომხატველი სარწმუნოებრივი ერთიანობისა თანასწორთა შორის... ნაციონალური განსხვავებანი შენახული უნდა იქმნენ. თითოეულ ხალხმა უნდა ადიდოს ღმერთი თავის დედაენაზე... ძენი ივერიის ეკლესიისანი... არასდროს დევნიდნენ სხვის რწმენას. ისტორია არ გვაძლევს ენის დევნულობის მაგალითებს, პირიქით, აღსანიშნავია ამ მხრივ ფართე თავისუფლება როგორც საერო, ეგრეთვე ეკლესიურ-სარწმუნოებრივ სფეროშიც... ამნაირია ქართველი ერის მიმართულება ახლაც. ამნაირივეა ქართული ეკლესიის მისწრაფება. ის არ ფიქრობს სხვის გადაგვარება-გაქართველებაზე, ის მუდამ ხელს უწყობს, რომ ყველა ერმა შეინახოს თავისი ეროვნული სახე, თავისი ვინაობა“ (*წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი*, 2006: 214-215).

იქვე მიტროპოლიტმა ამბროსიმ აფხაზებს შეახსენა გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) სურვილი სემინარიაში აფხაზური ენის კათედრის გახსნისა (1873 წელი). სურვილის განხორციელებას ხელი შეუშალა აფხაზურის მცოდნე გამოცდილი მასწავლებლებისა და აფხაზურ ენაზე საეკლესიო ლიტერატურის არარსებობამ, ფინანსების უქონლობამ (*წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი*, 2006: 215, 399).

მღვდელმთავარმა ასევე გაიხსენა ეპისკოპოს კირიონის მოღვაწეობა, რომელიც აფხაზეთში რუსიფიკატორთა პოლიტიკას დაუპირისპირდა და აფხაზურ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღებისა და ბიბლიის თარგმნისთვის იღვწოდა (*წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი*, 2006: 215, 399-400).

ამ მხრივ ეპისკოპოს კირიონის საქმიანობასთან დაკავშირებით ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ჯანაშია ჯერ კიდევ 1909 წელს წერდა: *„ქართველებს თავის ზურგზე ძალიან კარგად გამოუცდიათ, თუ რა არის*

ეროვნული დევნა, და ეს მწარე გამოცდილება თავმდებია იმისა, რომ თვითონ არ იკისრებს იმავე ჯალათის როლს, მერე ჯალათის არა ერთი ადამიანისა, არამედ მთელი ხალხისას! და რამდენადაც საქმესთან გაცნობილი ვარ, ჯერ ერთს ქართველს არ უთქვამს: აფხაზნო, ნუ გინდათ საკუთარი მწერლობა, ჩვენი იკმარეთო! პირიქით, ეპისკოპოს კირიონს არ დააცალეს, თორემ უნდა სერიოზულად მოეკიდა ამ საქმისთვის ხელი, გაიხსენეთ ბატონი ი. გოგებაშვილის წერილიც. სხვა საკითხია, შეიძლება თუ არა მწიგნობრობის არსებობა იმ ენაზე, რომელზედაც 40 ათასი სული ლაპარაკობს" (გამახარია, 2005: 672).

მიტროპოლიტი ამბროსი აფხაზ-ქართველთა ურთიერთობას ადარებდა თაიგულს. იგი ამბობდა: „*საამო სუნის ყვავილები თუმცა შედიან თაიგულში, როგორც მისი ელემენტები, მაგრამ თავის სპეციფიკურ თვისებას კი არ ჰკარგავენ და, ამავე დროს, ყველანი ერთად შეადგენენ ერთ საუცხოო და მშვენიერ თაიგულს*" („*საქართველო*", №183: 2).

რეკომენდაციათა VII პუნქტში ჭყონდიდელი ყურადღებას ამახვილებს რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელთა საქმიანობაზე. იგი აღნიშნავს: სოხუმის საკათედრო ტაძარში ჯერ კიდევ ლოცულობენ რუსეთის მთავრობისთვის და ამას საქართველოს ხელისუფლებამ ყურადღება უნდა მიაქციოს. დეკანოზ გიორგი გოლუბცოვს სოხუმში ცხოვრების უფლება საქართველოს მთავრობამ დაუბრუნა, ის კი ლოცვა-კურთხევას რუსეთის მთავრობის კეთილდღეობისთვის აღავლენს. ასეთი ვითარება მორწმუნეებმა, შესაძლოა, ხელისუფლების სისუსტეს მიაწერონ. ეკლესიაში უმრავლესობის – ქვეშევრდომების – უფლებები უნდა იქნეს დაცული და რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი ეპისკოპოსი, ეროვნების მიუხედავად, საქართველოს ეკლესიას ანგარიშს უნდა უწევდეს (საპატრ. არქ., ს. 6465: 112).

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ ეკლესიის სასიკეთოდ გადადგმულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა 1918 წლის ბოლოს სახელმწიფო ხაზინაში მიტროპოლიტ ამბროსის სახელზე თანხის გამოყოფა აფხაზეთის 56 ეკლესიისთვის. მათგან სოხუმის საკათედრო ტაძრის კრედიტი ჭყონდიდელმა თავისი ნებით შეაჩერა, რადგან ის ქართული კრებულისთვის იყო განკუთვნილი, ეპისკოპოს სერგის განკარგულებით კი ტაძარში ქართული წირვა-ლოცვა აკრძალული იყო (საპატრ. არქ., ს. 463: 16-18; გამახარია, 2005: 798-799).

მიტროპოლიტი ამბროსი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა აფხაზეთში ეპარქიის ამოქმედებას, რაც საეკლესიო კრების მიერ უკვე დაგეგმილი იყო. მისი აზრით, მღვდელმთავრობის კანდიდატს აუცილებლად უნდა სცოდნოდა აფხაზური თუ არა, მეგრული მაინც, რადგან აფხაზეთში ბევრი მეგრელი ცხოვრობდა და მეგრული აფხაზებსაც ესმოდათ.

კათედრის სახელწოდებაშიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული სიტყვა „*აფხაზეთი*“[1] – ეს მორწმუნეთა მოთხოვნას წარმოადგენდა (საპატრ. არქ., ს. 6465: 113).

მოხსენების მეშვიდე პუნქტში ასევე აღნიშნულია, რომ რუსულმა ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარში რუსების სამსახურზე უარი თქვა. ისინი საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნებას ელოდნენ.

ჭყონდიდელი მიტროპოლიტი საკითხთან დაკავშირებით აფხაზთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის აზრსაც გადმოგვცემს, რომელიც, ზოგადად, სამშობლოს ინტერესების დამცველთა აზრის გამომხატველია. ვარლამ შარვაშიძეს გაზეთ „*Наше слово*“-ს №86-ში აღუნიშნავს, რომ ისინი, ვინც ჩვენს ქვეყანაში სტუმრად თვლიდნენ თავს, საქართველოს მოქალაქის უფლებებით არც უნდა ყოფილიყვნენ აღჭურვილი (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465: 112-113).

მართლაც, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 1919 წლის 27 მაისის დადგენილებით, პოლიტიკური უფლებები მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეებს მიენიჭათ (*კანონთა კრებული*, 1919: 132-134).

მიტროპოლიტ ამბროსის VIII რეკომენდაცია აფხაზეთში მცხოვრები ქართველების სარწმუნოებრივ მდგომარეობას შეეხებოდა. ქართველთა ეკლესიურად მოწყობას შედეგი ექნება, როგორც ეროვნულად მათი განმტკიცებისთვის, ისე ქართველ-აფხაზთა ეკლესიური ერთობისთვის, – აღნიშნავდა ჭყონდიდელი. საბოლოოდ კი „*ეკლესიურ ერთობას აფხაზთა და ქართველთა შორის, როგორც თვით აფხაზთა წარმომადგენელნიც აღნიშნავდნენ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკური გაერთიანებისათვის*“ (საპატრ. არქ., ს. 6465: 113).

ამბროსი ჭყონდიდელის მოხსენების მიხედვით, სოხუმის ქართველი საზოგადოება, რომელიც ქალაქის მკვიდრთა თითქმის 2/3 შეადგენდა, წირვა-ლოცვის დედაენაზე მოსმენას, აფხაზების მსგავსად, მოკლებული იყო. სოხუმის საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურება მხოლოდ სლავურად აღევლინებოდა. ქართველთაგან აშენებულ სასაფლაოს წმ. გიორგის ეკლესიაშიც აღარ ისმოდა ქართული წირვა-ლოცვა.

აკოფო-კელასურში მეუფე ამბროსიმ მღვდელ-მონაზონი გიორგი (წულაია) და წებელდაში მღვდელ-მონაზონი თეოფილე (შავდია)[2] მიავლინა, რადგან შეიტყო, რომ იქ ქრისტიანები მოძღვრის გარეშე ყოფილან დარჩენილი (საპატრ. არქ., ს. 6465: 113).

აფხაზეთში 1918 წლის სექტემბრისთვის არსებული ვითარება, ჭყონ-

1. აფხაზეთში ეპარქიის აღდგენა 1917 წელს სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრებაზე ცხუმ-ბედიის ეპარქიის სახელწოდებით იყო დადგენილი (*დებულებანი*, 1917: 6).

2. მღვდელ-მონაზვნების: გიორგისა და თეოფილეს გვარების შესახებ ინფორმაცია მღვდელმა გიორგი მაჩურიშვილმა მომაწოდა, რისთვისაც მას მადლობას ვუხდი.

დიდელის დასკვნით, საქართველოს ეკლესიის მოქმედების აუცილებლობას ადასტურებდა; საჭირო იყო ქართველ-აფხაზთა სულიერი მდგომარეობის ამაღლებასა და ერთობაზე ზრუნვა. ამას არა მარტო მიტროპოლიტი ამბროსი, არამედ აფხაზებიც აღნიშნავდნენ.

1918 წლის შემოდგომაზე ქართველი მღვდელმთავრის აფხაზეთში ვიზიტის მიზანი იყო დიდი მამულიშვილის – გიორგი შარვაშიძის ხსოვნისათვის პატივის მიგება და ადგილობრივთათვის ქართველ-აფხაზთა მომავალი საეკლესიო ურთიერთობის შესახებ საქართველოს ეკლესიის აზრის გაცნობა. მეუფეს შეხვედრები ჰქონდა აფხაზ საერო და სასულიერო პირებთან, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკური და ეკლესიური მიმართულების ჩამოყალიბებაზე გავლენის მოხდენა შეეძლოთ.

მიტროპოლიტ ამბროსის მიერ საკათოლიკოსო საბჭოში წარდგენილი მოხსენება 1918 წ. ზაფხულ-შემოდგომაზე აფხაზეთში არსებული ვითარების შესწავლა-გაანალიზებისთვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მოხსენება ქართველთა და აფხაზთა შორის ურთიერთპატივისცემასა და პოლიტიკურ პროცესებში ჭყონდიდელი მიტროპოლიტის გაცნობიერებას ადასტურებს. მასში ჩანს ზრუნვა აფხაზთა მოთხოვნილებებზე. მიტროპოლიტ ამბროსის რეკომენდაციებით საქართველოს ეკლესიის უმაღლეს ორგანოს აფხაზთა საჭიროებებზე რეალური წარმოდგენა შეექმნა.

ამბროსი ჭყონდიდელის საქმიანობამ პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად 1919 წელს აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სახით საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის სრული აღდგენა განაპირობა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გამახარია, 1991 – ჯემალ გამახარია, *ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან*, თბილისი.
2. გამახარია, 2005 – ჯემალ გამახარია, *აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს.-1921 წ.)*, თბილისი.
3. გამახარია, 2011 – ჯემალ გამახარია, *აფხაზთა საეკლესიო ყრილობა (1917 წელი 24-27 მაისი)*, გაზეთი „*საპატრიარქოს უწყებანი*“, 12-19 მაისი.
4. გამახარია, 2012 – ჯემალ გამახარია, *წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია)*, თბილისი.
5. გამახარია, 2018 – ჯემალ გამახარია, აფხაზეთის (საქართველო) ისტორიის საკითხები (საკითხავი წიგნი), თბილისი.
6. *დებულებანი*, 1917 – *საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა. დებულებანი მიღებული სრულიად საქართველოს 1917 წლის საეკლესიო კრებაზე*, თბილისი.
7. *კანონთა კრებული*, 1919 – *კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული*, იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილების გამოცემა, პირველი ნაწილი, ტფილისი.
8. კუპატაძე, 2018 – ბონდო კუპატაძე, *აფხაზთა სახალხო საბჭო*, ენციკლოპედია-ლექსიკონი „*საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)*“, თბილისი.
9. პაპასქირი, 2007 – ზურაბ პაპასქირი, *ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან*, II.
10. *ჟურნალები*, 2016 – *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები (1917 წ. 13 მარტი-14 სექტემბერი)*, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა ნინო შიოლაშვილმა და ირინა არაბიძემ, თბილისი.
11. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 463 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 463.
12. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 689 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 689.
13. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 1337 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 1337.
14. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 6465.
15. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6675 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 6675.

16. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6478 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 6478, *II საეკლესიო კრება*.
17. „*საქართველო*“, №183 – გაზეთი „*საქართველო*“, 2.10.1918, №183.
18. „*საქართველოს რესპუბლიკა*“, 1918 – გაზეთი „*საქართველოს რესპუბლიკა*“, 7.09.1918, №36.
19. სეა, სცა, ფ. 1938, აღწ. 1, ს. 237 – საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1938, აღწ. 1, საქმე 237.
20. *წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი*, 2006 – *წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი*, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბილისი.
21. ГАРФ, ф. 1779, оп. 2, Д. 1 _ Государственный Архив РФ, фонд 1779, опись 2, Дело 1, часть III _ http://docs.historyrussia.org/ru/nodes/33947-zhurnal-zasedaniya-vremennogo-pravitelstva-locale-nil-139-25-iyulya-1917
22. „*Наше слово*“, 1918 – გაზეთი „*Наше слово*“, 5.09.1918, №83.

Issue of restoring the jurisdiction of the Church of Georgia in the diocese of Abkhazia (based on the report of Metropolitan Ambrosi (Khelaia) dated September 17, 1918)

March 12, 1917, Provisional Government of Russia recognized the already restored autocephaly of the Church of Georgia only from national viewpoint. For the political and Church unity of Georgia, the issue of orientation of the Orthodox residents of Abkhazia, was of great importance.

For more than a century, the representatives of the Russian Church were stirring up the separatist mood in Abkhazia by promoting anti-Georgian policy. In framework of the Law, the Church of Georgia tried to convince Abkhazians that it would be undesirable for them to deviate from the „*natural path of development*“ – i. e. to separate from the Church of Georgia.

By September 1918, 6 months after the decease of Giorgi Mikheil Sharvashidze, Metropolitan Ambrose (Khelaia) of Chkondidi was invited to the Memorial Service in Sukhumi. Giorgi, son of the last prince of Abkhazia, Mikhail, was an Abkhaz patriot of pro-Georgian orientation

Reverend Ambrosi had meetings with members of the Abkhaz community who could influence the political and ecclesiastical direction of Abkhazia. He

informed them about the opinion of the Church of Georgia on the future relationship with Abkhazians. Upon return to Tbilisi, the Catholicos Council was informed about the needs of Abkhazians. All this together with political changes of 1919, promoted the restoration in October 1919 of the jurisdiction of the Church of Georgia on the territory of Abkhazia.

Восстановление юрисдикции Грузинской Церкви в Абхазкой Эпархии

(По докладу митрополита Амвросия (Хелая), от 17 сентября 1918 года)

После признания Российским Временным Правительством 27 марта 1917 года автокефалии Грузинской Церкви по национальному характеру, для восстановления политического и церковного единства Грузии, огромное значение имел вопрос церковной ориентации жителей Абхазии.

Представители Российской империи больше века проводили в Абхазии антигрузинскую политику и разжигали сепаратистические настроения. Грузинская Церковь старалась довести до сознания Абхазов, что для них было нежелательным отклонение „*от естественной дороги*“ – отделение от Грузинской Церкви.

Жители Абхазии прогрузинской ориентации, в сентябре 1918 года чтобы отслужить панихиду по Георгию Михайловичу Шарвашидзе (скончавшегося 19 февраля 1918 г.), пригласили в Сухуми Чкондидского митрополита Амвросия (Хелая). Георгий, сын последнего князя Абхазии Михаила, был абхазским патриотом прогрузинской ориентации.

Архиерей встретился с представителями Абхазского народного Совета, другими светскими и духовными лицами, которые могли повлиять на формирование политического и церковного направления абхазского народа. Познакомил их с мнением Грузинской Церкви о будущих отношениях с абхазами. Вернувшись в Тбилиси, Чкондидели в своем докладе Католикосскому Совету дал рекомендации, в которых видна забота о национальных и духовных нуждах абхазов, отмечены потребности для васстановления Грузино-Абхазского церковного единства. Деятельность Митрополита Амвросия в Абхазии, при изменении политической ситуации 1919 г., обусловила восстановление в октябре 1919 года юрисдикцию Грузинской Церкви на территории Абхазии.

აფხაზეთის ეპარქიაში საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის აღდგენის საკითხისათვის – 1919 წლის 7-8 ოქტომბრის კრების განჩინებანი

დროებითი მთავრობის 1917 წლის 27 მარტის აქტით საქართველოს ეკლესიის სამწყსოს ეროვნული ნიშნით დაყოფისა და საუკუნის განმავლობაში რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ ნასაზრდოები აფხაზური სეპარატიზმის უარყოფითი შედეგების შერბილებას საქართველოს ეკლესია სხვადასხვა საშუალებით ცდილობდა. მან, ერთი მხრივ, 27 მარტის დადგენილებით დაკანონებული ფილეტიზმი თვითონ მთავრობასთან გააპროტესტა, მეორე მხრივ, კი აფხაზების წარმომადგენლებთან პირადი ურთიერთობების გამოყენებას შეეცადა. ამ თვალსაზრისით ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიის მმართველი ორგანოს დელეგაციისა და, განსაკუთრებით, ჭყონდიდელ მიტროპოლიტ ამბროსის აფხაზეთში ვიზიტებს (*ჟურნალები*, 2016: 43-44; 133-135; ბუბულაშვილი, 2011: 25-28).

სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრებაზე (1917 წ. 8-17 სექტემბერი) აფხაზეთში კათედრის აღდგენა ცხუმ-ბედიის ეპარქიის სახელწოდებით დაიგეგმა, მაგრამ განჩინების აღსრულება საკათოლიკოსო საბჭომ აფხაზეთის მკვიდრთა მხრიდან სურვილის გამოხატვამდე გადადო (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 463: 5; იქვე, ს. 6675: 37).

მიტროპოლიტმა ამბროსიმ საკათოლიკოსო საბჭოს დავალებით, აფხაზეთის პროქართული ორიენტაციის ინტელიგენციის მიწვევით, ასევე საკუთარი ინიციატივით 1918-1919 წლებში რამდენჯერმე მოვლო აფხაზეთი. მისი მიზანი იყო იქაურ მორწმუნეთათვის ქართველ-აფხაზთა ერთობის შესახებ საქართველოს ეკლესიის პოზიციის გაცნობა. კერძოდ, „*თუ რაოდენად მიუცილებელი საჭიროება არის როგორც ქართველთათვის, ისე კიდევ უფრო აფხაზთათვის, განახლება იმ სარწმუნოებრივ-საეკლესიო კავშირისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზედ აერთებდა ამ ღვიძლ ძმებს*“ (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6675: 38, 545; იქვე, ს. 6676: 586, 1026; იხ. აქვე: 201-203).

პარალელურად განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა – 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, 11 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და აფხაზთა სახალხო საბჭოს შორის ხელშეკრულების დადებამ და 1919 წლის 20 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიის სახით აფხაზეთის შესვლამ – ეპარქიის აღდგენის საკითხი დღის წესრიგში დააყენა.

აფხაზეთის კომისარიატმა 1919 წლის 1 სექტემბერს ავტონომიური აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მართვისათვის გამოცე-

მული დეკრეტით სოხუმის საკათედრო ტაძარი, მღვდელმთავრისა და საკრებულო სახლი, სამოსწავლო საბჭოს[1] შენობა ავტონომიური აფხაზეთის ეროვნულ საკუთრებად გამოაცხადა. დეკრეტის თანახმად, მღვდელმთავრის არჩევამდე უნდა დანიშნულიყო ფართო უფლებებით აღჭურვილი აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მმართველი (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 952, 1030; იქვე, ს. 956: 1).

აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარე დიმიტრი (არზაყან) კონსტანტინეს ძე ემუხვარმა კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდს (ოქროპირიძე, 1919-1921) დეკრეტი 1919 წლის 8 სექტემბერს პირადად გადასცა. საკათოლიკოსო საბჭოს 1919 წლის 11 სექტემბრის სხდომამ ეპარქიის მმართველის რთული მისიის შესრულება ჭყონდიდელ მიტროპოლიტ ამბროსის დაავალა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 952).

აფხაზები მეუფე ამბროსის დიდი ზეიმით შეხვდნენ. 17 სექტემბერს ის უკვე, აფხაზეთის კომისარიატის დეკრეტის დებულებათა განხორციელების მიზნით, სასულიერო და საერო პირთა საგანგებო კრების მოწვევის სამზადისს შეუდგა. კრებაზე დელეგატებად თითოეული სამრევლოდან ერთი მღვდელი და ერთი საერო პირი უნდა გაგზავნილიყო. ცენტრალურმა ხელისუფლებამ აფხაზეთის კომისარიატს საეპარქიო კრების დასაფინანსებლად (დელეგატთა ბინის, კვებისა და მგზავრობის თანხები და სხვ.) 80.000 მანეთი გადაურიცხა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1027-1029, 1037).

საგანგებო საეპარქიო კრება სოხუმში 1919 წლის 7-8 ოქტომბერს მიმდინარეობდა. მის ორგანიზებაში ჭყონდიდელ მიტროპოლიტ ამბროსისათვის დამხმარედ ეკლესიის მმართველმა ორგანომ დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე გაგზავნა.

„აღვასრულე რა საკათოლიკოსო საბჭოს დავალება, პატივისცემით მოვახსენებ მას, რომ ჩემი დახმარება გამოიხატა უმთავრესად კრების ზოგიერთა წევრებთან თათბირში და კრებისავე განჩინებათა გამომუშავებაში. ხოლო ყოველივე ის, რაც ამ კრებაზედ გაკეთდა, შედეგია მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის, ჭყონდიდელ მიტროპოლიტის ამბროსის გონივრული მოქმედებისა და აბხაზთა მისდამი ნდობისა და ღრმა პატივისცემისა“ – აღნიშნა დეკანოზმა კალისტრატემ საკითხის შესახებ საკათოლიკოსო საბჭოსადმი 1919 წლის 28 ოქტომბერს გაკეთებულ მოხსენებაში (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1026).

მიტროპოლიტ ამბროსის წარმატების საფუძველს მისი ამ კუთხიდან წარმომავლობა და წარსულში აქ მოღვაწეობაც ამყარებდა (გამახარია, 2012: 120).

---

1. „*Училищный Совет*“ დოკუმენტშივე არის ნათარგმნი „*სამოსწავლო საბჭოდ*“ (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1026-1047).

აფხაზეთის სამღვდელოებისა და ერისკაცთა 1919 წლის 7-8 ოქტომბრის კრების განჩინებათაგან საისტორიო ლიტერატურაში აქამდე მხოლოდ ორი იყო ცნობილი: პირველი ეხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებაში არსებული ეპარქიის აღდგენა-მოწყობას; მეორე – მღვდელმთავრად მიტროპოლიტ ამბროსის არჩევას; ასევე ცნობილი იყო, რომ კრებამ იმსჯელა სამღვდელო პირთა მოსამზადებელი კურსების გახსნის შესახებ (გამახარია, 2005: 807, 811). დეკანოზ კალისტრატეს 28 ოქტომბრის მოხსენებიდან კი ვეცნობით კრების მიერ შემუშავებულ ყველაზე მნიშვნელოვან ათ განჩინებას. აქვეა ინფორმაცია კრებაზე დამსწრეთა ზუსტი რაოდენობის შესახებ.

კრების დაწყებას წინ უძღოდა ლოცვა. 140 დელეგატიდან 82-ის გამოცხადება კრების მუშაობისთვის საკმარისად ჩაითვალა, რადგან დელეგატთა ნაწილის გამოუცხადებლობას, გარდა სუბიექტურისა, ორი ანგარიშგასაწევი საერთო მიზეზიც ჰქონდა:

1. კრების წევრებად არჩეულნი არ ყოფილან ინფორმირებულნი გზისა და კვების ხარჯების ანაზღაურებისა და ბინით უზრუნველყოფის შესახებ.

2. პირველი მსოფლიო ომის დასასრულს რუსეთის არმიის კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებს შორის გავრცელებული იყო დეზერტირობა. გზებზე ყოფილ მეომართა ყაჩაღობა ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული. ამის გათვალისწინებით 82 დელეგატის გამოცხადება კვორუმად ჩაითვალა. როგორც დეკანოზ კალისტრატეს მოხსენებაშია მითითებული, კრებაზე მიმავალი რამდენიმე დელეგატისთვის გზად ჩასაფრებულ დეზერტირებს ჯვრებიც კი წაურთმევიათ (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1038-1039).

თავყრილობა მისასალმებელი სიტყვით აფხაზეთის კომისარიატის წარმომადგენელმა საბაშვილმა გახსნა. შემდეგ მეუფე ამბროსის მოუსმინეს და კრების თავმჯდომარედ დაასახელეს. მის მოადგილეებად აირჩიეს არქიმანდრიტი იოანე (მარღიშვილი) და დეკანოზი დიმიტრი მარღანია, საპატიო თავმჯდომარეებად კი – აფხაზეთის ქართველთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე გრიგოლია და ელინთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ივანე ფაშალიდი (იოანის ფაშალიდისი), მდივნებად – აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი ა. ქირია და მღვდელი ნ. გატეინი (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1039).

საგანგებო კრების განჩინებანი საეკლესიო კანონებსა და აფხაზეთის კომისარიატის 1919 წლის 1 სექტემბრის დეკრეტს ეყრდნობოდა. ყველა მათგანის თარიღად 1919 წლის 7 ოქტომბერია მითითებული, თუმცა კრება 7-8 ოქტომბერს მიმდინარეობდა.

განჩინება 1.

კრების მიზნად აფხაზეთის კომისარიატის 1919 წლის 1 სექტემბრის დეკრეტის დადგენილებათა აღსრულებაა დასახელებული და წარმოდგენილია განსახილველი საკითხების ნუსხა:

1. აფხაზეთის კომისარიატის დეკრეტიდან გამომდინარე აფხაზეთის ეპარქიის კანონიკური მოწყობა;
2. ეპარქიის შესანახი სახსრებისა და საშუალებების მოძიება;
3. ეპისკოპოსის არჩევა;
4. საკათედრო ტაძრის შტატი;
5. საეპარქიო საბჭოსა და საეპარქიო სასამართლოს წევრთა და კანდიდატთა არჩევა;
6. ეპარქიის ოლქებად დაყოფა;
7. ეპარქიისთვის მღვდელმსახურთა მოსამზადებელი კურსების გახსნა და მისი დაფინანსებისთვის სახსრების გამონახვა;
8. მისალმებები სასულიერო და საერო ხელისუფალთა მიმართ (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1039).

განჩინება 2.

1. „ ... *აფხაზეთის კომისარიატის დეკრეტის მოსმენის შემდეგ კრებამ მხედველობაში მიიღო, ერთი მხრივ, ჩვენი მხარის* (აფხაზეთი – ი. ა.) *და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ისტორიული კავშირი და, მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიურ საწყისებზე აფხაზეთის შესვლის გათვალისწინებით, აქ სხვა საეკლესიო ხელისუფლების არსებობა დაუშვებელია, კრებამ დაადგინა: ავტონომიური აფხაზეთის ტერიტორიაზე აღდგეს საქართველოს საკათოლიკოსოს დამოუკიდებელი ეპარქია სოხუმ-აფხაზეთის*[1] *ეპარქიის სახელწოდებით.*

2. ეპარქიის სათავეში დგას დამოუკიდებელი ეპისკოპოსი, რომელსაც რეზიდენცია და კათედრა აქვს სოხუმში.

3. სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის შემადგენლობაში შედის, განურჩევლად ეროვნებისა, ყველა სამრევლო, მონასტერი და საეკლესიო დაწესებულება მდინარეებს ენგურსა და მეხადირს შორის.

4. სოხუმ-აფხაზეთის ეპარქია ეპარქიის შიდა და საეკლესიო-სამრევლო განაწესის საქმეებში სარგებლობს თავისუფლებით და საქართველოს საკათოლიკოსოს ცენტრალურ დაწესებულებებთან იმავე დამოკ-

1. აფხაზეთის მართლმადიდებელი მოსახლეობის სურვილისამებრ განჩინებით აღდგა სოხუმ-აფხაზეთის და არა ცხუმ-ბედიის ეპარქია.

იდებულებაში იმყოფება, როგორშიც საქართველოს ეკლესიის სხვა დამოუკიდებელი ეპარქიები.

5. საეკლესიო-სამოქალაქო ურთიერთობებში სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის იურიდიული მდგომარეობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიის კონსტიტუციით განისაზღვრება“ (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1040).

საინტერესოა, რომ აფხაზეთის საეპარქიო კრებამ ეპარქია ეროვნული ნიშნით არ დაყო[1] და თავის სამწყსოში აფხაზეთში მცხოვრები ყველა მართლმადიდებლის გაერთიანება დაადგინა. საკათედრო ტაძარი და სრულუფლებიანი ეპარქიისთვის საჭირო ყველა დაწესებულება საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრის დაქვემდებარებაში უნდა გადასულიყო. რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები არც აფხაზეთის კომისარიატის დეკრეტში და არც 7 ოქტომბერს მიღებულ განჩინებებში ნახსენები არ იყვნენ.

საკათოლიკოსო საბჭომ აფხაზეთის საეპარქიო კრების განჩინებანი, მ. შ. ეპარქიის საქართველოს საკათოლიკოსოს გამგებლობაში მიღება, იმავე წლის 28 ოქტომბერს დაამტკიცა. მიუხედავად ამისა, რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელთა მხრიდან გამოვლენილმა დაუმორჩილებლობამ საკათედრო ტაძრის კუთვნილებისამებრ გადაცემას ხელი შეუშალა და მდგომარეობა გაართულა.

აფხაზეთის ავტონომიისა და საქართველოს კონსტიტუციებზე მუშაობა, რომლებსაც აფხაზეთის ეპარქიის საეკლესიო ცხოვრება უნდა დაჰყრდნობოდა, საკმაოდ ხანგრძლივად მიმდინარეობდა. ავტონომიის კონსტიტუციის პროექტი აფხაზეთის სახალხო საბჭომ[2] 1920 წლის 16 ოქტომბერს დაამტკიცა და საქართველოს დამფუძნებელ კრებას გადაუგზავნა (კუპატაძე, 2018: 40-41). ამ უკანასკნელის მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევება იყო დაფიქსირებული და ეკლესიას იურიდიული პირის სტატუსი მინიჭებული არ ჰქონდა (*კონსტიტუცია*, 1990: 30). კონსტიტუციის მოქმედება იმავე წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად შეწყდა.

განჩინება 3.

კრებამ სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრასთან დაკავშირებით მოისმინა მიტროპოლიტ ამბროსის, დეკანოზ დიმიტრი მარღანიას, პავლე ჩაჩასა და ივანე ფაშალიდის მოსაზრება-

1. რასაც პეტროგრადის მთავრობის 27 მარტის აქტი მოითხოვდა.

2. აფხაზთა სახალხო საბჭოს შემცვლელი ორგანო, რომლის არჩევაშიც 1919 წ. თებერვალში აფხაზეთის მთელმა მოსახლეობამ მიიღო მონაწილეობა.

ნი. 80 ხმით დადგინდა, რომ მღვდელმთავრის კათედრისა და საეპარქიო დაწესებულებათა შესანახი სახსრები სამრევლო სამღვდელოებისთვის განკუთვნილი სახსრებისაგან გამოყოფილიყო (ამ განჩინების წინააღმდეგ ხმა მისცა ერთმა დელეგატმა, ერთმა კი თავი შეიკავა).

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის იურიდიული მდგომარეობა, ასევე მისი მღვდელმთავრის კათედრისა და საეპარქიო დაწესებულებათა შესანახი სახსრები, აფხაზეთის ავტონომიის კონსტიტუციით უნდა განსაზღვრულიყო (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1040).

იქიდან გამომდინარე, რომ დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია 1921 წლის 21 თებერვლამდე არ დამტკიცებულა, ახლად აღდგენილ ეპარქიას დროებით, სხვა ეპარქიების მსგავსად, სახელმწიფოს ხარჯზე უხდებოდა არსებობა. დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედების შემთხვევაში აფხაზეთის კრების მე-3 განჩინების მეორე ნაწილის მოქმედება ავტომატურად შეწყდებოდა, რადგან კონსტიტუციით ეკლესიას იურიდიული სტატუსი მინიჭებული არ ჰქონდა. მეტიც, სარწმუნოებრივი საჭიროებისათვის სახელმწიფო ხაზინისა და ადგილობრივი თვითმმართველობების სახსრების გამოყოფა აკრძალული იყო (*კონსტიტუცია*, 1990: 30).

განჩინება 4.

არქიმანდრიტ იოანეს (მარღიშვილი) თავმჯდომარეობით კრებამ სოხუმ-აფხაზელი მღვდელმთავრობის ერთადერთ კანდიდატად ამბროსი ჭყონდიდელი დაასახელა და ერთხმად აირჩია კიდეც.

აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის აღდგენას პოლიტიკური მნიშვნელობა მიენიჭა. სეპარატისტებმა საქართველოს ეკლესიას ბრალი დასდეს, რომ მან იქ თავისი წარმომადგენელი აფხაზთა აზრის გათვალისწინების გარეშე მიავლინა. ამ სიცრუეს 1919 წლის 18 ნოემბერს აფხაზეთის ეროვნული საბჭოს სხდომაზე დასაბუთებული პასუხი გასცეს კომისარმა ივანე ლორთქიფანიძემ და ელინთა ეროვნული საბჭოს წევრმა ივანე ფაშალიდმა. როგორც ივანე ლორთქიფანიძემ აღნიშნა, საქართველოს ეკლესიას აფხაზეთში თავისი უფლებების აღდგენის საკითხი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში 1919 წ. 20 მარტს აფხაზეთის ავტონომიის სახით შესვლამდე, ანუ მისი პოლიტიკური სტატუსის საბოლოო განსაზღვრამდე, არ გადაუწყვეტია (გამახარია, 2005: 817-821).

აღნიშნული საკითხი ფართოდ აქვს განხილული ისტორიკოს ჯემალ გამახარიას, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდები (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 463: 21; გამახარია 2005: 816-822; 2012: 120-121).

ქართული მხარის ფრთხილ დამოკიდებულებაზე აფხაზეთის საკითხის მიმართ საკათოლიკოსო საბჭოს 1919 წლის 30 სექტემბრის სხდომის ჟურნალიც მოწმობს. კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდის სოხუმში ჩასვლის[1] საკითხის განხილვისას სოხუმის ეპარქიის წარმომადგენელმა პლატონ ლევანის ძე გელოვანმა განაცხადა:

„*მისი უწმიდესობის მობრძანება სოხუმში ფრიად სასურველი და სასარგებლოა, მაგრამ, რადგან ამ ჟამად არაჩვეულებრივი* (საგანგებო – ი. ა.) *საეპარქიო კრებაა მოწვეული სოხუმში და სასურველია, რომ ზემოაღნიშნულმა კრებამ თავისი აზრი სარწმუნოებრივ-ეკლესიურად გაერთიანებისათვის საქართველოსთან გამოსთქვას თავისუფლად და დამოუკიდებლად, ფრიად კარგი იქნება, თუ ეს აქტი მოხდება საქართველოს ეკლესიის მამამთავრის ზეგავლენის გარეშე და იქმნება გამომხატველი აფხაზეთის ეპარქიის თავისუფალი ნებისყოფისა. ამიტომ ამ კითხვის საბოლოოდ გადაწყვეტამდის, ჩემის აზრით, უნდა გადაიდოს მისი უწმიდესობის გამგზავრება სოხუმში. ჭყონდიდელის დასახმარებლად კი საკმარისია, გაიგზავნოს ვინმე საქმეში ჩახედული ადამიანი*“ (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 976-982).

სწორედ პ. გელოვანის მოსაზრების გაზიარების შემდეგ მიტროპოლიტ ამბროსის დამხმარედ აფხაზეთში დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე ჩავიდა. კათოლიკოს-პატრიარქი კი აფხაზეთში მხოლოდ კრების დასრულების შემდეგ გაემგზავრა და იქ 1919 წლის 17-დან 23 ოქტომბრამდე იმყოფებოდა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1043).

განჩინება 5.

საეპარქიო კრებამ იმსჯელა სოხუმ-აფხაზელი ეპისკოპოსის წოდების *სოხუმ-აფხაზელი მიტროპოლიტით* შეცვლის შესახებ და დაადგინა, აღნიშნულ საკითხზე საკათოლიკოსო საბჭოსთან ეშუამდგომლა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1040).

ამა თუ იმ კათედრის პატივის განსაზღვრა საეკლესიო კრების კომპეტენციას შეადგენს. სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრების განჩინებით აფხაზეთის მღვდელმთავრის წოდება იყო *ცხუმ-ბედიელი ეპისკოპოსი*. საკათოლიკოსო საბჭოს წევრებმა მხოლოდ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ცნეს შესაძლებლად აღდგენილი კათედრისთვის მიტროპოლიტის პატივი კრების გარეშე მიენიჭებინათ. კათედრის სახელწოდების – *ცხუმ-ბედიელის ცხუმ-აფხაზელით* შეცვლაც ადგილობრივთა ეროვნული გრძნობის მოთხოვნილებას წარმოადგენდა.

1. საერო ხელისუფლებამ აფხაზეთში კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდის გასამგზავრებლად 1919 წლის 25 სექტემბერს 15.000 მანეთი გამოყო.

ამის შესახებ მიტროპოლიტი ამბროსი 1918 წლის 17 სექტემბრის მოხსენებაშიც მიუთითებდა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1055; 6465, 113).

განჩინება 6.

დეკანოზ კალისტრატეს მოხსენება სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვრისა და კანდელაკის არჩევის შესახებ გვამცნობს, მაგრამ არჩეულ პირებს არ ასახელებს (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1040).

კრებულის წევრთა ვინაობას აფხაზეთის კომისარიატთან მიტროპოლიტ ამბროსის მიმოწერიდან ვეცნობით. მეუფე ადგილობრივ ხელისუფალთ აუწყებს, რომ რუსული მხარისაგან ტაძრის ჩასაბარებლად მის მიერ შექმნილ კომისიაში შედიოდნენ: საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ტროფიმე ჯოხთაბერიძე, დეკანოზი მიხეილ გვაზავა, მედავითნე ნოე ურუშაძე და მნათე ტიმოთე ანუა, სამრევლო საბჭოს წევრები – ანთიმოზ ჯუღელი, ბეგლარ მგელაძე, ვლადიმერ ცქვიტინიძე და მთავრობის წარმომადგენელი (დასახელებული არ არის) (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1043).

აფხაზეთის საგანგებო საეპარქიო კრების ამ განჩინების აღსრულებას საკათედრო ტაძრის ყოფილმა წინამძღვარმა დეკანოზმა გიორგი გოლუბცოვმა და მისმა თანამზრახველებმა დაბრკოლებები შეუქმნეს. მეუფე ამბროსის ისინი თავიანთ მღვდელმთავრად არ აღიარებდნენ, სოხუმის საკათედრო ტაძარსა და საკუთარ თავსაც ისევ რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში თვლიდნენ. სამოქალაქო და საეკლესიო კანონების ურთიერთშეთანხმებით, მიტროპოლიტ ამბროსის ღვაწლითა და აფხაზეთის საერო ხელისუფალთა დახმარებით საკათედრო ტაძარი 15 ოქტომბერს საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებაში იყო გადმოსული (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1042). მიუხედავად ამისა, რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელთა მხრიდან წინააღმდეგობები გრძელდებოდა.

განჩინება 7.

კრებამ მსჯელობის შემდეგ საეპარქიო საბჭოს წევრებად ერთხმად აირჩია დეკანოზები: ტროფიმე ჯოხთაბერიძე და მიხეილ გვაზავა, მღვდელი ევთიმე მილოპულო, ერისკაცთაგან: ანთიმოზ ჯუღელი, ვასილ ადამია, მათ კანდიდატებად – გახა თურქია, ნოე ურუშაძე და ჭოჭუა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1040-1041, 1056). სასამართლოს წევრებად – პლატონ გელოვანი, გიორგი ჩერგეზია და პავლე ჩაჩა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6465: 108; იქვე, ს. 6676: 1040-1041, 1056).

მათ კანდიდატებად: გულია, სოლოხინა, მღვდელი ალექსანდრე გვა-

ზავა. დანარჩენი ადგილების შევსებაზე მიტროპოლიტ ამბროსის უნდა ეზრუნა.

საეპარქიო საბჭოსა და სასამართლოს წევრთა არჩევნების შედეგები კრების დამთავრებიდან მალევე გახდა შესაცვლელი. საეპარქიო სასამართლოს სამი წევრიდან 24 ოქტომბრისთვის ორს სამსახურზე უკვე უარი ჰქონდა ნათქვამი. მართალია, საეპარქიო დაწესებულებებში საჭირო პირთა მიწვევა მეუფე ამბროსის კომპეტენციაში შედიოდა, მაგრამ, რეალობიდან გამომდინარე, ასეთთა მოძიება მან ეპარქიაში შეუძლებლად მიიჩნია.

მღვდელმთავარმა ეკლესიის მმართველ ორგანოს განუმარტა, რომ საეპარქიო საბჭოსა და სასამართლოსთვის არჩეული რვა წევრიდან მხოლოდ სამღვდელოების ორ წარმომადგენელს შეეძლო კრებებზე მოხსენებების გაკეთება. მიტროპოლიტ ამბროსის აზრით, გამოსავალი იმაში მდგომარეობდა, რომ სასამართლოს ერთადერთი დარჩენილი წევრი საეპარქიო საბჭოსთვის შეეერთებინა და სასამართლოს ფუნქციებიც დროებით საეპარქიო საბჭოსთვის დაეკისრებინა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1053).

საეპარქიო საბჭოსა და სასამართლოს კომპეტენციათა გაერთიანება ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებას ეწინააღმდეგებოდა. მისი §37-ის თანახმად, სასამართლო ეკლესიის მართვისაგან განცალკევებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ საკათოლიკოსო საბჭომ ცხუმ-აფხაზელი მღვდელმთავრის თხოვნა დროებით, გამონაკლისის სახით დააკმაყოფილა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1053).

განჩინება 8.

კრებამ ეპარქიის შვიდ ოლქად დაყოფა ერთხმად დაადგინა: 1) ჭუბურხინჯის, 2) გალის, 3) აჩიგვარას, 4) კოდორის, 5) გუმისთის, 6) გუდაუთის, ხოლო მე-7 ოლქში ბერძნული სამრევლოები გააერთიანა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1041).

აფხაზეთში ბერძნული სამრევლოების მთავარხუცესმა, დეკანოზმა აბრაამ ივანოვმა 7-8 ოქტომბრის კრების წინა პერიოდში აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მმართველად დანიშნულ ამბროსი ჭყონდიდელს მღვდლის კურთხევა სთხოვა. მის წერილში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთის კომისარიატის მიერ დეკრეტის გამოცემის შემდეგ (რუსი ეპისკოპოსის უფლებათა გაუქმების გამო) ბერძნული სამრევლოები მღვდელმთავრის გარეშე დარჩნენ. ისინი მეუფე ამბროსის თავიანთ მღვდელმთავრად არ ცნობდნენ, მაგრამ საქართველოს ეკლესიას მართლმადიდებლად თვლიდნენ და მისი წარმომადგენლისგან ნაკურთხი

მღვდლის მიღება შეეძლოთ. მიტროპოლიტმა ამბროსიმ თხოვნის შესრულებაზე უარი განაცხადა, იმ მოტივით, რომ მღვდლის კურთხევის კანონიერება მოითხოვდა, მისი მაკურთხებელი მთხოვნელთა მიერ თავიანთ მღვდელმთავრად ყოფილიყო აღიარებული (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1038).

საეპარქიო კრების შემდეგ, როგორც დეკანოზი კალისტრატე აღნიშნავს, აფხაზეთში მდგომარეობა ამ მხრივაც შეიცვალა. ბერძენ მორწმუნეებს, რომლებიც ქართველ იერარქებს უკვე აღიარებდნენ, მოძღვარი კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდმა უკურთხა (იქვე: 1044). კურთხევა საეკლესიო კანონების დაცვით შედგა, რამაც ეროვნული ნიშნით დაყოფილი ეკლესიის გამთლიანება ნათელყო.

განჩინება 9.

სასულიერო წოდების უზრუნველყოფაზე მსჯელობის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა, სამღვდელოების ხელფასის შესახებ სათანადო ორგანოებთან ეშუამდგომლა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1041).

მიტროპოლიტ ამბროსის მოხსენების საფუძველზე საკათოლიკოსო საბჭომ 28 ოქტომბერს განაჩინა, საერო მთავრობისთვის ეთხოვა, სოხუმის ეპარქიის შესანახი სახსრები 10-მილიონიანი ფონდიდან გადადებულიყო (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1061).

10 მილიონი მანეთი ერთდროული დახმარება საქართველოს ეკლესიას დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 1918 წლის 7 დეკემბრის №663 დადგენილებით ჰქონდა გამოყოფილი. ეს თანხა საკათოლიკოსო საბჭოს 1919 წლის 1 აპრილის განჩინებით სწორედ საეპარქიო საბჭოებზე უნდა განაწილებულიყო (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 381).

საკათოლიკოსო საბჭო სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიისთვის ყოველთვიური სახსრების დაანგარიშებით მივიდა დასკვნამდე, რომ საჭირო იყო 23408 მან. და 34 კაპ. (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1061-1062).

მთავრობის 1920 წლის 28 თებერვლის სხდომის ჟურნალიდან ამონაწერის თანახმად, აღნიშნული საკითხი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების საბოლოოდ გარკვევამდე დადებითადაა გადაწყვეტილი (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 381).

განჩინება 10.

კრებამ იმსჯელა სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიისთვის მღვდელმსახურთა მოსამზადებელი კურსების გახსნა-დაფინანსების აუცილებლობის შესახებ. განჩინების თანახმად, შესაბამისი ორგანოებისთვის უნდა ეთხოვათ კურსების შესანახი სახსრები და ასევე მის განსათავსებლად სა-

მოსწავლო საბჭოს შენობის ეკლესიის განკარგულებაში დატოვება.

ყურადღება მიექცა სოხუმის საკათედრო ტაძრის, ილორის, სოხუმის სასაფლაოსა და სხვა შემოსავლიან ეკლესიათა თანხების სწორად განკარგვის საჭიროებას (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1041).

დეკანოზ კალისტრატეს 28 ოქტომბრის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ აფხაზეთის საგანგებო საეპარქიო კრების სახელით მისალმებანი გაეგზავნათ კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას, ავტონომიური აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარე დიმიტრი ემუხვარს.

დიმიტრი ემუხვარისადმი მიმართვაში კრების პრეზიდიუმმა გამოხატა სიხარული საქართველოსთან აფხაზეთის ავტონომიის შეერთების გამო; იქვე გამოთქვა მადლიერება კომისარიატისადმი კრების ჩატარების უზრუნველყოფისათვის და ასევე – იმედი, რომ საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიის ხელისუფალნი კანონის ფარგლებში ეკლესიას მფარველობას არ მოაკლებდნენ. თავის მხრივ, კრების პრეზიდიუმი საქართველოსა და აფხაზეთის პოლიტიკურ-ეკლესიური ერთიანობისთვის თავდადების მზადყოფნას აცხადებდა (იქვე: 1042).

აფხაზეთის საგანგებო საეპარქიო კრების მთავარ განჩინებებს – ეპარქიის საქართველოს საკათოლიკოსოსთან შეერთებასა და მღვდელმთავრად ამბროსი ჭყონდიდელის არჩევას კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდი შემდეგი სიტყვებით მიესალმა:

„ვაშა, აბხაზეთ–სამურზაყანოს მორწმუნე ერს და სამღვდელოებას! დედა ეკლესიასთან შემოერთებით და მღვდელმთავრის საუცხოვო არჩევნებით აფხაზეთის საეკლესიო კრების წევრებმა ოქროს ასოებით ჩაიწერეს თავი სამშობლოს მატიანეში. ლოცვა–კურთხევა შემოერთებულ ჩემს სულიერ ძეთა და ასულთ, ხოლო შენ, ტკბილი სალამი და ძმური მოლოცვა თავისუფალი აფხაზეთის ღირსეულო მწყემსმთავარო“ (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1041).

1919 წლის 7-8 ოქტომბრის კრების განჩინებები, როგორც აღინიშნა, საკათოლიკოსო საბჭოს 1919 წლის 28 ოქტომბრის სხდომაზე დამტკიცდა. სხდომის ოქმი მოწმობს, რომ საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ორგანო, ვითარების გათვალისწინებით, ყოველგვარ შესაძლო დათმობაზე წავიდა.

საკათოლიკოსო საბჭომ ახლად შემოერთებულ ეპარქიას ნისიად, ვალის ნაწილ-ნაწილ გადახდის პირობით ოდიკები, ქართული წიგნები, საეკლესიო საბუთების ბლანკები და სხვა საჭირო ნივთები გადასცა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1058-1060).

სოხუმ-აფხაზეთის საეპარქიო საბჭომ აფხაზეთის კომისარიატს სა-

თანადო დაწესებულებების მიერ კრების განჩინებათა ცხოვრებაში გატარებისთვის განკარგულებების გაცემა სთხოვა. ახლად არჩეულ მღვდელმთავარს აფხაზეთის საერო ხელისუფლების წარმომადგენლები მხარში დგომას დაჰპირდნენ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას კათოლიკოს-პატრიარქმა სამოსწავლო საბჭოს შენობასთან დაკავშირებით 1920 წლის 17 იანვარს მიმართა. მთავრობის სხდომის 1920 წ. 12 აგვისტოს დადგენილებით აღნიშნული შენობა საეპარქიო ხელისუფლების გამგებლობაში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის გარკვევამდე დარჩა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 463: 76, 123, დამოწმებული გამახარიასთან, 2005: 831).

მღვდელმსახურთა მოსამზადებელი კურსების გახსნის საკითხის გადაუწყვეტლობა, რისთვისაც შენობასთან ერთად სახსრებიც იყო საჭირო, სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიას დიდ ზიანს აყენებდა. 1920 წლის იანვრისთვის მიტროპოლიტ ამბროსის არ ჰყავდა მღვდლის თხუთმეტ ვაკანტურ ადგილზე განსაწესებელი კანდიდატები. იგი იძულებული იყო მოძღვრობისთვის მოუმზადებელი პირები ეკურთხებინა ან საერთოდ არავინ დაენიშნა. მოუმზადებელი კადრები ან მღვდლების ნაკლებობა აზარალებდა არა მარტო სარწმუნოებას, არამედ ქვეყანასაც. მოსალოდნელი იყო მოძღვრის გარეშე დარჩენილი აფხაზების გამუსლიმება, რაც მათში ოსმალეთისადმი მიდრეკილებას გააძლიერებდა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 463: 75; გამახარია, 2005: 830).

ცხუმ-აფხაზელი მღვდელმთავრის 1920 წლის სექტემბრისა და ნოემბრის მოხსენებათა მიხედვით, ეპარქიის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულებული იყო. სოხუმის ეპარქიას, სხვა ეპარქიათა მსგავსად, ისედაც არასაკმარისი თანხების ჩარიცხვას უგვიანებდნენ. მით უმეტეს, რომ აფხაზეთში ისლამის გავლენა თანდათან მძლავრობდა. მისთვის წინააღმდეგობის გაწევა განსაკუთრებულ მისიონერულ მოღვაწეობას და ქველმოქმედებას მოითხოვდა.

კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდის შუამდგომლობამ ამჯერად შედეგი გამოიღო. მთავრობამ 1920 წ. 30 ნოემბერს სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის საჭიროებათათვის დამატებით 25 ათასი მანეთის გამოყოფის დადგენილება გამოიტანა და დავალიანებათა დაფარვაც დაიწყო (გამახარია, 2005: 832-833).

აფხაზეთის საზოგადოების სწრაფვა საქართველოსკენ გააძლიერა 1919 წელს რუსეთის ეკლესიის მხრიდან აფხაზეთის ეპარქიის დაქვემდებარების მცდელობის გააქტიურებამ.

გავრცელდა ეპისკოპოს სერგის (პეტროვი) პირადი წერილების შინაარსი, რომლებშიც შავიზღვისპირეთის ეპარქიის დაარსების შესახებ

იყო საუბარი. ჩანდა, რომ რუსული მხარე ასეთი დიდი ცვლილების განხორციელებას[1] აფხაზების აზრის გათვალისწინების გარეშე გეგმავდა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1027-1028; ბენდელიანი, 2005: 156).

აფხაზეთის ეპარქიის საქართველოსთან შემოერთებაზე ასევე მნიშვნელოვნად იმოქმედა არქიმანდრიტ იოანეს (მარღიშვილი) სოხუმში ჩასვლამ. იგი 1918 წლის 1 ივლისიდან ოქუმის ოლქის მომრიგებელ მოსამართლედ იყო დანიშნული; 1919 წელს კი აღდგენილი ეპარქიისათვის საკათედრო ტაძრისა და სხვა საეკლესიო ქონების დაბრუნებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6676: 1029; გამახარია, 2005: 804-805).

სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შესვლით და მღვდელმთავრად მიტროპოლიტ ამბროსის არჩევით ამ რეგიონში საქართველოს ეკლესიის ეროვნული ნიშნით დაყოფა ოფიციალურად დასრულდა. ივანე ლორთქიფანიძემ 1919 წლის 20 მარტის აქტსა და იმავე წლის 7-8 ოქტომბრის კრების გადაწყვეტილებებს აფხაზი ხალხის საქართველოსთან ერთიანობის ძალდაუტანებლად გამოხატვის შესაძლებლობის განხორციელება უწოდა (გამახარია, 2005: 817, 819).

მიუხედავად ამისა, რუსეთის ეკლესიის მხრიდან შექმნილი სირთულეები როგორც ცხუმ-აფხაზეთის, ასევე საქართველოს ეკლესიის სხვა ეპარქიებშიც, ისევ იჩენდა თავს. გამოსავალს ავტოკეფალისტები, მ. შ. ცხუმ-აფხაზელი მიტროპოლიტი, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საერთაშორისო დონეზე აღიარებაში ხედავდნენ (გამახარია, 2005: 815-816). რაც რუსეთის ეკლესიის მხრიდან წინააღმდეგობისა და საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შედეგად დაახლოებით 70 წელით დაგვიანდა.

მიტროპოლიტ ამბროსის აფხაზეთიდან წარმომავლობამ და 1918-1919 წლებში იქ განხორციელებულმა ვიზიტებმა, აფხაზთა და ქართველთა რეალური ურთიერთობების ამსახველმა სიტყვა-ქადაგებებმა ხელი შეუწყვეს მის მიმართ აფხაზთა ნდობისა და პატივისცემის გაძლიერებას. აფხაზთა საჭიროებებთან დაკავშირებით მღვდელმთავრის შუამდგომლობების დასაკმაყოფილებლად საერო ხელისუფლებისა და საკათოლიკოსო საბჭოს მხრიდან გადადგმულმა ნაბიჯებმა პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად განაპირობა 1919 წლის 7-8 ოქტომბრის საგანგე-

1. გენერალ ანტონ დენიკინის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე დაარსებული რუსული უმაღლესი საეკლესიო მმართველობა თავის დაქვემდებარებაში სოხუმის რუსული სამრევლოების გაერთიანებასაც აპირებდა. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ომის პირობებში ეპარქია რეალურად ვერ ჩამოყალიბდა, მის მღვდელმთავრად მთავარეპისკოპოსის ხარისხში აყვანილი მეუფე სერგი დაინიშნა კიდეც.და მან შავიზღვისპირეთისა და ნოვოროსიისკის მღვდელმთავრის წოდება სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა (*Обзор Деяний*, 78; https://drevo-info.ru/articles/13672534.html).

ბო საეპარქიო კრების წარმატება – აფხაზეთში საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის აღდგენა.

დღეს, როცა სეპარატისტებისა და მათი მხარდამჭერი გარე ძალების მიერ საქართველოსაგან აფხაზეთის მოწყვეტის (1993 წ.) შემდეგ საქართველოს ეკლესიის უფლებების ფაქტობრივი გავრცელება აფხაზეთის ეპარქიაში ისევ დღის წესრიგში დგას, ერთობის გამომხატველ ყოველ დოკუმენტსა და ფაქტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საჭიროა მათი გამოვლენა, გაანალიზება და ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა.

აფხაზეთის საგანგებო საეპარქიო კრების ორგანიზება, მიმდინარეობა და დადგენილებები საქართველოს სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენელ მიტროპოლიტ ამბროსისა და აფხაზური მხარის კეთილგანწყობილი ურთიერთობის შედეგია.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბენდელიანი, 2005 – მედეა ბენდელიანი, *კავკასიაში რუსული საეკლესიო უჯრედის – საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციისა და სოხუმის ეპარქიის საკითხისათვის (1918–1919)*, კრებული „*კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები*“, XXI, თბილისი.
2. ბუბულაშვილი, 2011 – ელდარ ბუბულაშვილი, *საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და აფხაზეთი*, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალში „*რელიგია*“, №1.
3. გამახარია, 2005 – ჯემალ გამახარია, *აფხაზეთი და მართლმადიდებლობა*, თბილისი.
4. გამახარია, 2012 – ჯემალ გამახარია, *წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია)*, თბილისი.
5. *კონსტიტუცია*, 1990 – *საქართველოს კონსტიტუცია მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21*, თბილისი.
6. კუპატაძე, 2018 – ბონდო კუპატაძე, *აფხაზეთის ავტონომია*, ენციკლოპედია-ლექსიკონი *„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921)*“, თბილისი.
7. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 463 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 463.
8. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 956 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 956.
9. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 6465.
10. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6676 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 6676.
11. *Обзор Деяний _ Обзор Деяний Священного Собора Православной Российской Церкви 1917-1918 гг.*, сост. А. Г. Кравецкий.
12. https://drevo-info.ru/articles/13672534.html

Issue of restoring the jurisdiction of the Church of Georgia in the Diocese of Abkhazia – decisions of the Diocesan Assembly of October 7-8, 1919

The autocephaly of the Church of Georgia restored on March 12, 1917, was recognized by the Provisional Government of Russia only with a national viewpoint. As a result of the autocephalists' protest against this act, based on the „basic rules of the Rights of the Church of Georgia“ Government approved on July 25, 1917, allowed Orthodox believersto: Abkhazians and living in the Transcaucasus Ossetians choose between the Churches of Georgia and Russia, according to their desire.

On March 20, 1919, Abkhazia entered the Democratic Republic of Georgia with the status of an Autonomous. September 1, 1919, Commissariat of Abkhaziathe announced the chair of the High Priest of Abkhazia vacant. At the request of the Commissariat, the Catholic Council appointed Metropolitan Ambrose (Khelaia) of Chkondidi as the Temporary Ruler of the Diocese. The extraordinary diocesan meeting organized by him took place on October 7-8, 1919.

The article informs readers about ten decisions made by the Assembly, eight of which were unknown in historiography.

The decisions of the meeting were related to the following issues: restoration-organization of the Diocese in the territory of the Autonomous Abkhazia as part of the Georgian Church; differentiation-finding of funds for the expenses of the Diocese and parish priests; election of Rev. Ambrosi as the High Priest; granting the title of Metropolitan to the head of the Diocese of Sukhum-Abkhazia. Determination of the states of the cathedral, election of members of Diocesan Council and Court; division of the Diocese into Counties; organization of preparatory courses for the clergy of Abkhazia Diocese.

According to the desire of the Abkhaz people and the decision of the Diocesan Assembly, the name determined by the 1st Church Assembly – Tskhum-Bedi Diocese was changed to Tskhum-Abkhazia.

The issue is important as far as the separatists and their supporting external forces today prevent the actual implementation of the rights of the Church of Georgia in the Diocese of Abkhazia. After the de facto secession of Abkhazia from independent Georgia (1993), the jurisdiction of the Church of Georgia has been preserved there only on legal basis.

The Diocesan Assembly of 1919 is an example of the success of the relationship between the representatives of the secular and religious authorities of Georgia and the Abkhazian side.

Восстановление юрисдикции Грузинской Церкви в Абхазской эпархии – постановления эпархиального собрания 7-8 октября 1919 г.

Признание Временным Правительством России восстановленную автокефалию Грузинской Церкви по национальному характеру, опратестовали автокефалисты. В итоге они добились того, что правительство утвержденным 25 июля 1917 года „временным правилам о положении грузинской церки в русском государстве“, православным абхазам и проживающим в Закавказье осетинам дал право выбора между Грузинской и Русской церковью.

В состав независимой демократыческой республики Грузия 20 марта 1919 года Абхазия вошла с статусом автономии.

После этого факта в силу декрета Комиссариата Абхазии от 1 Сентября 1919 года, Католикосский Совет, временным руководителем абхазских православных церквей назначил митрополита Амвросия (Хелая) Чкондидели, который 7-8 октября 1919 года организовал Особый епархиальный собор.

Статья знакомит читателей с десятью постановлениями, вынесенных собором, восемь из них не были знакомы в историографии.

Постановления касались следующих вопросов: восстановление на территории автономной республики Абхазии Сухумско-Абхазской епархии и введение её в состав Грузинской Церкви; диференцирование и поиски средств для нужд епархии и приходских священнослужителей; избрание владыки Амвросия архиереием; присвоение Сухумско-Абхазской кафедре титула Митрополита; определение штатов кафедрального собора; выбор членов епархиального совета и суда; разделение епархии на области; организация подготовительно-учебных курсов для духовных лиц епархии.

По желанию Абхазов и решению епархиального собора, название, утвержденное на I Всегрузинском церковном соборе – Цхум-Бедийская, поменяли на Цхум-Абхазскую.

Вопрос восстановления юрисдикции Грузинской Церкви в Абхазской эпархии весьма значительный, поскольку на сегодняшний день, в Цхум-Абхазской епархии сепаратисты и их приспешники мешают Грузинской Церкви в осуществлении своих законных прав. В 1993 году, когда Абхазию фактически оторвали от независимой Грузинской республики, власть Грузинской Церкви в ней, сохранилась лишь юридически.

ახალი წყაროები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებასთან დაკავშირებით (1920 წ.)

რუსეთის საიმპერატორო ხელისუფალთაგან 1811 წელს ივერიის ეკლესიის რეორგანიზაცია და მისი საჭეთმპყრობლის შეყვანა რუსეთის უწმ. სინოდის შემადგენლობაში მსოფლიო საეკლესიო კანონთა დარღვევას წარმოადგენდა. ქართველი სამღვდელოებისა და ერისკაცთა წარმომადგენელნი აღნიშნული უკანონობის წინააღმდეგ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სხვადასხვა გზით იბრძოდნენ. 1917 წ. თებერვლის რევოლუციამ და დროებითი მთავრობის მიერ სარწმუნოებისა და, შესაბამისად, რელიგიური თვითგამორკვევის თავისუფლების აღიარებამ ხელი შეუწყო 12 (25) მარტს ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებას.

ახლად აღდგენილ ეკლესიას სათავეში ჩაუდგა დროებითი მმართველობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ დანიშნული[1] გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდის (ოქროპირიძე) მეთაურობით. აღნიშნული მმართველობა რუსეთის დროებითი მთავრობის მხრიდან მოსალოდნელ დაბრკოლებებს უნდა გამკლავებოდა და ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა ფაქტობრივად განხორციელებისთვის მიეღწია. ამ გზაზე დიდი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრება (1917 წ. 8-17 სექტემბერი), რომელმაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II (1917-1918, საძაგლიშვილი) და საკათოლიკოსო საბჭო აირჩია.

ეკლესიის ახლად არჩეულმა საჭეთმპყრობელმა სამწყსოსადმი პირველ მიმართვაში „*ჩამოაყალიბა თავისი სამოქმედო გეგმა და საპროგრამო პრინციპები, მიმართული ერის ერთიანობისა და ზნეობრივ-კულტურული სრულყოფისაკენ*“ (ქოქრაშვილი, 2015: 305).

გეგმის მიხედვით პირველ რიგში უნდა განხორციელებულიყო საქართველოს ეკლესიის უფლებათა აღიარება როგორც ეკლესიის შიგნით, ისე ქვეყნის მასშტაბით და საერთაშორისო ასპარეზზე; თანამედროვე პირობების შესაბამისად უნდა აღმდგარიყო ერისა და ეკლესიის სულიერი კავშირი, ერის ერთიანობა; მიმდინარე მსოფლიო ომი ქართველებს თავიანთი ბედის სასიკეთოდ შესაცვლელად უნდა გამოეყენებინათ; განთავისუფლებული ეკლესია ერს, როგორც საუკუნეთა განმავლობაში, ახლაც მხარში უნდა ამოსდგომოდა; მისი ზრუნვის საგანი უნდა გამხდარიყო მეზობელ ერებთან ურთიერთობა, „*მოქალაქეობრივ-განმანათლებლობითი*“ კავშირები სხვადასხვა აღმსარებლობებთან, ერის განათლებისა და კულტურის წარმატებისთვის ხელის შეწყობა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 467, 15; კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II, 1917: 2-3; ქოქრაშვილი, 2015: 305-308).

1. მისი სტატუსის შესახებ იხ. აქვე: 8, შენიშვნა 2.

ცხოვრების მეტ-ნაკლებად მშვიდობიანად წარმართვის პირობებში საქართველოს ეკლესიას მართლაც ჰქონდა შესაძლებლობა სამწყსოს სულიერ საჭიროებებზე ზრუნვისა და ქვეყნის აღმშენებლობაში წვლილის შეტანისა.

ეკლესიის უფლებათა სრულად აღდგენას წინააღმდეგობა გაუწია დიდმპყრობლური იდეებით განმსჭვალულმა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ და მორწმუნეთა ნაწილმა. მტრობა განაგრძო 21 ნოემბერს (ძვ. სტ.) არჩეულმა სრულიად რუსეთის პატრიარქმა ტიხონმაც (ბელავინი, 1917-1925). მან ქართველ იერარქებს თავიანთი საქციელის მონანიებისა და რუსეთის ეკლესიისადმი მორჩილებისაკენ მოუწოდა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6465: 94-97), მართლმადიდებელ ეკლესიებს კი მიმართა, არ ეღიარებინათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია (ბუბულაშვილი 2003: 58).

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის განხორციელების გზაზე შექმნილი დაბრკოლებების გადასალახავად მართლმადიდებელ სამყაროსთან ურთიერთობის აღდგენას ქართველი ავტოკეფალისტები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ. კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონმა თავისი აღსაყდრების შესახებ აღმოსავლეთის პატრიარქებს, რომის პაპსა და სომეხთა კათოლიკოს-პატრიარქს აცნობა (კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II, 1917: 4-5). მართლმადიდებელი სამყაროს მეთაურთა პასუხები არც წყაროებიდან და არც სამეცნიერო ლიტერატურიდან ჯერჯერობით ცნობილი არ არის (მათ არც კათოლიკოს-პატრიარქებად ლეონიდისა (1919-1921, ოქროპირიძე) და ამბროსის (1921-1927, ხელაია) აღსაყდრების უწყებებზე უპასუხიათ).

სრულიად სომეხთა ეკლესიის საჭეთმპყრობელ გევორქ V-ის (1911-1930) საპასუხო კონდაკი, დაწერილი სომხურად და ფრანგულად, რუსულ თარგმანთან ერთად დაცულია საქართველოს საპატრიარქოს არქივში. კონდაკში გამოხატულია სიხარული საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებისა და მის საჭეთმპყრობლად კირიონ II-ის არჩევის გამო (საპატრ. არქ. 650: 16-18).

წყაროებში ვხვდებით პირდაპირ ცნობებს იმის შესახებ, რომ საქართველოს პატრიარქების მიერ თავიანთ აღსაყდრებასთან დაკავშირებით გაგზავნილი ეპისტოლეები მართლმადიდებელი სამყაროსგან რეაგირების გარეშე იყო დარჩენილი. ამგვარ წყაროთაგან მნიშვნელოვანია სრულიად საქართველოს II საეკლესიო კრების (1920 წ. ივნისი) საქმე (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6478).

კრებამ განიხილა პატრიარქების – კირიონისა და ლეონიდის მიერ გაგზავნილ ეპისტოლეებზე მსოფლიო პატრიარქის პასუხის დაგვიანების საკითხი და მისთვის საქართველოს ეკლესიის ვითარების გასაცნობად დელეგაციის გასაგზავნი საშუალებების ძიება დაიწყო (იქვე, 135).

უფრო მოგვიანებით მიტროპოლიტი კალისტრატე (ცინცაძე) თავის მოგონებებში აღნიშნავდა: კარგადაა ცნობილი, რომ კათოლიკოს-პატრიარქებმა – კირიონმა, ლეონიდმა და ამბროსიმ აღმოსავლეთის პატრიარქებს მოკითხვის ბარათები გაუგზავნეს, მათ კი ეს ბარათები თითქოს არც მიუღიათ. ყოველ შემთხვევაში, ტრაპიზონის მიტროპოლიტი ხრისანთე (იგივე ქრიზანთოსი) თბილისში ყოფნისას კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდს ასე არწმუნებდა. მსოფლიო პატრიარქმა ბასილი III-მ პასუხი არ დაუბრუნა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ორგზის შეკითხვას, თუ როდისთვის იყო მონვეული მსოფლიო საეკლესიო კრება, მიუხედავად იმისა, რომ საპასუხო დეპეშაში ფულიც იყო გადახდილი. აღმოსავლეთის სხვა პატრიარქებს კი წესად აქვთ, მასთან ჰქონდეთ ურთიერთობა, ვისთანაც მსოფლიო პატრიარქი ურთიერთობს.

მიტროპოლიტი კალისტრატე მსოფლიო საპატრიარქოს მხრიდან საქართველოს ეკლესიასთან ურთიერთობისთვის თავის არიდების ორ მიზეზს ასახელებს: I. 1905 წლის რევოლუციის დროს საქართველოში გლეხების მიერ აღმოსავლეთის პატრიარქთა მფლობელობაში არსებული მამულების დაპატრონება, საიდანაც ისინი (აღმოსავლეთის პატრიარქები) საუკუნეების განმავლობაში საკმაო შემოსავალს იღებდნენ; II. მსოფლიო პატრიარქის მიერ ანგარიშის გაწევა რუსეთის ეკლესიისთვის, რომელსაც სურდა, საქართველოს ეკლესიას მსოფლიო მართლმადიდებელ სამყაროსთან ურთიერთობა მხოლოდ მისი მეშვეობით ჰქონოდა.

ანგარიშის გაწევის („*ხათრის შენახვა*“) საფუძველს კი რუსეთში აღმოსავლეთის პატრიარქთა მეტოქეების არსებობა წარმოადგენდა, საიდანაც მათ შემოსავალი შესდიოდათ; თუ არა რუსეთის ეკლესიის „*ხათრის შენახვა*“, მსოფლიო საპატრიარქო, რომელიც ებრძვის ეკლესიის ეროვნული ნიშნით დაყოფას, „*მოითმენდა უწმინდესის (გინა სამღვდელო*[1]*) სინოდის და პატრიარქ ტიხონის მიერ დაკანონებულ ფილეტიზმს, ან და მისი სახელით გამოქვეყნებულ ყალბ ეპისტოლეს დასტამბვას?*“ – აღნიშნავდა მღვდელმთავარი (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ. ს. 102: 104).

ყალბ ეპისტოლეებში მიტროპოლიტი კალისტრატე გულისხმობს კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის პატრიარქების სახელით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ჟურნალ „*Церковныя ведомости*“-ს („*ცერკოვნიე ვედომოსტი*“) 1919 წლის №7-ში დაბეჭდილ წერილებს. იქვე გაკეთებული მინაწერის მიხედვით, დოკუმენტები რედაქციისთვის ერთ-ერთ მღვდელმთავარს გადაუცია. მისი სახელი გამჟღავნებული არ არის.

1. რუსეთის პატრიარქის ეკლესიასთან განხეთქილებაში მყოფი „*განმაახლებელთა*“ სინოდი. „განახლების მოძრაობის“ შესახებ იხ. აქვე: 241-257.

უწმ. სინოდის ოფიციალური ორგანო „*Церковныя ведомости*“ გამოდიოდა 1888-1918 წწ., ხოლო მსოფლიო და ანტიოქიის პატრიარქთა სახელებით წერილები გამოქვეყნდა რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში მოქმედი დროებითი უმაღლესი საეკლესიო მმართველობის მიერ გამოცემულ ამავე სახელწოდების ჟურნალში.

ეპისტოლეების ტექსტები კრიტიკით К. Георгиевски-ს ფსევდონიმით დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ 1921 წელს გამოაქვეყნა (К. Георгиевски, 1921: 3).

კერძოდ, კონსტანტინოპოლის პატრიარქის (სახელი მითითებული არ არის) წერილში აღნიშნულია, თითქოს საქართველოს დამოუკიდებელ ეკლესიას ის არ იცნობს და არ შეუძლია იცნოს; მოუწოდებს მის იერარქებს, ყური უგდონ თავიანთი მწყემსის – პატრიარქ ტიხონის ხმას, შეწყვიტონ მასთან მტრობა, შევიდნენ ძმურ ურთიერთობაში და ამ გზით თავიანთი ეკლესიის საკითხი კანონიკურ კალაპოტში მოაქციონ.

ანტიოქიის პატრიარქ გრიგოლ IV-ის „პასუხი“ კი საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებს შეახსენებს: დაგავიწყდათ, რამდენ ხანს იყავით მოსვენებით, მშვიდობიანად რუს მართლმადიდებელთა საფარველქვეშ? არასოდეს ყოფილხართ ავტოკეფალური. რუსეთის ეკლესიასთან შეერთებამდე თქვენი ეკლესია იყო ანტიოქიის დაქვემდებარებაში, როცა ჩვენ დავსუსტდით და თქვენამდე ხელი აღარ მოგვიწვდებოდა, ჩრდილოეთით აღიმართა ყველა მართლმადიდებელთა ახალი დამცველი და, როცა ეს სახელმწიფო დაავადდა, თქვენ, როგორც უმადურმა შვილებმა, ხელი აღმართეთ მის ეკლესიაზე. როგორ გაიფიქრეთ, რომ ჩვენ თანაგიგრძნობდით და გავხდებოდით თქვენი თანამოსაქმენი ამ უკანონობაში. გირჩევთ, მოეგეთ გონს და მოინანიეთ თქვენი მამის, პატრიარქ ტიხონის, ჩვენი ძმისა და თანამლოცველის წინაშე (საპატრ. არქ., აღწ. 2, ს. 544: 1-5; ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 242: 23-24; К. Георгиевски, 1921: 3).

დეკანოზმა კალისტრატემ აღნიშნული ეპისტოლეების ნაყალბევობის დასადასტურებლად შემდეგი მოსაზრებები გამოთქვა: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით წერილები საქართველოდან არ გაგზავნილა.[1] მით უმეტეს, მათზე „*საპასუხო წერილები*“ საქართველოს ეკლესიას უნდა მიეღო და არა ანონიმ მღვდელმთავარს.

თუ 1920 წლის დასაწყისში, ტრაპიზონის მიტროპოლიტ ქრიზანთოსის მტკიცებისამებრ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის წერილი მიღებული არ ჰქონდათ, ამ წერი-

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარები ეპისტოლეებით აღმოსავლეთის პატრიარქებს მხოლოდ თავიანთი აღსაყდრების შესახებ აწვდიდნენ ინფორმაციას. ავტოკეფალისტების აზრით, რადგან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება არავის უღიარებია, მისი აღდგენის დასამოწმებლად აქტების გამოცემა საჭირო არ იყო.

ლის პასუხი 1919 წ. დეკემბერში „*Церковныя ведомости*“-ს რედაქციაშიც ვერ აღმოჩნდებოდა.

დეკანოზი კალისტრატე კონსტანტინოპოლის პატრიარქის მოსაყდრე დოროთეოსის მხრიდან კეთილგანწყობის გამოხატულებად მიიჩნევს მისალოცს, რომელიც მან ევროპის სახელმწიფოთაგან საქართველოს რესპუბლიკის დე ფაქტო აღიარებასთან (1920 წლის 12 იანვარი) დაკავშირებით კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდს გამოუგზავნა.

სტატიის ავტორი ამასთანავე აღნიშნავს, რომ წარმოუდგენელი იყო, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე აზრი შეეცვალა ანტიოქიის პატრიარქს. 1914 წელს, რუსეთში ყოფნისას, გრიგოლ IV-მ[1] რუსეთის ეკლესიის მესვეურებს განუცხადა, რომ თვითონ და კონსტანტინოპოლის პატრიარქი გერმანე V[2] საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალურად თვლიდნენ. ეს მაშინ, როცა საქართველოს ეკლესია იმ დროს უწმინდესი სინოდის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდმა ზემოაღნიშნულ წერილებთან დაკავშირებით ინფორმაციის გადამოწმება კონსტანტინოპოლში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ მისიას სთხოვა და მათი სიყალბე ამ გზითაც დადასტურდა (კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე, 2010: 347; К. Георгиевски, 1921: 3).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებასა და ყალბი წერილების მიმართ მსოფლიო საპატრიარქოს დამოკიდებულებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მასალაა დაცული საქართველოს საპატრიარქოს არქივში, აღწ. 1, საქმე 650. ირკვევა, რომ კონსტანტინოპოლში საქართველოს საელჩოს მეოხებით კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდის წერილები არც მთლად უყურადღებოდ დარჩენილა. აღნიშნულ საქმეში დაცულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის წარმომადგენელთა 1920 წლით დათარიღებული მიმართვები საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლისადმი.

კონსული იოსებ გოგოლაშვილი 1920 წლის 26 თებერვალს №852 კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდს წერს: *„თქვენო უწმიდესობავ, მისიის თავმჯდომარე ბ-ნი გ. რცხილაძე გეახლათ მსოფლიო პატრიარქის მოადგილესთან და გადასცა თქვენი უწმიდესობის მომართვანი. ამასთანავე, გაახლებთ ადგილობრივი გაზეთების რამდენიმე ცალს, რომელშიაც დაბეჭდილია ცნობა ამის შესახებ.*

მიიღეთ უმდაბლესი სალამი მისიის მხრივ და მოწიწებითი სურვილები თქვენი ხანგრძლივი კეთილდღეობისა ჩვენი სამშობლოს და ხალხის საკეთილდღეოთ“ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 650: 3).

1. გრიგოლ IV (ხადადი) ანტიოქიის პატრიარქი 1906-1928 წწ.
2. გერმანე V (კავაკოპულოსი) კონსტანტინოპოლის ანუ მსოფლიო პატრიარქი 1913-1918 წწ.

ამ და სხვა წერილებითაც (რომლებსაც ქვემოთ მოვიხმობ) დასტურდება, რომ კონსტანტინოპოლში მყოფ ქართველ დიპლომატებს იმ ხანებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ხშირი ურთიერთობა ჰქონდათ.

ისტორიკოსი ელდარ ბუბულაშვილი მიუთითებს, რომ კონსტანტინოპოლის დიპლომატიური მისიის თავმჯდომარე გრიგოლ რცხილაძე ცდილობდა, საქართველოს ეკლესიას იზოლაციის გარღვევაში დახმარებოდა. მან კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდის წერილები მსოფლიო პატრიარქს გადასცა, მაგრამ ამ უკანასკნელმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ოფიციალურად აღიარებისაგან თავი შეიკავა (ბუბულაშვილი, 2003: 58).

სწორედ ხსენებულ ვითარებასა და შემდგომ პერიოდს ეხება დიპლომატების მიერ პატრიარქისთვის გამოგზავნილი წერილები.

გრიგოლ რცხილაძის 1920 წლის 9 მარტით დათარიღებული №878 მიმართვიდან ჩანს, რომ იგი მსოფლიო საპატრიარქოს მხრიდან საქართველოს ეკლესიისთვის სასურველი პასუხის მომზადებაშიც კი ცდილობდა მონაწილეობას:

„თქვენო უწმიდესობავ, 2 მარტს ჩემთან იყო სადარბაზოდ მსოფლიო პატრიარქის მოადგილე, ლოკუმ-ტენესი[1] *დოროთეოსი, რომელმაც გადმომცა, რომ თქვენი უწმიდესობის წერილი წაკითხული იყო უწმ. სინოდის სხდომაზე და ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინაო. გადმომცა აგრეთვე, რომ ამჟამად იმუშავებენ პასუხის ტექსტს, რომელსაც მოკლე ხანში გაახლებენ; დაუმატა აგრეთვე, ჩვენი მოვალეობაა, საქართველოს ეკლესიას ზნეობრივი სიმტკიცე მივსცეთო. თუ მათი პასუხი არ დაგაკმაყოფილებთ, გვიბრძანეთ და მაშინ ვეცდებით, ისეთი პასუხი მოვაწერინოთ, რომელიც თქვენთვის სასიამოვნო და მისაღები იქნება“* (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 650: 8). ე. ი. მსოფლიო პატრიარქის მოსაყდრე საქართველოს ეკლესიის ზნეობრივად განსამტკიცებლად გამოხმაურების საჭიროებას აღიარებდა, მაგრამ მოხსენიებული პასუხის საქართველოში მოსვლის შესახებ ჩემთვის ცნობილ წყაროებში ინფორმაცია არ მოიპოვება.

თეოლოგიის ბაკალავრი ნიკოლოზ გურგენიძე სტატიაში *„საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის და მსოფლიო საპატრიარქოს ურთიერთობები 1919–1933 წლებში“* წერს, რომ მსოფლიო საპატრიარქომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია 1918 წ. აგვისტოში მიიღო. პასუხის დაბრუნებამდე ვითარებაში გასარკვევად საქართველო-

1. ლოკუმ-ტენესი – მოსაყდრე (ბერძ.). მიტროპოლიტი დოროთეოსი (მამელისი) მსოფლიო პატრიარქის მოსაყდრე იყო 1918-1921 წწ., გერმანე V-ის გადადგომის შემდეგ.

ში ტრაპიზონის მიტროპოლიტი ქრიზანთოსი (ფილიპიდისი) გამოიგზავნა (გურგენიძე: 3-4).

ამავე სტატიაში ნათქვამია, რომ უკან დაბრუნებულმა მიტროპოლიტმა ქრიზანთოსმა 1920 წ. 15 ივლისს სინოდის სხდომას საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის შესახებ მოახსენა და რჩევაც მისცა; კერძოდ, სიტუაციის განსამუხტად კონსტანტინოპოლს რუსეთის პატრიარქი უნდა „*დაეყოლიებინა*", რომ მას საქართველოს ეკლესიის 100 წლის წინანდელი (1811 წლამდე არსებული – ი. ა.) მდგომარეობის აღდგენა ეღიარებინა (გურგენიძე: 10).

მიტროპოლიტ კალისტრატეს მოგონებებიდან ზემოთ მოხმობილ ციტატაში მეუფე ქრიზანთოსის საქართველოში ყოფნა მართლაც დასტურდება. თუმცა, ისტორიული წყაროებიდან გამომდინარე, ფაქტია, მსოფლიო საპატრიარქოს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელებისთვის ქმედითი ღონისძიებები არც მიტროპოლიტ ქრიზანთოსის რეკომენდაციის შემდეგ გაუტარებია.

ნ. გურგენიძე კი წერს: „*ივერიაში ავტოკეფალისტურმა მოძრაობამ მსოფლიო საპატრიარქო განსაკუთრებულად დააინტერესა და გადაწყვიტა, ქართველებთან კანონიკური ურთიერთობები დაეწყო. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვმა არაკანონიერად, სქიზმატებად გამოაცხადა ივერიის ეკლესია, მსოფლიო საპატრიარქოს არა თუ გაუზიარებია ეს გადაწყვეტილება, არამედ განსაკუთრებული ურთიერთობები დაიწყო და ევქარისტულ ერთობაშიც იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონიკურ ავტოკეფალურ ეკლესიად აღიარებდა*" (გურგენიძე: 1-2).

სტატიაში სხვა ადგილზე ვკითხულობთ: „*1920 წელს მსოფლიო საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე პრუსის მიტროპოლიტი დოროთე საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას წერილს უგზავნის: „კონსტანტინოპოლის ეკლესია, სამართლიანად არის მონაწილე საქართველოს სიხარულში ყრილობის მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღიარების გამო. დედობრივად ულოცავს მის აღმატებულებასა და სახელმწიფოს ამ ბედნიერ მოვლენას და ღირსია ქართველ სათნო ერს გადასცეთ დედობრივი სურვილები. უსურვებს (მსოფლიო საპატრიარქო) ღმერთშემოსილ სახელმწიფოს უფლის კურთხევასა და მხარდაჭერას და განვითარებას ყოველივე კეთილ საქმესა და მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვას, როგორც თვალის ჩინი, როგორც ამას თქვენი სათნო ქვეყანა აკეთებდა". თბილისში მყოფ ტრაპიზონის მიტროპოლიტ ქრიზანთოსს კი დაევალა საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერისათვის მსოფლიო საყდრის მილოცვა გადაეცა*" (გურგენიძე: 4).

როგორც ზემოთ აღვნიშნე, კონსტანტინოპოლის პატრიარქის მოსაყდრე დოროთეოსისგან კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდისთვის საქა-

რთველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტო აღიარების გამო გამოგზავნილ მისალოცს დეკანოზი კალისტრატე 1921 წელს გამოქვეყნებულ საგაზეთო სტატიაში ახსენებს (К. Георгиевски, 1921: 3). ეს წერილი, როგორც ნ. გურგენიძის მიერ მოხმობილი ტექსტიდანაც ჩანს, მხოლოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარების გამო სიხარულის გამომხატველია. ის არ გვაძლევს დასკვნის საშუალებას, რომ კონსტანტინოპოლმა საქართველოს ეკლესიასთან *„განსაკუთრებული ურთიერთობები დაიწყო და ევქარისტულ ერთობაშიც იმყოფებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონიკურ ავტოკეფალურ ეკლესიად აღიარებდა“* (გურგენიძე: 1-2).

გამოთქმულ აზრს ადასტურებს საარქივო მასალა, რომელიც საქართველოს ეკლესიის მესვეურთა მხრიდან მსოფლიო საპატრიარქოსთან ურთიერთობის აღდგენის მცდელობებზე 1920 წლის შემდეგაც მიუთითებს. მაგ., საქართველოს ეკლესია არ მიუწვევიათ 1926 წლისთვის განზრახულ VIII მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. მიუხედავად ამისა, საკათოლიკოსო საბჭოს წევრთა და თბილისის ოლქის სამღვდელოების 1926 წლის 12 და 27 მაისის თათბირებზე გამოიტანეს დადგენილებანი კრებაზე დელეგატის გაგზავნის აუცილებლობის შესახებ (შემდეგ დადგენილება მთელმა ქართველმა სამღვდელოებამ გაიზიარა).

დელეგატს კრებაზე ან კრების გარეთ (თუ კრებაზე არ დაუშვებდნენ) უნდა განეცხადებინა, *„რომ საქართველოს ეკლესიამ აღიდგინა თავისი კანონიერი ავტოკეფალური უფლება 12 მარტს 1917 წლიდგან და ამ ჟამათ ჰყავს მას კანონიერათ არჩეული უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი“*, არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული და აქვს თავისი სურვილები და მისწრაფებები (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 650, 26, 34-35).

კრებაზე დელეგატის გაგზავნის საკითხი მხოლოდ საეკლესიო კრების განუსაზღვრელი დროით გადადების გამო მოიხსნა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 650: 71). მიტროპოლიტ კალისტრატეს მიერ 1926 წლის 24 ივლისის თარიღით შედგენილი ეპისტოლე აღმოსავლეთის პატრიარქებს მაინც დაეგზავნათ. საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები წერდნენ: *„არა გვსურს, ვიფიქროთ, რომ ეს მდუმარება და უყურადღებობა გამოწვეულია ამა მსოფლიო მოსაზრებითა: პატარა ერის ეკლესიური ინტერესები მსხვერპლად შეეწიროს დიდი ერის ეკლესიურ მეგობრობასა და კეთილ განწყობილებას“*. წერილში გამოთქმული იყო იმედი, რომ მისი ყოვლადუწმინდესობა, *„აღძრული ეკლესიური ჭეშმარიტების ძიებით“*, დანარჩენ მართლმადიდებელ ეკლესიათა საჭეთმპყრობლებთან ერთად აღადგენდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან იმ ურთიერთობას, რომელიც XIX ს. დასაწყისამდე არსებობდა. წინააღმ-

დეგ შემთხვევაში *„ჩვენი ეკლესია იძულებული იქნება დაიტოვოს თავის წიაღში ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა და კანონიკური ნორმები იმ წესით და იმ საშუალებით, რასაც თვით დაინახავს საჭიროდ და მიზანშეწონილად*". მართლმადიდებელი სამყაროსაგან მისი განცალკევებისათვის პასუხისმგებლები იქნებიან აღმოსავლეთის პატრიარქები, *„რომელთაც არ მოისურვეს კანონიკური ჭეშმარიტების აღიარება და უკანონო პრეტენზიების მხილება*" (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 650: 38, 53-64; ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 102: 107-109).

ყოველივე ამის საჭიროება 1926 წელს, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა, მსოფლიო საპატრიარქოს საქართველოს ეკლესიასთან ლოცვითი და ევქარისტიული კავშირი 1920 წლიდან მაინც რომ ჰქონდა აღდგენილი.

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მიმართ მართლმადიდებელი სამყაროს დუმილი მიტროპოლიტმა კალისტრატემ 1926 წელს რუსეთის *„განახლებული*" ეკლესიის წარმომადგენელ პეტრე ბაქოელთან (სერგეევი) შეხვედრისას ასე ახსნა: აღმოსავლეთის პატრიარქებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება არ უღიარებიათ, ამიტომ მისი აღდგენისთვისაც რაიმე აქტის გამოცემა საჭირო არ იყო. კერძოდ, წყაროში ნათქვამია:

„... ჩვენ დიდი ხანია, ცნობილნი ვართ. მართალია, ჩვენი დამოუკიდებელი არსებობა 1811 წელს შეწყვიტა საერო მთავრობამ, მაგრამ განა იმავე მთავრობამ არ აღადგინა ჩვენი დამოუკიდებლობა 1917 წელს? რომელმა აღმოსავლეთის პატრიარქმა და რომელი აქტით დაადასტურა ჩვენი ავტოკეფალიის შეჩერება ან ახლა რა საჭიროა აღმოსავლეთის პატრიარქების განსაკუთრებული აქტი ჩვენი ცნობისთვის. უხმოდ მიიღეს ჩვენი დამოუკიდებლობის ძალით შეწყვეტა, უხმოდვე მიიღეს იმავე დამოუკიდებლობის აღდგენა" (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 102: 117-118).

მიუხედავად ამ სიტყვების ჭეშმარიტებისა, საქართველოს ეკლესიის უფლებების სრულად განხორციელების გზაზე მსოფლიო საპატრიარქოს დუმილი დიდ დაბრკოლებას ქმნიდა. მისი მხრიდან საქართველოს ეკლესიასთან კანონიკური კავშირის აღდგენის გამომხატველი წერილი მართლაც რომ მოსულიყო, ფართოდ გახმაურდებოდა ისევე, როგორც გახმაურდა 1927 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ქრისტეფორე III-ის (1927-1932, ციცქიშვილი) აღსაყდრებასთან დაკავშირებული მართლმადიდებელი სამყაროს წარმომადგენლების მილოცვები. ეს ქართველთა ინტერესებში შედიოდა.

კერძოდ, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის დროებითი მმართველი ვარლამ მარგველი (მახარაძე) 1929 წლის 30 იანვარს თბილისს სთხოვდა აღმოსავლეთის პატრიარქთაგან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიი-

სა და მის მეთაურად ქრისტეფორე III-ის აღიარების დამადასტურებელ წერილებს. კათოლიკოს-პატრიარქის რეზოლუციით მას გაეგზავნა კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის პატრიარქთა და საბერძნეთის სინოდის თავმჯდომარის წერილები (საპატრ. არქ. ს. 650: 199). ჩანს, რომ საქართველოს ეკლესიის წევრები მართლმადიდებელი სამყაროს ყოველგვარ გამოხმაურებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

მივუბრუნდეთ 1920 წელს საქართველოს ეკლესიასა და მსოფლიო საპატრიარქოს შორის ურთიერთობის ამსახველ მასალას. საქმე 650-ში დაცულ გაზეთებში: „*LE BOSPORE*"-ს 1920 წლის 3 მარტის, „*L' ENTENTE*"-სა და „*LE JOURNAL D' ORIENT*"-ის 1920 წლის 24 მარტის ნომრებში მოთავსებულია ცნობები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიისა და მსოფლიო პატრიარქის მოადგილის შეხვედრათა შესახებ. ინფორმაციიდან ჩანს, რომ ქართველი დიპლომატები მსოფლიო პატრიარქის მოსაყდრესთან საქართველოს ეკლესიის სახელით ურთიერთობდნენ (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 650: 3-7).

საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური მისია 1920 წლის 5 დეკემბრის №1718 წერილით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისადმი მსოფლიო საპატრიარქოს დამოკიდებულებასთან დაკავშირებით სხვა მნიშვნელოვან ცნობებსაც გვაწვდის:

„თქვენო უწმიდესობავ,

თქვენის დავალებით ვინახულე კონსტანტინოპოლის პატრიარქის მოადგილე/ლოკუმ ტენნესი/ დ ო რ ო თ ე ო ს ი, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი მქონდა საქართველოს ეკლესიის შესახებ. დასასრულ, გადავეცი ამბავი, გამოქვეყნებული რუსულ პრესაში, საქართველოს ეკლესიის არცნობისა პატრიარქების მიერ, რომლის შესახებაც თქვენ კეთილინებეთ შეკითხვის გამოგზავნა და მეც დამავალეთ პირადად. დოროთეოსმა გადმომცა, რომ ეს ამბავი პირველად ესმის და სრულიად ყალბია, არც მას და აგრეთვე /მისი აზრით/ არც სხვა რომელიმე პატრიარქს ასეთი განცხადება არასდროს არ გაუკეთებიათ. პირიქით, მან განაცხადა, რომ საქართველოს ეკლესია ცნობილია ავტოკეფალურად მას შემდეგ, რაც საქართველოს დამოუკიდებლობა იქნა ცნობილი ფაქტიურად. ასეთია კანონი და პრინციპი მართლმადიდებელი და, კერძოთ, ბერძენთა ეკლესიისაო. გაახლებთ, ამასთანავე, პირად სალამს დოროთეოსისა და გთხოვთ, ინებოთ ჩემგანაც გრძნობები უღრმესი პატივისცემისა.

მარად თქვენი სამსახურისათვის მზად მყოფი გენერალური კონსული საქართველოს რესპუბლიკისა გოგოლაშვილი" (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 650: 9).

მსოფლიო პატრიარქის მოადგილის აღნიშნულ განცხადებას დიდი მნიშვნელობა აქვს ზემოთ მოხმობილ, ყალბ წერილებთან მიმართებაში.

საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში სწორედ ასეთი მიუღებელი ხერხები და მეთოდები გამოიყენეს აღმოსავლეთის პატრიარქთა დუმილით წახალისებულმა რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებმა.

საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიასთან მსოფლიო საპატრიარქოს მხრიდან აღუდგენელი ევქარისტიული კავშირი ან ყალბი წერილების გამოქვეყნებისთვის მოუთხოვნელი პასუხი კონსტანტინოპოლის მხრიდან, რა თქმა უნდა, რუსეთის ეკლესიის „*ხათრის შენახვაზე*“ მიუთითებს.

განხილული მასალა ასახავს ქართველ სასულიერო და საერო პირთა მცდელობას, საქართველოს ეკლესიის უფლებათა სრულად განხორციელებისთვის აღმოსავლეთის პატრიარქთა დახმარებით მიეღწიათ. კონსტანტინოპოლიდან ქართველი დიპლომატების მიერ კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდისათვის 1920 წლის განმავლობაში გამოგზავნილი წერილებიდან საყურადღებოა მსოფლიო პატრიარქის მოსაყდრის მიერ საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის წარმომადგენლებთან საუბარში ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება და რუსულ პრესაში 1919 წელს გავრცელებული მსოფლიო და ანტიოქიის პატრიარქების ყალბი წერილების უარყოფა. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს კონსტანტინოპოლის გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებს საქართველოს ეკლესიის სახელით რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის წარმომადგენელთა და მსოფლიო პატრიარქის მოადგილის ურთიერთობის შესახებ.

დიპლომატთა წერილებში გამოთქმული იმედის მიუხედავად, საერთაშორისო ასპარეზზე მსოფლიო საპატრიარქოს დუმილი არ დარღვეულა. მას საქართველოს ეკლესიისთვის მხარდაჭერა ოფიციალურად არ გამოუხატავს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბუბულაშვილი, 2003 – ელდარ ბუბულაშვილი, *ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი 1918–1921 წლების საქართველოში*, ჟურნალში „ლოგოსი“, №1.
2. გურგენიძე – ნიკოლოზ გურგენიძე, *საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის და მსოფლიო საპატრიარქოს ურთიერთობები 1919–1933 წლებში*, https://www.academia.edu/43314195
3. კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II, 1917 – *გუჯარი უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოზ-პატრიარქის კირიონისა საქართველოჲს ეკლესიის სამწყსოჲს მიმართ*; *ეპისტოლე სრულიად საქართველოჲს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორისა აღმოსავლეთის პატრიარქთა მიმართ*; *ეპისტოლე სრულიად საქართველოჲს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორისა ჰრომთა პაპის მიმართ*; *ეპისტოლე სრულიად საქართველოჲს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორისა სომეხთა კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ*, ჟურნალში „*სვეტიცხოველი*“, №4.
4. კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე, 2010 – კალისტრატე ცინცაძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, *მწარე მოგონებები საქართველოს ეკლესიის ახლო წარსულიდან*, „*მწიგნობრობაჲ ქართული*“, მრავალტომეული, ტ. 9, თბილისი.
5. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 467 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 467.
6. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 650 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 650.
7. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 2273 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2273.
8. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 6465.
9. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6478 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 6478.
10. საპატრ. არქ., აღწ. 2, ს. 544 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 2, საქმე 544.
11. საპატრ. არქ., აღწ. 2, ს. 618 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 2, საქმე 618.
12. ქოქრაშვილი, 2015 – ხათუნა ქოქრაშვილი, *ჟურნალი „სვეტიცხოველი“ საქართველოს ეკლესიის ეროვნული მისიის შესახებ (1917–1918)*, კრებული „*ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*“, 2 (17), თბილისი.

13. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 102 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე 102.
14. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 242 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე 242.
15. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. საძაგლიშვილის ფ., ს. 1517 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი, საქმე 1517.
16. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. საძაგლიშვილის ფ., ს. 1518 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი, საქმე 1518.
17. К. Георгиевски, 1921 – К. Георгиевски, *По поводу архипастырского подлога*, გაზეთი „*Грузия*“, 11.01.1921, №5.

New sources on the recognition of the autocephaly of the Church of Georgia (1920)

Restoration of the autocephaly of the Georgian Church, its liberation from the rule of the secular and religious authorities of Russia was announced March 12, 1917. The Provisional Government that came to to power in Russia as result of 1917 revolution, created great obstacles for the restoration of the rights of the Church of Georgia, in the attempt to preserve the borders of the Empire. Because of Russia, other Patriarchs of the world and of the East left unanswered the letters of the Catholicos-Patriarchs of All Georgia Kirion II (1917-1918, Sadzaglishvili), Leonid (1919-1921, Okropiridze) and Ambrosi (1921-1927, Khelaia) regarding their enthronement.

The diplomatic mission of the Democratic Republic of Georgia to Constantinople ensured that the voice of the Church of Georgia reached the next Ecumenical Patriarch's attention. From the letters sent by Georgian diplomats to the Catholicos-Patriarch in 1920, it is clear that, in his conversations with them, the locum tenens of Ecumenical Patriarch recognized the autocephaly of the Church of Georgia; he rejected the letters published in the Russian press under his name and that of the Patriarchs of Antioch; that the Patriarchate of Constantinople considered it its duty to morally strengthen the Church of Georgia and for this purpose it was working on the text of the letter to be sent to Georgia; that articles were published in the press of Constantinople about the relationship between the locum tenens of Ecumenical Patriarch and the representatives of the diplomatic mission of the Republic, acting on behalf of the of the Church of Georgia.

Despite the efforts of Georgian diplomats, the Ecumenical Patriarchate did not recognize at international level the restoration of the autocephaly of the Church of Georgia, nor has it been confirmed in writing.

Новые источники в связи с признанием автокефалии Грузинской Церкви (1920 г.)

В 1917 году пришедшее к власти Временное Правительство, с целью сохранения границ бывшей империи, препятствовало Грузинской Церкви в осуществлении своих автокефальных прав. Учитывая интересы России, Вселенский и другие Патриархи Востока, оставили без ответа послания Католикос-Патриархов всея Грузии, Кириона II-го (1917-1918, Садзаглишвили), Леонида (1919-1921, Окропиридзе) и Амвросия (1921-1927, Хелая) в связи с их интронизацией.

Дипломатическая миссия демократической республики Грузии в Константинополе, постаралась, чтобы глас Грузинской Церкви дошёл до местоблюстителя Вселенского Патриарха Доротеоса (Мамелис). В результате, в прессе Константинополя опубликовали статьи о взаимоотношениях Вселенского Патриарха и представителей дипломатической миссии Грузинской демократической республики.

В письмах, посланных грузинскими дипломатами в адрес Католикоса-Патриарха Леонида в 1920 году говорилось, что местоблюститель Вселенского Патриарха в беседе с ними признавал автокефалию Грузинской Церкви; он отрицал опубликованные в русской прессе статьи, в которых от имени Константинопольского и Антиохийского Патриархов как-будто было выражено недовольство в связи с восстановлением автокефалии Грузинской Церкви. Дипломаты сообщали, что Константинопольская Патриархия считала своей обязанностью морально укрепить Грузинскую Церковь и с этой целью работала над письмом, которое в итоге не было получено.

Несмотря на то, что Вселенская Патриархия признавала автокефалию Грузинской Церкви в разговорах с грузинскими дипломатами в 1920 году, этот факт не подтвердился в письменном виде и не был оглашён на международном уровне.



საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი
1917 წლის 12 (25) მარტი

სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრების (1917 წ. 8-17 სექტემბერი) მონაწილენი



საკათოლიკოსო სახლი (ეგზარქოსთა ყოფილი სახლი)

ბოდბის მონასტერი

ილუმენია ნინო (ვაჩნაძე), ბოდბის მონასტრის წინამძღვარი 1917-1924 წწ.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის
დელეგაცია და მღვდელ-მონაზონი ლეონიდი (ჩინეთის მეტოქის გამგე)
პეტროგრადი, 1917 წლის ზაფხული

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის თავმჯდომარე ყოვლადსამღვდელო ლეონიდი (ოქროპირიძე), შემდგომში, 1919-1921 წწ., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II
(1917-1918, საძაგლიშვილი)

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი
(1921-1927, ხელაია)

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე
(1932-1952, ცინცაძე)

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II
(1960-1972, სიდამონიძე)



საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ცნობის აქტი
1990 წელი



საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტიტულის ცნობის აქტი
1990 წელი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
(1977-დან, შიოლაშვილი)

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია
და „განახლების მოძრაობა“

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ადგილობრივი ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების პროცესს საბჭოთა ხელისუფლების სახით ახალი და ძლიერი მტერი გამოუჩნდა. ეს უკანასკნელი ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას რეპრესიებით, მისი ავტორიტეტის შელახვითა და შიდა დაპირისპირებების გამოწვევით ცდილობდა; ეკლესიაში თავისი ინტერესების გამტარი ჯგუფების შექმნას უწყობდა ხელს და ამ გზით ეკლესიის განადგურებას ან რუსეთის განახლებული ეკლესიისა და საბჭოთა ხელისუფლების დაქვემდებარებაში მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებელი ეკლესიების გაერთიანებას გეგმავდა. სწორედ ამ მიზნით წაახალისა საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთში „*განახლების მოძრაობის*“ ფორმირება და განვითარება; იყო მცდელობა „*ახალი ეკლესიის*“ ჩამოყალიბებისა საქართველოში.

საქართველოს ეკლესიას მოუხდა „*განახლების მოძრაობის*“ გავლენისაგან თავის დაღწევა, მასთან გამკლავება. აქედან გამომდინარე, ორიოდე სიტყვით მიმოვიხილავ რუსეთის ეკლესიაში ამ მოძრაობის წარმოშობის წინაპირობებს.

პეტრე I-ის (1689-1725) მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმის შედეგად 1721 წლიდან რუსეთში პატრიარქობა გაუქმდა, ეკლესია სახელმწიფო უწყებად გადაიქცა. კოლეგიალური ორგანოს – უწმ. სინოდისა და საერო პირის – ობერპროკურორის მეთაურობით ეკლესია თავის პირდაპირ დანიშნულებას მკვეთრად დაშორდა და მორწმუნეთა შორისაც ავტორიტეტი დაკარგა.

რუსი იურისტი და საზოგადო მოღვაწე, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი პავლე ვერხოვსკი რუსეთის ეკლესიის ისტორიის აღნიშნულ მონაკვეთს უწოდებს „*период государственной церковности*“, როცა ეკლესიის ორგანიზაციის სტრუქტურა და მდგომარეობა სახელმწიფოში ქრისტიანული მოძღვრების ძირითად დებულებებს და სახელმწიფო სამართლის ნორმებს არ შეესაბამებოდა. ეს შეუსაბამობა უწმ. სინოდის კოლეგიალურ და არა კრებით საწყისზე დაფუძნებაშიც ვლინდებოდა. სინოდის სხდომებს ესწრებოდა არა ყველა ეპისკოპოსი, მათი მოადგილეები ან ძალაუფლებით აღჭურვილი პირები, არამედ საერო ხელისუფლების მიერ დანიშნული მუდმივი წევრები.

ვერხოვსკი იმოწმებს დეკანოზსა და სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ მიხეილ გორჩაკოვს, რომლის მოსაზრებითაც ეკლესიას სახელმწიფოსა და ხალხისათვის მხოლოდ მაშინ შეუძლია სარგებლის მოტანა, თუ მის მოწყობაში ასახულია როგორც საზოგადოებრივი,

ისე ღვთიური საწყისი. ყოველივე ამას კი რუსეთის ეკლესია XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან მოკლებული იყო. მართლმადიდებლობისთვის შეუფერებელმა მდგომარეობამ მორწმუნეთა ნაწილის რელიგიური გრძნობის გაციება გამოიწვია (Верховский, 1912: 2, 122, 131-132).

მოწინავე რუსული საზოგადოების მიერ ეკლესიის რეორგანიზებისათვის XVIII საუკუნიდანვე დაწყებული მოძრაობა ურწმუნოების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას და ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლებას ისახავდა მიზნად. მოძრაობა პერიოდულად აქტიურდებოდა და წარუმატებლობის გამო ისევ ნელდებოდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, აგვისტოში შესაძლებელი გახდა სრულიად რუსეთის I საეკლესიო კრების მოწვევა, რომელმაც პატრიარქობის ინსტიტუტი აღადგინა და 21 ნოემბერს (ძვ. სტ.) საჭეთმპყრობლად მოსკოვის მიტროპოლიტი ტიხონი (ბელავინი) აირჩია.

ეკლესიისთვის საჭირო ცვლილებების პროცესს ხელი შეუშალა რუსეთის საერო ხელისუფლების ბოლშევიკთაგან მიტაცებამ (1917 წ. 25 ოქტომბერი (7 ნოემბერი). ეკლესიის წინააღმდეგ კომუნისტური ხელისუფლების ბრძოლის პირობებში რუს სასულიერო პირებს გამოეყო ე. წ. *პროგრესული სამღვდელოება*, რომელიც შეეცადა, ეკლესიაში განსახორციელებელი ცვლილებები საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებისთვის შეესაბამებინა. მათი იდეების წარმატება, საეკლესიო დოგმატებისა და კანონების დარღვევის გარდა რუსეთის ეკლესიის საერო ხელისუფლების გავლენაში დაბრუნებასაც გულისხმობდა.

საბჭოთა ხელისუფლებისა და „*პროგრესისტების*“ შეთანხმებული მოქმედების შედეგად რუსეთის ეკლესიაში განსახორციელებელი უცილობელი ცვლილებები „*ტოტალურ რეფორმიზმში*“ გადაიზარდა და რუსეთის კანონიერ ანუ „*პატრიარქ ტიხონის ეკლესიასთან*“ დაპირისპირებული „*განახლების მოძრაობის*“ სახით ჩამოყალიბდა.

მოძრაობის წარმომადგენლებს, გარდა „*პროგრესისტებისა*“,[1] „*განმაახლებლებს*“ („*ობნოვლენცებს*“) უწოდებდნენ, თვითონ მოძრაობას კი „*ცოცხალი ეკლესიის*“[2] სახელითაც მოიხსენიებდნენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „*განახლების მოძრაობის*“ ჩამოყალიბება რუსეთის ეკლესიაში განაპირობა ერთი მხრივ, XIX საუკუნის შუა წლებში დაწყებულმა ეკლესიის რეორგანიზების პროცესმა, მეორე მხრივ

1. საბჭოთა ხელისუფლება თავის მომხრე სასულიერო პირებს რუსეთშიც და საქართველოშიც „*პროგრესულ*“, „*რეფორმატორ*“, „*რევოლუციურად განწყობილ*“ სამღვდელოებად მოიხსენიებდა (პავლიაშვილი, 2002: 140-141). მასთან დაპირისპირებულ დაჯგუფებას კი, შესაბამისად, „*რეაქციულს*“ უწოდებდა.

2. „*განახლების მოძრაობის*“ შემადგენელ სხვადასხვა ჯგუფს შორის „*ცოცხალი ეკლესია*“ 1922-1923 წწ. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რამაც დროებით მისი დასახელების განზოგადება გამოიწვია.

კი – იმ პოლიტიკურმა ცვლილებებმა, რომელიც ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლას მოჰყვა. აღნიშნული მოძრაობის ამოცანას წარმოადგენდა ეკლესიის რეორგანიზების პროცესის წარმართვა საერო ხელისუფალთა ინტერესების გათვალისწინებით, რაც დოგმატურ და კანონიკურ შეუსაბამობასთან ერთად იმიტომაც იყო მიუღებელი, რომ „*განმაახლებლებს*“ საქმე ჰქონდათ ურწმუნო ხელისუფლებასთან (არაბიძე, 2005: 37).

„*ობნოვლენცები*“ პატრიარქობის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ამასთანავე მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალი დოგმის, მორალური თუ კანონიკური ნორმის ცვლილებას გეგმავდნენ. ამ ცვლილებათა საჭიროებას ქრისტიანობის პირველი საუკუნეების ჭეშმარიტებასთან მიახლოების სურვილით ხსნიდნენ, რათა ყოველი დოგმა თუ კანონიკური ნორმა წმ. წერილს და წმ. გადმოცემებს რაც შეიძლება მეტად დაახლოებოდა. თუმცა აღნიშნავდნენ, რომ არ შეეცდებოდნენ მოციქულთა დროინდელი ეკლესიის ასლის გადმოღებას, რადგან ქრისტიანობა იყო და არის ცხოვრება, ე. ი. მოძრაობა, პროგრესი, რომ პირველქრისტიანთა იდეები თანადროულობას უნდა დაჰკავშირებოდა. მათი „*განმაახლებლობა*“ დასაშვებზე შორს როცა მიდიოდა, კანონიკურ შეცოდებებს დიადი მიზნის მიღწევის საშუალებად განიხილავდნენ და მიუთითებდნენ, რომ ეკლესიის განახლების ამოცანის გრანდიოზულობა შეცოდებებს მთლიანად გამოისყიდდა (Левитин, I: 91).

სინამდვილეში კი „*განმაახლებლებს*“ „*არა მარტო არავითარი შინაგანი სულიერი განახლება არ მიუციათ ეკლესიისთვის, არამედ, პირიქით, მასში შეიტანეს შფოთი, განხეთქილება და ხრწნა*" (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 6465: 223). „*განახლების მოძრაობის*“ საფუძველშივე ღრმად რეაქციული ბუნება სულიერ კრახს გარდაუვალს ხდიდა, რადგან რუსეთის ეკლესიის მიერ უკვე განვლილ სინოდურ-ბიუროკრატიული მმართველობის ფორმას უბრუნდებოდა (Регелсон, 1977: 96). კანონიკურ შეცოდებათა გამოსყიდვაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

1922 წლის მაისში „*განახლების მოძრაობის*“ წარმომადგენლებმა (დეკანოზი ალექსანდრე ვედენსკი, მღვდლები: ევგენი ბელკოვი, სერგეი კალინოვსკი, მედავითნე სტეფანე სტადნიკი) პატრიარქი ტიხონი ხელისუფლებას ჩამოაშორეს. ის უპასუხისმგებლო პოლიტიკის წარმოებაში, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გამწვავებაში დაადანაშაულეს. ჯგუფმა „*უმაღლესი საეკლესიო მმართველობის*“ შექმნის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა. „*განმაახლებლების*“ ამ ნაბიჯს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებასთან იყო შეთანხმებული, წინ უძღოდა ხელისუფლებასა და პატრიარქ ტიხონს შორის უთანხმოება, მისი დაპატიმრება.

უზურპატორები თავს მასების ინტერესთა გამომხატველს უწოდებდნენ; აცხადებდნენ, რომ ეკლესიის მართვის საკითხს გადაწყვეტდნენ, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ნორმალურ ურთიერთობას დაამყარებდნენ. სინამდვილეში საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ეკლესიისა და, საერთოდ, რელიგიური ორგანიზაციებისადმი, მათ შორის დაპირისპირებას გარდაუვალს ხდიდა.

დაპირისპირება საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლისა და საბჭოთა ხელისუფლების ურთიერთობაშიც გამოვლინდა. ქართველმა „*პროგრესისტმა*“ სამღვდელოებამაც ამაში კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (1921-1927, ხელაია) დაადანაშაულა, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

„*განახლების მოძრაობა*“ საბჭოთა ხელისუფლებას საჯაროდ აღიარებდა და, როგორც აღვნიშნე, ეკლესიის რეორგანიზაციას სოციალიზმის ინტერესთა გათვალისწინებით გეგმავდა. პატრიარქ ტიხონის მოადგილეებად დანიშნულთა[1] გადაბირება უზურპატორებმა ვერ შეძლეს. პატრიარქის მოსაყდრის მოადგილე, მიტროპოლიტი სერგი[2] (შემდეგში, 1943-1944 წწ., სრულიად რუსეთის პატრიარქი) პატრიარქ ტიხონის მსგავსად, „*განმაახლებლებს*“ ეკლესიურ ერთობაში დაბრუნების ნებას მხოლოდ მონანიების შემდეგ რთავდა.

„*ობნოვლენცები*“ საერო ხელისუფლებასთან გარიგების შედეგად შედარებითი თავისუფლებით სარგებლობდნენ: უფლება ჰქონდათ, გაემართათ დისპუტები რელიგიურ საკითხებზე, ჰქონდათ თავიანთი სასწავლებლები, ოფიციალური გამოცემები და სხვა პრივილეგიები. საბჭოთა მთავრობას ამ მოძრაობის გამარჯვებაც და მარცხიც ხელს აძლევდა. თუ რუსეთის „*განახლებული*“ ეკლესია გაიმარჯვებდა, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებელ ეკლესიებს გააერთიანებდა, ისინი ავტომატურად საბჭოთა ხელისუფლების გავლენაში მოექცეოდნენ. „*პატრიარქის ეკლესიასთან*“ „*ობნოვლენცთა*“ ბრძოლის გახანგრძლივება, ამ უკანასკნელთა კრახის შემთხვევაშიც კი, ეკლესიის ავტორიტეტს მნიშვნელოვნად შეარყევდა.

---

1. პატრიარქ ტიხონის პატიმრობის პერიოდში და მისი გარდაცვალების შემდეგ რუსეთის ეკლესიას მართავდნენ: მიტროპოლიტი პეტრე (პოლიანსკი) – 1925 წლის დეკემბრამდე პატრიარქის მოსაყდრის წოდებით; მისი დაპატიმრების შემდეგ – მიტროპოლიტი სერგი (სტრაგოროდსკი) – 1936 წლამდე პატრიარქის მოსაყდრის მოადგილის, 1936-1943 წლებში – პატრიარქის მოსაყდრის წოდებით.

2. მიტროპოლიტმა სერგიმ, მთავარეპისკოპოსებმა: ევდოკიმმა და სერაფიმმა 1922 წ. ჟურნალ „*Живая Церковь*“-ის №4-5-ში მოათავსეს მიმართვა, რომლითაც რუსეთის ეკლესიის ერთადერთ კანონიკურ და კანონიერ ხელისუფლებად უმაღლესი საეკლესიო მმართველობა აღიარეს, მისი აღიარებისკენ მორწმუნეებსაც მოუწოდეს. პატრიარქ ტიხონის ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, 1923 წ., როგორც მიტროპოლიტი მანუელი აღნიშნავს, მიტროპოლიტმა სერგიმ თავისი საქციელი საჯაროდ მოინანია და „*პატრიარქის ეკლესიაში*“ დაბრუნდა (Митрополит Мануил, 2002: 946-953).

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის (1921 წ. თებერვალი) შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ 1922 წ. თებერვალში გენუის (იტალია) კონფერენციას კომუნისტური აგრესიისგან საქართველოს დაცვისაკენ მოუწოდა. საბჭოთა ხელისუფლებამ პატრიარქი ამ მოწოდების გამო მაშინვე არ დააპატიმრა, ანგარიშის გასასწორებლად თავისთვის მისაღები საბაბის ძებნა დაიწყო.

სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა რუსეთში პატრიარქის ხელისუფლების მიტაცება „*ობნოვლენცთა*“ მიერ. იმავე 1922 წელს ადგილობრივმა საერო მთავრობამ საქართველოს ეკლესიას რუსეთის „*განახლების მოძრაობასთან*“ შეერთება შესთავაზა. ეს წინადადება ეკლესიამ თავისი საჭეთმპყრობლის მეთაურობით უარყო, როგორც ეკლესიის დამოუკიდებლობის ხელმყოფი (პაპუაშვილი, 1996: 25).

საბჭოთა ხელისუფლებასთან ცალკეულ ქართველ სასულიერო პირთა დაახლოების, სამღვდელოების გაყოფის პროცესი გენუის კონფერენციისთვის მემორანდუმის გაგზავნის შემდგომ გააქტიურდა. სამღვდელოების ნაწილმა ჩათვალა, რომ ეკლესიისადმი კომუნისტური ხელისუფლების ულმობელი დამოკიდებულება კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მემორანდუმის დამსახურება იყო, რომლითაც ის კულტურულ კაცობრიობას მოუწოდებდა, საქართველო რუსეთის ძალმომრეობისაგან ეხსნა. ქართველმა „*პროგრესისტებმა*“, რუს „*განმაახლებელთა*“ მსგავსად, დასაშვებად მიიჩნიეს ეკლესიის რეორგანიზება საერო მთავრობის ინტერესთა გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს მთავრობა სარწმუნოებასა და რელიგიურ ორგანიზაციას ებრძოდა.

საქართველოს ეკლესიაში, კერძოდ ქუთაისის ეპარქიაში, 1923 წელს დაწყებულმა მოძრაობამ მიზნად „*ახალი ეკლესიის*“ ფორმირება დაისახა. პროცესი ფუნქციონერ კომუნისტთა მონაწილეობით მიმდინარეობდა. „*ახალი ეკლესიის*“ მხარდაჭერის შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლება სასულიერო წოდებას ეკლესიის მდგომარეობის შემსუბუქებას ჰპირდებოდა. საერო ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე, „*პროგრესისტების*“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა კათოლიკოს-პატრიარქის იძულება გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნა შეცდომად ეღიარებინა და გადამდგარიყო.

კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათოლიკოსო საბჭოს პატრიარქის მომხრე წევრთა[1] პატიმრობის პერიოდში (1923-1925) ეკლესიის მმართ-

1. მათ ბრალად ედებოდათ საეკლესიო განძეულის გადამალვა, საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებისამებრ საეკლესიო განძეულის ამოღებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, სამხედრო ტაძრის მთავრობისთვის გადაბარების პროცედურაზე გამოუცხადებლობა და ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩასარევად უცხო სახელმწიფოთა მოწვევა.

პატიმრობაში დარჩენილნი საკავშირო ცაკ-ის მიერ გამოცხადებული ამნისტიის შედეგად 1925 წ. 8 მარტს განთავისუფლდნენ.

ველი უმაღლესი ორგანოს შემადგენლობაც კი საბჭოთა ხელისუფლების მხარდამჭერი სასულიერო პირებით შეიცვალა. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მოსაყდრე გახდა საქართველოში „*ახალი ეკლესიის*“ მთავარი ორგანიზატორი, მიტროპოლიტი ქრისტეფორე (ციცქიშვილი).

საბჭოთა ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ „*განახლების*“ კურსის გამარჯვება საქართველოს ეკლესიას რუსეთის „*ობნოვლენცებთან*“ დააახლოებდა. ამას, მიუხედავად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურსის თანამგრძნობთა უარისა, მოჰყვებოდა საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიასთან გაერთიანება, საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკური კავშირის მსგავსად.

მთავრობის მხრიდან საქართველოს ეკლესიისთვის „*განახლების მოძრაობასთან*“ შეერთების შეთავაზების პარალელურად „*ობნოვლენცები*“ საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრას აქ მცხოვრები რუსების გადაბირებითაც ცდილობდნენ.

1922 წლის მაისში მოსკოვში შექმნილი „*უმაღლესი საეკლესიო მმართველობა*“ იმავე წლის დეკემბერში აღიარა კავკასიის საეგზარქოსოს დაქვემდებარებაში თბილისში არსებულმა დეკანოზ იოანე ლოზოვოის ჯგუფმა. დეკანოზი იოანე თბილისის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის წინამძღვარი იყო. მისი ჯგუფი თბილისის რუსული სამრევლოების ნაწილს აერთიანებდა.[1] „*განმაახლებელთა*“ დაქვემდებარებაში გადასვლის შემდეგ დეკანოზი იოანე ორი წლის განმავლობაში ცდილობდა საქართველოსა და სომხეთში არსებული არაქართული და შერეული სამრევლოების მიერთებას, მაგრამ უშედეგოდ (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 247: 5, 6, 12).

დეკანოზ იოანეს ჯგუფის „*განმაახლებლებისადმი*“ დაქვემდებარების შემდეგ საქართველოში მცხოვრები რუსი და სხვა არაქართველი მორწმუნენი ეკლესიური თვალსაზრისით სამ უმთავრეს ნაწილად აღმოჩნდნენ გაყოფილი:

1. საეკლესიო კანონთა ჭეშმარიტად დამცველნი საქართველოს საკათოლიკოსოში იყვნენ გაერთიანებული.

2. რუსეთის ეკლესიის ინტერესთა გამტარნი, თავიანთ იერარქთა მოწოდებისამებრ, საეკლესიო კანონების დარღვევით, თავს „*ტიხონის ეკლესიის*“ შვილებად თვლიდნენ. მათ საქართველოს ეკლესიასთან და რუს „*განმაახლებლებთან*“ ლოცვით-ევქარისტიული კავშირი გაწყვეტილი ჰქონდათ.

3. „*განახლების მოძრაობის*“ დაქვემდებარებაში მყოფნი კი ორმხრივ უკანონო ურთიერთობაში აღმოჩნდნენ: ცხოვრობდნენ საქართვე-

1. მიტროპოლიტ კალისტრატეს ცნობით, ჯგუფი სამი-ოთხი სამრევლოსაგან შედგებოდა (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 102: 94-95).

ლოს ტერიტორიაზე, არ აღიარებდნენ მისი ეკლესიის იერარქიას და სხვა (რუსეთის) ეკლესიის უკანონო სასულიერო ხელისუფლების გავლენაში იყვნენ მოქცეული (არაბიძე, 2005: 49-64).

ყოველივე ამ დარღვევათა შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის მიუხედავად, მორწმუნეთა შორის *„განმაახლებელთა“* ხელისუფლება ავტორიტეტით არ სარგებლობდა.

1923 წელს მოსკოვში *„განახლების მოძრაობის“* კრებაზე, რომელსაც ორგანიზატორებმა სრულიად რუსეთის II ადგილობრივი კრება უწოდეს, *„განმაახლებელთა“* მუდმივმოქმედი ორგანო – რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდი, იგივე სამღვდელო სინოდი – ჩამოყალიბდა. მიიღეს კანონები სასულიერო პირთა, მათ შორის, ეპისკოპოსთა ქორწინების შესაძლებლობის, მონასტერთა დახურვის, მონაზვნობის ლიკვიდაციის, პატრიარქობის გაუქმებისა და კოლეგიალური მმართველობის დაარსების შესახებ. ეს უკანასკნელი ეკლესიის სფეროში საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებს ყველაზე მეტად შეესაბამებოდა, რადგან ის პატრიარქ ტიხონს, რომელმაც თავი ანტისაბჭოთა მოქმედებით გამოავლინა, მონარქიისა და კონტრრევოლუციის საყრდენად მოიაზრებდა.

„განმაახლებლებსა“ და *„პატრიარქ ტიხონის“* ეკლესიას შორის წარმოშობილ მრავალ წინააღმდეგობათაგან ერთ-ერთი საქართველოს ეკლესიასთან ურთიერთობის გაწყვეტის საკითხიც იყო. რუსი *„პროგრესისტები“* აღნიშნავდნენ, რომ პატრიარქმა ტიხონმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას დიდი სირთულეები შეუქმნა, რაც მასთან ლოცვით-ევქარისტიული კავშირის გაწყვეტის მიზეზი გახდა.

„ობნოვლენცთა“ სამართლიანი ბრალდების მიზანშეწონილობა დადასტურდებოდა, თუ სასულიერო ხელისუფლების აღების შემდეგ ისინი უკანონობის აღმოფხვრაზე ზრუნვას უპირობოდ დაიწყებდნენ და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას ტერიტორიული ნიშნით აღიარებდნენ. თუმცა ეს ასე არ მომხდარა: რუსეთის დროებითი მთავრობისა და უწმ. სინოდის მიერ შექმნილი კავკასიის საეგზარქოსოსადმი საქართველოში მცხოვრებ რუსთა და სხვა არაქართველთა დაქვემდებარება აღნიშნულმა მოძრაობამ ისევ ძალაში დატოვა. მხოლოდ მოგვიანებით (1925 წ.) „ტიხონოველი“ ეპისკოპოსი პავლე (ვილკოვსკი) თავისი წარმომადგენლით – მიტროპოლიტ პეტრეთი (სერგეევი) შეცვალა. ეს კი საქართველოს ეკლესიასთან მიმართებაში სამართლიანობის აღდგენას ხელს ვერ შეუწყობდა.

1924 წ. თებერვალში წმ. სინოდის რწმუნებულად საქართველოსა და სომხეთში არსებული რუსული სამრევლოებისთვის დეკ. იოანე ლოზოვი დაინიშნა. ამ დროისთვის მას საერო ხელისუფლების ნდობა უკვე მოპოვებული ჰქონდა.

დეკანოზმა იოანემ 1924 წ. ივნისში მოსკოვში ჩატარებულ საეკლესიო კრებისწინა თათბირებში მიიღო მონაწილეობა. როგორც კავკასიაში „*განახლების მოძრაობის*“ მეათე წლისთავისადმი მიძღვნილ მოხსენებაშია[1] აღნიშნული, „*განმაახლებელთა*“ წინაშე დეკანოზმა იოანემ სწორედ ამ დროს დასვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ტერიტორიული ნიშნით აღიარების საკითხი (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ. ს. 247: 15).

თბილისში დაბრუნებულმა წმ. სინოდის რწმუნებულმა რუსული სამრევლოების თავის გარშემო შემოკრებაზე გაამახვილა ყურადღება. „*განმაახლებლები*“ აცხადებდნენ, რომ რუსი ეროვნულ-რელიგიური უმცირესობის ასიმილაციის თავიდან აცილებასა და მათი სამრევლოების „*ტიხონის ეკლესიის*“ გავლენისაგან დაცვაზე ზრუნავდნენ (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 247: 15, 16).

დეკანოზ იოანეს მცდელობის პარალელურად, საქართველოში არსებული რუსული და შერეულ ეროვნებიანი სამრევლოების თავის შემადგენლობაში დაბრუნებაზე ზრუნვას საქართველოს ეკლესიაც აგრძელებდა. ამ საკითხზე მოლაპარაკება „*განახლების მოძრაობის*“ წმ. სინოდთან 1925 წ. იანვარში, კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის პატიმრობის პერიოდში, მისმა მოსაყდრემ, მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ დაიწყო.

ნაშრომში „*Грузинская автокефалия и ее реставрация*“ („*საქართველოს ავტოკეფალია და მისი რესტავრაცია*“) მთავარეპისკოპოსი სერგი (ლარინი)[2] აღნიშნავს, რომ „*ობნოვლენცებთან*“ მიმოწერის დაწყებისკენ მიტროპოლიტ ქრისტეფორეს ამ მოძრაობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა და ყველაზე პოპულარულმა პიროვნებამ – ეპისკოპოსმა ალექსანდრე ვედენსკიმ უბიძგა. ის საქართველოში ყოფნისას ქართველ იერარქებს არწმუნებდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსული და შერეული სამრევლოების საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებაში შესვლის მცდელობას წარმატება მოჰყვებოდა (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 242: 33-34).

ეპისკოპოს ალექსანდრეს ინიციატივა კანონიერების აღდგენის სურვილით არ იყო განპირობებული. ის ცდილობდა, დაეძლია დაბრკოლებები, რომლებსაც „*განმაახლებლები*“ საქართველოში თავიანთი გავლენის გავრცელებისას წააწყდნენ. სირთულეებს ქმნიდა გეოგრაფიული გარემო, სამოქალაქო ცხოვრების პირობები და საქართველოს ეკლესია, რომელიც საკუთარი უფლებების სრულად აღდგენის საქმეს მცდელობას

1. მოხსენების ავტორი უცნობია. ტექსტის ნაწილი დაწერილია დეკანოზ ტარასი ივანიცკის მიერ (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 247).

2. მთავარეპისკოპოსი სერგი 18 წლის განმავლობაში „*განახლების მოძრაობის*“ წევრი იყო. 1943 წელს, მონანიების შემდეგ რუსეთის ეკლესიას დაუბრუნდა (Митрополит Мануил, 2002: 939-940).

არ აკლებდა, თავის საზღვრებში რუსეთის საეპარქიო დაწესებულებათა არსებობას შეძლებისდაგვარად ეწინააღმდეგებოდა.

ქართველი სასულიერო პირები საქართველოს ტერიტორიაზე „*განმაახლებელთა*“ ორგანიზაციის ორმხრივი უკანონობის მხილებით მორწმუნეებს სამართლიანი გადაწყვეტილების (თუ ვის მიჰკედლებოდნენ) მიღებაში ეხმარებოდნენ. აღნიშნული მოძრაობის მიმდევარი მორწმუნეთა შორის იშვიათად თუ მოიძებნებოდა. „*ობნოვლენცთა*“ სამრევლოებში გაერთიანებულნი, ძირითადად, შეცდომაში იყვნენ შეყვანილნი.

„*განმაახლებლობის*“ ანტიეკლესიური არსის მხილებას, თავისი მრევლის გაზრდის მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე ასევე უკანონოდ მოქმედი „*ტიხონის ეკლესიაც*“ მიმართავდა. „*განმაახლებელთა*“ საქმიანობაზე „*ტიხონოველთა*“ უარყოფითი გავლენის შედეგები თვალშისაცემი იყო ბაქოდან აფხაზეთის ჩათვლით (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 247: 13-14).

ყოველივე ამან კავკასიის საეგზარქოსოში შემავალი დეკანოზ იოანეს ჯგუფის მუშაობა გაართულა, გაფართოების საშუალება არ მისცა და აიძულა, „*განმაახლებელთა*“ უკვე არსებული სამრევლოების შენარჩუნებაზე, საქართველოს ეკლესიისა და „*ტიხონოველთა*“ გავლენისგან მათ დაცვაზე ეზრუნა. სწორედ გაფართოების პროცესის წარუმატებლობამ განაპირობა ჯგუფის მიერ ადგილობრივი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება და მის დაქვემდებარებაში შესვლა. „*ობნოვლენცები*“ ფიქრობდნენ, რომ საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში ყოფნა მათ ავტორიტეტს შემატებდა.

მოძრაობის მხრიდან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების გადაწყვეტილება კიდევ უფრო შორსმიმავალ მიზნებზეც იყო გათვლილი. კერძოდ, „*განახლების მოძრაობის*“ მეთაურნი ისეთივე „*ველიკოდერჟავნიკებად*“ ევლინებოდნენ „*პატარა ერების*“ ეკლესიებს, როგორც უწმინდესი სინოდი (ხელნაწ. ეროვნ. ცენტრ. არქ. კ. ცინცაძის ფ., ს. 102: 242-243).

„*განმაახლებლები*“ ამა თუ იმ ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებით ადგილობრივ სასულიერო წოდებაზე გავლენის გავრცელებას ცდილობდნენ. მათ საბოლოო მიზანს, როგორც აღვნიშნე, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის რუსეთის ეკლესიისა და საბჭოთა ხელისუფლებისთვის დაქვემდებარება წარმოადგენდა. ეს მიზანი მათი მმართველი ორგანოს დასახელებაშიც იყო ასახული, რომელსაც *სსრკ-ის ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებელ ეკლესიათა სინოდს* უწოდებდნენ (Митрополит Мануил, 2002: 443, 525, 702), მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანება მიღწეული არ იყო.

აღნიშნული აზრის ნათელსაყოფად გამოდგება „*განმაახლებელთა*“

ურთიერთობა უკრაინისა და ბელორუსიის ეკლესიებთან. 1930 და 1934 წლებში წმ. სინოდმა გააუქმა თავის მიერვე აღიარებული უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია და ბელორუსიის ეკლესიის ავტონომია (*Очерки истории*, 1988: 36).

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ რუსულ და სხვა არაქართულ სამრევლოთა საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებაში შესვლასთან დაკავშირებით „*განმაახლებელთა*“ სინოდთან მიმოწერა, როგორც ითქვა, მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ 1925 წლის იანვარში დაიწყო.

კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მოსაყდრე თავის პირველ წერილში მიუთითებდა, რომ „*ობნოვლენცების*“ ხელისუფლება საქართველოს ეკლესიასთან ურთიერთობაში საეკლესიო კანონთა დარღვევით მოქმედებდა. თუ წმ. სინოდი საქართველოს ეკლესიას მართლმადიდებლად და ავტორიტეტულად თვლიდა, მის ტერიტორიაზე არანაირი საეკლესიო მმართველობა არ უნდა ჰქონოდა. პირიქით, მას საქართველოში მცხოვრები ყველა მართლმადიდებლის ადგილობრივი ეკლესიის შემადგენლობაში შესვლისთვის უნდა შეეწყო ხელი. საქართველოს ეკლესიას აქ მცხოვრებ რუსთა რელიგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეუძლიაო, – აღნიშნავდა მიტროპოლიტი ქრისტეფორე (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფონ., ს. 102: 105-108, 114; იქვე, ს. 247: 20).

პასუხად 1925 წლის 6 აპრილს წმ. სინოდმა საქართველოს ეკლესიას რუსეთის განახლებულ ეკლესიასთან ძმური ერთობის პირობებში საეკლესიო ცხოვრების მოწყობაში თავისუფლება აღუთქვა. ეს კი წმ. სინოდის დაქვემდებარებაში ავტონომიურ უფლებებს გულისხმობდა. ქართველ სასულიერო წოდებას, მიუხედავად იმისა „*პროგრესისტი*“ იყო თუ „*რეაქციონერი*“, კარგად ესმოდა ავტოკეფალიის მნიშვნელობა. საქართველოს ეკლესიის უფლებათა შეზღუდვის დაკანონებას ქართველი იერარქები, რა თქმა უნდა, არ დათანხმდნენ.

ქართულ მხარეს უკანონობად მიაჩნდა წმ. სინოდის განაცხადი იმის შესახებ, რომ იგი საბჭოთა კავშირის თითოეულ ერს საეკლესიო ცხოვრების საკუთარი სურვილისამებრ მოწყობის ნებას აძლევდა. ავტოკეფალისტების აზრით, ჩანდა, რომ სინოდი პარალელს ავლებდა თავის თავსა და საკავშირო კომპარტიას შორის და ეს დიდი შეცდომა იყო, რადგან სსრკ-ის ტერიტორიაზე ერთიანი კომპარტია არსებობდა, მაგრამ ერთიანი ეკლესია, თუნდაც მხოლოდ ქრისტიანებისთვის – არა. ასეთი ორგანიზაციის არსებობა მათ საქართველოში ეგზარქოსების მმართველობის დროინდელი საეკლესიო პოლიტიკის გაგრძელებად მიაჩნდათ.

ქართველები მაგალითისთვის ბიზანტიის იმპერიაში რამდენიმე დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობაზე მიუთითებდნენ და გამოთქვამდნენ აზრს, რომ მსგავსი მოწყობა საბჭოთა კავშირშიც შეიძლებოდა განხორ-

ციელებულიყო. ყოველ ეკლესიას გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უფლება უნდა ჰქონოდა. ერთიანი რწმენის ინტერესებიდან გამომდინარე კი ძმური ავტოკეფალური ეკლესიების ადგილობრივ კრებებზე თავიანთი წარმომადგენლები შეიძლებოდა გაეგზავნათ (სეა, სცა, ფონდი 1461, ს. 119: 1; ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ვ. კარბელაშვილის ფ., ს. 12: 136-137).

„*განმაახლებლებთან*“ მიმოწერა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის საპყრობილიდან განთავისუფლების (1925 წ. მარტი) შემდეგ მისი სახელით გაგრძელდა. 1925 წლის 2 ნოემბრის წერილში „*ობნოვლენცები*“ „*დათმობაზე წავიდნენ*“. მზად იყვნენ ეღიარებინათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ტერიტორიული ნიშნით, თუ მისი საგარეო ურთიერთობების განხორციელება წმ. სინოდის ხელში გადავიდოდა.

საქართველოს ეკლესია არც ამ შემოთავაზებამ დააკმაყოფილა (1925 წლის 12 დეკემბრის პასუხი).

ავტოკეფალიის სრულად აღიარებაზე ფიქრი „*განმაახლებლებმა*“ მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს (1926 წ. 12 ნოემბრის წერილი). საკითხის დაწვრილებით შესწავლა და მოხსენების გაკეთება მიტროპოლიტ პეტრე ბაქოელს (სერგეევი) დაევალა (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 242: 34).

ამასთანავე, 1926 წლის დასაწყისში სამღვდელო სინოდმა, საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს წინადადების გათვალისწინებით, საქართველოს ტერიტორიაზე „*განახლების მოძრაობის*“ დაქვემდებარებაში მყოფი რუსული სამრევლოები გამოჰკითხა. აღმოჩნდა, რომ კავკასიის სამიტროპოლიტოს არსებობის უკანონობას ყველა მათგანი აღიარებდა და საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის შემადგენლობაში შესვლაზე თანხმდებოდა.

საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობაში მიტროპოლიტი პეტრე 1926 წლის ბოლოს, საქართველოში ყოფნისას თვითონ დარწმუნდა. „*განახლების მოძრაობის*“ არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ ის დეკანოზ იოანე ლოზოვოისგანაც იქნებოდა ინფორმირებული.

მიტროპოლიტმა კალისტრატემ (ცინცაძე) მასთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ რუსეთის ეკლესია („*განახლებულიც*“ და „*ტიხონისაც*“) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ტერიტორიული ნიშნით აღიარების გაჭიანურებისას მართლმადიდებელ პატრიარქთა დუმილით სარგებლობდა. ეს დუმილი კი საქართველოს ეკლესიის ქმედებათა უკანონობით არ იყო გამოწვეული. პატრიარქებს ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება არ უღიარებიათ და ახლაც მისი ცნობისთვის განსაკუთრებული აქტი საჭირო არ იყო.

მეუფე კალისტრატემ პეტრე ბაქოელს შეახსენა, რომ „*განახ-*

ლების მოძრაობის“ კანონიკურობასთან დაკავშირებით ავტოკეფალურ ეკლესიებს თავიანთი დამოკიდებულება ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაფიქსირებული. აქედან გამომდინარე, მოძრაობის წარმომადგენლებისთვის საკავშირო ტერიტორიაზე მოქმედი ივერიის უძველესი ეკლესიის აზრს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

1926 წლის ბოლოს წმ. სინოდის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების დაჩქარებას უკვე მრავალი გარემოება უწყობდა ხელს: 1. რუსულ სამრევლოთა მმართველობას და თვით სამრევლოებსაც არსებულ პირობებში გაძლება უჭირდათ.

2. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხის მოგვარებით კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბასილი III-ც (გეორგიადისი, 1925-1929) აღმოჩნდა დაინტერესებული, რაც საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლისა და მისი გარემოცვის მცდელობათა შედეგი იყო. მსოფლიო პატრიარქის მიერ „*განმაახლებელთათვის*“ გაგზავნილი წერილი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ცნობილია წმ. სინოდის ადმინისტრაციის გამგის, მიტროპოლიტ სერაფიმეს (რუჟენცევი) მოხსენება, რომლიდანაც ჩანს, რომ წმ. სინოდი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხს მსოფლიო პატრიარქის ნების აღსასრულებლად დაუბრუნდა (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 102: 114).

3. კავკასიაში რუსთა სამრევლოების მმართველობისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხის შესწავლამ მიტროპოლიტ პეტრეს კავკასიის სამიტროპოლიტოს გაუქმების საჭიროება დაანახა. ამის შესახებ მან წმ. სინოდს 1927 წლის იანვარში მოახსენა.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელო სინოდის საერთო კრება მოსკოვში 1927 წლის იანვარ-თებერვალში მიმდინარეობდა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების აქტისთვის დართულ წერილში, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის სახელზე 1927 წლის 25 თებერვლის თარიღითაა გამოგზავნილი, აღნიშნულია: „*რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელო სინოდი ამასთანავე უგზავნის თქვენს უწმინდესობას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის ცნობის აქტს, 1927 წლის 8 თებერვალს მიღებულს, როგორც ნიშანს ერთმორწმუნე საქართველოს ეკლესიასთან ძმურ ერთობის განმტკიცების გულწრფელ თავისს სურვილისას და გამოსთქვამს რწმენას, რომ ასეთი ურთიერთობა მომავალში არაფრით არ დაიჩრდილება*“ (სინოდის უწყებათა კრებული, 1927: 26).[1]

წმ. სინოდის კრებას, როგორც მის მიერ შემუშავებული აქტიდან ჩანს, მსოფლიო პატრიარქის, სინას მთავარეპისკოპოსისა და ალექსანდრიის პატრიარქის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. საქართველოს ეკლე-

1. კრებულში წერილის და აქტის ქართული ტექსტებია მოთავსებული.

სიის საკითხის შესასწავლად მოსკოვის მიტრ. სერაფიმეს (რუჟენცევი) თავმჯდომარეობით შექმნილი სპეციალური კომისიის მოსაზრებათა განხილვის შემდეგ „განმაახლებელთა“ სინოდმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას საფუძვლად შემდეგი მოსაზრებები დაუდო: „ყურად ვიღებთ რა საქართველოს *ეკლესიის სიძველეს (მე-4 საუკ. დასაწყ.), მისს სიმტკიცეს უცხო სარწმუნოებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, მისს მრავალრიცხოვნებას (2 მილიონ წევრამდე), მისს ავტოკეფალობას წარსულში (1053 წლიდან 1810 წლამდე), უკვე გამოცხადებულ გადაწყვეტილებას სამღვდელო სინოდისას, „მიენიჭოს სსრკ ხალხებს თავისუფლება თავის ეკლესიურ ცხოვრების მოწყობაში“, და ვსცნობთ საქართველოს ეკლესიის უდავო უფლებას ავტოკეფალიაზე და წარვუდგენთ სამღვდელო სინოდის წევრთა საერთო კრებას დასამტკიცებლად შემდეგს დადგენილებას: „ცნობილ იქმნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა; ტფილისისა და სოხუმის ეპარქიები აღარ ითვლებოდეს სამღვდელო სინოდის უწყებაში. საკითხი მათის გადაცემის შესახებ გადაწყდეს საქართველოს საკათოლიკოსოსთან მი-მომართვის შემდეგ ისე, რომ რუსთა მართლმადიდებელ სამრევლოებს შეენახოსთ საეკლესიო ცხოვრების რუსული ელფერი“. აღნიშნული დასკვნა კომისიისა სამღვდელო სინოდის წევრთა საერთო კრებამ მიიღო ერთხმად“* (სინოდის უწყებათა კრებული, 1927: 26-27; ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ვ. კარბელაშვილის ფ., ს. 12: 134-135). იქვე მითითებული იყო, რომ სინოდს 8 თებერვლის აქტის შესახებ აღმოსავლეთის პატრიარქებისთვისაც უნდა ეცნობებინა (სინოდის უწყებათა კრებული, 1927: 27).

მიტროპოლიტი კალისტრატე სამღვდელო სინოდის განჩინებასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: სინოდის 8 თებერვლის გადაწყვეტილება ეყრდნობა არა სამართლებრივ საფუძველს, არამედ თავისსავე დადგენილებას, „*საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოსახლე მართლმადიდებელ ერებს მისცეს თავისუფლება თავის ეკლესიურ შინაურ საქმეების მოწესრიგებისა*“ (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 102: 128). ე. ი. სინოდი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობას უფრო მეტად „განმაახლებელთა“ კეთილი ნების გამოხატულებად წარმოაჩენდა და არა კანონიერების აღიარებად.

საქართველოს საკათოლიკოსოს შემადგენლობაში რუსულ სამრევლოთა თბილისის საეპარქიო მმართველობის შესვლისთვის დებულების პროექტი დეკანოზმა იოანე ლოზოვოიმ შეიმუშავა. საერო ხელისუფლებისაგან გაცემული ნებართვის საფუძველზე, საქართველოს ეკლესიის მმართველმა ორგანომ ის 1927 წლის 9 მაისს დაამტკიცა. რუსულ სამრევლოთა თბილისის საეპარქიო მმართველობა საქართველოს საკათოლიკოსოს რუსულ მართლმადიდებელ სამრევლოთა საეკლესიო მმართველობად ჩამოყალიბდა (იქვე, ს. 147: 24).

ქართველ მორწმუნეთა ნაწილს მიაჩნდა, რომ შემოერთებული სამრევლოების რუსი დეკანოზები ეპისკოპოსთა უფლებებით სარგებლობდნენ, რომ დეკანოზმა იოანემ საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიაში თითქმის თავისი ავტოკეფალიის შექმნა მოახერხა. საქართველოს ეკლესიის გულშემატკივარი „*ქართველაძის*“ ფსევდონიმით შექმნილ ვითარებას *ქართულ სამოსში გახვეულ ჩრდილოეთის ბატონობას* უწოდებდა (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 228: 1).

რუსულ მართლმადიდებელ სამრევლოთა მმართველობისთვის დებულებით მინიჭებულ უფლებებს ეპისკოპოსი სტეფანეც (კარბელაშვილი) გადაჭარბებულად მიიჩნევდა. მისი თქმით, აღნიშნულ მმართველობას საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებაში თითქმის ავტონომიური უფლებები მიენიჭა, რაც მორწმუნეთა სამართლიან გულისწყრომას იწვევდა; ეკლესიას – ერთიანობის რღვევით, მოციქულთა, მსოფლიო და რჯულის კანონებს კი უარყოფით ემუქრებოდა (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ვ. კარბელაშვილის ფ., ს. 59: 42; იქვე, ს. 272: 70).

მართლაც, 1927 წლის 8 თებერვლის აქტის შედეგად თბილისში პროტოპრესვიტერ იოანე ლოზოვოის მეთაურობით რუსული „*საბლაღოჩინო*“ (სამთავარხუცესო) ჩამოყალიბდა. მისი ცენტრი ალექსანდრე ნეველის ტაძარი გახდა. საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფი პროტოპრესვიტერი იოანე თვალყურს ადევნებდა საქართველოს რუსულ სამრევლოებში ეროვნული ადათ-ჩვეულების შენარჩუნებას და „*რუსულ* ტაძრებში“ ღვთისმსახურების სლავურ ენაზე შესრულებას.

შიში, რომელსაც საქართველოს ეკლესიის გულშემატკივარნი რუსულ სამრევლოთა დეკანოზების უფლებებთან დაკავშირებით გამოთქვამდნენ, უსაფუძვლო არ იყო. კრახისთვის განწირულმა ჯგუფმა საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებაში შესვლის შემდეგ თავისი გავლენა აფხაზეთის ტერიტორიაზეც გადაიტანა და ეპიზოდურ წარმატებასაც მიაღწია (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ. არქ., კ. ცინცაძის ფ., ს. 226: 1-3; იქვე, ს. 229: 1-4; იქვე, ს. 246: 2-5), რაც, ვფიქრობ, საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტმა განაპირობა.

როგორც აღინიშნა, „*განახლების მოძრაობა*“ ცდილობდა, რუსეთის ეკლესიის ჰეგემონობით საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებელი ეკლესიები საბჭოთა რესპუბლიკების ანალოგიურად გაეერთიანებინა. სახიფათო იყო, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებაც ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად გამოეყენებინათ; მაგრამ ქართველ იერარქთა წინდახედულობით საქართველოს ეკლესიამ ეს საფრთხე თავიდან აიცილა. ამას ხელი შეუწყო „*განახლების მოძრაობისადმი*“ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულების ცვლილებამაც, რაც XX საუკუნის 30-იანი წლების შუა პერიოდიდან აშკარა გახდა.

საქართველოში რუსული მართლმადიდებელი სამრევლოების ცალკე მმართველობამ მხოლოდ 1937 წლამდე იარსება. შემდეგ მის დაქვემდებარებაში არსებული სამრევლოები, საეკლესიო კანონმდებლობის თანახმად, უშუალოდ შევიდა საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში. მმართველობის გაუქმება, ვფიქრობ, დაკავშირებულია პროტოპრესვიტერ იოანეს დაპატიმრებასთან, რაც სწორედ ამ წელს მოხდა.

„*განახლების მოძრაობის*“ სინოდთან საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა, თავისთავად, საეკლესიო კანონთა საწინააღმდეგო ქმედებად უნდა ჩათვლილიყო, რადგან „*განმაახლებლები*“ უღმერთო საერო ხელისუფლებასთან შემგუებლური პოლიტიკით ეკლესიისთვის მიუღებელ ცვლილებათა დანერგვას გეგმავდნენ. ასეც რომ არ ყოფილიყო და მათ არანაირი დოგმატური და კანონიკური შეცოდება არ ჰქონოდათ, საკმარისი იქნებოდა, რომ რუსეთის ეკლესიაში ხელისუფლება მიიტაცეს, განხეთქილება ჩამოაგდეს, „*სხვა საკურთხეველი აღმართეს*“. მათ მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ განკვეთილი იყვნენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისაგან.

„*განმაახლებლებთან*“ საქართველოს ეკლესიის ურთიერთობის შეფასებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ მათთან კავშირი ჰქონდათ მსოფლიო მართლმადიდებელ პატრიარქებს და ამ ჯგუფის შესახებ საბოლოო განაჩენი გამოტანილი არ იყო. საქართველოს ეკლესიის მესვეურებს ეს ფაქტი მათთან მოლაპარაკების შესაძლებლობას აძლევდა; ამას გარდა, ვფიქრობ, საქართველოს ეკლესიას უფლება არ ჰქონდა თავის ტერიტორიაზე არსებული სამრევლოების შეერთებაზე უარი ეთქვა. მით უმეტეს, რომ მრევლი, ქართველი იყო თუ არაქართველი, „*განახლების*“ იდეებს იშვიათად იზიარებდა. ჭეშმარიტ მართლმადიდებელთა დატოვებას „*განახლების მოძრაობის*“ მომხრე იერარქთა ხელში კი შეიძლებოდა სავალალო შედეგი მოჰყოლოდა.

საქართველოს ეკლესიის მხრიდან „*განმაახლებლებთან*“ მოლაპარაკების დაწყებისთვის ანგარიშგასაწევია ამ საკითხისადმი საერო ხელისუფალთა დამოკიდებულებაც. როგორც აღვნიშნე, მათი სურვილი იყო, საქართველოს ეკლესიას „*განახლების მოძრაობისთვის*“ მხარი დაეჭირა. შესაძლოა, პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტ ქრისტეფორეს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებასთან ურთიერთობაში ლოიალურ გზას ადგა, საერო მთავრობის წარმომადგენლებისაგან „*განახლების მოძრაობის*“ სინოდთან მიმოწერის დაწყებაზე მითითებაც კი ჰქონოდა.

საქართველოს ეკლესიამ „*განმაახლებელთაგან*“ ავტოკეფალიის აღიარების შედეგად ფილეტიზმით დანაწილებული სხეული ნაწილობრივ მაინც გაიმთელა ისე, რომ საეკლესიო კანონებისადმი ერთგულებაც შეინარჩუნა. ამის შემდეგ ქვეყნის ტერიტორიაზე მისი იურისდიქციის

ფარგლებს გარეთ მხოლოდ „*ტიხონოველთა*“ სამრევლოები დარჩა (არაბიძე, 2005: 63-64).

მთავარეპისკოპოსი სერგი (ლარინი) აღნიშნავდა: ქართველი სასულიერო პირების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ, მიუხედავად საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებაში რუსულ სამრევლოთა მმართველობის მიღებისა, „*განმაახლებლებთან*“ ლოცვით-ევქარისტიული კავშირი არ ჰქონიათ (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 242: 45).

ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე საქართველოს ეკლესიის დგომის საკითხის გამოძიება რუსეთის პატრიარქმა სერგიმ 1943 წელს საქართველოში მოვლინებულ მთავარეპისკოპოს ანტონს (რომანოვსკი) დაავალა. ივერიის ეკლესიის უცდომელობის საფუძველზე იმავე წლის 31 ოქტომბერს საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის ლოცვით-ევქარისტიული კავშირი აღდგა (საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 2268: 25-26; იქვე, ს. 2260: 1-10; არაბიძე, 2005: 137). აღნიშნული მნიშვნელოვნად განაპირობა საბჭოთა კავშირში არსებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ.

1943 წლის ნოემბერში „*ობნოვლენცთა*“ მცდელობას, საქართველოს ეკლესიასთან კავშირი განეახლებინათ, წარმატება არ მოჰყოლია.

„*განახლების მოძრაობის*“ კრახი მორწმუნეთა შორის მისი იდეების წარუმატებლობამ და ტრადიციული ეკლესიის ავტორიტეტის ზრდამ განაპირობა. ამანვე განაპირობა „*ობნოვლენცობისადმი*“ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულების ცვლილებაც. 1935 წ-დან უკვე აღარ არსებობდა „*განმაახლებელთა*“ სინოდი.[1] საბჭოთა ხელისუფლების მიზანი – „*განახლების მოძრაობის*“ მეშვეობით სსრკ ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებელი ეკლესიების გაერთიანება – მიუღწეველი დარჩა.

რუსეთში „განახლების მოძრაობის“ დასასრულად 1946 წელი, მისი პირველიერარქის, ალექსანდრე ვედენსკის გარდაცვალება ითვლება. მას თავისი შეცოდება სიცოცხლის ბოლომდე არ მოუნანიებია.

რაც შეეხება საქართველოს ეკლესიაში 1923 წლიდან მიმდინარე „*ახალი ეკლესიის*“ ფორმირების პროცესს, ის რუსეთის ეკლესიაში არსებული „*განახლების მოძრაობისაგან*“ დამოუკიდებლად მიმდინარეობდა და მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდებოდა. „*ახალი ეკლესიის*“ შემოქმედნი საბჭოთა ხელისუფლების ინტერესთა გათვალისწინებით დაგეგმილი ცვლილებების საპასუხოდ საერო მთავრობისგან ეკლესიის მდგომარეობის შემსუბუქებას დაჟინებით მოითხოვდნენ. საქართველოს არქივებში ამის დამადასტურებელი მრავალი წერილია დაცული.

საერო ხელისუფლების დიდი სურვილისა და მისი მხრიდან სასულიერო წოდების წარმომადგენელთა წაქეზების მიუხედავად, განზრახული

1. განხეთქილებაში მყოფმა მრავალმა სასულიერო პირმა ადრე თუ გვიან შეიგნო თავისი ნაბიჯის მცდარობა და მონანიების შემდეგ პატრიარქის ეკლესიას დაუბრუნდა.

ცვლილების უმრავლესობა საქართველოს ეკლესიაში პროექტად დარჩა. ორგზის, 1923 და 1927 წლებში, ეკლესია გადავიდა ახალი სტილის კალენდარზე, 1928 წლის 1 ოქტომბრიდან კი ისევ ძველ სტილს დაუბრუნდა. დოკუმენტებში ამის მიზეზად, სიახლის მიღების პრაქტიკულ სირთულეებთან ერთად, სასულიერო წოდებისა და მორწმუნეების უმრავლესობის წინააღმდეგობა არის დასახელებული (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. საძაგლიშვილის ფ., ს. 1518: 1).

„*ახალი ეკლესიის*“ ჩამოყალიბების მცდელობისა და „ობნოვლენცობის“ უარყოფითი შედეგი იყო „*განმაახლებლად*“ მონათვლის შიშით ეკლესიაში უცილობლად განსახორციელებელ ზოგიერთ ცვლილებაზე უარის თქმა. რთული გახდა გამიჯვნა ეკლესიისთვის საჭირო ცვლილებებისა და ხელისუფლების გავლენით დაგეგმილი „*ტოტალური რეფორმებისა*“.

ქართველი და რუსი „*პროგრესისტების*“ ყველაზე დიდი მსგავსება არის ის, რომ საერო ხელისუფლების სურვილები და დირექტივები მათ ეკლესიური კანონების დაცვის აუცილებლობაზე მაღლა დააყენეს. ეს მსოფლიო საეკლესიო კანონთა საფუძვლებს არ შეესაბამებოდა, ამიტომ ეკლესიის ორგანიზაციის ჭეშმარიტი განახლების ამოცანას სამსახურს ვერ გაუწევდა.

ქართველ სამღვდელოებას, მათ შორის, „*პროგრესისტებსაც*“, კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ „*განმაახლებლობა*“ ეკლესიის ავტოკეფალიის მტერი იყო. საქართველოს ეკლესიაში ამ მოძრაობის გავრცელება, საეკლესიო კანონთა დარღვევის გარდა, ეროვნული იდეის ღალატიც იქნებოდა. ამიტომ „*ობნოვლენცობამ*“ ქართველ სამღვდელოებაზე გავლენა ვერ იქონია.

ზოგიერთ წყაროში მითითებულია ცალკეული ქართველი სასულიერო პირის (დეკანოზები: იოსებ ჩიჯავაძე, ილარიონ ოქროპირიძე, კირილე ჯავახია) „*განახლების მოძრაობასთან*“ კავშირის შესახებ. ამ მიმართულებით წარმოებული კვლევის შედეგად ვასკვნი, რომ წყაროების მინიშნებებს რეალური საფუძველი არ აქვს. დეკანოზ იოსებ ჩიჯავაძის კავშირი „*ობნოვლენცებთან*“, ჩემს ხელთ არსებული მასალიდან გამომდინარე, რუს მორწმუნეთადმი მათ („*ობნოვლენცთა*“) მიმართვაზე ხელმოწერით შემოიფარგლება. მიმართვაში რუსეთის ეკლესიის განახლების სურვილი იყო გამოთქმული.

ქართველ სასულიერო პირებს ამქვეყნიური, დროებითი კეთილდღეობისთვის (რასაც „*განმაახლებლები*“ რუსეთში თავიანთი აღზევების პროცესში საერო ხელისუფლებისაგან იღებდნენ) სარწმუნოების სიწმინდე და ეკლესიის დამოუკიდებლობა საფრთხეში არ ჩაუგდიათ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. *დებულებანი*, 1917 – *საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა. დებულებანი მიღებული სრულიად საქართველოს 1917 წლის საეკლესიო კრებაზე*, თბილისი.
2. პავლიაშვილი 2002 – ქეთევან პავლიაშვილი, *ემიგრანტული სამღვდელოების პოლიტიკა საბჭოთა წყობილებისადმი (XX საუკუნის 20-30-იანი წლები)*, კრებული: *„კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“*, XIII, თსუ.
3. პაპუაშვილი, 1996 – ნუგზარ პაპუაშვილი, *საქართველოს ეკლესია 2 მსოფლიო ომს შორის*.
4. *ჟურნალები*, 2016 – *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები (1917 წლის 13 მარტი-14 სექტემბერი)*, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა ნინო შიოლაშვილმა და ირინა არაბიძემ, თბილისი.
5. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 1156 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 1156.
6. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 2260 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 2260.
7. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 2268 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 2268.
8. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 2277 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 2277.
9. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 6465 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 6465.
10. სეა, სცა, ფ. 1461, ს. 119 – საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1461, საქმე 119.
11. *სინოდის უწყებათა კრებული*, 1927 – *სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო სინოდის უწყებათა კრებული*, 1927, №1.
12. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ვ. კარბელაშვილის ფ., ს. 12 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, საქმე 12.
13. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ვ. კარბელაშვილის ფ., ს. 59 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, საქმე 59.
14. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., ვ. კარბელაშვილის ფ., ს. 272 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, საქმე 272.

15. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 24 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე 24.
16. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 72 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე 72.
17. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 102 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე 102.
18. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 228 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე 228.
19. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 226 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე 226.
20. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 229 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე 229.
21. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 246 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე 246.
22. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 231 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე 231.
23. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 242 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე 242.
24. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 247 – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე 247.
25. Верховский, 1912 – Павел Верховский, *Очерки по истории русской церкви в XVIII и XIX столетии*, Варшава.
26. Левитин, I – Анатолий Левитин, *Очерки по истории обновленческого движения в русской православной церкви*, ч. I, Москва (მანქანაზე ნაბეჭდი, დაცულია საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში).
27. Митрополит Мануил, 2002 – Митрополит Мануил (Лемешевский), *Каталог для русских архиереев обновленцев, в книге Обновленческий раскол (Материалы для церковно-исторической и канонической характеристики)*, составитель И. В. Соловьев, Москва.

28. *Очерки истории*, 1988 – *Русская Православная Церковь 988–1988 гг. Очерки истории 1917–1988 гг.*, Москва, вып. II.
29. Регелсон, 1977 – Лев Регелсон, *Трагедия Русской Церкви 1917–1945*, Париж.

Autocephaly of the Church of Georgia and the „Renewal Movement“

After the 1917 February Revolution, Russian Church was able to elect a Patriarch.

From the same period, in the conditions of the fight of the Soviet government against the Church, a group of Russian clergymen – „*Renovators*“ set the goal of adapting the reorganization process, started in the Church, to the interests of the Soviet Government. The success of their ideas would lead to the violation of dogmas and Church Laws and return of the Church under the influence of the secular authorities.

In the process of fighting against religion and the Church, the Communists supported the „*Renovator Movement*“ and through it tried to cause division in the Russian Church. Soviet Government was interested in both the victory and the defeat of the Movement: with the victory, the Orthodox Churches on the territory of the Soviet Union would be united under the Russian Church and they would automatically be subordinated to the Soviet Government. The failure of the Movement would shake the authority of the Church.

In 1922, the „*Renovators*“ usurped Church power and caused a split in the Russian Church. In the same year, the Church of Georgia refused a proposal by the Soviet Government to join the „*Renovator Movement*“.

In the 20s of the 20th century, the process of formation of the „*New Church*“ began in the Church of Georgia. A group of Georgian clerics tried to reconcile with the government fighting against the Church. This effort was carried out independently of the „*Renovator Movement*“ of Russia. According to the group, taking into account the interests of the secular authorities in the arrangement of the Church would slow down the Communist repressions that started in the Church of Georgia.

In 1927, the Holy Synod of the Russian „*Renovator Movement*“ recognized the autocephaly of the Church of Georgia, which was not due to their desire to protect legality. This way, the „*Renovators*“ still tried to penetrate the local Churches and then to abolish their autocephaly. Church of Georgia has at least partially reconciled the body divided by philetism. They had no prayer-eucharistic connection with the „*Renovators*“.

Georgian clerics well understood that the „*Renovator Movement*“ was the enemy of autocephaly, therefore, this anti-canonical and anti-national Movement would never have influence on the Church of Georgia.

At the turn of the 20s and 30s of the 20th century, the process of formation of the „*New Church*“ in Georgia ended in failure. In 1935, the Synod of „*Renovators*“ in Russia was also dissolved.

Автокефалия Грузинской Церкви и „обнавленческое движение“

Предпосылкой „*Обнавленческого движения*“ стало активизировавшееся в середине XIX века движение за освобождение Русской Церкви от государственного надзора. После февральской революции 1917 года в России стало возможным восстановление патриаршества.

После прихода к власти в России большевиков (октябрь 1917 г.) от русского духовенства отделилась группа „*обновленцев*“, которые пытались провести изменения в церкви в соответствии с интересами Советской власти. Успех их идей, помимо нарушения догматов и церковных канонов, вернул бы Русскую Церковь под влияние светской власти.

„*Обновленцы*“ в 1922 г. захватили власть Российской Церкви. Советское правительство поддерживало „*обновленческое движение*“ и через него планировало уничтожить религиозные организаций или объединить находящейся на территории Советского Союза все православные церкви с подчинением их Русской православной Церкви и государственной власти.

„*Обновленцы*“ пытались проникнуть в местные церкви. На территории Грузии действовала группа протоиерея Иоанна Лозового, входящая в состав „*обновленческого движения*“ с 1922 года.

В том же 1922 году, Советскому Правительству Грузинская Церковь отказала объединиться с „*Обновленческим движением*“.

Грузинские священнослужители хорошо понимали, что отношения с русскими „*обновленцами*“ представляли угрозу автокефалии Грузинской Церкви, поэтому это антиканоническое и антинациональное движение не оказало влияния на Грузинскую Церковь.

Небольшая группа грузинских священнослужителей в 20-х годах XX века попыталась создать „*новую церковь*“, чтобы примирить Грузинскую Церковь с Советской властью. По мнению группы, лояльность грузинского духовенства к правительству и учет его интересов при реорганизации церкви, защитили бы Грузинскую Церковь от коммунистических репрессий. Созидатели „*новой церкви*“ связывали репрессии с тем, что Католикос-Патриарх Амвросий (1921-1927, Хелая) 1922 г. направил на конференцию в Генуе призыв освободить Грузю от коммунистической оккупации.

Попытка создания „*новой церкви*“ в Грузии велась независимо от российского „*обновленческого движения*“.

Находящаяся в расколе с Русской Церковью Св. Синод „*обновленческого движения*“ признал автокефалию Грузинской Церкви в 1927 году. Это не было обусловлено желанием защитить каноны церкви. Признание автокефалии входило в их интересы, так как до этого они столкнулись с трудно-

стями распространения своего влияния в Грузии. Грузинская Церковь этим признанием смогла хоть частично объединить негрузинских православных в свою паству. Молитвенно-евхаристического союза Грузинское духовенство с „*обновленцами*“ и после этого не имело.

В конце 20-х и начале 30-х годов XX в. процесс формирования „*новой церкви*“ в Грузии закончился неудачей. К 1935 году обновленческий Синод уже был распущен и в России. Концом этого движения в России считается 1946 год.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი როდოსის სრულიად მართლმადიდებელთა თათბირებზე (1961-1964 წწ.)

სრულიად მართლმადიდებელთა როდოსის თათბირი 1961-1964 წლებში კონსტანტინოპოლის ანუ მსოფლიო საპატრიარქოს ორგანიზებით სამჯერ გაიმართა. მის მიზანს წარმოადგენდა მომავალი მსოფლიო საეკლესიო კრებისათვის მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის შესათანხმებელი საკითხების ნუსხის შემუშავება და ქრისტიანულ სამყაროსთან მათი დამოკიდებულების განსაზღვრა.

კრებებს ეკლესიების მეთაურები არ ესწრებოდნენ. თითოეული ავტოკეფალური ეკლესია, ძირითადად, სამ-სამი დელეგატით იყო მიწვეული, თუმცა ჩანს, მათი რაოდენობის გაზრდა შეიძლებოდა. მოსკოვის საპატრიარქოს მიერ გამოცემული მასალების მიხედვით, თათბირზე დამსწრე ზოგიერთი ეკლესიის წარმომადგენელთა რიცხვი ხუთ-ექვსსაც შეადგენდა (*Всеправославные совещания*, 2008: 13).

I თათბირში, რომელიც 1961 წლის 24 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა, კონსტანტინოპოლის ეკლესიის გარდა მონაწილეობდნენ ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, ელადის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ეკლესიათა წარმომადგენლები; ასევე ძველაღმოსავლური ეკლესიების – კოპტების, ეთიოპიელების, სომხების, სირიელი იაკობიტების, მალაბარელების – დელეგაციები. ანგლიკანური, ძველკათოლიკური ეკლესიებისა და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წარმომადგენლები თათბირს დამკვირვებლის სტატუსით ესწრებოდნენ. 6 დელეგატი ჰყავდა კათოლიკურ პრესას (*Всеправославные совещания*, 2008: 13-14).

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანდა, ანუ ეკუმენურ მოძრაობას შეუერთდა სწორედ როდოსის თათბირისათვის მზადების წინა პერიოდში, 1961 წლის ზაფხულში. საქართველოს ეკლესიამ იგივე ნაბიჯი 1962 წელს გადადგა. აღნიშნული ფაქტები საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო და მისი ნებით განხორციელდა, თუმცა იმ მომენტისათვის საქართველოს ეკლესიისა და ეკუმენიზმის მესვეურთა ინტერესებსაც პასუხობდა.

ასე, რომ ეკუმენურ მოძრაობაში რუსეთისა და საქართველოს ეკლესიების გაწევრიანება XX ს. 60-იანი წლებისათვის სამმხრივად მომწიფებული აღმოჩნდა. ისტორიკოსი მიხეილ ქართველიშვილი სამივე მხარის მოლოდინებს წარმოგვიდგენს: საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებში შედიოდა საერთაშორისო ასპარეზზე თავის წარმოჩენა დემოკრატიის

დამცველად და რელიგიური ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულებაში ლოიალიზმის ჩვენება. საბჭოეთის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიების მხრიდან მოძრაობაში გაერთიანებაზე უარის თქმა საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოს ავტორიტეტს დააზიანებდა. გასათვალისწინებელია საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ეკლესიის პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენების პრაქტიკაც.

კომუნისტური რეჟიმის პირობებში საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა არასოციალისტურ ქვეყნებთან უკიდურესობამდე იყო შეზღუდული, რაც მისი ავტოკეფალური უფლებების სრულად აღდგენისათვის დაბრკოლებას წარმოადგენდა. საქართველოს ეკლესიას საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა და თავისი ისტორიისა და კულტურის მსოფლიოსთვის გაცნობა სჭირდებოდა. სამშვიდობო კონფერენციებთან ერთად ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობა ეკლესიას ამის საშუალებას მისცემდა. თუმცა ნათელი იყო, რომ ურთიერთობები ამ შემთხვევაში საბჭოთა სახელმწიფოს მკაცრი მეთვალყურეობით განხორციელდებოდა.

ეკუმენიზმის მესვეურთა ინტერესებს კი პასუხობდა საზღვრების გაფართოება, რასაც ისინი საბჭოთა ხელისუფლების კონტროლის მექანიზმსაც უკავშირებდნენ (ქართველიშვილი, 2022: 192-197; არაბიძე, 2014: 122-142).

საქართველოს ეკლესიის საერთაშორისო იზოლაციის შედეგები როდოსის სრულიად მართლმადიდებელთა თათბირებზე თვალსაჩინოდ გამოჩნდა. მისი მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებელი არსებობა გათვალისწინებული არ იყო და იგი ავტოკეფალურ ეკლესიათა რიცხვში ჩათვლილი არ იყო.

1961 წლის 2 სექტემბერს რუსეთის პატრიარქი ალექსი I (1945-1970, სიმანსკი) საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ეს (1960-1972, სიდამონიძე) წერდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ მსოფლიო პატრიარქმა მართლმადიდებელ ეკლესიათა თათბირისთვის მზადების პერიოდში შეიტყო. რუსეთის პატრიარქი ასევე იტყობინებოდა, რომ კონსტანტინოპოლს საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებით ცნობები მიაწოდა, მათ ასლებს კი კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემს უგზავნიდა.

მოვიხმობ ამონარიდს აღნიშნული ცნობებიდან: *„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ძველი ეკლესიების რიცხვს მიეკუთვნება. დაარსებულია ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში. არსებობის დასაწყისში ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა. V ს–ში, ქართველი მეფის ვახტანგ გორგასლის დროს, საქართველოს ეკლესიამ ანტიოქიის კათედრისაგან დამოუკიდებლობა მიიღო... შემდგომში, მრავალი საუკუნის მანძილზე, საქართველოს ეკლესიას მართავდნენ კათო–*

ლიკოს-პატრიარქები, რომლებსაც ადგილობრივ ეპისკოპოსთა კრება ირჩევდა. 1783 წელს, მეფე ერეკლეს მიერ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველოს ეკლესია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში საეგზარქოსოს საწყისებზე შევიდა. *1917 წლიდან საქართველოს ეკლესიამ ისევ მოიპოვა დამოუკიდებლობა"...* (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 2838: 1-2).

რუსეთის პატრიარქი მსოფლიო პატრიარქს ასევე წერდა, რომ ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ საქართველოს ეკლესიას ლოცვით-კანონიკური ურთიერთობა სხვა ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებთანაც ჰქონდა. პატრიარქი ალექსი იქვე გამოთქვამდა იმედს, რომ აღნიშნული ცნობები მსოფლიო საპატრიარქოში საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებულ გაუგებრობას ნათელს მოჰფენდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 2838: 4).

მოხმობილ ამონარიდში რუსეთის ეკლესიისადმი საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარება ნებაყოფლობით აქტადაა წარმოჩენილი; მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ 1. აღიარებულია საქართველოს ეკლესიის ადრინდელი – V-XVIII სს. ავტოკეფალია და 2. 1917 წელს რუსეთის სახელმწიფოსა და ეკლესიის ბატონობისაგან საქართველოს ეკლესიის განთავისუფლება უკანონო ქმედებად არ არის მიჩნეული. ეს ხდება მაშინ, როცა რუსეთის სინოდი და პატრიარქი ტიხონი (1917-1925, ბელავინი) 1917 წელს ქართველების მიერ ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას სქიზმად აცხადებდნენ. ამის გამო რუსეთის ეკლესიამ საქართველოს ეკლესიასთან ლოცვით-ევქარისტიული კავშირიც კი გაწყვიტა, რამაც საქართველოს ეკლესიას ქვეყნის შიგნით სირთულეები შეუქმნა და საერთაშორისო ასპარეზი შეუზღუდა. მიტროპოლიტ კალისტრატეს (ცინცაძე) აზრით, აღმოსავლეთის პატრიარქები საქართველოს ეკლესიასთან ურთიერთობას სწორედ რუსეთის ეკლესიის „*ხათრით*" ერიდებოდნენ (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 102: 103, 104-105).

1943 წელს რუსეთის ეკლესიასთან კავშირის განახლების მიუხედავად, საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირობებში, არასოციალისტურ მართლმადიდებელ სამყაროსთან საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა ძალიან ეპიზოდური იყო. კავშირ-ურთიერთობათა უქონლობა განაპირობებდა საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს ეკლესიის შესახებ ინფორმაციის სიმწირეს. სრულიად მართლმადიდებელთა თათბირებსა და სხვა საერთაშორისო შეხვედრებზე მას ავტონომიურ ეკლესიათა შორის მოიხსენიებდნენ.

1961 წ. როდოსის I თათბირში საქართველოს ეკლესიას მონაწილეობა არ მიუღია. შეკრებილმა ეკლესიებმა საეკლესიო კრების წინასწარ თათბირებზე განსახილველი საკითხების ნუსხა შემდეგი სახით შეი-

მუშავეს: დოგმატის განმარტება მართლმადიდებლობის თვალსაზრისით; წმ. წერილი; ძველი აღთქმის წიგნების მნიშვნელობა მართლმადიდებელი ეკლესიისათვის; საღვთისმსახურო ტექსტების გადამუშავება; ეკლესიის ცხოვრებაში ხალხის რაც შეიძლება სრულად მონაწილეობა; მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურების გამარტივებისა და განვითარების გზების ძიება; ტრადიციული ბიზანტიური და, საერთოდ, მართლმადიდებლური ხელოვნების შესწავლა და განვითარება; სასულიერო სასწავლებლები; მსოფლიო საეკლესიო კრებაზე დასამტკიცებელი წმ. კანონებისა და კანონიკური წესების კოდიფიკაცია; საეკლესიო სამართალი და სამართალწარმოება; სასულიერო იერარქია; საეკლესიო კანონებზე დაყრდნობით მღვდელმთავართა არჩევის წესის შესწავლა; მონაზვნობისა და სამონასტრო ცხოვრების ძველი წესების აღდგენა; მარხვის დღეების თანამედროვეობის შესაბამისად განსაზღვრა; ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი; ადგილობრივ ეკლესიათა სამართალწარმოების საფუძვლების გაანალიზება და შესაძლებლობისამებრ განზოგადება.

წინასწარი თათბირის დღის წესრიგში აგრეთვე შედიოდა საკითხები სასულიერო პირთა გარეგნული სახის განსაზღვრის, საეკლესიო კალენდრის, ეკლესიის ცხოვრებაში საერო პირთა მონაწილეობის, მართლმადიდებელ ეკლესიათა ერთმანეთთან და მსოფლიო საპატრიარქოსთან დამოკიდებულების, დიპტიქისა და წმ. მირონის, ეკლესიათა დამოუკიდებლობისა და ავტონომიის, მათი გამოცხადების პირობების შესახებ.

დაიგეგმა ასევე დიასპორასთან მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულების, ქრისტიანულ სამყაროსთან, ძველაღმოსავლურ, ძველკათოლიკურ, კათოლიკურ, რეფორმისტულ ეკლესიებთან და ეკუმენურ მოძრაობასთან (მსოფლიო პატრიარქის 1920 წ. ენციკლიკის შესაბამისად) მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობის საკითხების განხილვა; მართლმადიდებლობასთან ახლომდგომი აღმსარებლობის (განსაკუთრებით ეპისკოპალური და ანგლიკანური ეკლესიები) წარმომადგენლებთან ერთობის გზების ძიება; ეკუმენური მოძრაობის საქმიანობის მიმართულების განსაზღვრაში მართლმადიდებელი ეკლესიის როლის, მართლმადიდებელ ხალხებში ქრისტიანული კულტურის განვითარებისა და გავრცელების გზების ჩვენება; ადგილობრივ ეკლესიათა თანამშრომლობის გაღრმავება ხალხთა შორის მშვიდობის, თავისუფლების, ძმობისა და სიყვარულის ქრისტიანული იდეის განსახორციელებლად; წმინდანთა თაყვანისცემის ერთიანი წესების დადგენა. იგეგმებოდა სოციალური საკითხების, ეკლესიისა და ახალგაზრდობის ურთიერთობის, ქორწინებისა და ოჯახის, შობადობის, ხელოვნური განაყოფიერების, ბავშვთა აღზრდის საკითხების, რასობრივი დისკრიმინაციისა და სწრაფი სოციალური ცვლილებების რეგიონებში მართლმადიდებლობის ამოცანების

შესწავლა (*Всеправославные совещания*, 2008: 32-37).

საზოგადოებისადმი მიმართვის ტექსტით თუ ვიმსჯელებთ, როდოსის თათბირის მონაწილენი მართლმადიდებელი სამყაროს ერთიანობის შეგრძნებითა და თავიანთი მუშაობით კმაყოფილი იყვნენ. მათ მთელ კაცობრიობას მშვიდობისა და ერთსულოვნებისაკენ მოუწოდეს (*Всеправославные совещания*, 2008: 38-39).

როდოსის II თათბირი 1963 წ. 26 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობდნენ კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, კვიპროსის და ჩეხოსლოვაკიის ავტოკეფალური ეკლესიები (*Всеправославные совещания*, 2008: 41).

საქართველოს ეკლესია არც ამ თათბირს დასწრებია. თათბირის ძირითად საკითხს კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის ურთიერთობის გაანალიზება წარმოადგენდა. იმსჯელეს, გაეგზავნათ თუ არა დელეგაცია ვატიკანის II კრების II სესიაზე დასასწრებად; ასევე განიხილეს მსოფლიო პატრიარქის წინადადება კათოლიკური ეკლესიისთვის დიალოგის თანაბარ საწყისებზე შეთავაზების შესახებ.

ვატიკანის II კრებაზე დელეგატების გაგზავნას მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლები არ დათანხმდნენ, თუმცა დაადგინეს, ყოველ ეკლესიას თავისი შეხედულებისამებრ ემოქმედა. კათოლიკურ ეკლესიასთან თანაბარ საწყისებზე დიალოგის წარმართვის საკითხი კი დადებითად გადაწყდა (*Всеправославные совещания*, 2008: 43).

როდოსის III თათბირი 1964 წლის 1-დან 17 ნოემბრამდე მიმდინარეობდა კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, საქართველოს, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, ელადის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და ფინეთის ეკლესიების მონაწილეობით.

თათბირის მთავარ ამოცანას ისევ რომაულ-კათოლიკურ, ძველკათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიებთან საღვთისმეტყველო დიალოგის პირობების მომზადება წარმოადგენდა (*Всеправославные совещания*, 2008: 54). მ. შ. დიდი ყურადღება მიექცა კათოლიკურ ეკლესიასთან ურთიერთობის საფუძვლების ჩამოყალიბებას.

საქართველოს ეკლესიას როდოსის III შეკრებაზე ახლად ნაკურთხი (1963 წ.) შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვილი) წარმოადგენდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის დავალებას, როდოსის თათბირში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლის სტატუსით მიეღო მონაწილეობა, შემოქმედელმა ეპისკოპოსმა „*ძალიან რთული მორჩილება*“ უწოდა (საპატრ. არქ., აღწ. 2, ს. 996: 2).

როდოსიდან დაბრუნებულმა მღვდელმთავარმა კათოლიკოს-პატრი-

არქ ეფრემ II-ისადმი მოხსენებაში დაწვრილებით აღწერა თავისი მისიის ყოველი დღე.

აღნიშნული მოხსენებიდან ყურადღებას საქართველოს ეკლესიის უფლებრივ მდგომარეობაზე გავამახვილებ.

კუნძულ როდოსზე ჩასვლამდე, ჯერ კიდევ ათენში, აღმოჩნდა, რომ თათბირის პროგრამაში საქართველოს ეკლესიის შესახებ ცნობები საერთოდ არ იყო შეტანილი. ეპისკოპოსმა ილიამ საკითხის გასარკვევად თათბირის თავმჯდომარეს, კონსტანტინოპოლის ეკლესიის წარმომადგენელს, მიტროპოლიტ მელიტონს მიმართა (თარჯიმნად ბრიუსელის მიტროპოლიტი ვასილი გაჰყვა).

მეუფე მელიტონმა გაუგებრობა იმით ახსნა, რომ საქართველოს ეკლესია არ ესწრებოდა როდოსის I და II თათბირებს და III თათბირში მისი მონაწილეობის შესახებ ორგანიზატორებისთვის წინასწარ ცნობილი არ იყო. მან ეპისკოპოს ილიას აღუთქვა, რომ ხარვეზს გამოასწორებდნენ. მიტროპოლიტ მელიტონის ცნობით, კონსტანტინოპოლის ეკლესია დიპტიქში საქართველოს ეკლესიას პოლონეთის ეკლესიის შემდეგ იხსენიებდა. აქედან გამომდინარე, ხარვეზის გამოსწორება საქართველოს ეკლესიის ავტონომიურ ეკლესიად მიჩნევას გულისხმობდა (საპატრ. არქ., აღწ. 2, ს. 996: 3).

ეპისკოპოსმა ილიამ თათბირის თავმჯდომარესთან საუბარში მიუთითა, რომ არსებობდა დადგენილი პრაქტიკა და დიპტიქი, სადაც საქართველოს ეკლესია VI ადგილზე მოიხსენიებოდა. მან ნათქვამი იმ ცნობებით[1] გაამყარა, რომლებიც საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას მოწმობდნენ და მის მეთაურს XI ს-ის დასაწყისიდან მაინც კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულით მოიხსენიებდნენ (საპატრ. არქ., აღწ. 2, ს. 996: 3).

მიტროპოლიტმა მელიტონმა აღნიშნა, რომ მას დიპტიქის შეცვლა არ შეეძლო, საპროტესტო წერილს კი მიიღებდა.

საქართველოს ეკლესიის უფლებათა დამცრობის ფონზე თათბირში მონაწილეობის საკითხი ეპისკოპოს ილიას დამოუკიდებლად უნდა გადაეწყვიტა. საქართველოს წარმომადგენელი მხოლოდ ის იყო და რჩევას ვერავის ჰკითხავდა. თათბირში მონაწილეობაზე უარი საქართველოს ეკლესიის იზოლაციას კიდევ უფრო გააღრმავებდა; ამასთან, შეიძლებოდა, კონსტანტინოპოლის დელეგაციას საქართველოს ეკლესიის საწინააღმდეგო კამპანია გაეჩაღებინა.

აღნიშნული უარყოფითი ფაქტორების გათვალისწინებით მეუფე ილიამ გადაწყვიტა, დარჩენილიყო და დიპტიქში საქართველოს ეკლესიის

1. კერძოდ, საუბარია კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკის (1010-1033) დაწერილზე მცხეთის საყდრისადმი და XII ს. საეკლესიო მოღვაწე თეოდორე ბალსამონის – ანტიოქიის პატრიარქი 1185-1199 წწ. – ცნობაზე ივერიის ეკკლესიის ავტოკეფალიის შესახებ.

ადგილთან დაკავშირებით საპროტესტო განცხადება დაეწერა.

1 ნოემბერს უკვე კუნძულ როდოსზე, ხარების ტაძარში შედგა საზეიმო სხდომა. საქართველოს ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობლის სახელით წარმოთქმულ მისასალმებელ სიტყვაში ეპისკოპოსმა ილიამ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე საქართველოს ეკლესიის მტკიცედ დგომის შესახებ ისაუბრა (საპატრ. არქ., აღწ. 2, ს. 996: 2, 5).

თათბირის რეგულარული სხდომები 2 ნოემბერს დაიწყო. საინტერესოა, აღინიშნოს, რომ მუშაობა ბერძნულ, არაბულ და რუსულ ენებზე მიმდინარეობდა (საპატრ. არქ., აღწ. 2, ს. 996: 2).

მსოფლიო პატრიარქის წარმომადგენელმა მოითხოვა, შეკრებილებს მსოფლიო პატრიარქი მართლმადიდებლობის სახელით რომის პაპისთვის დიალოგის შეთავაზების უფლებით აღეჭურვათ. წინადადებას დათანხმდნენ ალექსანდრიის, იერუსალიმის, კვიპროსის, ელადისა და ფინეთის ეკლესიათა წარმომადგენლები. აზრი უარყვეს ანტიოქიის, რუსეთის, საქართველოს, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ეკლესიებმა (საპატრ. არქ., აღწ. 2, ს. 996: 5).

აზრთა გადანაწილებიდან აშკარად ჩანს, რომ მსოფლიო პატრიარქის უფლებათა გაზრდას რუსეთის ეკლესიის ირგვლივ დაჯგუფებულებმა გაუწიეს წინააღმდეგობა.

თათბირზე დღის წესრიგის საკითხების განხილვამდე ეპისკოპოსმა ილიამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა შელახვის გამო სიტყვიერი პროტესტი გამოთქვა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ივერიის უძველესი ეკლესია შეკრებაზე თავისი პატივის – დიპტიქში VI ადგილის შესაბამისად – არ იყო მიწვეული; რომ ის თათბირში მონაწილეობას მხოლოდ მართლმადიდებელთა ერთიანობის ინტერესების გათვალისწინებით აგრძელებდა; მომავალში, უფლებების იგნორირების პირობებში, მსგავს ღონისძიებებში საქართველოს ეკლესიის მონაწილეობა სათუო გახდებოდა (საპატრ. არქ., აღწ. 2, ს. 996: 6-7).

კონსტანტინოპოლის ეკლესიის დიპტიქში საქართველოს ეკლესიისათვის მინიჭებული XII ადგილის გამო პროტესტი როდოსის III თათბირის თავმჯდომარეს წერილობითაც გადაეცა. მასში მოკლედ იყო აღწერილი ივერიის ეკლესიის ისტორია. გამოკვეთილი იყო შემდეგი მოვლენები: ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მილანის ედიქტის გამოცემის (313 წ.) ახლო ხანებში; ახლად ჩამოყალიბებული ეკლესიის ანტიოქიის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარება; ავტოკეფალიის მოპოვება ვახტანგ გორგასლის მეფობისას – V საუკუნეში; საქართველოს ეკლესიის მეთაურის კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულით მოხსენიება XI საუკუნის 10-იანი წლებიდან და ბერძენი კანონისტის, თეოდორე ბალსამონის ცნობა ივერიის ეკლესიის დამოუკიდებლობის

შესახებ; 1811 წელს რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის უკანონოდ შეჩერება და დამოუკიდებლობის აღდგენა 1917 წელს (საპატრ. არქ., აღწ. 2, ს. 996: 6-7).

გამოხატული პროტესტი საერთაშორისო ასპარეზზე მშობელი ეკლესიის უფლებების აღდგენისათვის შემოქმედელ ეპისკოპოს ილიას ბრძოლის დასაწყისი იყო.

თათბირზე განსახილველ ძირითად საკითხს – კათოლიკურ ეკლესიასთან დიალოგის საჭიროებას – ეპისკოპოსი ილია საქართველოს ეკლესიის სახელით დაეთანხმა და მისთვის მართლმადიდებელთა განსაკუთრებული მომზადების მნიშვნელობაზეც მიუთითა. მოლაპარაკებათა საფუძვლად ვატიკანის II კრების გადაწყვეტილებები უნდა ქცეულიყო, რაც მხოლოდ ამ კრების დასრულების (მიმდინარეობდა 1962-1965 წწ.) შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი. დიალოგის დაწყებამდე მართლმადიდებლებს ძირითად საკითხებთან დაკავშირებით ერთიანი აზრი უკვე შემუშავებული უნდა ჰქონოდათ (საპატრ. არქ., აღწ. 2, ს. 996: 9). საქართველოს ეკლესია მხარს უჭერდა მართლმადიდებელთაშორისი კომისიის შექმნას, რომლის მუშაობის შედეგებსაც ადგილობრივი ეკლესიები განიხილავდნენ და დაამტკიცებდნენ (*Всеправославные совещания*, 2008: 57).

კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ისადმი ილია შემოქმედელის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ როდოსის III თათბირმა კათოლიკურ ეკლესიასთან დიალოგის დაწყების შესახებ ერთიანი აზრი ვერ შეიმუშავა. მიღებული გადაწყვეტილებით დიალოგის შეთავაზება მომავლისთვის გადაიდო, რადგან „*მისი დაწყებისათვის აუცილებელი პირობები ჯერ არ არსებობდა*“ (საპატრ. არქ., აღწ. 2, ს. 996: 9).

ამავე მოხსენების მიხედვით ძველკათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიებთან ურთიერთობის შესახებ III თათბირზე საგანგებო მსჯელობა არ ყოფილა. შეკრებილებმა მათთან დიალოგის შესაძლებლობაც აღიარეს და შეთანხმდნენ, რომ საჭირო იყო კომისიების შექმნა (საპატრ. არქ., აღწ. 2, ს. 996: 10).

16 ნოემბერს თათბირის ოფიციალური ნაწილი დასრულდა. როდოსიდან ეპისკოპოს ილიას დაბრუნების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა იგნორირების გამო პროტესტით მსოფლიო პატრიარქს მიმართა (კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 2008: 259-263).

ვითარება არც მომდევნო ხანებში შეცვლილა, ამიტომ საქართველოს ეკლესიას სრულიად მართლმადიდებელთა IV თათბირზე 1968 წელს წარმომადგენელი აღარ გაუგზავნია (Скурат, 1994).

როდოსის 1964 წლის თათბირზე გამოთქმული პროტესტი საქართ-

ველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა საერთაშორისო მასშტაბით აღსადგენად 1917 წლიდან მომდინარე ბრძოლის შემადგენელი ნაწილი იყო. ეს ბრძოლა შემოქმედელმა ეპისკოპოსმა ილიამ გააგრძელა.

უკვე კათოლიკოს-პატრიარქობის პერიოდში, 1990 წელს, მან შეძლო, წარმატებით დაეგვირგვინებინა საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიისა (V ს-დან) და მისი მწყემსთმთავრის საპატრიარქო წოდების (XI ს-დან) მსოფლიო საპატრიარქოს მხრიდან აღიარების საკითხი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. არაბიძე, 2014 – ირინა არაბიძე, *რუსეთის ეკლესიის ანტიეკუმენური მოღვაწეობის ისტორიიდან (მოსკოვის 1948 წლის თათბირი)*, კრებული „*ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*“, 2 (15), თბილისი.
2. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 2008 – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, *ეპისტოლენი, სიტყვანი და ქადაგებანი*, III, თბილისი.
3. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 4541 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე 4541.
4. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8701 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე 8701.
5. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 2838 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2838.
6. საპატრ. არქ., აღწ. 2, ს. 996 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, საქმე 996 (დედანი დაცულია იქვე, აღწ. 1, საქმე 2901).
7. ქართველიშვილი, 2022 – მიხეილ ქართველიშვილი, *საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში*, თბილისი.
8. ხელნაწ. ეროვნ. ცენტ. არქ., კ. ცინცაძის ფ., ს. 102 – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე 102.
9. *Всеправославные совещания*, 2008 – *Всеправославные совещания 1961-1968 гг., Материалы и документы, публиковавшиеся в „Журнале Московской Патриархии“*, Составитель профессор-протоиерей Владимир Сорокин, Санкт-Петербург.
10. Скурат, 1994 – Константин Скурат, *История Православных Поместных Церквей*, т. I, Москва.

Issue of the autocephaly of the Church of Georgia at the Sessions of the All Orthodox in Rhodes (1961-1964)

All-Orthodox Rhodes Sessions were held three times during 1961-1964. The goal was to develop a list of issues to be discussed at the pre-congress session of the Orthodox Church, to define the ways of relations with the Christian world.

During the preparation period of the First Session of Rhodes, as Patriarch of All Russia Alexy I (1945-1970, Simansky) notes, in the correspondence between him and Ecumenical Patriarch Athenagoras (1949-1972, Spirou), it was found that the Ecumenical Patriarch had not been informed about the autocephaly of the Church of Georgia. In the notice given to him by the Patriarch of Russia, the earlier autocephaly of the Church of Georgia (V-XVIII centuries) and autocephaly restored in 1917, were recognized. The information provided by the Russian Church was insufficient to convince the Ecumenical Patriarch of the autocephaly of the Church of Georgia. He placed the Church of Georgia among the autonomous churches.

Representative of Georgia did not attend the Rhodes I and II Sessions. During the 3rd meeting, in 1964, Bishop Ilia of Shemokmedi (Shiolashvili) expressed a verbal and written protest against the violation of the rights of the Church of Georgia. Due to the ineffectiveness of the protest, the Church of Georgia did not take part in the next All-Orthodox Session.

Later, already Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II successfully ended the struggle for the recognition of the autocephaly of the Church of Georgia in 1990.

Вопрос автокефалии Грузинской Церкви на Родосских Всеправославных совещаниях (1961-1964 гг.)

В 1961-1964 годах Всеправославные совещания на о. Родос проводились три раза. Их целью была разработка вопросов, которые должны были обсуждаться на предсоборном совещании Православной Церкви и определение отношений с неправославным христианским миром.

Представители Грузии на I и II совещании не присутствовали. В 1964 году, на III совещании Представитель Грузинской Церкви епископ Илия Шемокмедели (Шиолашвили, в последствии, с 1977 г. Католикос-Патриарх всея Грузии) выразил устный и письменный протест против ущемления прав Грузинской Церкви. После возращения епископа Илии, Католикос-Патриарх всея Грузии Ефрем II (1960-1972, Сидамонидзе) из-за игнорирования автокефальных прав Грузинской Церкви, обратился с протестом к Вселенскому Патриарху.

Из-за безрезультатности протеста, Грузинская Церковь в следующих совещаниях не участвовала. Борьбу за признание автокефалии Грузинской Церкви со стороны Восточных Церквей, к которому епископ Илия присоединился на Родосском совещании, он продолжил уже будучи Католикосом-Патриархом всея Грузии и завершил успешно 1990 году. Эта была борьба, которая началась 1917 г. после провозглашения восстановления автокефалии Грузинской Церкви.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მოღვაწეობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისათვის

(ისტორიული ექსკურსი)

ქართული ისტორიული წყაროებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებული ძირითადი ეტაპები ასე წარმოგვიდგება: IV საუკუნეში, მირიანის მეფობის დროს, ქრისტიანობა იბერიაში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. საეკლესიო იერარქიის ჩამოყალიბებისა და ღვთისმსახურების დაწესების შემდეგ, ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დიდის დასტურით, ახლად დაარსებული ეკლესია ანტიოქიის მწყემსთმთავრის დაქვემდებარებაში შევიდა. მისი დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების ამსახველი პირდაპირი ცნობა არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. მეცნიერთა ნაწილი თვითმწყსობის დაწესების არაპირდაპირ დასტურად მიიჩნევს „*ქართლის ცხოვრების*“ მონათხრობს V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის მიერ კათოლიკოსის მეთაურობით ცამეტი საეპისკოპოსოს დადგინების შესახებ.

ავტოკეფალობის ნიშნად აგრეთვე მიაჩნიათ XI საუკუნის დასაწყისიდან (თუ უფრო ადრე არა) ჩვენი ეკლესიის მეთაურის ტიტულატურაში „*პატრიარქის*“ წოდების გაჩენა („*დაწერილი მელქიზედეკ კათალიკოსისა სვეტიცხოველისადმი*“).

ყველაზე ადრეულ დოკუმენტად, რომელშიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ პირდაპირ არის საუბარი, გვევლინება ანტიოქიის პატრიარქის (1185-1199), კანონისტის, თეოდორე ბალსამონის ცნობა. ის წერს, რომ იბერიის ეკლესიამ ავტოკეფალია ანტიოქიის საეკლესიო კრების დადგენილებით ნეტარი პეტრეს პატრიარქობაში მიიღო.

ქართული წყაროების („*შეწირულობისა დაწერილი მეჭურჭლეთ-უხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი*“, 1259 წ.) ცნობით კი XIII საუკუნეში ჩვენი ეკლესია – სვეტიცხოვლის ტახტი, მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიქში VI ადგილზე იდგა (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 9741: 86-90, 143-161; *ქართული სამართლის ძეგლები*, II, 1965: 66).

ავტოკეფალურ უფლებათა მოპოვების პროცესის უფრო დაზუსტებით გადმომცემი დოკუმენტები, როგორც აღვნიშნე, ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. ასევე არ არის მიკვლეული ივერიის ეკლესიის თვითმწყსობისადმი აღმოსავლეთის ეკლესიათა დამოკიდებულების ამსახველი ცნობები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის (შიოლაშვილი) აზრით, V საუკუნის II ნახევარში ანტიოქიის ტახტის მიერ საქართველოს ეკლესიისთვის დამოუკიდებლობის მინიჭება და XI საუკუნის

დასაწყისში მისი მამამთავრის ტიტულატურაში პატრიარქის წოდების გაჩენა ბიზანტიის იმპერატორისა და კონსტანტინოპოლის ანუ მსოფლიო პატრიარქის თანხმობით მოხდებოდა, რადგან ეს არა მარტო საეკლესიო, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი იყო. ბიზანტიის იმპერიისა და საქართველოს მძიმე ისტორიამ განაპირობა ამ თანხმობის, ე. ი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტების განადგურება ან, შესაძლოა, მომავალში მოხდეს მათი გამოვლენა.

აღნიშნული დოკუმენტების უქონლობით, რუსეთის იმპერიისა და შემდეგ საბჭოთა სახელმწიფოს მარწუხებში ყოფნით საქართველოს ეკლესიის უფლებები იმდენად შეილახა, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ავტონომიურ ეკლესიად მოიხსენიებოდა. კერძოდ, 1964 წელს როდოსის სრულიად მართლმადიდებელთა III თათბირზე (მიმდინარეობდა 1-17 ნოემბერს) საქართველოს ეკლესია მიწვეული იყო არა როგორც ავტოკეფალური, არამედ როგორც კონსტანტინოპოლის ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფი ავტონომიური ეკლესია. საქართველოს ეკლესიას იქ ახლად ნაკურთხი შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვილი) წარმოადგენდა. მეუფე ილიამ თათბირზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა იგნორირების გამო პროტესტი განაცხადა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 2901: 5; იხ. აქვე: 268-272). სწორედ აქედან დაიწყო საქართველოს ეკლესიის დღევანდელი საჭეთმპყრობლის ბრძოლა მსოფლიო საპატრიარქოს მხრიდან საქართველოს ეკლესიის V საუკუნიდან არსებული ავტოკეფალიის ცნობისათვის.

ილია შემოქმედელმა როდოსის კრების თავმჯდომარე ილიოპოლისის მიტროპოლიტ მელიტონის სახელზე დაწერილ ოფიციალურ განცხადებაში საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია გადმოსცა და აღნიშნა: წარსული ისტორიის გათვალისწინებით შეუძლებელია საქართველოს ეკლესია პროტესტის გარეშე შეხვდეს თავის უფლებათა დამცრობისა და ახლად ჩამოყალიბებული ეკლესიების რიგში ჩაყენების ფაქტს.

საპროტესტო წერილში ისიც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს მხრიდან როდოსის შეკრებაში მონაწილეობის გაგრძელებას მართლმადიდებელ ეკლესიათა ერთიანობის ინტერესები განაპირობებდა. საქართველოს ეკლესიის უფლებათა იგნორირება შემდეგშიც თუ მოხდებოდა, მსგავს ღონისძიებებში საქართველოს ეკლესია მონაწილეობას აღარ მიიღებდა (საპატრ. არქ., აღწ. 1, ს. 2901: 7-8).

როდოსის კრების შესახებ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა ეფრემ II-მ (სიდამონიძე, 1960-1972) ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა შეზღუდვის გამო პროტესტით მსოფლიო პატრიარქს მიმართა (კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 2008: 259-262).

მოლაპარაკებები ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ უფრო ინტენსიური სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ილია II-ის არჩევის (1977 წ.) დროიდან გახდა.

საკითხი 1978 წლის ივნისში დაისვა აღმოსავლეთის ეკლესიათა წარმომადგენლების საქართველოში ყოფნის დროს.[1]

მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაციას მეთაურობდა მიტროპოლიტი მელიტონი, რომელიც 1964 წელს როდოსის III კრების თავმჯდომარე იყო. იგი საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის მიმართ იმდენად დიდ პატივისცემას გამოხატავდა, რომ მისადმი მსოფლიო საპატრიარქოში მიღებული მიმართვის ოფიციალურ ფორმასაც (კათოლიკოსი) კი არღვევდა და მას ხშირად კათოლიკოს-პატრიარქად მოიხსენიებდა (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 2256: 8). მისი უწმინდესობა ილია II აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაურისადმი მიმართვის ამ ფორმას ზოგჯერ მსოფლიო პატრიარქიც იყენებდა.

სტუმრად მყოფი დელეგაციების წასვლის შემდეგ, 16 ივლისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სიონის საკათედრო ტაძარში მიიწვია მეცნიერები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი ნოდარ ასათიანი, ამავე ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი მარიამ ლორთქიფანიძე, ხელოვნებათმცოდნეობის კათედრის გამგე, პროფესორი პარმენ ზაქარაია, ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის გამგე, ბიზანტინოლოგი, პროფესორი და მწერალი ლევან სანიკიძე, არქეოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი ოთარ ჯაფარიძე, პროფესორები: გურამ ლორთქიფანიძე, რევაზ სირაძე, გურამ აბრამიშვილი, დოცენტი გიორგი ხუციშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გურამ მამულია, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ეთერ ავსაჯანიშვილი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტიდან პროფესორები – შოთა ლომსაძე, იური სიხარულიძე, ნოდარ ლომოური, გივი ღამბაშიძე, დერმიშა გოგოლაძე; დოცენტები – ბაბილინა ლომინაძე, დარეჯან მეგრელაძე, თამაზ ბერაძე, ანრი ბოგვერაძე; შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტიდან პროფესორი ივანე ლოლაშვილი.

თათბირზე კათოლიკოს-პატრიარქმა ისაუბრა საქართველოს ეკლესიის ისტორიის დაწერის აუცილებლობაზე და ისტორიკოსთა შეხედულებები მოისმინა. მისი აზრით, საჩქარო საქმე იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დამადასტურებელი საბუთების მოძიება: „*ჩვენ უნდა*

1. ისინი ვერ დაესწრნენ კათოლიკოს-პატრიარქად ილია II-ის კურთხევას 1977 წლის 25 დეკემბერს და ამ ფაქტის აღსანიშნავად მოგვიანებით ჩამოვიდნენ.

დავუმტკიცოთ ბერძნებს, რომ ჩვენი ეკლესიის მეთაური XI საუკუნის დასაწყისიდან ატარებდა კათოლიკოს-პატრიარქის წოდებას. ბერძნები ჩვენს ეკლესიას აყენებენ არა საპატრიარქოთა შორის, არამედ [ავტონომიურ] ეკლესიათა შორის. ჩვენ ხშირი მიმოწერა გვაქვს კონსტანტინოპოლის პატრიარქთან და, როდესაც მისგან ვღებულობთ წერილებს, ის ჩვენ მოგვიხსენიებს, როგორც უნეტარეს კათოლიკოსს და არა როგორც პატრიარქს. როგორც ჩანს, ჩვენს ბერძენ კოლეგებს ავიწყდებათ ჩვენი ისტორია ან, საერთოდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ უნდათ, რომ იცნონ ჩვენი სუვერენული უფლება ამ მხრივ" (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 2256: 1-7).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღიარების მისაღწევად საჭირო იყო, მსოფლიო პატრიარქისთვის ქართული მხარის მოთხოვნის კანონიერება ისტორიული დოკუმენტებით დაემტკიცებინათ.

ეკლესიის თვითმწყსობასთან დაკავშირებით მსოფლიო საპატრიარქოს წინაშე საქართველოს ეკლესია სამ მოთხოვნას აყენებდა: 1-2. V საუკუნიდან მიღებული ავტოკეფალიისა და XI ს. დასაწყისიდან ეკლესიის საჭეთმპყრობლის წოდების – „*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი*" – აღიარება; 3. მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიქში საქართველოს ეკლესიის დაყენება კუთვნილ VI ადგილზე.

დიპტიქში მართლმადიდებელი ეკლესიები განლაგებული არიან თავიანთი პატივის მიხედვით. მასში ამა თუ იმ ეკლესიის ადგილს დამოუკიდებლობის მიღების თარიღი და მართლმადიდებელი სამყაროს წინაშე მისი დამსახურება განსაზღვრავს. ყოველი მართლმადიდებელი ეკლესია, კანონიკური კავშირისა და ერთობის ნიშნად, ღვთისმსახურებისას მოძმე ეკლესიათა პირველიერარქებს სწორედ დიპტიქში არსებული თანმიმდევრობით იხსენიებს (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8701: 62; იქვე, ს. 8791: 3). აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო პატრიარქის მიერ საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიის აღიარებას და არა მის მინიჭებას.

ზოგი ავტოკეფალური ეკლესია (რუსეთი, ბულგარეთი, სერბეთი, რუმინეთი, პოლონეთი), თავისი ტრადიციისამებრ, საქართველოს ეკლესიას დიპტიქში VI ადგილზე აყენებდა და მის მეთაურსაც პატრიარქის ტიტულით მოიხსენიებდა. ზოგი ეკლესია (ელადის, კვიპროსის და სხვ.) კი, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მსგავსად, მას ავტონომიურ ეკლესიათა შორის ათავსებდა.

უწმინდესი და უნეტარესი ილია II მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოს I-სა (1972-1991, პაპადოპულოსი) თუ მის წარმომადგენლებს ოფიციალური წერილებით აცნობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა ამსახველ წყაროებს.

ივერიის ეკლესიის უფლებებში ბერძნების დასარწმუნებლად და იმისთვის, რომ შემდეგში ეს დავის საგანი აღარ გამხდარიყო, კათოლიკოს-პატრიარქს სურდა, ქართული წყაროები ბერძნული დოკუმენტებით გაემყარებინა. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მამამთავარნი ტიტულ „*პატრიარქს*“ იშვიათად იყენებდნენ, შესაძლო იყო, კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკს მიმოწერა ჰქონოდა საბერძნეთთან და თავისი წოდება სრული სახით მოეხსენიებინა, როგორც სვეტიცხოვლისადმი დაწერილში (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 2256: 9).

კათოლიკოს-პატრიარქის წინადადებით ავტოკეფალიის საკითხზე მუშაობა ბაბილინა ლომინაძეს უნდა გაეგრძელებინა. ეკლესიის ისტორიის რიგი საკითხების განხილვაში მას ანრი ბოგვერაძე, რევაზ სირაძე და ზაზა ალექსიძე უნდა დახმარებოდნენ (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 2256: 10).

საქართველოს ეკლესიის ისტორიის დასამუშავებლად, უპირველესად კი ავტოკეფალიის საკითხზე სამუშაოდ, შეიქმნა რედკოლეგია: რედაქტორი – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, პირველი მოადგილე – ბაბილინა ლომინაძე, მეორე მოადგილე – რევაზ სირაძე, პასუხისმგებელი მდივანი – ზაზა ალექსიძე, რედკოლეგიის წევრი – გურამ მამულია (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 2256: 15).

ავტოკეფალიასთან დაკავშირებული დოკუმენტების მოძიების დაჩქარებას მსოფლიო საპატრიარქოში 1978 წლის შემოდგომისთვის დაგეგმილი საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ვიზიტი განაპირობებდა. მას სურდა, პატრიარქ დიმიტრიოსის წინაშე წყაროებით შეიარაღებული წარმდგარიყო (ვიზიტი 1979 წელს შედგა) (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 2256: 8).

მეორე მიზეზს, რის გამოც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დამადასტურებელი მასალის შეგროვება უნდა დაჩქარებულიყო, უახლოეს წლებში მოსალოდნელი მსოფლიო საეკლესიო კრება წარმოადგენდა. კრებაზე, მრავალ საკითხთან ერთად, მსჯელობის საგანი ეკლესიათა ავტოკეფალიისა და ავტონომიის საკითხებიც იქნებოდა.

უწმინდესი და უნეტარესი ილია II მსოფლიო საპატრიარქოს ხშირად ახსენებდა საქართველოს ეკლესიის პრინციპულ პოზიციას: თუ კრებამდე ავტოკეფალიის საკითხი არ მოწესრიგდებოდა, ჩვენი ეკლესია მასზე დასწრების საკითხს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა, რადგან მსოფლიო კრებაზე წინასწარ შეუთანხმებელი საკითხების განხილვა მართლმადიდებელთა შორის განხეთქილების საბაბი შეიძლებოდა გამხდარიყო (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 2256: 1-7).

მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევის ინიციატივით კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში გამოდი-

ოდა და მის თარიღად 1926 წლის 10 ივნისიც კი იყო განსაზღვრული. 1917 წელს ავტოკეფალიააღდგენილი საქართველოს ეკლესია რუსეთის ეკლესიისათვის ანგარიშის გაწევის გამო[1] კრებაზე არ მიიწვიეს (ხელნაწ. ეროვნ. ცენტ., კ. ცინცაძის ფ., ს. 102: 104-105; საპატრ. არქ. აღწ. 1, ს. 650: 26). მსოფლიო საეკლესიო კრება 1926 წ. ვერ შედგა და საკითხი XX საუკუნის ბოლო მეოთხედშიც აქტიურად განიხილებოდა.[2]

1970-იანი წლების ბოლოს საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის ურთიერთობა უკვე შეცვლილი იყო. ლოცვით-ევქარისტიული კავშირი მათ შორის 1943 წელს აღდგა. რუსეთისა და აღმოსავლეთის ზოგიერთი ეკლესია საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიის აღიარებას უკვე მხარს უჭერდა, მეტიც, ეს რუსეთის ეკლესიის ინტერესებშიც შედიოდა. ამ უკანასკნელმა ამერიკაში არსებულ თავის ეპარქიას 1975 წელს ავტოკეფალია მიანიჭა. მსოფლიო პატრიარქმა ამ მოვლენას წინააღმდეგობა გაუწია, რადგან თვლიდა, რომ ერთ ეკლესიას დამოუკიდებლად ამის უფლება არ უნდა ჰქონოდა.

რუსეთის ეკლესიამ საკუთარი უფლებების დასაცავად საქართველოს ეკლესიის მაგალითის გამოყენება ცადა. მისი არგუმენტი ასეთი იყო: თუ ანტიოქიის ეკლესიას ჰქონდა უფლება, საქართველოს ეკლესიისთვის ავტოკეფალია მიენიჭებინა, ჩვენც უნდა გვქონდეს ამერიკის ეკლესიისთვის თვითმწყსობის მინიჭების უფლებაო. წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიო კრებაში მონაწილეობაზე რუსეთის ეკლესიაც უარს აცხადებდა (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 2256: 1-7).

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მხრიდან ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხი ჯერაც არ არის გადაწყვეტილი, თუმცა საქართველოს ეკლესია ბულგარეთის, პოლონეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებთან ერთად მის დამოუკიდებლობას აღიარებს.

როდოსის კრებიდან (1964 წ.) მოყოლებული, საქართველოს ეკლესიის არაერთი პროტესტის მიუხედავად, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აზრის გამტარებელი მართლმადიდებელი ეკლესიები საქართველოს ეკლესიის შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელებას განაგრძობდნენ. მაგ., 1980 წელს ელადის საეკლესიო კალენდარში საქართველოს ეკლესია ისევ მსოფლიო საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულ ავტონომიურ ეკლესიად იყო მოხსენიებული. მისი მეთაურის ტიტულად მითითებული იყო სრულიად იბერიის კათოლიკოსი და არა

1. რუსეთის ეკლესიამ 1917 წელს თავისი ქვეშევრდომობისაგან საქართველოს ეკლესიის გათავისუფლება არ აღიარა, მასთან ლოცვით-ევქარისტიული კავშირი გაწყვიტა და მსოფლიო მართლმადიდებელ სამყაროს მოუწოდა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია არ ეცნოთ (ბუბულაშვილი, 2003: 58).

2. კრება კუნძულ კრეტაზე 2016 წელს ჩატარდა.

კათოლიკოს-პატრიარქი.

უწმინდეს და უნეტარეს ილია II-ს ისევ მოუხდა მტკიცება, რომ საქართველოს ეკლესიას არასოდეს ჰქონია ავტონომიური უფლებები და არც მსოფლიო პატრიარქის იურისდიქციაში შედიოდა ოდესმე.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოს სერაფიმესთვის გაგზავნილ წერილში ჩვეული სულგრძელობით გამოთქვამდა იმედს, რომ მისი უშუალო ჩარევით შეცდომა გამოსწორდებოდა და საქართველოსა და ელადის ეკლესიებს შორის ტრადიციულ მეგობრობას საფრთხე არ დაემუქრებოდა (საპატრ. არქ., ს. 4541: 1-3).

მთავარეპისკოპოსი სერაფიმე 1981 წლის 18 მარტს პასუხად საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს წერდა, რომ საეკლესიო კალენდარში გამოქვეყნებული ცნობები მკითხველისთვის საქართველოს ეკლესიის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნას ისახავდა მიზნად. დიპტიქში ადგილი დაცული იყო მსოფლიო საპატრიარქოს პრაქტიკაში არსებული რიგის მიხედვით. ამასთან, მეუფე გამოთქვამდა იმედს, რომ აღნიშნულით არ დაიჩრდილებოდა ელადისა და საქართველოს ეკლესიებს შორის არსებული ურთიერთობები (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8701: 29).

საქართველოს ეკლესიის მეთაურმა დიპტიქში საქართველოს ეკლესიის ადგილის ეჭვქვეშ დაყენების გამო 1982 წლის 3 ივლისს მსოფლიო საპატრიარქოს მიმართა. მიმართვაში აღინიშნა, რომ ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში მოციქულების – ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის ქადაგების შედეგად დაიწყო და სახელმწიფო რელიგიად მოციქულთასწორ წმინდა ნინოს ღვაწლით გამოცხადდა; რომ საქართველოს ეკლესია იღვწოდა აღმოსავლეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცებისათვის; რომ ქართველთა გმირული წარსული, მათი მიღწევები ლიტერატურასა თუ ხელოვნებაში, ძირითადად, ქრისტიანული სარწმუნოებით იყო შთაგონებული; ჩვენი წინაპრები მტკიცედ იდგნენ რწმენის სადარაჯოზე, ეკლესია ყოველთვის გმობდა სჯულისაგან გადაცდომას. „*ჩვენთვის გაუგებარია მსოფლიო საპატრიარქოს პოზიცია დიპტიქის საკითხში. ჩვენს საპატრიარქოს მსოფლიო საპატრიარქოს დიპტიქში არა აქვს მინიჭებული თავისი კუთვნილი VI ადგილი და ამიტომ მართლმადიდებელ ეკლესიათა სხვადასხვა შეკრების დროს ეს საკითხი იწვევს არასასურველ კამათს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა იყოს დაცული ისტორიულ-კანონიკური წესი ყველა ეკლესიის მიერ და ასეთ გაუგებრობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის.*

საქართველოს საპატრიარქო და ქართველი ხალხი, ეყრდნობა რა თავისი ქრისტიანობის ორიათასწლოვან ისტორიას, უკანონოდ თვ-

ლის, ეჭვის ქვეშ დადგეს საქართველოს ეკლესიის ადგილი დიპტიქში. ეს საკითხი გადაწყვეტილია ათი საუკუნის წინ. დღეს ამ საკითხის შეხება მიზანშეუწონლად და არაკანონიერად მიგვაჩნია. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა და თავისთავადობა – ესაა ქართველი ერის საუკეთესო შვილთა და მთელი ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა ბრძოლით მიღებული მონაპოვარი... საქართველოს საპატრიარქოს გაუჭირდება მონაწილეობის მიღება მსოფლიო საპატრიარქოს მიერ გატარებულ რაიმე ღონისძიებაში იქამდე, ვიდრე ჩვენი საპატრიარქო არ მიიღებს თავის კანონიერ VI ადგილს.

საქართველოს ეკლესია და მისი წმინდა სინოდი იმედოვნებს, რომ მსოფლიო საპატრიარქო ერთხელ კიდევ სერიოზულობითა და მთელი პასუხისმგებლობით მიუდგება ამ საკითხს და გადაწყვეტს მას დადებითად ორივე ეკლესიის საკეთილდღეოდ“ (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 4035: 1-8).

აღნიშნული წერილის ასლი, მხარდაჭერის თხოვნით, ყველა ავტოკეფალური ეკლესიის მეთაურსა და შვეიცარიაში მსოფლიო საპატრიარქოს მართლმადიდებლური ცენტრის ხელმძღვანელ მიტროპოლიტ დამასკინოსს გაეგზავნა (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8574: 10-11, 40-42, 55-57; იქვე, ს. 9420: 9-60).

მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოს I საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვას 1982 წლის 17 აგვისტოს გამოეხმაურა. ინფორმაციის მიწოდებისათვის მადლობა გადაუხადა და აცნობა, რომ საკითხი განსახილველად სინოდის კომპეტენტურ საბჭოს გადაეცა (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8701: 39).

სხვა ავტოკეფალურ ეკლესიათაგან მიღებულ გამოხმაურებებში გამოხატული იყო მხარდაჭერა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და მისი მწყემსთმთავრის „*ენერგიული მოქმედებებისადმი*“; გამოთქმული იყო იმედი, რომ მსოფლიო საპატრიარქოს ბრძნული გადაწყვეტილების შედეგად „*საქართველოს მოწამებრივი, მაგრამ, ამავე დროს, დიდებული ეკლესია*“ მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიქში კუთვნილ ადგილს დაიკავებდა (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8701: 32, 34, 46, 48, 56, 62).

ალექსანდრიისა და პოლონეთის ეკლესიათაგან საქართველოს ეკლესიისადმი მხარდასაჭერად მსოფლიო პატრიარქისათვის გაგზავნილი წერილები ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში (ბოკელავაძე, 2009: 271-272).

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ავტოკეფალური ეკლესიების ყველა მეთაურს მოახსენა მადლობა გამოჩენილი ყურადღებისთვის; მსოფლიო პატრიარქს შეახსენა, რომ უმჯობესი იქნებოდა, საკითხი მას გადაეწყვიტა, ვიდრე პანორთოდოქსალურ შეკრებაზე გაეტანა, სადაც

ის შეიძლებოდა განხეთქილების საბაბი გამხდარიყო (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8579: 1, 2, 3, 4).

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტობისას (1978-1983 წწ.) უწმინდესი და უნეტარესი ილია II შვეიცარიაში ვიზიტებს საქართველოს ეკლესიის ინტერესების დასაცავად იყენებდა („*ჯვარი ვაზისა*“, 1990: 18).

1987 წელს საქართველოში მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი ჩამოვიდა. კონსტანტინოპოლისა და საქართველოს ეკლესიათა მეთაურები შეთანხმდნენ, ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები ერთობლივად განეხილათ, რათა მართლმადიდებელი სამყაროს ერთიანობა არ დაზარალებულიყო.

1988 წლის 11-14 თებერვალს მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია საქართველოში მირონის მიტროპოლიტ ქრიზოსტომოსის ხელმძღვანელობით იმყოფებოდა. მას ჩამოტანილი ჰქონდა სიგელები, რომლებითაც საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია და საპატრიარქო ღირსება ენიჭებოდა (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8578: 15). ამ დოკუმენტების მიხედვით თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია წაიშლებოდა და ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის საწყისად 1988 წელი გამოცხადდებოდა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამას, რა თქმა უნდა, არ დაეთანხმა და მიტროპოლიტ ქრიზოსტომოსს აზრი შეაცვლევინა („*ჯვარი ვაზისა*“, 1990: 19).

ორი თვის შემდეგ მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია ისევ ჩამოვიდა საქართველოში. ჩამოტანილ ტექსტებში მცირეოდენი ცვლილებების შეტანის შემდეგ ერთობლივი მუშაობით კმაყოფილი უწმინდესი და უნეტარესი ილია II მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოს I-ს მადლობას უხდიდა კეთილგანწყობისა და იმისათვის, რომ კონსტანტინოპოლი „*თანახმა იყო ეკურთხებინა, დაემტკიცებინა და ეღიარებინა*“ როგორც ძველი დროიდან არსებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ასევე მისი მწყემსთმთავრის საპატრიარქო ღირსება (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8574: 21-22).

დოკუმენტებზე მუშაობის პროცესში ყოველ დეტალს დიდი ყურადღება ექცეოდა. კამათის საგანი გახდა მირონის კურთხევა – ავტოკეფალური ეკლესიისათვის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი. მსოფლიო საპატრიარქოს სურდა, მირონი ყველა ეკლესიას მისგან მიეღო. კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ამასთან დაკავშირებით თავისი პრინციპული პოზიცია იმით გაამყარა, რომ საქართველოს ეკლესიას მირონის მოხარშვისა და კურთხევის უფლების მოსაპოვებლად დიდი კამათი და დავა ჰქონდა გადატანილი. ბოლოს შეთანხმდნენ, მირონის კურთხევის უფლებასთან დაკავშირებით დაცული ყოფილიყო ტრადიციები, რაც საქართველოს ეკლესიის გამარჯვებას ნიშნავდა (კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 2008: 262-263).

საქართველოს ეკლესიისათვის უმნიშვნელოვანესი სამი საკითხიდან ორზე შეთანხმება უკვე მიღწეული იყო. პატრიარქმა დიმიტრიოს I-მა და მსოფლიო საპატრიარქომ საქართველოს ეკლესიის V საუკუნიდან არსებული ავტოკეფალია და მისი მწყემსთმთავრის XI ს-დან მომდინარე ტიტული შემდეგი მოსაზრებების საფუძველზე აღიარეს:

„1. საქართველოს ეკლესია არის სამოციქულო ეკლესია. ღვთის განგებითა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ნებით, ქრისტეს მცნება აქ იქადაგეს წმინდა მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა. სვიმონ კანანელი აქვე აღესრულა (ქ. ნიკოფსიაში) და აქ არის მისი სამუდამო განსასვენებელი.

2. საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძველი ქრისტიანული ქვეყანაა. მისი მიწა I საუკუნიდანვე სასოებით ინახავს ქრისტიანთა ერთ-ერთ ყველაზე დიდ სიწმინდეს – კვართს მაცხოვრისა ჩვენისა. ქრისტიანობა კი, წმინდა ნინოს ლოცვისა და ქადაგების მადლით, IV საუკუნის I ნახევარში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

3. ქართველთა მეფის, ვახტანგ გორგასლის, დაუღალავი მოღვაწეობით V საუკუნეში, ანტიოქიის პატრიარქ პეტრე II-ის დროს, ანტიოქიის ეკლესიის კრების დადგენილებით საქართველოს ეკლესიის თორმეტ ეპისკოპოსს სათავეში ჩაუდგა კათოლიკოსი, რითაც შეიქმნა ავტოკეფალური ეკლესიისთვის დამახასიათებელი სრული იერარქიული სტრუქტურა.

4. XI საუკუნიდან (თუ უფრო ადრე არა) საქართველოს ეკლესიას სათავეში უდგას კათოლიკოს-პატრიარქი, რომელსაც, ჩვენამდე მოღწეული უძველესი წყაროების მიხედვით, მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიქში უკავია VI ადგილი.

5. მთელი ისტორიის განმავლობაში საქართველო ურყევ ბურჯად უდგას მართლმადიდებლობას კავკასიაში. იგი არასოდეს მიდრეკილა არც ერთი მწვალებლობისკენ მსოფლიო ეკლესიაში მიმდინარე დიდი კამათების დროსაც კი.

6. ჯერ მაზდეანურ ირანთან უთანასწორო ბრძოლაში, ხოლო შემდეგ მუსლიმანურ გარემოცვაში მარტოდმარტო დარჩენილმა საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ თავისი მრწამსი შეინარჩუნა არნახული მსხვერპლის გაღებით – მრავალი ათასი მარტვილის სახით, რომელთა ფასდაუდებელი ღვაწლი ღირსეულად ასახა უმდიდრესმა ქართულმა ჰაგიოგრაფიულმა მწერლობამ.

7. მსოფლიოში ცნობილი და ფასდაუდებელია საქართველოს ეკლესიის მიერ ქრისტიანული კულტურის საერთო საგანძურში თექვსმეტი საუკუნის მანძილზე შეტანილი წვლილი. მან არა მარტო თავისი ღირსეული სიტყვა თქვა ქრისტიანული მწერლობისა და აზროვნების თითქმის

ყველა სფეროში, არამედ გადაარჩინა და შეუნახა კაცობრიობას ბიზანტიური სასულიერო მწერლობის ბევრი ისეთი ძეგლიც, რომელიც ორიგინალში ვერ გადაურჩა ჟამთა სიავეს.

8. დღეს საქართველოს საპატრიარქო წევრია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსი, ევროპის ეკლესიათა კონფერენციისა, ქრისტიანული სამშვიდობო კონფერენციისა; მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საერთაშორისო დიალოგსა და სიმპოზიუმებში; და ყველაფერს აკეთებს მართლმადიდებელთა ერთიანობის განმტკიცებისათვის“ (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8578: 18-19).

კონსტანტინოპოლის სინოდმა საქართველოს ეკლესიის V საუკუნიდან არსებული ავტოკეფალიისა და XI საუკუნიდან მისი მწყემსთმთავრის საპატრიარქო ტიტულის აღიარების შესახებ განჩინება 1990 წლის 23 იანვარს გამოიტანა. მესამე საკითხი – საქართველოს ეკლესიის ადგილი დიპტიქში – გადაუჭრელი დარჩა.

უწმინდესი და უნეტარესი ილია II უძვირფასესი დოკუმენტების მისაღებად მსოფლიო საპატრიარქოს 1990 წლის 3 მარტს ეწვია. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა), ქუთათელ-გაენათელი მთავარეპისკოპოსი კალისტრატე (მარგალიტაშვილი), თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორი პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი, დიაკვანი ამირან ამირანაშვილი, თარჯიმანი თამარ მესხი, საპატრიარქოს საგარეო განყოფილების მდივანი ბორის გაგუა (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8578: 27).

საბუთები დაწერილია ბერძნულად. ავტოკეფალიის აღიარების დოკუმენტზე გამოსახულია მაცხოვარი, ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე და მისი დედა – დედოფალი ელენე.

ტექსტის თარგმანი ასეთია: *„სულიწმიდით განათლებულნი კრებითად გამოვთქვამთ აზრს და ვაღიარებთ საქართველოს უწმიდესი ეკლესიის თვითმმართველობისა და თვითორგანიზების უძველეს ფაქტს, რაც დამოწმებულია ბალსამონის მიერ, რომელიც წერს: „... ამბობენ, რომ ღვთის უწმიდესი დიადი ქალაქის ანტიოქიის პატრიარქის, უფალი პეტრეს დროს ივერიის ეკლესიას სინოდური განკარგულებით მიენიჭა თვითმყოფადობა და ავტოკეფალია“...* (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8578: 8-12).

საჭეთმპყრობლის ტიტულის აღიარების დამადასტურებელ სიგელზე გამოსახულია ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი – საქართველოს მფარველი, წმინდა ნინო და წმინდა ილია წინასწარმეტყველი. ამ დოკუმენტით მსოფლიო საპატრიარქო ძველი დროის ქრონიკების საფუძველზე ცნობს საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტიტულს – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8578: 13-14).

სიგელების მიღების შემდეგ საზეიმო ვითარებაში წარმოთქმულ სი-

ტყვაში საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართველი და ბერძენი ხალხის მიერ განვლილ მძიმე გზას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა აღდგომა და ამაღლება, რადგან ჩვენ არ გადაგვიხვევია ქრისტეს მცნებებიდან. მან დამსწრეთ კიდევ ერთხელ შეახსენა საქართველოს ეკლესიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპები. მსოფლიო პატრიარქსა და წმინდა სინოდს მადლობა გადაუხადა ჩვენი ეკლესიის ღირსებათა აღიარებისათვის; გამოთქვა იმედი, რომ ტრადიციული ძმური ურთიერთობა ამ ორ უძველეს ეკლესიას შორის მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდებოდა და გაღრმავდებოდა (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8578: 13-19).

მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოსმა ინტერვიუში მომხდარს მნიშვნელოვანი ფაქტი უწოდა და აღნიშნა, რომ ეს, ერთი მხრივ, გამოხატულებაა საქართველოს უძველესი ეკლესიისადმი პატივისცემისა და, მეორე მხრივ კი, ხელის შემწყობია პანორთოდოქსალური ერთობისა, რაც დღეს უფრო მეტადაა საჭირო, ვიდრე ოდესმე. *„ამ ქმედებით მსოფლიო საპატრიარქო ეცადა, პატივი მიეგო კეთილშობილი, მორწმუნე და ამაყი ქართველი ხალხისათვის, რომელმაც მთელი ისტორიის განმავლობაში გამოავლინა სიმტკიცე მამათა მართლმადიდებლურ რწმენაში და იბრძოდა მისთვის“.* გამოიჩინა მაღალი თვითშეგნება და მოთმინება ყოველგვარ განსაცდელში (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 133: 1).

თურქეთის პრესა 1990 წლის 5 მარტს იტყობინებოდა: *„მართლმადიდებლობის კვირიაკეს – განსაკუთრებულად ბრწყინვალე ლიტურგიის დროს, რომელიც ჩატარდა ფანარის წმინდა გიორგის საპატრიარქო ტაძარში, მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოსმა საქართველოს ეკლესიის მეთაურს ბატონ ილია II-ს გადასცა საპატრიარქო-სინოდური „ტომი“ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიად აღიარების შესახებ“* (საპატრ. არქ., ახ. აღწ., საქმე 438: 1).

საქართველოში დაბრუნებულ ეკლესიის საჭეთმპყრობელსა და მის თანმხლებ პირებს უამრავი ადამიანი ანთებული სანთლებით დახვდა აეროპორტში.

1990 წლის 13 მარტს სიონის საკათედრო ტაძარში წირვის შემდეგ უწმინდესმა ილია II-მ აღნიშნა, რომ *„ამ დოკუმენტებს საქართველო 1500 წელი ელოდა“* (კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 1990: 4).

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ყველა ავტოკეფალურ ეკლესიას ეპისტოლეებით მიმართა და საქართველოს ეკლესიისთვის ესოდენ სასიხარულო ფაქტი შეატყობინა; გამოთქვა რწმენა, რომ მსოფლიო საეკლესიო კრებისათვის მზადების პირობებში მართლმადიდებელი ეკლესიები სხვა საკითხებსაც სიყვარულითა და ურთიერთპატივისცემით გადაწყვეტდნენ (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 11441; იქვე, ს. 2806: 1).

ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის აღსანიშნავად საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა სხვადასხვა ორგანიზაციისა და კერძო პირისაგან უამრავი წერილი მიიღო. მათში რეალურადაა შეფასებული საქართველოს ეკლესიისა და ერის ცხოვრებაში მომხდარი ფაქტის უდიდესი მნიშვნელობა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, აკადემიკოს ანდრია აფაქიძის მისალოცბარათში კათოლიკოს-პატრიარქი ილია II საქართველოს ეკლესიის ჭეშმარიტ აღმაშენებლად არის წოდებული. ანდრია აფაქიძემ „*საზეიმო მამულიშვილური მილოცვა*“ გადასცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდს, მრევლს და „*აღუთქვა მათ ქართველ მეცნიერთა განუყრელი და საუკუნო თანადგომა, რამეთუ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია არის დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის განუწყვეტელი ბრძოლისა და გამარჯვებათა ისტორიაც*“ (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 183: 1).

მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საბჭოს რწმუნებული ანზორ წიკლაური ულოცავს პატრიარქს „*უდიდესი მნიშვნელობის სამართლიანობის აღდგენას*“ და მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიქში საქართველოს ეკლესიის ადგილთან დაკავშირებული საკითხის ასეთივე წარმატებით გადაჭრას უსურვებს (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 182: 1).

საქველმოქმედო საზოგადოება „*თბილისელის*“ გამგეობა აღნიშნავს, რომ მსოფლიო პატრიარქის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის დადასტურება „*მისი უწმიდესობის დაუღალავი და თავდადებული შრომისა და მეცადინეობის შედეგია*“, რომ „*ქართველი ერი მარად მადლიერი დარჩება ამ მამულიშვილური ღვაწლისათვის*“ (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 181: 1).

გოგი შათირიშვილის მიერ იყალთოდან გამოგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ მსოფლიო საპატრიარქოსგან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება უშუალოდაა დაკავშირებული უწმინდეს და უნეტარეს ილია II-ის სახელთან და დიდ ავტორიტეტთან. „*დიახ, საქართველოში, ამ რთულ და დაძაბულ პერიოდში, თქვენ ერთადერთი ნაღდი პიროვნება ბრძანდებით, რომლისაც გვწამს და გვჯერა. ამიტომაც მომრავლდა ასე თქვენი მრევლი სრულიად საქართველოში და განა მარტო საქართველოში?!*“ (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 184: 1).

ძალიან თბილი წერილია დაცული საპატრიარქოს არქივში თურქეთში, ქ. ინეგოლში მცხოვრები ქართველის – ვახტანგ მალაყმაძისაგან (ჰაირი ჰაირიოღლუ):

„ჩვენი ერის უწმიდესო მამავ, პატივცემულო ილია II,

უპირველეს ყოვლისა, გემთხვევით ხელებზე უდიდესი პატივისცემითა და მამა-შვილური სიყვარულით...

მსოფლიომ აშკარად ნახა, რა მოუვიდა ქართველ ერს 9 აპრილს და შემდეგ შავბნელ დღეებში... ყველაფერი თავის დროზე ვათვალყურიედ თურქეთელმა ქართველებმა, რაც შევძელით. მაგრამ დღემდე ამის საწინააღმდეგო ხმა ვერ მოგაწვდინეთ, სამწუხაროდ. მტერის საწინააღმდეგო პროტესტები ვერ გამოვაცხადეთ... ამის მიზეზი არის ჩვენი მდგომარეობის პირობები...

ქართველ ერის ცხოვრებაში ისეთი დღე არ თენდება, რომ გულდამწყვეტი ამბები არ ჩამოგვივიდეს...

აღარ ყოფილიყოს მომავალში ასეთი უბედური დღეები... ამინ...

ჩვენო უწმიდესო მამავ. ღმერთის შეყვარებული ქართველი ერი კეთილი და სასიამოვნო დღეების ღირსიც ხომაა... აჰა, წავიკითხეთ თურქულ ჟურნალებში ასეთი საბედნიერო ამბავიც. თურმე დალოცვილა და მოგნიჭებიათ ის ყველაზე მაღალი ტიტული... თურქულად რომ ვთქვათ (პატრიკ)ის უზენაესი ადგილი...

გამჩენ ღმერთს ვთხოვთ, არასოდეს არ დაგარცხვინოთ არც წუთისოფელში და არც საიქიოს. სულ ადგილზე ყოფილიყოს თქველი წარმატებულობის ადგილ სამყოფელი... ამინ...

მსურს 1990 წელს აკაკი წერეთლის საიუბილეო ცერემონიას დავესწრა. თუ მოვახერხებ ამას, შევხდებით და ვიხარებთ, ვისიამოვნებთ ღმერთით... ხელებზე კოცნით“... (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 546: 1).

აღნიშნული წერილი შემოკლებული სახით უკვე გამოქვეყნებულია („*ჯვარი ვაზისა*“, 1990: 53), მაგრამ ხელმეორედ გადავწყვიტე მისი შედარებით ვრცლად მოხმობა. მასში ჩანს უდიდესი მოწიწება და სიყვარული საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლისადმი და მისი ღვაწლით გამოწვეული გულწრფელი აღფრთოვანება, რაც მნიშვნელოვანია, რადგან ეს გრძნობები გამოთქმულია მუსლიმი ქართველის მიერ.

პატრიარქი ილია II შემდეგში აღნიშნავდა, რომ თურქეთში მცხოვრები ქართველი მუსლიმები იმ საზეიმო დღეებში ქართულ დელეგაციას ხშირად აკითხავდნენ. მათთან შეხვედრები ძალიან ამაღელვებელი იყო (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 438: 8).

უსაზღვრო სიხარულის გამომხატველი წერილები მიღებულია ავტოკეფალური ეკლესიების საჭეთმპყრობლებისგანაც (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 180: 1; იქვე, 481: 1; იქვე, ს. 5928: 2; იქვე, 8791: 1; იქვე, ს. 8817: 1;). მხოლოდ კვიპროსის მთავარეპისკოპოსმა ქრიზოსტომოსმა, მართალია, გამოხატა სიხარული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებასთან დაკავშირებით, მაგრამ, ამასთან, უწმინდესსა და უნ-

ეტარეს ილია II-ს აცნობა, რომ დიპტიქის საკითხში საქართველოსა და კვიპროსის ეკლესიების ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8791: 1). კვიპროსის ეკლესიის წარმომადგენლებს თავიანთ ისტორიულ წყაროებსა და ტრადიციაზე დაყრდნობით დიპტიქში V ადგილზე აქვთ პრეტენზია (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8791: 3-5).

XX საუკუნის 90-იანი წლების ძნელბედობამ დიპტიქის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით ინტენსიური მოლაპარაკებები შეაფერხა. 1995 წლის 20 ნოემბერს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოს I-ს (არქონტონისი, კონსტანტინოპოლის ეკლესიის საჭეთმპყრობელი 1991 წლიდან, პატრიარქ დიმიტრიოს I-ის გარდაცვალების შემდეგ) კვლავ შეახსენა დიპტიქში საქართველოს ეკლესიის ადგილის განსაზღვრის აუცილებლობა (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 178: 20).

საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის მცდელობათა შედეგად, 2001 წელს მსოფლიო პატრიარქი აღნიშნულ საკითხს კვლავ მიუბრუნდა. იგი თანახმა იყო საქართველოს ეკლესია VI ადგილზე განთავსებულიყო, თუ ამას სხვა ავტოკეფალური ეკლესიებიც დათანხმდებოდნენ (საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 16068: 1; იქვე, ს. 23560-ა).

უწმინდესი და უნეტარესი ილია II გამოთქვამს რწმენას, რომ სამართლიანობა დიპტიქში საქართველოს ეკლესიის ადგილთან დაკავშირებითაც აღდგება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ თავისი პრინციპული პოზიციის წყალობით, 1990 წელს მიაღწია სასურველ შედეგს – მსოფლიო პატრიარქის მხრიდან საქართველოს ეკლესიის V საუკუნიდან არსებული ავტოკეფალიისა და XI საუკუნიდან მისი საჭეთმპყრობლის წოდების – სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი – აღიარებას.

1990 წელს წარმატებით დასრულებული ბრძოლა არის იმ ბრძოლის ნაწილი, რომელიც დაიწყო 1917 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო დონეზე აღიარებისთვის და ამავე დროს არის ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ნაწილი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბოკელავაძე, 2009 – ეთერ ბოკელავაძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო ღირსების აღიარება კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მიერ (1990 წ.), წიგნში *„ქრისტიანობის კვლევები“* II, თბილისი, 2009.
1. ბუბულაშვილი 2003 – ელდარ ბუბულაშვილი, *ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი 1918–1921 წლების საქართველოში*, ჟურნალში „ლოგოსი“, №1.
2. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 1990 – *სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ქადაგება*, ჟურნალში *„ჯვარი ვაზისა“*, №1.
3. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 2008 – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, *ეპისტოლენი, სიტყვანი და ქადაგებანი*, III, თბილისი.
4. *სამართლის ძეგლები*, 1965 – *ქართული სამართლის ძეგლები*, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ, ტ. II, თბილისი.
5. საპატრ. არქ., აღწ. 1, ს.2901 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 2901.
6. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 133 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახ. აღწ., საქმე 133.
7. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 178 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწ., საქმე 178.
8. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 180 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწ., საქმე 180.
9. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 181 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწ., საქმე 181.
10. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 182 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწ., საქმე 182.
11. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 183 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწ., საქმე 183.
12. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 184 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწ., საქმე 184.
13. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 438 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწ., საქმე 438.
14. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 546 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახ. აღწ., საქმე 546.
15. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 2256 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახ. აღწ., საქმე 2256.

16. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 2806 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახ. აღწ., საქმე 2806.
17. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 4035 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახ. აღწ., საქმე 4035.
18. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 4541 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახ. აღწ., საქმე 4541.
19. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 5928 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახ. აღწ., საქმე 5928.
20. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8574 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახ. აღწ., საქმე 8574.
21. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8578 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახ. აღწ., საქმე 8578.
22. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8579 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახ. აღწ., საქმე 8579.
23. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8701 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე 8701.
24. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8791 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე 8791.
25. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 8817 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე 8817.
26. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 9420 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე 9420.
27. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 9741 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე 9741.
28. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 9999 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე 9999.
29. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 11441 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწ., საქმე 11441.
30. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 16068 – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწ., საქმე 16068.
31. საპატრ. არქ., ახ. აღწ., ს. 23560-ა – საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახ. აღწ., საქმე 23560-ა.
32. „*ჯვარი ვაზისა*“, 1990 – ჟურნალი „*ჯვარი ვაზისა*“, 1990 წლის №3.

Work of Catholicos-Patriarch Ilia II of All Georgia for the recognition of the autocephaly of the Church of Georgia (Historical excursion)

Despite great efforts by the representatives of the Georgian church, its rights in the Orthodox World could not be fully restored. During international gatherings, its autocephalous rights were ignored or belittled and it was referred to as an autonomous church under the jurisdiction of the Ecumenical Patriarchate.

In 1964, newly consecrated Bishop Ilia Shemokmedeli (Shiolashvili) started the fight for the restoration of the rights of the Church. This process intensified after his election as Catholicos-Patriarch of All Georgia (1977). He worked together with a group of scientists to find and analyze documents confirming the autocephaly of the Church of Georgia. He wanted to support Georgian sources with Greek documents in order to convince the Ecumenical Patriarchate of the rights of the Church of Georgia.

After many meetings and negotiations, Catholicos-Patriarch Ilia II achieved the desired result in 1990 thanks to his principled position.

The Ecumenical Patriarchate recognized the autocephaly of the Church of Georgia from the 5th century and the antiquity, from the 11th century, the title of its ruler – Catholicos-Patriarch of All Georgia. The place of the Church of Georgia in the Diptych of Orthodox Churches remained to be decided upon.

The struggle that ended in success in 1990 is part of the struggle that began in 1917 for the recognition of the autocephaly of the Church of Georgia internationally and at that time was part of the struggle for national independence.

Деятельность Католикоса-Патриарха всея Грузии Ильи II-го для признания автокефалии Грузинской Церкви

(Исторический экскурс)

Грузинская Церковь от Российского гнета освободилась в 1917 году, после падения Российской империи. Несмотря на старания, Грузинская Церковь не смогла восстановить свои права в православном мире. Во время международных сборищ игнорировали или унижали её автокефальные права, причисляя к автономной церкви, подчиненной Вселенскому Патриарху.

Борьбу за восстановление права церкви, в 1964 году начал новопосвященный епископ Илья Шемокмедели (Шиолашвили). Этот процесс интенсивным стал после его интронизации Католикос-Патриархом всея Грузии (1977 г.). Он вместе с грузинскими учеными работал, собирал и анализировал документы удостоверяющие автокефалию Грузинской Церкви. Он пытался, грузинские источники усилить греческими документами, чтобы Вселенский Патриархат убедился в правах Грузинской Церкви.

После многочисленных встреч и переговоров делегаций, Католикос-Патриарх всея Грузии Илья II, благодаря принципиальной позиции, в 1990 году достиг желаемого результата – признания от Вселенского Патриарха древней автокефалии Грузинской Церкви (с V в.) и титула её главы – Католикос-Патриарх (с XI в.). Осталось неопределённым место Грузинской Церкви в Диптихе Поместных Православных Церквей.

Борьба завершившаяся успехом в 1990 году, является частью борьбы, которая началась в 1917 году за признание автокефалии Грузинской Церкви на международном уровне и в то время является частью борьбы за национальную независимость.

პითა საძიებელი

ა

აბაშიძე კიტა 7, 13, 14, 15, 16, 18, 21, 37, 73, 74, 109, 110.
აბრამიშვილი გურამი 278.
აგეევი კონსტანტინე, დეკანოზი 89.
ადამია ვასილი 216.
ავალიშვილი ზურაბი 72, 74, 77, 80, 84, 87, 110, 111, 112, 117.
ავრამენკო ილია 20.
ავსაჯანიშვილი ეთერი 278.
ალექსანდრე I, რუსეთის იმპერატორი 8, 180.
ალექსანდრე II, რუსეთის იმპერატორი 180.
ალექსანდრე III, რუსეთის იმპერატორი 156, 158.
ალექსი I (სიმანსკი), სრულიად რუსეთის პატრიარქი 265, 266.
ალექსი II (მოლჩანოვი), მთავარეპისკოპოსი, საქართველოს ეგზარქოსი 171, 188.
ალექსიძე ზაზა 280.
ამბროსი (ხელაია), არქიმანდრიტი/მიტროპოლიტი/სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 24, 25, 72, 77, 80, 104, 112, 128, 140, 145, 147, 155, 193, 194, 195, 196, 197, 198, 199, 200, 201, 202, 203, 204, 205, 209, 210, 211, 213, 214, 215, 216, 217, 218, 219, 220, 221, 222, 227, 228, 233, 244, 245, 246, 248, 250, 251, 252.
ამირანაშვილი ამირანი, დიაკვანი 286.
ამირეჯიბი გიორგი 196.
ამირეჯიბი შალვა 72.
ანანია ჯაფარიძე, მიტროპოლიტი 8.
ანასტასია (ვისოცკაია) იღუმენია 16, 21, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36.
ანდრია პირველწოდებული 188, 282, 285.
ანდრია (უხტომსკი), უფელი ეპისკოპოსი 82, 83, 84.
ანტონ II (ბაგრატიონი), კათოლიკოს-პატრიარქი 11.
ანტონი (გიორგაძე), გორის ეპისკოპოსი 10, 20, 25, 47, 52, 53, 72, 77, 80, 83, 84, 85, 91, 97, 100, 103, 104, 115, 126, 128, 140, 185.
ანტონი (რომანოვსკი), ბერი/მთავარეპისკოპოსი 34, 256.
ანუა ტიმოთე 216.
არაბიძე ირინა 58, 122, 243, 247, 256, 265.
არსენიძე რაჟდენი 17.
ასათიანი მიხეილი 145.

ასათიანი ნოდარი 278.
აფაქიძე ანდრია 288.
აფაქიძე იასონი 187.
აფხაზი ივანე 72.
აქსაკოვი ი[ვანე] 161.
აღა-მაჰმად-ხანი 156.
ახალშენიშვილისა ანა 72.
ახვლედიანი სოლომონი 72, 73.

ბ

ბაკურაძე ტიმოთე 72.
ბარათაშვილი პეტრე 72, 126.
ბართლომე (გოროდცევი), მთავარეპისკოპოსი/გოროდცევი სერგი, დეკანოზი 66, 161.
ბართლომეოს I (არქონტონისი), კონსტანტინოპოლის ანუ მსოფლიო პატრიარქი 290.
ბარნოვი ვასილი 47, 72, 101.
ბასილი III (გეორგიადისი), კონსტანტინოპოლის ანუ მსოფლიო პატრიარქი 228, 252.
ბენდელიანი მედეა 221.
ბენდიანიშვილი ალექსანდრე 9, 109.
ბეკლემიშევი პეტრე 30.
ბელიაევი მ[იხეილი] 58, 59.
ბელკოვი ევგენი, მღვდელი 243.
ბენეშევიჩი ვლადიმერი 9, 10, 15, 21, 22, 24, 25, 28, 37, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 66, 67, 68, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 83, 84, 86, 87, 88, 90, 99, 101, 103, 111, 113, 114, 115, 116, 117, 125, 126, 127, 128, 138, 139, 140, 147, 162, 173, 178, 179.
ბენიამინი (კირიაკუ), კონსტანტინოპოლის ანუ მსოფლიო პატრიარქი 176.
ბერაძე თამაზი 278.
ბერიაშვილი ივანე 72.
ბერიშვილი ბარბარე 72.
ბოგვერაძე ანრი 278, 280.
ბოკელავაძე ეთერი 283.
ბუბულაშვილი ელდარი 13, 16, 142, 185, 187, 209, 227, 231, 281.
ბურდული გვანცა 8.

გ

გაბაშვილი ვასილი 72, 126, 187.
გაბაშვილი რევაზი 122.
გაბრიელი (ქიქოძე), ეპისკოპოსი 202.
გაგუა ბორისი 286.
გალპერნი ალექსანდრე 86.
გამახარია ჯემალი 194, 196, 198, 199, 201, 203, 210, 211, 214, 220, 221.
გამრეკელი გიორგი, დეკანოზი 47.
გამრეკელი გიორგი, პროტოპრესვიტერი 286.
გატეინი ნ., მღვდელი 211.
გევორქ V, სომეხთა კათოლიკოს-პატრიარქი 227.
გელოვანი ნინო 72, 77, 80, 86, 87, 115, 117.
გელოვანი პლატონი 215, 216.
გერმანე V (კავაკოპულოსი), კონსტანტინოპოლის ანუ მსოფლიო პატრიარქი 230, 231.
გვაზავა ალექსანდრე, მღვდელი 216-217.
გვაზავა გიორგი 72, 122.
გვაზავა მიხეილი, დეკანოზი 216.
გიორგი (წულაია), მღვდელ-მონაზონი 204.
გიორგი (ალადაშვილი), იმერეთის ეპისკოპოსი 8, 115.
გოგებაშვილი იაკობი 203.
გოგიჩაიშვილი ფილიპე 122, 124.
გოგოლაშვილი იოსები 230, 235.
გოგოლაძე დერმიშა 278.
გოდერიძე ლამარა 122.
გოთუა პართენი 72, 122, 125, 129, 187.
გოლუბცოვი გიორგი, დეკანოზი 196, 197, 203, 216.
გორგაძე სერგი 10, 11, 20, 47, 58, 72, 78, 97, 98, 99-100, 103, 104, 116, 124, 126, 128, 137.
გოროდცევი სერგი, დეკანოზი, იხ. ბართლომე (გოროდცევი).
გორჩაკოვი მიხეილი 241.
გრიგოლ IV (ხადადი), ანტიოქიის პატრიარქი 229, 230.
გრიგოლი (იაცკოვსკი), ბაქოელი ეპისკოპოსი 16, 25, 26, 33, 35, 36, 157, 185.
გრიგოლია ალექსანდრე 211.
გულია 216.
გურგენიძე ნიკოლოზი 231, 232, 233.

დ

დადეშქელიანი მიხეილი (ილამაზი) 67, 89, 90, 135.
დადიანი სამსონი 73.
დავიდოვი (დავითაშვილი) ალექსანდრე 58, 59, 60.
დავითი (კაჭახიძე), ეპისკოპოსი 183.
დავითი (ჭკადუა), მიტროპოლიტი 286.
დავითაშვილი დავითი 26, 72, 78, 104.
დათეშიძე რაჟდენი 72, 126.
დამასკინოსი, მიტროპოლიტი 283.
დედაბრიშვილი შიო 72.
დეკანოსიძე თ. [თამარი] 145, 146.
დენიკინი ანტონი 221.
დიმიტრი (აბაშიძე), ალავერდის ეპისკოპოსი 181.
დიმიტრიოს I (პაპადოპულოსი), მსოფლიო პატრიარქი 279, 280, 283, 284, 285, 287, 290.
დოროთეოსი (დოროთე) (მამელისი), მსოფლიო პატრიარქის მოსაყდრე (ლოკუმ-ტენესი) 230, 231, 232, 235.
დურნოვო ნიკოლოზი 105, 106, 183.

ე

ეგოროვი ვლადიმერი, მღვდელი 20.
ევდოკიმი, მთავარეპისკოპოსი 244.
ეკალაძე ია, იხ. ცინცაძე იაკობ.
ელენე დედოფალი 286.
ემუხვარი დიმიტრი (არზაყანი) 210, 219.
ერეკლე II, მეფე 180, 183, 266.
ეფრემ II (სიდამონიძე), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 265, 268, 269, 271, 277.
ეფრემოვი ივანე 86.

ვ

ვადაჭკორია შოთა 17, 76, 124, 136.
ვარდოსანიძე სერგო 17, 57.
ვართაგავა იპოლიტე 24, 66, 72, 73, 101, 178.
ვარლამი (მახარაძე), მარგველი ეპისკოპოსი 234.
ვასილი, ბრიუსელის მიტროპოლიტი 269.

ვაშაკიძე ვალერი 7.
ვაჩნაძე დავითი 78.
ვახტანგ გორგასალი, მეფე 265, 270, 276, 285.
ვედენსკი ალექსანდრე, დეკანოზი/ეპისკოპოსი 243, 248, 256.
ვერხოვსკი პავლე 84, 241.
ვეშაპელი გრიგოლი 26, 72.
ვინოგრადოვი მიხეილი 52, 53.
ვოსტორგოვი იოანე, დეკანოზი 161, 163.

ზ

ზანდუკელი მიხეილი, ექიმი 145, 146, 154, 163.
ზანდუკელი მიხეილი, ლიტერატორი 145.
ზაქარაია პარმენი 278.
ზაქარია მთისპირელი, იხ. თალაქვაძე ნიკიტა, დეკანოზი.
ზუბალაშვილი ლევანი 145, 146.
ზურაბიშვილი ივანე 72, 76.
ზურაბიშვილი კონსტანტინე 73.

თ

თალაქვაძე ნიკიტა, დეკანოზი 10, 19, 20, 30, 47, 54, 72, 78, 97, 99, 102, 104, 124, 127, 128, 137, 175, 182, *ზაქარია მთისპირელის* ფსევდონიმით 185.
თამარ მეფე/წმ. თამარი 179, 180, 182, 188.
თაყაიშვილი ექვთიმე 11, 47, 60, 97, 117, 126.
თემურაგოვი 30.
თეოდორე ბალსამონი, ანტიოქიის პატრიარქი 269, 270, 276, 286.
თეოფილე (შავდია), მღვდელ-მონაზონი 204.
თოთიბაძე ანტონი, დეკანოზი 106.
თორელი კახა 276.
თულაშვილი გ. [გაბრიელ] 72.
თულაშვილი ივანე 145.
თუმანოვი გიორგი, მღვდელი 195.
თურქია გახა 216.
თუხარელი გიორგი 198, 199.

ი

იაშვილი დავითი, დეკანოზი 33.
იგნატიევი ფ. ვ. 169, 170, 171, 172, 173, 175, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 185, 187, 188.
იესო ქრისტე 169, 170, 171, 188, 285, 287.
ივანიცკი ტარასი, დეკანოზი 248.
ივანოვი აბრაამი, დეკანოზი 217.
ილია (შიოლაშვილი), შემოქმედელი ეპისკოპოსი/სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 268, 269, 270, 271, 272, 276, 277, 278, 279, 280, 282, 283, 284, 286, 287, 288, 289, 290.
ინგოროყვა პავლე 11, 72, 97.
ინოკენტი (ბელიაევი), მთავარეპისკოპოსი, საქართველოს ეგზარქოსი 180, 188.
იოანე (მარღიშვილი), არქიმანდრიტი 211, 214, 221.
იოანიკე (რუდნევი), მთავარეპისკოპოსი, საქართველოს ეგზარქოსი 161.

კ

კაკაბაძე სარგისი 72, 78, 103, 104.
კალინოვსკი სერგეი, მღვდელი 243.
კალისტრატე (ცინცაძე), დეკანოზი/მიტროპოლიტი/სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 17, 25, 47, 52, 59, 60, 66, 72, 77, 80, 83, 99, 101, 102, 104, 128, 140, 145, 174, 181, 210, 211, 215, 216, 218, 219, 228, 229, 230, 232, 233, 234, 246, 251, 253, 266, ფსევდონიმით К. Георгиевски 229, 230, 233.
კალისტრატე (მარგალიტაშვილი), ქუთათელ-გაენათელი მთავარეპისკოპოსი 286.
კარბელაშვილი ანდრია, დეკანოზი 26.
კარბელაშვილი ვასილი, იხ. სტეფანე (კარბელაშვილი), ეპისკოპოსი.
კარბელაშვილი პეტრე, მღვდელი 26.
კარბელაშვილი პოლიევქტოსი, მღვდელი/დეკანოზი 26, 72, 124.
კარბელაშვილი ფილიმონი, მღვდელი 26.
კარგარეთელი ვასილი 199.
კარტაშევი ანტონი 23, 27, 29, 34, 35, 66, 80, 85, 86, 88, 89, 90, 92, 112.
კაჩუხოვი (კაჭუხიშვილი) 28.
კეკელიძე კორნელი, დეკანოზი 10, 11, 14, 19, 20, 47, 72, 76, 78, 79, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 116, 126, 127.
კელენჯერიძე მელიტონი, დეკანოზი 79, 128.

კერენსკი ალექსანდრე 87, 140.
კვიციანი ტასო 106.
კიზირია პეტრე 20, 72, 73, 76.
კიკნაძე ვაჟა 8.
კირიონ II (საძაგლიშვილი), ეპისკოპოსი/სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 8, 35, 89, 93, 142, 202, 203, 226, 227, 228, 229.
კლდიაშვილი ალექსი 124.
კოკოშკინი 87.
კონსტანტინე დიდი, ბიზანტიის იმპერატორი 276, 286.
კოტლიარევსკი სერგეი 27, 29, 146, 155, 159, 162, 163, 165.
კუზნეცოვი ნიკოლოზი 81, 84.
კუპატაძე ბონდო 195, 213.

ლ

ლაზარევსკი 86.
ლაფერაშვილი თეოფილაქტე, მღვდელი 30, 33.
ლაღიძე მიხეილი 182.
ლეონიდი/ლეონიდე (ოქროპირიძე), ეპისკოპოსი/სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე/სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 8, 9, 19, 24, 25, 26, 28, 32, 34, 44, 53, 59, 65, 72, 92, 97, 102, 103, 106, 109, 114, 115, 117, 123, 126, 134, 155, 156, 157, 158, 174, 175, 177, 178, 179, 182, 184, 200, 210, 215, 218, 219, 220, 226, 227, 228, 230, 231, 232, 236.
ლვოვი გიორგი 19, 51, 146.
ლვოვი ვლადიმერი 10, 19, 25, 33, 45, 51, 80, 86, 88, 109, 111, 112, 113.
ლოზოვოი იოანე, დეკანოზი, პროტოპრესვიტერი 20, 246, 247, 251, 253, 254.
ლოლაშვილი ივანე 278.
ლომთათიძე ალექსანდრე 135.
ლომინაძე ბაბილინა 278, 280.
ლომოური ნოდარი 278.
ლომსაძე შოთა 278.
ლორთქიფანიძე გურამი 278.
ლორთქიფანიძე იასონი 73, 126.
ლორთქიფანიძე ივანე 214, 221.
ლორთქიფანიძე მარიამი 278.

მ

მაზნიაშვილი გიორგი 196, 198.
მალაყმაძე ვახტანგი (ჰაირი ჰაირიოღლუ) 288.
მამულია გურამი 278, 280.
მანუელი, მიტროპოლიტი 244.
მარი ნიკო 8, 45, 64, 77, 78, 111, 113.
მარღანია დიმიტრი, დეკანოზი 198, 201, 211, 213.
მარშაკი ი[აკობი] 59.
მარშანია ტატაში 187.
მაჩაბელი ივანე 121.
მაჩაბელი მიხეილი 72, 78, 79, 103, 121, 122, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, *მ. ტფილისელის* ფსევდონიმით 121.
მაჩურიშვილი გიორგი, მღვდელი 204.
მაჭავარიანი სიმონი 72.
მახარაძე ფილიპე 17.
მგალობლიშვილი სოფრომი 47, 52, 54, 59, 72.
მგელაძე ბეგლარი 216.
მეგრელაძე დარეჯანი 278.
მელიტონი, ილიოპოლისის მიტროპოლიტი 269, 277, 278.
მელიქიშვილი ნიკოლოზი 72.
მელქისედეკი (მელქიზედეკი), კათოლიკოს-პატრიარქი 269, 276, 280.
მერკვილაძე იოსები (სოსიკო) 72, 126, 182.
მესხი თამარი 286.
მილოპულო ევთიმე, მღვდელი 216.
მირიან მეფე 276.
მირიანაშვილი პეტრე 73.
მიტკევიჩი ალექსანდრე 30, 31.
მიქელაძე ალექსი, მღვდელი 47, 52, 124.
მიქელაძე ვლადიმერი 73.
მიხაილოვსკი იოანე, დეკანოზი 26, 27, 155, 158.
მიხეილი (ბოგდანოვი), სამარის ეპისკოპოსი 81.

ნ

ნაზარი (ლეჟავა), არქიმანდრიტი 26, 72.
ნალპანისი კონსტანტინე 53.
ნატროშვილი ანტონი 72, 124, 127.
ნახუცრიშვილი დავითი 26, 47, 52, 59, 72, 124, 137.

ნიკოლოზ I, რუსეთის იმპერატორი 156.
ნიკოლოზ II, რუსეთის იმპერატორი/მეფე 7, 156, 158, 180.
ნიკონი (სოფიისკი), საქართველოს ეგზარქოსი 188.
ნიკურაძე მიხეილი 123.
ნინო (ვაჩნაძე), იღუმენია 35.
ნინუა სამსონი 197.
ნიჟარაძე დავითი 72, 187.
ნოგატირევი ალექსანდრე (ალექსი), მღვდელი 52, 53, 87.
ნოლდე ბორისი 66, 92.

ო

ორეხოვი იოსები, დეკანოზი 14, 52, 62.
ორნატსკი ა[ლექსი] 59.
ოქროპირიძე ილარიონი, დეკანოზი 257.

პ

პავლე (ვილკოვსკი), ეპისკოპოსი 247.
პავლიაშვილი ქეთევანი 31, 44, 187, 242.
პალადი (რაევი), მთავარეპისკოპოსი, საქართველოს ეგზარქოსი 181.
პაპასქირი ზურაბი 187, 194, 195.
პაპაჯანოვი მიხეილი 7, 13, 14, 20, 34, 36, 73, 175.
პაპუაშვილი ნუგზარი 245.
პეტრე (სერგეევი), ბაქოელი მიტროპოლიტი 234, 247, 251, 252.
პეტრე I, იმპერატორი 241.
პეტრე II, ანტიოქიის პატრიარქი 276, 285, 286.
პეტრე (პოლიანსკი), მიტროპოლიტი 244.
პიროსი (ოქროპირიძე), ეპისკოპოსი 8, 72, 115.
პიტირიმი (ოკნოვი), მთავარეპისკოპოსი, საქართველოს ეგზარქოსი 180.
პლატონი (როჟდესტვენსკი), მთავარეპისკოპოსი/მიტროპოლიტი/ყოფილი ეგზარქოსი 10, 14, 16, 18, 21, 24, 26, 27, 29, 32, 48, 49, 51, 55, 57, 59, 65, 66, 73, 78, 79, 89, 91, 103, 113, 127, 128, 136, 146, 155, 156, 157, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 172, 174, 175, 181, 186.
პოპოვი მიტროფანე 14, 20, 52, 54, 66.

ჟ

ჟორდანია გიორგი 72, 127.
ჟორდანია ნოე 9, 73, 125, 126, 135, 219, 220.
ჟურული გიორგი 18, 72, 126, 127.

რ

რაზუმოვსკი ალექსანდრე, დეკანოზი 52, 53, 87.
როგავა გივი 106.
რომანოვა მარია თეოდორეს ასული 156, 158.
რომანოვი ნიკოლოზი 7, 156, 158.
რომანოვი ალექსი, უფლისწული/მემკვიდრე 156, 158.
როძიანკო მიხეილი 19.
რცხილაძე გრიგოლი 76, 122, 198, 230, 231.

ს

საბაშვილი 211.
საითიძე გელა (გიორგი) 7.
სანიკიძე ლევანი 278.
საყვარელიძე პავლე 136.
სახოკია თედო 26, 72.
სერაფიმე, ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსი 282.
სერაფიმე (რუჟენცევი), მოსკოვის მიტროპოლიტი 252, 253.
სერაფიმი, მთავარეპისკოპოსი 244.
სერაფიმი, მღვდელმონაზონი 26, 27, 28, 157, 158
სერგი (ლარინი), მთავარეპისკოპოსი 248, 256.
სერგი (პეტროვი), ეპისკოპოსი 196, 198, 203, 220, 221.
სერგი (სტრაგოროდსკი), მთავარეპისკოპოსი/სრულიად რუსეთის პატრიარქი 34, 91, 92, 176, 244, 256.
სვიმონიშვილი კონსტანტინე 130.
სიმონ კანანელი 282, 285.
სინგარევსი ხარლამპი 53.
სირაძე იაკობი 73.
სირაძე რევაზი 278, 280.
სიხარულიძე იური 278.
სიხარულიძე ლერი 117.
სკობელევი მათე 86.

სკურატი კონსტანტინე 184.
სოკოლოვი არკადი 63.
სოლოხინა 216.
სტადნიკი სტეფანე 243.
სტეფანე (კარბელაშვილი), ეპისკოპოსი/კარბელაშვილი ვასილ, მღვდელი 26, 72, 124, 135, 184, 251, 253, 254.
სუარიშვილი ლონგინოზი, დეკანოზი 8.
სუმბათაშვილ-იუჟინი ალექსანდრე 145.
სუხოდოლსკი, გრაფი 145, 146.

ტ

ტარნავა მიხეილი 186.
ტატიშვილი ირ[აკლი] 145, 146.
ტიხვინსკი ვიქტორი 20, 53.
ტიხონი (ბელავინი), მიტროპოლიტი/სრულიად რუსეთის პატრიარქი 196, 227, 228, 229, 242, 243, 244, 246, 247, 248, 249, 251, 266.
ტყემალაძე მარკოზი, მღვდელი 181.

უ

ურუშაძე ნოე, მედავითნე 216.

ფ

ფადეევი 161.
ფაშალიდი ივანე (იოანის ფაშალიდისი) 211, 213, 214.

ქ

ქართველიშვილი მიხეილი 264, 265.
ქარუმიძე შალვა 72, 187.
ქირია ა. 211.
ქიქოძე გერონტი 122.
ქოქრაშვილი ხათუნა 8, 226.
ქრიზანთოსი (ხრისანთე) (ფილიპიდისი), ტრაპიზონის მიტროპოლიტი 228, 229, 232.
ქრიზოსტომოსი, კვიპროსის მთავარეპისკოპოსი/მირონის მიტროპოლიტი 284, 289.
ქრისტეფორე (ციცქიშვილი), მღვდელი/მიტროპოლიტი/სრულიად საქა-

რთველოს კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე III 24, 47, 52, 59, 72, 103, 104, 126, 234, 235, 246, 248, 250, 255.

ღ

ღამბარაშვილი მაქსიმე 145.
ღამბაშიძე გივი 278.
ღაღანიძე მერაბი 63, 68.

ყ

ყაზბეგი გიორგი 72, 127.
ყანჩელი ალექსანდრე 73.
ყიფიანი ვასილი 122.
ყიფშიძე გრიგოლი 72.
ყიფშიძე იოსები 72.
ყორანაშვილი გურამი 110.
ყუბანეიშვილი გაბრიელი 72.

შ

შათირიშვილი გოგი 288.
შანიძე აკაკი 110.
შარვაშიძე ალექსანდრე 187, 195.
შარვაშიძე გიორგი 195, 196, 202, 205.
შარვაშიძე ვარლამი 196, 198, 200, 204.
შარვაშიძე მიხეილი 195.
შარვაშიძე ჯოტო 197.
შველიძე დიმიტრი 9, 16.
შიშნიაშვილი გიორგი, მღვდელი 32, 34.
შუგუროვი ნიკოლოზი 126.

ჩ

ჩალათაშვილი ქეთევანი 145, 146.
ჩაჩა პავლე 213, 216.
ჩერგეზია გიორგი 216.
ჩიჯავაძე იოსები, დეკანოზი 257.
ჩუმაკოვა ტატიანა 10, 25, 46, 51, 65, 67, 138.

ჩხეიძე ნიკოლოზი (კარლო) 17, 86, 87, 198.
ჩხენკელი აკაკი 7, 15, 16, 21, 22, 23, 24, 28, 32, 33, 34, 36, 37, 49, 53, 56, 63, 73, 116, 123, 197.

ც

ცაგარელი ალექსანდრე 8, 74, 110.
ცინცაძე იაკობი (ია ეკალაძე) 26, 72.
ცინცაძე კალისტრატე, იხ. კალისტრატე (ცინცაძე).
ციცქიშვილი ქრისტეფორე, იხ. ქრისტეფორე (ციცქიშვილი).
ცქვიტინიძე ვლადიმერი 216.

ძ

ძეგველიშვილი ალექსანდრე 72, 126.

წ

წერეთელი აკაკი 146, 289.
წერეთელი ირაკლი 17, 85, 86, 87, 88.
წვერავა ნიკოლოზი 73.
წიკლაური ანზორი 288.
წმინდა ილია წინასწარმეტყველი 286.
წმინდა ნინო 179, 188, 282, 285, 286.

ჭ

ჭავჭავაძე ილია 121, 146.
ჭავჭავაძე-სუხოდოლსკი ელენე 145, 146.
ჭოჭუა 216.
ჭუმბურიძე დოდო 9, 123.

ხ

ხარაშვილი ილია 73.
ხარლამოვი ვასილი 7, 10, 19, 20, 28, 29, 31, 36, 73, 102, 158, 186.
ხატისოვი ალექსანდრე 10.

ხახანაშვილი ალექსანდრე 8, 145.
ხახუტაშვილი ნიკოლოზი 72.
ხრისანთე (ქრიზანთოსი), იხ. ქრიზანთოსი (ხრისანთე) (ფილიპიდისი).
ხუციშვილი გიორგი 278.

ჯ

ჯავახია კირილე, დეკანოზი 257.
ჯავახიშვილი 72.
ჯავახიშვილი ალექსანდრე 145.
ჯავახიშვილი ივანე 45, 68, 72, 74, 75, 99, 103, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 117.
ჯანაშია ნიკო 202.
ჯანაშვილი მოსე 47, 117.
ჯანელიძე ოთარი 16, 17, 109, 110, 121, 122, 123, 124, 129.
ჯაფარიძე ანანია, იხ. ანანია ჯაფარიძე, მიტროპოლიტი.
ჯაფარიძე ოთარი 278.
ჯაფარიძე ტრიფონი 101.
ჯაფარიძე შორენა 8, 16.
ჯაფაროვი მემედ-იუსუფ 7, 73.
ჯორბენაძე სერგო 110, 111.
ჯოხთაბერიძე ტროფიმე, მღვდელი, დეკანოზი 187, 216.
ჯუღელი ანთიმოზი 216.

Index of Names

Alexy I (Simansky), Patriarch of All Russia 274.
Ambrosi (Khelaia) Metropolitan of Chkondidi/Catholicos-Patriarch of All Georgia 207, 224, 239
Athenagoras (Spirou), Ecumenical Patriarch 274.
Avalishvili Zurab 119.

Baratashvili Petre 119.
Barnov Vasil 119.
Beneshevich Vladimir 70.

Christ 191.

Gabashvili Vasili 119.
Gelovani Nino 119.
Gotua Parthen 132.

Ignatiev 191.
Ilia (Shiolashvili), Bishop of Shemokmedi/Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II 274, 293.

Javakhishvili Ivane 119.

Kekelidze Korneli, Deacon 107.
Kirion II (Sadzaglishvili), Catholicos-Patriarchs of All Georgia 239.
Kiziria Petre 119.
Kotliarevski 167.

Leonid (Okropiridze) Guria-Samegrelo Bishop, the locum tenens of the Catholi cos-Patriarch of All Georgia 42, 107, 239.

Machabeli Mikheil 119, 132.
Marri Niko 119.
Mgaloblishvili Soprom 119.

Nakhutsrishvili Davit 119.

Platon (Rozhdestvenski), former Exarch of Georgia 167.

Rtskhiladze Grigol 119.

Sharvashidze Giorgi Mikheil 207.

Tsagareli Alexander 119.

Vartagawa Ipolite 119.

Zurabishvili Ivane 119.
Zandukeli Mikheil 167.

Указатель имен

Ага-Магомедъ-Хан 148.
Аксаков И[ван] 152.
Александр I 43.
Александр III 148, 150.
Амвросий (Хелая), митрополит Чкондидели/Католикос-Патриарх всея Грузии 208, 225, 240, 262.

Бенешевич Владимир 71, 96.

Верховский 242.
Восторгов, протоиерей 152.

Городцов, протоиерей 152.
Готуа Партен 133.
Гурам Багратид 152.

Джавахишвили Иване 120.
Доротеос (Мамелис), местоблюститель Вселенского Патриарха 240.

Ефрем II (Сидамонидзе), Католикос-Патриарх всея Грузии 275.

Зандукели Михаил 145, 154, 164, 168.

Игнатьев 169, 170, 171, 172, 175, 176, 177, 179, 181, 182, 183, 185, 188, 192.
Илья (Шиолашвили), епископ Шемокмедели/Католикос-Патриарх всея Грузии Илья II 275, 294.
Иоанник[ий] (Руднев), Экзарх 152.

К. Георгиевски (Каллистрат Цинцадзе) 229, 230, 233.
Кекелидзе Корнели, протоиерей 108.
Кирион II (Садзаглишвили), Католикос-Патриарх всея Грузии 240.
Котляревский Сергей 147, 153, 154, 168.

Левитин Александр 243.

Леонид (Окропиридзе), местоблюститель Католикоса-Патриарха, епископ Гурийско-Мингрельский/митрополит Тифлисский/Католикос-Патриарх 43, 108, 148, 149, 150, 168, 240.
Либеровский 66.
Лозовой Иоан, протоиерей 262.

Мануил (Лемешевский), Митрополит 244, 248, 249.
Мачабели Михаил 133.
Михайловский протоиерей 147, 150.

Николай I 148.
Николай II 148, 150.

Платон (Рождественский), бывший Экзарх Грузии 96, 147, 148, 149, 151, 152, 153, 154, 168.

Регелсон 243.
Романов Алексей, царевич/наследник 148, 150.
Романова Мария 148.
Романов Николай Николаевич 148, 150.

Серафим, иеромонах 149, 150.
Скурат Константин 185, 272.

Тамара, Царица 180.
Тарнава Михаил 186.

Фадеев 152.

Харламов В. А. 150.
Христос 169, 192.

Чумакова Татиана 10, 16, 25, 46, 47, 48, 51, 55, 57, 65, 66, 138.

Шарвашидзе Георгий Михайлович 208.